ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

8

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გამოთხოვება

1990 წლის 9 აგვისტოს ქართველმა ხალხმა დიდუბის წმინდა მიწას მიაბარა თავისი ერთ-ერთი უკეთეს შვილთაგანი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე რევაზ თაბუკაშვილი. ეს იყო დღე საერთო-სახალხო გლოვისა და მწუხარებისა. დღე რომელიც ამიერიდან აღარასოდეს ამოიშლება ხალხის მეხსიერებიდან, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ ყველანი წმინდასა და ყველასათვის საყვარელ ადამიანს გამოვეთხოვეთ — არამედ იმის გამოც, რომ ამ დღეს ერმა, მართალია დიდი ტკივილით, მაგრამ უფრო ცხადად, მთელი სისრულით შეიგრძნო სიმაღლე და მომხიბლველობა თავისი გამორჩეული შვილისა. ეს იყო, როგორც გალაკტიონი ბრძანებს, „განათების წამი“!



სიკვდილი, გარდაცვალება მართლაც „განათების წამია“ იმათთვის, ვინც მთელი ცხოვრება უშურველად იღვწებს თავისი ბედუკუღმართი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის, ვინც ერთმანეთს ბედნიერად შეუხამებს პიროვნულსა და საზოგადოს, ვინც პიროვნულ ბედნიერებას საზოგადო საქმეთა კეთებაში ჰპოვებს. ამ დღეს განათდა რეზო თაბუკაშვილის ცხოვრების არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ ძალზე ნაყოფიერი და შინაარსიანი ცხოვრების გზა. ცოცხალთა სიდიდის აღიარებას ერთგვარად ვუფრთხით ხოლმე მოკვდავნი, ალბათ ბუნებრივიცაა — სიმაღლის მთელი სისრულით დანახვას დისტანცია, მანძილი სჭირდება. სამწუხაროდ, ეს დისტანცია უკვე გაჩნდა. ცოცხალთა შორის აღარაა ბატონი რეზო! აღარაა პიროვნება რომელიც ასე სჭირდება დღევანდელ საქართველოს — აფორიაქებულ, აწეწილ-დაწეწილ, ხვალინდელ თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს! როგორ გვჭირდება მისი სიბრძნე და წინდახედულება, გამჭრიახი გონება და შინაგანი გაუტეხელობა!

რაღაცა ჰქონდა ბატონ რეზოს ავთანდილისეული! იგიც ხომ ველად გაჭრილი იყო მთელი ცხოვრება და როგორც ავთანდილი ნესტანს — მსოფლიოს გზებზე გაფანტულ-განიავებულ ქართული სულისა და კულტურის წმინდა ნაწილებს ეძიებდა... ეძიებდა და ჰპოვებდა, რათა გაემთლიანებინა ქართველი ხალხის შეგნებაში ის დიადი ხატი, რასაც სამშობლო ჰქვია, და რომლის სისრულით აღდგენისათვისაც წრიალებს დღეს მთელი ქართული გონი და ეროვნული ენერგია...

ამ ნათელ, ამ ტკივილიან დღეს, ბატონო რეზოს თბილ სამარესთან თავდახრილნი, რას შევპირდეთ ქართველნი ერთურთს? რას შევპირდეთ ამ წმინდა ნეშტს, ამ ირგვლივ შემოჯარულ წმინდა საფლავებს?

გულს ხატად ამოვიჭრათ მათი ნაანდერძევი და, როგორც ქრისტიანთ შეეფერება, თავი ვინუგეშოთ, რომ სულთა უკვდავება მართლა არსებობს, რომ მათი ნათელი სულები ხვალინდელ ბრძოლებშიც არ მიატოვებს. მფარველ ანგელოზად თავს დაადგება თავისუფლებისათვის შემართულ ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს!

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

8

აგვისტო

1990

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, ჩშჟ. გამოცემის ლდ-ე წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პროზა და პოეზია


3. ჯემალ დავლიანიძე — მოთხრობები
30. რენე კალანდია — ლექსები
34. მერი შალვაშვილი — ლექსები
36. ირმა კეკელიძე — მოთხრობები
43. ნოდარ შამანაძე — ლექსები
45. თენგიზ ჩალაური — ლექსები
46. ემზარ ომანაშვილი — სიძე. მოთხრობა
53. ირაკლი ციგროშვილი — ლექსები
55. აკაკი გეწაძე — ღამის გაფრენა. მოთხრობა
71. ბადრი თევზაძე — ლექსები
73. დარეჯან ბატიაშვილი — ლექსები


## დრამატურგია


74. ლაშა თაბუკაშვილი — ნატაძრალზე. პიესა


## აკაკი — 150


94. ლეილა ერაძე — „ერთობა ჩვენთვის ტახტია..."


## წერილები


100. კორნელი დანელია — ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან
106. ლელა ალექსიძე — „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა"
113. სამსონ ფირცხალავა — ემიგრანტული წერილები. (წინასიტყვა გურამ შარაძისა)
122. მერი ბადრიაშვილი — შემოქმედი და სინამდვილე
129. ავთანდილ ადეიშვილი — პუბლიცისტური პოლემიკის ეთიკა


## დაბრუნებული სახელები


137. ალექსანდრე სულხანიშვილი — მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. დასასრული


## სატირა. იუმორი. პარადია


160. ვანო ცინცაძე — რითი გვჯობნიან კაპიტალისტები?


მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
ჭაკა ჯოხაძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი გაზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ დავლიანიძე

# მოთხრობები

## ჩაკეტილი ბორბალი და უიმედო პროგნოზი

საჭიროა გაქცევა. გეზი ვიცი, გეზი არის, ოღონდ, თვითონ გზა არ არსებობს. გზა არ არსებობს ფიზიკურად... თუმც, გზა არსებითი სახელია. და, როგორც მუდამაა — სახელმძღვანელო, მასწავლებლები ვერაფერს მიშველიან. გზა არ არსებობს, ვდარდობ. ჩემთანაა დარდი, რომლის მიღმა თვითმკვლელების ფოტოებით მორთული გალერეაა. მაინც, საით? როგორ? რანაირად გაექცევი ამდენ ცეკვას, სიმღერას, სპორტულ სანახაობას, ჩიჩინს, დაცინვას: საზღვარგარეთ დალპა და გაიხრწნა საზოგადოება, ადამიანი... ყველგან წყალდიდობაა, კატასტროფებია, ხოცვაჟლეტაა. ადამიანები მოითხოვენ თავისუფლებას და სამართლიანობას. მობელადო ელემენტი, ბელადობის მოსურნე ჰკივის უსასრულოდ: საჭიროა სისხლი. უსისხლოდ, უბრძოლველად თავისუფლება არ არსებობსო. ამ კაცს ვინმემ ცოლი ხომ არ?.. ჰა? იქნებ საკუთარ ცვედნობას, იმპოტენციიას ფარავს და იმიტომ იბრძვის?.. სურვილი აქვთ წმინდანობისა? დაე, ჰქონდეთ! ბრბომ აყოლა იცის. უსაქმურებით, სულიერი ჯიბგირებით, უსულო საგნებით, უსულო, ქვაყინულა ადამიანებს მუდამ გააჩნიათ სიამაყე. ცდილობენ რაიმე მოიმოქმედონ სხვისი ხელებით. გაქცევაა საჭირო, მაგრამ სოფლიდან აქეთ, ქალაქიდან იქით, აღმა, დაღმა, გვერდით... საშველი არსაიდან არ ჩანს... საწოლზე ბალღი წევს და ჰგავს ორმოცდაათი წლის მამაკაცს, ლომისობაზე რომ ვნახე მთვრალი, გალიფოსანი, წვეროსანი, მოჩხუბარი, შარიანი, ხანჯალამოწვდილი, მოღრიალე. კვლავ ვირწმუნე, რომ ქალთა ქარაფშუტობა ქალაქებს ქარივით უქრის, იგი განუსაზღვრელია, უფართოესია და ყოველგან მავალია... მაშასადამე — მარადიულია... აბა, ვნახოთ, იმღერებთ სიბნელიდან? თქვენ ამბობთ, რომ სხეულით კონტაქტიცაა საჭირო... აბა, სცადეთ, იმღერეთ ტყეში, მდელოზე, ოღონდ არ გამოჩნდეთ, არ დამენახვოთ. მე თქვენი არ მაინტერესებს... ფიზიკურად არ მსურს თქვენი დანახვა. გამაგებინეთ მხოლოდ ხმა და იდექით მდელოზე, ტყეში, ღრეში, ხევში, რიყეზე რამდენ ხანსაც გსურდეთ. თქვენ, მოწყალეო მომღერალო, მაგრამ არა ბატონო, გარდა სიმღერისა, ხართ მანეკენი, ხართ მოძრავი, დაკლაკნილი სხეული. ხართ ჯამბაზი, მატრაკვეცა, მოცეკვავე, მოდათა გამომფენი, მიმიკათა ოსტატი, იქნევთ ძუძუებს, აფრიალებთ უკანალს, ატკაცუნებთ დუნდულებს, ტაშს უკრავთ ბარძაყებით, წარმოადგენთ სექსუალურ დახლს, ვიტრინას, გამოფენას და ასე შემდეგ. ჩანს, რომ სამყარო დაუღალავადია. არსებობს თუ არა ამ-

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი გამოთქმა თანამედროვე ფიზიკაში? არის სასაცილო ამგვარი აზრები? სასაცილო სხვაა: გამქცევ კაცს რომ ამგვარი სისულელეები გაწუხებს. თქვენი გარეგნობა ხომ საშინელია იმათთვის, ვინც თქვენნაირი არ არის? თვალები გამჭოლი, თვალები საიკე, თვალები გამოყინული, ხმა შემზარავი, ხელები სისხლიანი, ფეხები აშხვართული, აწოწილი, გუმანი... საშინელებაა ამდენი ცეკვა, ამდენი სირბილი, ინფორმაციათა ნაკადი, გაუთავებელი ხვნა მინდვრების, სადაც არაფერი ითესება და არაფერიც არ ამოდის. რა გამღერებთ? გიხარიათ? გიხარიათ, ხომ? კი, მეც მიმღერია. რა მამღერებს? მერე კი გვიტირია და ვართ სადოლგარმონო ქაოსში. თან კლარნეტიც გვახლავს! ამ დროს კი საზღვარგარეთ მიემგზავრებიან მესტვირეები, მესალამურეები, მედუდუკეები. ჩამოდიან და ეძებენ გაჯს, ცემენტს, ყურძენს, აგურს, ქვას, შავ ქვასა და... სად არის ამ დროს ხალხი და ბელადი? ბელადი ლოჟაშია, ხალხი კი — პარტერში. სცენაზეა... ვიცით, ვინ და რაც არის სცენაზე. გულდასმით უცქერენ. სიამოვნებით უცქერენ შიშველ, თეძოსრულ ქალბატონებს... სიმშვენიერე ენატრებათ, სიმშვენიერეს ბილწავენ, სივრცის შეურაცხყოფა განუზრახავთ და ამ სურვილით მიემგზავრებიან გარდაცვალების კონვეიერის მარადიული ბორბლისკენ... მიემგზავრებიან სანატორიუმებისკენ, ზღვისკენ, დარბიან, წვანან, სძინავთ, სხედან და რწმენა გააჩნიათ, რომ ისვენებენ. ვისგან და რისგან ისვენებენ? ისე, მშვენივრადაა მოწყობილი ერთი ციცქნა სამხედველო: უნდა იშრომო, უნდა იმუშაო, შენ რომ გსურს, ისე არა, არამედ, როგორც სურთ... თვითონ კი გიხარია უსაზღვროდ! გიხარია, რომ იღვწი, ქმნი, შრომობ, მუშაობ, ცეკვავ, მღერი, გაიძახი, ჰყვირი, ჰკივი, ტაშს უკრავ... რა თქმა უნდა, საზეიმო განწყობილებაა და უფლებას არ აძლევ საკუთარ თავს სხვაგვარად იცხოვრო. შეყვარებული ხარ შენც, სხვაც... მაშ როგორ? ვინც არ მუშაობს, რატომ უნდა ჭამოს? ეს ფორმულაა, მაგრამ ისე გეახლებიან, ისე გრძნობენ თავს... არა და არა! ვერ იმუშავებენ! მავანნი ვერ იმუშავებენ! რაღაცა ხომ არ იციან? ხომ არაფერს დაუფიქრდნენ? ხომ არაფერს მიხვდნენ? სახიფათონი ხომ არ არიან? თუ ასეა!.. ვინც არ მუშაობს არა ჭამოსო?! ეს ხომ ამოყვირებაა? ისე, ამოძახილი, ყვირილი მართლაც სულ ყურის ძირშია. ვინ ყვირის? არა, ამხანაგებო, კი არ ღრიალებენ... მღერიან, ცეკვავენ. განდაგანაა გზაზე და ეგ არის! მათი პროფესიაა და რა იღონონ? შრომაა! ისინი ასეთნაირად შრომობენ. შრომობენ და უხარიათ! თქვენ ბილეთი შეიძინეთ, დანარჩენი... იქ, სცენაზე უსასრულო ცეკვა-სიმღერას, ხლართვას, შეძახილებს აჰყვები... ყოველივე კალაპოტშია, თან, გროვდება კიდეც. არეულობის ნაკადული მიუყვება არხს და იშლება ტბად; დგება ტბად, ზღვად, ჭაობად; აქ კულტურაცაა. სადაც თავშეყრაა, სადაც თავყრილობაა, სადაც თათბირია, სხდომაა, შეკრებაა, რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა — კულტურაცაა. უფრო კულტურაა, ვიდრე „კულტურაცაა...“ ღმერთო, დიდებულო, რატომ ჰგავს ეს ბავშვი სიბერეში წასულ შარვლოსან ახმახს, რომელიც ლომისის კარზე შფოთს აღვივებდა, შფოთს ხნავდა და შფოთს სთესდა? რწმენა, რომ ყოველივე დალაგებულია; რწმენა, რომ ყოველივე რაიმეს ექვემდებარება, რწმენა, რომ ყოველივე განსაზღვრული და წინასწარ შეთანხმებულია, — საით მიგვერეკება? კამათი სიბრიყვის არსებობისა და არარსებობის შესახებ უსასრულო სიბრიყვეა. საკამათო არ არის. საკამათო არცაა. საკამათოა: შეიძლება თუ არა სიბრიყვის ჭაობის არსებობა ამქვეყნად? იკამათეთ! ვიკამათოთ! თუ გსურთ — ვიკამათოთ! ხომ გვასწავლეს: კამათში ჭეშმარიტება იბადებაო. ადამიანურ ყაყანს, კამათს, მუშტ-წიხლ-თავის ქნევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ რაიმე ჭეშმარიტების გაჩენა-დაბადება ძალუძს? აუჰ! რამდენი რამ გვასწავლეს! სწავლა! კვლავ სწავლა! კითხვაზე „რა“? პასუხია: ისევ და ისევ, ისევ და ისევ, პოეზიამდე აყვანილი სწავლა! უსასრულოდ სწავლა! სწავლა არ წასვლისა! სწავლა და არა წასვლა! სწავლა. უსასრულო ცეკვა-თამაში, სიმღერა, დროს ტარება (ჩანთით, იღლიით, ჯიბით?), ერთობა, სიხარული, აღტყინება, სიამაყე! ყოველივე წარმოშობს გაერთიანებას და თვინიერებას! ერთადერთი მომღერალი, სრულიად შიშველი ქალი, ოთხმოცი ათას ადამიანს, ანუ ერთ სავსე სტადიონს ხიბლავს, აჯადოებს, ერთ კუნთად კრავს, ძაგრავს და ამზადებს! ოთხმოცი ათასი მოთვინიერებული და გამზადებული. დიდი ჯარია? ჩვენთვის ნამდვილად დიდი ჯარია! ოთხმოცი ათასი ქართველი მეომრით რას იზამდი კაცი?.. სულაც არ ვფიქრობ, რომ გამქცევი ადამიანები მომრავლდებიან და თვინიერნი ამოწყდებიან. ცეკვავენ... თუ ნევროზი აწუხებთ, თუ... ესენი საშიში ადამიანები არიან. ცეკვავენ და მღერიან! ცანცარებენ, ციმციმებენ! მაგიდაზე ლაქებიანი ვაშლია. რა ჰქვია, მთელმა სოფელმა არ იცის! ერთობაა სოფელში, მაგრამ არ იციან, რა ჰქვია ამ ვაშლს! გემრიელია, მომჟავოა, დიაბეტით დაავადებულთათვის სასარგებლოცაა და სასარგებლოც!.. ციმციმებენ! ცანცარებენ! ცმუკავენ! მაშასადამე, კიდეც ჯაყჯაყებენ! საშიშები არიან! გოგოები იღიმებიან, ბიჭები იგრიხებიან, ოღონდ არ ცეკვავენ! რატომ მღერიან? იმიტომ რომ, ემღერებათ თუ მუშაობენ? ხელფასი აუცილებელია! ამ სიმღერებით პოეტებიც ფულს იღებენ! მათაც მიუძღვით ღვაწლი სიმღერაში! ძახილი ხომ არ მოგვეძალა? ძახილი არა და, ძახილის ნიშანი კი... ხომ არ აგვეკვიატა? რა ჰქვია? აკვიატების სინდრომია? ჯამაგირში არიან, არის გადარიცხვა, არის სათანადო დოკუმენტაცია. კვლავ გაიძახიან! ბავშვობას ნატრობენ ხმამაღლა, ტირიან სინანულის გამო, გვეშინია, მაგრამ მაინც გვინდა, მაინც გვიყვარსო. მისტირიან, აგონდებათ, იგონებენ: ვარსკვლავები ცვივა, როგორც ფოთლები, ესობა ეკლებივით და ასე შემდეგ. ეს ლექსია! რატომ არ მოუმატეს ფასი კალამს? ამჟამად კალმის ფასი ოცდაათი კაპიკიდან შვიდ მანეთამდე მერყეობს (არის ოქროს კალმებიც, მაგრამ ისინი არ გვაინტერესებს). თქვე დალოცვილებო, ადექით, ავდგეთ და გავაძვიროთ! რამდენით? ვასკვნი: კალამი ერთი, საკანცელარიო, ფერადი თუ უფერადო უნდა ღირდეს ათასი ან ორი ათასი მანეთი. თუ ღრმად ჩავუფიქრდებით, აუცილებელიცაა ამგვარი ღონისძიების გატარება! ქაღალდის ათი ფურცელი ასი მანეთი. კალამი ერთი — 2000 მანეთია. მუსიკოსები კი უკრავენ. იქნებ სწამთ, რომ ვერავინ გააძვირებს კალამსა და ქაღალდს? უკრავენ! ესე იგი, შრომობენ! ჯამაგირის აუცილებლობა უფართოესია! განა ყოველივე არ ემსახურება მშრომელთა, ოდნავ დაღლილ მშრომელთა, დასვენებას? კვირაა და ტელევიზიის მუშაკები ყოველივეს ცდილობენ. ხელფასი მათაც აქვთ, იქნებ არც ჰყოფნით, მაგრამ მაინც ცდილობენ, როგორმე ააფრინონ მშრომელი კაცი ღრუბლებს აღმა. რა ადვილია სიმღერა და კიდევ აფართფატება! მსოფლიო დანაშაულობანში ამგვარი გულუბრყვილო სიმღერათა თუ ტექსტთა ავტორები, თვით მომღერლები, ოპერატორები, მემონტაჟეები, რედაქტორები და... თვით მაყურებელ-მსმენელნიც უდიდეს მონაწილეობას ღებულობენ... ეკრანი ციმციმებს. მოჩანს: მზე ცალთვალაა; ბალახიდან უცბად ამოხტებიან მომღერლები; რიგრიგობით ამოდიან, ხტიან: ჯერ ერთი, მერე ორი.. ხმებია! ორი, სამი ხმაა! პირველიცაა, მეორეცაა მესამეცაა და.. სხვა მიმართულებაცაა. აცილებაა, გვერდის ავლაა, მოტყუებაა! ჩვენ ენას ვერავინ მოგვტეხს! ჩვენ ენა!.. ყოველთვის თქმა განა სირცხვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არ არის? ახლა ხომ მეოცე საუკუნის მიწურულია? მართლაც სირცხვილია... ირგვლივ სიწყნარეა. ვფცქვნი ვაშლს და სულ რამდენიმე წამში იქნებ ელექტრონიც გამორთონ. იქნებ ქარი ამოვარდეს და ღვარცოფებმა ამოგვახრჩოს! რა გამღერებთ? ვითომ კომპოზიტორები ხართ? იყო შეძახილი: შე ჩემის კომპოზიტორო! ამგვარი კითხვა-მოძახილი უმართებულოდ გამაღიზიანებელია... სიბერისა კი მაინც ეშინიათ. გული გრძნობის ორგანო ჰგონიათ პოეტებს, მომღერლებს, დამკვრელებს, მწველავებს, მეღორეებს, პარიკმახერებს, მერგოლურებს, მეფოლადეებს... ადამიანს აქვს ძვლები. ადამიანის ხორცი ჩონჩხზეა აკრული. ნახატებიც არის! პირამიდებსაც აგებდნენ... ყოველივეს იყენებდნენ. ყოველივე გამიზნულია და ამიტომ დოცენტი ტელევიზორის ეკრანიდან მასწავლის ენას, რომელიც ჩინებულად ვიცი. ყოველივე ტრიალებს. ტრიალებს სისულელეც! ისიც განსაზღვრულ ბრუნვაშია... ამღვრევენ უწმინდეს ნაკადულებს და განზომილება არეულია. მეჩიჩინებიან, რომ იმედი ღვივის, იმედი მეფობს, იმედია ყველგან, ბოლოსა და ბოლოს: იმედი არსებობს, მაგრამ გაცრუებაც იქვეა... როცა ადამიანი ხმამაღლა საუბრობს, ფიქრობს თუ არა? ვინც საკუთარ დაწერილს კითხულობს, უნიჭოაო, — ხითხითებენ აქა-იქა. თუ ზეპირად უბნობ — ნიჭიერი ყოფილხარ... შემოდგომაა და ვაშლი კვლავ მოჩანს მაგიდაზე. თუმცა მაგიდაზე ვაშლი გაზაფხულობითაცაა, ზაფხულობითაცაა, ზამთრობითაცაა. მოშავო, ჭუჭყის მსგავსი ლაქები აყრია; მხატვარმა ოდესღაც დახატა, ახლა ის მხატვარი მკვდარია და დაკრძალული. იქნებ აკრძალულიცაა? იგონებენ როცა სჭირდებათ. მოგონებას მუდამ ახლავს მუსიკა, მსჯელობა, საუბარი, განსჯა, კომენტარი, სევდა, სიხარული, აღტაცება, აღმაფრენა და ციმციმი, ცანცარი, ცურცუკი, ცუნდრუკი,

ყოველივე ეს კი ღონისძიებაა. სამსახურია, ხელფასია, გეგმაა, ვალდებულებაა და შემხვედრი გეგმაცაა... კარაქი, შაქარი, ლიმონათი, მარილი, საპონი ოჯახისათვის აუცილებელია. ვითომ ნივთებია? თუ შენივთებაა? შენივთებაა ამბავთა, რომლებითაც ტვინი უნდა ამიმღვრიონ, ამითქვიფონ და ერბოკვერცხი მოიწვან... ძაღლი მიახლოვდება. ვუყვარვარ. ვუფერებ და უხარია. მისი სიხარული იმდენად განსხვავდება საეკრანო, სატელევიზიო სიხარულისაგან, რომ მზად ვარ გამოვიტირო კაცობრიობის მთლიანი არსებობა: სისულელით სავსე საუკუნეები, წლები, თვეები, დღეები, წუთები, წამები და კიდევ უმცირესი, უსახელო განზომილებები. ძაღლს ჩემი ესმის. მას ესმის, მე არ მესმის. რატომა ვარ ამ ძაღლთან ერთად დედამიწაზე? ვერასოდეს მეცოდინება... არადა, მღერიან უსასრულოდ! ცეკვავენ უსასრულოდ! ხელოსნები შრომობენ გადამეტებით და უფროობითი სიხარულებით! სასაკლაოები მუშაობენ შეუფერხებლად... რა ლამაზი გოგონაა. გარეგნობითაა გოგონა ლამაზი. ისიც მღერის. პეპელასავით ამსუბუქებას ცდილობს, მაგრამ ფუჭად. იგი ვერასოდეს იქნება პეპელა; ნაზად დააბიჯებს, ნაზად დასრიალებს, კეკლუცობს. ვისი თვალებით ვუცქერ? ორი ფოსო, ერთი ხაზი, ორი ნახვრეტი ხაზის ბოლოში ამოკუჭული ნაბორცვი და ჩაწიკწიკებული, საკმაოდ სახიფათო კბილები. კბილებია ნიანგის პირში; კბილებია ზვიგენის პირში; კბილებია მგლის პირში. კბილებია გოგონას პირში! კბილოსნები ყველა მტაცებელია? ჩვენ ამგვარი გამოთქმა არ გვეკადრება, თუმც კბილები გვაქვს. ვიცით მათი რაოდენობა; ვიცით მათი ტკივილი; ვიცით მათი ხმარება; ვიცით, რომ მოხარშული სჯობს უმს. რატომ არ მივირთმევთ უმ ხორცს? კულტურის გამო? აჰა! დაღეჭვა უფრო ადვილია... რისი? მოხარშული ხორცისა. წინათ ეს არ ვიცოდით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე დაიხვეწა... ნარნარა გოგონას კბილები მოუჩანს. რა შეიძლება ვთქვათ კბილების შესახებ? მაგალითად: კბილები თეთრად უქათქათებს და მძივებს მიუგავს და თვითონვეა მძივი! ქებათა ქება! კითხვა: კბილების დანიშნულება ხომ არ გავიწყდებათ? შედარება მართლაც ჩვენი მოგონილია; ჩვენი სურვილია... კბილები რისთვისაცაა, ყველამ ვიცით; აგერ ბოჩოლა, აგერ თიკანი. აგერ ბატი, აგერ გოჭი, აგერ ზაქი, აგერ ქათამი, აგერ შველი, აგერ ბელი, აგერ ბეჰემოთი, აგერ სპილო, აგერ ვეფხვი, ლომი, თევზი, ნიანგი, ვეშაპი... აი, ამ გოგონას კბილებს ყოველი ამათგანის დაქუცმაცება ძალუძს. რამდენჯერ გაოცებულხართ: მაინც რა ძალაა ყბებში და კბილებშიო. ახლა, ამ წამს დაამთავრებს სიმღერას და... ინდაურისგან ძვლებიც არ დარჩება. მანამ კი იცინიან... თან როგორ იცინიან. თან რამდენს იცინიან! სიცილი ჯანმრთელობის წყაროაო და იცინიან, იცინიან, იღიმებიან. სპეციალისტები ურჩევენ: ოცდაერთი წამით გაიცინეთ მუდამდღე და ინფარქტი არასოდეს დაგემართებათო. რატომ იცინის ადამიანი? ახსნა: ჩინებული ხასიათის გამო იცინის ადამიანი. ბიჭმა რომ გოგოს ფეხზე ფეხი დაადგა და ორთავემ გულიანად იცინეს ოცი წუთი? გოგონას ფეხსაცმელი გასძვრა, აუჰ, რამდენი იცინეს გოგო-ბიჭებმა, იუმორია? სხვებიც იღიმებიან... არის ხარხარი! რამდენნაირია სიცილი? იუმორი აცინებთ? უცბად ჩაარტყეს ვიღაცას მოსვლეპილ თავში (ან თავზე), ირგვლივ იცინიან. შარვალი ჩასძვრა ვიღაცას, — იცინიან. იყიდეს ხაჭაპური, სამში ერთმა ჩანგალზე უარი თქვა, თითებით გაგლიჯა, ხელით შეუდგა ჭამას, — იცინიან, ხარხარებენ, კისკისებენ... დასკვნა უცაბედი: ადამიანმა არასოდეს იცოდა, რატომ იცინოდა და ვერასოდეს ვერ გაიგებს, რა არის სიცილი და მართლაც არსებობს თუ არა... სიცილი. ადამიანის გარდა, სხვა ვინ იცინის დედამიწაზე? კაცი რომ კარგად დაუკვირდეს — კბილები მართლაც საშუალებაა. ჩინებულია, რომ მოფერება ვიცით. მოსაფერებელს რა გამოლევს? მოედინება კითხვის ნიშნების ღვართქაფი... მოფერება, ალერსი... საიდუმლო გრძნობებია. გოჭი, — სახელად ჰყვირო, უყვართ გაგიჟებით. გაზრდილ ჰყვიროს, ღორად ქცეულ ჰყვიროს კი ან გიორგობას გამოუსვამენ დანას, ანდა საახალწლოდ: არც ძველი ახალი წელიწადია ჰყვიროსთვის მთლად ადვილი გადასალახავი... და, ჰყვირის გოჭი — სახელად ჰყვირო, უკანასკნელად. ღორის მწვადთან, გენაცვალოთ ჩვენი თავი, ვერაფერი მოვა ესეც თქვენი ჰყვირო ანდა აწ უკვე განვლილი, მყოფადი და წარსული ალერსი საყვარელ ცხოველთა მიმართ... ვის ატყუებენ? ვითომ ყოველი დანარჩენი არცოდნაშია? არცოდნა სივრცისეულია და თვითონ ძევს სივრცეში, როგორც სივრცე... ვიმარჯვებთ ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით მცენარეებზე, რომელნიც ერთ ადგილზე დგანან, არ მიდი-მოდიან, არ იკრიბებიან, თათბირებს არ იწვევენ და არც რაიმე შეთქმულებას აწყობენ. ამგვარი სიყვარულის, პატივისცემის უფლებას კანონიც ვერ აგვიკრძალავს. ის კი არა და, ჩვენ თვითონ შევქმნით ნებისმიერ მომენტზე, მომენტში, მომენტის გამო, მომენტის შესახებ კანონებს! კანონი!.. ვაშლი მაიძულებს ვიფიქრო მომავალ გაზაფხულზე. მხოლოდ და კვლავ მომავალ გაზაფხულზე. მოჭენაობს პრიმიტიული, მაგრამ საბედისწერო კითხვა: რამდენი გაზაფხული დამრჩა, (დაგვრჩა?) არც ამგვარი კითხვაა უკანონო და ხალხიც (იქნებ ხალხებიც?!) კი ფიქრობს (ფიქრობენ) ამის შესახებ. ცხენი კი დაჭედილია, დანალულია და მიჭრის. ვინ არის ცხენი? (გრამატიკოსი იბოღმება, რადგან „რა არის ცხენი" უნდა მეთქვა. არაფერია... დაე, დაიბოღმოს). ცხენი, ჩემო გრამატიკავ, გახლავთ ცხოველი. იგი სულიერი ცხოველი და მე ნაცვალსახელ „ვინ"-ს ვიხმარ მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ. ისე კი, თვით გრამატიკაც სახმარადაა და ვხმარობთ. ვიყენებთ და ვხმარობთ და ვხმარობთ უსასრულოდ... ცხენი რომ ცხოველია, ცნობილია, მაგრამ... აჰა! რა ვიგულისხმეთ ცხენში? არაფერიც, არავინაც არ მიგულისხმებია! წარმოვიდგინე ცხენთა რემა, რომელიც ტრამალებში მიილტვის უსასრულოდ. აუცილებლად გინახავთ კინოფილმი, ბალახოვან მდელოებზე ცხენი რომ გარბის. ბევრია ბალახი, სქლადაა ბალახი, რბილია ბალახი, მაგრამ ეკრანიდან, უფრო სწორად, რადიოდან, ფლოქვთა ხმა მოგვესმის თითქოსდა ასფალტზე მიჭენაობენო. ამგვარი ტყუილი ცნობილია, გავრცელებულია და ვუწოდოთ მას ეგრეთ წოდებული დასაშვები სიცრუე. ეს სიცრუე რეჟისორმაც იცის, მაყურებელმაც იცის, მაგრამ სიცრუედ არ არის მიჩნეული და ამიტომაც დასაშვები, სანუკვარი და აუცილებელი სიცრუეცაა. კიდევაა მაგალითი? აჰა მაგალითი: ეკრანზეა კინოფილმი. კინოფილმში ვილაცაა და მღერის. ირგვლივ უღრანი ტყეა, ირგვლივ არავინაა, მაგრამ... ჯერ შორიდან მოისმის ხმადაბალი მუსიკა, მერე ძლიერდება (გვაბარებენ დასაშვებ სიცრუეს). ყურებში გვიუღერს, გვიგრიალებს ისე ხმამაღლა, რომ ყალყზე შედგები, მერე კი ყოველ მიზეზს გარეშე იცეკვებ... კვლავ ცეკვა... კვლავ კინტოური... კვლავ გასტროლები... საშიში ჩრდილები... მასიური გაფიცვაა. როცა სტადიონზე ოთხმოცი ათასი კაცი და ქალი ცეკვავს ეს საშინელი ძალაა და გაფიცვაცაა იმათდამი, ვინც ამ დროს არ ცეკვავს... ენერგია, რომელიც ადამიანს უგროვდება, ძნელი დასახარჯია, ენერგიის განაწილებაც უგრაფიკოდაა. მაგალითად: როცა ქალია, — ენერგია აღარაა; როცა ენერგიაა, — ქალი აღარაა და ასე შემდეგ. ეს უძველესი ჭეშმარიტება და მარადიული სინამდვილეა. აბა, მოვიგონოთ, როგორ და საიდან ჩაიცვა ადამიანმა? სხეულის რომელი ნაწილი დაიფარა? ეს ვიცით. რადგან ვიცით. — სჯობს გავჩერდეთ, მაგრამ ქოჩორი და ბალანი რომ არსებობს? სილამაზის სალონებში მუდამ ხალხმრავლობაა. საითაა გზა და გეზი? უხილავად დადგინდა: მილიონიდან მხოლოდ რამდენიმე კაცმა იფიქროს, დანარჩენებმა კი იცეკვონ, იმღერონ, დრო ატარონ და იკითხონ... ის იკითხონ, რასაც მილიონებიდან გამორჩეული ადამიანები წერენ. თუ ნამუსი არსებობს სივრცეში, მით უმეტეს დედამიწაზე, მაშინ სად არის იგი? ნამუსი, ჩემო და ჩვენო ბატონებო, გზაშია, ჰაერშია, ცაშია, მის მიდამოებშია და მიღმიეთის გაღმიეთშია! აი, ეს გახლავთ ჯანსაღი იუმორი და აბა ერთად, ერთად, ჩემო მეგობრებო! გავიცინოთ, ვიხარხაროთ! ღიდებულია სიცილი! ადამიანის მრწამსი, მიზანი, დანიშნულება ნუთუ აღარ არის ფიქრი?! ეს რა იყო? ვითომ შევძახეთ? ვხედავ ღიმილს სახეებზე. როგორია ეს ღიმილი? რა თქმა უნდა, — დასაჩეჩქვია ეს ღიმილი, ღიმილიანი სახეებია. რაზე და რატომ იღიმებიან? აუჰ! კედლიდან ტაშტი ჩამოვარდნილა! უფრო რა უყვართ მოღიმარეების უმრავლესობაზე მეტთ („მეტთ" მეტად ორიგინალური სიტყვა, ფორმა, და... გრამატიკოსი... კანონებით, წესებით შეიარაღებული გრამატიკოსი საკამათო მანტიაშია!)? შეძახილი წინათ გამოსაფხიზლებლად იყო... ახლა კი ყოველივე მოძახილზეა! სხვები იწყებენ სიმღერას, ჩვენ ტაშით, ფანდურით, სალამურით, ჭიბონით, საზანდარით, კლარნეტით, დოლ-გარმონით, ლილინით, ბანით მოვძახებთ ხოლმე. რა სჯობს ამას? სიმღერაში გვეთვლება და მომღერლებად ვითვლებით. მუდამ თანახმანი ვართ მოძახილზე. სიმღერა ცოტამ იცის, მოძახილი კი მრავალმა. რა გვერჩივნოს?.. კისერი ჩაგვილუნეს? თუ ჩვენ ჩავლუნეთ? გალიზიანება დავკარგეთ. ვართ ასე — გალიზიანების გარეშე. თანახმანი ვართ... ვკარგავთ სინამდვილეს — რისთვისაც გაგვაჩინეს და რისთვისაც უნდა ვიცხოვროთ. ყოველივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპარია და აქვე. ზღაპრებთანაა განუყრელი ტრიბუნა. სადაც ტრიბუნაა, იქ ტაშია, ზედ ლავაშია და ჩინოსანი, საპატიო მოქალაქეები როკავენ. ჩინ-მედლებს აჩხრიალებენ. ჯილდოები მოძახილში მიიღეს. მაშ, ისინიც მომღერლები არიან! მაშა, მაშა!.. ისევ როკვა, ისევ ცეკვა. თამაში, სიმღერა, თვალების ბრიალი, ხანჯლის ბზრიალი, გან-დაგანა სადარბაზოში, დოლ-გარმონი, ბანი და ნარნარი სიმღერები. ვგონებ ტირილიანია ეს მღერანი! რა არის და სად არის მთავარი? მთავარი ფიქრია... და იგი ლაჯებშუაა. ისე ღრმადაა, ხელიც აღარ მიგვიწვდება. ბუშტები სავსეა. სადაცაა იჭექებს, შიგ ჩავვისკდება. სიშმორით დაიფარება ის მიდამოები, სადაც გრუხუნა კაშხლებია, ძუნწი წყალსატევებია, გუგუნა შრომითი საქმიანობაა (და არა შრომაა). მოძახილი: ადამიანის დანიშნულება და აზრი არსობისა, — ფიქრია! ამის მიღმა საიდუმლოებაა. ჯერ ვიფიქროთ და მერე ვეზიარებით!!! ვიხმაროთ თუ არა სხვა სასვენი ნიშანი, სახელად ძახილის ნიშანი?! აბა, გამოვთქვათ სიტყვით ძახილის ნიშანი, შევიძლია?! მაშ ასე, ძახილის ნიშანი სიტყვიერად იქნება — ჰუიტ! არ მოსწონთ? ააა, თქვენც არ მოგწონთ? მაშინ, ჯანდაბას, იყოს ჰაიტ! გვემუქრება, თითს გვიქნევს, მაგრამ... ფიქრი ძნელია, ოდნავ ძნელი, ამიტომაც სახიფათოა და თავის გასაწირად ვიღასა სცხელა? რადგან არ სცხელათ და არც სცალიათ, ამიტომ დროს ატარებენ: ცეკვავენ, მღერიან, კონცერტებს მართავენ, ლხინობენ, უკრავენ, ჩხუბობენ, ყიდულობენ, ყიდიან, ცვლიან, აგროვებენ... ირგვლივ კორიანტელია ფიქრის საწინააღმდეგო: არ იფიქროთ! ოღონდ არ იფიქროთ! ოღონდ არ მოიფიქროთ! ჰაიტ!!! ჰაიტ!!! ჰუიტ!!! რა რჩება? კვლავ: საჭიროა გაქცევა. გეზი ვიცი. გეზი არის, ოღონდაც — არ არის გზა... სულაც არ ვფიქრობ, რომ გამქცევი ადამიანები მომრავლდებიან და თვინიერნი ამოწყდებიან. ერთადერთი საშიშროება მუდამაა. სადაა? დედამიწაზე, ანუ სამყაროზე. ვინ უხმობს ამას? რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენვე. რასაც გვინდა, იმას ვშვრებით! ჰაიტ! ჰუიტ! ვინ უხმობს? რას უხმობენ? ამაზე ოდესმე... ახლა კი ვიღაც ელზა მარიგებს რომ „ქარხანაში პრინციპების გამოცდა დაიწყო მეათე საამქროში", თან, აქვე ამავ დროს, ბაზარი ედარდებათ. ბაზარში ფასებმა აიწიათ. მართალია, ჩვენ პირწმინდად არ ვართ დოყლაპიები, მაგრამ უდიდესი მიდრეკილება კი გაგვაჩნია. ბაზარში ქლიავი ან კიტრი ღირს ათი მანეთი. ეს ძვირია! ჰაიტ! ჰუიტ! ეს ძვირია! ეს უძვირესია! უკიტროდ ცხოვრება შეიძლება სამ თვემდე (ან მეტი, ან ნაკლები, ანდა უამისოდ!), უქლიავოდ კი ოც დღემდე (ანდა უამისოდ!), რა მოხდება, აზუზუნებულმა ხალხმა რომ სულ რაღაც ერთი თვით არ იყიდოს ქლიავი და კიტრი? ამ კითხვას თვითონვე გასცენ პასუხი. ფიქრი მეზიზღება ამის შესახებ, მთავარია, საერთოდ ფიქრი, როგორც ასეთი, არ გეზიზღებოდეს, თორემ ადამიანი... მართლაც რა ამაყად ჟღერს ხოლმე ხანდახან!.. და ვინც უკიტროდ, უქლიავოდ ერთი თვით ცხოვრებას შეელევა, ის მოაწესრიგებს ბაზრის ფასებს, მაგრამ... „შური არს"... და ასე შემდეგ. როდემდე? არყოფნის აუცილებელ და დადგენილ მიჯნამდე! არყოფნა გარდაუვალია. არყოფნა გარდაუვლობაა. ძველი ეგვიპტელების ლირიკა იგივეა, რაც დღევანდელი, გუშინდელ და ხვალინდელი. ნაღდი ლირიკაა: ქალის სხეული, ცეკვა, სიმღერა, ბარძაყები, თეძოები, სხეულის თამაში, სიყვარული, ღალატი, მხურვალე ღამეები, სისხლისფერი ვნება, დაბურცული, თაფლის სურნელოვანი ტუჩები, მძივებივით კბილები, მთვარიანი ღამე, საამო ჩრდილნი, მოლაპლაპე მდინარე, ხე, ლეღვი, ჩიტი, ტყლაპი და აუჰ! ვგონებ გავუტიეთ, მაგრამ ასე რომ გვიყვარს გატევა? გვასწავლეს და... არყოფნა მართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც გარდაუვალია. რატომ? იმიტომ, რომ... ვითომ რაიმე იცვლება? არყოფნა გარდაუვლობაა! თუმც, ამ დროს, მისი განზომილება (არყოფნის განზომილება) ჩვენი შემეცნების მიღმაა. დრო, სივრცე ფარდობითობა (მათიც, სხვებისაც) ის სათამაშოებია, ჩვილ ბავშვს რომ ართობენ და რითაც კაცობრიობა მუდამ ჭაბუკად, ყმაწვილად გრძნობს თავს. კითხვა: დარდობს ვინმე შვილების მომავალი სიბერისა და სიკვდილის შესახებ? ირონიული ფიქრი: მიწაზე დაგდებული, ამოგანგლული საპონი როგორღა დაიცავს ჩვენს პირად ჰიგიენას?.. (სიტყვა „პირადი" მუდამ ღიმილს იწვევს, ისევე როგორც უცბად დავარდნილი კლოუნი ცირკში) ეს დედა კატა, რომელსაც კნუტები ჰყავს, მოსაკლავია — დაყარა და მიატოვა. დაყარა და დაყარა. ღვთის ანაბარად თუ მიატოვა, მაშინ რაღა უჭირთ. ღვთის ანაბარად თუ მიატოვა, მაშინ კატას იმაზე მეტი სცოდნია, ვიდრე მე ვიცი ამისი და საკატეთის შესახებ. ამიტომ, მოსაკლავი დედა კატის მოკვლის უფლება არც მე გამაჩნია და არც თქვენ. კნუტები კი რამდენიმე დღეა საბრალოდ კნავიან. დედაჩემი უვლის. დედაც ღვთის ანაბარადაა. სად და ვინ არის ის ღვთაება, ვის ანაბრადაც ამდენი რამე და ვინმეა მიგდებული? ეს ადამიანურ საიდუმლოებას განეკუთვნება... სექტემბერია. იგი ფიქრის თვეა თუ თქვენ ფიქრობთ. სხვაგან და სხვებისთვის რისი თვეა, ეს საკითხი არასოდეს დამაინტერესებს. ახლანდელი ოთხი სექტემბერი ფიქრის დღეა, სურვილი ჟიჟმატობს ოდნავი. იგი გამქცევისაა. გამქცევისაა არა საითკენმე, არამედ უკან — ჯერ ბავშვობისაკენ, მერე ბავშვობის წინანდელ უგონო ყოფნისაკენ, მერე კვლავ უსახური ყოფიერებისაკენ და ბოლოს აღსავლის, მოძრაობის, ჩემი საკუთარი სისხლის მოძრაობის ათვლის წერტილისაკენ... იქ ვმთავრდები თუ არა? ვმთავრდები თუ არა? ვმთავრდები თუ არა?.. თუ დასაწყისია... დამთავრებაცაა? უკუღმართი ცდა გაქცევისა და უკუღმართი გაქცევის ცდა ამაოა... სხვა საქმეების მოსაგვარებლად მიბიძგებს. მიშველის სპექტაკლი? მაინც, რომელი სპექტაკლი? თუნდაც,

ჩემი ნაცნობის მიერ შეთხზული პიესის მიხედვით დადგმული... არა! ვერ მიშველის. სადაა საშველი? ვიცი, მაგრამ ხმამაღლა თქმა არ შეიძლება. სხვებისთვის არცაა საინტერესო. საინტერესო სხვა რამეა: ვის ნაოფლარს მიირთმევდნენ პოლიტიკური მოღვაწენი? დარბაზობა მოდაშია. ცეკვა „სადარბაზოს" უცქერენ, ტკბებიან, ტაშს უკრავენ, იღიმებიან... უცაბედი განცხადება ტელევიზორიდან: „სამყაროს პირველი, ულამაზესი ლედის კონკურსი გაიმართება მექსიკაში, ქალაქ..." რატომ და რისთვის? ვითომ არავინ იცის? ის „არავინ" კი სულიერია; სახელი ჰქვია ამგვარი — არავინ. ფილოსოფიის ლედელუდეებში ფეხს ვერავინ წამაცდენინებს... დედა კატამ პურის ნაჭერი მოიტაცა. იქნებ რძე გაუშრა უბედურს და ამიტომ გაურბის შვილებს? მე კი... თურმე, დედა კატას თავის დარდი ჰქონია და არც მოსაკლავი ყოფილა. ვინ იწყებს ომს? ერთდროულად ყველამ იცის და... ერთდროულადვე უსასრულოდ არავინაც არაფერი იცის. უმრავლესობას ჰგონია, რომ ომს უმცირესობა იწყებს... უმცირესობის აზრი კი საპირისპიროა — ომი უმრავლესობის დაუცხრომელი მოთხოვნილებააო. ერთი მართლაც საგულისხმოა: ომში ყველა მონაწილეობს, ყველა, ანუ უმრავლესობა, იარაღს აჟღარუნებს. ასეთ დროს მუდამაა უკმაყოფილება. ტირიან თუ არა უკმაყოფილოები მოცარტისა და ვივალდის ნაწარმოებთა მოსმენისას? იქნებ ბავშვთა განადგურების დაუოკებელი სურვილი თანგავთ? არსებობს თანასკოლელი, რომელიც მეგობრად მთვლის. სურს იყოს ჩემი მეგობარი, მაგრამ მუდამ წინააღმდეგობაშია: უჩემობას ვერ იტანს, არადა, მუდამ ვაღიზიანებ; ორჭოფობს და ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის მზადაა საომრად. დადგებოდა თუ არა მისგან პოლიტიკური მოღვაწე, სათანადო სწავლა, ცოდნა, განათლება რომ მიეღო? რადგან იმ კაცის ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა, რჩება ერთადერთი — დრო ატაროს. როგორ იწერება „დროსტარება“, ერთად თუ ცალ-ცალკე? ვიცქირები ლექსიკონში და ვსწავლობ: „დროსტარება“ ერთი სიტყვაა... უხარიათ, რომ დროს ატარებენ. რითი? ამას არასოდეს ფიქრობენ. გადავუწყვიტოთ ერთადერთი იმედი დროის მატარებლებს? ვიყოთ მკაცრნი მოქეიფეებისადმი? არა და ვერა! ავდგეთ და უბრალოდ ვთქვათ: დროს ვერასოდეს გაატარებ, დროს ვერსად წაიღებ, ვერ შეინახავ, ვერ დაამწნილებ, დროს ვერასოდეს შეეხები... შენთვის იგი არ არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ დრო საათი გგონია. ანდა, საათში გგონია რაიმეა ჩადებული... არც საათში, არც მიწაში, არც ჰაერში, არც ცის იქითა სკნელებში დრო არ არის... აღშფოთება სენია; იგი აავადებს ადამიანს. ამიტომ, საჭიროა სიმშვიდე და ბედისადმი, ბედისადმი შერიგების სურვილი. ამას მოგვიწოდებენ კონცერტები, შეკრებები, თათბირები, ეკრანები, ფურცლები, ყოველნაირი და ნაირ-ნაირი ქაღალდები... ზიზღი ამა თუ იმ გარემოსადმი და გარემოებისადმი თვითონვე წარმოიშვება; თუ თქვენ დაიბოღმეთ, ხომ შეიძლება, იდარდოთ (ცინიკურად, იდარდოთ) ბეღურების, მტრედების, ძროხების, თხების, ლომების, ვეშაპების ექსკრემენტებზე, რასაც საჭიროებისამებრ, გაცილებით დიდი მასშტაბებისა და გრანდიოზული საკანალიზაციო სისტემა დასჭირდებოდა... ხსენებული სისტემა ძალზედ აფერხებს ჩვენს ცხოვრებას; კანალიზაციის არსებობა ჩვენი არასრულფასოვნების შედეგია... კვლავ აღშფოთება, აღგზნება, რისხვა. ყოველი მათგანი სენია, სიავადეა, ჯანდაბა და დოზანაა; ჩვენ კი საამისოდ და საწინააღმდეგოდ გაგვაჩნია საპლაკატო, სალოზუნგო სისტემა: მედგრად ვებრძოლოთ ყოველგვარ აღშფოთებას, მუქთახორობას, სამუშაოს გამცდენებს, ალიმენტის ურჩ გადამხდელებს! მაშასადამე, ჰაიტ! მობილიზება ჩავატაროთ რისხვის წინააღმდეგ! და ასე შემდეგ. გააჩნია თუ არა ღიმილს ხმა? არის თუ არა ღიმილი ქირქილი? არის თუ არა ღიმილი ხითხითი? გამქცევი კაცი, გაქცევის მოსურნე კაცი, რაღაზე არ ფიქრობს: მით უმეტეს, როცა გარბიხარ არსაით. მთელი დედამიწის მოსახლეობაში ნაღდად არსებობს კაცი, რომელიც ამ წუთში დარწმუნებულია: თითოეული ადამიანი მუდამ მზადაა თავდასხმისათვის და წინააღმდეგია ყოველი ადამიანისა. ეს გახლავთ ერთადერთი ადამიანის ნაფიქრი. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანებს არასოდეს შეეძლოთ ურთიერთშეთანხმება? კითხვაცაა, პასუხიცაა და კიდევ რაღაცაა... ურთიერთშეუთანხმებლობამ ხომ სიბრიყვის გზით ატარა ადამიანი; სიბრიყვის ცათამბჯენებიააგებინა კაცთა ცალკეულ დაჯგუფებებს: შეუთანხმებლობის გამო მუდამ გვიჭირს. მუდამაა ჭირი, ავადმყოფობა, სისხლის ღვრა, სიძვირე, შიმშილი და გამრავლება. ცნება და, რაღა თქმა უნდა, სიტყვა „უცნაური“ შემოქმედი ადამიანების მოგონილია, ყველაფერში ვენდოთ თუ არა შემოქმედებს, ეს საკითხი თითოეულმა ინდივიდუალურად გადაწყვიტოს. ფიქრმა არ იცის სწორხაზოვნება; ჩემმა ფიქრმა, რა თქმა უნდა... ამიტომ, ვფიქრობ მონებზე და მონობაზე. წარმოდგენა უბრალოა; ნახატი ფერადია; არის სიშიშვლე და არის მრისხანება; რაც მასწავლეს, იმაზე ჭარბადაა. ყველაზე დიდი პროტესტი რით შეიძლება გამოხატოს ადამიანმა? მსოფლიო პროტესტი... უფრო ზუსტი: დედამიწის მაცხოვრებელთა პროტესტი; უზუსტესი: ადამიანთა ერთობლივი პროტესტი. იგი არსებობს, მაგრამ შეუთანხმებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად... კვლავ შეთანხმება. ქაოსი და განუკითხაობა. დათესილი მხოლოდ იმ ქვეყანაზე, რომელსაც ჩვენ ვხედავთ. მაშასადამე, საჭიროა, აუცილებელია და... ამის შესახებ არასოდეს დარდობენ სილამაზის სალონში მოსიარულე, კეკლუცი ქალბატონები და... ვაჟბატონები... ერთობლიობა გვაკლია. როგორ? რა? რანაირად? ძალზე უბრალოდ: ერთ საათს, დღეს, თვეს და მერე კი წლიდან წლამდე გამოვაცხადოთ უშობადობა. უფრო უბრალოდ: შვილებს ნუღარ გავაჩენთ. დავრჩეთ ისინი, ვინც ვართ, ხომ არ ვიცით საიდან მოვედით? არ ვიცით! საით მივდივართ? ვითომ ვიცით და არ ვიცით... ესე იგი, ბევრი რამ არ ვიცით, ცოტაოდენი ვიცით. სხვაგან პირიქითაა. გამრავლებაში საიდუმლოებაა. მისი შეჩერება უმაღლესის ყურადღებას მიიპყრობს აუცილებლად. სამწუხარ-საბედნიეროდ, ჩვენ ეს არ ძალგვიძს, რადგან შიშველი ქალის ხილვაზე მამაკაცები ვდორბლიანდებით, ლტოლვის ჟინით ვხურვართ და მზად ვართ ყოველგვარი იერიშისათვის... ამიტომ და სხვა ხილული თუ ვერხილული მიზეზების გამო, ერთადერთ ხსნად რჩება გაქცევა. გაქცევა კი არა, უფრო მისი სურვილი; — გაქცევის სურვილი... გაქცევა კი, შეუძლებელია; წრე ჩაკეტილია; მარყუჟგამონასკვილია მამაპაპურად... არ გავმრავლდეთო ჯერჯერობით, ჯერჯერობით ვერავინ იქადაგებს. მრავალი რამ იქადაგეს, ეს კი ვერაფრის დიდებით. რომ ექადაგათ, მაშინ ადამიანები შეძლებდნენ ცხოვრების მოწესრიგებას. მოწესრიგებული ცხოვრება კი, ჩემო ძმებო, დებო, ამხანაგებო, მეგობრებო, ნათესავებო და კიდევ სხვებო — სხვანო... მოწესრიგებული ცხოვრება კი... მოწესრიგებული ცხოვრება კი, არ ეპრიანებათ... ვის? აბა, გამოიცანით? ვერ გამოიცანით? მოწესრიგებული ცხოვრება არ ეპიტნავება უმცირესობას...

მართლაც, საშინელი ჩამორჩენაა. წარმოიდგინეთ ტვინისმიერი წინსვლა. წარმოიდგინეთ ტვინ-გონებრივი ცივილიზაცია. აზრი პროგრესულია; ფიზიკური ყოფიერება კი აზიურია, ჩამორჩენილია, ოდნავ მობინძური და მოსპობადია. მადლობა მზეს, ჰაერს, სივრცეს, ღმერთს და ამათ პატრონს, რომ სიცოცხლე შედგენილია და არა ცალმხრივი. კიდევ კარგი, მხოლოდ ჭურჭელი არ არსებობს. ნაძვის ხეა ბუნება? სათამაშო ნაძვის ხეა ბუნება? ყვავილები, გაზაფხული, ხეები, კვირტები, სიხარული, ცეკვა, სიმღერა, აღგზნება, მოწოდება, გადაძახილი, აღფრთოვანება, ხიბლი ჩამოკონწიალებულა... ყოველივე ერთად კი ყურადღების მიმოფანტვის უბრწყინვალესი საშუალებაა. რომელი ყურადღებისა? იმ ყურადღებისა, თითებზე ჩამოსათვლელ ადამიანებს რომ ძალუძთ ერთად მოაქციონ და მიმართონ საითმე... ვფიქრობ უძველეს ქვეყნებზე; ვფიქრობ წინაპრებზე, ვფიქრობ მონებზე და ფიქრის ირგვლივ მცხუნვარე უდაბნოა. მოედინება ტვინის მდინარეები. — რბილად, სქლად, ბლანტად, მოყვითალოდ მოედინება. ამ მდინარეებს მიაქვთ ყოველი აზრის მიზეზი და კომბინატი, ოდესღაც მოქმედი კომბინატი... ახლა კი გარდაცვლილი, ოღონდ მკვდრად არსებული... ვითომ არაფერი იკარგება დედამიწაზე? არსებობს გალმიური მარადისობა? ვითომ არის რაიმე კანონზომიერება მარადისობაში? ყოველი ჩენილი მოკვდავიცაა იმდენად, რამდენადაც მსოფლიო კანონი ხორბლის მარცვლის სიცოცხლე-არსებობას ექვემდებარება. ერთი მარცვლის სიკვდილი უდრის ოცი-ოცდაათი, ან მეტ, ან ნაკლებ სიცოცხლის აღმოცენებას. და, ჩვენდა (მხოლოდ ჩვენდა) სამწუხაროდ, არც ეს არის მარადისობა. ცნება მარადისობა ჩვენს მიღმა არ არსებობს იმიტომ, რომ ყოველივე ცვალებადია. იქ, სადაც ცვალებადობაა, მხოლოდ ცვალებადობა შეიძლება იყოს მარადიული, მაგრამ თუ ჩვენ არ ვარსებობთ, უჩვენოდ არ არსებობს ეს მსჯელობა ცვალებადობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადისობის შესახებ, რადგან მსჯელობა მარადისობაზე ჩვენი შეთხზულია, ჩვენი ნათქვამია, ჩვენი აღძრულია, მაშინ რჩება მხოლოდ ცვალებადობა, მოძრაობა, — რაც ისევ საწყისია მხოლოდ და მხოლოდ კვლავ ცვალებადობისა... მძაფრია გაქცევის სურვილი. გაქცევაც მოძრაობაა... იძულებითი წესით ზიხარ და წერ. ამას უწოდებენ შრომას, მუშაობას. მეზიზღება ჩემი სიბეცე, ჩემი უცოდინარობა, ჩემი ჩამორჩენილობა, მაგრამ... რომ წამიყვანონ, შევძლებ წასვლას? სად? საით? ვისკენ? ამას არ გეტყვიან. რომ გითხრან, ვერც გაიგებ. მხოლოდ შემოგთავაზებენ. ნატვრა და თქმა ადვილია... ამიტომ: გზა სასაფლაოსკენ ხსნილია. არ გსურს ხომ სიკვდილი? მაინც მოკვდები! არ გსურს ქელეხი? გადაგიხდიან! არ გსურს შვილი? გაგაჩენინებენ! არ გსურს ცხოვრება? გაცხოვრებენ! არ გსურს მუშაობა? გამუშავებენ! არ გსურს ბრძოლა? გაბრძოლებენ! ესენი (და სხვა) მოვლენები კანონებს (მიწიერ კანონებს) ექვემდებარება. კანონი, მოვალეობა, კითხვა და პასუხი ცნებებია ცვალებადი (და არა მარადიული). შეხედეთ! შეხედეთ! კვლავ მღერიან! ცეკვავენ! ტაშს უკრავენ! მაშასადამე, მუშაობენ! შრომაა! ფერხულია! პოეტიც მღერის! როცა მომღერალი მღერის (და თან უხარია) და ამაში გასამრჯელოს აძლევენ, განა ეს მუშაობა არ არის? მუშაობისას რაღაცა სარგებლობაა. ირგვება ხეხილი, ვაზი, მარწყვი, ხახვი, ნიორი. მოცეკვავე კი მრგველების და მრწყველების გულში საკუთარი მუშაობით რგავს სიხარულს, აღტყინებას, აღგზნებას, შემართებას, დამაჯერებლობას, თვინიერებას, სიხარულს... აქვეა ლექსი, ფანდური, სტვირი, სალამური, მსოფლიო ჩემპიონატი შაშში, ჭადრაკში, კრივში, ცხენოსნობაში, შტანგის კვრაში და ასე შემდეგ. ყოველივე ერთად აღებული კი სასარგებლო, შემოქმედებითი შრომაა, ოღონდ ვისთვის, ამის შესახებ ზუსტი ცოდნა ყველას არ გააჩნია. შექმნილია სიკმაყოფილის, დაკმაყოფილების, კმაყოფილების უხილავი უნივერსიტეტები. ქსელებია და აბლაბუდებია, მიმოსვლაა და კავშირებია. სიმრავლე და მრავალმხრივობაა. ამიტომ სცენაზე მოქანავე (მოცეკვავე, მომღერალი, მხატვრული კითხვის საერთაშორისო დიდოსტატი და ასე შემდეგ). ადამიანი კმაყოფილია იმით, რომ მას უცქერენ, უსმენენ... არის სხვა, დაუდგენელი, უსახელო მომენტებიც... ხოლო მაყურებელი კმაყოფილია, გახარებულია საკუთარი ყოფნით, ბედნიერებით, აღფრთოვანებულია კულტურულ დონეთა ძიებაზე (დონისძიებაზე) დასწრებით. თან, რა უჭირს, აცვია, ბრწყინავს, პრიალებს. ირგვლივ სინათლეა, ჭაღებია, სინათლეთა თანდათანობით ქრობაა. წინ მანდილოსანია, გვერდით ქალია, უკან გოგონაა, შინ საჭმელია, სასმელია, სასთუმალია, სხეულია, საშოვარიცაა და გამრავლების უსასრულო პერიპეტიებია პერსპექტივებითურთ. უნდა ითქვას: ეს სიკმაყოფილეა! სიკმაყოფილე კი გაზულუქების, სიზანტის, უქნარობის საწყისია, შუა მორევია და, შეძახილზე: „ადამიანებო, ნუთუ თქვენ მეტი არაფერი შეგიძლიათ?" მხოლოდ ერთი წამით შეჩერდებიან, მერე ხელს ჩაიქნევენ... რას იზამ? უნდა გაიქცე! საჭიროა, აუცილებელია გაქცევა, მაგრამ ბაგირი, რომელსაც შენი ადამიანური წარმოშობა ჰქვია, არსად გიშვებს. თანაც ზედ გაქვს გამობმული. ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯი და... დარჩები უერბოკვერცხოდ! სად არის ხსნა? ხსნა აქვეა, შენშია, თავის ქალაშია მაგრამ... ისე, თუ ერთი ან ორი ნერვთა ნასკვი, წნული გადაგეწვა და სხვა, მანამდე ჩამქრალი პაწაწა, ტვინისმიერი ნათურები აგენთო, შეიძლება... იქნებ? ხომ შეიძლება ამის საფუძველზე, ნიადაგზე მარადიულ სიცილ-ხარხარის ტყვეობაში აღმოჩნდე? ისევ ტყვეობა! თუმც, აღარ გექნებათ გაქცევის სურვილი... თუ ქალაქელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანდებით, გაიქეცით სოფლისკენ! თუ სოფლელი ხართ, — გაიქეცით ქალაქისკენ და... ასე და ამგვარად ირბინეთ წინ და უკან. ეს ხომ სულ გაქცევაა? არის სხვა აზრიც: გაიქეცით მინდორში, ტყეში... ირბინეთ ყოველ დილით. რამდენიმე კილომეტრი სასარგებლოცაა. სირბილი ხომ მოძრაობაა? მოძრაობა კი სიცოცხლის და არსებობის დედაა. არის ერთი საბოლოო გამოსავალიც: მშვენივრად, უმტკივნეულოდ გადასვლა არყოფნაში. ეს გაქცევაცაა, დასანანიცაა, გარდაუვალიცაა, მოძრაობაცაა, ცვალებადობაცაა. იმედი კრთის და ნოემბრის სულ ბოლო დღის მზის ულონო, მაგრამ თბილ სხივს წააგავს... წარმოდგენა უბრალოა. ნახატი ფერადია. ვფიქრობ ძველ ქვეყნებზე, წინაპრებზე, მონებზე და ირგვლივ ყოფიერების მცხუნვარე უდაბნოა. აჰა! ყოველივე ბრუნავს. ბორბალი ჩაკეტილია, პროგნოზი კი უიმედო.

## დედაშენი გიმღერის ნანას

ზამთრის შეღამებაა. დედაშენი გიმღერის ნანას. სიმღერა ძველისძველია. ვინ არის ნანა? რა არის ნანა? სად არის ნანა? ნანა შორსაა. ნანა უძველესი საბინადროა. ნანა უწინდელზე ადრინდელი სიკაშკაშეა, რომელიც სულის არფას მარცვლავს. სად არის ხორბალი, — სახელად ნანა? დედაშენთანაა ნანა და გიმღერის ხმადაბლა... დიქტორი მხიარულად მოგვითხრობს ბოსტნეულზე. ძაღლი გულაღმა წევს, — სძინავს. კარადაში წიგნებია. — ჩუმად არიან იმიტომ, რომ არავინ კითხულობს. შენ გძინავს. შენი ძმები შორს არიან. იქ არიან, სადაც ყინულია, სიცივეა. იქ არიან, სადაც არსებობს და უყვართ ყინვათა დღესასწაულები... სარკმლიდან გამკრთალი შუქი ანათებს ხურმის ნაყოფს. ყურძნის მტევანიც ჩანს, — მთლად გაყვითლებულა. საათი წიკწიკებს, თუმც საყოველთაო უდროობაა. დარდის ღამეა და მასში იმდენივე სიხარულია, რამდენიც შენა ხარ უსასრულობაში. არის თუ არა აუცილებელი ლექსი? სიტყვებით ვითომ ვერ აღვწერ ამ საღამოს?.. შორს, დაბლა, ქალაქის ნაწლავებში ღრიანცელია სტომაქური, სოდომური. ჰაერში საზეიმო ნათურები კიაფობენ. ქალაქის ირგვლივ სროლაა. ამას ჰქვია ქვემეხთა ზალპი. თითქოსდა მშვიდობაა! ომი არაა თითქოსდა! მშვიდობაა და სამშვიდობო ბრძოლის გასაძლიერებლად ისვრიან!.. ძაღლი შენგან სულ ერთ მეტრზეა. ორივეს გძინავთ. ორივე ხართ ნანა და ორივე ხართ უმანკო. დედაშენი ორთავეს გიმღერით ნანას. გიმღერით ცისფერი სათნოების კრიალა სიმღერას. არის თუ არა ძაღლის ორი წლის ასაკი, შენი ოცი წელიწადი? როდის იქნებით ტოლნი? გაიზრდები... უთუოდ გაიზრდები, ისწავლი, ახირდები. შეიძლება დაუცხრომელი ახირება შემოგენთოს. ბავშვებს უყვართ მუშტი-კრივი. ჩვენც ასე ვიყავით. რა იქნება მერე? რა იყო ადრე? პასუხი არ ჩანს არანაირი. არის დღევანდელი. არის დავა. არსებობს მოწოდება. ბრიყვთა ჯოგები აფორიაქებენ სიჭაბუკეს! საითკენ მოუწოდებენ? სიყმაწვილე ადვილი მოსატყუებელია. მოწოდებას თან სდევს აღგზნება; აღგზნებას თან სდევს აღტაცება; აღტაცებიანი აღგზნება იწვევს მოხალისეობას; მოხალისეობა ჰბადებს ვაჟკაცობას; ვაჟკაცობას მოჰყვება შეკავშირება და გაფიცვა; მერე სვლაა; სვლასთან ერთადაა შეხვედრა და დახვედრა; იბადება შეტაკება; აქვეა ჩხუბი; საშვილოსნოში ომის ჩანასახია და ქვეყანა მშობიარობს უდიდეს ნგრევას... ირგვლივ სისხლია და მოურჩენელი სენი, რომელიც ჩვენი დაბადების შემდეგ ამოვანთხიეთ და ვანთხევთ უსასრულოდ. ისმის მოწოდება: შევცვალოთ ის, რაც არის! საჭიროა სისხლი! საჭიროა დონორი! არადა, სისხლის ჩაბარება ხალისით აღარ სურთ! გაჟღენთილები არიან სურვილით, დავანგრიოთ ძველი და იქვე ავაშენოთ ახალი!

ვითომ, ძველის გვერდით რომ აეშენებინათ ახალი, რაიმე დაშავდებოდა?.. ბოღმის მდინარეები ბობოქრობენ! ვნანობ შენი შემყურე. დედაშენი გიმღერის ნანას. ნანას უმღეროდნენ სხვებსაც, იმათ, ვინც ადამიანები აწამეს და ჯვარს აცვეს... ადამიანობა უფრო დიდი წოდებაა თუ ეროვნება? დედამიწა უფრო საყვარელია თუ ის ტაფობი, ტრამალი, ხევხუვი და გორაკი, სადაც ვიბადებით? სამშობლო! რომელია სამშობლო? ჩვენი ცოდნა ტყეებშია და დედამიწა ფეხებზე გვკიდია. ჩაბნელებულია დიდი სინათლის დამნახველი თვალი. მესამე თვალი შუბლშია და ტყვიას თუ ძალუძს მისი გამოხელა! ადამიანი უფრო სარწმუნოა თუ სარწმუნოება, რომელიც ადამიანმა ისწავლა და მრავალჯერაც გამოიცვალა? პანღური ვის?!. გძინავს და ვხედავ (მხოლოდ მე ვხედავ), როგორ იზრდები. რისთვის ვცოცხლობ? ვცოცხლობ მხოლოდ იმიტომ, რომ გასწავლო ის, რაც მე ვიცი. ბრბო საშიშია. ბევრი ხალხიც საშიშია. ყოველი საკრებულო საშიშია. ცალ-ცალკე მყოფი ადამიანები კეთილნი არიან, მათი შეკრება კი იწვევს რისხვას! იკვეთება საზღვრები! შეკრება მარადიული საწადელია: ქუჩაში, სახლებში, ქალაქებში, ტყეებში, მინდვრებში, ქორწილებში, კონცერტებზე, სტადიონზე... ყოველი სანახაობა, რომელიც შეკრებას მოითხოვს, — სადავოა და დავიდარაბითაა სავსე. მე ცუდად მასწავლიდნენ. უფრო ცუდად ასწავლიდნენ ჩვენს წინაპრებს. რაც უნდა ვაკეთოთ, იმას მუდამ გავურბივართ. ფიქრი აზრადაც აღარავის მოსდის. ფიქრი თითქმის უსაქმურობამდეა დაყვანილი. ფიქრი აღარავის სურს. შრომა ძირითადად კუნთით გაწეულ მუშაობას ჰქვია. ამგვარი შრომა ჩანს. გონებით შრომაში კი უამრავი თაღლითია და საგამომძიებლო ორგანოები დაუფიქრებლად სჯიან... თუმც, შემოქმედებს კი ეთვლებათ ფიქრი მუშაობად... ფიქრი თუ აზროვნება? რამდენი კითხვაა? იმდენი კითხვაა, რამდენი კითხვის ნიშანიცაა თუ პირიქით? საიდან და რატომ გაჩნდა წამება? რისთვის ეწამებიან ადამიანები? მოწოდებები ღაღადებენ: წესრიგი, კანონიერება, გულისხმიერება, შრომა, სიხარული! რატომ და ისევ რატომ? შენ გძინავს და შენ გასავლელ, ცხოვრებისეულ გზას ისევე ვდარდობ, როგორც ჩემსას, როგორც ჩემს მიერ განვლილს და გასავლელს. ადამიანური უბედურება ისეთივე განვრცობადია, ისეთივე უსასრულოა, როგორც ადამიანური სიცოცხლე. რა განსხვავებაა ჩვენსა და ცხოველბს შორის იმის გარდა, რაც დღემდე ვიცით? ისინი რომ ტყავიანად იბადებიან? და კიდევ... უწესრიგო და წესრიგიანი გამრავლება დაგვებედა... კიდევ? მთავარია, კუჭის ამოვსება. მთავარია, საკვები. ყოველივე ცნება, აზრი, მოვლენა, უქმნელი, ნათქვამი, სათქმელი ემსახურება (შეფარულად ემსახურება) საკვების მოვლა-მოყვანას. დანარჩენი.... მგლები და ძაღლები ბეჭდებს, საყურეებს არ (ვერ) ატარებენ. სამკაული არ იციან. რა არის სამკაული? რამდენი კითხვაა! კითხვათა მორევებია! ივსება ფურცლები და მრავლდებიან, უძველესი ასოები. ასოები გამოგონილნი იმისათვის, რომ სულის ენა — დუმილის სიმშვენიერე დაგვევიწყებინა. ხომ დავარგოლეთ ზამბარად წლები, თვეები, საუკუნეები, წამები, წუთები, საათები, წელიწადის დროები! ხომ ჩავდეთ საათებში? მოვიგონეთ, შევქმენით და რუდუნებით დავმორჩილდით! გაჩნდა შესასვლელები, რომელნიც მერე მუდამ გამოსასვლელებია და ჩვენ კი ძველებურად მაინც შესასვლელები გვგონია! ასოები! უძველესი ასოები!.. ზამთრის ღამე ივრცობა. სინათლეები ბჟუტავენ, თუმც, სადღაც უკვე დიდი ხანია ელექტროენერგიის შესანახი საწყობები ჩაუდუღაბებიათ! ტელევიზორში ქარხნები!, შემოსავალზე, დეფიციტზე და გასამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჯელოზეა საუბარი. თან საზეიმო ხმაა, ხმაა ისეთი, რომელსაც ცხრა მთას იქითაც გამოიცნობ! სურვილი გამაჩნია და ძალა — აღარ! რისი? ამ საზეიმო ხმას მოვაგროვებდი, შევკვეცდი, დავწნეხდი, გრდემლზე დავდებდი, სივრცისეულ უროს დავუშენდი! იქნებ ღიღნობა სჯობდეს? თუ გადავადნოთ და საზეიმო ხმათა ქანდაკება ჩამოვასხათ? ცხენზე ხომ არ შეგვესვა? ულაყი უფრო მოუხდებოდა. სიმართლე მუდამაა! მუდამაა სიმართლე, მაგრამ თავი ყულფში აქვს გაყოფილი. სიმართლე და კეთრი განუყრელი მეგობრები არიან! არადა, რამდენი მუსიკა, რამდენი ლექსი, რამდენი კონცერტი, ცეკვათამაში, ღონისძიებებია! სასჯელი კი ერთბაშადაა. ვიმედოვნებთ, რომ შორსაა. ჩვენ ასე გვგონია, არ ვიცი, როგორ გეგონება შენ!... შენი ფერადი ფოტოსურათი მიძევს წინ. შენს თვალებში, გამოხედვაში ჩვენი გვარის საბოლოო ნაყურია ჩაშრეტილი. რამხელა იმედია! რამხელა იმედი გადმოედინება შენი თბილი ღიმილიდან! გულქვაობაა მოდებული და შენს განსაცდელს, შენს საფიქრალს, შენს ტირილს ვერავინ იზიარებს. ყველას უჭირს, ყველას ეჩქარება, ყველას ყველაფერი უნდა და ესურვილება. ტირანებსაც ჰქონდათ ბავშვობა. ისინიც შენსავით იცქირებოდნენ ბალღურად — თბილად, უმანკოდ... ყოველი ტირანის ბავშვობის წინაშე მთელი კაცობრიობაა დამნაშავე! რა მიწაცაა, ისეთი მოსავალია. რა რძეცაა, ისეთი ნაღებია... ადამიანის ვერმოსვენება — მისივე ავადმყოფობაა. შრომის გარდა, მან შექმნა გაგება — „ერთფეროვნება“, რომელიც მუდამ ბეზრდება. მობეზრდება „ერთფეროვანი“ მშვიდობა — ომობს; მობეზრდება „ერთფეროვანი“ ომი — მშვიდობიანობს; ვერ გაიგო, ვინ იყო, საიდან მოვიდა, რისთვისაა და უპატრონობას კერპებს უდგამს. ჭრიალებს ძველებური აკვანი... მსოფლიო აკვანი — მოძველებული, ჭიანაჭამი, ფუტურო, მაგრამ... მაინც სათაყვანებელი, როგორც ყოველი სიძველე. სიძველის თაყვანისცემა უმსხვილესი ჯაჭვით ეწევა უკან... ჭრიალებს უძველესი აკვანი და შენ ღუღუნებ ხმადაბლა. დედაშენი თვლემს. — ფერი დაჰკარგვია. შენი ბებო სიამოვნებით, სიხარულით ჩამოგცქერის. მისი ბედნიერება გაურკვეველია. ტელევიზორშიც ბედნიერებაზეა აგებული მთელი სამყარო. — მღერიან... სულ ტყუილად; ცეკვავენ... სულ ტყუილად; ახლა არ არის დრო ცეკვა-თამაშისა, მაგრამ ადამიანს უსაქმოდ არ აჩერებენ; საფიქრალს, საზრუნავს „უმსუბუქებენ“. დროს ატარებენ! იმ დროის მოკვლა სურთ, — თვითონვე რომ გააჩინეს... დედაშენი კვლავ გიმღერის ნანას და არსად კიაფობს სურვილი ლექსის დამწერი. ლექსის საჭიროება გადაკარგულია. ლექსი საერთოდ... ლექსი ემსახურება ადამიანს! ამგვარი ლოზუნგი მუდამაა და თან შენიღბულია, მიმალულია, — მხოლოდ იგულისხმება. გაისმის ნანა და ყოველივე სხვა დანარჩენი; ყოველი პოეზია, თითოეული სიტყვა ახლა იქნება უყალბესი და ჩამოსახრჩობი... წიგნები განაგრძობენ უსასრულო სიჩუმეს. გადავფურცლოთ და წავიკითხოთ? ვითომ ამითი გავაცოცხლებთ ავტორს? მოჩანს (ოღონდ ყველასთვის არა) არცოდნის ნაცრისფერი ტყე, სადაც ჩაშრეტილა დღევანდელი დღე, ეს საღამო, გიორგობის თვე... მოლურჯო სარტყელი ფრიალებს; წმინდა გიორგი... მასზე ფიქრი მუდამ დაგაწყნარებს; — დაიმახსოვრე და შეეცადე, იფიქრო ჩამუქებულ ტევრებზე, რომელთა ფერი ისევ და ისევ უსასრულოა. მხოლოდ შენ უნდა დაინახო; მხოლოდ შენ უნდა შეარქვა სახელი; მხოლოდ შენ უნდა მიანიჭო ფერი; შენ და მეტმა არავინ! მხოლოდ — არავინ, შენს გარდა! ირგვლივ ზერელე ცხოვრების უსასრულო საწადელი ტრიალებს. შენ არ იცხოვრებ ასე. მე გასწავლი ამას და თვალებში ჩაგიბუდებ უსათნოეს ღიმილს; სულში ჩაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვრი არამშვენიერ სიყვარულს ამ ქვეყნიერებისას... სადაურია ის ნანინა, დედაშენი რომ გიმღერის? რატომაა მასში ამდენი ნაღველი და რატომ იცრემლება ძილის წინ?.. ძაღლი სიზმარს ხედავს და წკმუტუნებს. ამ უბედური ცხოველების სიყვარული გექნება არაადამიანური! ეს ვალდებულებაა! საჭიროა არაადამიანური, ანუ ღვთიური სიყვარული ყოველი სულდგმულისადმი. მუდამ იქონიე იმედი ერთადერთი არა ადამიანებისა, არა მიწისა, არა ჰაერისა... არამედ იმისა, რაც და რომელიც ამათ მიღმაა... შიში მიწიერი წარმოშობისაა. ჩამესმის ნანა, რითაც შენ იზრდები და რომლითაც სწავლობ საგალობელ სიმღერას. გეღიმება. სიცილს მუდამ სჯობს ღიმილი. საღიმილოს რა დალევს? ღვინის დალევაც არ არის ცუდი... ორომტრიალს ვერსად წაუხვალ, ოღონდ შენ ნურასოდეს იტრიალებ. არ დაივიწყო ღიმილი! ღიმილით არასოდეს არავინ მომკვდარა; სიცილ-ხარხარს კი მთელი საგვარეულოები ამოუჟლეტია... ზამთრის ღამეა... შენ იღიმები... დედაშენი გიმღერის ნანას.

## ყურადღება! — სდექ! — სწორდი! ნაბიჯით... იარ!

ფიქრი ზერელე: ახლა დაიხმაურებენ და ხელს შემიშლიან. თავისუფლების შესახებ საუბრობენ, კამათობენ, გაჰყვირიან... სასჯელი შორსაა. დგას. ვითომ სულ ასე იქნება? ვიღაც მუდამ მოჰქრის შენსკენ და არასოდეს არაფერი ენაღვლება. ახალშობილი ჰკივის, რაღაცა სტკივა. — ვფიქრობ პოლემიკოსზე, რომელსაც უყვარს გრამატიკა და ერთი ნახევრად საქვეყნოდ განთქმული პოემა... ტყემლის ხეს შუა ზაფხულში გასცვივდა ფოთოლი; ნაყოფი შერჩა. ხე უშნოა. მე ვხედავ, რომ უშნოა, მაგრამ სინამდვილეში (უადამიანო სამყაროში) იგი ავადაა, რაღაცა უჭირს. მე მისი მკურნალობა მხოლოდ წყლით შემიძლია... მიკვირს: რატომ მოდის წყალი? ვგრძნობ: სიტყვა „საიდან“ სადღეისოდ ზედმეტია. რა არის მთავარი? მთავარია, ხვალ! მივდივართ (ვიაროთ, რა) ხვალისკენ, ასე უფრო ადვილია (შემეძლო მეთქვა „გაცილებით ადვილია“). ჭაღარა ოპონენტი ოდნავ ბრაზობს: „ახლა სხვა დროა, სხვანაირობაა საჭირო. შენ ისე წერ — ყველასთვისაა. რა დროს კოსმოპოლიტიზმია? ჩვენი ერი... ჩვენი სისხლი... ჩვენი მიწა... ჩვენი!..“ ამ კაცს უჭირს. რა ფერის წინდები აცვია? შეეფერება თუ არა შარვალსა და პერანგს?.. იერუსალიმისაკენ მრავალი ქრისტიანი იცქირებოდა. ახლაც იცქირებიან, მაგრამ შვებას ვერ პოულობენ. კამათი კი მოდაშია... ბავშვი კივის. ტკივილი ხრავს იმ აკოჭლებულ, გამხდარ ძაღლსაც, ეზოდან რომ ცემა-ცემით გამოაგდეს... ქალბატონმა (რომელსაც ჯერჯერობით ნერწყვმომდგარი შეჰყურკურებენ საეჭვოდ სექსუალური ცვედნები) ქვებიც დააზილა ცხოველს. იქნებ გრამატიკის მასწავლებელია? როგორ იტყოდა? ალბათ, ასე: „ძაღლს ქვა დავაზილე“. მე ვამბობ: „ძაღლს ქვები დავაზილე...“ მე ოროსანი და მარადიულად უმუშევარი ვრჩები... ვეკითხები მოგზაურს — ჩუმ, მოკრძალებულ, ნიჭიერ მთარგმნელს: რატომ მოგზაურობთ განუწყვეტლივ, თქვენ ხომ მარადიული უკმაყოფილება გაწუხებთ? ის კი ღრმად ზის თანამედროვე ავტომობილის რბილ სავარძელში და საქართველოს სამხედრო გზით მოემართება სამშობლოსაკენ. თან აღტაცებული იმზირება; თან ტირის; თან გული ეთანაღრება... უყვარს და არც უყვარს „ჯაყოს ხიზნების“ შემქმნელი, მაგრამ თვითონ რას იზამდა? სწორედ ამას არასოდეს ფიქრობენ ხმამაღლა („ფიქრი ხმამაღლა“ შეცდომა არ გახლავთ ამჟამად... მხოლოდ ამჟამად...). ყველა მზადაა განსაჯოს და, ამასთანავე, მზადაა ბრძანების აღსასრულებლად. ფიქრით ძახილი შემართულია: „მზად ვარ მარად!“ რისთვის? ყოველივესათვის, რაც კი ადამი-



საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანს მოუგონია! წყალი რწყავს მიწას, ფესვებს, ხეებს და მიკვირს. ღმერთმანი. ბავშვი ჯღავის და ბჟირდება... ახლა დახლიდარი სიამოვნებით იტყუება წონაში, გუნებაში და ჯიბეში ფულს ითვლის. მერე კი... ირგვლივ იმდენივე სიპატიოსნეა. ჩემო ბატონო (ბატონო ჩემო) რამდენი ქართული ოჯახიცაა! ირგვლივ იმდენივე თამადაა. ჩემო ბატონებო (ბატონო ჩვენებო). რამდენი ქართველი ვაჟკაციცაა!.. ირგვლივ უსაქმურთა, მლლეტავთა, წამგლეჯთა მექრთამეთა, უგუნურთა, ბრიყვთა, გამომძალველთა ბრბოებიცაა, მაგრამ... უმეტესად ვინ არის ხელმძღვანელი? მოაზროვნეა, მშრომელია თუ უსაქმური? ამ კითხვას ფართო მასშტაბიურობას ვერ ვანიჭებ იმიტომ, რომ წერისას ხელი არასოდეს მეშლება; არასოდეს არ მიჭირს წერა და ვიცი ჩემი ენა (ენა ჩემი). საამისოდ საჭიროა... თქმა რომ არ შეიძლება. საამისოდ მე ვიცი, რაც არის საჭირო... სკოლის შენობებს არემონტებენ იმიტომ, რომ ზაფხულია. ბავშვებს ორ-სამ კვირას იძულებით ამუშავებენ. რა ჰქვია ამას? რაღა თქმა უნდა — პრაქტიკა. რა არის ეს პრაქტიკა? ვიცი და ვერ გეტყვით... ვის ართმევენ უძვირფასეს დღეებს? მაშასადამე — პრაქტიკა ბავშვების წინაშე დამნაშავეა, მაგრამ (და რადგან) პრაქტიკა უსულო მოვლენაა, პასუხისგებაში ვერ მივცემთ!.. რა არის საჭირო, პოეტი რომ ორიგინალურ შემოქმედად მონათლონ? საჭიროა: ის, რაც საზოგადოებას მოსწონს ათასგვარი ზემდგომისა და ზეწოლის გამო, პოეტს არ მოსწონდეს. ან... და ასე შემდეგ... ძირს გდია გაზეთი. მისი სახელწოდების ხსენება არ შეიძლება. რატომ არ შეიძლება, ვიცი, მაგრამ... და ასე შემდეგ... ამქვეყნად არ ყოფილა დრო, ყოველივეს თქმის შესაძლებლობა რომ ყოფილიყო. ვითომ არცაა საჭირო?.. აქვე თვალწინაა ორი ძაღლი — შავი და თაფლისფერი. პედიატრს უყეფენ. გაზეთი კი კვლავ მოჩანს და კვლავ ძირს გდია. რატომ მოჩანს? იმიტომ მოჩანს, რომ მე ვუმზერ. არაუცნაურად მახარებს მისი ფრიალი. აქვე, სულ აქვე, ჟურნალისტი კამათობს და ასწავლის მკითხველს, როგორი სიყოჩაღეა საჭირო, უქმად (უქმად) რომ არ დაყიალებდნენ უამრავი მაწანწალა, უსაქმური (უსაქმური ცხოველი მართლაც აღმაშფოთებელია ჩვენი საზოგადოებისათვის, კოლექტიურობისათვის!) ძაღლები, კატები და ვირთხები. მათ ხომ საუკეთესო, უმაღლესი ხარისხის ტყავი გააჩნიათ და ჩვენ (ესე იგი, ადამიანები) როდემდე უნდა ვიყოთ ბეცები — ამდენ სიმდიდრეს ჭკუაზე მყოფი კაცი როგორ დაკარგავს, ძალზედ აღმაშფოთებელია მრავალი და მრავალი ამხანაგის ქცევაო... აზრების გამოთქმის დამშლელი აღარავინაა. ირგვლივ თავისუფლად მოაზროვნეები არიან და მირჩევენ (წართქმითი და ბრძანებითი კილოთი): ჩავსაფრდე სანაგვე სათავსებთან, დავაგო ხაფანგი, მოვიპოვო უძვირფასესი ტყავის მქონე ძაღლი, კატა, ვირთხა, ჩავაბარო სახელმწიფოს, საერთო შრომის ფერხულში ჩავება, მეც გასამრჯელოთი გავამდიდრო ოჯახი და ავმაღლდე შრომის სულისკვეთებით, ანდა... სულაც, იქნებ კოოპერატივი ჩამოვაყალიბო? ჩემი მხრივ, ვეკითხები მრჩეველს: რა დავარქვა კოოპერატივს? აზრი გამაჩნია ამგვარი: კოოპერატივს შევარქვა — „ძაღლი, კატა, ვირთხა, ჩვენ და ძალუმი წინსვლის პერიპეტიები". რას ერჩით ახლა ამ მართლაც ბრწყინვალე კოოპერატივს? აგერ, ჩემო ბატონო, ბინძური ეზო, აკოჭლებული, გასაცოდავებული, მშიერი ძაღლი, რომელსაც ძუძუსავსე და თეძოგანიერი გოგონები ქვებით დასდევენ! აგერ: (მიმდინარე) რემონტით შეთითხნილ-შეთეთრებული სკოლის შენობა, სამასწავლებლო, ანატომიის კაბინეტი და ბიოლოგიურად გარდაცვლილი ნეშტები!.. მოწაფეები ცელქობენ, დარბიან, სწავლობენ, ბეჯითობენ, შინ კი... მშობლები გულმოდგინედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახოცვინებენ ძაღლებს, კატებს, ვირთხებს... თორმეტი წლისას უკვე მქონდა ცალლულიანი სანადირო თოფი (რომელიც მაშინ 16 მანეთი ღირდა) და ტოროლებზე ვნადირობდი. — მაშინ მართლაც სხვა დრო იყო. ჯერჯერობით, საჭმელ-სასმელი ბლომად იშოვებოდა. თითქოსდა და მამაკაცები ულვაშს ატარებდნენ. თან ეამაყებოდათ. თან ნამუსიც ჰქონდათ, რადგან ნამუსი ულვაშებში მოყუჩებული დაჰქონდათ. რა აზრისაა ნამუსზე გაციებული კაცის ცხვირი, ამას ახლაც არავინ ფიქრობს. ვინღა კითხულობს გოგოლს?.. ის დროც სხვა იყო, ეს დროც სხვაა და ჩვენც სხვები ვიყავით, თითქოსდა... იყო სმაჭამა (როგორი შესარგი, ახლაც ბუნდოვანია ჩემთვის) და არავის ეცალა ჩვენთვის, ბალღებისათვის რაიმე ესწავლებინათ, ჩაეგონებინათ... მცენარეები არ შრიალებენ, ფოთლები მთლად არ შესჭკნობიათ. არც კამათობენ, არ ცდილობენ რაიმე შეცვალონ და მხოლოდ ცხოვრობენ. მუდამ მეგონა, რომ ისინი მხოლოდ ერთადერთს — წყალს ელოდებიან. როცა ადამიანი ზეცას ასცქერის, რისი იმედი აქვს? ხომ აქვს იმედი და ბურუსში ჩაძირული მოლოდინი მაღლიდან? თუნდაც, დაგვიანებულია ის მოლოდინი, მაგრამ ხომ არის? ეს ხეებიც დგანან და ელოდებიან. ადამიანის აზრი იმის შესახებ, ხეებს აქვთ თუ არ აქვთ სული, არ მაინტერესებს. ხეებზე მიკრული სანთელი მინახავს, მაგრამ მათთვის დანთებული არასოდეს. ამიტომ არა და, ნაღდად კი ვუნთებ სანთელს მთელი ჩემი ქვეყნის ტყეებს. უკლებლივ ყველას: გარდაცვლილებსაც, ცოცხლებსაც და მერე ამოსულებსაც. მოსხმული ნაყოფი ჩავუთვალოთ ამ თანადედამიწელ არსებებს (ხეებს) კელაპტრად, ვითომ რა მოხდება? რამდენნაირად ვარ ახლოს მათთან, მშვენივრად ვიცი. ვგრძნობ — როგორ ვმცენარდები, ვეძებ ფესვებს... რომელ ფესვებს? მწარე ფესვებს ჩემი მოდგმისას. ახლოს ვარ მათთან. შური ძლიერი გრძნობაა. მრავალმა სცადა მისი აუცილებლობა დაემტკიცებინა ხალხებისათვის... მუდამ ასეა... რადგან მუდამ ასეა, ყოველივე ემსგავსება ზღაპარს და ამიტომაც, გაუთავებელ სიმხიარულეს აღარ მოეპოვება სიგრძე და განი. ნაღდი უსასრულობისა არა სცხია რა, მაგრამ მანძილებია უგრძესი და უშორესი... აქვეა დარდი: მკითხველი აღარ არის. გალიზიანებული ჯოგებია... ძველმოდური შიფონერებია, ჯლანებია... სად არის ნაღდი მკითხველი და გამგები? ზღაპრები, ისტორიული რომანები, დეტექტივები და ფანტასტიკური რამეები იტაცებთ და... სამწუხარო ღიმილებია, სატირალი მოვლენებია. მკითხველები ამოხოცილან და ღვინის სმას გადაჰყოლიან... ვუცქერ მრავალძარღვას. ვაზის ძირს მიტმასნია, ჩაჰკონებია, ზედ ფესვღეროებზე დასჯდომია, მწვანედ ღაღანებს. რა თქმა უნდა, ღონიერი ფესვებით ტენს და სარჩოს ართმევს ვაზს. ბაბომ მასწავლა ამ მცენარით მკურნალობა... მაინც, რა მწვანედ ხასხასებს! ხასხასებს თუ მწვანმწვანებს? ახალი სიტყვაა თუ მწვანედ ჟღერაა ეს მწვანმწვანება? ღიღინი და ღაღანია. — სასიამოვნო სიმწვანეა თუ სასიხარულოა? ჰო, სიმწვანეა, რომელსაც სულში შემოცოცება შეუძლია, ოღონდ, ეს არ არის უბრალო და ყოველი სიმწვანე. მივესალმე ბალახს: მრავალძარღვავ, კეთილო, ჩვენო, როგორა ხარ? გამარჯობა შენი! ადამიანი მიპასუხებდა... თუმც, პასუხი მუდამაა, სმენა არ არის საამისო. ასე რომ არ იყოს, ადამიანები უკეთესად გაუგებდნენ ერთმანეთს და სხვა, ცოცხალ არსებებს აღარ აქცევდნენ ნაფლეთ-ნაჭრებ-კილოგრამებად და კატლეტებად... კეთილი მრავალძარღვა დავტოვე ვაზის ფესვებში. ვინახავ, ვპატრონობ და ეგ არის! ვინ იცის, იქნებ დამჭირდეს? იქნებ დაგვჭირდეს? ვისთვის სარეველაა, ვისთვის ბალახია, ვისთვის წამალია, ვისთვის შხამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი მუდამ მზადაა — სადაც და როგორც სჭირდება, ისე მოაგვარ-გადაწყვიტოს არასივრცობრივად ვითომ არსებული ბედ-იღბალი... რას უზამდა კახელი მევენახე ამ მრავალძარღვას? მე, ჩემო ბატონებო და ამხანაგო მეზვრეებო, მრავალძარღვას ვტოვებ, არ ვწყვეტ, არ ვსპობ. რას ფიქრობს ამის შესახებ ვაზი, — ვიცი. და, მე გამაჩნია უფლება, მხოლოდ მე ვიცოდე. ვაზმა თვითონ მოუაროს თავის თავს. თავად გაისუფთაოს ძირი, ჩვენ კი, ჩემო ამხანაგო-მეგობრებო, ისეთი ძირმაგარები გამოგვაყრის ხოლმე... თან, სად აღარ იცის, იმ ძირძაღლმა, საზარდულის მიდამოებში რომ გაიფურჩქნება ხოლმე... აუჰ! მიშველის მაშინ ყურძენი? ვერც მტევანი გადამარჩენს, ვერც ბადაგი, ვერც მაჭარი, ვერც ღვინო და ვერც ძმარი. ჩურჩხელა და ფელამუში ხომ სახსენებელიც არ არის! იყანყალოს ათასმა ჩურჩხელამ, ვის რად არგია? მადლობა სივრცეს, რომ ამ ეზოში მთლად არ გაწყდა მრავალძარღვა! ეკუთვნის სანთელი? შევევედრო არაფერს არაფრით არაფერი? ამ მწვანე ბალახისათვის ცხოვრება ხშირად სამსხვერპლოა. ძალზედ მიჭირდა ამისი აღქმა, მაგრამ რომ აღვიქვი? ხელის ჩაქნევა ადვილია... ბალახი ცოხნიების საკვებიაო... ხორცოსანი პირუტყვი კი ჩვენი საკვებიო... ვითომ, ხორცი რომ არ მივირთვათ, გამრავლების უნარს დავკარგავთ? ესე იგი: უფლება მოგვიპოვებია. ჩვენშივეა ვალდებულება. საქმე გაჩარხულია. მსხვერპლის გაღება უძნელესია და პირი მიქნია იმისაგან ისევე, როგორც სხვებს, ყველას, ადამიანებს, კვლავ და კიდევ სხვებს და ასე შემდეგ... აბა! ყურადღება! ნაბიჯით... იარ! ეს უკვე ფიზკულტურის გაკვეთილია! აბა, აბა! უფრო მარჯვედ! მხნედ! ომახიანად! ცოცხლად: ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, ერთი, ორი!.. და, უცებ: სდექ! სრულიადაც არ ვადარებ ცხოვრებას და ფიზკულტურის გაკვეთილს. ბრალიანად მივაბიჯებ, ვითვლი იმიტომ, რომ ავად ვარ, ვსარგებლობ გონებით, ცულით, შუბით ისრით, თოფით, ტყვიით, დენთით, შრომით, პურით, ქვემეხით, ტანკით, რაკეტით, თვითმფრინავით... მაინც ვრწყავ. ცაში ზემეხია, მაღლა ზემეხი მიმოდის და ვფიქრობ სიცოცხლის მფლეთ ქვემეხებზე. მასწავლეს, რომ ზოგიერთის (მრავალის და მავანის) სიცოცხლე შეეწირა სამართალს, სიმართლეს... ზოგიერთები კი დაისაჯნენ ღირსეულად!.. მივაბიჯებ. ზემეხობს ცა. უკან რჩება მსხვერპლი და გადარჩენილი მრავალძარღვა. რა ფერია? მოცისფროდ მწვანეა. არის ადგილი ან სივრცის ნაწიბური, სადაც ჩვენი ყოველი ნაბიჯი (დაფარული და საიდუმლოც) ნათლად ნათელია. ჩვენ ვიცით, იქითაც იციან. ოღონდ, საბოლოოდ, ჩვენ არაფერი ვიცით. როცა ჩვენ გაგვიელვებს ამგვარი აზრი, ყოველივეს არარაობად ვთვლით... რატომაა წყვეტადი აზროვნება? ყველას ემართება, მაგრამ ყველა როდია აღმომჩენი და მიმგნები. მილიონები ცოდნით ამაყობენ, მაგრამ ერთი და ორია მხოლოდ იმის აღმომჩენი, რაც უჩვენოდ აქამდე იყო... ვინ არიან ეს ადამიანები, ბევრმა არ იცის და იმ ცოტას მოვკითხოთ... აბა, აბა ნაბიჯით... იარ! აბა, უფრო მუყაითად! უფრო ენერგიულად! ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი? დავიძაა... რით! დავიძარით? განა სულ ძვრა-დაძვრაში არა ვართ?.. ეზო თვალს მტაცებს (ამას რომ წარმოვიდგენ, ვხარხარებ). ირგვლივ ქალაქია. ქალაქში ხარ, თვით ხარ ქალაქი, მაგრამ არ ხარ ქალაქელი... ეზო იპყრობს თვალსაც, ყურსაც. — მაინც, რანაირად ხდება, ბალახი რომ ყოველ წელიწადს ამოდის? ეს ასეა და თითქოსდა (ოჰ, ეს „თითქოსდა“) არც არაფერია გასაოცარი, მაგრამ ბალახთა სხვადასხვა სახეობა რომ ამოდის, არც ეს გავიკვირვო? ვინ არის ამისი მიზეზი? ვინ თუ რა? არ ვკამათობ, მხოლოდ ვამბობ: ვიღაც და რაღაცაა. იგი ქარია. ქარს მიაქვს-მოაქვს აფრენილ-ატაცებული თესლე-

ული მცენარეთა. არის მიწისეული ქარი. არის უფრო დიდი ქარიც. სივრცის ქარები რომელ თესლს მიმოაფრიალებენ?.. აქ კითხვაა საშინელ-მარადიული, გაღმა კი მღერიან. ვითომ ქორწილია? ვაითუ, მომცრო პურ-მარილია?.. ლიტერატურათმცოდნე ეკამათებოდა პედაგოგს: ჩვენ — კაცებს, თქვენგან — ქალებისაგან განსხვავებით, ძალზედ გვიყვარს ღვინის დალევა და ქეიფი. ამიტომ ნაწარმოებს (რომელიღაც ნაწარმოებზეა საუბარი) თქვენ ჯეროვნად ვერ გაიგებდითო... ქორწილი საყურადღებოა. სხვებისთვის სანუკვარია. ვიღაცები ალტყინებით იბანგებიან, რაღაცები კი საშინელ დღეშივარდებიან. რაღაცებისათვის ქორწილი საშინელებაა. ანუ უფრო უბრალოდ (როგორ უბრალოდ?!. ეს გახლავთ შეძახილი) სიკვდილია. ქორწილთა დღეები დათვლილია. მისი დასასრული, ალმოცვხვრა, გარდაცვალება, ოდნავი პროგრესია. ვისთვის? კითხვა კითხვად და... სასიხარულო განა ცოტაა ქორწილის გარდა? არის, მაგრამ არცოდნაშია ჩაკლული. ამჯერად, მუშტები მზად მაქვს... თამადობა უყვართ იმიტომ, რომ თამადობა პაწაწინა, დროებითი, წამიერი ბელადობაა. ვიცი, — თამადებს ამისი გაგონება არ სურთ, არც მე გავუგებ მათ... აბა! სხარტად! ახლა კომენტარების საჭიროებაა! არიან მარადიული თამადები, რომლებიც იბრძვიან და საშინელების თესვით სახელსა და დიდებას იხვეჭენ. კომენტარიც მზადაა: უნდა ვერიდოთ დროებით ბელადებს! ისევ თამადა სჯობს. იგი ერთი ან ორი დღის ბელადია და ვერაფერსაც ვერ ასწრებს... ამგვარ საფიქრალს მუდამ სდევს სიკვდილის უცაბედი ელდა. მოვარდება ჩუმჩუმელა ნიაღვარივით... ვისაც ეს არ განუცდია, — სიველურის ტყეებშია, ვისაც იშვიათად მოსდის, — სიველურის მინდვრებში გამოუღწევია, ვისაც ხშირად მოსდის (და არა მუდამდღე) — ადამიანობის ოკრობოკრო გზას დასდგომია, ვისაც ყოველ დღე მოსდის — ადამიანია; ვისაც დღეში რამდენჯერმე მოსდის, — ადამიანობიდან გაქცევის გზას მიუყვება, ვისთანაც მუდამაა, — ის უკვე აქ აღარ არის და ნირვანის მდელოებზე მიემართება. სიკვდილი სამახსოვროა. სიკვდილი დასამახსოვრებელია. მას ჰყავს ანგელოზი, ვის წინაშეც მოწიწებითაა კაცობრიობა და თვით (ჩვენ რომ უსულოს ვუხმობთ) ის საგნები და არსებები, ვინც... მიქელ-გაბრიელი არ სჯობს დროებით ბელადთამადებს? იგი შეუდრეკელია, იგი მოუქრთამავია, არ ქურდობს, არ ცბიერობს. იგი მართალია და ადამიანთა ცვალებადობის სამსახურით სივრცეს ემსახურება. როცა დროებითი ბელადების ხელში მიდამო და ადამიანები ყინულად ან სისხლის მდინარეებად ან ღვინის ნაკადულებად, ან პირლებინების ნამუსრევებად იქცევა, როცა ყოველივე უძრაობაშია და მხოლოდ სიბოროტით ყანყალებს, მიქელ-გაბრიელი მაშინაც კი ერთგულად მუშაობს. უნდათ თუ არ უნდათ მავანთა და მავანთ, მიწის სიღრმეებისაკენ მიერეკება. მიჰყავს ფაქიზად და რუდუნებით მუხრუჭებად და ქაღალდებად ქცეული გულღრძოთა ურდოები. ამგვარი ცვალებადობა კი პროგრესია. უკეთესისკენ სვლაა... დღეში ერთხელ მაინც... ერთხელ და მეტჯერ არა. ან, ვისაც როგორ სურს... ამ წამს, იმ დროს, — რა ხარ, თუ გიფიქრია? მე, მაგალითად, მიფიქრია, რომ აღარაფერი ვარ. დამნანებია ყოველივე, რაც მინახავს, რასაც ვხედავ, რასაც ველარ დავინახავ! და, ერთი კითხვაც — მარადიულად მავალ, თანამგზავრ, სიკვდილზე მაფიქრალ კაცს რომ აღეძვრის: რა ვიყავი, რა ვარ, რა მივიტანე, რა მიმაქვს, რას ვტოვებ? არიან ასეთი არსებები და დედამიწის ერთადერთი და უდიდესი ურმის უღელი მათ ადგიათ კისერზე... რამდენი რამაა, რაც უნდა იცოდე. ყოველივე ჩანს. ყოველივე არ ჩანს. ყოველივე არის. არაფერიც არის. არც არაფერია. თან ყველაფერია... სივრცეებია... უსასრულო ზღვრებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასრულიანი უსასრულობებია და ყოველივე ალოგიკურია იმდენად, რამდენადაც ყოველივე ლოგიკად ჩამოგვიძერწია... ძალზეც ვაგვიანებთ. ძალზედ ჩამოვრჩით. ძალზედ უკან ვართ. რადგანაცაა უკან, არის წინაც. პირიქითაცაა, პირაქეთაცაა. თითქოს ყოველივე ნათელია და სინათლეში იმდენი ბუნდოვნებაა, რამდენსაც იწონის ერთი მეტრი ჰაერი ანუ რამდენიმე მტკაველი სინათლე. ყოველივეს დამღუპველი ჩვევა. — ჩვევა რწმენისა: რაც არ ვიცი, არ მჯერა! ან: რაც არ მინახავს, არ არის. ან: რაც არის არის! სიბოროტის სათავეს შორს ეძებენ. იგი კი ყურის ძირშია, თავშია, ტვინშია, გონებაშია და ბიჰოს! — მართლაც ყურთან რა ახლოსაა! კვლავ სდექ! ქორწილში მპატიჟებენ. იძულებული ვარ მცირე ხნით დავემონო თამადას, — სუფრის ბელადს, მყვირალას, მკივანას, მომღერალს, ღრიალას, მოლექსეს, მოცეკვავეს, მოროხროხეს! არის ხსნა? ხსნაა ერთადერთი: ქორწილი ფაქტია! ქორწილი მოვლენაა! ჩემი საბოლოო კომენტარია: არ წავალ და არ მეყოლება თამადა! არ მეყოლება თამადა, არ მეყოლება ბელადი! თუ მომიკითხეს ყურით მოათრიეთო, რომ ბრძანონ? წავიჭრა ყური? მერე, რიგრიგობით წავიცალო ყველა ორგანო რაზედაც თამადა-ბელადს ხელის წავლება ძალუძს? დავრჩები ოთხკუთხედ სიმახინჯედ. ვარგებ ვინმეს რაიმეს? ისე, რომ, სჯობს წავიდეთ ქორწილში, დავლიოთ ღვინო და... ბიჰოს!!! იქნებ თამადასაც ავუხირდეთ? იქნებ მოვასწროთ და... დავასწროთ? სხვებს ეშველებათ? ვგონებ არაფერს ეშველება, რადგან თამადა-ბელადს უშველებელ ქელეხს გადაუხდიან და იქაც, კვლავ მოგვევლინება თამადა! ესე იგი: უთამადობა არ შეძლებულა! სანატრელია ერთადერთი: თამადად კარგი მსმელი, კარგი მომღერალი, კარგი მომლხენი, კარგი მოცეკვავე და საღად მოაზროვნე-ავირჩიოთ... თუმცა... ღვინო ისეთი ვერანია... ღვინის მსმელ კაცს, ერთხელ მაინც, ოდესმე მაინც ულალატებს ჯანგონება (ჯანგონება, ჯან-გონება! — მშვენიერი სიტყვაა ბელადებისათვის) და სუფრაც ისევ აირევა... საშველი კი ურმით მოღრიტინებს და შორეული იმედის ტყეებიდან სიყვარულის შეშას მოაციმციმებს... და თუ მერე აღმოჩნდა, რომ... აუჰ! მეურმე და თამადა რომ განუყრელი მეგობრები აღმოჩნდნენ?.. აუჰ! კვლავ აუჰ! ისევ აუჰ! აბა! ნაბიჯით... იარ! ერთი! ორი, სამი! ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი! ერთი, ორი, სამი! ზურგისაააა...კენ! სდექ! სწორდი! სწორება და სმენა თამადისაკენ!..

## ტკივილი

(ლიბრეტო რომანისათვის)

ოთხი დღეა ყელი მტკივა. სიმღერამ ანგინა გამიჩინა. სიმხიარულემ დაბადა ავადმყოფობა... ეს ქვეყანაც ჩვენსავე ზმნასა ჰგავს. ნასკვი, გორგალი, გინება და კვნესა. წამლები აუარებელი. აქვეა დიდი უნდობლობა, ძალაუნებური ფიქრები, — ავადმყოფის ფიქრები, დასიცხული აზრები— სიცხით გადაბმული. შორსაა უდაბნო და ქვიშის სიმშრალე. მოჭენაობს უსახელო ნარკომანია. სიცხე — ორმოცი გრადუსი! თეთრი ფერი, თეთრი კედლები... გარდაცვლილი მწერლების რამდენიმე პორტრეტი. საივნისო ჩრდილები მოყვითალო სიმწვანისა. შორს და მაღლა ისვრიან. ზრიალებენ სარკმელები. მიწა დუმს. მიწა იძვრის საერთოდ, მაგრამ აქ, ჩემი სახლის ქვეშ, სიჩუმე და სიმყუდროვეა. რას ვინატრებდი? ვინატრებდი კინოფილმს, სადაც მუსიკის ნატამალი არ იქნებოდა. კითხვა: რამდენ დღეში მყაყდება წყალი? პასუხი: ზუსტად არ ვიცით. ეს „თ“ რაღაა? „თ“ ალოა და ამჟამად აკვიატებაა. წყალი მყაყდება რამდენიმე დღეში ან რამდენიმე კვირაში. ადამიანი?.. ოჰ, ეს შური! წალეკა შურმა მთელი ქვეყანა და სახელმწიფოები მით უმეტეს!.. უსასრულო ლანძღვა ბედისა. ვისი ბედისა და, ჩემი,

საკუთარი ბედისა! რატომ? იმიტომ, რომ... შეიძლება კაცი ივნისის თვეში ლოგინად ჩავარდეს? შეიძლება, შეიძლება, მაგრამ ხომ მაქვს უფლება — მე ეს არ მინდოდეს? მესმის ქირქილი. აქვეა ყრუ მუქარა... კითხვა: შეიძლება მეოცე საუკუნეში კაცი სიმღერის გამო ლოგინად ჩავარდეს? რადგან არსებობს სიმღერაში შეჯიბრი, მაშასადამე (ეს ერთი „მაშასადამე“)... შეჯიბრება მოვლენაა. იგი თითქმის ლოზუნგია. იგი, ვგონებ, სიმბოლოცააა (აჰა, ესეც სამი „ააა“ ორის მაგიერ). შეჯიბრება შეიქმნა იმიტომ, რომ ვინმე და მრავალმა გაარჩიოს, დაინახოს დამარცხებულიც, გამარჯვებულიც... მთვრალები შევეჯიბრეთ. პირველს ამბობს რაჭველი! ბანს ამბობს გურული! პირველის პირველს ცდილობს კახელი! ეგ როგორაო, შენ ხმა ასწიეო? — ბრაზობს ქართლელი! და, ეკიდება სიმღერას სათქმელი. აქვეა მიზეზი მრავალი, დაუნახველი და მხოლოდ საგულისხმო. აი, ძმავ და მეგობარო, დღევანდელი ყელის ტკივილი! სიცხე უცხარესი 40 გრადუსი და ზედ კიდევ ხაზები. ირგვლივ ფერებია. რამდენი ფერიცაა, იმდენი ტკივილია. რამდენი ჩრდილიცაა, — იმდენი ცრემლია. თვალები ირიბი, ელამი, გამოთანგული. მსუსხავი მზერა ტელეეკრანზე. ალაპარაკებენ მუშებს, ბინებს დაჰპირდნენ თურმე ათი-თორმეტი წლის წინათ. ახლაც უსახლკაროდ არიან.. ეკრანზე სიმშვიდეა. მშენებლები საუბრობენ. ირგვლივ სიწყნარეა, ვილაცამ იცის, როგორაა საქმე და გულში. შიგნით, სიღრმეში იცინის... რა არის საჭირო — დასაჭურისებული ირონია, დადამბლავებული ქომაგი თუ წამახული ფოლადის უწვრილესი წვერი? ერთი დარტყმა მარცხენა თვალის კაკალში ტვინის გავლით, კეფაში გახედებით! დასაჭურისებული ირონია და სიქომაგე აგროვებს წამლეკავ ბოლმას... ბოლოს და ბოლოს აკრძალავენ ატომურ (და სხვა) იარაღს, მაგრამ რას უზამენ გულგრილობას, ირონიას?.. საინტერესოა, — ამ წამს, ჩემი სიცხე უფრო მაღალია თუ ტელევიზორის ეკრანისა? აგერ მღერიან! იაპონელები ჩვენებურს მღერიან! ირგვლივ სიხარულია და არის ოვაცია. მაინც, რა მშვენივრად უსწავლიათ. სიმღერას რა მოსდევს? პურ-მარილი? არა და არა! სიმღერას მოსდევს მეგობრობა! ასეა იმიტომ, რომ თვით მეგობრობას მოსდევს სიმღერა. ჩინებულია! იაპონელებმა იმღერეს. ახლა ჩვენი ჯერია! გადაცემა კი გრძელდება... ჩვენ არ ვმღერით იაპონურად, მაგრამ და სამაგიეროდ აქვეა რუბრიკა: „გიხაროდენ“! ჩვენს გზებზე დღეს არავინ მომკვდარა: აგაშენათ ღმერთმა! შვიდი ახალგაზრდა ბიჭუნა — ჯარისკაცები... პირნათლად იხდიან სამხედრო სამსახურში საკუთარ ვალდებულებას. რაც ხდება ეკრანზე და მის მიღმა მშვენივრად ვიცი... მე მცხელა, ისინი კი ცეკვავენ. ირგვლივ რამდენ ფერსაც ვამჩნევ, იმდენი ტკივილია. დათვლის სურვილი მუდამაა, — არაა დამთვლელი. წინ გზაა. რამდენი საქმეა. რა დროს ლოგინი და ტემპერატურაა? შორს და იქით — ჩემი შვილებია. წინ გზაა. მოლოდინია და მამის ერთგულება. მამა ავადაა. მამის ერთგულება მარადიულია. ესენი ვილანი არიან? აჰა, ცეკვავენ! ქალწულებია, ქალებია, გოგონებია თუ მანდილოსნები? დასკვნა უეცარი: ქვეყანაზე იმდენივე ტყუილია, რამდენიც ქალია — გამრავლებული შვიდზე და გაყოფილი სამზე! რატომ მაინცდამაინც სამზე, ეს მხოლოდ ჩემი საქმეა... მამა ავადააო... რადგან მამა ავადაა, მაშასადამე (ეს უკვე მეორედ „მაშასადამე“). შესაძლებელი ყოფილა მამის ავადმყოფობა... სარკმლიდან მოჩანს აყვავებული ვაზი... კრთის ცვარი და ლექსის შთაბეჭდილების დანალექი... მოჩანს ყინწვისი. ცხვარი გზაზევე იყიდეს და აქვე დაკლეს, ანუ შესწირეს. ირგვლივ გაზაფხულია, ირგვლივ ჩაქაფულია, ირგვლივ უცნობ გოგონათა სხეულები ბურბურებენ და პოეტს უქრიალებს გულ-მკერდი... იდლიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნარია, ხელებში გიტარა! აგერ ტყემლის ხე, აგერ შინდი, აგერაც მუხა! — გსურს ახვალ, გსურს არა! აგერ ანგელოზი! თემა არის! განწყობა მით უმეტეს! ღვინოც აქვეა. ლექსიც ფიცხდება უცნობი გოგონას სხეულის თონეში!.. ცხელა საშინლად. მოგონებათა ქარავანია მთელი ქვეყანა და მთელი ცხოვრება! სარკმლიდან მოჩანს აყვავებული ვაზი და... მოჩანს სუნიც, მაგრამ დაუჯერებლად! რა აზრისანი არიან ამის შესახებ ტკივილზე შეყვარებული კაცბატონები (ანდა პირიქით)? ცდილობენ! მერე, როგორ ცდილობენ! საიდან მოდის? ვინ მოიფიქრა? როგორ ჩაყინეს ტვინებში. გააჩინეს დროის თანმხლები მოთხოვნილება: სიყვარული, სიხარული, სევდა, ალტყინება (და სხვა გრძნობები) დავიყვანოთ და ავიყვანოთ ტკივილამდეო... თუ ამას უბრალო ადამიანი იმეორებს — ეს უბრალო უგნურებაა, მაგრამ მატრაკვეცა შემოქმედებას რაღა ვუყოთ? გრძნობები სურთ დაიყვან-აიყვანონ ტკივილამდე, მაგრამ რას უზამენ კბილის, სწორი ნაწლავის, ყელის, ღვიძლის, თირკმლის, საშარდე ბუშტის, კუჭის, ნაღვლის ბუშტის (და სხვ.) ტკივილებს? გაჩნდა ასეთი კითხვა: კაცი უნდა აცვან ას ცალ მახათზე; ვიღაცას სურს უშველოს ტანჯულს და ათ მახათს აკლებს ასს; ვითომ შემსუბუქდება ოთხმოცდაათი მახათისაგან მიყენებული წამება?.. გავიცქირები სარკმელში და ვხედავ ორ გორაკს — ერთი ნეხვისაა, მეორე ჩვეულებრივი — ქვა-მიწისა. პირველზე უფრო ჯიშიანი ყვავილები ამოსულან. ჩვენც რომ ჩავდგეთ ფეხებით, იქნებ მოგვიხდეს და თავი გაგვისივდეს? იქნება ტანი და ჭკუა ავიყაროთ? მავიწყდება. რა არის პოეზია. დავრჩი ულექსოდ, ურითმოდ, მაგრამ ყოველივე არაფრით არ იქცა არარაობად. განა არ ვიცი, ვარ ლოგინში და... სიცხისაგან გონებას არ ვკარგავ. თვალები მიპრიალებს, კანი მიხურს, წამლებს ვაგინებ. ვაგინებ წამლების მომგონს და, რაღა თქმა უნდა, გამომშვებს და დამამზადებელს... ირგვლივ გაზაფხულია. წინ გზაა. გზის ბოლოში შვილებია. მე კი მტკივა ყელი, მტკივა ყველა სახსარი. მაშასადამე (უკვე მესამედ „მაშასადამე“) შემყრია გრიპი. ზედაც ანგინა. გინდა არ გინდა, აქ, სადაც მე ვარ, ექიმი მოვა და მეტყვის: არ აღელდეო. ნუ გეშინიათ („თ“-ში ვიგულისხმებით მე და ავადმყოფობა), მალე მორჩებით: ჩაყლაპეთ ბისეპტოლი, მიაყოლეთ სულფადიმეზინი, მოიხდინეთ ასკოფეინი, ჩამოიღვარეთ ოფლი, არ ადგეთ (არ ავდგეთ მე და სენი), სვით ბევრი წყალი, სარკმელი არ გამოაღოთ, ერთი მეტაციკლინიც გადაყლაპეთ და რამდენიმე დღეში ჩიტივით იქნებით (მე და ჩემი ავადმყოფობა ვიქნებით ჩიტებივით)... მე მტკივა და მსურს მოვიშორო ტკივილი... ვერ მაშორებს ექიმი და მარიგებს, რამდენიმე დღეში კარგად იქნებითო. ჯერჯერობით ვიცი, რომ არ მოვკვდები. ეს ყელის ტკივილი არ მომკლავს, მაგრამ... იყუჩეთ, ავადმყოფო! ტკივილს ვერ გაგიყუჩებთ! ტკივილის გაყუჩებას ნარკომანიის სუნი ასდის! ესეც ასე! შენ დაუკარ! გაღმა ქორწილია! ტკივილს ვერასგზით ვერ შევიყვარებ, ამიტომ ვფიქრობ, — ვინ არიან ექიმები? რა არის ექიმობა და მედიცინა? ტკივილი უნდა მოგიშუშონ თუ ჯერ მოგაყენონ და მერე მოგაშორონ? რატომ გვავიწყდება ის უილბლო, უბედო, თითქმის უბედური ექიმი, რომელიც თითოეულს გვიზის სხეულში? ჯარი, რომელიც ნაღდად იგებს ომს, ჯარი, რომელიც ჩვენს სისხლშია, ხომ მუდამ მივიწყებულია და განა ოდესმე ვინმემ დაუნთო სანთელი? თვით სამღვდელოებასაც არ მოსვლია აზრად — ეკარნახა ადამიანისათვის — მხოლოდ ზემოთ-ქვემოთ, გან-გან და გვერდზე კი ნუ აჭყეტ თვალებს, შიგნითაც მიმართე მხედველობა და სამადლობელი უთხარ ელენთას, ამ ერთი ბეწო ორგანოს, სადაც დამცავი, მშობლიური ჯარისკაცები იბადებიანო. „შეიცან თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი!“ — არის ამგვარი რამ, მაგრამ იგი ფართო მასშტაბის ლოზუნგია და ადამიანი მუდამ დაბნეულია — მაინც, რა შეიცნოს, როგორ შეიცნოს, არაფერი იცის: ეს არ არის არაფრის რევიზია... ეს უბრალოდ, დასიცხულის ფიქრებია. ოდნავ გალიზიანებული კაცის ნაფიქრია. კაცისა, რომელსაც საყდრის აშენება განუზრახავს. სახელი? დაბადების საყდარი! ვისი დაბადებისა? ეგ უკვე არავისი საქმე არაა! მიიღეთ საყდარი! ჩაიბარეთ საყდარი! და ილოცეთ გულმხურვალედ, რადგან (თურმე), მამის ავადმყოფობაც შესაძლებელი ყოფილა!.. ჩამჩურჩულებენ: ჰეი, შენ, იყავი გულმავიწყობის დაუძინებელი მტერი, თორემ ეგ ღუპავს დედამიწას და ეგ იქნება მიზეზი სამარადჟამო განსვენებისა! სადღაა განსვენება, ძმაო და მეგობარო, როცა სიკვდილი ჯოჯოხეთად იქცა? ჩემი შეკითხვა რჩება უპასუხოდ, რადგან მთავარია, სხვის ჩურჩულს უსმინო. ასე გამზარდეს! ასე მასწავლეს! ასე ჩამაგონეს! ირგვლივ ტკივილია. ჩემში ტკივილია. ბღავილიცაა. კვნესაცაა. ვკითხულობ: მავანმა ყ. დ. ლ-მ ქალს ცარიელი ბოთლი ჩაარტყა, საყურეები ბიბილოებიანად ჩამოგლიჯა. იმავ დღეს შეამტვრია ჩ. ს. დ-ს სახლის კარი და ცულის ყუის ჩარტყმით მოკლა... სასამართლო შესდგა (წარმომიდგება ყალყზე შემდგარი ცხენი) და ყ. დ. ლ-ს მიესაჯა თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა... აქვე ვკითხულობ: მ. ჰ. ყ-ს ხელზე შემოეჭამა (ანუ გაფლანგა) დიდი თანხა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება, დამნაშავეს მიესაჯა უმაღლესი ზომა — დახვრეტა... გონებაში ქაოსია. გონებაში ქორწილია. გონებაში ჰკივის კლარნეტი და გაღმა, სერებზე ცეკვავენ კინტოურს... უკვე ორმოცს მივუკაკუნე. იქნებ გარდამავალი პერიოდია? იგი რამდენიმეა და რამდენჯერმეა. ახალგაზრდობაში და სიბერეში მას ვერ ვამჩნევთ. შუა ასაკში კი იგი შეიგრძნობა გარდაცვალებამდე. თვალთ მაკლდება... თითქოს თვალთ დამაკლდა... არ მიკვირს — უკვე დროა. მთავარია, რომ ეს უმტკივნეულოა. ნაცნობობით ვიშოვნი მშვენიერ სათვალეს... მერე, სურვილისამებრ, შეგიძლია წიგნები აღარც წაიკითხო. მიზეზი ნათელია — თვალთ დაგაკლდა და იმიტომ. კითხვა კი თვალებს ღლის და აფუჭებს. ანდა, რას კითხულობ? რად გინდა? ნამდვილ ტკივილს ხომ მუდამ გავურბივართ? გვიყვარს გამოგონილი, პოეტურობამდე აყვანილი (ან დაყვანილი) ტკივილები, ანუ არ არსებული ტკივილები... როცა ავად ხარ, ისე ვერ ხარ, როგორც სხვები და ამიტომ შესაძლებელია, რაიმე დაგაბრალონ! ვიცით და მოველოდებით! სულ მზად ვართ! მზად ვართ, მზად! იქნებ ხმას დავუწიო? თორემ... ქვის ძეგლები მხოლოდ გადამალეს. ერთხელაც ფეხს აიდგამენ! რა ჯილაგისა ვარ? ნახევარ მსოფლიოს ვითომ ჩემმა მოდგმამ შეაყვარა ტკივილისადმი პატივისცემა? სიყვარული ტკივილამდეო, რომ მღერიან. ვინ არიან? რამდენიმე დღეც, ავტომანქანა მზადაა. მოტორი ჩემი გულივითაა — ერთგულად მუშაობს. წინ გზაა. იქით, გზის ბოლოში შვილები არიან... ქუჩაში ძაღლი ჰკივის. ექვსი წლის ბავშვი უმოწყალოდ სცემს კბილებში. ლეკვი შავია, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, — შავად ლამაზია... ტკივილამდე ლამაზია... ქუჩის კუთხეში მთვრალი და ულვაშოსანი კაცები დგანან. ულვაშს ვერ შეეხები. მაინც, რა არის ეს ულვაში? ულვაშოსნის სადღეგრძელოც არსებობს. ებაძებიან და ებაძებიან. ულვაში სიამაყედ აქციეს. საიდან და როდის? ზედა ტუჩზე ამოსული ბალანი კოხტად შეიჭრეს და დაარქვეს ნამუსი. ადამიანის ნამუსი რატომაა ულვაში? ნამუსი ხომ უფრო ღრმაა და სადღაც შიგნით, სულის სიღრმეებშია? ვგონებ ებაძებიან, ოღონდ ბრმად. არ იციან... შემსრულებელი იყო და ამიტომაც ებაძებიან... შავი ლეკვი წკმუტუნებს. ულვაშოსნები ბავშვების სადღეგრძელოს სვამენ სახალხოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუჩაში. თითით უჩვენებენ ძაღლის მაწამებელ ბალღზე. მაშასადამე (უკვე მეოთხედ „მაშასადამე“), მისი თამადობით და სახით სვამენ. თან ნატრობენ: ისე არ დაიქცევა ჩვენი ქვეყანა, იმნაირი ულვაშოსანი არ გაზარდოსო! იქნებ ეს ბალღიცაა? ბიჭოს! მართლაც და, ვინ იცის! ვთქვათ და, გავარდა ტყვია და მოხვდა მიზანში! აუჰ! რამდენი და რამდენს!.. სვამენ! მღერიან: „შენ რომ ზარი ჩამოჰკარი!..“ მღერიან, თუმცა სიმღერა არ იციან... ძაღლის მაწამებელ ბიჭს წიხლი მივაყოლე. დედამისი მოშორებით იდგა, ვიღაცას ესაუბრებოდა და თან იპრანჭებოდა... ლეკვი ხელში ავიყვანე, კაბინაში შევსვი. ულვაშოსნები გაცოცხლდნენ. ბიჭმა გამოიწია — ჩქარა დამიბრუნე, ჩემი ძაღლიაო. წადი, შენი დედაც-მეთქი, — ხმამაღლა შევაგინე. დედამისმაც გაიგო და შეიმშვენა. ულვაშიანებს ვეზიზღებოდი, მაგრამ შარისა ეშინოდათ. ჩემი შინაგანი ჯარი, სულ ახლახანს ანგინას და გრიპს რომ ებრძოდა, ისევ ჯაგარაშლილი იდგა. ეს იყო ჩემი საკუთარი, ჩემი სხეულის, ანუ ჩემი ნამდვილი ქვეყნის ჯარი. რაღა იყო საჭირო? ერთადერთი შეძახილიღა იყო საჭირო. არავინ გამოესარჩლა ბავშვს. მანქანა ნელა დავძარი. ქართლისკენ გავეშურე. ყელი და ენა მიშრება. ფიქრისას ადამიანი რამდენიმე სხვადასხვა ენას ხმარობს. ხანდახან კი უენოდაც ფიქრობს. არის კიდევ ერთი საიდუმლო, უცნობი და საერთო თავსატეხი... ყოველივე უბედურება მოდის ცუდი მოწაფეობიდან... ენაში უღრმესი საიდუმლოებაა. უფრო დიდი საიდუმლოებაა იმ ორგანოში, რომელიც ენას ცვლის. როცა ის ორგანო ჩაირთვება... სოფლად ფერადი ტელევიზორია ჩართული. ბიძაჩემი უცქერის. ვითომ უცქერის და სინამდვილეში თვლემს... ირგვლივ კი ორომტრიალია. კვლავ საგაზაფხულო ხვნაა შუა ზაფხულში. აგერ დიქტორი. ვისთანაც მრავალჯერ დამილევია ღვინო. ცალყბად იღიმება. ვფიქრობ დიქტორთა მასიურ გაფიცვაზე. მიზეზი? ვთქვათ, — მობეზრდათ ყოველ გაზაფხულზე ხვნა-თესვაზე საუბარი, ზაფხულში — ხილის, შემოდგომაზე — ყურძნის, ქარხნების გეგმა-ვალდებულებანი... აჰა, შევცქერი! კვლავ საგაზაფხულო ხვნაა. ვგონებ თესვაცაა. იყოს, რა არის ამაში ცუდი? თესონ და აცხონ პური! აღფრთოვანდნენ და გაგვახარონ!.. ეს ხომ საშუალებაა? ადამიანებს ხომ საშუალებათა გაძლიერება-დახვეწის უდიდესი მისია გვაკისრია. კაცის მოკვლა შეიძლება წკიპურტით, ბალახის ღერით, ქვით, ეკლით, სადგისით, ნემსით, რკინით, ბრინჯაოთი, სპილენძით, მოლიბდენით, კალიუმით, ხანჯლით, სატევრით, ბებუთით, ჯაყვით, ბარით, თოხით, ფიცრით, სარით, მარგილით, მიწის გორახით, ძვლით, კომბლით, კეტით, ცულით, ძალაყინით, ნიჩბით, ფიწლით, წალმით, დაკოდვით, კალმით, ტყვიით, თოკით, ბომბით, ტანჯვით, საჭმლით, წყლით, ღვინით... აიკრძალა მხოლოდ კარატე... ყოველივე კი გონებისა და ხელების საქმეა... ყოველივე ხელოვნებაა, რადგან ხელებიდან გამომდინარეობს (კამათი მერე. ერთი წუთით მოითმინეთ და გთხოვთ, დამაცადეთ). ხელებია მთავარი შემსრულებელი. ხანდახან და ხშირად ხელები იმას სჩადიან, რასაც მერე, მთელი სიცოცხლე გონება დარდობს. „ხელი წაუცდა“ — ბრწყინვალე გამოთქმა-გამართლებაა. გეგმაზომიერად ვანვითარებთ საშუალებათა და რეზერვთა სიმძლავრეებს... პრიმიტიული ცხოვრების სქემა ამგვარია: დედამიწა, ზედ მოსახლენი და შიგ ჩამაგრებულნი. ბრძოლა ურთიერთშორისი. ბრძოლა არსებობისათვის. ბრძოლა საკვების მოსაპოვებლად. ამის გამო ძლიერდება კბილები, კუნთები, იარაღი... ვიღაცა ვიღაცას ჭამს, რაღაცა ვიღაცას, ვიღაცა რაღაცას, რაღაცა რაღაცას... უჭმელობა სიკვდილია. რადგან ასეა, — უჭმელობა დაუშვებელია. რადგანაც ეს ისევ ასეა, რადგან ადამიანები ბევრნი არიან, ბევრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასს კი სჭირდება კონცენტრაცია, ირჩევენ ბელადს. ასეა ოდითგან! ბელადი ყველგან და ყოველთვის საჭირო იყო... არ ვიცით, რა იქნება შემდეგ, მაგრამ აქამდე მხოლოდ ასე იყო... ირჩევენ ბელადს... ძლიერი კუნთისა და გონების კაცი მუდამ წინამძღოლია. რადგან ერთია წინამძღოლი, ამიტომ იგი მბრძანებელიცაა. ბელადის სიტყვების გარჩევას და ადამიანებამდე მიტანას სპეციალური სამსახური გააჩნია... ადამიანებმა უხსოვარ დროს აითვისეს შეფერადება, გადაჭარბება... მრუდე ხეს ასწორებენ, ფანტაზიის ხეს ასის მაგიერ ათას ცალ ნაყოფს ჩამოჰკიდებენ და... სუფევს შელამაზებული სიყვარული, ხათრიჯამობა წინამძღოლსა და ქვეშევრდომებს შორის. გაჰკივიან ჰარმონიაზე... რა ხდება? ამგვარი კითხვის დასმა არ შეიძლება! რატომ? იმიტომ, რომ ცხოვრება მართლაც ხომ მშვენიერია: აგერ მზე, აგერ აღმოსავლეთი, აგერ ყვავილი და საყვარელი! აგერ ქალი! აჰა, გამრავლებაც! აგერ ბავშვები!.. ამიტომ, ვხნავთ გაზაფხულზეც, ვხნავთ შემოდგომაზეც, ვიცით... შარშან კი იყო, მაგრამ ახლაც ხომ არის? მაშინ იყო დომენტი! ახლა არის დოცენტი! კიდევ კარგი, იცვლება დრო და საათი წიკწიკებს! გამეორება ხომ ცოდნის დედაა? რას ერჩით საავადმყოფოს, რომელსაც ოცი წელიწადი აშენებდნენ? აბა შეიხედეთ მის კედლებში! შესასვლელში ფერადზე თეთრით აწერია: „ჩემი საავადმყოფო ჩემი სიამაყეა!“ იახშიოლ! საღოლ! ყოჩაღ და ბარაქალა! მოდის აზია სამკურნალოდ! ევროპა ქირურგია! ევროპა თერაპევტია! ერთიღაა საძებნი: სად გაქრნენ სივრცისეული ჰათანატომები?.. და, დასკვნა არც მთლად უცნაური: როცა ადამიანები ცეკვას თავს დაანებებენ, მაშინ დასრულდება საყოველთაო ბავშვობა, გულუბრყვილობა (იქნებ სიბრიყვეც) და სერიოზულ საქმიანობას დაიწყებენ... ქალები ყოველ დილით გულმოდგინედ ბერტყავენ ზეწრებს. ეს ძველთაგანვე ასეა. ეს შეძენილი ჩვევაა და საათის გამოგონებასთან რაღაც საერთო გააჩნია... მაინც რას ბერტყავენ ქალები ყოველ დილით ზეწრებიდან? რაც ღამე გროვდება ლოგინში?.. რატომ არ გაბრაზდა იმ ბავშვის დედა, მე რომ შევაგინე? მოხდა, ეტყობა, რაღაცა ისეთი, რამაც... ჰო... ჰიტლერი ვახსენე. ფაშისტი ხომ არა ხარ-მეთქი, — დავუყვირე. ფაშიზმის ხსენებამ მეც გადამარჩინა, ძაღლიც, ბავშვიც და ის ულვაშოსნებიც... გული მჩხვლეტს (ანდა, თვითონ მას სჩხვლეტს სატკივარი), წელი მტეხს, ფეხებში მჭვალავს და ყოველივე ეს ტკივილია... როგორ შევიყვარო ტკივილი? ტკივილის ძეგლების აღმართვას ხომ მიჰყვეს ხელი? რამდენმა ნაბიჭვარმა გაითქვა სახელი მსოფლიოში?.. იქით-აქეთ ყაყანია ქვეყნიერების. ვიღაცას სურს, რომ ქალური საწყისის შვილები იყოს ჩვენი მოდგმა. ვიღაცა გვამშვიდებს, რომ ტკივილი დავივიწყოთ, რადგან ხვალინდელი დღე არსებობს. ვიღაცა ცდილობს ოპერაციით ჩაკვეთოს ჩვენი მახსოვრობა... გვავიწყებენ! სამაგიეროდ აგებენ უშველებელ ჭრელ-ჭრულა კედლებს (რომლებსაც, როგორც ყოველივეს არა და... ბომბებითააფეთქებენ ადრე თუ გვიან), არუქურთმებენ ულვაშოსან ტკივილს და ნატრობენ ტკივილად გადაქცევას... სწადიათ — ცხოვრება ტკივილად აქციონ... ირგვლივ ქართლია. შავი ლეკვი ზის ჩუმად და არ ვიცი, რას ფიქრობს. ყველგან სიმწვანეა. ამ ძაღლს ვჩუქნი ბიძაჩემს და მწამს — იგი მუდამ მადლიერი იქნება პატრონისა... უცბად იკვრება ხევს გაღმითა გზა. ასიგნალებენ! რა ხდება? ბევრი არაფერი! გზად მიაბიჯებს მაღალი, თეძოგანიერი გოგონა. ულვაშოსნები ჩაჯდომას სთავაზობენ. ქალი კი მიდის ამაყად. აქ აზიაა. უმრავლესობაში ზის შაჰ-აბასი! აქ, რადგან აზიაა, უკანალი უფრო ძვირად ფასობს. ოღონდაც, საამისოდ შავი ბაზარია. დაბერტყილ ზეწრებში კი ღამღამობით ყოველივე შავად ეჩვენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ ულვაშათა ლეგიონებს... ვიღაცა მიმტკიცებდა ერთხელ: ულვაში ანტისანიტარიააო. ვერ დავუჯერე. როგორ შეიძლება საამაყო გქონდეს რაიმე და იგი... მტკივა და მაინც მივაბიჯებ. სოფელში მრავალი ქალაქელია. ისვენებენ. ხიდთან ძაღლი გდია. ისიც შავია. შუაზე გაუგლეჯია ბორბალს. კითხვა: ნეტავ მკვდარია? თურმე მკვდარია. ნელა ჩავუარე. კბილები უჩანდა და ყურში... ყურში სიგარეტის ნამწვავი ჰქონდა ჩაჩრილი. აუჰ! ირგვლივ რამდენი ტკივილია! ეს ხომ აზიაა! აქვეა შაჰ-აბასი და თემურ-ლენგი! იახშიოლ და საღოლ! ყოჩაღ!.. ეზოში გრილა. ლეკვს ცუგა დავარქვი. ჩამოვჯექ ნუშთან. შეიძლება თუ არა იმ კაცის დასჯა, ვინც ძაღლს სიგარეტი ჩაარჭო ყურში?.. სსსს! ამგვარი აზრების გამჟღავნება საშიშია! ფსიქიკა რთული რამაა. იქ ლაბირინთებია! ერთი, ორი, სამი და ფსიქიატრულში დინჯად დაგხედავს საკმაოდ ცნობილი, სახელოვანი, განთქმული პროფესორი! სსსს! ჩუმად! ვინ შეაყვარა ამათ ტკივილი და წამება? ვინ ილალადა — ტკივილამდე დაიყვანეთ სიყვარულიო? იქნებ იყო ვინმე სწორუპოვარი? მას მუდამ იცავდნენ. ებაძებოდნენ. თმას იკრეჭდნენ მისებურად. ზედა ტუჩზე იზრდიდნენ ბალანს! სწორუპოვარს სულაც არ უყვარდა თანამოძმენი, მაგრამ განა მონობის მოტრფიალეს რაიმე შეაჩერებს? მონობამ შეყვარება იცის... აგერ ლექსებიც მიძღვნილი საყვარელი ქალისადმი: ვემონები შენს... დამიმონა შენმა და ასე შემდეგ. უყვართ, სტკივათ და ემონებიან. ამნაირნი ღირსნი არიან სწორუპოვრებისა და მათი კვლავ გაჩენისა (თფუი ეშმაკს!). სიბრიყვე ატამივითაა? არა და არა! სიბრიყვე ზოგადსაკაცობრიო მოვლენაა და იგი საზოგადოებათმცოდნეებს სულაც არ ენაღვლებათ... მეზიზღება ტკივილი და მენატრება ერთადერთი ქართული სიმღერა... სიმღერა უძველესი... არ მსურს რომელიღაც რაიონის თვითშემოქმედებითი კოლექტივის ხმის გაგონება... ერთადერთი სიმღერა მსურს... ერთადერთი კაცის ნამღერი... კაცისა, რომელიც მხოლოდ აღარასოდესღა თუ დაიბადება და გამოჩნდება, რადგან საშინლად ეტკინა სიკვდილის წინ... საზიზღრად ეტკინა... დაუმსახურებლად ეტკინა... მიჩნდება სურვილი (იქნებ კიდეც მკარნახობენ) სანთლის დანთებისა. ვის ვუნთებ? არავისი საქმე არაა, მაგრამ... მწამს, რომ სივრცეში კაცობრიობაზე დიდი აზრი არსებობს! აზრი დიდებული, უტკივარი, სალბუნი, მშვენიერი, ჩვენზე კარგი და ჩვენზე მოწინავე! სწორედ იმას ვუნთებ. არის ღმერთიც! მწამს, რომ უდიდესი გონებაა ის, რაც მოჩანს და რაც არ მოჩანს... ჩვენი ტვინი სამყაროს მოდელია... ეს არ არის ახალი... მაგრამ არც ძველია... ჩვენ ტვინს ისევე ვიცნობთ, როგორც უსასრულობას... ვანთებ სანთელს და იმდენჯერვე მშვიდად ვარ, რამდენიც ვარ სივრცეში... წელან რა ვთქვი? უკვე მავიწყდება. მოდის ტკივილი. მოდის სიცხე! არის განგება! არის ღმერთიც! ოღონდ... ოღონდაც. დედამიწის ბედ-იღბალი ფეხებზე ჰკიდია... სულ სხვაა მამა... მაგრამ, თურმე მამის ავადმყოფობაც რომ შეიძლება? სულ სხვაა მამაზეციერი, მაგრამ ვინაა მიმტანი მის ყურამდე... სსსს! ამგვარი ფიქრი სასტიკად აკრძალულია! სსსს! კი ბატონო, იყოს მაღლიდან, მაშასადამე (უკვე მეხუთეთ „მაშასადამე“), ღმერთისაგან: სსსს! დედამიწელი ძმაკაცებისგან სსსს! ულვაშოსანთა მოდგმისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსსს! კი ბატონო, იყოს — სსსს! მაშ როგორ? აჰა! სჯობს სახლის უკან გავიდეთ. იქ მდელოა... მკარნახობენ: გადი, მდელოზე ყვავილებია, დადექი პოეტურ განწყობილებაზე და ქვის ძეგლებზე დაწერე მშვენიერი ლექსი. ასე სჯობს შენთვისაც და!.. იცოდე! დაიმახსოვრე!.. ნელა მივდივარ და მეშინია უყვავილობისა. უყვავილობისა არა და, ტკივილით მათი შეყვარებისა კი მეშინია! აი, ეს მდელოც. აქა ვარ! აუჰ! რა ფერია! ამას არ ჰქვია ფერი! რადგან არ ჰქვია, მაშასადამე (უკვე მეექვსედ „მაშა სადა მე?“) ვერც ტკივილს მიუყენებ! მაინც, რა ფერია? და, ეს უსახელო, რა მშვენიერია! ცრემლები თავისით მოედინებიან. ვითომ ვინმე დამიშლის? ისე დამაჩვიეს ბრძოლას, ისე გამზარდეს ბრძოლის სულისკვეთებით, ისე ვარ გაჟღენთილი ბრძოლით, მე ვარ ბრძოლის ველი! მე ვარ იარაღი... უიარაღოდ თავს ვეღარ ვგრძნობ... ეს სამწუხაროა და ვგონებ მტკივნეულიც... ამ მდელოზე ახლა არ არიან ბავშვები, მაგრამ ერთხელაც მოვლენ. მოვლენ და უმტკივნეულოდ დაწნავენ გვირგვინებს. გვირგვინებს — ყველაზე ძვირფას ჯილდოს, რაც ცოდვილ კაცს შეუქმნია და მოუფიქრებია თამბაქოსფერ დედამიწაზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რენე კალანდია

## ცისფერი ბელურა ნაცრისფერ ფონზე

ვეებერთელა სიცარიელევ,
ჟამის ლოდივით რომ აწვები ჩემს ყვითელ ფიტულს,
რას მივაწერო,
შენი აჩრდილის
აგვისტოში გამოცხადება?..
ვეებერთელა სიცარიელევ,
ოთხ კედელს შუა მოფარფატე მდუმარების ფრთებს
რა სევდა მოაქვთ დაბადებიდან?..
ხმაურის კარის —
ქალალდის მთების —
კოლეგებისთვის უჟანგავი გასაღები,
ნიღაბი,
ტაში,
თუ უფლის მსჯავრი — ყარიბის გზის უსასრულობა?..

ვეებერთელა სიცარიელევ,
„ოქროს თევზის" მკვრივი ბუშტივით
რომ აწვები ჩემს დაღლილ ფიტულს,
რას მივაწერო,
შენი აჩრდილის
უეცარი გამოცხადება?..

ვეებერთელა სიცარიელევ,
იქ — ატლანტის ოკეანეშიც
კარგად იცნობენ სხივჩამქრალ სხეულს,
ნეკნებს — კლავიშებს
თ ე ვ ზ ე ბ ი...
ვერას მიშველის აკვალანგი „ლიტერატორის"...

ვეებერთელა სიცარიელევ,
წყალმცენარეთა მდუმარე ჩრდილში
ანათებს ჩემი ორეული —
მჟღერი ნიჟარა...

ვეებერთელა სიცარიელევ,
ჟამის ლოდივით რომ აწვები ჩემს ყვითელ ფიტულს,
რას მივაწერო —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი აჩრდილის
ავგისტოში გამოცხადება?..
როდესაც ხეზე ბელურა უსტვენს
გამოლვიძების
ცისფერ სიმღერას...

## PONTE DEI SOSPIRI*

ვუახლოვდებით,
ვუახლოვდებით,
ვუახლოვდებით,
ვუახლოვდებით ხიდს, რომელიც აწ და მარადის
დარჩება ჩვენში,
ვით გარდუვალის უფერული,
გულსევდიანი,
გულბინდიანი,
გულჯანლიანი,
გულჯავრიანი,
გულწასული მზის ჩასვენება
და სინანულის საწამლავით
ავსებული დუმილის თასი
მრუმე მოაჯირს,
თუჯის მოაჯირს,
ყინვის მოაჯირს მოვკიდეთ ხელი
და თვალს ვადევნებთ ყვითელ ფოთლებს —
სიზმრის ყვავილებს.

„ო!
ოო!
ოოო-ხ-ხ-ხ-ხ!..
მარგარიტა,
მარგალიტა,
მარგო,
მარგუშა!.."
დაე, კვნესოდეს პატეფონი — საღამოს მეფე,
სენტიმენტალურ ცრემლების ღმერთი,
გარდუვალია განშორების ხიდზე გადასვლა;
უახლოვდება,
უახლოვდება,
უახლოვდება
ამოოხვრათა შუაგულს ნემსი...

---

* „ამოოხვრათა ხიდი" (იტალ.).

## უნგრული დეკემბერი

წარმოსახვის თამამმა მოკლა...

ატტილა იოჟეფი

მატარებელმა მიაბღავლა, და ახრიალდა წყვდიადი...
ასრიალდა მძიმე ბორბალი მარადმშფოთვარე სხეულზე,
სტრიქონებივით ჩაეწნა რკინას სულის და ხორცის
ნაფლეთები, ხოლო თვალებში აფართხალდა თავზარდამ-
ცემი — ყორნის ფრთებივით ჩამოძენძილ-ჩამოწეწილი
წმინდა ძაძები დედაჩემისა...

აწ აღარაა არაფრის შიში!..
ძმებო, შიმშილი არ მომაკითხავს,
არც წარმოსახვა...
დასრულდა სრბოლა — მიწყივ წანწალი პოეზიაში...

თამაში რაა? — არარა!
ტკივილი რაა? — არარა!
სიცოცხლე რაა? — არარა!
მიერეკება სილის ბორცვს ქარი,
მიერეკება ქარს ჟრუანტელი,
მიერეკება ჟრუანტელს შიში...

...და ყოველივე ამქვეყნად ხდება
ამაოების სახელით...

## დასასრულის ყვავილები

დნეპრის ნაპირიდან

დამთავრდა უკვე. აღარაფერს ველი ძვირფასო,
აღარც წერილს — მუდარით სავსეს და არც ყვა-
ვილს ცვარ-ნამის მძივით...
დამთავრდა უკვე. გაცივდა გული და სიჭაბუკის
მთრთოლვარე ნერვზე წლების რემამ გადაირბინა
და ფლოქვებით ჩაჭყლეტილი, გვალვით დამსკდარი
მკერდი დატოვა, ვით უფლის თიხა — სამოთხედან
გაძევებული...
დამთავრდა უკვე. მწუხარე თვალთა ცრემლდამშრალი
უპეები იავარქმნილ ტბათა ფსკერია, სადაც ფოთ-
ლები შემოდგომური — უწყლოდ დახოცილ თევზების
დარად — პირველყოფილ ქაოსად ჰყრია...
დამთავრდა უკვე. სიყვარულის უსასრულო სივრცე-
ებიდან გარბის ჩემი დაღლილი ლანდი — სევდიანი
აღსასრულის უფერული მიმართულებით...
დამთავრდა უკვე. აღარაფერს ველი, ძვირფასო,
აღარც ბარათს: გული ლოდინის სიმძიმით გასკდა,
გული — პატარა ნაღმი...

## გაგრძელების მოლოდინი

ისევ მარტო ვარ, სიმარტოვის ანგელოსი ვარ...
(ნუ გეშინიათ, სულაც არ მტკივა!..)
ო, სულის ნესტო თუ ნესტარო, —
სიმდიდრევ ჩემო,
ვუმზიროთ ერთად ამ ნაცრისფერ
მდუმარებაში
სხვათა იისფერ მოსვლის დღეებს და
ჩემს რუხ დღეთა გარდაცვალებას...

ხნულში იღვიძებს ჟამის მარცვალი:
„ყოფნა, არყოფნა?.." —
ცახცახებს ქარში...
ვინ, ვინ იკადრა კომედიის უსასრულობა
ან, რად გვპირდება ი. პშიბოსი,
რომ „გაგრძელება იქნება"?..

წამო ნეტარო,
სხივო ციერო,
მე მაპატიეთ, რომ ვეფერები
თქვენს დიად მოსვლას — აქ მობრძანებას...
და თუ კვლავ არ გსურთ,
რომ ისმინოთ ვედრება ჩემი;
ჩამოამსხვრიეთ ეს საღამოც,
ჩამოამსხვრიეთ და დაწურეთ
სიზმრის ქვეყნის ბროწეულივით,
რათა განათდეს უძირო ფსკერი
ჩემი დუმილის ღამისა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მერი შალვაშვილი

## გაზაფხულის სიმფონია

ვარდობისთვეებს შეგიგროვებ
ჩემი პეშვებით,
გავაღებ კარებს და შენს
ტაძრებში
მიმოვაბნევ სუყველა ლოცვას,
მოპარულს ხორკლიანი დღეების
ხელით,
მე შემოვავლებ საქართველო —
შენს მთა-გორებს იების სურნელს,
მე შევინახავ შენს ღამეებს
ფრთხილად, სათუთად.
რომ ვუსაჩუქრო იმ განთიადებს
რომელთაც ახსოვთ შენი სახელი.
მე მიმოვაფენ შენი თმების
მწვანე ტევრს ირგვლივ,
ჩავიხედავ მთვარის ცრემლში,
ცრემლში მამულის...
მივეჩვევი წვიმის ამბორსაც —
ეს შენი თბილი ხელისგულია
ნაკადულივით რომ გადაირბენს
ჩემს შემკრთალ მხრებზე.
ისევ მზე ფეთქავს
საუკუნეთა მწვანე შრეებქვეშ...
ვარდობისთვეებს შეგიგროვებ
ჩემი
პეშვებით.

## თქვენდამი

მე ვიცი სანთელს ხვალ ვინ ამინთებს
ვინ შეეხება ჩემს სულს თითებით,
ევედრებიან შემკრთალ ამინდებს,
ცრემლით ნაშენი პირამიდები.

მზე სიძულვილის ვისგან ამოდის,
შუბლზე კრძალვით ვინ მეამბორება,
ვინ გამინათებს ცრუ სამყაროთი —
სურვილებისგან დაღლილ გონებას.

ვინ დამიტოვებს ტკივილთ
მარწუხებს,
როდის მომცელავს თვალი ბოროტი,
ჩემი დუმილი ვის შეაწუხებს,
ვისიც მჯეროდა და გენდობოდით.

ღმერთმა შეგინდოთ, რომ შეგალიეთ
ჩემი სიკეთე ცრემლი, ნუგეში,
რომ გიმღეროდით მზისფერ არიებს,
გულგრილ და შეშლილ საუკუნეში.

მე ვიცი, სანთელს ხვალ ვინ
ამინთებს,
სულს ვინ გამითბობს ხორბლის
თითებით,
ევედრებიან შემკრთალ ამინდებს
ცრემლით ნაშენი პირამიდები.

## სიხარულიც ჩრდილია ცრემლის

ჩაედინება სული მზეში,
უსასრულო ფიქრის მდინარე —
ცეცხლოვანი და უწყინარი.
რადგან ნაპირი არსაით ჩანს
და მწვავს ისევ უამინდობა —
ცის შეშლილი დირიჟორის
ნაკარნახევი.
ჩამოდის კიბით უშენობა,
ძველისძველია გრძნობა მოთმენის,
(როგორც არყოფნა და სიყვარული).
რამეთუ ღმერთი ტკივილით თუ
გასაჩუქრებდა,
თუ სადმე იყო ამ საჩუქარში
ღვთაებრივი
სიყვარული, უკვე აღარ დაიჯერებდი,
თვით მწუხარე სხეული შენი
უკვე არავის გააკვირვებდა,
გადაჩვეული სილაღეს და
თავისუფლებას.
ისევ ფეთქავენ რიჟრაჟები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამჭვირვალე ნაკადულებით,
მონუსხული ვარ როგორც მაგია,
და ღმერთო ჩემო, ცრემლის მაგიერ
გასხივოსნებულ დილას ვემთხვევი...
რა, რა მოხდება შეცნობის შემდეგ?
შეუცნობლობა მუხლმომტვრეულ
საღამოს მოჰგავს,
როკავს კითხვების საუკუნე:
იქნებ ცოდვა-მადლს ერთი ძირი
აქვს
და სიხარულიც ჩრდილია ცრემლის,
იქნებ ტკივილი — არც ტკივილია,
და იქნებ, იქნებ თვითონ ხარ
ღმერთი?!
ჩაედინება სული მზეში —
უსასრულო ფიქრის მდინარე
ცეცხლოვანი და უწყინარი,
ფეთქავს პატარა ნაკადული,
დედამიწის სიცოცხლის ხაზი.

## თაფლობის თვე

1.

ისევ წვიმებით სველი მაქვს სული,
შემოდის ლექსი ტკივილის ჩადრით,
იქნებ როგორმე სიძულვილმა
მომაკითხოს,
შემომეშველოს, ძილბურანიდან
გამომიყვანოს.
გადაღლილი ვარ სიყვარულით,
იქნებ შეშლილიც...
დეკემბრის წამწამს ჰკიდია ცრემლი,
გამჭვირვალე კითხვათა გროვა:
ეი, თქვენ სათნო ქალბატონო,
გულგრილობა რით ვერ შესძელით,
თაფლისფერია თქვენი სიმშვიდე,
თქვენი სიკეთეც თაფლობის დღეს
ჰგავს,
ეს ის ზედმეტი სიკეთეა
რომლისთვისაც უნდა ეწამო,
ამდენ სიკეთეს ხვალ არავინ
არ გაპატიებს,
არც სიყვარულს გაპატიებენ,
თუკი წამოგცდა, თუ გაიგეს,
რომ მართლა გიყვარს.

2.

ხელისცეცებით შემოვდივარ შენს
სამყაროში,
ასე ბრმა იგნებს გზას ბილიკზე.
მხოლოდ ერთს ვფიქრობ,
ეს მზე მაინც არ ჩამოვარდეს
და თითებში არ ჩამემსხვრეს,
დეკემბრის მზე უნიათო,
არაფრისშემძლე,
იოდისფერი მოდის საღამო,
ისევ იცინის გულგრილთა კასტა,
და აღარ მყოფნის სურვილები,
ხვალინდელი დღის შესავსებად
და სიყვარულის გადასარჩენად.

3.

მართლაც თითქოსდა, რა ადვილია,
საგულდაგულოდ დამალული
სიტყვები გითხრა:
ეს დეკემბერი მე არ მჭირდება,
რომ შემიძლია ყველაფერი ვაპატიო
და დავივიწყო,
ღამეებს აღარ ამოავსებ მთვარის
ლექსებით
და ჩემი ტვინის ხვეულებში,
ნისლოვანი ბრძანებები არ გაიცემა.
აღარ შემორჩათ იასამნის სურნელი
ქარებს;
იქნებ ქარებსაც სათქმელი მოაქვთ
ისინი ხომ მთელი ზაფხული
ჯიუტად დუმდნენ.
ქარსაც ღმერთივით უნდა მიენდო
რამეთუ ისიც, ღმერთივით
უსახურია.

4.

გადაღლილი ვარ სიყვარულით,
იქნებ შეშლილიც...
დეკემბრის წვიმას ჰკიდია ცრემლი,
ხვალ არაფერი უკეთესი აღარ
მოხდება:
შენი თვალები და დეკემბერი,
სიყვარულით,
ჩემსკენ არასდროს არ მოიხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირმა კეკელიძე

# მოთხრობები

## რიგით მეთხუთმეტე

აუდიტორიაში სტუდენტები ჩვეული ხმაურით საუბრობდნენ. ზარი რამდენიმე წუთის დარეკილი იყო, მაგრამ ისინი მაინც არ ჩქარობდნენ თავიანთ ადგილებზე დასხდომას. როგორც იქნა, ასისტენტი შემოვიდა. სტუდენტებმა ნელ-ნელა, ზლაზვნით მიაშურეს მერხებს. ასისტენტი, შუახანს მიტანებული ქალი, ულიმღამოდ მიესალმა სტუდენტებს და, მათთვის არც შეუხედავს, ისე იკითხა:

— ყველანი ხართ?

— დიახ, — წამოიყვირა რამდენიმე სტუდენტმა ერთად.

ქალმა თვალი გადაავლო აუდიტორიას.

— არა მგონია, თუმცა ახლავე შევამოწმებ, — ეჭვნარევად ჩაილაპარაკა და ჟურნალი გადაშალა.

— არ გინდათ, პატივცემულო, მალე მოვლენ, რა! — წამოიძახა უკანა მერხიდან რომელიღაცამ.

— სად ბრძანდებიან, აღარ არის დრო, რომ იკადრონ შემოსვლა?..—სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ აუდიტორიის კარი გაიღო და რამდენიმე აქლოშინებული ბიჭი ერთად შემოვიდა.

— დაბრძანდით! — ცივად წარმოსთქვა ქალმა და ფანჯრის მიღმა გაიხედა. — მოამზადეთ დავალება?

ჯგუფში უხერხული, ჩუმი ჩოჩქოლი შეიქნა. სტუდენტები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

— რაო, არ მოგიმზადებიათ? — ისევ იკითხა ასისტენტმა და ჯგუფს თვალი გადაავლო.

შეკითხვა კვლავ უპასუხოდ დარჩა.

— ეჰ, თქვენ თუ გიყურეთ... — ჩაილაპარაკა ქალმა და ჯგუფს გადახედა: — იქნებ თქვენი სურვილით მიპასუხოს რომელიმემ?

ჯგუფი კვლავ დუმდა. ასისტენტმა კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი სტუდენტებს, შემდეგ თავი უიმედოდ გაიქნია და ჟურნალს ჩახედა.

— მიპასუხებს სიაში რიგით მეთხუთმეტე. აბა, ვნახოთ, ვინ არის!

სტუდენტები შეიშმუშნენ, წესიერად არც კი იცოდნენ, რიგით რომელნი იყვნენ, ასეთი უცნაური გამოკითხვა მხოლოდ ამ ასისტენტმა იცოდა.

— რიგით მეთხუთმეტე! — გაიმეორა ასისტენტმა და გადაშლილ ჟურნალში საჩვენებელი თითი ჩაასრიალა. — ხომერიკი... ხომერიკი! — ორჯერ წამოიძახა შეცბუნებულმა.

— დააგვიანდება, პატივცემულო, აუცილებლად მოვა, „არა“ არ დაუწეროთ, რა! — შეევედრა პირველ მერხზე, ფანჯრის მხარეს მჯდომი ქერათმიანი, ცისფერთვალება გოგო.

ასისტენტმა უკმაყოფილოდ გადახედა გოგოს. მერე ისევ ჟურნალს ჩახედა და წაიკითხა: — ხომერიკი ზაზა გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამის ძე. „ღმერთო ჩემო, ნუთუ გურამის შვილია?" რა ხანია ამ ჯგუფში ატარებს მეცადინეობას და ჟურნალი არც კი გადაუშლია, რომ სტუდენტების გვარები წაეკითხა. ისედაც იშვიათად კითხულობს სიას. „არა, როგორ შეიძლება, ნუთუ ამდენი დრო გავიდა, რომ უკვე სტუდენტი შვილი ჰყავს?!. ნეტა დროზე მაინც შემოვიდეს, თუ მართლა მისი შვილია, არ შეიძლება არ ჰგავდეს. ნეტავი შემოვიდეს..." — ფიქრი არც კი დაესრულებინა, რომ კარი ვიღაცამ შემოაღო. ოთახში მაღალი, სუსტი, შავგვრემანი ბიჭი შემოვიდა.

— აი, პატივცემულო, მოვიდა ხომერიკი! — წამოიძახა წინა მერხზე მჯდარმა ქერათმიანმა ქალიშვილმა.

ასისტენტი უცებ გამოერკვა, ბიჭს შეხედა და ხმადაბლა უთხრა:

— დაჯექი, ხომერიკი!

ხომერიკი ნელ-ნელა, ზლაზვნით გაემართა უკანა მერხისაკენ.

— წინ დაჯექი, ხომერიკი, წინაც ხომ არის ადგილი?!

ბიჭი ახლა უფრო მეტი ზლაზვნით წავიდა წინა მერხისაკენ.

„ღმერთო ჩემო, თითქოს ჰგავს, იმანაც ზუსტად ასე იცოდა, შემოვიდოდა თუ არა ჯგუფში, ასეთივე ნელი ნაბიჯებით უკანა მერხისკენ აიღებდა გეზს".

— დღეისთვის მზად ხართ, ხომერიკი? — მოულოდნელად ჰკითხა ბიჭს.

ხომერიკი ნელა, უღიმღამოდ წამოდგა, თავი არც აუწევია, ისე უპასუხა:

— არა, პატივცემულო, არ ვიცი!

„ღიერთო ჩემო, როგორ ჰგავს, იმანაც ხომ ასე იცოდა... მოდი, რაც არის, არის, ვკითხავ, რა მოხდა მერე!" — გაიფიქრა ქალმა და ბიჭს ოდნავ ხმადაბალი და თითქოს შემკრთალი ხმითაც ჰკითხა:

—სადაური ხარ, ხომერიკი?

— აქაური, თბილისელი ვარ!

— სად ცხოვრობ, რომელ უბანში?

— მუხიანში!

— დიდი ხანია, რაც მუხიანში ცხოვრობთ?

— არა, ორი წელია!

— მანამდე სად ცხოვრობდით? — ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა ქალი.

— ნაძალადევში...

— ნაძალადევში?! — თავი ველარ შეიკავა და საკმაოდ ხმამაღლა გაიმეორა. — მამა რა პროფესიისა?

— ექიმია! — მოკლედ უპასუხა ბიჭმა.

— ექიმი?! ნევროპათოლოგი ხომ არა?

— დიახ, ნევროპათოლოგია, — ბიჭი თითქოს გააოცა ასისტენტის ასეთმა ცნობისმოყვარეობამ და ახლა თვითონაც დაუბრუნა კითხვა:

— თქვენ რა, იცნობთ მამაჩემს?

— ჰო, მგონი, რა ვიცი, თუ არ მეშლება, მე მყავდა თანაჯგუფელი გურამი ხომერიკი, სამი ძმა იყო, ნაძალადევში ცხოვრობდნენ ისინიც...

— დიახ, ჩემი ბიძები არიან! — არ დაამთავრებინა სიტყვა ბიჭმა. — ახლაც ნაძალადევში ცხოვრობენ.

— ერთი წყალბურთელი იყო...

— დიახ, ერთი წყალბურთელია...

— ღმერთო ჩემო, როგორი დამთხვევაა, მე და გურამი ერთ ჯგუფში ვსწავლობდით, სიაში რიგით ისიც მეთხუთმეტე იყო.

ბიჭმა აღარაფერი უპასუხა, უბრალოდ მხრები აიჩეჩა და ასისტენტს გაოცებით შეხედა. ცოტა ხანი უყურა და შემდეგ ჩუმად თქვა:

— შეიძლება დავჯდე?

— დაჯექი! — მოკლედ უპასუხა ასისტენტმა.

— ...დღეს ერთმა ასისტენტმა მკითხა შენზე, გურამის შვილი ხარო?

— ვინ?

— მიკრობიოლოგიას გვასწავლის, გაუთხოვარია, ცოტა უცნაური ქალია.

— რა გვარია?

— ჩადუნელი...

— ლალი?!

— ჰო, მგონი, ლალი ჰქვია... გაოცებული მიყურებდა, ნუთუ გურამის შვილი ხარო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთ ჯგუფში ვსწავლობდით...

— ჰო, მითხრა, თანაც რა საოცარი დამთხვევაა, სიაში რიგით ისიც მეთხუთმეტე იყოო...

— შენც მეთხუთმეტე ხარ?

— ჰო, დღემდე ზუსტად არც კი ვიცოდი...

— რა უცბად გაირბინა ექვსმა წელმა, გახსოვს, გურამ, ბოლო მისაღები გამოცდა რომ ჩავაბარეთ?

— ჰო, მახსოვს!

— ჩარიცხულთა სიების სანახავად რომ მივედი, ინსტიტუტში კიბესთან შემხვდი, მე არც კი შემომიხედავს, ისე ავაბიჯე პირველ საფეხურზე. შენ მოულოდნელად მკლავზე ძლიერად წამატანე ხელი, ძალით შემაჩერე და გაღიმებული სახით მკითხე: „გამარჯობა“ სახლში დაგრჩა, გოგონი?“ მე უხერხულად გამეღიმა და ხმადაბლა გითხარი: „გამარჯობათ!“ მერე შენ ჩარიცხვა მომილოცე, მე დაბნეული ვიდექი და არც კი ვიცოდი, რა მეთქვა... რას გაჩუმებულხარ, არ გახსოვს?

— ჰო, მახსოვს!

— გახსოვს, პირველი კურსის პირველი სექტემბერი. შესასვლელში ისევ კიბესთან დამხვდი. ცისფერი პერანგი გეცვა, საოცრად გიხდებოდა. შენს დანახვაზე თავი ვერ შევიკავე და ჩემდა უნებურად გამეცინა. მერე მომიახლოვდი, ჩემს წინ დადექი, თავი გვერდზე გადასწიე, მერე ზევით აიხედე, დაუფიქრებლად მეც შენს მზერას ავაყოლე თვალი, მაშინ მოულოდნელად დაიხარე და ლოყაზე მაკოცე. საოცრად დავიბენი, შევცბუნდი, მინდოდა საკადრისი პასუხი გამეცა შენთვის, მაგრამ ამის საშუალება აღარ მომეცი და გაღიმებულმა მითხარი: „რა მოხდა, ლალი, რატომ გაბრაზდი? უბრალოდ, სტუდენტობა მოგილოცე, თანაც ერთ ჯგუფში ვართ, სიაში შენ მეთოთხმეტე ხარ, მე — მეთხუთმეტე, ასე რომ არ არის აუცილებელი კოცნაზე შენს ნებართვას დაველოდო“. შენ რა, არ მისმენ?

— კი, გისმენ!

— გახსოვს, თეას დაბადების დღიდან რომ გამომაცილე... რა ლამაზი საღამო იყო. საბურთალოდან ვერაზე ისე გავედით ფეხით, დაღლა არც კი გვიგრძვნია. შუა გზაზე ქუჩის გასალამაზებლად გაშენებული ვარდების ბაღში გადახვედი და თეთრი ვარდების კრეფა დაიწყე. მე შეშინებული აქეთ-იქით ვიცქირებოდი, ვინმეს არ დაენახე, როგორ კრეფდი აკრძალულ ადგილას ვარდებს. მერე მარჯვენა ხელზე მაკოცე, ყვავილები მომაწოდე, ტროტუარის გასწვრივ, შემაღლებულზე ახვედი და იქიდან დამცქეროდი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მითხარი: „იცი, რა ლამაზი ჩანხარ აქედან, საოცრად გიხდება ეს თაიგული, წითელი ფერის რომ ყოფილიყო, ასე ლამაზი არ იქნებოდა, ღამეს თეთრი ფერი უფრო უხდება“. ღმერთო ჩემო, რა ლამაზი ღამე იყო. შენ, შენ არ გახსენდება ის ღამე?

— კი, მახსენდება!

— გახსოვს, როგორ დამპირდი წასვლამდე, მალე ჩამოვალ და გნახავო, მაგრამ ექვსი თვე გავიდა და შენგან ვერაფერი გავიგე. რამდენჯერმე წერილიც მოგწერე, არც იმაზე მიპასუხე... არა, შენ არ გინდოდა, მე რომ სამუშაოდ სოფლის ექიმად წავსულიყავი, მაგრამ არ ვნანობ, მე მგონი, ჯერჯერობით ასე უკეთესია. იცი, რა კარგია, ყველანი ძალიან თბილად შემხვდნენ, სოფელიც ძალიან კარგია, საავადმყოფოც ნათელი, მზიანი შენობაა. ჩვენები ყველანი ჩამოვიდნენ წინა თვეში, ჩემი დაბადების დღეზე, ძალიან მოეწონათ იქაურობა, მარტო შენ არ იყავი. ძალიან გული დამწყდა, ყველაზე მეტად შენ გელოდი... ახლაც ვერ გნახავდი, შემთხვევით ქუჩაში რომ არ დამენახე... რა მოხდა, რატომ შეიცვალე ასე?

— რა ვიცი, ველარ ვიცლი, დაკავებული ვარ.

— დაკავებული ყველანი ვართ, მაგრამ...

— მე უფრო მეტად დაკავებული ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ჩემი სახლიც, მოვედით. ჩვენთან ხომ არ ამოხვიდოდი?

— არა, მეჩქარება!

— ძალიან?

— ძალიან!

— კარგი, კარგი, გეტყობა, დღეს რაღაც ვერა ხარ გუნებაზე. თავს აღარ შეგაწყენ, კარგად იყავი!

●

— ...ყველანი ხართ?

— დიახ, — წამოიყვირა ვიღაცამ უკანა რიგებიდან.

— მარტო ერთი გვაკლია, — თქვა წინა მერხზე მჯდომმა ქერათმიანმა, ცისფერთვალება ქალიშვილმა.

— ერთი?!

— დიახ!

— ვინ მაინც, ვინ გვაკლია?

— ზაზა!

— ზაზა?!

— დიახ, რიგით მეთხუთმეტე! — შეახსენა ასისტენტს ქერათმიანმა ქალიშვილმა.

— სად არის?

— ცოტა დააგვიანდება, აუცილებლად მოვა, ძალიან გთხოვთ, არ დაუწეროთ „არა"! — პირველ მერხზე მჯდომმა ქერათმიანმა, ცისფერთვალება, ქალიშვილმა ასისტენტს მუდარით შეხედა.

## ბიბა

„...როგორ არ მინდა, ძლიერო ხენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!.."

ლადო ასათიანი

პატარა ზღვისპირა ქალაქში, ერთ-ერთ პატარა სანაპიროს გულსაბნევივით ლამაზი ბაღი ამშვენებდა. ეს ბაღი დიდსაც და პატარასაც ერთნაირად უყვარდა. დღისით აქ მოხუცსაც ნახავდით და ახალგაზრდასაც, საღამოს კი ბაღის ხეივანს უმეტესად წყვილ-წყვილად მოსეირნე ქალ-ვაჟი ავსებდა და სწორედ ამიტომაც ამ პატარა ხეივანს „სიყვარულის ხეივანს" ეძახდნენ... ამჯერად კი „სიყვარულის ხეივანში" ერთ დაბალ ხის სკამზე ხანშიშესული კაცი იჯდა და სახეზე რაღაც ამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა. იგი ხან ლურჯად მოლივლივე ზღვას გაჰყურებდა, ხან ზემოთ აიხედავდა და სიბერეშეპარულ მაგნოლიის ხის ლამაზ ფოთლებს შეავლებდა თვალს, მის ფეხქვეშ კი მწვანე ბალახს შემოდგომის სიყვითლე შეჰპარვოდა.

●

ლამაზი გოგო იყო ბიბა. იმდენად ლამაზი, რომ ყმაწვილკაცები გაურბოდნენ კიდეც მასთან ახლოს ყოფნას. საშიში სილამაზე აქვსო, იტყოდნენ ხოლმე ხანშიშესული ქალები, როცა ზღვის პირას მდგარ ბიბას დაინახავდნენ...

მარტო უყვარდა ზღვის პირას სეირნობა ბიბას. ჩამოჯდებოდა ნაპირთან იმდენად ახლოს, რომ ტალღები ადვილად მისწვდებოდნენ მის ლამაზ, მაღალ წვივებს, თვითონ კი სივრცეს გასცქეროდა. თვალებიც ზღვისფერი ჰქონდა, უძირო ზღვისფერი. ზღვის პირას ჯდომით გულს რომ იჯერებდა, წამოდგებოდა, ლამაზ, მზისფერ თმაზე ხელს გადაისვამდა და ფეხშიშველი გაუყვებოდა ნაპირს...

მაგნოლიის ხის ძირას მდგარ ბიჭებს ნელა მიუახლოვდებოდა ბიბა.

— გამარჯობათ თქვენი, — იტყოდა ხავერდოვანი, ოდნავ დაბალი ხმით და თან თვალებს ზღვისკენ აპარებდა. ბიჭებიც მოკრძალებულად უპასუხებდნენ და მათდა უნებურად ისინიც ბიბას მზერას გააყოლებდნენ ხოლმე თვალს...

ზღვაზე იახტით სეირნობა უყვარდა ბიბას. ბიჭებს ზღვის პირას თავ-თავიანთი იახტები ებათ. გოგო რატომღაც ყოველთვის ირაკლის იახტას ამოირჩევდა ხოლმე გასასეირნებლად.

— გამასეირნებ ზღვაზე? — ჰკითხავდა ეშმაკურად და ირაკლიც უხმოდ უქნევდა თავს, ორი ნახტომით იახტაზე აღმოჩნდებოდნენ... დიდხანს სეირნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ზღვაში, იახტა აკვანივით ირწეოდა მუქლურჯად მოლივლივე ტალღებზე.

— ლამაზია დღეს ზღვა! — ხშირად ამბობდა ბიბა.

— ზღვა ყოველთვის ლამაზია, — უპასუხებდა ირაკლი.

— არა, როდესაც ღელავს და თან ჭუჭყიანია, მაშინ არ არის ლამაზი, — გაბუტულივით უპასუხებდა ბიბა...

უჭირდა ირაკლის ბიბასთან საუბარი. როცა ბიბა მის იახტაზე შეადგამდა ფეხს, ლამის სუნთქვა ეკვროდა, უმძიმდა ბიბას გვერდით ყოფნა. გოგო კი ვითომ ვერ ამჩნევდა მის განცდებს. იგი მხოლოდ ზღვას გაჰყურებდა. ზღვას, რომელიც თითქოს ეჩურჩულებოდა, „თვალების ფერი ხომ მე დამესესხე, მეტი რა გინდა?.. თან ისე დამესესხე, რომ ვალის უკან დაბრუნებას არც კი აპირებ. თუ არ აპირებ, არც გთხოვ, გაჩუქებ ამ ფერს. გაჩუქებ მხოლოდ იმიტომ, რომ შენს თვალებს ჩემებური სილამაზე მიანიჭა..."

ნაპირთან მიმდგარ იახტიდან სწრაფად გადმოხტებოდა ხოლმე ბიბა, მადლობის ნიშნად ერთხელ მიიხედავდა უკან, ღიმილით შეხედავდა ჯერ ისევ იახტაზე მდგარ ირაკლის და სირბილით გაუყვებოდა ზღვის სანაპიროს...

ვახოს ეზო იმდენად ახლოს იყო ზღვასთან, რომ თუ ყურს მიუგდებდი, ტალღების „ჩურჩულიც" კი არ გამოგეპარებოდა. ეზო ხავერდოვანი, მწვანე ბალახით იყო დაფარული, შიგ ლამაზი ხის ოდა-სახლი იდგა. სახლიდან ათიოდე მეტრის დაშორებით, ეზოს შუაგულში ლამაზი ცაცხვის ხე ამაყი მასპინძელივით წამომართულიყო. ხეზე საქანელა იყო ჩამობმული. ყველას უყვარდა მასზე დაჯდომა, დიდსაც და პატარასაც, განსაკუთრებით კი ბიბას. ვახოს ეზოში შესული ბიბა მასპინძელს არც კი ჰკითხავდა, ისე შემოსკუპდებოდა საქანელაზე, ვახოს ღიმილით შეხედავდა და ამ ღიმილით ეუბნებოდა, რისი თქმაც სურდა, მერე უხმოდ მივიდოდა და საქანელას ჯერ ნელა, შემდეგ კი ძლიერად გააქანებდა... ეზოში ჩუმად შემოსული ირაკლი დაბალ ხის სკამზე ჩამოჯდებოდა და ხარბად მისჩერებოდა გაქანებულ საქანელაზე მჯდარ, მოკისკისე, სახეგაბადრულ გოგოს. ქანაობით გულს რომ იჯერებდა, ბიბა საქანელადან მკვირცხლად ჩამოხტებოდა, მადლობის ნიშნად ღიმილით შეხედავდა ვახოს და სირბილით ტოვებდა ეზოს...

— ისადილეთ, ბიჭებო! — გადმოსძახებდა სკამზე უხმოდ მჯდარ ბიჭებს ვახოს დედა და თან დააყოლებდა: — სწრაფად, სწრაფად ამოდით, რა ცხვირპირი ჩამოგტირით?!

ვახო და ირაკლი უხმოდ სადილობდნენ, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, დედა შესცქეროდა ბიჭებს და გული უკვდებოდა, ხვდებოდა, რა დარდიც აწვათ, იმასაც ხვდებოდა, რომ ამ დარდის უკან ორივეს გულში ბიბას სიყვარული იმალებოდა...

— ვახო, აჰა, ეს შარვალი გაისინჯე, წუხელ შეგიკერე, ვნახოთ, როგორ მოგიხდება!

ვახო მეორე ოთახში გავიდა, მალე უკანვე შემობრუნდა, — შავი ატლასის დიდჯიბეებიანი შარვალი ეცვა.

— უჰ, როგორ მოგიხდა, გენაცვალოს დედა! — თქვა დედამ და სახემოღრუბლულ, თავჩაქინდრულ ბიჭს შუბლზე აკოცა, — აჰა, ეს კი ირაკლის წაუღე, — თქვა და ქაღალდში გახვეული რაღაც გაუწოდა...

საღამო ხანს ხეივანში სკამზე მჯდარ ვახოს და ირაკლის შავი ატლასის ერთნაირი ლამაზი შარვლები ეცვათ, ერთმანეთს თბილად ებაასებოდნენ, იცინოდნენ კიდეც, მაგრამ... ამ დროს საიდანღაც ბიბა გამოჩნდა. ჩქარი ნაბიჯით ამაყად მოდიოდა. ბიჭებს რომ მიუახლოვდა, გაღიმებული სახით გადმოხედა და უთხრა:

— გამარჯობათ თქვენი! — და სწრაფად განაგრძო გზა... ბიჭებმა ლაპარაკი შეწყვიტეს, ორივე ფიქრმა წაიღო...

...ბოლო სამი თვის მანძილზე აღარ ჩანდა ბიბა. ყველას აინტერესებდა, ყველა კითხულობდა, სად გაუჩინარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო ზღვისფერთვალება გოგონა. მერე ვიღაცამ თქვა: ბიბა გათხოვდაო. დედამისმა სხვა ქალაქში გაათხოვა, თითქმის ოცი წლით უფროსს, დაბალ, ღიპიან და ჯიბეგასქელებულ საქმოსანს გააყოლაო...

●

...ჯარიდან ერთი თვით შვებულებით ჩამოვიდა ირაკლი. ცუდი ამბავი დაუხვდა მშობლიურ ქალაქში, ერთი თვის წინ ვახოს დაღუპვის ცნობა მოსულიყო... ქალაქიც დაცარიელებული და დაპატარავებული ეჩვენა. თავის საყვარელ ხეივანში გაისეირნა, მაგნოლიის ძირას მდგარ ხის სკამზე ჩამოჯდა... ახსენდებოდა ბედნიერი ყმაწვილბიჭობა, ამ ხეივანში საღამო ხანს შეკრებილი მეგობრები ახსენდებოდა, ვახო ახსენდებოდა, ბიბა ახსენდებოდა...

რკინიგზის სადგურზე სოფლებიდან ჩამოსული ხალხი ირეოდა. მატარებლის მოლოდინში ზოგი ერთმანეთს ესაუბრებოდა, ზოგიც თავის ბარგი-ბარხანასთან მჯდარი თვლემდა... ახალგაზრდა, მაღალი, მხარბეჭიანი, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი უხმოდ გადი-გამოდიოდა რკინიგზის ბაქანზე...

— ირაკლი! — მოესმა ზურგს უკან ქალის ოდნავ დაბალი ხმა, — ირაკლი! — კიდევ განმეორდა ძახილი და მამაკაცმა უკან მიიხედა. მისგან ორიოდე მეტრის დაშორებით ქალი იდგა და რაღაც ამოუცნობი ღიმილით მიშტერებოდა... ჯარისკაცი დაბნეული უყურებდა ქალს, თითქოს იცნობდა კიდეც, მაგრამ თან უცნობიც ეჩვენებოდა. ქალი თვითონ მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

— ვერ მიცანი, ირაკლი? — ჰკითხა ოდნავ აკანკალებული ხმით. ჯარისკაცი უხმოდ დააცქერდა ქალს. გაოგნებული იყო და სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა, ბოლოს, როგორც იქნა, წარმოსთქვა:

— ბიბა!

— ჰო, ირაკლი, ბიბა ვარ, რა კარგია, რომ მიცანი! ფრონტზე ბრუნდები? ნეტავი არ ბრუნდებოდე... მისამართი მაინც დამიტოვე, წერილს მოგწერ... ჰო, თუმცა, ჯარისკაცის მისამართს რას გაიგებ, ხან სად იბრძვის და ხან სად... შენ თვითონ მომწერ?!. ძალიან გამეხარდება... აჰა, ჩემი მისამართი, — ბიბამ ოთხად გაკეცილი ქაღალდი მიაწოდა... „ნუთუ ეს ბიბა იყო. ღმერთო ჩემო, როგორ შეცვლილა, რა ნატანჯი სახე აქვს. როგორი მოყვითალო, ავადმყოფური ფერი ადევს. მარტო თვალის ფერი შერჩენია ძველი. არა, როგორ შეიძლებოდა, ბიბა ასე შეცვლილიყო?!.

●

...მაგნოლიის ძირას მდგარ სკამზე ხანში შესული ჭაღარა მამაკაცი ჩამომჯდარიყო. ხელში რაღაც ჟურნალი ეჭირა და თავი შიგ ჩაერგო...

— გამარჯობათ! — ჩაესმა უცებ ახალგაზრდა ქალის ხმა. კაცმა ზემოთ აიხედა და... „არა, არა, ნამდვილად მეჩვენება რაღაცა... ღმერთო ჩემო, ეტყობა, სიკვდილი მომიახლოვდა. აბა, რა ხდება, საიდან გამომეცხადა?“

— გამარჯობათ, თქვენ ირაკლი ბრძანდებით, არა? — ჩაეკითხა ახალგაზრდა, თვრამეტიოდე წლის ქალიშვილი.

— კი, ირაკლი ვარ! — ხმის კანკალით უპასუხა კაცმა.

— მე ბიბა ვარ!

— ბიბა?! — გაოგნებით წამოილუღლუღა კაცმა.

— დიახ, ბიბა!.. რა გაოცებული მიყურებთ, განა არ შეიძლება შვილიშვილს ბებიის სახელი ერქვას?!

— ჰო, არა... რას ბრძანებთ... დაჯექით, ბიბა! — ბიბა ხის გრძელ სკამზე მამაკაცის გვერდით ჩამოჯდა...

— იცით რა, ბატონო ირაკლი, მე ბებია არ მახსოვს, მე კი არა, დედაჩემსაც არ ახსოვს. თურმე ორი წლისაც არ იყო, როცა იგი გარდაცვლილა. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაჩემი ბებიამისს გაუზრდია... ამას წინათ დედა აფორიაქებული მოვიდა შინ და [illegible]:

— ბიბა, გავიგე, ის კაცი ჩამოსულა შვებულებით, ვის სახელზე დაწერილი წერილიც დედაჩემს გაუგზავნელი დარჩენია... აჰა, ეს წერილი და იქნებ მოახერხო მისი ნახვა... — ჰოდა, მეც მთელი კვირაა გითვალთვალებთ, ახლა გავბედე და მოვედი... — გოგონამ სამკუთხედად გაკეცილი გადაყვითლებული ქაღალდი მიაწოდა კაცს...

„...გამარჯობა, ირაკლი, მივიღე შენი გამოგზავნილი წერილი. ძალიან გამეხარდა. არ დაიჯერებ და უკვე უთვალავჯერ წავიკითხე. ძალიან მორიდებულ და მოკრძალებულ წერილს იწერები. მაგრამ მაინც იგრძნობა, რა იმალება ამ მორიდების მიღმა. შენ ყოველთვის ასეთი იყავი, ირაკლი, ყოველთვის გამირბოდი. მე ვგრძნობდი, ვგრძნობდი, რომ გეშინოდა ჩემი, მაგრამ რატომ, ამაზე დღესაც ვერ გამიცია პასუხი...

მომიტევე, ასე თამამად რომ გწერ, მაგრამ ვიცი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია. უკვე ორი თვეა, რაც ლოგინზე ვარ მიჯაჭვული... ზოგჯერ ვფიქრობ, რა შევცოდე-მეთქი ისეთი, რაღა ჩემთვის მოიცალა ამ ოხერმა ჭლექმა...

ირაკლი, არ ვიცი, მოაღწევს თუ არა ეს წერილი ოდესმე შენამდე. თუკი მოაღწია, გთხოვ მომიტევო, მომიტევო იმ დიდი შიშისათვის, ჩემმა სიყვარულმა რომ ჩაგინერგა. იყავი კარგად... კიდევ ერთხელ გთხოვ მაპატიო!“

ბიბა

**1944 წ. 15 აგვისტო**

— ყველა ასე მეუბნება, ბებიას ჰგავხარო, თქვენ რას იტყვით, მართლა ვგავარ?

— საოცრად, საოცრად ჰგავხართ!..

გოგონა წამოდგა და, ის იყო, წასვლა დააპირა, რომ კაცმა თავისდაუნებურად დაუძახა:

— ბიბა!

ბიბა შეჩერდა...

— მეტჯერ აღარ მნახავთ, ბიბა?

— გნახავთ!

— ჰო, ძალიან გთხოვთ, ხვალაც მოდით, ხვალაც მოდით, ბიბა!

გოგონა მიუახლოვდა მოხუცს და შუბლზე აკოცა.

— ხვალ ისევ ამ დროს, ამ ადგილზე დამელოდეთ, აუცილებლად მოვალ, მოვალ და ვილაპარაკოთ ბიბაზე, ძალიან ბევრი, ბევრი ვილაპარაკოთ!..

„სიყვარულის ხეივანში“ დაბალ ხის სკამზე მარტოდ მჯდარი ხანშიშესული მამაკაცი, სახეზე რაღაც ამოუცნობი ღიმილი რომ დასთამაშებდა, გაჰყურებდა ლურჯად მოლივლივე ზღვას, ხან ზემოთ აიხედავდა და სიბერეშეპარულ მაგნოლიის ხის ლამაზ ფოთლებს შეავლებდა თვალს, მის ფეხქვეშ კი მწვანე ბალახს შემოდგომის სიყვითლე შეჰპაროდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ მწერალს ნოდარ შამანაძეს შეუსრულდა დაბადების 60 წელი. „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად ულოცავს საიუბილეო თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.

# ნოდარ შამანაძე

## მზის სხივს თესავდი

ჩემო ქვეყანავ, რა შავბედი დაგბედებია,
დასაბამიდან ვერ აშორდი ავს და ბნედიანს.
თვალს ქრიდათ შენი მცხეთა, გორი, გალი ბედია...
რომ ვერ წაგვართვეს, ესეც ბედია!
თესავდი მზის სხივს უშურველად, გულით ალალით,
ქორს არ უქშევდი, მიიჩვიე ბევრჯერ ალალი.
გაშლილ სუფრასთან მოისვამდი ტიალს და ოხერს,
მოგიყვავილეს უმადურად,
მრავალჯერ მოგხრეს.
და ეხლა ერთად აგეშალნენ,
კვლავ გთხოვენ სახრავს,
ჩვენი სიკეთე ისევ ჩვენ გვსჯის, გვსუსხავს და გვსახრავს.
ისიც კი გიხსნის პირშეუკრავ გულის იარებს,
ვინც შენი მიწის ზიარია, შენი ღვიძლია.
ჩემო ქვეყანავ, კვლავ სიკეთის გზებით იარე,
შენ ბოროტება არ შეგიძლია!

## ეს საწუთრო

მიწა — ორი მტკაველი,
პაპის დანატოვარი,
ქოხი — ჩემი ნაშენი,
ოფლით მონაპოვარი.
ცოლი — ხანმოთეული,
უკვე დანათოვარი.
ცოლუთხოვარი ბიჭი,
გოგო — გაუთხოვარი.
გული ბევრჯერ ნაჯიჯგნი,
ნაცემ-ნაუთოვარი,
მაინც გაუტეხელი,
სიყვარულის მთხოვარი,
იქითკენ მაცქერალი,
სადმე მტრედი თუ არი,
ცეცხლის შემოკიდება,
მტრედის ახლოს ტრიალი...
ხელში ფუჭად მადნება
ეს საწუთრო ტიალი!

## ამოდის მთვარე

მთვარე ამოდის,
რა შუქი ახლავს,
ამოათეთრა მთების კიდენი;
ნეტავი, მთვარემ თუ იცის ახლა,
მისი ნათელით როგორ ვმდიდრდები.
არა, არ იცის,
არც სურს იცოდეს,
მისი ავსებით როგორ ვივსები:;
მიდის, მიჰყვება ზეცის ციცაბოს
მეფურ გვირგვინით.
მეფურ ღირსებით.

## საირმულა

სადაური საით მიხვალ, სად იჩქარი საირმულა,
მთამ ვერ გძლია, ვერ შეგბორკა, ვერ შეგკრა და დაგიურვა.
ლოდებიდან ლოდზე ხტები, ფრთებს კლდეებზე
უფართქუნებ
და გზადაგზა უშურველად ფანტავ ვერცხლის
უზალთუნებს.
საირმულავ, საირმეში უირმობამ გადაგრია,
რა ხანია, მიგატოვეს, საით გაქრნენ, სად არიან?
მათ ძებნაში გადაღლილხარ, გზაც კი გაგიმრუდებია,
გაფრინდნენ და დაგეკარგნენ, აღარ დაგიბრუნდებიან.
მეც დავკარგე, ვინაც ჩემი ყველა ფიქრი მიითვალა,
იქნებ გახსოვს: ირემს ჰგავდა, ირმისყელა,
ირმისთვალა.
ამწვანებულ შენს ნაპირზე ვსეირნობდით ხოლმე წყვილად,
მაშინდელი ერთი წუთი ას წელს მიჯობს ათას წილად.
ის დრო შენს წყალს წაუღია და სილაში ჩასილულა,
ირმებსა და ირმისთვალას აწ ვერ ვნახავთ, საირმულა!

●

სიკვდილმა რიგი არ იცის,
ურიგოდ მიდი-მოდის,
წუთითაც კი არ დაიცდის,
ვერ ეგუება ლოდინს.
ყველა სახლი და გზა იცის,
იცის: ვის შეხვდეს, როდის...
სულ ერთ საცერში გაიცრის
უცოდველსა და ცოდვილს.
საცოდავია ტიალი,
გატანჯულია ოდით, —
დაწვალობს, დახეტიალობს
მხარზე საფლავის ლოდით.

## აკაკი

მდინარის ძალა შემატა
ქართული სიტყვის წყაროსთვალს,
„შენს მიწას მიმაბარეო...“
ისე ღვთიურად წარმოსთქვა,
შეგვატკბო,
შეგვასისხლხორცა
მშობლიურ მიწას ნამდვილად,
სამარე აგვიმსუბუქა,
სიცოცხლე გაგვიადვილა.

## თუ ნატრობს

ადამიანი თუ ნატრობს სიკვდილს,
მან კიდევ რაღა უნდა ინატროს?!
თუმც როგორ არა:
იმ წუთს,
იმავ დროს
მან შეიძლება ინატროს ისიც:
იყოს კაცური სიკვდილის ღირსი,
გაჰყვეს მრავალთა ცრემლი და
კოცნა
და აღიმართოს სინათლის ბორცვად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა თენგიზ ჩალაურს. ვულოცავთ მწერალს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.

# თენგიზ ჩალაური

●

შვილებს

ღმერთს სულს
ისე მივაბარებ,
კვნესაც არ აღმომხდება...
ცხოვრებაში?
ცხოვრებაში ყველაფერი მოხდება.
სულიერად შეიმეცნეთ
დიდი ხელგაშლილობა,
უბედოთა
ბედი გახლავთ
ხელმოცარულთ შვილობა.
მაგრამ
მაინც გწამდეთ გენის,
გიყიყინებთ ვალითა,
ლაჟვარდიდან
გეფერებით
საბაოთის თვალითა.

●

ეს სილამაზე საიდან მოდის,
ან რატომ ჩნდება,
    ან რისთვის ქრება,
იქნებ ზამთარი სულიდან მოგვდგამს
და გაზაფხულიც გზაშივე კვდება...
საოცრებაა ირგვლივ ყოველი
ვარდის ფურცლობაც
    და დიდი ვნებაც...
ცაშივე დნება
    ფიფქი მთოველი,
სინატიფესაც
    იქ ეთხოვება.

●

საწყისი ორი —
სული და...
    სული,
დაბადებიდან მკვიდრია გენში,
როცა საძირკველს
    აშენებს ღმერთი,
ქარიშხალს უხმობს
    ეშმაკი სხვენში.
როს თანამოძმეს
    მივაყრით მიწას,
    დავთვრეთ თუ არა,
ვჭიჭმანობთ ერთობ...
    როგორ ხარხარებს
მაშინ სატანა
და, ო რა მწარედ
იღიმი, ღმერთო.

●

კარგა ხანია
გამოვცდით წიფას,
(რა გამოულევს კაცს სადარდებელს)
ჩემი ბალღობის ფეხმარდი ნიმფა
მოსდევს, მოჰკივის ჩქარ
                    მატარებელს.
წარსულში მღერის გოგო თავნება,
აქ სულთათანას მღერის გადია,
მარეხს დაეტყო ფერისცვალება
ლოლნოშოსფერი განთიადია.
შორეთში ვლანდავ მთაწმინდის
                    ლანდებს,
მატარებელი ებლოტვის კბოდეს,
ნეტავ აღსტაფას არ წამიყვანდეს,
ნეტავი თბილისს არ გასცდებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ ომანაშვილი

# სიძე

მოთხრობა

— ბაბალეე!..

— გაჰხედე, გოგო, ვინ იძახის.

— ვინ იძახიიის?

— დედაშენი შინ არი, გოგო?

— შინ არი, ნათლიდედ, მაშ ეგეთ ბორიოში სად წავიდოდა.

— ცა აპირებს ჩამოქცევას, თუ რა ღმერთი უწყრება, ვერა და ვერ მოუხინძია პირი, ქა, ჩემ დღეში ეგეთ თოვლიანობას არ შევსწრებივარ.

ხუციაანთ ნუშკიამ ფოჩებჩამოგლეჯილი შალი კართან დაიქნია, თოვლი ჩამოიბერტყა, მერე იქვე, წირთხლზე აყუდებული ცოცხით ფეხ-წვივებიც შემოიგავა, ფეხსაცმელი წაიძრო და გაგურგურებულ ოთახში შევიდა.

— დილა მშვიდობისათ.

— გაგიმარჯოს. რა შორიდან იძახდი, დედაკაცო, მობრძანდი.

აგუგუნებულ ღუმელზე წახრილი ბაბალე ასქელებულ სიმინდის ფქვილის ფაფას ხის კოვზს გამალებით უტლაკუნებს და ოფლში გახვითქული, მხარზემოდან ღიმილით გამოსცქერის სიცივით მოკუნტულ ნათლიდედას.

— ჯალაბი რაღა უყავით, დედაკაცო, როგო გამოცარიელებულხართ!

— ჩვენ შიუასთან გადავიდნენ. უმცროსმა ბიჭმა ქუნთრუშა მოიხადა, ნახავენ და ეხლავე მობრუნდებიან. მოდი, აეგრე ჩამოჯექ, ღუმელთან, ქა, როგო გაგლურჯებია თავ-პირი.

ნათლიდედა კიკვივით ჩამოჯდება გვერდებალადლადებულ ღუმელთან მიდგმულ სამფეხა სკამზე და ნაჯაფარ-დაშაშრულ ხელისგულებს ღუმელს წააფარებს. გაგლეჯილი წინდის წვერიდან დამზრალი, ფრჩხილგაშავებული ცერა თითი გამოსჩრია, მწარედ უკვნესის და არ ასვენებს, სამაგიეროდ, კალთის ქვეშ შევარდნილი ბოტორო საამოდ უვლის შვინდის ტაბიკებივით გამხმარ კანჭებზე და განაწყენებული იძახის.

— აგრემც იგეთი წებო ჩაესხმევა გულ-მუცელში იასონია ხარაზსა, როგორი წებოც ჩემ ფეხსაცმელს წაუსო, ერთი კვირაც არ გასულა, გოგო, და, პირი დაალო.

— აკი ჩვენც ეგრე გაგვიკეთა მაგ მარჯვენა დასამიწებელმა, აქ თუ კიდე დაიძახა, ძაღლი უნდა მივუქსიო.

— აბრია ძია როგო ბრძანდება?.. — ნუშკიამ ერთბაშად სხვა მხარეს მიუგდო საუბარი, იცოდა ბაბალეს აძმარებული ხასიათი, ერთი თუ აკაკანდებოდა წამოპირქვავებული ლიტრიანივით, ველარ გააჩერებდი.

— იჰ, როგო იქნება, რა! ადგა, ღვინოს ის არ იკლებს და არაყსა, ყველიერისთვინ გადაჩქმალული ხუთჩაფიანი ქოცო უკვე ამოუწრუპნია.

— ჩვენებიც ეგრე არ არიან ხაპირებივით!

— განა მეშურება, დედაკაცო, დალიოს, თავის ნაჯაფრი არ არი... მაგრამ მერე ღამიან იგრე წვალობს, დედაბუდიანად წამოგვშლის ხოლმე. გამოიფხიზლებს და აქეთ გვედავება, წუწურაქობთ, ღვინო არ გემეტებათ და იმისთვინ მიგონებთ ტყუილებსაო. ერთხელაც იგეთი ბნედა დაგვცა. დიდება შენდა, ღმერთო, ენა ერთი კვირა მქონდა მუცელში ჩავარდნილი.

ჯვარი ეწეროს და, შუაღამისას ეს კაცი სხვანაირად გაიჰიმა. აბა, გიყვარდეს, ყველანი მაშინვე დავფაცურდით, მაშ იმ შუღამისას ხო არ ავტეხავდით წივილ-კივილს. ვიფიქრეთ, გათენებამდე გავაპატიოსნებთ, ჩვენც პატარახნით თვალს მოვატყუებთ და დილით, როგორც წესი და რიგია, ავწიოკდებითო.

ჩვენები მეორე დღის თადარიგს შეუდგნენ. მე დასასვენებელი ტახტი გავუწყე, კუჰი ჩავიწყვიტე, ქა, იმოდელა ავეჯის თრევით. მერე საშავდღეო ტანისამოსი გადმოვუღაგე, გავუწმინდე, გავუპეწკე და, რო ვიფიქრე, ბარემ ოთახსაც გამოვგვი-მეთქი და უკან შევტრიალდი, დასწყევლოს ეშმაკმა, ეს ჩემი მამამთილი იქ, აღარ დამხვდა. თვალი ხო არ მატყუებს-მეთქი, დედაკაცო, ახლო დავაპირე მისვლა და ერთბაშად ტახტის ქვეშიდან არ გამოძვრა ნიფხავპერანგიანი? უცებ იგეთი ელდა მეცა, გული შემიღონდა და იქვე გადავიქეცი, კინაღამ მე არ გავხდი, ქა, გასასვენებელი. ის კიდე შესულა მარანში, ერთი მაგრად გამობრუყულა და გაჯავრებულ გუნებაზე გათენებამდე უფხა-

კუნებია ჩონგური. თურმე სულ გალექსვით გვიტრიალებდა მკვდარსა და ცოცხალს, უცრემლოდ გინდოდათ ჩემი ქელეხი გეხეთქნათო!

— ჰი,-ჰი,-ჰი,-ჰი, ჯანი დეგეწოს, ბაბალეაგრემც კარქი ლაპარაკი შენ იცოდე, მაშ როგო ვერ იგუმანე, დედაკაცო, რო თავს იმკვდარუნებდა — მუხლზე იტყაპუნებს. ხელს სითბოდაბრუნებული, გაშილიფებული ნუშკია, მეორე ხელით კი ოფლით დაცვარულ ზედა ტუჩს თავშლის ყურით იწმენდს, და სულჩაბრუნებული ქირქირებს.

— გოგო ეხლახან აქ არ იყო, დედაკაცო?.. სად გაქრა?

ნუშკია ველარ იჩერებს ავარდნილ სიცილს. ჭიანი პანტის ყუნწივით გაწვნიკებულა და ჩამომხმარი მხარ-ბეჭი ისე უთახთახებს, გეგონებათ. აი. სადაც არის ჩამოეფშვნებაო.

— იქით ოთახში ბრძანდება, კაბას იჯღანავს.

ნუშკიას კვიმატ გამოხედვაზე ბაბალემ კუშტად შეიკრა კოპები, სულაც არ ეამა გოგოს ხსენება, მიხვდა. მთავარი სათქმელი მაინც ითქმოდა, ორთქლმოფშუებული ქვაბი ღუმლის კიდისკენ გააჩოჩა და დასახვედრად მოემზადა.

გიცნობ, მლივო კარგათ გიცნობ ვინცა ხარ, ბარემ არი. თქვი, რაც გალონებს.

ბაბალე უგრილობელი წიფელივით ტანაშოტილი ქალია, კარგი ჯილაგისა. ექვსი შვილის დედაა, ერთი იმ ნაბოლარასი, იქით ოთახში რომ ბრძანდება და კაბას იჯღანავს. ხუთი კიდევ იმ ოტროველა ბიჭისა, აბრია პაპას წინამძღოლობით შიუასთან რომ გადავიდნენ, ვითომ ბალღის სანახავად და ეხლა კი, ღვინით ჩაფიჟვინებულები და ღორის ხორცის მწვადებით დამაძღრები, ვითომ, იმათი ჭკუით, ყველაზე იოლ სიმღერას, „თამარ ქალოს" გაჭკივიან. აბრია პაპამ ერთ ადგილას ისეთი ოხრული ჩაკაკანება იცის, თითქოს ბოსტანში გადაპარულ თხას დასცეს კეტიო, — მოოწაამეეეეეეიეხააარ, შეენ საქაართველოოოოვ.

გარეთ ისეთი თოვლი დაუდვია, ბაბალეს უმცროსი შვილიშვილი, ჩხავანა ნასყიდო, ბილიკს რომ გადასცდეს. ცხვირამდე ჩაეფლობა შიგ. თოვს კი არადა, პირდაპირ აპენტილი მატყლივით ნაფლეთ-ნაფლეთებს ისვრის. საჩეხში თავგაბეზრებული, ხრინწაშეყრილი ქათმები ხან ერთ ფეხზე შედგებიან ზმორებ-ზმორებით, ხან მეორეზე. წამოფაფრულ ბუმბულში ჩათბუნებულან და ასრუნტულებულები ხანდახან თავებს ისეთი გაცეცხლებით გააკანტურებენ ხოლმე, გეგონებათ. ზედმეტ ჭკუას იყრეინებიანო.

ცას ყველა მხრიდან თეთრად მოჩითული ზღაპრული მარმაში ჩამოუშვია და ამ ფარდის მიღმა ადამიანები, ხეები, ძროხები, ხბორები თუ ძაღლები ნახატებივით მოჩანან.

თოვს. საქეიფო დღეა. სოფელი ასეთ დროს გულმოსუყებულია. საკლავი დაკლულია, ხორცი ჩამარილებულია, ღვინო დაწმენდილია, არაყი გამოხდილია.

—ითოვოს, — ფიქრობენ მეკომურები, — ჭირნახული დაბინავებულია, თივა დადგმულია, „პურია და სასმელი პირში გამოსასმელი".

ითოვოს და ითოვოს. ხან ერთი სახლიდან გამოვარდება შემღვრეული სიმღერის ხმა, ხან მეორედან. საკვამურები ბოლავს. ჯალაბი დაპურებულია. და მღერის საქმემოთავებული სოფელი. ღმერთმა ამღეროს.

ნუშკია ამ ოჯახის მესაიდუმლეა, მაგრამ ბაბალე მაინც აფრთხილებს:

— ემანდ, ღმერთი არ გაგიწყრეს და ენამ არსად წაგცადოს. თორე ხო იცი ჩემი ზაქიჭამიების ამბავი, დაგიუდებიან.

— ღმერთმა არ დააგიოთ, ქა, — ნუშკიას ელეთმელეთი ემართება ბაბალეს მუტრუკების ხსენებაზე.

— შინ ერთი თორმეტნი მაინცა ხართ და თქვენიდან რო ვინმეს წასცდეს ენა, მაშინაც მე უნდა მამადგნეენ?.. ჩემ მტერსა და ავად მახსენებელს მისდგომიან და იგრემც უქნიათ. ძირსახსენებლიანად ამოუთხრიათ. ჩემგან კრინტი არ გავა-მეთქი, ვითომც არ მიცნობდე, ბალამწარაანთ ქალოო...

ბაბალემ იცის ნუშკიას სამიწე პირისა. ბარი რომ ჩასცენ ხახაში, სიტყვას ვერ დააძვრევინებენ, მაგრამ მაინც ეჩოთირება ამ ამბავზე ლაპარაკი ნათლიდედასთან. ისეთი არსაქნელი ოინი უყოთ გალმელმა კურტანაათ შაშოამ. სოფელში რომ გაეონილიყო, თავმოჭრილებს სირცხვილით აღარ ედგომებოდათ ამ არემარეში.

— ნაღვლობს გოგო? — თანაგრძნობით ეკითხება ნუშკია.

— ნაღვლობს რომელია, აგრემც დედა მოუკვდება მაგასა, ძაანა ნაღვლობს. იმ ფაფიყლაპია რობიზონას პირდაპირ მაგისთვინ მიუცია წერილი. ღამღამობით დავხედავ ხოლმე, თავს იმძინარებს, მეც ზედმეტად აღარ ვალონებ, გაუშვი, თითონვე მაიბრუნოს გული-მეთქი. ორი თვის დანიშნულები არიან, ეს რო სოფელმა გაიგოს. საითღა უნდა გამოვყოთ თავი.

— რას იწერებოდა იგეთს, დედაკაცო.

— ჯერ თავიდან იბოდიშებდა. აბა, რა ვქნაო, ეგრეო, იგრეო და ბოლოს ეწერა, თქვენ გოგოს ვერ შევიყვარებ და ჩემი ბელგა უკან გამომიგზავნეთო.

— მიწა კი დავაყარე. აჰააა...

— ჩემო დედავ და ჩემო ძმებოო, იშაქრებოდა. გული ხო ზედადგარი არ არის, საითაც გინდა, იქით გადასდგა, სადაც ცეცხლი ანთია, ზედადგარიც იქ უნდა იდგესო.

— მერე საითაც ცეცხლი ენთო, თავიდანვე იქით ვერ დადგა ზედადგარი?.. ეხლა, ნეტა, რა ბუზანკალები შაუსხდნენ.

ერთბაშად შუა ოთახის კარი ხათქუნით შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიღო და თმაგაბურძგნილმა მარადომ გაავებით დაუტატანა დედას:

— დედიი!.. შამიყარე ქვეყანა, აბა, შამიყარე!

გოგოს საცოდაობით გულჩათუთქული ნუშკია წამოპილპილდა.

— მე ქვეყანა ვარ, გოგო!.. დაშოშმინდი, გენაცვალოს ნათლიდედა, იგეთ რამეს მოვიგონებ, რო შენი დღე და მოსწრება სულ ჩემს სახელზე ილოცო.

— გაიხურე, გოგო, კარი შე ბნედა ასატეხო, კარგი ბედისა შენა მყავდე, — თავის მხრივ ბაბალემაც დაუტატანა ასლუკუნებულ გოგოს.

მარადომ ისევ ისე ხათქუნით გაიხურა კარი.

— ეხლა რას აპირებთ? — ნუშკია ბაბალეს მიუბრუნდა.

— ბიჭები ტაფაზე დაყრილი ბატიბუტებივით ხტუნაობენ. მე რო არ ვაჩერებდე, საციხედ გაიხდიდნენ თავსა. აბა, რა ვიცი, გენაცვალე, ნათლიდედ, რა წყალში ჩავვარდე და რა თავში ქვა ვიხალო. იმისი ბელგა ვის რა ჭირად უნდა, უკან უნდა გავუბრუნო, მაგრამ... ვიცი, გოგო თან გადაჰყვება ჯავრსა.

— უყვარს?

— მაშ, რა დიდი ნაცადი ეგა მყავ. დედაკაცო, რო არ შეჰყვარებოდა. მოუკვდეს დედა, შაბათობით ერთთავად სულ გზისკენ ეჭირა თვალი, მასაქეთია ჩაქრა და გამიზეზიანდა. არ ვიცი, ეს საქმე როგო დაბრუნდება. ამ გოგოს რო ავი რამე დეემართოს, ბიჭები დემელუპებიან, დედაბუდიანად ამაავდებენ კურტანაანთ სახსენებელს.

— შენ რო კაცმა გისმინოს, დედაკაცო, ვერც თავს გაგიგებს და ვერც ბოლოს. მოკლედ მითხარი, თავი ვერ გამირთმევია და ეგ არი-თქოო...

— ბრმა რასა ჩიოდა და ორთავ თვალებსო. მეც მაგას არა ვწუწუნებ...

— ყური მიგდე, ი ბიჭი ტკბილი სიტყვით უნდა მოვიტყუოთ. ეტყობა, გათვალეს და არსაქნელი ჩაუგდეს გულშია. უნდა დაუბარო: დედაშვილობამა, დიდი ხანია ჩვენც მაგ აზრისანი ვართ, ჩვენც გვიან მივხვდით ერთმანეთის ბედისანი არა ჰყოფილხართ, ხათრით ვერაფერს გეუბნებოდით, გადმოდი, შვილო, და რაც მოგიბარებია, სიამტკბილობით შენი ხელითვე წაიღე, ოღონდ თავი არ მოგვჭრა და ხმა დაყარე, ვითომც გოგომ ვერ გიფერაა... შენ ბიჭი ხარ და შენ რა გენაღვლება. ეს კიდენაა... ხო იცი, გოგოების ამბავი, მერე ნაკმენი ღვინოებივით ძმარდებიან შინა-თქოო...

— მერე? — ბაბალე სხივჩამდგარი თვალებით მისციებია ნუშკიას.

— მერე და... მერეს იქით შუშანას ხევია. მერე რაღა უნდა იყოს, დედაკაცო, შენი ოტროველები შაშოას კი არა და, დადებულ ურემს თავისი ხარ-კამეჩებიანათ წამაიკიდებენ ზურგზე. იგეთი ბნედა უნდა დასცეთ, გოგოსთან რო დააწვენთ, დღეობაში უნდა ეგონოს თავი.

— ძალათაა... — ჩოთირობს ბაბალე.

— ზოგჯერ ძალათა ნებითასა სჯობია. ცოტა გოგომაც უნდა მიუკურკუროს, სისხლი გაუთბოს და მერე თავისით წავა ყველაფერი.

— მოოწაამეეეიეეეხააარ შეენ საქაართვეელოოოვ...

თოვლში გაგანგლული წაბლა ნაგაზი მკერდზე აფრინდება წინ მომავალ აბრია პაპას. აბრია პაპას ველარ მოუხერხებია, დატუქსოს ალაქუცებული ძაღლი, ჩხართვივით დაუღია პირი და ისე ყოჩაღად აწვება კრინს. საჩეხში დაბუდებული ქათმები კრიახს სტეხენ.

აბრია პაპას უფროსი შვილიშვილი, შიუა, მოსდევს უკან. შიუა ნაოფიცრალი კაცია და ტანი ისეთი კივკივით დააქვს, კვერცხი რომ დაადოთ თავზე არ გადმუგორდება. დიდი წესრიგის მოყვარულია და ბალღების დატუქსვისას რუსულად იგინება.

მომდევნო ძმა, თედუა, მევენახეობის ბრიგადირი გახლავთ. სოფელში სახელდებულია და ღვინის სმის დროს ისეთი მადა იცის, ორ დედალს ბუმბულიანად ათავებს. ორივე ხმა გაერიდა კერიას და ორივემ ცალ-ცალკე აიშენა ქვიტკირის ორსართულიანი სახლი.

დანარჩენმა სამმა ძმამ — ლენტუამ, რობიზონამ, და ავთუამ — მამაპაპეულში, დედის კალთასთან აირჩიეს ყოფნა. ის ძველი სახლი ასწიეს, გასწიეს, გამოსწიეს მოიყვანეს ცოლები და იმდენი ბალღობა გაშალეს, რომ მთვრალები თავისას ძმისაში ველარ არჩევენ ხოლმე და მეორე დღისით თავის გასამართლებლად გაიძახიან, ბაღლი ბაღლი არარიო...

როგორც იყო, ის შაბათ დილაც გათენდა. როგორც წერილში იტყობინებოდნენ, შაშოაც ისე მოიქცა. ფიქრობდა, ერთი თავი მშვიდობიანად დამაღწევინა ამ სამგლეებისაგან და, რასაც უნდათ, იმას ვიტყვიო.

შაშოამ ამასწინებზე მეზობლიანთ ბიჭის ქორწილში ერთი ნატარი ქისტაურელი გოგო გაიცნო. მთელი ის ღამე, ზურნისა და დოლის ბაგაბუგში, იქით ილრეჯდა კისერს. მერე იმდენი უბრიალეს თვალები ერთმანეთს ბნელი კუნჭულიც გამონახეს და გოგომაც უფუარი პურივით მალევე უთაფა, პირობა მისცა. თანაც დაარიგა: შენ თითონ არ გადახვიდე, ეგემანდ, წელი არ მოგწყვიტონ, ან ვინმე გადააგზავნე ან წერილი ხელზე გაატანე ვისმეს და იგრე დაიბრუნე ბელგაო.

თურმე ნუ იტყვი, იმ გოგოსაც ერთის ნახვითვე მოსწონებოდა შაშოა, ყველაფერი ადრევე გაეგო და ახლა შიშობდა, ე რქალამაზი მოზვერი გალმელებმა ბოსელში არ დამიმწყვდიონო.

კვირის თავზე თოვლმა კი იფერხა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი ზენა ქარი უზუზუნებდა, ადამიანი ცხვირს ვერ გამოჰყოფდა გარეთ.

მოგეხსენებათ სიყვარულის ძალა და ჯერ კარგად არც იქნებოდა მოდლევებული, რომ ყურებწამოწითლებულმა შაშოამ ბალამწარაანთ კარზე მიუკაკუნა.

ბალამწარაანთ ისე მიიღეს შაშოა, ვითომც აქ არაფერიო, მაგრამ თავად ვირისთავა შაშოამ მოგვიანებით იგრძნო, რა მახეშიც გაება თავი.

ნუშკიას მოფიქრებული წარმოდგენა იწყებოდა. ისეთი ბნელა უნდა დაეცათ შაშოასთვის, მარადოს რომ მიუწვენდნენ გვერდით, თოკიდან ჩამოხსნილი ბანდიტივით უნდა გახარებოდა.

ოთახში ისევ ისე ძველებურად გურგურებს ღუმელი. კუდაპრეზილი ციცაც ისევ ძველებურად გადი-გამოდის ღუმელქვეშ და ტრუსის სუნს აყენებს. კედლებზე ისევ ისე ჰკიდია მამაპაპათა ფერგადასული, ბუზის სკორეთი გაბინძურებული სურათები. ყველაფერი თითქმის ისევ ისე ძველებურად გამოიყურება, გარდა ფანჯარასთან მიდგმული მონიკელებული საწოლისა, რაღაც საეჭვოდ გაწყობილი ქვეშაგებით და თოვლივით ქათქათა თეთრეულით.

მაგიდასთან მხოლოდ კაცები დასხდნენ. ჯალაბი ტახტზე გამწკრივდა. მაგიდის ქვეშ ახლადფეხადგმული ბალღები ძაღლის ლეკვებივით უსიქოთ დალოლავდნენ. გარეთ ქარი ზუზუნებს, საბძლიდან ჩაღაბულას იტაცებს და ნაფეხურებიდან ამოცვენილ თოვლის ნაფხვენებსაც დაახრიგინებს აქეთ-იქით.

თავიდან მაგიდასთან აბრია პაპა წამოსკუპდა, მერე თანამიმდევრობით ძმები წამოსხდნენ. ეს ძველისძველი ადათი აბრია პაპას წყალობით გახლდათ ამ ოჯახში შემორჩენილი, თორემ... — მე რო აღარ ვიქნები, — ამბობდა ხოლმე აბრია პაპა, — ესენი ქოსმენებივით წეესევიან სალაფავსაო.

ყველანი კი დალაგდნენ, მაგრამ ვერ იქნა და შაშოა ვერ დასვეს სკამზე.

— ეგრეც ვიცოდი, — ფიქრობდა თავისთვის შეცბუნებული შაშოა. — ვიცოდი, ვიცოდი ბელგაზე ხმას არ ამაიღებდნენ და დამიწყებდნენ ლაქუცსა.

კაცები მდუმარედ სხედან.

ქალები ენას ველარ აყენებენ. — ეს სასიკვდილე როგორ იჯგიმება, ქა.

— მუთაქა მიართვით სიძესა, ნატარია, იქნებ რბილათ მაინც მოისვენოს, — ამბობს ნუშკია.

— მუთაქა რა ჩემფეხებათ მინდა... — განაწყენებული შაშოა ჭერს მისციებია.

მარადო მწყერივით განაბულა, სირცხვილით ლოყები ეწვის, ცოტაც და, ფშრუკუნს ამოუშვებს.

— იქნებ ქათმის კურტუმი მაინც მიირთოს — არ ეშვება ნუშკია.

— ქათმის კურტუში რა ჩემფეხებათ მინდა... ფუი! — აბრია პაპამ გადააფურთხა, გაფრენილი ნერწყვი პირლია ნასყიდოს მოხვდა აბეღილ თვალში და ალნავლდა.

ძმები წამოდგნენ, თავით ჭერს ხწვდებიან, ბეჭები არშინზე გაუშლიათ.

— დაჯე, შაშო! — ეუბნება უფროსი. წარბებს შუა რისხვის კოპები აყრია. სადაც არის დაიწყება ნუშკიას წარმოდგენის მეორე აქტი.

— რა გინდათ ჩემგან? — შაშოა გასაძრომს ეძებს. — მამეცით ჩემი ბელგა, წავიდე ჩემ გზაზე, ძალადობა ხო არ არი?

— ფუი! — აბრია პაპამ ისევ გადააფურთხა.

— ეს ტუვიასაძგერებელი! — თავს აქეთიქით აქნევენ ქალები.

ნასყიდო ჩხავის, აბრია პაპას ფეხზე ეკანჭურება, ამიყვანეო.

— მამაშორეთ ე გამჩენძაღლი, კაცოო!... — აბრია პაპას ულვაშები უცანცარებს, შაშოა ვერ მოსდის თვალში, მაგრამ თავისზე მინდობილი საქმე კარგად ახსოვს, უკვე დროა გავიდეს და ძაღლი ეზოს კართან გადააბას.

— რაც იქნება, იქნება, — ფიქრობს თავისთვის შაშოა, — ავგრე გავფუნდრუკდები. ღუმელს გადავევლები თავზე და თუ ერთი კარგა გავფხლაკუნდი, მერე მდიონ უკანა, ჩემფეხებსდა დამეწევიან.

— დაჯე, შაშო, გელაპარაკებიან! — უფროსი ძმა ხმას უმაღლებს. ქალები ბალღებს წამოავლებენ ხელს და უჩუმრად გადიან გვერდით ოთახში.

ნუშკია შემდგომ დარიგებას აძლევს თავგზააბნეულ მარადოს.

— დაჯე-მეთქი, გელაპარაკები! — თედუამ სკამი უკან გაიჩოჩა. რობიზონამ მაგიდაზე წინდაწინ განგებ დადებული ღორის საკლავი დანა აიღო, ღუმელთან მდგარი ავთუა საჩხრეკს დაეწოდა. გვერდით ოთახში ნუშკია კვლავ სირცხვილით ოფლში ამოვლებულ მარადოს ექაქანება. რძლებს ყური გახურულ კარზე მიუდევთ და გაცქნაფულები, ცნობისწადილით დაჭყეტილ თვალებს გამალებით ახამხამებენ. აბრია პაპამ წაბლა ქოფაკი ეზოს კარისკენ გამავალ ბილიკზე გადაიბა.

— დავაჭრათ! — იძახის რობიზონა და თან შაშოასკენ იწევს.

— რა უნდა დამაჭრათ! თქვენ ჭკვაზე აფრაკათ ხო არა ხართ!

შაშოას ტანში გაბურძგნა, სანაშენეზე ხელს იფარებს და უკან-უკან იხევს ფანჯრისკენ.

— უნდა დაგაჭრათ, მაზა! — ავთუამ საჩხრეკი დაიგრძელა.

— უნდა დავაჭრათ და ნართიძაფით კისერზე ჩამოვკიდოთ ამ გამჩენძაღლსა ამასა.

— ეგ კაცი არა ყოფილა და ღირსიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არი ტარებისა. უნდა დავაჭრათ. კისერზე ჩამოვკიდოთ და ქვეყანა მაგაზე ვაცინოთ.

— რა უნდა დამაჭრათ, კაცოო!.. თქვენ ტვინი ხომ არ გადაგიტრიალდათ, თქვენ ჭკაზე ვერა ხართ კარგათა.

— თედუა ხელებს გაუკრავს, — იძახის შიუა, — ავთუა მუცელზე დააჯდება, ლენტუა — ფეხებზე, რობიზონა მააჭრის.

— ძირში უნდა დავაჭრათ და იმ ნაკაზმართან გავატანოთ.

— ნუ გეშინიანთ, ხათრიჯანათ იყავით, შიგ ძირში დავაჭრი, ლორისთვინ დამიჭრია თავი და მაგას რალა დიდი ჯაფა უნდა, — იძახის რობიზონა და თანაც პირაპრიალებულ დანას ისე შემზარავად იქნევს, გულგახეთქილ შაშოას ხორცი ეწვება.

— თავი გამანებეთ, კაცო! რა გინდათ ჩემგან, გიჟებოო!.. — თავი დამანებეთ.

უკან დახეული შაშოა ყველას გასაკვირად მოსწყდა ადგილს, ლუმელს ციმციმ გადაევლო თავზე, უმოაჯირო აივანზე ბურთივით გავარდა, იქ თავი ველარ შეიმაგრა და მეორე სართულიდან ახვეტილ თოვლის კოკოლაში მოადინა ბაგვანი. ამის დამნახავი ბილიკზე გრძლად დაბმული გაავებული ძაღლი ჰაერს შემოაფრინდა. იმავ წუთს ძმებიც ბრაგაბრუგით გამოცვივდნენ აივანზე, მაგრამ შიშს დიდი თვალებიც აქვს და დიდი მარიფათიცო ალბათ, შაშოაჩედაც უთქვამთ, მაშინვე ფაცხაფუცხით ამოძვრა თოვლიდან და ქუდმოგლეჯილი, უვარაუდოთ საბძლისკენ გაენთო, იქაც კარი ჩაჩხირული დაუხვდა და მეტი რომ ველარა ილონა რა, იქვე, საბძლის კედელზე სიგრძლივ აწყობილ მორების ქვეშ ფილთაქჯახავით შევარდა.

— აბა ეხლა თავსა და ბოლოში დავუაროთ სადლა წაგვივა, ამას ეგონა და ეგ არიოო... გამოვიმწყვრიეთ თუ არა მაჩვივითა.

ქალებიც აივანზე გამოცვივდნენ.

აბრია პაპა ცხენნაყიდი თათარივით ილრიჯება და თანაც ბიჭებს აქეზებს.

— არიქა, ბიჭებო! არიქა! ყოჩაღად მაიქეცით, არსაით გაგიძვრეთ!

— შენ გული დაიმშვიდე, პაპავ, მე ვიცი საითაც გაგვიძვრება, ერთი მარტო თავი გამოყოს და თუ წელი არ მოვწყვიტო, აეს მარჯვენა შამახმეს.

თედუას კანჭის სიმსხო მარგილი აულია და კედელზე აყუდებულ მორებს გარედან უხათქუნებს.

— ვილეზაი, ჩორტ პაბირი, — შიუა რუსულს იშველიებს.

ავთუა რობიზონას გასჭყივის.

— ზემოდან დაუფარჩხუნე, რობიზონ! ზემოდან დაუფარჩხუნე და გამოა, მა რა ფეხებს მამჭამს.

— უფარჩხუნებ და არ გამოდის.

— რაო, ვითომ რას ამბობს.

— არაფერსაც არ ამბობს, ზის თავისთვინ და ტურასავით აპყრიალებს თვალებს.

— გამო, ბიჭო, გარეთ!

— თქვენი ყველაყისამ, დიახ სხვა რალა გინდათ...

შაშოა იხტიბარს არ იტეხს. ფიქრობს, აქედან ცოცხალს ვერ გამიყვანენ და ერთი თუ გავგიუდი და მართლაც გავედი, წელს მაშინვე ვირივით მამწყვეტენ. მერე ხმამაღლა ამბობს: რა გაჭყივლებთ რო გაჭყივლებთ. თავები რო დაიხოცოთ, მაინც არ გამუალ! უპატრონო ხო არა გგონივართ მართლა და მართლა. სწორეთ თქვენ მეგექავლევინებით, დიახ!

— ერთი ამას უყურეთ! ჰაი, შე ვირიშვილო, სუკინსინ! — იძახის შიუა.

სიცივით აძაგძაგებული ნუშკია ბაყაყივით ჩაცუცქულა სათონესთან და ბიჭებს ხელით ანიშნებს, ვითომ, სად გეჩქარებათ, გული დაიშოშმინეთ, მერე თავად აქეთ შემოგვეხვეწება და მაშინ მე მიმიშვითო.

ქალები სახლიდან სათფუნებლებს მოარბენინებენ.

— აჰა, ჩაიცვით სათფუნებლები, ჩვენო კაცებო, მერე ცეცხლი გააჩაღეთ და ტაბლასაც აქვე გაგიშლით, იჯდეს იქ, კიოტივით ეგ ჭირსაძგერებელი, თქვენ კი აქ იქეიფეთ და იქეიფეთ რამდენიც გენებოთო.

უკეთესი აზრის გამოთქმა თავად ნუშკიასაც გაუჭირდებოდა, მაგრამ ტვინს ძალა დაატანა და თავისი წილი სიტყვა მაინც წაუმატა:

— მაშინ, შვილებო, ერთი მხრიდან ძაღლი დაუბათ, მეორე მხრიდან კიდენა ჩვენ ჩავუსხდეთ, ოლონდაც, ღმერთი გიშველით, ერთი სათბუნებელი მეც მამიტანეთ, ქა, თორემ მეხი მაგასაც დასცემია, სიცივემ გულ-მუცელში დამიარა.

ისეთი ქარი უბერავს, ძმებმა ცეცხლის დანთებაზე უარი თქვეს, მაგრამ სამაგიეროდ სათფუნებლებში მაშინვე ფაცხაფუცხით გაეხვივნენ.

— კრეპკი პარენ! — ჰკვირობს შიუა, — რა აძლებინებს ამ შობელძაღლს, მე რო სანგარში ხალათის ამარა ამდენი ხანი ვმჯდარიყავი, მშვიდობიანობის ალსადგენად გერმანელებს უთუოდ დიდი სიამოვნებით ჩავესიძებოდი, ა, ონ ჩტო დუმაეტ, დურაკ!

აკივლებული ქარი ნამქერს ისეთი ძალით არიალებს, ძმებს ცხვირ-პირი ერთიანად მოეყინათ, ტუჩები ლორის ტყავივით გაუხეტდათ და აძაგძაგებულები გამოსაძრომსლა მისციებიან. ბოლოს მოთმინებადაკარგული რობიზონა გამოსაძრომისკენ წალასლასდა, შიგ ნახევრად შეძვრა და თავპირგალურჯებულ შაშოას თითქმის შიგ ყურში ჩასჭყივლა.

— გამო, ბიჭო, გარეთ! მეტი ალარ შაგვიძლიან.

სიძე ეროვნული ბიბლიოთეკა

შე გამჩენძაღლო, თორემა, იქნება თოფი შამოგიქუხო.

— ვაჰ, ვაჰ, აჰ, ვის გადავეყარე, კაცო! სტალინგრადში არ შამცივნია ეგრე, როგორც ეხლა მაბაბანებს — აყვირდა შიუა და ისიც გამოსაძრომს მიადგა.

— ვილეზაი სირაჟე, შე ვირიშვილო, თორემა, თუ შამოვძვერი მანდა, თავს კურდღელივით მიგიგრეხავ.

— რა გინდათ ჩემგანა, კაცო... დამანებეთ თავი, — არაქათგაცლილმა შაშოამ კატასავით მორთო კნავილი.

— უუუუუუ! ია ბოლში ნე მაგუ. პაშოლ ონ კჩორტუ, მოდით გოგირდი შაუბოლოთ და მართლაც შიგ გამოვგუდოთ ეს შობელძაღლი, ესა.

— ვინ უნდა გამაალრჩოთ, ნაგიჟრებო, ჯერ გიკითხიათ რამე მაგ ბიჭისთვინ, — დროულად ერევა საქმეში ნუშკია. იცის, ყველაფერი ისე მომწიფდა, რომ ლედვის ტოტივით მორჩილად დაჰყვება შაშოა იმის ნებას.

— რა უნდა ვკითხოთ, გაგვაჯამბაზა და ეგ არი.

— ბიჭო, მართლა გინდა ბალამწარაანთ გაჯამბაზებაა?..

— არა კაცო, რა გაჯამბაზება, რის გაჯამბაზება. — კნავის შაშოა.

— შვილო, ჩვენი გოგო მართლა აღარ გინდა?

— ვინ რას იძახის რო, მითქვია მე რამე, მითქვია?

— აბა მაშ, თითქოს ყური მოვკარი, წეღან იძახდი, გამატანეთ ჩემი ბელგა უკანო.

— განა მე ბელგაზე ვთქვი?

— მაშა? — ნუშკიას ჩუმ-ჩუმად ეღიმება ტუჩებში.

— მე გოგოზე ვიძახდი, რაღას აყოვნებთ, თუ მატანთ, დროზე გამატანეთ-მეთქი.

— უი, დამიდგეს თვალი, ეგრე რამ გამოგვაყრუა ყველანი. ქა, გამოძვერ, შვილო, გარეთ, გოგოც შენია და კაი მზითებიც შენია.

შაშოას ცრემლის კურცხალი შეჰყინვია წამწამებზე. მთელი სხეულით ბაბანებს და ფუშიანი ცხენივით გარაჩხული მიჰყვება ნათლიდედას.

ამ ორომტრიალში შეღამდა კიდეც. ხორშაკი ქარი ყველა ნახვრეტ-ნასვრეტში მიწუწუნებს. აივნიდან გადმოღვრილ წყალს არ აცდის დაბლა დაცემას, ჰაერშივე ჰყინავს. წამოხვეტილ გამომშრალ თოვლს საფანტივით უშენს აკვნესებულ ხეებს. საკვამურებს ტუჩიდანვე სტაცებს კვამლს და გაცრიატებულ ჰაერში რუხ ზოლებად მიაქანებს.

— კაი ბიჭია, თორემა... ჩვენ ვიცოდით, რასაც ვიზამდით. ერთი მაგრად დავბეგვავდით და იმ თავის ბელგასაც შარაზე გადაუყრიდით, მაგრამაა... ჩვენი გოგოც კარქი გოგოა და იმ ნაკახპარის გულისთვის თავებს არ დავატანჯვინებდით, არა.

ქალებმა შეგროვილებულ, ხელუხლებელ სადილს ახალი ხორაგიც წაუმატეს და სუფრა ნოყივრად გაშალეს.

ნუშკიამ გულამომჯდარ შაშოას ფეხები ცხელ წყალში დააბანინა, თვითონვე შეუწმინდა და მერე იმ გაქათქათებულ ლოგინში ჩააგორა.

— დათვი მჭლე და შენ მსუქანიიი... აბა შენ იცი, შვილო, ჭკვიანად იყავი. მე დამიჯერე და რასაც წააგებ, მოდი და საფლავში ჩამამლანძღე. ეხლა მარადღაც გამოა, ჩაგიგორდება ლოგინში და დაუტკბით ერთმანეთს. ამას განა მარტო ჩვენი ჭკვით ვაკეთებთ. შვილო, დედაშენმაც იცის. ხვალე დილით გადმოა და თქვენი ხელის მოწერაც ხვალე დილით მოხდება... გზიდან იყავ გადაცდენილი, აგრემც შამრჩებიან შვილები.

ნუშკიამ ბიჭს საბანი წააფარა, მერე დამორცხვილი, აცახცახებული მარადღაც დაითრია, ჩაუგორა ლოგინში და დალოცა ნეფე-დედოფალი:

— შვილი მოგცეთ ბლომათა, პური მოგცეთ ხორბლათა, სიმინდი ტაროთა, საკლავი გამრავლოთა. მტერი არა გყოლოდეთ, ჭირი არა გქონდეთ, ღმერთმა აგაშენოთ, თავზე ტკბილად დაგათენოთ.

— კარგი ბიჭია, თორემა... — იძახიან ძმები.

სკამებს რახარუხი გაუდის. აბრია პაპა სუფრის თავში წამოჯდა, თვალები ისეთი მშვიდი ნეტარებით უციმციმებს, თითქოს შემღვრეული ღვინო დროზე გადაიღო ამორეცხილ ქოცოში. ქალებს ყური მზირეთ უჭირავთ, დასაწყისის ჩქამს ელოდებიან, შიშობენ, ბიჭი ძაან ხომ არ შაშინდა და არ დავილუპეთო.

— კარქი ბიჭია, თორემა... ძმები ერთ ადგილზე იტკეპნებიან, მეტი სათქმელი აღარ დარჩენიათ, გოგო ნუკრივით ჰყავდათ გაზრდილი, ეხლა მოშვებულები სხედან და ნუშკიას ნიშანს ელიან, აამოძრაონ ხელპირი.

პირდაღებული ნასყიდო აბრია პაპას მისცქერის, გაოცებულია ბაღლი, რატო ხელში არ აწეწყვანს ეს ჩემი აბრია პაპა და განა რა დაუშავე ისეთი დღეს თვალებში რომ მომაფურთხაო.

პაპა მიუხვდა ბიჭს და ორივე ხელები გაუწვდინა.

— მოდი, ჩემო თიკანოო... მოდი, ჩემო შროშანოო... მოდი გენაცვალოს აბრია პაპა.

ძაღლი ერთხაშად აღავლავდა. ტახტზე შემოდგმული აკვანი თავისით გადაირწა. ჭალი შეტოკდა, სახლი იძრა და მეორე ოთახიდან გოგოს მოგუდული კივილის ხმა შემოიჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნამატი არ მოეშალოს ქართველი ხალხის ჯილაგსა. ნეფე-დედოფალს გაუმარჯოს!

გაცეტებული ბალღები შესცეცინებენ აღრიალებულ უფროსებს. გატყდა პური, დაიხლიჩა რგვლად მოხარშული დედლები, დაილია ღვინო.

შიუა რუსულად აგინებს მაგიდის ქვეშ მოხორხოცე ბალღებს. აბრია პაპა ცხენნაყიდი თათარივით იღრიჯება, ერთადერთი წინა კბილი ურმის კინკილასავით ჩამოჰკიდებია და ისიც ლუკმაზე დადებისას მთვრალი კაცივით უბარბაცებს.

ვინ იცის, სახლი მერამდენჯერ იძრა იმ ღამეს, მერამდენჯერ გადირწა თავისით აკვანი და მერამდენჯერ შეირხა ქალი.

ძმები მადაში შევიდნენ. თავანკარა ღვინით გახურდა თავის სარქვლები და ბალამწარაანთ სახლიდან იქუხა სიმღერამ:

— მოოწააამეეეიეეეხააარ შენ სააქაართველოოოვ...

ტურების შორეული კივილის ხმა მოაქვს გააფთრებულ ქარს. კარს მოგვიანებული სტუმარივით აწყდება. მთვარე სისხლის წვეთივით შეჭყინვია არიალებულ ცას. ქარი ბუბუნებს, შემფრთხალი ცხვრის ფარებივით მიაგელვებს მთის კორწოხებისკენ ღრუბლებს.

— მოოწაამეეეეიეეეეხააარ შეენ საააქართვეელოოოოვ.

— შენ გენაცვალე, მარადოო... — ვნებადამცხრალი შაშოა ეჩურჩულება ბლის კუნწულასავით ლოყებალუდლუდებულ გოგოს და გულში იკრავს.

— გონიძიაანთ ნამცა მართლა ნაკახპარია!

— ნაკახპარია, აგრემც შენ შამრჩები, თელაველი კარაპეტას ბრუტიანი ბიჭის ნაკახპარია. შენ გენაცვალე, მარადოო... ეჭვგადაწურული შაშოა ტანაფუებულ გოგოს ზედ ეგლისება.

ნამატი გიმრავლოთ, ბალამწარანოო!..

შვილი მოგცეთ ბლომათა, პური მოგცეთ
ხორბლათა.
სიმინდი ტაროთა, საკლავი გიმრავლოთა.
მტერი არა გყოლოდეთ, ჭირი არა
გქონოდეთ.
ღმერთმა აგაშენოთ, თავზე ტკბილად
დაგათენოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ირაკლი ციგროშვილი

●

ჩამოდის ჩემი წილხვედრი წვიმა,
ზეცის მძივები
ბრწყინავს ჭალებზე...
ისევ სწყურია სინათლე მძინარ
და დავიწყებულ დაღლილ ზმანებებს.
აღარც ბურუსი მეუცხოება,
აღარც რას შევთხოვ
წვიმის მბრძანებელს.
მიედინება ესე ცხოვრება
და მიწის ცრემლი
მიჩანს თვალებზე.

●

აღარც ის მოდის,
ვისაც ველოდი,
ვერც მიმავალი
ვერ დავაბრუნე...
ცოტაც შესძელი ღმერთის
ქველობით,
ცოტაც გასძელი გულო საგულეს.

სხვა რა ვქნა ახლა,
ამ დღესაც კიდევ
მე დავახანებ სთველის ქედებზე,
რომ თვალი მოვკრა,
რაიც წავიდა
და შენი მოსვლა მაიმედებდეს.

●

ღვთიური ძალა —
მთებს რომ იმორჩილებს,
და მდინარის დაოკება რომ შეუძლია,
მოსახველელს
რომ უცილობლად მოავლენს
როსმე...
ის
უჩინარი გზით მოდის ჩვენსკენ,
მოკვდავთ თვალი არ მიგვიწვდება...
ხანდახან მისი ფრთის სილაღე
გაიელვებს ფიქრში მხოლოდღა.

## იახსრის მეკვლენი

ლახტის მპყრობელო, იახსარ,
ყმანი მოვდექით მეკვლედ.
ეს რა ამინდი ჩამოდგა,
ეს რა ზარები რეკენ...
ეს წელიც გაიმეორებს
ძველის ყვავილებს, ეკლებს?..

კვლავ ძველებურად იბრუნებს
ჩვენი ცხოვრების ჯარა?
ეს წელიც ისე ჩაივლის
ვით ძველმა ჩაიარა?..
მოვდექით, შენთვის ვიმეტებთ
ამ სამწყალობო ზვარაკს.

შემოწირული კრძალვითა,
ღირსად მიიღე ღირსი!..
სივრცეში შუქი დაჩნდება,
გაიკრიფება ნისლი.
მოისმის სადიდებელი
სინდისის, მამულისი.

●

ჯანღი მოძალდა... საღამომ
შემოგარენი შებინდა.
ხმა:
— აღსდექი და აღზევდი! —
აჯანყებული მთებიდან.

დიდი ხნის მღვრიე გუბეში
წრე უფერული იკვრება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა:
— იარე და გასძელი
ეკლიან გზა-ბილიკებზე!

ვერც ჟამმა ველარ გნაყოს და
ვერც მწუხარებამ ურიცხვმა...
ხმა:
— ირწმუნე, რომ ოდესმე
დაცხრება მოქუფრული ცა!

## პოეტი და წუთისოფელი

გამოვლილ გზაზე გიხსენებ ახლა,
იქ ახლაც წვიმს და ქარბუქი ოხრავს,
იქ შენც შენივე ლანდივით ჩანხარ,
იქ შენც შენივე გულისთქმით
მოხვალ...

იქ ხომ მძივ-ღილი
შვენოდა ველებს,
მაგრამ თანდათან თვალს მიეფარა...
ჯერ თეთრი იყო ღრუბელი, მერე
გადაიარა მგრგვინავ-მჭექარმა.
ვერ შეურიგდი,
პირისპირ შეხვდი,
ვერ აუარე ხარის და წკვარამს,
ვერ განიქარვე სასჯელი ბედის,
ვერ დაიურვე პირქარი მარად
მქროლავი... აჰა, პიტალო, მკაცრი
გგეზავს, გეძახის ჭრელი ფერდობი
და დღე სისხლისფერ ყვავილებს
განწვდის
და სისხლი მიაქვს დროს
წვეთ-წვეთობით.

გაყოფილია მდინარე ორად,
ხნულშიც სხვადასხვა თესლი
ღვივდება.
აქ, ერთ მხარეზე შენ გინდა დგომა,
მეორე მხარეს თალხმა ბინდებმა
ჩაშალეს თმები...
ღამეში ჩქამობს
მდინარე, მიდის წუთი ყოფნისა —
დასაბამიდან მავალი მგზავრი,
მგზავრი,
ფერადი წუთისოფლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აკაკი გეწაძე

# ღამის გაფრენა

### მოთხრობა

**მოწინააღმდეგე** კონტრშეტევაზე გადმოვიდა. მეტყვიამფრქვევე ჯარისკაცს თანაშემწე გუშინ მოუკლეს და ახლა ცალკე სანგარში მარტო დგას. ვაზნები რომ გაუთავდა, ხევიდან სწორედ მაშინ ამოყო თავი დიდმა ტანკმა. იმ ერთს ორი ტანკიც ამოჰყვა. მეწინავე დაბარებულივით. მეტყვიამფრქვევისაკენ წამორახრახდა. ჯარისკაცს მოეჩვენა, რომ ტანკი კი არა, საშინელი, წინ ხორთუმგამოშვერილი ჭრელი ურჩხული მოლავლავებდა მის ჩასაყლაპავად. წამლად ერთი ხელყუმბარაღა ჰქონდა შემორჩენილი. მაგრამ ამ ზღაპრულ ურჩხულს, თუნდაც შუბლში რომ ეთხლიშა ეს ყუმბარა, რას დააკლებდა! ბედისწერასთან შერკინება ამაო იყო. მაგრამ შიშმა გონება როდი დაუბინდა, პირიქით, გამოაფხიზლა. წამსვე ივარაუდა: სანგარში ჩავწვები და როცა ზევიდან გადამივლის, ეგება ღმერთის შეწევნით, სალსალამათადაც კი გადავრჩე, მაშინ ამ ყუმბარას უკან ვბუთქავ. სადაც ბენზინის ავზი უდგას და... ეს ერთი ტანკი მაინც თუ დავწვი, იმ ორმა დანარჩენმა ჩემსკენ წამოსვლა ეგებ იქნებ ველარც გაბედონ, არადა, ჯანდაბას ჩემი თავი, რაც მომივა, მომივიდესო...

არცთუ ისე ღრმა სანგრის ფსკერზე, რატომღაც, გულაღმა ჩაწვა და თვალი უკიდეგანო ცისაკენ გაექცა. იქ ახლა არც მზე ჩანდა, არც ღრუბელი, არც სხვა რამ.. არა, პირჯვარი არ გადაუწერია და ყოვლისშემძლეს არ შევედრებია, გადამარჩინეო. ეს ფიქრი გულში არც გაუვლია. ასე თვალგახელილი, ცას მიშტერებული დაელოდა თავის ბედისწერას. ტანკის რახრახი თანდათან ახლოვდებოდა. ჯარისკაცმა თვალები მაგრად დახუჭა და უმალ გაახილა, თითქოს ახლა იმისღა ეშინოდა, არ გამორჩენოდა რა მოხდებოდა, თუნდაც საკუთარი თავის სიკვდილი დაენახა.

მუხლუხები სანგარს რომ მოადგა, ტანკმა ერთი ჩაბუქნა და მიწა მოერღვა სანგარს. ეს ოხერი ცოცხლად მმარხავსო, გაიფიქრა ჯარისკაცმა და უნებლიედ ხელები აიშვირა. მიწა, უპირველეს ყოვლისა, გახელილ თვალებში ჩაეყარა და უმალ დახუჭა. იმავე წამს საშინელმა გრგვინვამ დააყრუა და ტანკის რახრახიც მყისვე მიწყდა. ეგონა, ტანკის რახრახი იმიტომ აღარ მესმის, სულმთლად დავყრუვდი ან სიცოცხლეს ვეთხოვებიო. მაგრამ მალე მიხვდა, რომ, საბედნიეროდ, მოტყუვდა: ჯერ მთლიანად არც სმენა დაჰკარგოდა, არც თვალისჩინი. ტანკი ზედ მისი სანგრის თავზე იყო გაბოგირებული. იდგა და იწვოდა. ეტყობა, ზუსტად მის სანგართან მორახრახებულს, ერთდროულად რამდენიმე ჭურვი მოხვდა და აალებული, აქვე დადუმდა. ყური მიუგდო, ეგება ტანკიდან გადმომხტართა ხმა გავიგონოო, მაგრამ ბაიბური არ ისმოდა. ალბათ, ეკიპაჟის ყველა წევრმა გონება დაკარგა.

„ტანკს ცეცხლი კი წაუკიდა ვიღაცა

ხელდალოცვილმა და თვალდალოცვილ-მა, მაგრამ რაღა — აქ ამ სანგრის თავზე? ახლა ჩემს თავზე გადმომხობილი ეს ტანკი მთლიანად ცეცხლში გაეხვევა, ტანკთან ერთად, მეც აქვე დავიწვები, და ჩემს ფერფლსაც კი ვერავინ იპოვის".

ეს კი გაიფიქრა, მაგრამ გადარჩენის წყურვილმა დაბნევა არ აცალა. მაშინვე დალანდა, რომ ტანქვეშ გაძრომა შეიძლებოდა, მერე კი... მერე... იმ მერეზე ფიქრს არ აჰყოლია... ყოველ შემთხვევაში, სანგარში ამოწვას ან თავის ხელყუმბარასთან ერთად აფეთქებას, ზემოთ სიკვდილი ერჩია. რის ვაი-ვაგლახით აძვრა სანგრიდან და მუხლუხებქვეშ წვალებით გაფორთხდა.

ირგვლივ ჭურვები სკდებოდა, ნაღმებიც ზრიალებდა, ტყვიაც წიოდა... და ჯარისკაცმა ვეღარ გაიგო, ვისი ნასროლი ჭურვის ნატეხი მოხვდა ბარძაყში ან მერე ვისმა ნასროლმა ნაღმმა დააკარგვინა გონება. თვალი რომ გაახილა, საველე ლაზარეთში იწვა.

თითქმის თვენახევარში გამოსაღსალამათეს და, აი, ფრონტგადავლილ ოღროჩოღრო გზაზე მიაბიჯებს უკვე, რომ თავის პოლკს დაეწიოს.

სადღაც, შორს ყრუდ ახველებენ ქვემეხები.

წელიწადის ის არეულ-დარეული დროა, გაზაფხული რომ უტევს, ზამთარი კი უკან იხევს, ოღონდ ჯერჯერობით ფარ-ხმალსაც არ ყრის.

ლაზარეთიდან მომავალს, თოფი არ ჰკიდია, არც აირწინაღი აქვს, არც სასანგრე ნიჩაბი, ერთადერთი აბგა მოუგდია ზურგზე, ისიც ნახევრად ცარიელი, თოვლნარევ ტალახში მაინც ჭირს სიარული.

სოფელს მზის ჩასვენებისას მიადგა. შებინდებულზე სუსხმა იმატა.

მიდის ჯარისკაცი და გასავათებულ ფეხებს ძლივსღა მიათრევს. ლილოჭრილო თოვლში აზელილი მიწა ჩექმებს ეწებება და ხდის ხოლმე. რაკი სასანგრე ნიჩაბი არა აქვს, ლანჩებზე ტალახს ხელით იშორებს.

სადღაც, შორს კვლავ ყრუდ ახველებენ ქვემეხები. ჯარისკაცს თავისი პოლკი სწორედ იქ ეგულება.

ფრონტული აღლვებილი გზა სავსეა ტალახში ჩაფლული ქვემეხებით, მანქანებით, საზიდრებით, ჯავშანტრანსპორტიორებით. თოფ-იარაღიც ბლომად ყრია. აქა-იქ ტანკებსაც ვეღარ უჯობნიათ გამლხვალი მიწისათვის, სალ-სალამათნი წვანან ლაფში, ერთ ქვემეხს დრუნჩი მიწაში წაურგავს მობალახე ღორივით, მეორეს ცაში აუშვერია, თითქოს ატეხილი ბუღა ჰაერს ყნოსავსო.

დიდი მიხვედრა არ სჭირდება: მოწინააღმდეგეს, რამდენიმე დღის წინათ ალყაში მოქცევის შიშით დამფრთხალს, თითქმის მთელი საომარი ტექნიკა ღვთისამარა მიუტოვებია და გაქცეულა.

ჯარისკაცმა იცოდა, რომ მტერს დადევნებული მისი პოლკის არცერთი ასეული თუ ოცეული ამ სოფელში არ დახვდებოდა და ძალის მოსაკრებად, გზა მეორე დღეს დასვენებულს რომ განეგრძო, ღამის გასათევად პირველსავე სახლს მიადგა. ყველა ოთახი ისე იყო ფარაჯიანებით გაჯეჯგილი, ნემსიც არსად ჩავარდებოდა. ორ უბანში სადაც კი კარი შეაღო, ყველგან ასეთი სურათი დახვდა.

სადღაც, შორს ისევ ყრუდ ახველებდნენ ქვემეხები, მაგრამ ამ ხველებას აქ ახლა არავინ უსმენდა ან არაფრად აგდებდა, ისვენებდნენ ბრძოლით დაღლილი ჯარისკაცები, რაკი ამის საშუალება მიეცათ.

ჯარისკაცმა ბოგირი გადაიარა და გაიხედ-გამოიხედა, რომელი გზით წავიდეო.

— ჩვენი ძმა, თუ ღამის გასათევს ეძებ, ამ მხარეს ტყუილად ივლი. ყველა სახლში ჭერეხივით ყრიან სალდათები, სადმე სხვაგან სცადე ბედი, — უთხრა ზემოდან მომავალმა სერჟანტმა.

ისევ ბოგირზე გადავიდა და ფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობს აუყვა. აქ უფრო გაუჭირდა სიარული. არაქათი გამოეცალა.

დასასვენებლად რომ დავჯდე, ვაითუ, ცდუნებამ მძლიოს და თოვლნარევ მიწაზე დავწვე. ან უეცრად ძილმა წამართვას თავი და ისე გავგორდე, ვერც გავიგო. მერე ველარც ავდგები, ისევ სჯობია სიარულისას ცოტა-ცოტა შევისვენო ხოლმეო, გაიფიქრა.

ასეც მოიქცა. გზაზე ჯოხი იპოვა და იმ ჯოხზე დაყრდნობილმა, სამიოდეჯერ შეისვენა. მერე კი კვლავ წალასლასდა. არადა, აქეთა ფერდობი დაუსახლებელი იყო. სადღაც, სხვაგან უნდა მიეღწია სახლამდე, რომ ბუჩქოვანში დასაწოლი პატარა ადგილი მაინც ეპოვა, ღამით ცისქვეშ თავისი ფარაჯის ამარა არ დარჩენილიყო.

გორაკგადავლილმა ცალკე მდგარი ქოხმახი დალანდა და იმედმოცემული, იქით წავიდა. ამასობაში გახშირბინდდა კიდევაც.

მიახლოებისას შენიშნა, რომ სახლს ცალ მხარეს კედელი ჩამონგრეოდა. ეს არაფრად ჩააგდია. პირიქით, გულში გაივლო: ბომბით დაზიანებულ სახლში ალბათ, აღარავინ ცხოვრობს და ჯარისკაცურად ერთი ღამის გასათევ მშრალ ადგილს კი რამენაირად გამოვნახავო.

მიადგა წინა კარს და დაეჯაჯგურა. შიგნიდან იყო დაკეტილი. მაშასადამე ვიღაც იყო აქ. ჯოხი მიუბრახუნა.

არავინ გაეპასუხა. უფრო მაგრად მიუბრახუნა.

— ვინა ხარ? — მოესმა ყრუდ.

— ჯარისკაცი ვარ. ღამის გათევა მინდა..

კარი ქალმა გაუღო.

—შემოდი. შემოდი. ჯარისკაცო! — წინკარიდან ოთახში შეუძღვა.

მიხერგილ-მოხერგილი ოთახის კუთხეში, სადაც ჯვარცმული მაცხოვრის გაჭვარტლულ-გახუნებული ფერადი ხატი ეკიდა, მცირეკალიბრიანი ქვემეხის პირშეჭყლეტილი მასრისაგან გაკეთებული ჭრაქი ლიფლიფებდა.

ქალი მარტო იყო.

მეორე ოთახის ჭერი ყუმბარას ჩამოენგრია, ეტყობოდა, იქიდან თითქმის ყველაფერი აქ გადმოეტანა პატრონს და ერთმანეთზე ჰაიჰარად მიეყარა. დანგრეულ ოთახში გასასვლელი კარი გაუქმებული იყო. აქაც ერთ ფანჯარას შუშა ჩამტვრეოდა და შიგ მოზრდილი ბალიში ჩაეჩურთათ. ჩაუმტვრეველ ფანჯარას, ალბათ, შუქშენიღბვისათვის, ნაცრისფერი ტილო ეფარა. კედელთან ერთი ფეხდაბალი, დაბალზურგიანი, არცთუ ისე ფართო ტახტი იდგა, მის პირდაპირ კი ვიწრო გრძელი სკივრი. მათ შუა გასასვლელი იყო დარჩენილი, ფურნედაც რომ ხმარობდნენ ხოლმე, ახლა არ ენთო, თუმცა სიცივიდან შემოსულ ჯარისკაცს აქაურობა მაინც ეთბილა. აბგა მოიხსნა და სკივრზე მოისროლა, მერე ფარაჯაც გაიხადა და აბგაზე მიაგდო. ჯოხი აქ აღარ შემოჰყოლია.

ჯარისკაცმა ჭრაქის ულიმღამო შუქზე კარგად ვერ გაარჩია, რა ხნისა იყო ქალი. ეგებ იმიტომაც, რომ ახლა ამას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. გზაზე ჯარისკაცს ქალზე წამითაც არ უფიქრია, არც აქ გაუვლია გულში: რა კარგია, მარტოხელა ქალი რომ დამხვდაო, ოდნავადაც არ დაინტერესებულა მისი ქალობით.

— გეტყობა, შორიდან მოდიხარ, ჯარისკაცო! — ქალმა თალხი თავსაფარი შუბლზე გადმოიწია.

— დიახ, საკმაოდ. დაჭრილი ვიყავი. ლაზარეთიდან გუშინწინ გამომიშვეს. ჩემს პოლკში უნდა დავბრუნდე, ფრონტზეა, ვიცი... დღეს ორმოცზე მეტი კილომეტრი მაინც მოვთოკე. ბედად ეს სახლი რომ არ დამხვედროდა, ალბათ. გზაზე წავიქცეოდი, ისე ვარ...

— გეშიება კიდევაც.

— არა, ნუ შეწუხდებით.

— გამიგია, ჯარისკაცს მუდამ შიაო. უსაგზლოდ ხარ, ალბათ, ნუ მომერიდები. ცოტა პური შემომრჩა, გავიყოთ შუაზე. კომბოსტოს მწნილიც მეშოვება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიირთვი, რამდენიც გესიამოვნება, გეფიცები, არ მენანება...

— არ მინდა.. რატომ უნდა შეგეზიარო... შენ რომ გაგითავდეს, აქ ვინ მოგიტანს?

— მომიტანს... ღმერთი მომიტანს. შენ მაგის ნუ გედარდება.

— ღმერთმანი, არ მშია. ლაზარეთიდან მშრალი ულუფა მისაგზლეს, ორცხობილა, თევზის კონსერვი, შედედებული რძე.. აი, ძილი კი ნამდვილად უმოწყალოდ მინდა. თავის მისადები ადგილი ახლა ყველაფერს მირჩევნია! — ჯარისკაცმა ერთხელ კიდევ დაზვერა ოთახი, სად შეიძლება ფარაჯის გაფენა და აბგაზე თავის მიდებაო.

ხატის ქვეშ, სადაც ჭრაქი ლიფლიფებდა, ხის უბრალო ჩარჩოში ცალცალკე ჩასმული სამი სურათი ეკიდა ორი ვაჟისა და ერთიც გოგოსი.

ჯარისკაცი მიუახლოვდა, დააკვირდა სურათებს და დიასახლისს შემოუბრუნდა:

— შენები არიან?

— კი, ჩემი ვაჟებია. შარშან ორივე ერთ დღეს წაიყვანეს ომში. წერილები აღარ მომდის, — ამოიოხრა ქალმა. — ღმერთო, ნუ გამწირავ! — თქვა და პირჯვარი სამჯერ გადაიწერა.

— ეს თვალხატულა მზეთუნახავიც შენი ქალიშვილია?

ქალმა მოქამული თავსაფარი შუბლიდან გადაიწია და გაიღიმა. ჯარისკაცმა ახლა მის თვალებში იმნაირი შუქი დაინახა, ნაკვერჩხალი ის-ისაა დაფერფვლას რომ იწყებს და ლურჯი კაშკაშა ალი ასდის.

ვიდრე ქალი რაიმეს ეტყოდა, ჯარისკაცი მისმა ღიმილმა და თვალებში აკაშკაშებულმა ცისფერმა ალმა თავისთავად მიახვედრა, რომ ის სურათი ამ ქალის ახალგაზრდობისა იყო.

— ეგ კი მე ვარ თვითონ... გათხოვებამდე, — ხმაში სინანული გაერია ქალს და ღიმილი გაუქრა.

„მომხიბლავზე მომხიბლავი გოგო ყოფილა, — გაიფიქრა ჯარისკაცმა. — ღმერთმა უწყის, მერე რამდენი ჭირვარამი გადახდა თავს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ალბათ, არც ახლა აკლია სილამაზე, მაგრამ, ეტყობა, თავის შემორჩენილ ადრინდელ იერს თუ ახალგაზრდულ ეშხს ალარავის ახარებს, მგონი, განგებაც მალავს იმ მოქამული თავსაფრით... ალბათ ასე დასჩემდა, იცის, ამ გაგანია ომის ჟამს ჯარისკაცთა უმრავლესობისათვის ყველა ქალი, რა თქმა უნდა, ასაკოვანიც, ერთი ღამით თუ ერთი თვით სასურველ ქალად რომ ქალობს და თავისებური ამგვარი ქცევით ყოველ ჯარისკაცს უსიტყვოდ აფრთხილებს: მე უკვე ხანდაზმული გახლავართ, ვნებადაშრეტილი, და სხვანაირი თვალით არ შემომხედოთ, საეშმაკო ზრახვა გულში ტყუილად არ გაივლოთ, თორემ განანებთო".

აკი ჯარისკაცს ნამდვილად თავიდანვე არც შეუხედავს ამ ქალისათვის მამაკაცის თვალით...

— ქმარი? შენი ქმარი?..

— არ ვიცი, შვილო... ათი წლის წინათ დამეკარგა, შვილო... შენ სად გირჩევნია მოსვენება? ეგერ, ლუმელის საწოლზე ერთობ თბილა, ან, აგერ ტახტზე... ჰო, აქ ლეიბიც ავია, საბანიცაა, ეს ერთი ტახტი და ერთი ხელი ლოგინილა შემომრჩა მთელი... ჰა, აირჩიე!

ჯარისკაცმა დიასახლისის უთქმელადაც კარგად იცის, ლუმელის თავზე რომ ეთბილება, მეტიც: ეცხელება კიდევაც. ჯარისკაცს კი ურჩევნია, არ მიეჩვიოს ზედმეტ სითბოს, თორემ მერე სანგარში უფრო გაუჭირდება, ამიტომ ტახტზე ძილს ამჯობინებს.

— სულ ერთია, ოღონდ დასაწოლი იყოს და...

— რაკი ასეა, მე ლუმელზე ავალ, შენ კი, შვილო, აგერ მოისვენე, — ტახტზე მიუთითა. — მე ისედაც კარგა ხანია ლუმელზე ვწვები, იქ ჩემი მოქსოვილი ფარდაგი მიგია, პატარძლობისას მოქსოვილი, ძალიან მიყვარს ზედ ძილი, ბოდიში, თეთრეულს ვერ გამოგიცვლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი არა მაქვს. ღმერთმანი... დაიძინე. დაიძინე. შვილო!

ჯარისკაცმა შეამჩნია, რომ ქალმა „შვილოს" თქმას მოუხშირა. სანამ ის ჩექმებს და ტანსაცმელს გაიხდიდა, ქალი ხატთან მივიდა. პირჯვარი გადაიწერა და აბუტბუტდა. რა თქმა უნდა, ლოცულობდა, ოღონდ რას ევედრებოდა მაცხოვარს, ჯარისკაცს არ ესმოდა.

აი, მაცხოვარი კი თითქოს თანაგრძნობით უსმენდა.

ქალი ბუტბუტს რომ მორჩა, სანათი აილო და ღუმელის რაფაზე დადგა.

— ძილი ნებისა, შვილო!

— ძილი ნებისა, დედილო!

ჯარისკაცი რომ დაწვა, ხის ტახტმა გაიჭრიალა, თითქოს ტვირთი ემძიმაო.

ქალი ის-ის იყო ღუმელის საწოლზე აბობლდა და სანათის ჩასაქრობად გადმოიხარა, რომ წინკარზე ჯერ ფრთხილად დააკაკუნეს, მერე ბრახუნიც ატეხეს.

ქალი ერთხანს გაირინდა, მაგრამ ბრახუნი რომ არ შეწყდა, დაეშვა სოხანეზე და წინკარისაკენ უწადინოდ წავიდა.

— რა გინდა, ვილაცა ხარ?

— გამიღე და გეტყვი, — კართან მდგომის ეს პასუხი ჯარისკაცს ყრუდ მოესმა. — ჰა, გამიღე, თორემ!..

— ოჰო, მბრძანებლობა გყვარებია! იმის მაგივრად, რომ მორიდებით მთხოვო, მებატონები აქ! ქალს არ მოეწონა კარს მომდგარის კატეგორიულობა. — ჯერ მითხარი, რა გნებავს, ვაჟბატონო, და სხვა რამეზე მერე ვილაპარაკოთ.

— ღამე უნდა გაგვათევინო.

— ორი დასაწოლი ადგილის მეტი არა მაქვს, ორივე დაკავებულია!

— შემომიშვი, შემომიშვი და თვითონ გამოვნახავ დასაწოლს. მართალია, ორნი ვართ, მაგრამ ერთი ადგილის მეტი არ გვინდა. რაღას უცდი, გამიღე, თორემ!.. — გაისმა კვლავ მუქარა.

— მაინცდამაინც აქ რომ მოდიხარ ეროიშზე, სოფელში ღამის გასათევი გამოილია? წადი, სხვაგან ეძებე! — მკვახედ ესროლა ქალმა.

— უკვე გვიანია ძებნა, იცოდე, კარს თუ არ გამიღებ, ფანჯრის დარაბას ჩამოგიმტვრევ და ისე შემოვალ! — მუქარას მოუმატა იმ ვილაცამ. — გამიღე, გამიღე და თუ დასაწოლს ვერ იშოვი, ჩემით წავალ. ჰე, შემომიშვი!

წინკარმა გაიჭრიალა და ოთახში ჯიქურ შემოიჭრა ზონზროხა, ლოყებღაჟღაჟა, ბრიალათვალება, სქელულვაშა ზემდეგი. მას წითელი ტყავის პალტო ეცვა, ფართო ქამარზე ცალ მხარეს მოთეთრო მათარა ეკიდა, მეორე მხარეს, — იარაღის რუხი ბუდე, რომელშიც, ალბათ, რევოლვერი იდო.

თითქოს უხილავი თოკით ბოჩოლა თუ კრავი ჰყავს გამობმული და მოათრევსო, ზემდეგს შიშნეულად შემოჰყვა ტანდაბალი ქერა გოგო, რომელსაც თეთრ საყელოიანი მოყვითალო ჯუბა ეცვა, მხარიღლივ კი წითელჯვრიანი სქელი ჩანთა ეკიდა. ეტყობოდა, მოწყალების და იყო.

გოგომ შემოსვლისთანავე, ნაქსოვი ქუდი მოიხადა, ხელში უხერხულად დაიჭირა, კართან მიდგა და თავჩაღუნული გაჩერდა. თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი.

დიასახლისი პირგამწყრალი შემოვიდა და კარი გულმოსულად მიაჯახუნა.

— დალოცვილო, ამაზე ამბობდი, მეტი დასაწოლი ადგილი აღარ მაქვსო?! აქ, თუ საჭირო გახდა, მთელი ოცეული დაეტევა! — სიხარულით წამოიძახა ზემდეგმა და ფართო ხელები მოიფშვნიტა. — აი, მე და ჩემი თოჯინა თავს დავიმდაბლებთ და, ეგერ, მაღლა მოვთავსდებით, — ჯერ ღუმელის მოედნისაკენ აიქნია მარჯვენა ხელი, მერე თავდახრილ გოგოს ნიკაპქვეშ ამოსდო, თავი ოდნავააწევინა, თითები ორივე ლოყაზე წაუთათუნ-წამოუთათუნა და თვალიც ჩაუკრა. — ხომ არ გეშინია მაღლა ასვლა, ჩემო თოჯინა, იქ გემრიელად ეთბილება.

გოგომ არაფერი უპასუხა. თვინი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი კრავივით მორჩილად მდგარმა, მხოლოდ თავი ჩაღუნა ისევ, თვალებით სოხანეს ბურღავდა.

— აბა, აბა, ჩემო მორცხვო თოჯინა, ეგეთები არ იყოს აქ! თავი ასწიე, გოგო, მაგ მიწურ იატაკზე რა დაგკარგვია!

ამ მოწყალების დას, თუ ექთანს, თავი არ აუწევია, მხოლოდ ქამარზე შებმული იარაღის ბუდე შეისწორა.

ზემდეგმა ახლა ხელი თავზე გადაუსვა ალერსით, თითქოს ბავშვს ეფერებაო:

— ნუ გრცხვენია, ჩემო თვალხუჭუჭლა თოჯინა, სალდათმა ასი წლის სიყვარული ზოგჯერ ერთ ღამეში უნდა მოასწროს. სიყვარულის ღამე ათასში ერთხელ თუ გაუგორდება წინ, იქ კარგი ადგილია...

დიასახლისი ზემდეგის ამგვარმა მოურიდებლობამ კიდევ უფრო გაალიზიანა და მეტი სიმკვახით ესროლა:

— ღუმელზე მე ვწევარ... ეგ ჩემი ადგილია!

— მერედა, ვინ გართმევს? შენია და შენი იყოს, მე ზურგზე კი არ მოვიგდებ და თან კი არ წავიღებ! ოღონდ, ამ ერთი ღამით კი, მხოლოდ ერთი ღამით, ჩვენ უნდა დაგვითმო, მეც დაგიმადლი, ეს ჩემი თოჯინაც და.... შენი ღმერთიც!

— მერედა, მე აღარ მინდა მოსვენება? სად დავიძინო? იმ დაბომბილ ოთახში დავწვე? არადა, აქ, ხომ ხედავ, რა ვიწროობაა! წადი, სხვაგან მოძებნე ღამის გასათევი! — ქალმა კუშტად შეიკრა წარბები და ქვედა ტუჩს კბილები ისე მაგრად დააჭირა, გასაკვირი არ იქნებოდა, სისხლს რომ ეფეთქა.

—აბა, აბა, მაგნაირები არ იყოს! ჩვენს ძმას, მით უმეტეს, გაგანია ომის დროს, ასე უსულგულოდ არ ეპყრობიან. შენ შეხვალ ჩვენს მდგომარეობაში და ძირს ჩამოხვალ ერთი ღამით, არაფერიც არ გიშავს, სადმე აქვე გამონახავ ადგილს, სოხანეზე, ან... კი, არის აქ შენთვისაც ადგილი, თავს ნუ იკატუნებ! ა, აგერ, ეს ვაჟბატონი თავადივით რომ გაშოტილა ტახტზე, ფართოდ! მიუწექი გვერდით, როგორმე, ორივე დაეტევით. ნუ გეშინია, ხელს არ გკრავს და არ გადმოგაგდებს.

ზემდეგმა ახლა დიასახლისსაც წაუთათუნა ლოყაზე ხელი, ამგვარად, თან მოეალერსა, დაუყვავა და თავისი აზრით, თან თავისი სიტყვის უყოყმანოდ შესრულება მოსთხოვა. — მე და ეს ჩემი თვალხუჭუჭლა თოჯინა მთელი დღის შეცივნულები ვართ, ტალახიც ბევრი ვზილეთ, თოვლიც, ჰოდა, ღუმელის თავზე ცოტა რომ შევთბეთ, სხვას რა დააკლდება!

ქალმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, ეტყობა, საჭირო სიტყვა ვერ იპოვა და მაგრად ტუჩებმოკუმულმა, მხოლოდ ჰრისხანედ შეხედა ძალით შემოხიზნულს.

ზემდეგი ჯარისკაცისკენ შეტრიალდა და თვალი ჩაუკრა:

— ასე არ არის, ჩვენო ძმავ? ერთხელ მოვდივართ ქვეყანაზე და არც ერთი დღე არ უნდა გავაცდინოთ ისე, ცოტ-ცოტა სიამტკბილობა არ გამოვტყუოთ, მააშ!

მაგრამ რაკი ჯარისკაცმა ხმა არ გასცა, ისევ დიასახლისს მიხედა: — საყვარელო, შენი ლეიბ-საბანი არ გვჭირდება, არც შენი ბალიში, ჩვენ ორი ლაბადა-კარავი გვაქვს: ერთს დავიფენთ, მეორეს დავიფარებთ, მე ხალთას დავიდებ ბალიშად, ეს ჩემი სათნო თოჯინა კი, — გოგოს ნიკაპზე ხელის ამოდებით კვლავ ააწევინა თავი, — ამ ჯვრიან ჩანთას... ძვირფასო, ხომ არაფერზე ვაწყენინებთ მე და შენ ამ ღვთიურ დიასახლისს? ფუფუნებისა და ცერემონიისათვის არ სცალია ომს. ჩვენს ძმას სადაც მოუხერხდება და როგორც მოუხერხდება, თავს ისე უნდა მოუაროს, ხომ მართალს ვამბობ, ჩემო ანგელოზო? ხომ უნდა ვაჯობოთ ამ წყეულ ომს რაღაცით, თავი ხომ არ უნდა დავაჩაგვრინოთ? — ისევ მოუთათუნა გოგოს ლოყაზე ხელი და კვლავ ჯარისკაცს გახედა, ოღონდ ამჟამად უსიტყვოდ უთხრა, თვალებით: იმედია, არ დამძრახავ, რასაც მე ჩავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დივარ, ეს ომის კანონით ხდება და მე ამ კანონს ფეხს მარჯვედ უწყობ.

ზემდეგი თითქოს განგებ, არაფერს ერიდებოდა, დაუფარავად აშკარავებდა, რომ ღამე ამ სადღაც გამოჭერილ თუ მონადავლებულ გოგოსთან სიამტკბილობაში უნდა გაეტარებინა.

დიასახლისის არ იყოს, ჯარისკაციც ძალიან გაალიზიანა ზემდეგის ამგვარმა თავაწყვეტილმა, მოურიდებელმა, შეუპოვარმა იერიშმა, დიახაც უნდოდა, აქ არ გაეთია ამ წყეულს ღამე, მაგრამ გრძნობდა, ამის თქმის უფლებაც არ ჰქონდა და დუმდა. ერთი სურვილიღა დარჩენოდა, რაც შეიძლება მალე ჩაექრო ჭრაქი, რომ წამწამებზე მძიმედ დაკიდებული ძილისათვის მიეცა თავი, თუ ჯერჯერობით თვალს არ ხუჭავდა, ამის მიზეზი ერთი იყო, — კარგად იცოდა თავისი ამბავი, თუ ახლად დაძინებულზე რაიმე ან ვინმე გაალვიძებდა, მერე დიდხანს ვეღარ ახერხებდა თვალის მილულვას, ძილის გატეხა სჩვეოდა და ეწამებოდა ხოლმე. სწორედ ახლა არ უნდოდა ასე დამართოდა, დილით ადრე ისევ გზას უნდა დადგომოდა. უძილარს კი გაუჭირდებოდა, ისედაც ძნელი იყო ატალახებულ გზაზე სიარული, ამიტომ მთელი ძალისხმევით ებრძოდა თავს, თვალი რომ არ დაეხუჭა.

ზემდეგმა უმალ თავი აქაურობის ბატონ-პატრონად წარმოიდგინა, არავისი სიტყვის გაგონება აღარ უნდოდა, მხოლოდ თავის სურვილს მისდევდა. სწრაფად შეხსნილი ქამარი სკამზე ისე გადადო, რომ ცალ მხარეს მათარა დაეკიდა, მეორე მხარეს — ბუდეში ჩადებული იარაღი, მერე პალტოც გაიხადა და ისიც სკამზე მიაგდო.

გოგო თითქოს ძალით დამორჩილებულს ჰგავს, მაგრამ თუ ასეა დამორჩილებული, ხომ შეუძლია, უცებ დააძროს თავისი თუ ზემდეგის იარაღი, ესროლოს მოძალადეს და გაიქცეს. „ო, რა ოინი იქნება, მართლა ასე რომ მოიქცეს!" — გაივლო გულში ჯარისკაცმა. მაგრამ გოგოს ხელი თავისი იარაღისკენ არ წაუღია, არც ზემდეგის იარაღისკენ გაუხედავს. მხოლოდ ადგილი მონაცვლა, სინათლეს თავი აარიდა, მთლიანად დააპირა ბნელში დამალვა, თითქოს გაუჩინარება სწადდა, აქაოდა, აქ არა ვარო, მარტო ადამიანების კი არა, სინათლისაც რცხვენოდა, საკუთარი თავის დანახვაც კი რცხვენოდა, მაგრამ ახლა უკვე ამ სირცხვილისაგან თავის დაღწევა აღარ შეეძლო. სირცხვილმორეულს, აქ ყოფნა თუ ეუხერხულებოდა, ალბათ, კიდევ უფრო უხერხულად მიაჩნდა აქედან გაქცევა. თანაც გრძნობდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ამ სახლიდან ვეღარსად გაიქცეოდა და მუნჯივით მდგარი, ისევ თავჩაქინდრული, თვინიერი ბატკანივით მორჩილი ელოდა, როდის აიყვანდა ზემდეგი ღუმელის თავზე.

„ერთმა ღმერთმა უწყის, ზემდეგმა ასე როგორ დაატყვევა იგი, რომ კრინტის დაძვრისაც ერიდება? ან ეგება ვერ ბედავს... — გაიფიქრა ჯარისკაცმა. — თუმცა, კაცმა რომ თქვას, მგონი, აქ ბევრი არაფერია სამარჩიელო. ეგ ოხრისერთი ზემდეგი ისეთი ჩანს, ვის არ დაიმორჩილებს ტკბილი სიტყვით თუ სხვა რამით, არც სითავხედე აკლია, არც მარიფათი, არც ვაჟკაცური იერი, ასე რომ იზიდავს ხოლმე ქალებს. ეგებ რაიმე საჩუქრით ან დაპირებით დააინტერესა კიდევაც ეს, ალბათ, გულუბრყვილო, მიამიტი, თვინიერი გოგო, უხილავი თოკით გამოიბა, როგორც ურქო ბოჩოლა, და ისიც მორჩილად მიჰყვება, სადაც წაიყვანს, უსიტყვოდ უსრულებს ყველა წადილს. ჰო, ალბათ, ასეა. ასე. დგას გოგო სამსხვერპლოზე მიყვანილი კრავივით, რომელმაც არ იცის, რომ უნდა დაკლან. ბედს ბრმად მისდევს. ერთადერთი საზრუნავიღა დარჩენია, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ეს ყველაფერი, მალე ჩაქრეს შუქი, რომ ვეღარავინ დაინახოს, რაც აქ მოხდება".

რაც უფრო აქტიურობდა და სიტყვამრავლობდა ზემდეგი, მით უფრო ემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებოდა გოგო სინათლესაც და თავის თავსაც. არც დამხლურებს უყურებდა, არც აქ მის მომყვანს, მხოლოდ ნაცრისფერ თექურებს და წითელჯვრიან ჩანთას ჩაჰყურებდა. გონმიუცემლად ხან ხსნიდა. ხან კეტავდა, თითქოს შიგ რაღაც ეგულება და ვერ მიუგნიაო. ეს იყო და ეს.

ჯარისკაცმა ისიც წარმოიდგინა, რომ ასე თავდახრილი გოგო თითქოს უხმოდ ევედრებოდა აქ მყოფ სამივე ადამიანს: ხომ ხედავთ, როგორ მრცხვენია, ან ჩემკენ ნურავინ იყურებით, ან სანათი მაინც ჩააქრეთ მალე, რომ ვერც მე დაგინახოთ და ვერც თქვენ — მეო.

— რაღას ელოდები, საყვარელო? — პირგამწყრალ დიასახლისს მიუბრუნდა ზემდეგი. — არ მიყვარს ზოზინი, ვეწიოთ ჩვენ-ჩვენ საქმეს. გაიგეთ, ადამიანებო, ომია, ომი, ყველაფერი მოსწრებაზეა. ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ, მოვასწროთ მოსასწრებელი! ხომ მართალია, ჩემო თოჯინა! დრო ჩვენ არასოდეს გვიცდის, კუდში უნდა ჩავავლოთ ხელი და მივყვეთ! — ზემდეგმა გოგოს თავზე გადაუსვ-გადმოუსვა ხელი.

ძირს დაშტერებულ გოგოს არც ახლა დაუძრავს კრინტი, თითქოს გააქვავესო, ოდნავადაც არ შერხეულა. ზემდეგი დიასახლისს შემოუბრუნდა: — აბა, ჰე, დროს ნულარ მაკარგვინებთ. ისათებს თუ არა, უნდა ავდგეთ, იქნებ ძაღლის ალიონზეც, დილაუთენია ვართ წასასვლელები, გესმით! ჰოდა, მოვისვენოთ ბარემ! — არ უთქვამს, ღმერთმა ღამე ქალ-ვაჟის საალერსოდ გააჩინა და ამ კურთხეულ ღამეს ნუ მართმევთ, ან ნუ მიმოკლებთ, ხომ ხედავთ, გოგოსთან დაწოლა მეჩქარებაო. სულ ასეც არ გათავხედებულა, თუმცა ამას ისედაც მიხვდნენ ჯარისკაციც და დიასახლისიც.

— კაი, რაკი შენ ხელს არ ანძრევ, ისევ — მე! — ზემდეგი ლუმელის მოედანზე მარდად შეხტა, იქიდან ჰილოფი, ფარდაგი და ბალიში დაითრია. ოღონდ არ გადმოუყრია, ძირს ჩამოვიდა და ქალს მიაწოდა: — ჰა, დაიჭი შენი ავლადიდება!

დიასახლისმა მოწოდებული ჩამოართვა, რაღაც ჩაიბურდღუნა და სკივრზე მიყარა ჯარისკაცის აბგისა და ფარაჯის გვერდით. ერთხანს პირმოკუმული თვალებით ბურღავდა ზემდეგს, მერე კი ხატს მიაშურა პირჯვრისწერით.

— შენ რაღას უცდი, ჩემო თვალხუჭუნა თოჯინა? — მიადგა გოგოს — და აბა, ჰე, მოემზადე! — და რაკი გოგომ ხელი არ გაანძრია, თვითონ მოხსნა ჩანთა და ჯუბაც თვითონვე გახადა.

გოგო არც ახლა განძრეულა. მხოლოდ მაშინ, ჯუბა რომ გახადა, მკერდზე გადაჭიმული ხაკის ხალათი შეუტოკდა.

ზემდეგმა ორივე ხელი დასტაცა, სკამზე მართლაც თოჯინასავით დასვა და თექურებიც თვითონ გახადა. მერე ისევ აიტაცა და ციმციმ შეისროლა მაღლა, როგორც ვაშლს შეაგდებენ ხოლმე მაღლა, რომ კვლავ დაიჭირონ სიხარულით და უფრო გემრიელად ჩაკბიჩონ.

— დაიჭი, ჩემო ანგელოზო! — ზემდეგმა ლუმელის თავზე წარმომჯდარ გოგოს ორი ლაბადა-კარავი, თავისი აბგა და ჯვრიანი ჩანთა ესროლა, მერე მათარას დასწვდა, ხუფი მოხადა და დაეწაფა. გოგოსაც მიაწოდა, დალიეო. გოგომ თავის გადაქნევით ანიშნა, არ მინდაო, რატომღაც, თვალი ჯარისკაცისკენ გამოაპარა, თითქოს გაუღიმა კიდევაც.

მათი თვალები პირველად შეხვდა ერთმანეთს, თანაც მხოლოდ წუთით, და ჯარისკაცმა ვერ გაიგო. გოგო მიშველებას სთხოვდა, თუ უწყრებოდა: ჩემკენ ნუ იყურები, შენ არავინ გეკითხება, აქ ვინ რას სჩადისო.

ჯარისკაცმა თვალი დახუჭა, ხოლო თვალდახუჭულს, სხვა რამ მოეჩვენა: თითქოს გოგომ უსიტყვოდ მიახვედრა, მე, აი, ამ თავხედ, მოძალადე ზემდეგთან დაწოლას შენთან ჩახუტება მირჩევნია, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო. ხომ ნახე, ლუმელზე ბურთივით რომ ამომის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლა... როგორც კი ჭრაქს ჩააქრობენ და ეს მოძალადე დაიძინებს, შენთან ჩამოვიპარებით.

ჯარისკაცმა, რატომღაც, დაიჯერა, რომ გოგომ ნამდვილად ასე იფიქრა. აი, ზემდეგისათვის ერთხელაც არ შეუხედავს სიყვარულით, მას კი საოცარი მოწყალებით გადმოხედა, იდუმალი მომაჯადოებელი ღიმილითაც...

დიასახლისმა ზემდეგს მოხედა და კვლავ რაღაც ჩაიბურდღუნა. ჯარისკაცმა მხოლოდ ერთი სიტყვა გაიგონა — „უსინდისოო", მერე ქალი სკივრს დაუბრუნდა, გულმოსულმა, ტახტსა და სკივრს შუა გასასვლელში, სოხანეზე ჭილოფი დააფინა, ჭილოფზე ჭრელი ფარდაგი დააგო, ფარდაგზე კი ბალიში დადო.

გოგომ ერთი ლაბადა-კარავი გაფინა და ზედ დაწვა, მეორე ზევიდან გადაიფარა, თავი ჯვრიან ჩანთაზე მიდო და გაინაბა.

ჯარისკაცმა დიასახლისს მოხედა:

— იცით რა, მე ახლავე ავდგები — წამოიწია.

— შენ რატომ ადგები, შვილო?

— ტახტზე დაწექი შენ. მე კარგა ხანია მიწაზე წოლას მიჩვეული ვარ. ცივ მიწაზე წოლასთან შედარებით, მშრალი სოხანე სამოთხეა.

— იწექი, იწექი მანდ, შვილო. ვიღაც თავხედი რომ შემოგვეჭრა, ურცხვი და ამპარტავანი, შენი რა ბრალია! როცა მიწაზე მოგიწევს წოლა, მაშინაც გეყოფა, ეს ერთი ღამე მაინც მოისვენე ადამიანურად. განა არ ვიცი, ყველა სალდათს ლეიბზე წოლა სიზმარშიც რომ ენატრება, — ამ სიტყვას ოხვრაც ამოაყოლა. — არ მიჭირს, არა, მე, სოხანეზე ძილი. უფროც მსიამოვნებს ხოლმე. მგონია, ამით ჩემ სალდათ შვილსაც ეშეღავათება.

— მაშინ ეს ლეიბ-საბანი მაინც დაიგე მანდ. მე ფარაჯას დავიფენ და ლაბადა-კარავს გადავიფარებ. აგერ, აბგაში მიდევს.

— არ მინდა ლეიბ-საბანი. მოისვენე, მოისვენე, ჯარისკაცო!

— მე ასე ვერ მოვისვენებ, სინდისიც კაი საქონელია.

— კაი, რაკი შენსას არ იშლი, საბანი მომეცი, მეყოფა. ეს ფარდაგი ლეიბივითაა, თანაც, აკი გითხარი, მიყვარს ზედ ძილი.

ქალმა ჯარისკაცს საბანი გამოართვა, ფარდაგზე დადო, ისევ ხატს მიეახლა და პირჯვრისწერით აჩურჩულდა.

ჯარისკაცმა საბნად ფარაჯა წაიფარა და კედლისკენ გადაბრუნდა, არ უნდოდა, ის ბოჩოლა გოგო და ბუღა ზემდეგი გვერდიგვერდ მწოლიარენი თუნდაც წამით დაელანდა.

— რას ელიჭინები მაგდენს ღმერთს? ეშმაკმა უწყის, ეგება არც არის სადმე. დაწექი, დაიძინე, ქალო! —ააჩქარა ზემდეგმა დიასახლისი.

— უფალო, შეუნდე! უფალო, შეუნდე! — ჯერ ხატს შეავედრა მლოცველმა, მერე კი დაუპატიჟებელ სტუმარს გაუწყრა: — ადი, ადი! ჭრაქს ჩავაქრობ და მეც ახლავე დავწვები.

—რა, ჭრაქს მე ვერ ჩავაქრობ! — ზემდეგმა სანათს ისე ძლიერად შეუბერა, ეს ლიფლიფა შუქი კი არა, გიზგიზა ლუმელიც ჩაქრებოდა. — ჰოპ! — გაისმა სიბნელეში მისი ბოხი ხმა, ეტყობა, ლუმელის თავზე ფეხის ერთი დაკვრით ახტა.

— უსინდისო, უსინდისო! — ისევ აბუზღუნდა დაწოლისას დიასახლისი და ჯარისკაცს მოეჩვენა, რომ ბრაზიანად გააფურთხა კიდევაც. — მავანს ჰგონია, რაკი ომია, ყველაფერი დასაშვებია, მიდი, ბიჭო, გააკეთე, რაც მოგეპრიანება, მაინც გეპატიება... შეგინდობს ყოვლისმიმტევებელი ომის ღმერთი. ეჰ, ერთობ აიშვეს თავი ადამიანებმა, ერთობ! სულ დაკარგეს სინდის-ნამუსი, სირცხვილი რას ჰქვია, აღარ იციან.

მისი ბუზღუნი მხოლოდ იქვე მწოლარე, კედლისაკენ პირშებრუნებულ ჯარისკაცს ესმოდა.

ღმერთმა უწყის, ეგებ ქალი ასე ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა მხოლოდ მის გასაგონადაც ბუზღუნებდა.

სანათის ჩაქრობისთანავე თვალგაუვალმა ღამემ დამალა ყველაფერი.

— ღმერთო, შენითა! ღმერთო, შენითა! ღმერთო, შენითა! — ზედიზედ სამჯერ გაიჩურჩულა ქალმა.

„ალბათ ყოველ დილა-საღამოს ასე ლოცულობს“, გაიფიქრა ჯარისკაცმა.

ქალი რომ გაჩუმდა, ჯარისკაცმა, რატომღაც, ახლა მის დუმილს მიუგდო ყური. ეგონა, კიდევ გაიგონებდა ლოცვას. ველარ გაიგონა.

მხოლოდ ცოტა ხნით იყო სახლი მდუმარებით დაყურსული. სიბნელე და სიმყუდროვე რომ ჩამოწვა, ამ უთვალსაჩინო, გაუტეხელ წყვარამ სიბნელეში ლუმელის საწოლზე რაღაც უცნაურად აშარიშურდა ლაბადა-კარავი. ღამე თვალისთვის ყველაფერს რომ მალავს, სამაგიეროდ ყურს აფხიზლებს. სიბნელეში ყველა ხმა უფრო მკაფიოდ ისმის, პატარა წკირის გადაბრუნების ჩქამიც კი. ღამე ადამიანებს რომ მალავს, მათ ჩურჩულს ამკვეთრებს, სუნთქვის შარიშურსაც კი ამკაფიოებს. თანაც, ყვირილს შეიძლება ყური არ ათხოვო, მაგრამ თუ ვინმე იდუმლად ჩურჩულებს, ნებსით თუ უნებლიეთ, შეუძლებელია, ასი ყური არ გამოგებას.

ლაბადა-კარვის ამ უცნაურ შრიალს შეერია ვნებაალტყინებული ქალ-ვაჟის გახშირებული სუნთქვა, კოცნის მტლაშამტლუშიც.

ჯარისკაცმა დიახაც კარგად იცოდა, ქალ-ვაჟი ლუმელზე სალოცავად რომ არ ასულა, ეს ყველაფერი მისთვის ოდნავადაც არ იყო მოულოდნელი, მაგრამ თუ ამდენად არ მოერიდებოდნენ სხვებს, ეს კი აღარ ეგონა. თუმცა, ზემდეგი თავის წადილს სინათლეშიც არ მალავდა და სიბნელეში ვიღას მოერიდებოდა!

დაღლილ-გასავათებულ ჯარისკაცს, ძილისთვის რომ თავი უკვდებოდა, თითქოს ყინულის ცივზე ცივი წყალი გადაასხეს. უცებ გამოფხიზლდა. ძილი თვალსა და ხელს შუა გაუქრა.

პირველად გული მოუვიდა:

„ამ გოხრებულებს ცოტა მაინც მოეთმინათ, მოწმეებისათვის დაძინება ეცლიათ, ამ სიგრძე ღამე საალერსოდ არ ეყოფოდათ თუ რა?! ისე, მგონი, ამპარტავანი ზემდეგი ჩემს ჯიბრზე იქცევა, მახელებს: ა, უსმინე, მე რა ნეტარების ზღვაში ვბანაობ, შენ კი მანდ მარტოკა გდიხარო“.

აი, შეწყდა ლაბადა-კარვის შარიშური და ქალ-ვაჟის ვნებააყტკინებული ხშირი სუნთქვაც.

ჯარისკაცს ეგონა, ახლა კი მშვიდად დავიძინებო, მაგრამ თვალის მილულვა ვერ მოასწრო, რომ დათაფლული ჩურჩული მოესმა, კოცნის ხმაც გაიგონა და ლაბადა ისევ აშარიშურდა. ამჟამად ეს შარიშური ჩქროლვად შეიჭრა ჯარისკაცის არსებაში და აზვირთდა კიდევაც. მთელ სხეულზე, თხემიდან ფეხის ფრჩხილებამდე, ისეთი ცეცხლი შემოენთო, თითქოს მოგუზგუზე, გავარვარებულ საკირეში ჩააგდესო. ამ ცეცხლმა კი სისხლი განა უბრალოდ აუდუღა, აუკვარჩხალა. აბორგებული კაცი ხან მარჯვნივ გადატრიალდებოდა, ხან მარცხნივ, ტახტი ჭრიალებდა და ბონდის ხიდივით ქანაობდა, თითქოს ზედ მწოლარე აწუხებს და უნდა გადააგდოს, როგორც გაუხედნავი ცხენი პირველად მხედარს იშორებს ხოლმეო.

საშინლად ძნელია, წყნარად იწვე, როცა შენს მახლობლად, სიბნელეში, ქალ-ვაჟი წევს და იცი, ერთმანეთს თავდავიწყებით ჩახუტებულნი არიან.

ჯარისკაცს ალტყინებული ვნება ლაგამამოდებული ცხენივით გაუხელდა.

თუ ადამიანს შია და პურის ნამცეციც არსად ეგულება, ეს ერთი ამბავია, როგორმე მოითმენს, მაგრამ როდესაც მგელივით შია, გვერდით ხვავრიელი სუფრაა გაშლილი, ხელი კი ვერ უხლია, ეს უკვე ნამდვილად ჯოჯოხეთური წამებაა, გაუსაძლისი.

არადა, ჯარისკაცს ისევ და ისევ მკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიოდ ესმის ვნებით დამუხტული ჩურჩული, წყვილის ძალუმი სუნთქვა, კოცნის ხმაც, და აგზნებული, თავში სისხლავარდნილი, ლამის გაგიჟდეს. ამ მგზნებარების ჩაქრობა, ამ ცეცხლის განელება, შეუძლია მხოლოდ ქალს. აქ კი ამჟამად ორი ქალია. ერთი ზემდეგს მეწყვილეობს, მეორე კი მარტოკა წევს აქვე, ხელის ერთ გადაწვდენაზე... ჰო, აქვეც ქალი წევს, ჩვეულებრივი ქალი... ოღონდ ქალი იყოს, აკვარჩხალებული, გამაგიჟებელი სისხლი გაინელოს, დაწყნარდეს და მშვიდად დაიძინოს, სხვა არაფერი უნდა ჯარისკაცს. როცა ერთბაშად ქალის სურვილის მოზღვავებას გრძნობ, ქალის ასაკი რაღა საკითხავია! ოღონდ ქალი იყოს და, სულ ერთი არ არის? თანაც ღამე ხომ ერთნაირად მალავს ადამიანის სილამაზეს თუ სიმახინჯეს, ახალგაზრდულ იერს თუ შუბლზე დაყრილ სიბერის ნაოჭებს...

ცთუნების ეშმაკი სხეულში რომ ჩაუსახლდა, უკვე ყირაზე გადადის, მალაყებით დახტის, ცეკვავს. კაცი ხარ და, ნუ აჰყვები ამ ცთუნებას, თუ მართლა მთლად თევზივით ცივსისხლიანი არა ხარ.

ჯარისკაცმა მკლავი სოხანისკენ გადაყო და საბანქვეშ შეაცურა. სანამ ეს ხელი ღრმად შეაღწევდა და იქ მწოლარეს სხეულს შეეხებოდა, ქალის ხელმა იგი უმალ მოიშორა, უფრო სწორად, ტახტისაკენ აისროლა ვიდრე ქალის ხელი საბანქვეშ შემალვას მოასწრებდა. კაცმა დაიჭირა. საოცრად ცივი ეჩვენა, თითქოს ყინულის ლოლუას წაეტანაო. ამ სიცივემ შეუჩერა ჯარისკაცს გაშმაგებული სისხლის დუღილი, თითქოს მხედარმა ცხენი ყალყზე შეაყენაო ყინულის ლოლუა თავის ნებაზე გაუშვა. ჯარისკაცმა აიძულა, ეფიქრა, რომ ღუმელის საწოლზე შარიშური და ქალ-ვაჟის ვნებიანი სუნთქვა სულაც არ ესმოდა, რომ იქ ისეთი არაფერი ხდებოდა. მერე რა? თვითონ ხომ აქ მარტო იწვა, მერე ტახტი მის ქვეშ არ ჭრიალებდა? ჰოდა, რა ხდებოდა აქ ისეთი? არაფერი. დაწყნარდი, ნუ აჰყვები ცთუნებას, ძმაო!

მაგრამ რაც უფრო მეტად ცდილობს ყური წაუყრუოს ყველაფერს, ფიქრი მით უფრო ეჯიუტება, თანაც თანდათან თვალსაჩინოდ უსახავს, რაც ამ დროს ღუმელზე ხდება. იქნებ იმაზე მეტადაც კი, ვიდრე დღისით-მზისით ადამიანის თვალს შეუძლია დაინახოს. სულო ცოდვილო, ჯარისკაცი უკვე ხედავს, ერთ სულ და ერთ ხორც ჩახუტებულ ქალ-ვაჟს და თითქმის თავის ჭკუაზე აღარ არის. ყინულის ლოლუამ მხოლოდ ცოტა ხნით შეაჩერა აბობოქრებულ-აკვარჩხალებული სისხლი. ახლა თუ იმ ზემდეგივით თვითონაც არ ჩაეხუტა ქალს და არ დაიცხრო ატეხილი ვნება, სხვა გზა არ დარჩენია, შეშლილი უნდა ავარდეს ღუმელზე, კისრისტეხით გადმოაგდოს ზემდეგი და იმ ბოჩოლა გოგოს თვითონ ჩაეხუტოს. არა, გოგო არა ჰკრავს ხელს, არ მოიშორებს. ჯარისკაცს განა დაავიწყდა, იქ ასვლისას ქვეშ-ქვეშა, მაგრამ საოცრად მომხიბლავი ღიმილით რომ გადმოხედა, თითქოს მიიპატიჟა კიდევაც ფარულად: მე შენ უფრო მომწონხარო.

ჰო. უნდა ავარდეს ზემოთ და ჩაეხვიოს გოგოს. თუნდაც გადმოგდებულმა ზემდეგმა ხელი რევოლვერს დაავლოს და მეტოქე რაყიფი გოგოს დააკლას ზვარაკივით...

ჯარისკაცს ცოლი არ ჰყოლია, ვერ მოასწრო ქალის მოყვანა, ისე ჩააცვეს ფარაჯა, დააჭერინეს თოფი და ჰერი... უკრეს თავი ომში. ოღონდ ქალთან სიახლოვის ხამი სულაც არ არის. სიცოცხლის ეს სიკეთე, წუთისოფლის ეს მადლი, ვინ მოთვლის, ადრე რამდენჯერ იგემა, მაგრამ არ ახსოვს, ვნებამორეული ოდესმე ამგვარად აღტყინებულიყო!

მეტის მოთმენა აღარ შეუძლია, აი, წამოხტება, ფეხის დაკვრით ღუმელზე ავარდება, დაავლებს ხელს იმ ზონზროხა მუდრეგს, გაუქმებულ ყუმბარასავით გადმოაგდებს და თვითონ დაეპატრონება დატყვევებულ ბოჩოლა გოგოს...

თუმცა, მგონი, სჯობია, ჯერ ისევ აქ სცადოს ბედი.

და ვნებით გახელებული, კვლავ წაეტანა ტახტისა და სკივრის შუა მწოლარე ქალს. ქალმა ისევ ხელის კვრით მოიშორა კაცის ხელი.

ოღონდ ამჟამად ჯარისკაცს მოეჩვენა, რომ ის ხელი ყინულივით ცივი აღარ იყო, განელთბილებულიყო.

ქალს სჩვევია კაცის ალერსზე ერთიორჯერ უარის თქმა, მაშინაც კი, როცა ამ ალერსს ესწრაფვის. ზოგჯერ ცოლიც კი განგებ ასე ექცევა ქმარს, ალერსის წყურვილი რომ გაუხელოს.

ეს უკვე იცის ჯარისკაცმა სხვათა მონაყოლით, ამიტომ ჯერ ფარ-ხმალს არ ყრის, ახალი იერიშისათვის ემზადება, თუმცა მომზადება რად უნდა, ლუმელის საწოლი, ეტყობა დაძინებას არც ფიქრობს, იქიდან ადრინდელივით ესმის შარიშური, ალტყინებული სუნთქვა, ნეტარი ჩურჩული და სისხლი თანდათან უფრო ძალუმად აწვება ყველა ძარღვს, ბერავს და ბერავს, თუ არ დაიცალა ეს ალტყინება, ვაითუ, ამ მოგანგაშე სისხლმა ძარღვებიც დაუხეთქოს კაცს..., ეს სისხლი კარგა ხანია უკვე საფეთქლებში სცემს. გზას ეძებს და, გამოსავალს რომ ვერ პოულობს, სხეულს მთლიანად უპირებს ტახტიდან გადაგდებას, ცოტაც და, ალბათ, მთლად გააგიჟებს ადამიანს.

მესამედ მეტი გაბედულებით შეაცურა ხელი საბანქვეშ და პატარძლობისას მოქსოვილ ფარდაგზე მწოლარე ქალის მკერდს მისწვდა.

„ოღონდ არ მითხრას, შვილო, რას სჩადიხარო, ოღონდ „შვილო" არ დამიძახოს! — ინატრა ჯარისკაცმა. — მე რა მაგის შვილი ვარ?"

ქალს კვლავ არ დაუძრავს კრინტი, არც „შვილო" უთქვამს, არც სხვა რამ. ისევ მუნჯურად მოიშორა კაცის აბეზარი ხელი, ოღონდ ამჟამად ზრდილობიანად. ახლა ქალის ხელი თბილი იყო... და ოდნავ თრთოდა.

„აჰა, პირველად ყინულის ხელი მკრა, მეორედ — ნელთბილი, მესამედ — უკვე თბილი, თანაც ათრთოლებული... მართლაც თევზივით ცივსისხლიანი უნდა იყოს ადამიანი, ლუმელის შარიშურმა და ხშირმა სუნთქვამ გული არ აუჩქროლოს და ვნების სალღოლელი არ აუშალოს".

მამაკაცმა საბანქვეშ მეოთხედ შეცურებული ხელი ქალს თავსაფარმოხდილ თავზე მოფერებით, ნაზად გადაუსვა. ქალმა ხელი ასევე ნაზად გამოართვა, ფრთხილად წაიღო ტახტისკენ, ფარაჯის ქვეშ შეაცურა და მამაკაცს ზედ გულზე დაადო. ჯარისკაცმა თავისი და ქალის ხელი ერთად დაიჭირა მარცხენით. ქალმა ხელი გაითავისუფლა, ოღონდ შორს არ წაუღია, მალე, თითქოს მამაკაცის ხელმა მიიზიდაო, ქალური წვრილი თითები მაგრად შემოეჭდო კაცის მსხვილ თითებს და ისე მისრის-მოსრისა, თითქოს ალერსით წურავსო. ამჟამად ქალის ხელი უკვე მხურვალე იყო, თანაც თრთოლამომატებული, კაცის თითებიდან ამ ხელმა მამაკაცის მაჯისაკენ გადაინაცვლა, მოუჭირა და მალე გაუშვა, მაგრამ ვერ კი შეელია და ისევ ჩაეჭიდა.

წკვარამ სიბნელეში ისედაც რას დალანდავდა. მაგრამ ჯარისკაცმა მაინც დახუჭა თვალი და ასე დაინახა ის, რისი დანახვაც ეწადა. ეს სათუთი ხელი, რომელიც მაჯაზე ალერსით ჩაეჭიდა, მოუჭირა, გაუშვა და ისევ ჩაეჭიდა, იყო იმ მზეთუნახავი გოგოსი, მაცხოვრის ხატის ახლოს რომ იხილა სურათზე ალბეჭდილი. მისი თვალებიც კი დაინახა — ცისფერი შუქით ალამპრებული.

„ხელი ორჯერ რომ მკრა და ერთხელაც ჩემი ხელი უბრალოდ რომ მოიშორა, ის სხვა ქალი იყო. ჩემი მაჯა რომ დაიჭირა და ველარ ელევა, ნამდვილად ის ცისფერთვალა მზეთუნახავია. ჩვენ ამ ღამით ერთმანეთი ვიპოვეთ და სიკვდილის მეტი ველარაფერი გაგვყრის".

ჯარისკაცს ეს შთაგონება, ალბათ, იმისთვისაც სჭირდებოდა, განგების თუ ვილაცის წინაშე თავისი საქციელი რომ გაამართლოს, არავინ დასძრახოს. მე ხომ ჩემივე ტოლ-სწორის მოალერსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სურვილმა აღმაგზნო. ჰოდა, რაა გასაკვირი, თუ ახალგაზრდებმა ერთმანეთი მივიზიდეთო.

იმ წუთას თავადაც აღარ ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს ასეც იყო.

ჯარისკაცის ფართო ხელი ქალმა თვითონ წაიღო. ქვევით ისეთი სიფრთხილით, თითქოს იპარავსო და ათრთოლებულ გულზე მიიხუტა. მამაკაცმა ამით მეტად იგრძნო მისი მხურვალე ხელის მიზიდულობის ანდამატი და საკუთარ ხელს თავადაც გადაჰყვა ქალის საწოლისკენ. ქალმა მეორე ხელით აწეული საბანი შეაგება და როგორც კი მამაკაცი თავისთან დაიგულა, საბანი სწრაფად წამოაფარა, თითქოს თუ საბანს არ წამოიფარებდნენ, მათ ვინმე დაინახავდა. ღამესაც კი დაუმალა ქალმა თავისი თავიც და ისიც, ვინც ლოგინში ისტუმრა.

ჯარისკაცი თითქოს ჯოჯოხეთიდან უცებ სამოთხეში მოხვდაო. მთელ სხეულში სანეტარო ჟრუანტელით დაეძრა საოცრად ნათელი, ყველაფრის გამნათებელი სიტკბო. ამან შეარყია მთელი მისი არსება და ქალს უფრო მაგრად ჩაეხვია. ქალმა მთელი სხეულით უბიძგა, მაღლა აისროლა და თვითონაც აჰყვა, ორივე ერთდროულად გაფრინდა სადღაც, უსასრულობაში... და ციდან დაშვებულ ჯარისკაცს უხილავი ფრთები თავისით მოეკვეცა, ნება-ნება მიესვენა ქალის მკერდს.

მხურვალე მკლავები მხრებზე შემოსალტვოდა, თუმცა ამ მკლავებიდან დასხლტომა, ქალის სხეულის თუნდაც წუთით მიტოვება, წამითაც არ უფიქრია, ის მტანჯველი მძიმე ტვირთი, აქ გადმოსვლამდე რომ აეკიდა, განა მთლიანად მოეხსნა... და მალე ისევ ჩაეხვია ქალს. ახლა მეტად გამჩატდა, უფრო დიდხანს აფარფატდა ცაში, ქალიც წეღანდელივით აჰყვა, სადღაც, ნათელ უსასრულობაში მიფრინავდნენ ერთად, ოღონდ ეს უსასრულობა იმდენად შუქჩახჩახა იყო, რომ ჯარისკაცი ირგვილ ვერაფერს ხედავდა. ქალსაც კი... ერთია მხოლოდ: რაკი იცოდა, ქალის ხელ-ფეხი ჰქონდა შემოსალტული, გრძნობდა, უსასრულობაში ისიც მიჰყვებოდა. მერე კაციც და ქალიც მსუბუქად დაეშვნენ ძირს და სოხანეზე დაფენილ ფარდაგზე ბუმბულივით მსუბუქად, ფარფატით დაფრინდნენ.

— გმადლობ, ჩემო... ჩემო მზეთუნახავო გოგო! — ჩასჩურჩულა ჯარისკაცმა და კოცნა დაუპირა.

ქალმა მარცხენა ხელი პირზე დააფარა უმალ, მარჯვენა კი კისერზე შემოასკვნა და ჯირისკაცის გაუპარსავ ლოყას თავისი ლოყა გაუხახუნ-გამოუხახუნა, აქაოდა, ნაკლები მადლობელი არც მე ვარ, ეს ბედნიერი წუთები რომ მაჩუქე, მაგრამ ამის თქმა რა საჭიროა ან კოცნით გამოხატვაო.

ამ უსიტყვო მადლიერებამ ჯარისკაცს იმავე წამს კიდევ მოანდომა ქალის ალერსი, ოღონდ ამჟამად ადრინდელი სიმძიმის ნატამალიც აღარ აწუხებდა, ეს უკვე სხვა ლტოლვა იყო.

ჯარისკაცმა ახლა მეტად ირწმუნა, რომ ხატის ქვეშ, სურათზე აღბეჭდილი გოგო რაღაც სასწაულით ხორცშესხმული იყო და სწორედ ის ეხვეოდა ასე მძლავრად, გაზაფხულის მზესავით საამო, ახლად გაფურჩქნილი ყვავილივით ნაზი, სათნო და მღიმარი, ლოყებგადატკეცილი, მკერდმკვრივი, სხეულნორჩი და სისხლმხურვალე, ეს-ესაა სიქალწულე მას რომ დაუთმო. ოღონდ, ამ თვალგაუვალ სიბნელეში ის რატომღაც ხედავდა მხოლოდ ცასავით უზარმაზარ თვალებს, ლაჟვარდისფრად რომ კაშკაშებდა.

ადრე, ჯარისკაცი ერთიორჯერ ვნებას რომ დაიცხრობდა, განეტარებულს, ბანგდალეულივით ეძინებოდა, ამ ღამით კი პირიქით დაემართა. რაღაც გადატრიალდა მის არსებაში. დაღლილ-დაქანცული აქ რომ შემოვიდა, ერთი წაძინება ყველაფერს ერჩია, მაგრამ ჯერ ზემდეგის შემოჭრამ დაუფრთხო წამწამებზე მძიმედ, ტყვიის გირებივით დაკიდებული ძილი, მერე კი, ვნებათაღე-

ბიბლიოთეკა

ლვა რომ დაიცხრო, თითქოს მისი დაღლილობაც სადღაც გადაიკარგა, გაუჩინარდა, გაქრა, თავი დიდად დასვენებულად იგრძნო. ნეტარებამ ერთდროულად მოისროლა შორს მისი ძილიცა და დაღლილობაც...

ძილი აღარც ჯარისკაცის მეწყვილეს ახსოვდა და არც იმათ, ლუმელის საწოლზე ლაბადა-კარავს ხშირ-ხშირად რომ აშარიშურებდნენ.

ზემოთ ლაბადა-კარვის შარიშური და ვნებიანი სუნთქვა, სოხანეზე დაფენილ შინნაქსოვ ფარდაგზე მწოლარე ქალსა და კაცსაც ახელებდა და ახელებდა. ისინი ერთმანეთს წუთითაც ველარ ელეოდნენ.

ლაბადა-კარვის ვნებიანი შარიშურით გახელებული ჯარისკაცი ზემდეგს ეჯიბრებოდა მამაკაცური ჟინის ვაჟკაცურ აღზევებაში, ხოლო ქალი — ქერა გოგოს, როგორც კი ლაბადა-კარავი აშარიშურდებოდა, ეს ახალ ცეცხლს უნთებდა ჯარისკაცსაც და მის მეწყვილესაც. ორი სხეული ერთსხეულდებოდა და ტუჩი ტუჩს უხმაუროდ ეწებებოდა. ქალი ჯარისკაცს თავის სხეულში იწურავდა, ჯარისკაცი კი ქალის აგზნებულ სხეულს ნეტარებით ეწურებოდა და მიცურავდნენ სადღაც, თავდავიწყების უბედნიერეს ბურუსში.

ჯარისკაცს თვითონაც უკვირდა, ამ საამო ბურუსში გასაფრენად, ამ ნეტარი სუნთქვისათვის, საიდან მოუზღვავდა ამდენი ძალ-ღონე, თანაც დაღლილობა რომ გაუქრო?! ნუთუ ისიც ეშველება, ქალის თმა დამმუხტველად რომ ელამუნება, გადმომდები ცეცხლით, და უმრავლებს ძალგულოვნებას, დაღლას კი ავიწყებს? იმ თმით აღტყინებული ვნება თითქოს დაცლისთანავე ევსება და კვლავ უცხელებს ოდნავ გაგრილებულ სისხლს ძარღვებში. თითქოს ორივე ამ ერთ ღამეში აპირებს იმ დანაკლისის ანაზღაურებას, რაც სხვადასხვა მიზეზით დრო-ჟამს წაურთმევია ან მომავალში უნდა დააკლდეს.

სადღაც, ეგება ღამის სიმყუდროვის დასაფრთხობადაც, ხანგამოშვებით ისვრიან. ყრუდ ახველებენ ქვემეხები და აქამდე მოღწეული ეს ყრუ ხველება თითქოს ახსენებს ცასაც და მიწასაც: არ დაგავიწყდეთ, ომი რომ არისო. მაგრამ ომის ეს შეხსენება, ეტყობა, ზემდეგსა თუ ქერა გოგოს, ჯარისკაცს თუ ქალს, ვნებას კი არ უკლავს, ზედმეტად უცხოველებს. თითქოს შორიდან იდუმლად ჩასძახის: მოასწარით თუნდაც ამ ერთი ღამით სიამტკბილობის ბურუსში გაფრენა, თორემ ასეთი გაფრენა შეიძლება ხვალ თუ ზეგ აღარც გეღირსოთ, ღმერთი თუ ბუნება ამგვარი ნეტარების წუთებს ადამიანისათვის განა ხშირად იმეტებსო.

ალიონის მოახლოებამდე არ შეწყვეტილა ლუმელზე შარიშური და არც სოხანეზე დამცხრალა გახელებული სისხლი.

დაღლა ჯარისკაცმა ახლაღა იგრძნო, მაგრამ ამას უკვე სიამოვნებით დაღლა ერქვა. ჯარისკაცსაც და ქალსაც თითქმის ერთდროულად ჩაეძინათ. სიზმარეთში გაფრინდნენ ვნებით მთვრალები, გაფრინდნენ ისევე, როგორც იყვნენ ერთმანეთში ჩახლართულნი.

ჯარისკაცმა თვალი რომ გაახილა, ფანჯარაში ადრეული გაზაფხულის მზიანი დილა იყურებოდა. უცებ ვერც მიხვდა, სად იწვა, მერე წუხანდელი ამბავი ბუნდოვნად მოაგონდა და ხელი გვერდით მოაფათურა. იმღამინდელი წარმოდგენით ლამაზ, ჩქოლა, ცისფერთვალება გემრიელ გოგოს ეძებდა და ეწყინა, რომ ხელში სიცარიელე შერჩა. რატომღაც, თვალი დახუჭა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაახილა, ოღონდ ამჟამად მზერა ლუმელის სხვენისკენ გაექცა. იქაც აღარავინ იწვა. წამით ისიც კი გაიფიქრა, რაც ამ სახლში მოხდა, ხომ არ დამესიზმრაო.

ჩურჩული მოესმა და თავი იქით შეატრიალა.

მაცხოვრის ხატის წინ დაჩოქილი, თალხთავსაფრიანი ქალი ლოცულობდა. ამ მზისით-დილისით თაფლის სანთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენთო ზედ ლამაზი გოგოს სურათის გვერდით. სანთლის შუქი იმ სურათს მქრქალ შარავანდედში ხვევდა.

მლოცველს ხან მიუწყდებოდა ხმა, ხან აუმაღლდებოდა.

„ნეტავ რას ევედრება ხატს?“ — ყური გაუმახვილდა ჯარისკაცს.

„ყოვლის მომტევებელო, მე არა, მე არა... მე ჩემით არა!.. მე ჩემდათავად არაფერიც არ მიფიქრია... ყველაფერი უნებლიეთ, უნებლიეთ, გეფიცები ყველა სალოცავს!.. თუ სადმე სამართალია, საყვედური შენც გერგება, ღმერთმანი, შენც. შენც მაცდუნე. თუ ჩემი ცდუნება არ გეწადა, რატომ მომიგზავნე ოყლაყი ზემდეგისა და ცეროდენა გოგოს სახით დედალ-მამალი ეშმაკი და რატომ აახუნტრუცე ისე მოურიდებლად ჩემს ახლოს?.. იმ წყნარი სალდათის ახლოსაც? გასახელებლად, ჰო, გასახელებლად! კი, შენ მომიგზავნე მაცდურები, შენ... და შენვე უნდა დამიფარო, შენვე უნდა მომიტევო!.. მე ჩემით არა, ჩემით არა! რაც მოხდა, შენით მოხდა და შენვე უნდა შემინდო!..“

ქალმა თავი ჩაჰკიდა და ხმა მიელია.

„კიდევ, კიდევ, რას შესთხოვს მლოცველი ხატს?“ — ჯარისკაცმა სმენა კიდევ უფრო დაძაბა.

„თუ რამ შევცოდე, ამ ცოდვას ჩემ შვილებს ნუ აზღვევინებ, მხოლოდ მე დამსაჯე, ღმერთო შენითა, ღმერთო შენითა!..“

ეს რომ გაიგონა, ჯარისკაცს გულში რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა.

ჩუმად წამოდგა, ჩუმადვე ჩაიცვა ჩექმები და ფარაჯა, აბგასაც ჩუმად მოჰკიდა ხელი, რომ მლოცველისათვის ხელი არ შეეშალა, გაპარვაც კი დააპირა, მაგრამ ჩექმის წვერი უნებურად სკივრზე მოუხვდა. ქალმა მისკენ მოიხედა და უმალ წამოდგა.

— მაპატიე, ვერც კი გავიგე შენი ადგომა.

— ჰო, ავდექი... — სხვა სიტყვა ვერ იპოვა ჯარისკაცმა. — ისინი როდის წავიდნენ? — ღუმელის საწოლს ახედა.

— ეშმაკმა უწყის, მე რომ გავიღვიძე, უკვე წასულები იყვნენ.

ქალმა ეს ისე თქვა, ვერ გაიგებდით, მის სიტყვებში სინანული მეტი ერია თუ საყვედური. — ალბათ, გარიჟრაჟებისთანავე აიკრეს გუდა-ნაბადი... აკი თქვეს, ძალიან გვეჩქარებაო...

ქალი თითქოს ვიღაც უხილავ მესამეს ელაპარაკებოდა, ჯარისკაცს კი თვალს არიდებდა ისევე, როგორც ის ქერა გოგო არიდებდა თვალს აქ დამხვდურ დიასახლისსაც და ჯარისკაცსაც. ყოველ შემთხვევაში, მასპინძელს ისე ერთხელაც არ შემოუხედავს ჯარისკაცისათვის, გუშინ აქ მოსვლისას რომ უყურებდა.

ჯარისკაცმა აბგა ზურგზე მოიგდო.

— შენც მიდიხარ?

— ჰო, მეც მეჩქარება.

— გესაუზმა მაინც...

— ისედაც დამაგვიანდა... კი, მეც მეჩქარება, მეც ძალიან მეჩქარება...

უხერხული დუმილი ჩამოწვა. ერთხანს სათქმელი ვერც ერთმა ვერ იპოვა.

„ნუთუ ამ ქალთან ვნეტარებდი მთელი ღამე ისეთი თავდავიწყებით, და სწორედ ეს ქალი მეხვეოდა იმ გაუნელებელი ცეცხლოვანი გზნებით?! ის, ის ხომ ქორფა იყო, ღიმილით გაბადრული, სურნელოვანი?! გოგო, ნამდვილი გოგო?!. ღმერთო ჩემო, რა უცნაურობა სჭირს ღამეს?! სიბნელეში რა ადვილად შეუძლია ადამიანს იმის წარმოდგენა, რაც თვითონ სწადია! ხანმორეულს — ახალგაზრდად, ეშხგაცვეთილს — მზეთუნახავად მოგაჩვენებს. დიდებული გამოგონებაა ღამე, დიდებული! ზოგჯერ მეცხრე ცაშიც კი აგაფრენს ნეტარებით! საოცარია ღამის გაფრენა, საოცარი! წუხანდელი ამბავიც თითქოს ღამის სიზმარეული გაფრენა იყო!“

— გმადლობ! — ეს ერთადერთი ობოლი სიტყვა დაუგდო ჯარისკაცმა მასპინძელს.

— არაფერს! — სულ უბრალოდ მიუგო ქალმა. — მშვიდობით იარე, ჯარისკაცო! მე შენს სიცოცხლესაც შევავედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებ ხოლმე მამაზეციერს! თუ სადმეა, მომისმენს!

ეს იყო და ეს. ისინი წყნარად დაშორდნენ. არც ჯარისკაცს მიუხედავს უკან. არც ქალს გაუყოლებია თვალი.

●

ჯარისკაცმა თავის პოლკამდე ვერ მიაღწია. ხიდთან რომ მივიდა, იქ მოქუჩებული ჯარი მტრის თვითმფრინავებმა ზედიზედ სამჯერ დაბომბეს. მეორე დაბომბვისას ჭურვის ნატეხმა მარცხენა ფეხის წვივი გაუფლითა, მესამე დაბომბვისას, ჯოხდაბჯენილი, კოჭლობით რომ აპირებდა იქიდან წასვლას, ჭურვის ნატეხი მხარში მოხვდა და შიგვე გაეჭედა. თვითონ აღარ შეეძლო სიარული და საკაცით აიტანეს დაჭრილდახოცილებით დატვირთული მანქანის ძარაზე. გვერდით თვალი მოჰკრა ტყავისპალტოიან ზემდეგს. პირისახე მთლად დაჩეხილი ჰქონდა, მაგრამ სქელ ულვაშებზე იცნო, ეს სწორედ ის ზემდეგი იყო, წუხელ ჯიქურ რომ შემოეჭრა თალხთავსაფრიან დიასახლისს. გამოსალაპარაკებლად რაღაცის თქმა დააპირა და უმალ მიხვდა, ის აღარ სუნთქავდა. იქვე კი, იქვე, მის გვერდით, ქერა გოგო იწვა, ჭვრიანი ჩანთა კვლავ მხარიღლივ ეკიდა. ისიც მკვდარი იყო. მის თეთრსაყელოიან ჯუბას თავისი ფერი აღარც ეტყობოდა, სისხლს მოეთხვარა მთლიანად.

გულაღმა მწოლარე გოგოს სათნო პირისახე სიკვდილს ვერ დაემახინჯებინა, არც ტანჯვა აღბეჭდოდა ზედ, პირიქით, იღიმებოდა გოგო, ოღონდ ძნელი იყო იმის გარჩევა, რას უღიმოდა: ამქვეყნიურ ამაოებას თუ კიდევ რაღაცას? გაღიმებულს, თვალებიც გახელილი დარჩენოდა და ამ სამუდამოდ გაყინული თვალებით ახლა უკიდეგანო ცას მიშტერებოდა, თითქოს იქ რაღაცას ეძებს და რაკი ვერ პოულობს, გაოცებულიაო.

ჯარისკაცს ადრე ყოველთვის აძრწუნებდა მიცვალებულის ღიმილი, სწორედ იმიტომ, რომ ეს ღიმილი იყო გაყინული თუ გაქვავებული, ეჩვენებოდა, რომ მიცვალებულის სახით თვითონ სიკვდილი იღიმებოდა. ამ გოგოს ღიმილმა კი, რატომღაც, არ შეაძრწუნა, არც შეაშინა. მხოლოდ ეს გაიფიქრა:

„ნუთუ წუხანდელი გაფრენის ცოდვამ უწიათ?“

ეს ფიქრი წამსვე შეუტრიალდა:

„იყო კი ის გაფრენა ცოდვა? გუშინდელი ღამე ხომ მათი უკანასკნელი ღამე იყო, სიცოცხლის უკანასკნელი ღამე? ან მე რომ დავიჭერი, დავიჯერო, ესეც ცოდვის ბრალია? მე ცოდვილი ვარ? ან წუხელ იმ თალხთავსაფრიანმა ქალმაც შესცოდა?.. თუ მე ცოდვა ჩავიდინე მის მიმართ, დალოცვა რატომღა მისაგზლა იმ... იმ ღვთისნიერმა, გემრიელმა ქალმა?“

აჭრელდა ფიქრი.

ერთი კი უეჭველად ირწმუნა ჯარისკაცმა: გოგოს ღიმილი ჩვეულებრივი ღიმილი არ იყო. გახელილი თვალებით ცარგვალის უსასრულობაში მიშტერებულ ქერა გოგოს იმ ღიმილმა მარტო მას კი არა, სხვებსაც აპატია, სხვებსაც შეუნდო, ყოველგვარი ცოდვა, რაც კი ოდესმე ნებსით თუ უნებლიეთ ჰქონდათ ჩადენილი.

# ბადრი თევზაძე

●

ნეტა, სულები რას სჩადიან, უფალო, სულეთს,
რას გასცქერიან გარინდებით სამოთხის ხიდან?
გაღმა ნაპირზე მინდოდა და... მაქციე ხიდად,
რომელსაც არვინ არ მიადგეს იქნება სულაც.

დარჩებათ შვილებს, კაცთა შიგან რაიც ბნელია,
შენი კალთის ქვეშ ჩაცხრებიან სულნი ვნებულნი
და შენი ნათლით სამუდამოდ შერიგებულნი,
რისკენ ილტვიან, მომავლისგან რას მოელიან?

მარქვი, უფალო, შორეული გზა-კვალი ჩემი,
მანდ, შენს წიაღში, მახლობელთა სულების გვერდით,
რა მელოდება, განსაცდელით მდიდარი ბედი,
თუ მარტოოდენ სხივმოსილი სიმშვიდე ჩუმი.

იქნება მგზავრიც კი გამოჩნდეს უგზო-უკვალო,
მარქვი, სულები რას სჩადიან სულეთს, უფალო.

●

ნამოსახლართან შემკრთალი ვდგები.
ხმა მომაწვდინე, წინაპარო, მარტოდენ შენი,
მარქვი, რა იყო შენი ფიქრი და შენი შანა,
სხვათაგან ვიცი
სხვათა სიტყვით ნაძებნი გზები.

შენკენ სავალი მკრთალია და... შემკრთალი ვდგები.
შემოაქვს ბერძენს სამკაული ფერად-ფერადი
და გალაქული ამფორები ფასობენ ძვირად,
სატრფოს თვალები ჟინითა და ნდომით ელავდნენ
და შენც ყიდულობ, თუმცა გულში არ გიღირს ჩირად.

გემზე აზიდეს ირმის ტყავი ათჯერ ათასი,
შეჰყურებ ხომალდს ჩუმი შურით, ბოღმით, დარცხვენით,
ხარობს ბერძენიც, მოხატული ფიალის ფასად
მიაქვს საუნჯე აურაცხელი.

ბუნდოვნად გახსოვს ქალაქები ზღუდემაღალი,
დინჯი რონინი ასულების ლერწამტანების.
ქედმოდრეკილნი მოდიოდნენ რიდით და კრძალვით
უცხო ქვეყნელი მოვაჭრენი და დესპანები.

ნუთუ ეს შენ ხარ, შემოსილი ნადირის ტყავით,
კიმერთა მოდგმის ნატერფალი წარხოცა ქარმა,
გასრულდა, განქრა კიდევ ერთი სიზმარი ავი,
იქნება ბედმა ახლა მაინც გატაროს წალმა.

ო... წინაპარო, მეც ბუნდოვნად მახსოვს თამარი,
მახსოვს დავითი და ელჩები მოსულნი შორით,
როგორც შენ გახსოვს კიმერიის ავი ლახვარი,
მეც დღემდე მომყვა მონღოლთაგან დაკრული ტორი.

ო, წინაპარო, ხმა მაწვდინე მარტოდენ შენი,
ერთი ბედი გვაქვს და სიზმარიც თითო ნათელი,
სამ ათასწლეულს შევკვნესივართ ამ ერთი ენით,
შენ კოლხი გქვია, ანდა ქართი, მე კი — ქართველი.
ნამოსახლართან შემკრთალი ვდგები.

●

მახსოვს ვინამე მაშინ მითები,
მახსოვს ოლიმპოს მთაზე აგიშვი
და ღამეს აჩნდა შენი თითები,
ვით შავ როიალს თეთრი კლავიში.

მახსოვს ქრებოდა ჩემში სიავე,
ჭირად არ მიჩნდა ყველა მარცხი და
მეფერებოდა ჩუმად ნიავი
და დედასავით თმებს მივარცხნიდა

და კიაფობდა ბავშვური ღიმი,
სიზმრის მჯეროდა და მოგელოდი,
შენი თითებით უკრავდა ღამე,
უკრავდა ღამე... და მე ვმღეროდი.

●

ოცნებავ, ნაჭედ ჩარჩოთა ლაქავ,
რა იქნებოდა შენთვის დამესწრო,
შენ აგაჟღერა მშვენიერ ჰანგად
დარდმა, ყველაზე დიდმა მაესტრომ.

დავალ და გისმენ და სიჩუმეში
ირხევა შენი ნატიფი ექო
და არ მაოცებს, სიჭაბუკეში
რად მსურდა შენი სიწმინდე მექო.

ახლა ვიცი, რომ დრო არის ლოცვის
და რომ ამჯერად სხვისთვის
ვილოცებ,
რომ სტრიქონივით მახარებ
მოსვლით
და სტრიქონივით მიგაქვს
სიცოცხლე.

## მეტამორფოზა

წინათ იყავი შვინდა თუ წაბლა,
მშვიდი მზერით და მშვიდი ბუნებით,
შენს ნაკვალევზე ჩნდებოდა ალბათ,
მზით გაჟღენთილი ხოდაბუნები.

და თუმცა სახრე გიწვავდა ფერდებს
და მეტად მძიმე იყო უღელი,
შენ სიყვარულად მოხვედი დღემდე,
გარჯით დაღლილი და დაუღლელი.

და ასიათას გარდაცვალებით,
სიკვდილ-სიცოცხლით, იმედით,
შიშით,
გადაიხადე დროის ვალები
და... კაცად იშვი...

ახლა კი... უნდა შეგეძლოს ავიც,
ხარ ჩაჟამული და უგუნებო
და ყელში იკლავ ბოლმას თუ
ბღავილს:
„მშვიდობით, ჩემო ხოდაბუნებო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დარეჯან ბატიაშვილი

●

უცებ ინგრევა ღრუბლების მღვიმე,
მე წუთის სავალს მოვუნდი დიდხანს,
ჩემი სიცოცხლე სხვას ვერვის მივეც
და ვერ შთავბერე სული ჩემს თიხას.

ველარსად ვხედავ მე კირითხუროს,
თუმცა თვალებით ზეცა ავხადე,
ცა სადაფებით ვინ გადახუროს?
ვინ ამიშენებს ტაძარს, სახატეს?

●

გაკოჟრებულან სადღაც ფესვები,
გაუთავებლად ჭია რომ ღრღნიდა,
მე კი ნათლის სვეტს აღარ ვეშვები,
ამ ღამის სიზმრის ახდენა მინდა.

და მიდის ჟამი ასე თავნება, —
ფერადი გარსის ცეცხლისკიდება,
ვიდრემდე ორთაბრძოლა დაცხრება,
ნამქერი მინდვრებს შეეჭიდება.

### ზამთრის პეიზაჟი

ციდან არ წყდება ფიფქთა დინება,
ბებერი რცხილა თავს ძლივს
იმაგრებს,
შურით გახედეს მთების ჩრდილებმა
თოვლის მაქმანით მორთულ
მდინარეს.

მოდგა საღამო, — ყარიბი ერთი,
თუ მზე გაექცა ცოდვის მხილებას,
მოჰყვა რბევა და ფოთლების ნეშტი
ქარის და მთვარის განხეთქილებას.

ავსებულია ხეობა თოვლით
და მთების ჩრდილთა
ნატერფალებით,
ჩანს სირმასავით ყინულის ზოლი
შემთბარი ნუკრის მშვიდი
თვალებით.

●

ვინ მოატარა ჩემს სულში ძეძვი,
ან ნაადრევად რად დადო
თრთვილი?!
ჩემს წინ რომ მოჩანს, ხიდია
ბეწვის,
ნათელს ადგება ცრიატი ჩრდილი.

არ მინდა, გულში რომ დამრჩეს
ხინჯად
კედელზე მთვარის ფერის გალევა,
ციებგამოვლილ ფიქრების მიჯნა
წაშალონ წელთა ნატერფალებმა.

●

სულსა სწადია ცაში გაფრენა,
მაგრამ ეს გული სხვაგვარად
ფიქრობს,
ქვის სასანთლეში ვამაგრებ სანთელს,
ვანთებ და ვიღაც მალულად
მიქრობს.

გამოვალ გარეთ ელდანაცემი,
არ მინდა, ახლა რომ ვინმემ მიცნოს
და ვგრძნობ, ჩემს გულში მოდებულ
ცეცხლზე
გაყინულ ხელებს ვიღაცა ითბობს.

### ჭრელი ქოთნიდან გადმოდის ია

ჭრელი ქოთნიდან გადმოდის ია,
ვით მოგონება გარდასულ ტრფობის
გაურკვეველი სიამე ჰქვია,
ჯერ არნახული ფერების ხომლი.

დასრულებულს ჰგავს ნაკაწრი
ჩრდილის,
ხაზმუზიანობს ნიავი წყნარი,
გამოქვაბულთან ნიშების წყვილი
ქანაობს როგორც მსუბუქი ნავი.

ძირს კი ფერადი სიზმარი გდია,
თავისუფალ სულს ერღვევა კბოდე,
ჭრელი ქოთნიდან გადმოდის ია,
ვით მოგონება გარდასულ ტრფობის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრამატურგია

ლაშა თაბუკაშვილი

# ნატაძრალზე

მოქმედი პირნი:

მარეხი
ნინო
თამარი
მიხა
დავითი
ლექსო
გიზო
ნათია
თომა
დემნა
ზურაბი
გიორგი
ხვიჩა

დრამა ორ მოქმედებად

## სურათი პირველი

(შინდისფრად განათებული სცენის კუთხე. სიღრმეში კათედრა, ზედ გაშლილი ვეება ფოლიანტით. ბერის ტანისამოსში გამოწყობილი მემატიანე ფოლიანტს ფურცლავს. შემდეგ ფრთას იმარჯვებს ხელში, წერას იწყებს და თან კითხულობს საკუთარ დაწერილს).

**მემატიანე** — იდგა ტაძარი. იდგა ზედ ურჯულოს საზღვარზე, თვალუწვდენელი მთის წვერზე. და იყო ტაძარს შეფარებული ხალხი მხნე და ზნეკეთილი, ლაღი და გამრჯე, მრისხანე მტერთან და გულგაღეღილი მოყვრად მოსული სტუმრის წინაშე.

იდგა ტაძარი. გამოხდა ხანი და მტრისგან მოსვენებულმა ადამიანებმა თანდათან მიივიწყეს ტაძრისკენ მიმავალი გზა. ფართედ გალოკილ ბილიკს ბალახმა გადაურბინა და ერთ დროს ლამაზად აშოლტილი ერი გაზულუქდა, მოიმჩვარა და დამჭლევდა, ვითა ირემი მგელგაწყვეტილ ტყეში. და მიატოვა ხალხმა ტაძარი. აღარ თბებოდნენ ტაძრის კედლები სანთლის ალითა და ადამიანთა ამონასუნთქი მხურვალე ლოცვით; და ვეღარ აღუდგა ობლად დარჩენილი ტაძარი ქარებს ხორშაკიანებს. იწყო ნელინელა დაშლა და აი, ერთხელ. ღვინით გარუმბებული გლეხი, საქონელს რომ გაჰკიდებოდა მთაში, უცაბედად ტაძრის გალავანში შეხეტიალდა. გამსუნაგებულმა მზერამ წამსვე აღმოაჩინა მოყანყალებული ქვა და მალე ამდაგვარი ქვებით განმტკიცდა გლეხკაცის ოდა-სახლის ფუძე. და კვლავ გაილოკა ტაძრისკენ მიმავალი ბილიკი, მაგრამ ამჯერად არცა ლოცვისთვის, არცა მტერთან საომრად დაიძრა ხალხი, არამედ ტაძრის თლილი ქვების ჩამოსაზიდად. შემდგომში ბარში აიშენეს პატარ-პატარა ციხე-სიმაგრეები, ხით გაწყობილი ქოხების ნაცვლად და გაისმოდა უპირატესად სიტყვა — ჩემია, ჩემი, ჩემთვის და ჩემთან. გაქრა ტაძარი, ვინაიდან განიყვეს სხეული მისი.

და გამოჩნდა მაშინ კაცი, სახელად თედორე, კაცი მწიგნობარი და მორწმუნე დიდად და შეუდგა იგი ქადაგებასა და შეგონებას, რათა მოეშალა ხალხს ტაძრის ქვით ნაშენი გალავნები და სახლები, უკან მთის წვერზე აეზიდა და გაემთელებინა ტაძრის განძარცული სხეული.

და გულს უშანთავდა მისი სიტყვები მათ, ვისაც აღარ ძალუძდა თავის გაზრიოკებულ სულში ფათური. ჯერ დასცინოდნენ, შემდეგ გაბეზრებულად დაუწყეს ბღვერა. ბოლოს კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიღაცამ მოკლა მათი სულის ამფორიაქებელი, მოუსვენარი მოქადაგე. და მაშინ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სინანულით აევსო გული ხალხს, მხურვალედ იგლოვა თედორე და შეარქვა მას ბრძენი. მაგრამ მიუხედავად მისი სიბრძნის აღიარებისა, კაცმა არ ახლო საკუთარ სახლსა და გალავანს ხელი. ამასობაში მტრისთვისაც არ დარჩა შეუმჩნეველი გამოლაყება ერთ დროს გონიერი და ღონიერი ერისა და შეუდგა ურჯულო მზადებას ახალი შემოსევისთვის. დაფეთებულმა ხალხმა ძლივ-ძლივობით, დამარილებული სახსრების კრაჭაკრუჭით იწყო კვლავ მთის წვერზე ტაძრის მშენებლობა, ვინაიდან კეტავდა იგი ვიწრო ხეობის ყელს და შეუვალი იყო მტრისთვის. მოიტანეს ქვა და შეუდგნენ პირველი კედლების აყვანას და დაინგრა იგი. თავიდან დაიწყეს და კვლავ ნგრევით დამთავრდა მათი უხალისო შრომა, და აქ თვალი გაახილა ხალხმა, მზერა გაიორბა, გაიხსენა თედორეს შემოძახილი და მიხვდა მიზეზს ნგრევისა: მტრის მოსალოდნელი საფრთხით შეშფოთებულმა სოფელმა მოშალა საკუთარი ციხე-გალავანები და პირწმინდად აზიდა ძველი ტაძრის ყოველი ლოდი მთის წვერზე. კვლავ შეუდგნენ შენებას, ამჯერად, მხოლოდ ძველი ტაძრის ქვით. მაგრამ რაღაცა აკლდა მათ გარჯას... ძნელი აღმოჩნდა სიტყვა ჩემიდან მცნებამ — ჩვენამდე მიღწევა. და აშენებს ახლა ერი ახალ ტაძარს ძველი ტაძრის ქვით.

(ბერი ფურთას სათუთად ჩადებს გადაშლილ ფოლიანტში და გადის. სიბნელე.)

## სურათი მეორე

(წყაროსთან მოკლე მორზე მარეხი და ნინო ჩამომსხდარან).

მარეხი — შე კაი ქალო, თვრამეტი წლისა დაქვრივდი, ლექსო დიდი ბიჭია უკვე, როდემდე აპირებ მარტო ყოფნას?

ნინო — კაცს მე ვერ გავიჩენ, გათხოვების კი რა გითხრა?

მარეხი — რატომ? გვარიშვილობა დიდებული, ქალად ქალი ლამაზი, ხელის მთხოვნელი ულევი... ბევრი გაწუხებს?

ნინო — (ჩაიცინებს) მოვიდნენ ამასწინათ მუამავლები, მაგრამ ლექსო რომ გამოუვარდა ხანჯლით სულ ლიწილიწინით გაასწრეს ლობეებზე!

მარეხი — ჰო, ეჭვიანი ვაჟიშვილი გყავს. შენც ბატონად დასვი ოჯახში! დრო მიხვდეს შენს ასეთ ყოფასაც!

ნინო — რა გითხრა, ჩემო მარეხ, ძალიან ნახსოვს ჩემი გიორგი და სხვა კაცი ვერ იარსებებს ჩემთვის!

მარეხი — ლექსო ვნახე გუშინ, მზექაბუკს გავდა, სხვათაშორის კოჭლობა შევატყე, რა დაემართა?

ნინო — ცხენმა დაამტვრია. დავით კაუხედნა ის სულელი კვიცი!

მარეხი — (ჩაცინებით) ისე მართლა უხედნივით რომ სცემს ფლოქვებს ნათიას ჭიშკრის წინ, შენ რაგა უყურებ მაგ ამბავს?

ნინო — (ჩაფიქრებით) კარგი გოგოა, მარა ადრე არაა ჯერ?

მარეხი — ადრე-გვიან არ იციან მაგათ!

ნინო — ის ბოვშვი მეც მომწონს... ჯანმრთელი, მხიარული გოგოა!

მარეხი — საჯიშეთაც ივარგებს, ხო გინდა ლამაზი შვილიშვილები?

ნინო — (იცინის) შენ უკვე კორწილიც გადაიხადე, მგონი, მე რაღას მეკითხები? ისე კი, ორი წუთის წინ ჩემს გათხოვებას აპირებდი! რაღა დროსია, ბებიობით თუ მემუქრები?

მარეხი — ვინმეს მოგზავნილი არ გეგონო! არამკითხე მაჭანკალი ვარ მხოლოდ! ისე, რო იცოდე მზითვიც რიგიანი მოყვება!

ნინო — მზითევს ვინ უყურებს, ოჯახის ქალად ივარგოს და...

მარეხი — რაც უფრო ღარიბია აზნაურიშვილი, მით უფრო ამპარტავანი ბრძანდება, ბატონო!

ნინო — (წყენით) ამპარტავნობის რა შემატყე?

მარეხი — თუნდაც ეს გაბუტვა! არ შეიძლება გაგეხუმრო? სუ, თამარი მოდის!

თამარი — კაი გამარჯობა თქვენი, ქალებო!

ნინო — გაგიმარჯოს, დეიდა თამარ!

მარეხი — ხომ მშვიდობით?..

თამარი — მშვიდობა ვინა თქვა ამ აწეწილ დროში?! ყველაფერი ილაპარაკეთ უკვე, თუ მოგრჩათ რამე მოხუცისთვის? ცოტა ხმამაღლა მელაპარაკეთ როლონდ, თვარა ყურს დამაკლდა ძლიერ!

(ამის შემდეგ დიალოგი თითქმის ყვირილით მიმდინარეობს)

მარეხი — სალაპარაკოს რა გამოლევს? დაბრძანდი!

თამარი — (ჩამოჯდება) უუუფ, დავიღალე! (პაუზის შემდეგ) თომა კალატოზი დავინახე, სულ ბუბუნით მიბუნძულობდა ტალმართში!

ნინო — ჰო, არავინ გასულა სამუშაოდ, დილიდან ტაშ-ფანდური გამართეს კაცებმა!

თამარი — ჰო, ეტყობა მაგათ ქეიფდა! ისე კი რა უსაშველო გვჭირს, ვაშენებთ, ინგრევა, ვაშენებთ ინგრევა... ა, ბატონო, დავუჯეროთ თომა გადარეულს და მოვშალოთ ჩვენი გალავნები, აშენდა? შენც არ მომიკვდე!

ნინო — თომა მაინც სწორი იყო, ბრძენ თედორეს ანდერძი რომ შეგვასრულებინა!

თამარი — კაი, შენი ჭირიმე, სხვების დახმარება რომ აკრძალა, წესია, მარტო ჩვენმა სოფელმა უნდა აშენოსო, ეგეც მართალია? რა ხნის აშენებული იქნებოდა, ყველა რომ დაგვხმარებოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინო** — (გაუბედავად) ბრძენის ანდერძი ზუსტად უნდა იყოს დაცული!

**მარეხი** — ჰო, ქეიფ-ქეიფში უმალ აშენდება ტაძარი!

**თამარი** — ქვეყანა ინგრეოდა და კიმოთე ცეკვას შვებოდა... ასეა ჩვენი საქმე (შორიდან შეწყობილი სიმღერა და დოლის ბაგუნი მოისმის). ჭანდაბა და ზურბაბა მაგათ! მონახეს არა დრო? მტერი კარზეა მომდგარი!

**ნინო** — აბა, საკუთარ ეზოში მუშაობდნენ! გული და ხალისი უნდა კარგად შენებას!

**მარეხი** — რავა ტაძარი სხვისი ჰგონიათ თუ? სიმაგრე თუ არ მოესწრო, გვიტირის ყველამ! საზღვარზე ჩვენა ვართ, სხვა კი არა!

**ნინო** — (ეცინება) კაია, აქედან რომ ვუბრაზდებით! პირდაპირ ბდღვირი ავადინეთ კაცებს!

(ქალები იცინიან)

**თამარი** — ისე, ამ პატარა სოფელს რომ მოგვჩერებია ყველა, ცოტა რომ წაგვეხმარონ, არაფერი დოუშავდება თედორეს ანდერძს!

**ნინო** — ყველას თავისი აქვს საშენები!

**მარეხი** — საზღვარი კი აქაა, და ჩვენი სიმაგრეც ყველაზე მთავარი!

**ნინო** — მოკლედ ჩვენი ასაგებია და მორჩა, უნდა შევეგუოთ ამას!

(ცეკვა-თამაშის ხმა ძლიერდება)

**თამარი** — ნეტა რა ულხინთ? კაი, გვეყოფა ამაზე, ისედაც მოშხამული მაქვს გული! აქობამდე რას ბაასობდით?

**მარეხი** — (ეშმაკური ღიმილით) შვილებზე, დეიდა თამარ, შვილებზე!

**თამარი** — (ყურზე წაივლებს ხელს) შვილებზეო? (პაუზის შემდეგ) ნინოს ვენაცვალე, ხო იცი, პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს!

**ნინო** — არც მე მეხერხება ქარაგმა, დეიდა თამარ!

**თამარი** — შენი ბიჭი რაღაც ძაან უტრიალებს ჩემს ეზო-კარს... იმ დღესაც ბლის ხეზე იყო გასული და სულ ჭინჭრით ავუსუსხე კანჭები!

**ნინო** — (უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი) რა გითხრა, დეიდა თამარ, ბალი არასოდეს ყვარებია და...

**თამარი** — (უნებლიედ ეღიმება) ბალზე გიუდებარ, არ მითქვამს მე!

**ნინო** — რა ვიცი, გავაფრთხილებ!

**თამარი** — ჰო, მასე ქენი, გენაცვალე! (უხერხული პაუზა) სწორად გამიგე, შვილო, რამეს კი არ ვუკადრისობთ... ლექსოსნაირი ბარე ორი არ დადის ამ დუნიაზე, ოჯახიც სახელიანი გაქვს სანიმუშო, მარა სულ ბოვშია ჯერ, ჩემი ნათია!

**ნინო** — (ჩაილაპარაკებს) არც ლექსოა მათუსალას ხნის!

**თამარი** — მაგას არ ვამბობ მეც მოვიცადოთ პატარა ხანს!

**ნინო** — (ეღიმება) მშვენიერი სმენა გაქვს დეიდა თამარ, ტყვილა დაგვაწყვიტე ყელის ძარღვები!

**თამარი** — კი, როცა ძალიან მაინტერესებს, ყველაფერი მესმის!

(სამივე იცინის)

**მარეხი** — მოვიცადოთო? ახლა მაგათ კითხეთ თუ ელოდინებათ?

(ხმამაღლა გადიკისკისებს)

**თამარი** — ნუ იცი შენ უადგილო ღლაბუცი!

**ნინო** — (დგება, კაბას ისწორებს) აბა, უკაცრავად ვიქნები თქვენთან.

**მარეხი** — რატომ აჩქარდი?

**ნინო** — საქმეს რა გამოლევს? (თამარს) ლექსოს კი მაგრად დავტუქსავ, დეიდა თამარ!

**თამარი** — (შეწუხებული) ძალიან მკაცრად არ გამიგო, შვილო!

**ნინო** — აბა, მშვიდობით! (სურას აიტაცებს ხელში და მიდის).

**თამარი** — (მარეხს) იქნებ არ უნდა მეთქვა?

**მარეხი** — ნუ წუხარ, არაფერი სწყენია!

**თამარი** — დიდი ყოჩაღი გოგოა! ქვრივმა, მარტოხელამ რა ბიჭი გაზარდა!

**მარეხი** — რა ვიცი, ჭინჭრისთვის კი გაიმეტე და...

**თამარი** — რა ვქნა აბა? კრუხივით დავქოთქოთებ ბოვშს და გული მისკდება, რომ წარმოვიდგენ სხვის ოჯახში! ბებია ვარ, რა ვქნა?

**მარეხი** — თვითონ ბაბუდას რომ გეძახის?

**თამარი** — სულერთი არაა? შე ქალო!

**მარეხი** — შენს ხელობას თუ ასწავლი?

**თამარი** — მაგი ხელობა კი არა მეცნიერებაა! ძაან გონიერი გოგოა, უცებ აუღო ალღო!

**მარეხი** — კაი საქმეა დასტაქრობა! (დგება) აბა, მეც უნდა დაგემშვიდობო!

**თამარი** — რავა გამირბიხართ ყველა?

**მარეხი** — (სიცილით) შენ ოღონდ ნათიაზე გალაპარაკა და დილამდე არ გაუშვებ არავის!

**თამარი** — (ბუზღუნით) მოგაბეზრეთ ხომ თავი? მოიცა, შენკენ მაქვს გზა! გამაცილე! (მარეხი წამოდგომაში ეხმარება), ა, შეხე რავა დამდუღრულივით მიფუთფუთობს თომა!

**მარეხი** — ეგ კი ჩაუმწარებს მაგათ ქეიფს!

**თამარი** — არ არიან ღირსნი თუ?

(მარეხის მკლავს დაეყრდნობა. ორივე გადის)

## სურათი მესამე

(დოლის ბაგუნით, სიმღერით და ცეკვა-თამაშით შემოდიან აქეიფებული კაცები.)

**მიხა** — (მხარზე შემოდებულ ტიკჭორას მიწაზე დებს) ახლა ამ ადგილას დავინათლოთ, წყაროს პირას.

**დავითი** — დაგვხოცავს, ბიჭო, თომა!

**მიხა** — ნუ შემიკაკანებთ ამ თომათი, ფეხებსაც ვერ მომჭამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლექსო** — (მოიღუშება) მიხა, ნათლიაჩემზე ძვირი არ წამოგცდეს. თორემ ისე გაგლახავ, რომ კარგახანს ქერში დაიწყებ ღიმილს.

**მიხა** — (წამოხტება). ამ ლაწირაკს შეხედეთ! (ლექსო ქულოჯი გახდას იწყებს. დავითი და ახალგაზრდა გლეხი შუაში ჩადგებიან).

**დავითი** — გრცხვენოდეთ. ქეიფის ჩხუბში გადაზრდა ვის გაუგია.

**დემნა** — (ჩაიხითხითებს) მაგის მეტი რა გამიგია.

**მიხა** — (იქაჩება) მაგას გვარიშვილობა ხომ არ ატყუებს.

**ლექსო** — (ჩაიცინებს) აკარი ახლა ამას ყბაში!

**მიხა** — ბოლო-ბოლო ხუთი წლითა ვარ უფროსი.

**გიზო** — ჰა, რა ვქნათ, დავიშალოთ? (დემნას) წამო, წავიღოთ ეს ჩვენი ტიკჭორა, მამი!

**ახალგაზრდა გლეხი** — ასე ჩავიმწაროთ ეს მშვენივრად დაწყებული დილა?

**დავითი** — შეგარცხვინათ ღმერთმა!

**ლექსო** — (უეცრად გაიღიმებს და სიმღერას იწყებს):

ზეშთაგონებით მოვდივარ,
ასე ურჩი და აშარი,
ღმერთმა სიცოცხლე მაშოროს
შენი მტრის ნაფეშქაშარი!

(მიხა მეორეს უტყვის მას. დანარჩენები ბანებს დააგუგუნებენ).

**დავითი** — (სასმის შეავსებს) ეს ჩვენი წინაპრის ნათელი სულის მოხსენება იყოს. მის კუნთა მარჯვენას გაუმარჯოს. ურჯულოს შემმუსვრელ და დიდი ტაძრის აღმშენებელ მარჯვენას. მტრისთვის მიუდგომელ ციხესიმაგრედ რომ იქცა და მოყვრისთვის ცოდვების გამნბან სასუფევლად. ახლა, როცა მხოლოდ ნაფუძარი დარჩა ჩვენი ძველი დიდებისა, ისევ აიზვირთა მტერი ჩვენს შესამუსრად. მაგრამ უკან დაიხევს ყოველთვის ეშმა ჯვრის წინაშე. დე, ჩვენი წინაპრის ცაში მოფარფატე სული გაგვიძღვეს წინ აბდღვრიალებულ ჩირაღდნად. ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს დასაცავად და ახალი ტაძრის აღსამართავად.

**ახალგაზრდა გლეხი** (მკლავს დაიკაპიწებს) უუჰ!

**დავითი** — (შემცბარი) რა იყო, შე კაცო!

**ახალგაზრდა გლეხი** — სულ ბუსუსები დამაყარა მკლავზე. აა, შეხედე! (შიშველ მკლავს აჩვენებს დავითს. ერთმანეთს გადაეხვევიან).

**დემნა** (ნიკაპში ხელს კიდებს მიხას) შენ რამ დაგამუნჯა კაცო!

**მიხა** — (თავს წევს მაღლა) ვტირი!

**ახალგაზრდა გლეხი** — შენ გენაცვალე მაგ ცრემლიან თვალებში, შენა!

(შემოდის აქოშინებული თომა).

**დავითი** — (შემფრთხალი) თომას გაუმარჯოს, თომას!

**გიზო** — (თასში ღვინოს ჩამოასხამს და თომას უწვდის) დაგვლოცე. თომა ბიძია!

**თომა** — (თასს ჩამოართმევს) თქვენი დედები ვატირე მე!

**დემნა** — ასეთი დალოცვა კი არსად გამიგია!

**თომა** — ადამიანები ხართ თქვენ?

**დავითი** — რა დაგემართა. შე კაცო, ცოტა მოლხენას საქმე არასდროს გაუფუჭებია.

**ახალგაზრდა გლეხი** — სწორედ ტაძრის სადღეგრძელოს ვსვამდით ახლა. დაგვილიეთ ერთი თასი, ბატონო თომა.

**თომა** — (თასით ხელში) თქვენს სისხლს? დავლევ მე!

**დემნა** — (შემკრთალი) რამ გაგამხეცა შე კაცო!

**თომა** — გილხინთ არა, ლაღობთ ხომ?! ტაძარი თავისით აშენდება?

**გიზო** — ერთი დღე რა მოხდა, თომა ბიძია.

**თომა** — გუშინ?! დავითს ვენახი ჰქონდა შესაწამლი, ამას მიწა გადასაბრუნებელი. ვანო ქორწილში გამოსკდა, ამ ვირმა ხელი ილრძო ქიდაობაში, ტაძარს კი არა სალორეს ვერააშენებთ თქვენ. ყოველდღე ასე ტყე-ტყე გეძებოთ?

**მიხა** — კარგი, რამ აგაფეთქა ამ დილაადრიანად, შე კაი კაცო!

**თომა** — რაო, თავი მოგაბეზრეთ, არა?!

**მიხა** — მობეზრების რა გითხრა, მონატრებით კი ნაღდად არ მომნატრებიხარ.

**თომა** — სულს ამოგიყვანთ ყელში, თავბედს გაწყევლინებ, მერე თუნდაც თედორესავით გამისტუმრეთ!

**მიხა** — ეს კი ნამეტანი მოგივიდა, თედორეს არ შეადარა თავი, კაცო?

**ლექსო** — მე რა გაგაფრთხილე, მიხა?

**თომა** — (ლექსოს ხმაზე შეტრიალდება) შენც აქა ხარ, ლექსო?

**ლექსო** — მაპატიე ნათლი!

**თომა** — სხვას რაღა უნდა ვუთხრა, შეგარცხვინა შვილო, ღმერთმა! (ჯამს გვერდით მოისვრის და გადის)

**ლექსო** — ესეც ასე... ახლა კი მართლა წავიდეთ, სირცხვილია!

**მიხა** — კაი, თუ ძმა ხარ, იმ მთაზე რა ამაპრიწიალებს ახლა?

(ტიკჭორას თავქვეშ ამოიდებს და თვალებს მილულავს).

**ლექსო** — შენი საქმის შენ იცი!

(გადის).

**დავითი** — სავალალოა ერთობ, სავალალო! აბა, ერთიც შევავსოთ და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სურათი მეოთხე

(სიბნელე. თივის ზვინზე თომას სძინავს. უეცრად დაიქუხებს, ელვა გაანათებს გარემოს და ამ მოცისფრო, სიზმრისეულ განათებაში, თივის ზვინზე წამომჯდარი თომა ყრუ ხმით იწყებს ლაპარაკს უხილავ თანამოსაუბრესთან).

**თომა** — რა არის ეს, ხილვა? თუ მესიზმრები?.. მე შენ გიცანი, არასოდეს მინახავს შენი სახე, მაგრამ გიცანი!.. ბრძენი თედორე! ხომ ბრძენი თედორე ხარ?.. რატომ გეღიმება? ეს შენი სიკვდილის შემდეგ შეგარქვა ხალხმა ბრძენი! (მიაყურადებს) დიახ, მეც ასეთად მიმაჩნიხარ!.. ვინ მოგკლა, იცი?.. ვინ? არა, ეგ არაა სულერთი!.. როგორ თუ ყველამ?.. ყველამ ერთად?.. რატომ?.. ჰო, მესმის... მეც შენსავით ვალიზიანებ და სულს ვუფორიაქებ მათ! არ იფიქრო, შენ გედრები! მე შენს გაკვალულ ბილიკს მივყვები მხოლოდ! არც ის იფიქრო, საბოლოოდ გადავგვარდით, რომ ჩადენილი ცოდვების სიმძიმეს ვერა ვგრძნობთ. ვგრძნობთ და საკუთარ თავსაც არ ვუტყდებით! ნაკლი რაცა გვაქვს, დროდადრო იმასაც ვხედავთ, მაგრამ ეგაა და ეგ, ამის იქით ნაბიჯსაც ვერა ვდგამთ. უცხოსი არაფერი გვშურს, ერთმანეთის შურმა კი მოგვსპო და ამოგვაგდო! ერთი სახატე გვაქვს ყველას სალოცავი, ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ვერა და ვერ ვისწავლეთ ერთ ხმაში შეწყობილად ლოცვა! ვერ ვისწავლეთ სამშობლოს ერთად სიყვარული და ასე ცალ-ცალკე გვიყვარს ქვეყანა ჩვენი! თურმცა, ალბათ შენს დროსაც ასე იყო?! მე ერთ კაცს არ მოვუკლავარ, ყველამ ერთად მომკლაო, რომ ბრძანე, ალბათ ამას გულისხმობდი, სამშობლოს ცალ-ცალკე სიყვარულმა ყველას ერთად რომ გაამეტებინა მოსაკლავად შენი თავი!

(პაუზა. თომა უხილავ მოსაუბრეს უსმენს).

დიახ, ორჯერ დავიწყეთ მშენებლობა და ორჯერვე ჩამოგვენგრა უკვე აყვანილი კედლები. მტრის შემოსევის შიშმა მიგვახვედრა მიზეზს და ახლა შენს ანდერძს ვასრულებთ! ხალხმა უკვე მოშალა საკუთარი ციხე-გალავნები და ძველი ტაძრის ლოდები ნატაძრალზე აზიდა. ახლა, მართლა გაგვიჩნდა იმედი, რომ ბოლომდე მივიყვანთ ამ საღვთო საქმეს და მტერს შეუვალ ციხე-სიმაგრედ დავხდება ტაძარი.

(თომა კვლავ მიაყურადებს უხილავ თედორეს, სახეზე ნელ-ნელა გაკვირვება და შიში ეხატება).

ეგ რა თქვი, ბრძენო?!.. თუ მომესმა?.. რას ამბობ, რას? რაღა ძალამ უნდა დაანგრიოს კვლავ, /ახლა ხომ სულ ძველი ტაძრის ქვით ვაშენებთ!.. მაშ, რა გვეშველება, დაჩოქილი გევედრები, გვითხარი, რა გზას ვეწიოთ?!

(კვლავ მიაყურადებს ბრძენს და ახლა შიშნარევ გაკვირვებასთან ერთად, ძრწოლაც ეხატება სახეზე).

არა, არ მჯერა! არ მჯერა, რომ ეს შენა ხარ! ბრძენი თედორე და ასეთი სისასტიკე? თან მე მავალებ მაგ შემზარავი ბრძანების აღსრულებას? ეს შენ არა ხარ, შენ სხვა ხარ, სხვა, თედორეს ნიღბით!.. ღმერთო მიშველე, ღვთით მოვლენილი ხილვაა თუ ეშმაკეული გამიჯდა ტანში?! (ჯვარს მოიგლეჯს კისრიდან და წინ აიფარებს). განვედ! განვედ! განვედ! (ნელ-ნელა ეხუჭება ფართოდგახელილი თვალები და უღონოდ ჩამოუვარდება მკლავი). მაშ, ჭეშმარიტად შენ ყოფილხარ, ბრძენო! როგორ ვიფიქრო, რომ შენი მოკვლის გამო იძიებ შურს, შენს საყვარელ ერზე! მე შენს ერთგულ მოწაფეს, რა უფლება მაქვს არ აღვასრულო შენი ბრძანება?! იყოს ნება შენი! გემორჩილები, მე უბედური! ვიქადაგებ და მოვიძიებ იმ ყმაწვილ კაცს, მაგრამ რაღა მე ამკიდე ასეთი მძიმე ჯვარი, რაღა მე?!

## სურათი მეხუთე

(ლექსო და ნათია თივის ზვინზე მოკალათებულან).

**ნათია** — სულ მინდოდა მეკითხა შენთვის, იმ დღეს უეცრად რომ ჩამობნელდა, რატომ შეკრთი?

**ლექსო** — განა შევკრთი?

**ნათია** — აბა, მომეჩვენა? ისე მომიჭირე ხელი, რომ მკლავი დამილურჯდა!

**ლექსო** — (დარცხვენით) იცი, ბავშვობიდან გამომყვა სიბნელის შიში, სულ პატარას მესიზმრა, თითქოს ალი მიტაცებდა და... ცხონებული ბებიაჩემიც ისეთ ძილისპირულებს მიყვებოდა ხოლმე, რომ გულგახეთქილი ვეღარც ვიძინებდი!

**ნათია** — ახლაც გეშინია?

**ლექსო** — დედაჩემს ღამით ჭრაქსაც არ ვაქრობინებ!

**ნათია** — ხვალვე მოვდებ მთელ ქვეყანას!

**ლექსო** — (გულნატკენი) აბა, შენ იცი!

**ნათია** — (მკლავზე შეახებს ხელს) არ გრცხვენია, მართლა დაიჯერე, რომ შენზე ვიჭორავებ?!

**ლექსო** — სულ დამცინი და...

**ნათია** — აბა, აბა, ნუ განაზდები! მაჩვენე ნატკენი ადგილი! (ქულაჯას ხდის ლექსოს და პერანგის სახელოს აუკაპიწებს), მაგრად გაქვს დაბეჟილი! ისე კი, ახია შენზე!

**ლექსო** — რატომ?

**ნათია** — როდის მოგისროლა ცხენმა, გახსოვს?

**ლექსო** — მაინც როდის?

**ნათია** — თავმომწონედ რომ გადმოხედე, რა ყოჩაღი ბიჭი ვარო, სწორედ მაშინ! როგორც კი გაიპრანჭები, განგება ყოველთვის დაგსჯის!

**ლექსო** — მაშ შენ სულ დაბეჟილს უნდა გეარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათია — ვითომ რატომ?

ლექსო — გაუთავებლად იპრანჭები და მი-ტომ!

ნათია — მე გოგო ვარ!

ლექსო — (ტყლავზე დაიხედავს) რაღას ვი-ფიქრებდი, უკვე გაზედნილი მყავდა!

ნათია — (ჩაფიქრებით უსინჯავს მკლავს) აქ დამელოდე (გადის და ცოტახანში უკან ბრუნდება. ხელში ბალახის კონა აქვს)

ლექსო — ეგ რა არის?

ნათია — სამკურნალო ბალახია. აქვე დავ-კრიფე! ამას ნატკენზე დაგადებ და ორ დღეში მოგირჩება!

ლექსო — შენ რა, ბაბუდასგან ისწავლე?

ნათია — ჰო, ცოტა რამ გამეგება! (უხვევს მკლავს).

ლექსო — (მიამიტად) სიყვარულს ვერ კურნავ?

ნათია — არ იკურნება!

ლექსო — აბა, მე რა მეშველება?

ნათია — სიყვარულს მოკოვება უნდა! შენ ეს ცხენის გახედნა ხომ არ გგონია?

ლექსო — გოგოები რა, არ იხედნებით რო? (ტყვილილიგან მეპყვიოებს) მკლავ?

ნათია — არ მიყვარს მუტრუკული ლლი-ცინი!

ლექსო — რა ვთქვი ასეთი? იმ დღეს აფ-რასიონის კვიცი რომ გავხედნე...

ნათია — აღარ მორჩები ამ გავხედნე-გა-მოვხედნეს?

ლექსო — ის კვიცი ძალიან გგავდა შენ! აღარ მატკინო!

ნათია — გატკენ!

ლექსო — რა გეწყინა?

ნათია — აი, შეგიხვევ და წავალ!

ლექსო — რა დავაშავე ასეთი?

ნათია — ცხენს რომ შემადარე!

ლექსო — (გულწრფელად) ცხენზე ლამაზს ვის შეგადარო?

ნათია — ჯერ ეს ერთი, არავისთან მჭირ-დება შედარება...

ლექსო — მეორე?

ნათია — მეორე ის, რომ შველია ყველაზე ლამაზი!

ლექსო — (გაცხარებით) აბა, რას ამბობ, ცხენზე ლამაზი ადამიანიც კი არ არსებობს!

ნათია — სულ არ არსებობს?

ლექსო — მხოლოდ ერთი!

ნათია — მაინც ვინ?

ლექსო — ეგ დიდი საიდუმლოა!

ნათია — მითხარი!

ლექსო — შენი თმის კულული მაჩუქე!

ნათია — ვაჭრუკანა ხარ?

ლექსო — ხანდახან!

ნათია — ჯერ მითხარი!

ლექსო — კარგი, გენდობი!

ნათია — მაშ ვინ არის ყველაზე ლამაზი?

ლექსო — ერთი გოგო, მთის სოფელში ცხოვრობს!

ნათია — (გამშრალი) მართლა? სახელი რა ჰქვია?

ლექსო — ნანო, მგონი!

ნათია — სად ნახე?

ლექსო — კვირიკობაზე, ხევში! ახლა შენი თმის კულული მიბოძე!

ნათია — (ამთავრებს გადახვევას) სიტყვა სიტყვაა, მომეცი ხანჯალი!

ლექსო — მე თვითონ შეგჭრი!

ნათია — არა!

(ლექსო ხანჯალს უწვდის. გოგონა თმის კუ-ლულს მოიჭრის).

ლექსო — ფრთხილად, ახალი წამახული აქვს პირი!

ნათია — (თმის კულულს უწვდის ბიჭს. ლექსო მისკენ გადაიხრება, მაგრამ ნათია უეც-რად ხელს კრავს მას, თივაზე გადააქცევს და ხანჯლის წვერს ყელზე მიაბჯენს) ილოცე, უბე-დურო!

ლექსო — ასე არაფრისთვის მიმეტებ?

ნათია — ხანჯლის წვეტს ნუ უყურებ!

ლექსო — რატომ?

ნათია — თვალები გიელამდება!

ლექსო — სულერთია, მაინც მკლავ და...

ნათია — ილოცე სიკვდილის წინ!

ლექსო — რა გაეწყობა? უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისა, სულ ასეთი მშვენიერი და ლამაზი მიმყოფე ჩემი ნათია!

ნათია — (რბილად) მე შენი არა ვარ!

ლექსო — მაშ ვისი ხარ?

ნათია — დედასი და მამასი!

ლექსო — ეს ჯერჯერობით! (ლოცვას გა-ნაგრძობს) ნათიაზე ფიქრში ერთ უსასრულო ლექსს ვწერ! არ დამიმთავრო ეს ლექსი, დიდ-ხანს, დიდხანს...

ნათია — არც მერე გავხდები შენი!

ლექსო — მაშ წავსულვარ ნანოსთან მთაში და ესაა! რას შვები მართლა მკლავ?

ნათია — (ამოიოხრებს) მართლა!

ლექსო — შეწყალება როგორ დავიმსახუ-რო?

ნათია — თვალები დახუჭე!

ლექსო — (თვალებს ხუჭავს) მაკოცებ?

ნათია — (უკვე მისკენ გადახრილი საკოც-ნელად, კვლავ წელში გასწორდება) ო, რა ტლიკინა ხარ! ვერაფრით დაკაცდი!

ლექსო — მანახე ვინმე, კაცურ საქმეში რომ მაჯობოს! ტყვიას ტყვიაში ვაჯენ, ცხენო-სანი უბადლო ვარ, ჭიდაობაში და მუშტში მომრევი არ მყავს, მშვილდისრით წკნელს ვჩხრიჩავ...

ნათია — რა გეშველება, ასეთ ტრაბახს და ბაქიას?

ლექსო — აბა, რა ვქნა, თვითონ თუ არ შევიქე თავი, შენგან ამას ვერ ველირსები!

ნათია — (დაფიქრდება) იცი რა?

ლექსო — რა?

ნათია — წადი, იმ შენს ნანოსთან!

ლექსო — რატომ?

ნათია — წადი! წადი!

ლექსო — შენ?

ნათია — მეც წავალ!

ლექსო — სად?

ნათია — სახლში!

ლექსო — გინდა ორივე წავიდეთ?

ნათია — ნანოსთან?

ლექსო — დაანებე მაგას თავი, ხომ იცი რომ არ არსებობს არანაირი ნანო!

ნათია — აბა, სად მეპატიჟები?

ლექსო — ჩემთან! დედაჩემი სუფრას გაგვიწყობს და მე ვეტყვი, რომ ამიერიდან ოჯახში სამნი ვიქნებით!

ნათია — ცოლად გამოგყვე?

ლექსო — ჰო!

ნათია — რატომ?

ლექსო — იმიტომ, რომ მიყვარხარ!

ნათია — მე აღარ მეკითხები?

ლექსო — შენ რა, არ გიყვარვარ?

ნათია — რა გაქვს რო საყვარელი?

ლექსო — აბა მე რა ვიცი?

ნათია — (ახლოს მიდის მასთან) იქნებ თვალები? (თვალებში კოცნის ბიჭს). სახლში კი მხოლოდ მაშინ წამოგყვები, როცა ცოტა დარბაისელი გახდები!

ლექსო — (სიცილით) დამიბერდები მაგის ლოდინში!

ნათია — სად შეინახავ ჩემს კულულს?

ლექსო — გულთან!

ნათია — ჰო, ეგ კარგი ადგილია!

(ეხვევიან ერთმანეთს. უეცრად ზარის მძლავრი რეკვის ხმა აკრთობს გარემოს).

ნათია — (ლექსოს მკლავებიდან ინთავისუფლებს თავს) ზარი დარეკა!

ლექსო — (მიაყურადებს) მეათედ შემოკრა ვიღაცამ, რაღაც მოხდა!

ნათია — (შეშფოთებული) გავიქცეთ!

(ლექსო ხელს სტაცებს ნათიას და ორივე სირბილით ტოვებენ იქაურობას).

## სურათი მეექვსე

(ვიღაც ძალუმად რეკავს ზარს, ნელ-ნელა ყველა მხრიდან შემოდის ხალხი)

დავითი — რა მოხდა?

მიხა — აბა, რა გითხრა, მეც ეს წუთია მოვედი!

თამარი — (აქოშინებული) ვინ რეკავს ზარს?

დავითი — (ყვირის) ჰეი, რომელი ხარ მანდ?

თომა — (შემაღლებულ ადგილზე გამოდის) მე ვარ!

ნინო — რა მოხდა, თომა?

თომა — ზარი მე დავრეკე, ხალხო! მე მოგიხმეთ!

მიხა — ჰოდა გვითხარი, რაზე დარეკე. რა მოხდა?

თომა — ხილვა მქონდა, ადამიანებო, ბრძენი თედორე გამომეცხადა! (შემორბიან ნათია და ლექსო. თამარის დანახვაზე, ნათია ცალკე გადგება).

თამარი — რათ? რათ?

დავითი — ხილვა მქონდაო, თომამ!

თამარი — ეგ გავიგე, კაცო!

დავითი — (ხმამაღლა) ბრძენი თედორე გამომეცხადაო!

თამარი — რა გაყვირებს, ეგეც გავიგონე!

დავითი — აბა, მეტი არ უთქვამს არაფერი და...

თომა — გაიგეთ ხალხო? ბრძენი თედორე გამომეცხადა ხილვაში!

მიხა — მერე, თომას ვენაცვალე, რამდენი ვინმე სიზმარს ნახავს, ყველამ მაგ ზარს თუ დოუწყო რაკარუკი, რაფრა წავა ჩვენი საქმე?

თომა — უცნაური რამ მითხრა ბრძენმა... ჩემი ვალია გამცნოთ ეს და დანარჩენი თქვენ იცით!

მარეხი — თქვი მერე, შე კაცო!

თომა — ოღონდ ყურადღებით მისმინეთ და ერთბაშად ნუ აყაყანდებით!

ნინო — სულგანაბული გისმენთ, თომა, თქვი, ნუ დაგვილიე სული!

თომა — ბრძენი თედორე გამომეცხადა...

მიხა — საიდან იცი, გინახავს რო ოდესმე?

თომა — თვითონ მითხრა, თედორე ვარო!

მიხა — ბრძენი თედორეო?

თომა — თავისთავს ბრძენს ხომ არ უწოდებდა, შე დალოცვილო!

ნინო — მიხა, ნუ უშლი ხელს!

დავითი — ათქმევინეთ ბოლომდე, თქვე კაი ხალხო, რა დაგემართათ?

მიხა — კაცო, იქნებ სხვა თედორე იყო. თქო, მიტომ ვიკითხე!

თომა — უშნოდ მხიარულობ, მიხა!

მიხა — ა, ბატონო პირში წყალი ჩავიგუბე!

(ლოყებს ბერავს. ვიღაცას გაეცინება)

თომა — თედორე ბრძენმა მითხრა, ერის ხსნა ტაძრის აგებაშიაო!

მიხა — ეგ ჩვენც ვიცით-თქო ვერ უთხარი?

თამარი (თავში წაუთაქებს მიხას) აღარ მორჩები?

(მიხა თვალებს გადაატრიალებს და მოჰრილი მორივით დაასკდება მიწას).

დავითი — აჲე, ნუ შაიმუნობ!

(მიხა არ ინძრევა).

თამარი — დაანებე თავი, იწვეს!

თომა — თუ ტაძარი აშენდა, ერიც დღეგრძელი იქნებაო, მითხრა! ხშირ-ხშირად რომ ინგრევა, გრძნეული ძალის კი არა, თქვენი უხალისო შრომის ბრალიაო, მაგრამ მთავარი ის

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არის, რომ ერს ცოდვა აწევს და წმინდა მიწა არ ღებულობს თქვენს ნაშენებსო!

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ — საშველი რა არისო?

ᲗᲝᲛᲐ — ერი ცოდვებისგან უნდა განიბანოსო!

ᲛᲐᲠᲔᲮᲘ — რა ცოდვაა ასეთიო?

ᲗᲝᲛᲐ — რომელი ერთი ჩამოგითვალოთ?

ᲜᲘᲜᲝ — მარტო თედორეს მოკვლა გვეყოფა მძიმე ცოდვად!

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ — ასი წლის წინ მოკლულ კაცზე ჩვენ ვაგოთ პასუხი?

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ — რათ, რა გვირჩია ბრძენმა?

ᲗᲝᲛᲐ — (ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ) ხალხო, სიკვდილია ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ რა ვქნა, უნდა გითხრათ ამ... ამ ამოსაგლეჯი ენით! (თავს ჩაქინდრავს)

ᲛᲐᲠᲔᲮᲘ — რა იყო, რამ დაგამუნჯა, ასე უცბათ შე კაცო?

ᲜᲘᲜᲝ — (მეშფოთებით) რას გვეუბნები ასეთს, თვითონ რომ გული გისკდება?

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ — აცალეთ, ქალებო!

ᲗᲝᲛᲐ — (თავს მაღლა სწევს) ტაძარი რომ აშენდეს და აღარ დაინგრეს, მის პირველ კედელში ყმაწვილი კაცი უნდა ჩაეტანოს ცოცხლადო!

(საკრებულოში მოკლე გმინვა აღმოხდება)

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ — (საძარისებულ სიჩუმეში) გაიმეორე, ყურს რომ დავუჯეროთ!

ᲗᲝᲛᲐ — (მორჩილად) უნდა ჩაეტანოს მხოლოდ საკუთარი ნებით, უანგაროდ და არაფერი ითხოვოს სანაცვლოდო!

(ოლოაც ხანს ყველა გაშტერებით მისჩერებია დამნაშავესავით თავჩაქინდრულ თომას)

ᲛᲘᲮᲐ — (მიწაზე წამოჯდება) ხალხო, რას უსმენთ, გაგიჟებულა თომა! ესაა და ეს! (ხალხი დუმს). არ გახსოვთ, სტეფანეს რა დაემართა ჩარექი ორნახადის დალევაზე? ცხრათავიან დევებს რომ ებრძოდა მთელი ღამე?

(ვიღაცა შვებით გაიცინებს, ხალხი ნელ-ნელა გონს მოდის).

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ — მაინცდამაინც ახალგაზრდა უნდა იყოსო?

ᲗᲝᲛᲐ — ჰო, ჩვენდა საუბედუროდ, აბა, ეგ რომ არ ეთქვა, ჩავეკირებოდი და მორჩებოდა ამბავი!

ᲛᲘᲮᲐ — თქვენ გადამრევთ მე, მაინც უსმენთ?!

ᲗᲝᲛᲐ — (საწყლად) რად მიყურებთ ასე, მე ხომ არ მომიგონია ეს დაწყევლილი!

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ — მასეთ რამეს ვინ დაგაბრალებს, შე კაცო? მარა მაგნაირი არაფერი იბუეტური ბოვშვებთან, თორემ ხომ იცი ჩვენი ყმაწვილების ამბავი, მოინდომებს ვინმე გმირობანას და...

ᲜᲘᲜᲝ — მართლა არსად მოყვე, თომა, ტვინი არ აურიო ბოვშვებს!

(ლექსო ზურგებს ამოეფარება, დედამისმა რომ ვერ დაინახოს).

ᲛᲘᲮᲐ — არაუშავს, თომა, ეტყობა ძლიერი ჰქონდა ღვინოს, ასე რომ, რა შენი ბრალია?

ᲗᲝᲛᲐ — (სასოწარკვეთით) ხალხო, ხალხო, მერწმუნეთ, ჰეშმარიტია, რასაც მე ვამბობ! დამავალა ბრძენმა და როგორ გავჩუმდე? იქადაგე, მოიძიე ერისთვის თავგადადებული ყმაწვილი კაციო! ქალებო, რომც ჩამქოლოთ, მაინც ვერ გავჩუმდები!

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ — (განცვიფრებით) მაშ, ახალგაზრდებს შეაგულიანებ, კედელში ჩაეტანეთ ცოცხლადო?

ᲗᲝᲛᲐ — ჰო, თამარ, ჩემი წმინდა ვალია ეს!

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ — თომა, მართლა დედების ჩასაქოლად არ გაიხადო საქმე!

ᲛᲘᲮᲐ — რავა, მამები დამშვიდებით შეხედავენ ამ საქმეს თუ?

ᲛᲐᲠᲔᲮᲘ — თვითონ უშვილო და უძირო რას მიხვდება ამას?

ᲗᲝᲛᲐ — შეგარცხვინა მარეხ ღმერთმა! თუმცა, რა მწყინს, თქვენებურად მართლებიც ხართ! მაგრამ მთავარი, დიდი სიმართლე მიუწვდომელია თქვენთვის!

ᲛᲘᲮᲐ — ცეცხლს ეთამაშები, თომა!

ᲗᲝᲛᲐ — გაიგეთ, ადამიანებო, ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად უნდა მოხდეს ეს უბედურება! სიკვდილია ჩემთვის ამის თქმა, მარა რა ვქნა, რა წყალს ვეცე?

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ — (მძიმედ) შენ რას გერჩით, თომა, შენ შენი ვალი გაქვს თედორეს წინაშე, ისე მეც გამიგია, რომ წინათ, ასეთი წესით აშენდა ერთი ციხე! ზურაბი ერქვა იქ ჩაკირულ ბიჭს!

ᲜᲘᲜᲝ — (უჩვეულო გაცხარებით) კაცებო, რას მიედ-მოედებით, ხეტა ვიცოდე?! ავარდით იმ მთაზე, დაიკაპიწეთ მკლავები, თქვენი ოფლითა და სისხლით შეზილეთ დუღაბი და აშენდება ის ტაძარი, აშენდება და აღარ დაინგრევა! თქვენი არხეინობის გამო, თომას მიერ გაბრიყვებული ვინმე ყმაწვილი, მართლაც რომ ჩაეკიროს, რაღად გიღირთ მერე ან კაცობა, ან სიცოცხლე?

ᲛᲘᲮᲐ — თქვენ გადამრევთ მე, რავა, ახლა არ შენდება თუ დანგრევის ეტყობა რამე? თომას ვენაცვალე, ერთი მითხარი, ვთქვათ არავის არ მოუნდა კედელში ცოცხლად ჩამარხვა, მაშინ რა?

ᲗᲝᲛᲐ — მაშინ აღარაფერს ჰქონია აზრი, ჩემო მიხა!

ᲗᲐᲛᲐᲠᲘ — მოკლედ, ბოვშვებს აღარ გააგონო შენი ნაღოთარი ბოდვები, თორემ მართლა ჩაგკირავ მე შენ!

ᲗᲝᲛᲐ — თამარ, დაიოკე ეგ შენი კაპუეტი ხასიათი და უქმად ნუ ატარტალებ ენას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი — მართლაც, არც ისე უბრალოდაა საქმე, როგორც შენ გგონია, თამარ!

მარეხი — ატყობთ, თომას, ხულ უშვილოები რომ უქერენ მხარს?!

დავითი — ცდები, მარეს, მე სხვა რამეს ვამბობ. თუ ყურადღებით მომისმენთ, ყველა კმაყოფილი დამრჩებით. თომა, თელორეს ანდერძით რა უნდა გვექნა ჩვენ? საკუთარი გალავნები დაგვეშალა და ჩვენი წინაპრის მიერ მკრეხელურად ბარში ჩამოზიდული ტაძრის ქვები ისევ ნატაძრალზე აგვეზიდა. აგვეზიდა და ძველი ქვებით აგვეგო თავიდან ახალი ტაძარი! ასეა ხომ?

შეძახილები — ასეა, ასე! ზუსტად თქვი, დავით!

დავითი — შენ გეკითხები, თომა, სადმე გადავუხვიე სიმართლეს?

თომა — (დაფიქრებით) არა, ყველაფერი სწორად თქვი, მაგრამ არ მესმის...

დავითი — ახლავე აგიხსნი! თომა, შენ არ იყავი, სული რომ ამოგვართვი, დაშალეთ თქვენი სამოსახლოებიო?

თომა — მე ვიყავი!

დავითი — მერე არ დავშალეთ?

თომა — მხოლოდ მას შემდეგ, მეორედ რომ დაინგრა ტაძარი!

დავითი — ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა! ეს ამდენი ქვა ძალით ხომ აგვაპრიწიალებინე მთის წვერზე?

თომა — მართალი ხარ!

დავითი — ხომ დაგიჯერეთ, ხომ დავიწყეთ მშენებლობა?

თომა — მხოლოდ მას შემდეგ, რაც მტრის თავდასხმამ შეგაშინათ!

დავითი — (გაბეზრებულად) ახლა არ ღირს ამაზე-მეთქი! მოკლედ, შევასრულეთ თელორეს ანდერძი, თუ არა?

თომა — ნაწილობრივ კი!

დავითი — ჰოდა, გვაცალე ახლა, დალოცვილო, მიგვაყვანინე საქმე ბოლომდე, მსხვერპლისა და სისხლის გარეშე! ვაფასებთ შენს ერისკაცობას, შენს თავდადებას, მაგრამ შენს სიზმრებს ყმაწვილების სიცოცხლეს ნუ შეგვაწირინებ! აშენდება ტაძარი, მოვიგერიებთ მტერს და ცხოვრება დაიწყება, ავ თვალს რომ არ დაენახვება, ისეთი!

მიხა — შენ გენაცვალე მაგ ოქროს ყანყრატოში, შენა!

დავითი — (რბილად) ამოიგდე ახლა თავიდან ეგ შენი ნაგვიანები ხილვა და მივხედოთ საქმეს!

ნინო — კაცი ხარ კაცური, დავით!

მარეხი — არ გაგვიმთელა დამსკდარი გულები?!

მიხა — თომა, ჩამო ძირს და ზარს აღარ გნახო გაკარებული!

(გარს ეხვევიან დავითს. შიშისაგან განთავისუფლებული ხალხი გალაღდა და გამხიარულდა).

მიხა — დემნა, ერთი შენი ტიკჭორა გამოაგორე!

დემნა — რომელი ტიკჭორა, ხო არ მოგლანდებია?

მიხა — რომელი და ურმის უკან რომ მალავ!

დემნა — მაქვს და გიმალავ. კაცო?

მიხა — აი, ეს კი მარჯვალი თქვი. გაქვს და მიმალავ!

(ყველა იცინის).

თომა — (ყვირის) ხალხო, უდროოდ მხიარულობთ!

მარეხი — რას დაგვჩხავის ეს კაცი, მართლა და მართლა!

მიხა — ჰააა, დემნა დახლიდარო, სული მიწყებს ფორიაქს, იცოდე! გამაჩენ იმ ღვინოს თუ შენი ნეკნების თვლა დავიწყო?!

დემნა — (შუბლში იტკიცავს ხელს) ჩემი სიმამრის ღვინოზე ამბობ, კაცო?

მიხა — გინდა პაპიდაშენის დაარქვი, დროზე მოიტა, გირჩევნია!

თომა — (ყელს იგლეჯს) მომისმინეთ, ადამიანები არა ხართ? ქრისტე ღმერთი არ გწამთ?

მიხა — რომ გვწამს, მაგას უმალლოდე, თორე დიდი ხნის გადებული შეჯოლებოდი დეხქვეშ!

თომა — ამასაც მოვესწარი?

(მაღლიდან გადმოხტება მოხუცი, მიხასკენ გაქანდება, მაგრამ ლექსო შეაჩერებს).

ლექსო — არ გინდა, ნათლი, შენ არ გეკადრება მაგაზე ხელის გასვრა!

(ლექსო ხელს უშვებს მოხუცს, მკვეთრად მოტრიალდება და ძლიერი დარტყმით ძირს დასცემს მიხას. უგონოდ გაშოტილი მიხა გაუნძრევლად წევს).

ნათია — (მხიარულად) ახლა კი ნამდვილად არ მაიმუნობს მიხა!

თამარი — ნათია!

ნინო — ლექსო, შენ აქა ხარ?

ახალგაზრდა გლეხი — (დემნას მოტანილ ტიკჭორას იღებს ხელში) მე ვიცი, რაფრა გამოვაღვიძო!

(ტიკჭორიდან ღვინის წვრილ ნაკადს სახეზე დაასხამს მიხას, მიხა შეიშმუშნება).

თომა — მეშინია, ხალხო, მეშინია, ხილვაში ნათქვამი იყო, რომ არ აშენდება უმსხვერპლოდ ტაძარი!

ნინო — კარგი რა, თომა, ნუღარ იმეორებ მაინც!

თამარი — რას შემოუჩნდი, თომა კალიატოზო, აი სოფელს, ვერ ხედავ თავი რომ გააბეზრე ყველას?

თომა — (ყვირის) რა ვქნა, მეც რომ შემეპაროს ეჭვი, მაშინ რა ვქნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო — ერთ უაზრო სიზმარს ნუ შეგვწირე ყველა!

თომა — (თავზე წაივლებს ხელებს) იქნებ მართლა სიზმარი იყო და ვცდები!

დავითი — (დაყვავებით) აი, უკვე ძველი, გონიერი თომა ხარ!

(და უეცრად მძლავრი ნგრევის ხმა წალეკავს ხალხის ჟრიამულს).

ხმები — ტაძარი! ტაძარი დაინგრა! ვაი, უბედურ ჩვენს თავს! დაინგრა სულ დაინგრა! ღმერთო, რა შევცოდეთ ასეთი? არა, უფალო, არა! ვილოცოთ, ხალხო, ვილოცოთ!

(ყველა მუხლებზე ემხობა გაოგნებული თომას გარდა).

თომა — მაპატიე, ღმერთო, ჩემი ეჭვები!

მიხა — (წამოხტება, ყბას ისრესს, ძლივს ახელს თვალებს) რა დამემართა, ცა ჩამომექცა თავზე?

დავითი — (სევდიანად) მართლა ცა ჩამოგვექცა, მართლა! ღმერთო დაგვიფარე!

## სურათი მეშვიდე

(ლექსოს ქოხი. ლექსო ტახტზე წამოწოლილა. ნინო მაგიდასთან ზის და შვილის გახეულ ქულაჯას კემსავს.)

ნინო — გძინავს?

ლექსო — არა!

ნინო — რაზე ფიქრობ?

ლექსო — ბევრ რამეზე ერთად. დღისით ხომ არ მიკითხა ვინმემ?

ნინო — (შეყოვნდება, შემდეგ უხალისოდ) კი, ტყემლიანიდან იყვნენ.

ლექსო — რა გვინდათ?

ნინო — რა ენდომებოდათ? ორი ურა კვიცი გვყავს გასახედნი და კარგ ფულს გადაგვიხდიან.

ლექსო — მერე, როგორ შეუთანხმდი?

ნინო — არ გამიჯავრდე, შვილო და უარით გავისტუმრე.

ლექსო — (ლოგინზე წამოჯდება) ხუმრობ?

ნინო — არა ლექსო, რამდენი სულელი და გადარეული ცხოველია ყველა შენ უნდა მოათვინიერო?!

ლექსო — დედი, ეს რა ქენი?!

ნინო — აბა რომელ დედას გაეხარდება, შვილს სულ დაბეჟილს უყუროს, ტყუილად ხომ არ გასწავლე წერა-კითხვა, თან არც ჩვენს გვარიშვილობას შეჰფერის ეგ ხელობა!

ლექსო — (ჩაფიქრებით) კუდაბზიკა დედა მყოლია!

ნინო — (იცინის) ამპარტავნად არ მომნათლო.

ლექსო — კარგი, გეყოფა ახლა, დაწექი!

ნინო — ცოტაც დამრჩა!

ლექსო — (პაუზის შემდეგ) მაინც არ უნდა გაგესტუმრებია უარით!

ნინო — რა ვქნა შვილო, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე!

ლექსო — პატივი თუ ეცი რამე?

ნინო — სადილზე უარი მითხრეს, გვეჩქარებათ.

ლექსო — ხვალვე წავალ ტყემლიანში, აი ნახავ!

ნინო — (მშვიდად) ნუ მემუქრები, თორემ მამაშენის ხსოვნას დაგაფიცებ!

ლექსო — (შემფრთხალი) დედი, არ ქნა ეს!

ნინო — დაგაფიცებ!

ლექსო — მამას ხსოვნას გაფიცებ, არ დამაფიცო!

ნინო — (ეცინება, დგება და ლოგინზე გადაუჯდება შვილს) თვითონ გასახედნი კვიცი ხარ ჯერ, შენ ვინ უნდა გახედნო? (შუბლზე კოცნის შვილს).

ლექსო — არ გეწყინოს, ხვალ წავალ იცოდე!

ნინო — ცუდს მიგრძნობს გული, შვილო, გამაწამეს სიზმრებმა...

ლექსო — რას ხედავ ასეთს?

ნინო — დილით აღარ მახსოვს!

ლექსო — ამ ერთხელ და მორჩა! შევთანხმდით? (მკლავებში იხუტებს დედას).

ნინო — უნდა დამემალა შენთვის!

ლექსო — დედაჩემი და ტყუილი?

ნინო — ნამდვილად ბოლო...

ლექსო — (აწყვეტინებს) აღარ განაგრძო! შემიძლია დაგიფიცო, რომ მეტი არცერთ ცხენს აღარ გავხედნი!

ნინო — (ყურადღებით აკვირდება შვილს) ლექსო, რაღაც შეცვილი მეჩვენები!

ლექსო — (მხრებს იჩეჩავს) შეცვლილი?

ნინო — (ხელში იღებს მის ხელს) რაღაც ხდება შენში, რაღაც ხდება!

ლექსო (იცინის) შენი სიზმრების შედეგია!

ნინო — არაფერს მიმალავ?

ლექსო — ცდები, დედა! (გადაწვდება და რაღაც წიგნს იღებს ჯორკოდან). ამხელა წიგნი როგორ გადაწერე ხელით?

ნინო — ჩემი მზითვია. წესად იყო, ქალიშვილს საკუთარი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი" უნდა მიეტანა მეუღლის ოჯახში.

ლექსო — რატომ, იყო? ნათიამაც თითქმის დაამთავრა გადაწერა!

ნინო — მშვენიერი საქმეა! სხვათაშორის, თამარი ვნახე ამასწინათ.

ლექსო — ვინ თამარი?

ნინო — ნათიას ბაბუდა! ერთი მითხარი, ბლის ქურდობა როდიდან დაიწყე? კარგი, ნუ მიპასუხებ. ერთსა გთხოვ, იშვიათად გამოჩნდი მაგათ სამოსახლოს!

ლექსო — (აწყვეტინებს) იშვიათად კი არა, საერთოდ ველარ მნახავს თამარი!

ნინო — (ფარული შეშფოთებით) რაღაც იოლად იძლევი დაპირებებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსო — (პაუზის შემდეგ)) დედი, ნათია როგორი გოგოა?

ნინო — კარგი!

ლექსო — ძალიან კარგი თუ... ისე რა?

ნინო — ძალიან კარგი გოგოა!

ლექსო — ყველაზე კარგი?

ნინო — (სიცილით) რას გადამეკიდა?

ლექსო — მიპასუხე!

ნინო — ჰო, ყველაზე კარგი!

ლექსო — ჩვენს მიტან-მოტანებაში?

ნინო — აბა, სხვაგან გეგულება უკეთესი?

ლექსო — მე არა!

ნინო — არც მე და დავიძინოთ უკვე!

ლექსო — დედი, ჭრაქი ჩააქრე!

ნინო — (გაკვირვებით) აღარ გეშინია?

ლექსო — რაღა დროს შიშია, დედი? ჩააქრე!

ნინო — კი, შვილო!

(აქრობს ჭრაქს და თვითონაც წვება).

ლექსო — (სიბნელეში) დედი, ლამაზია?

ნინო — ნათია? კი, ლამაზი ეთქმის!

ლექსო — ეთქმის რა სიტყვაა?

ნინო — (შვილის წყენით შეწუხებული) ლამაზი, ჯიშიანი გოგოა, მეტი რა ვთქვა?

ლექსო — მეტი თქვი, რა!

ნინო — აბა, ძალიან შემეხვეწე!

ლექსო — გეხვეწები!

ნინო — მზეთუნახავია! ახლა კი დავიძინოთ!

ლექსო — დავიძინოთ! (პაუზის შემდეგ) დედი!

ნინო — რა იყო?

ლექსო — მამაჩემი პირველად სად ნახე?

ნინო — მარიამობას, დღეობაზე!

ლექსო — რას აკეთებდა?

ნინო — ქეიფობდა!

ლექსო — ნეტა მეც უეცრად ვენახე ნათიას!

ნინო — რას ნიშნავს უეცრად?

ლექსო — რასა და ბალღობიდან ვიცნობთ ერთმანეთს!

ნინო — მერე რა?

ლექსო — რა და უცებ რომ დავენახე, უფრო სხვა თვალით შემომხედავდა.

ნინო — ახლაც მშვენიერი თვალით გიყურებს, ისე კი არც ნელ-ნელა დასანახადა ხარ ურიგო ბიჭი!

ლექსო — ყველა ყვავს მოსწონს თავისი ბახალა!

ნინო — აბა, ახლა ყვავიც გავხდი!

ლექსო — არა, დედი...

ნინო — კარგი, დავიძინოთ! (სიჩუმე. უეცრად ნინო ლოგინზე წამოჯდება) რა დაგემართა შვილო?

ლექსო — (ნამძინარევი ხმით) რატომ მაღვიძებ?

ნინო — არა, მომეჩვენა, რომ... შენ რა, ტიროდი?

ლექსო — (მხიარული განცვიფრებით) რაო?

ნინო — რამ მომაჩვენა?

ლექსო — სიზმარმა ალბათ! არ აანთო, ძილს დამიფრთხობ!

ნინო — ჰოო... კარგი! (უკან დებს ჭრაქს).

ლექსო — (მოქნარებით) თომამ თუ იპოვა ვინმე?

ნინო — აბა, როგორ იპოვიდა?

ლექსო — რატომ?

ნინო — ვინ გიჟი ჩაეკირება, შვილო, თავისა ნებით?

ლექსო — სამშობლოს თუ დასჭირდა?

ნინო — რა, ადამიანის ცოცხლად დამარხვა?

ლექსო — აბა, უმსხვერპლოდ არ შენდება ტაძარი და...

ნინო — აშენდება, ნამუსიანად თუ იშრომეს! ეგენი, სანამ საკუთად ეზოში არ დაინახავენ მტერს, სულ ასე არხეინად იქნებიან!

ლექსო — მითუმეტეს! აუცილებელი ყოფილა თავის გაწირვა! მე ამას ვერ ვიზამ, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გადადოს თავი?!

ნინო — რისთვის, შვილო? გამოჩერჩეტებულ თომას მოლანდება ჰქონდა ნალოთარზე. ესაა და ეს!

ლექსო — წინათ ძალიან პატივით იხსენებდით, ახლა გამოჩერჩეტდა?

ნინო — ასაკი თავისას შვება, ლექსო!

ლექსო — ტაძარი რომ მისი ქადაგების დროს დაინგრა!

ნინო — უბრალო დამთხვევაა, შვილო, უბრალო დამთხვევა და ამით ისარგებლა თომამ!

ლექსო — შენ აღარ გიყვარს თომა?

ნინო — როგორ არ მიყვარს, მაგრამ იმ ქადაგებას ვერ ვპატიობ, შვილო!

ლექსო — რა ექნა აბა, დაემალა ხალხისთვის?

ნინო — არა, მაგრამ მაინც... ისე კი, იმ ჩაკირულ ბიჭზე ზურაბზე თქმულება იყო მხოლოდ, სხვა არაფერი! ახლა კი, მართლა ლამე მშვიდობისა, შვილო!

ლექსო — შენმა სიმზრებმა თუ დაგვაცალეს ძილი!.. (პაუზა) დედი, მამაჩემი ჩაეტანებოდა კედელში?

ნინო — (გულგახეთქილი წამოვარდება ლოგინიდან) არასოდეს, გესმის, არასოდეს!

ლექსო — რატომ? ხომ გასწირა თავი!

ნინო — ის ბრძოლის ველზე იყო!

ლექსო — ჰო, ბრძოლის ველზე სულ სხვაა! (ამთქნარებს) კარგი, დავიძინოთ!

ნინო — (დამშვიდებული) ლამაზი სიზმრები გენახოს, შვილო!

ლექსო — რაც მითხარი, სულ შენ!

(დედა-შვილი იცინის. ლექსო გვერდზე გადაბრუნდება. ლოგინზე წამომჯდარი ნინო ცოტახანს აყურადებს მის სუნთქვას, შემდეგ კი თვითონაც წვება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება მეორე

### სურათი მერვე

(თომა მარტო ზის დუქანში. წინ ღვინით სავსე დოქი უდგას. იდაყვებით მაგიდას დაყრდნობია და სახე ხელებში აქვს ჩარგული. დრო და დრო სვამს. დახლთან მედუქნე დემნა საქმიანობს. გარედან წვიმის ხმაური შემოდის.)

დემნა — (გარეცხილ ჯამს ამშრალებს ხელსახოცით) როდიდან დაგჩემდა, შე კაცო, მარტო სმა? ხომ იცი, მარტო კაცი პურისჭამაშიც...

თომა — მხოლოდ ეგა მჭირს შესაცოდი?

დემნა — ვიცი, ჩემო თომა, ვიცი რაც გიხეთქავს გულს, მარა რას იზამ, შენ გამოგეცხადა თედორე და ვალიც შენ დაგადო!

თომა — რაღა მაინცდამაინც მე? რატომ შენ არა?

დემნა — აბა, ეგ მე რა ვიცი?

თომა — არ ჩაგვთვალა ღირსად და იმიტომ!

დემნა — (ნაწყენი) სატრაბახოდ გქონია, შე კაცო, საქმე და რაღას ჯავრობ?

თომა — შენს დახლს მიხედე!

დემნა — ერთი ეს მითხარი, ერის ჭირისუფლად გთვლიან, ცოტა ჯაჯღანა ქირისუფლად, მარა მაინც... მაშ, შენი ერი თუ გიყვარს, მაგ ერის ანგარიშში ხომ მეცა ვწერივარ?

თომა — ვაი, რომ წერიხარ!

დემნა — (ნიშნისმოგებით) ჰოდა, შენი ერი თუ გიყვარს, მეც უნდა გიყვარდე!

თომა — (ახედავს) მერე ვინ გითხრა, მძულხარო?

დემნა — (ნასიამოვნები), აჲე, შე კაცო! (თავისთვისაც მოაქვს ჯამი).

თომა — (ჯამს შეუვსებს) ჭრა სუსტი აქვს, თორემ არაა ურიგო ღვინო!

დემნა — ჰოო, ღვინო მართლა სანაქებო მაქვს! (ჯამს მაღლა სწევს) ეს შენ გაგიმარჯოს, თომა, დამსახურებული კაცი ხარ, ვაჟკაცი და ავკარგიანი! რას იზამ, იმ დარდით გაგიმარჯოს, შენ რომ ატარებ! (სვამს).

თომა — მადლობელი ვარ!

დემნა — (სახელოთი გაიმშრალებს ნაღვინარ ტუჩებს) ახლა, გულზე ხელის დადებით, მართლა გჯერა, რომ იპოვი ასეთ მოხალისეს?

თომა — ეგ მიკლავს სწორედ გულს, რომ ერის საუკეთესო ვაჟკაცი უნდა ჩავკირო ქვაში!

დემნა — მაშ, შენ გწამს ასეთის არსებობა? მე კი რაღაც ეჭვი მეპარება!

თომა — რატომ?

დემნა — ვინ მოინდომებს საკუთარი ნებით, თანაც უანგაროდ...

თომა — რომ შეიძლებოდეს, მე ხომ ჩავეკირებოდი?

დემნა — შენ, რავა არა, ახალგაზრდა კაცი კი, მთელი სიცოცხლე წინ რომ აქვს... რა ვიცი?

თომა — მთელს ერში ერთიც თუ არ გამოჩნდა თავგადადებული, აღარა ვწერივართ ცოცხლებში და ესაა!

დემნა — ჰო, მტერმა რომ გაგვწყვიტოს დასანანიც აღარ ვიქნებით! ეჰ, მაგის მეტს რას ვუსმენ და რას ვხედავ ამ დახლიდან! ჰაი დედასა, პაპაჩემის მოყოლილი ამბები რომ მახსენდება, ტირილი მინდება, რა ერი ვყოფილვართ, რა ამაყი, რა ძლიერი, რა გონიერი! ვინ დაამადლიდა მაშინ სამშობლოს თავის გაწირვას?

თომა — (ცოტახანს ყურადღებით მისჩერებია მედუქნეს) ჰოო, მძიმე დღეში ვართ!

დემნა — (ხელს ჩაიქნევს) ნუ იტყვი!

თომა — ერთი ეს მითხარი, შენმა ბიჭმა რომ გამოთქვას სურვილი, რას იზამ?

დემნა — (ჯამი უშეშდება ხელში) რაღა ჩემს ბიჭს მიახტი, დალოცვილო, ვინ მყავს მაგის მეტი?

თომა — რა მოხდა, ისე გკითხე!

დემნა — (ამღვრეული) კაი კითხვები კი გცოდნია, მე და ჩემმა ღმერთმა, თვითონ უშვილოს და უძიროს, რა გენაღვლება? (უეცარი დაეჭვებით) თომა, ვაჟკაცურად მითხარი, ბიჭთან რამე ლაპარაკი ხომ არ გქონია?

თომა — რაზე?

დემნა — (გაათეთრებით) თავს ნუ იგდებ, კარგად იცი, რაზეც! (ფეხზე დგება) თომა, პატივს გცემ, მარა ჩემს ბიჭთან ახლო გაკარებული რომ გნახო...

თომა — (სუსხიანად) დახლთან მიდექ, ჩარჩო, შენი ადგილი ნახე!

დემნა — (მომტყდარი) შენ რა გესმის მამის გულის?

თომა — (მკვახედ) ღვინო მომართვი!

(კვლავ საკუთარ საფიქრალს უბრუნდება. წვიმის ხმაური მატულობს, შორს დაიქუხებს).

დემნა — (სველ დოქს დგამს მაგიდაზე. გაუბედავად) ჩამოიქცა ცა!

(თომა არ პასუხობს. გარედან ცხენის ჭიხვინი და რაღაც შეძახილები მოისმის).

ვინ სტუმარი ნეტა ამ თქეშში? (გარეთ გადის და მოკლეხანში ბრუნდება) სამი ყმაწვილი კაცია, შენი ნახვა უნდათ, საქმე გვაქვსო!

თომა — (ფეხზე წამოიჭრება) ჯერ არ შემოიყვანო! სწრაფად ცივი წყალი მოიტა!

დემნა — (თომას მოთხოვნით დაბნეული) ახლავე, ბატონო!

(მოაქვს ჩაფით წყალი. თომა გვერდზე გადგება და პერანგს გაიხდის).

თომა — (წელზევით შიშველი) თავზე დამასხი!

დემნა — ყინულივითაა, შე კაცო!

თომა — ჰო, ჰო, ეგ მჭირდება სწორედ! ნაღვინები ხომ არ შევხვდები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემნა — შენ გგონია, იმ საქმეზე არიან?

(დემნა თავზე ასხამს წყალს, შემდეგ პირსახოცს უწვდის).

თომა — (თმას იმშრალებს) აბა, სხვა რა უნდა იყოს? შემოიყვანე!

(დემნა გადის და სამ იარაღასხმულ ბიჭთან ერთად ბრუნდება).

დემნა — ეს არის სწორედ ბატონი თომა, ყმაწვილებო!

ზურაბი — ზურაბი, ბატონო! (ხელს ართმევს თომას, დანარჩენებიც ასე იქცევიან).

გიორგი — გიორგი!

ხვიჩა — ხვიჩა, ბატონო!

თომა — ჩემი ვინაობა უკვე გცოდნიათ!

გიორგი — დიახ, სწორედ თქვენთან მოვიჩქაროდით!

ზურაბი — მთელი ღამე ვიარეთ!

დემნა — მოისვენეთ, სამოსი შეიმშრალეთ, მანამდე სუფრასაც გაგიშლით!

ხვიჩა — მაგდენი დრო არა გვაქვს, ბატონო!

დემნა — მაშ, არყითა და თეთრი ნიგოზით შეიქციეთ თავი!

თომა — დაბრძანდით, ვიბაასოთ! ტანისამოსს ხომ არ შეიშრობდით ჯერ, გაცივდებით მასე!

ხვიჩა — ჯერ არასოდეს გავმთბარვართ და რა გაგვაციებს, ბატონო ჩემო?

(მაგიდას შემოუსხდებიან).

გიორგი — ჩვენ შორი სოფლებიდან გეახელით, თქვენთან საზღვარზე პირველადა ვართ!

ზურაბი — საქმეზე ილაპარაკე!

ხვიჩა — ვაცალოთ ერთმანეთს!

გიორგი — ბრძენი თედორეს ხილვა თქვენ გქონდათ, თომა ბატონო?

თომა — დიახ, მე გამომეცხადა!

ხვიჩა — და დავალებაც თქვენ მოგცათ, არა?

თომა — მართალი ბრძანდებით!

ზურაბი — (მოუთმენლად) მე მზადა ვარ!

თომა — (იბნევა) უკაცრავად?..

ზურაბი — მზად ვარ ჩავეკირო!

გიორგი — (გაღიზიანებით) ზურაბ, ჩვენ რა სხვა საქმეზე ვართ წამოსული თუ რა?

ზურაბი — (დიდსულოვნად) დიახ, ესენიც მზად არიან ჩაეკირონ!

თომა — (აღელვებული) რა უბრალოდ ამბობთ ამ სიტყვებს, შვილებო?

ხვიჩა — დრო არ ითმენს, მტერი ახლოა!

თომა — სამი სიცოცხლე არ არის საჭირო!

(დუქნის სიღრმიდან, მაღალი, მოუხეშავი ბიჭი გამოდის, დახლთან ჩამოჯდება, პურის ყუას მოტეხავს და ნელა დაიწყებს ჭამას. დემნა თვალით ანიშნებს, გადიო. ბიჭი ყურადღებას არ აქცევს მას).

დემნა — გიზო, წადი, საქმეს მიხედე!

გიზო — მოვრჩი ყველა საქმეს!

დემნა — (გამწარებული) მაშინ დავითთან გადირბინე, მარილი გამოართვი, შვილო!

გიზო — რად მიშვებ ამ თავსხმაში?

დემნა — (ამჩნევს რომ სტუმრების ყურადღება მიიქცია) ჩემი შვილია, გიზო!

თომა — დიდებული საქმე ჩაგიფიქრებიათ, ყმაწვილებო, მაგრამ სამი სიცოცხლე არ არის-მეთქი საჭირო!

ზურაბი — ეგ ვიცით!

გიორგი — თქვენ თვითონ შეგვარჩიეთ!

თომა — (უმწეოდ) აბა, მე როგორ?..

ხვიჩა — თქვენა ხართ ამ საქმის თავკაცი!

თომა — და ამიტომ მე გამოგიტანოთ განაჩენი? არა, ასე არ ივარგებს! ერთმანეთში მოილაპარაკეთ! მე ნუ დამაყენებთ არჩევანის წინაშე!

ხვიჩა — ჯერ ყოველი ჩვენთაგანი გეტყვით, თუ რა პირობას ვაყენებთ!

თომა — პირობას?

ზურაბი — მე დავიწყებ, თქვენის ნებართვით! გამიგია, ოდესღაც ასე ჩაეტანა ვიღაც ბიჭი ციხის კედელში და სიმაგრე ურყევი აშენდა!

თომა — არსებობს ასეთი თქმულება. სხვათაშორის იმ ბიჭსაც ზურაბი ერქვა სახელად!

ზურაბი — (მხიარულად) აუმ, ზურაბი? მაშ სეხნიებიც ვყოფილვართ?! შემდეგშიც ასე მოგვიხსენიებენ, ზურაბ პირველი და ზურაბ მეორე! (უეცრად ღიმილი ჩაუქრება) არა, მეორე არ ივარგებს, სჯობს სოფლის სახელით განგვასხვაონ... მაგალითად...

გიორგი — (უკმაყოფილოდ) თუ ძმა ხარ, შენთვის იოცნებე, შენს გარდა ორი კაცი ვართ აქ!

ზურაბი — არც თქვენ მავიწყდებით, ძმებო, ტყუილა გწყინთ! (თომას) როდის არის საჭირო?

თომა — რა, შვილო?

ზურაბი — აი, ის... ჩაკირვა, მოკლედ!

ხვიჩა — (თომას) ციხის კედელში!

თომა — ის ციხე არ არის, ტაძარია!

გიორგი — სიმაგრის მაგივრობას ხომ გასწევს?

თომა — დიახ!

ზურაბი — (სულწასულად) ჰოდა, რაღაზეა ლაპარაკი, როდის არის საჭირო-მეთქი?

თომა — (თვალებს დახრის) თუნდაც... თუნდაც ხვალ!

ზურაბი — (ჩაფიქრდება) ცოტა უნდა გავდავლოთ, ჩვენებთან დამშვიდობება ხომ უნდა მოვასწრო?!

გიორგი — (კუშტად) ჩვენ აღარ გვაცლი, დალოცვილო?!

ზურაბი — თქვენ თქვენი თქვით, ვინ გიშლით? (თომას) ახლა კი ჩემს პირობას ჩამოვალ, ბატონო თომა!

თომა — რა პირობას?

ზურაბი — რას და... იმ ციხეს, ციხეა თუ

ნაციონალური ბიბლიოთეკა

ტაძარი, ჩემი სახელი უნდა დაერქვას! ზურაბის ციხე. კარგად ჟღერს. ჰა, რას იტყვით? (იცინის).

თომა — ჟღერადობის რა მოგახსენოთ...

ზურაბი — მომითმინეთ, ჯერ არ დამიმთავრებია! ერმილე ოსტატს უნდა დაევალოს ჩემი სახის გამოთლა ქვაში! თან ძალიან უნდა მგავდეს...

გიორგი — და კიდევ ასი შავოსანი მოტირალი ქალი და მგალობელთა გუნდი...

ხვიჩა — სულ თეთრებში, გამოწყობილი!

ზურაბი — (მადლიერების გრძნობით) თქვენ ხუმრობთ, მე კი ძალიან მომწონს! მშვენიერი აზრია! არაფერი უშლით ცოტა რომ წაიტირონ კიდეც! ჰა, ბატონო თომა? ჩაუვლის მერე ჩემი ლამარია ამ ზურაბ ნაყანარელის ტაძარს და გული დაეთუთქება, რა ბიჭს ვუთხარი თავის დროზე უარი (ნასიამოვნები სკამის ზურგზე გადაწვება) ახლა კი უკაცრავად და თქვენიც თქვით, ძმებო!

თომა — მომითმინეთ...

ხვიჩა — ბატონო თომა, ჯერ მე და გიორგიც გვალაპარაკეთ!

გიორგი — იტყვი, ხვიჩა?

ხვიჩა — ჯერ შენ თქვი, ბარემ!

გიორგი — კეთილი! მე, თომა ბატონო, ჩემი სიკვდილის სანაცვლოდ მამაჩემის განთავისუფლებას ვთხოულობ!

თომა — ტყვედ არის?

გიორგი — არა, ბატონო. ტყვედ რომ იყოს, რა უჭირს? მესამე წელია მეფის დილეგში იტანჯება ტყუილ-უბრალოდ!

თომა — როგორ მოხდა ეს, შვილო?

გიორგი — ბეზღობით! მოშურნეები მეფის საწინააღმდეგო შეთქმულების თავკაცად მონათლეს!

ხვიჩა — მორჩი, გიორგი?

გიორგი — არა! მე მის განთავისუფლებას და დამბეზღებლების სამაგალითო დასჯას მოვითხოვ! ან ხელ-ფეხი გაგვიხსნან და ოჯახი თვითონ მივხედავთ მაგ ქვეწარმავლებს!

ხვიჩა — ახლა მე ვიტყვი!

ზურაბი — ჰო, ხვიჩა, შენი ჯერია!

გიორგი — ჯერი ვინ მოუზომა?

ზურაბი — რა გაუთავებლად იკბინები, შე კაცო?! კბილები დაგცვდება მასე!

გიორგი — (წამოიმართება) რა ბრძანე, ყმაწვილო?

ხვიჩა — (გაღიზიანებით) გიორგი, შენ რომ ყვებოდი შენს გასაჭირს, მე გისმენდი!

გიორგი — (წყენით) მე რას მერჩი, ხვიჩა?

ხვიჩა — ბატონო თომა, მე ამათსავით არც გვარიშვილობა მაქვს და არც შეძლება! არ გაგიკვირდეთ და... მე ფულს ვთხოულობ! ოქროს, რომელიც ჩემს ოჯახს უნდა გადაეცეს!

ზურაბი — შენ, ძმაო, ტაძრის კი არა, შენი ოჯახის აშენება მოგდომებია!

ხვიჩა — (ყურადღებას არ აქცევს მის გაკილვას) თომა ბატონო, ცხრა და-ძმა მყავს და ხეიბარი მამა, წელს ქვემოთ მთლიანად მოწყვეტილი! დედაჩემი ნაბოლარას მშობიარობას გადაჰყვა! ერთადერთი მარჩენალი მე ვყევარ ოჯახს, ამიტომ ნუ გამამტყუნებთ!

თომა — მესმის შენი, შვილო!

ხვიჩა — მე ჩემს სამშობლოს ვეწირები, მაგრამ არ მინდა ათსულიანი ოჯახი რომ უპატრონოდ დარჩეს!

გიორგი — ახლა თქვენ განგვსაჯეთ, ბატონო!

თომა — ვაი, რომ გული უნდა გატკინოთ შვილებო! მშვენიერი ყმაწვილები ხართ, ერისთვის თავდადებული, ვაჟკაცი, დახვეწილი სიტყვა-პასუხის...

ხვიჩა — გმადლობთ, ბატონო, მაგრამ გული რად უნდა გვატკინოთ?

ზურაბი — რა არ გაწყობთ მაგალითად, ჩემს პირობაში?

თომა — თვით პირობის არსებობაა, ზურაბ! მთავარი ის გახლავთ, რომ, მსხვერპლის გაღება უანგაროდ უნდა მოხდეს!

გიორგი — (განცვიფრებით) მერე და სად ხედავთ აქ ანგარებას?

თომა — (რბილად) თავისთავად სიტყვა ანგარება, მართლა არ გეკუთვნით...

გიორგი — აბა, უდანაშაულო მამის დახსნის ცდაში, ანგარებას დამაბრალებს კაცი? ან ხვიჩამ რა დააშავა, როცა ოჯახი შიმშილისგან უნდა იხსნას!

ზურაბი — მაშ, მარტო ჩემი პირობაა ანგარებიანი?

ხვიჩა — გიორგი, რატომ ეშმაკობ? მაშ მე ოჯახის გამო ვეწირები?

გიორგი — აბა?

ხვიჩა — მე სამშობლოსთვის ვწირავ თავს! შენთვის კი ვექილად დადგომა ნაღდად არ მითხოვია!

გიორგი — რაზე ჩხუბობ, შენ თვითონ თუ გესმის?

ზურაბი — თომა ბატონო, მე სახელს ბრძოლაშიც ვიშოვი! რაც გთხოვეთ, მომავალში ბალღები რომ წამოიზრდებიან, მათთვისაა საჭირო მაგალითად!

თომა — წამით არ იფიქროთ, რომ თქვენი მამულიშვილური განზრახვის სიწრფელეში შემაქვს ეჭვი! თავის გაწირვა ყველა შემთხვევაში გმირობაა, ყმაწვილებო, ამ მხრივ გული წყნარად გქონდეთ, მაგრამ...

ზურაბი — (რისხვით) ჩემმა თანასოფლელმა ბიჭმა ბაირაღი არ დახარა ბრძოლაში და ვითომ დიდი ამბავიაო. გმირად [illegible] წამებრივი სიკვდილით ვინც მოკვდა, წმინდანად შერაცხეს და სანთლებს უნთებენ. ჩემი მსხვერპლი კი რითაა ვინმეზე ნაკლები? განსხვავება მითხარით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲝᲛᲐ — განსხვავნება ის არის, რომ ისინი არაფერს თხოულობდნენ სანაცვლოდ! შენ კი გიორგი, მამაშენის დახსნას რომ ლამობ, ვერ ხვდები რა სატანჯველს შეუქმნი, როცა გაიგებს, რომ თავისუფლება შვილის სიკვდილის ფასად მოიპოვა!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — შვილის გმირულად დაღუპვის ფასად!

ᲗᲝᲛᲐ — ეგ სულერთია! შვილი მამას არ უნდა ეწირებოდეს! მტერს არ ვუსურვებ ამას!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — მე ხვიჩასი არ იყოს, მამაჩემს კი არა, ჩემს სამშობლოს ვეწირები!

ᲗᲝᲛᲐ — მესმის, თქვენი შვილებო, მესმის, მაგრამ ყველა წინაპირობა ანგარებად ჩაითვლება!

ᲖᲣᲠᲐᲑᲘ — რა ანგარებაა ეს?

ᲗᲝᲛᲐ — პატივმოყვარეობა ანგარებაა, ზურაბ!

ᲖᲣᲠᲐᲑᲘ — კარგი, რა ბატონო თომა, ხვიჩასავით ფული ხომ არ მითხოვია?

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — გირჩევ, აქვე მოუხადო ბოდიში ხვიჩას!

ᲮᲕᲘᲩᲐ — გიორგი, მე მგონი გაგაფრთხილე, რომ არამკითხე ვექილები არ მჭირდება!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — (წყენით) შენ რა უკულმა გესმის ყველაფერი, ძმაო?!

ᲖᲣᲠᲐᲑᲘ — ხვიჩა, შენს საწყენად არ მითქვამს!

ᲮᲕᲘᲩᲐ — არც გირჩევ ჩემს წყენინებას!

ᲖᲣᲠᲐᲑᲘ — არც დაგასლოკინოს! ამას უყურეთ, ხმაც რომ დაიბოხა?

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — მაშ, უარს გვეუბნებით!

ᲗᲝᲛᲐ — მერწმუნეთ, ყმაწვილებო, თქვენზე არანაკლებ მტკივა გული!

ᲮᲕᲘᲩᲐ — აღარც ჩაკირვა მინდა, აღარც ოქროები, სანამ ქიპამდე არ ჩამოგიყვან მაგ ულვაშს, ჩემო გმირთაგმირო!

ᲖᲣᲠᲐᲑᲘ — (ხანჯალზე გაივლებს ხელს) თუ გინდა აქვე დაგჩუტავ, შე გლეხუჭა.

ᲗᲝᲛᲐ — გრცხვენოდეთ, დაგავიწყდათ რა საქმეზე ჩემოხვედით?

ᲮᲕᲘᲩᲐ — გიორგი, შუაში არ ჩადგე, თორემ არ დაგინდობ, იცოდე!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — (მანამდე გაშველებას რომ ცდილობდა) მასე ხომ? მე არ დაგინდობთ არცერთს! ხომ გადამიარეთ გულზე ორივემ?! ახლა მიყურეთ!

ᲓᲔᲛᲜᲐ — ამ დუქანს რას ერჩით, ტყეს მიაქვს აჟაურობა და იქ უუაპუნეთ ერთმანეთს, თქვე კაი ხალხო!

ᲗᲝᲛᲐ — (წამოხტება და თითო სილას უთავაზებს სამთავეს) ეს არის თქვენი ერისკაცობა, თქვენ გეწვით გული სამშობლოსთვის? მტერი კარზეა მომდგარი, თქვენ კი ერთმანეთის სისხლი არ გენანებათ? აქედან დაიკარგეთ, თქვე ცინგლიანებო, თქვენა!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ — (ხანჯალს ჩააგებს) ეს დარბაისელი კაცი რა იოლად იქნევთ მუშტებს, ბატონო ჩემო? (გადის. მას თავჩაქინდრული ზურაბი და ხვიჩა გაჰყვებიან).

ᲓᲔᲛᲜᲐ — რაიმე სისულელე არ ქნან გზაში! (შეშფოთებული თომა უკან გაჰყვება მათ, მაგრამ მალე ბრუნდება.)

ᲗᲝᲛᲐ — არა, სამივემ სხვადასხვა მიმართულებით გაქუსლა! (მაგიდაზე ყრის ვერცხლის ფულს) კიდევაც დაიზრდებიან! გესმის დახლიდარო, არც ისეა საქმე შენ რომ გგონია. ეგ დალესილი ბიჭები ერისკაცული გზით ივლიან! (ცხვირს დააცემინებს) აგერ დავამოწმე კიდეც! (ცლის ღვინით სავსე თასს და გადის).

ᲓᲔᲛᲜᲐ — (აყირავებულ სკამებს ალაგებს) არ გექადრება მოხმარება?

ᲑᲘᲖᲝ — რა იყო, მთხოვე და უარი გითხარი? (ჩაიცინებს) ისე, რამდენი სულელი დადის ქვეყანაზე, ჰა, მამი?

ᲓᲔᲛᲜᲐ — (ჩაფიქრდება) ეგ სულელები ათი თავით გჯობიან, შე ძროხა, შენა.

ᲑᲘᲖᲝ — (ნაწყენი და გაკვირვებული) ვითომ რატომ?

ᲓᲔᲛᲜᲐ — (წელში გასწორდება) რატომ და... რატომ და...

ᲑᲘᲖᲝ — ჰო, ჰო, თქვი რატომ?

ᲓᲔᲛᲜᲐ — (ვეღარ უპასუხებს) იმიტომ.

ᲑᲘᲖᲝ — ასე გეთქვა, შე კაცო, ახლა ნამდვილად მივხვდი!

ᲓᲔᲛᲜᲐ — ნუ ღლიცინობ მანდ უშნოდ!

ᲑᲘᲖᲝ — შენ რა, გული ხომ არ გწყდება, კედელში ჩაკირავს რომ არ ვკისრულობ?

ᲓᲔᲛᲜᲐ — (გულგახეთქილი) არა, შვილო, ეს სიგიჟე რამ გაფიქრებინა?

ᲑᲘᲖᲝ — რა ვიცი, ათი თავითო და...

ᲓᲔᲛᲜᲐ — ვერ გამიგე, გიზოს ვენაცვალე!

ᲑᲘᲖᲝ — აბა რით მჯობიან?

ᲓᲔᲛᲜᲐ — (საბოლოოდ იბნევა) არა, მე... მე ის მინდოდა მეთქვა...

ᲑᲘᲖᲝ — ჰო, ჰო, ამოღერღე, მამი!

ᲓᲔᲛᲜᲐ — მე მინდოდა მეთქვა, ეგენი ალბათ ეხმარებიან მშობლებს დალაგებაში-მეთქი!

ᲑᲘᲖᲝ — აუ, რამხელა ტყვილი დააწუილე?!

ᲓᲔᲛᲜᲐ — რას მიბედავ, შე...

ᲑᲘᲖᲝ — (თვალს მოჭუტავს) ჰა, თუ გინდა დავეწევი თომას?!

ᲓᲔᲛᲜᲐ — კაი ახლა, შვილო, რაზე მიხეთქავ გულს? ჩამოვსხდეთ, თითო ჭიქა დავლიოთ, დილით დავკალი სწორედ უშობელი...

ᲑᲘᲖᲝ — აღარა მშია! (ამთქნარებს) მამი!

ᲓᲔᲛᲜᲐ — ჰო, მამა გენაცვალოს!

ᲑᲘᲖᲝ — ფული მომეცი! ქალაქში მივდივარ!

ᲓᲔᲛᲜᲐ — (რისხვით) ისევ იმ ბოზ დედაკაცთან?

ᲑᲘᲖᲝ — თუ გინდა დავრჩები!

ᲓᲔᲛᲜᲐ — (საწყლად) არა, შვილო, წადი! ეგ შეგრჩება, სხვა რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბიზო** — (ნაიამოვნები) ჯიგრიანი კაცი ხარ, მამი! ახლა, ფული მოიტა, ხო იცი რა ხარჯიანია ქალაქი?!

**დემნა** — (სული ამოაყოლებს) მაგაზე კარგად რა ვიცი, შენი გადამკიდე! რამდენი გინდა?

**ბიზო** — ხუთ თუმანს ვიმყოფინებ!

**დემნა** — (გამშრალი) ამდენი არასოდეს გითხოვია!

**ბიზო** — რა ვი, ეგ შეგრჩებათ და!

(დემნა უხმოდ აძლევს ფულს. გიზო მიდის, კარში შეჩერდება და ფულს გადაითვლის).

**ბიზო** — სამი მანეთი მაინც დამაკელი, ხომ? (თავს გააქნევს წყენის ნიშნად და გადის).

**დემნა** — (თვალს გააყოლებს და უეცრად გაეღიმება) რა მიკვირს, ჩემი შვილია და...

(გახალისებული დემნა დარჩენილ ღვინოს დაისხამს ჯამში და სულმოუთქმელად ცლის).

## სურათი მეცხრე

(ღამეა. ქალები გარს დახვევიან წამოჩოქილ თომას და გამეტებით ურტყამენ).

**თომა** — (თავს არ იცავს) გაგიჟდით, ქალებო!

**თამარი** — (ღონივრად უქნევს სახრეს) ხომ გაგაფრთხილე, ხომ გაგაფრთხილე!

**მარეხი** — კარგი, აკმარე თამარ, ხომ ხედავ, თავსაც არ იცავს.

**თამარი** — (შედგება. სხვა ქალებიც ჩერდებიან) მეტი აღარ გნახო აქ ახლოს გაკარებული. (ქალები მიდიან).

**თომა** — (უყურის მიმავალ ქალებს) ჰო, მე ქვა მიდევს საგულეში, ჯალათი ვარ მოწოდებით, მთელი ცხოვრება იმას ვოცნებობდი, ნეტავ ვინმე ჩამაკირინა ორ კედელს შუა-მეთქი. (კვნესით დგება) მგონი ნეკნი ჩამინგრიეს მაგ ჯოჯოხეთის მაშხალებმა. რას მერჩოდი, ბრძენო თედორე! ჩემთვის გებრძანებინა, ჩაეკირეო... ჩავდგებოდი იმ კედელში, ამომიგლისავდნენ ამ დასადუმებელ პირს და მოისვენებდა ყველა გარშემო.

**ლექსო** — (შემოდის, შეშფოთებით) რა დაგემართა ნათლი?

**თომა** — რა ვიცი... (ლექსოს შეხედავს და უეცრად გაეცინება) ქალებმა გამლახეს ბიჭო.

**ლექსო** — (თვითონაც ეცინება) რათ?

**თომა** — შენ აქ საიდან გაჩნდი?

**ლექსო** — ხმაურზე გამოვედი. წამო ჩვენთან დაიძინე დღეს!

**თომა** — არა, შვილო, წავალ ასე ნელ-ნელა.

**ლექსო** — გაგაცილებ.

**თომა** — ჰო. წისქვილამდე, თუ არ გეზარება.

**ლექსო** — ნათლი, სულ მინდოდა შენთვის მეკითხა.

**თომა** — ბრძანე.

**ლექსო** — მამაჩემი როგორ დაიღუპა?

**თომა** — განა შენ არ იცი?

**ლექსო** — როგორ არა ვიცი, მაგრამ თავიდან მინდა მოვისმინო ცოცხალი მოწმისგან.

**თომა** — რა გითხრა, შვილო, შუაგულ ომში მეფეს ცხენი მოუკლეს და გიორგიმ თავისი დაუთმო. ეს კი თვითმკვლელობას უდრიდა. ძლივსღა ვიცანით მერე ცხენებისგან გათელილი. მაპატიე, რომ ასე წვრილად გიყვები!

**ლექსო** — მე ვგევარ მამაჩემს?

**თომა** — გარეგნულად უფრო ნინოსკენ ხარ გადახრილი.

**ლექსო** — ხასიათით?

**თომა** — (ჩაფიქრდება) ხასიათით? გიორგი უფრო მკაცრი იყო. შენ უფრო რბილი ხარ, ალერსიანი.

**ლექსო** — (წყენით) რახან ქალის გაზრდილი ვარ?

**თომა** — (გაკვირვებით შეხედავს) ასე ცუდად გესმის ჩემი?

**ლექსო** — მაპატიე, ნათლი!

**თომა** — მე შენს ვაჟკაცობას არ შევხებივარ!

**ლექსო** — მივხვდი-მეთქი!

**თომა** — მეტს ნუღარ გამაცილებ, დაბრუნდი! (ფერდზე იკიდებს ხელს).

**ლექსო** — გინდა, ნათიას ბაბუდასთან მიგიყვან, კარგ მალამოს აკეთებს, უცებ მოგირჩენს იარებს!

**თომა** — მაგ ბაბუდამ მიყაყუნა ყველაზე მეტად! საკმაოდ ჯანიანი ქალბატონია, იღბალი, რომ თავის დროზე ცოლად არ შევირთე!

**ლექსო** — კარგი ერთი, თამარი შენი საცოლე იყო?

**თომა** — აბა. დიდი სიყვარულობია გვქონდა!

**ლექსო** — მერე, რად არ მოიყვანე?

**თომა** — რა ვიცი, შვილო, ჯერ ქალაქში წაველი, თედო კალატოზთან შევგირდად, მისი სული აცხონოს ღმერთმა, შემდეგ ერთ დედაკაცს გადავეკიდე... მოკლედ აღარ შედგა ეს ამბავი!

**ლექსო** — ალბათ მაგიტომ გირტყა განსაკუთრებული ხალისით?!

**თომა** — (ნეკნებს ისინჯავს) ჰო, დამზოგათ, ვერ ვიტყვი!

**ლექსო** — (ღიმილით) მაშ, სახიფათო ყოფილა ასეთ დასტაქართან მისვლა!

**თომა** — ნუ იტყვი! კარგი, დაბრუნდი ახლა!

**ლექსო** — იქნებ გადაიფიქრო და დარჩე, ნათლი!

**თომა** — არა, შვილო, არ ვარ ჩვეული სხვაგან ძილს! ჰოტივით უნდა გავატარო ღამე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსო — ნება შენია! მაშ, აქვე გეტყვი ჩემს სათქმელს!

თომა — (უკვე წასასვლელად შეტრიალებული) რა სათქმელს?

ლექსო — ნათლი, ბევრი ვიფიქრე...

თომა — თუ გრძლად აპირებ, ხვალისთვის გადავდოთ, უქეიფოდა ვარ რაღაც!

ლექსო — ორი სიტყვით აგიხსნი ყველაფერს! ეს დღეები ბევრი ვიფიქრე...

თომა — რაზე?

ლექსო — ბევრი ვიფიქრე, მზად ვარ თუ არა-მეთქი!

თომა — (შიშნარევად) რისთვის?

ლექსო — თუ მათქმევინებ, გეტყვი!

თომა — (დაძაბული) ბრძანე, ბატონო!

ლექსო — მოკლედ... ალბათ არ შევარცხვენ მამაჩემის ხსოვნას და არც შენს ნათელმირონს... არ შემაწყვეტინო! მე ჩავეტანები იმ კედელში!

თომა — (გაოგნებული) რაო?

ლექსო — ჩავეკირები-მეთქი!

თომა — (ცოტახანს უაზროდ მისჩერებია ბიჭს, მერე სახეზე მოისვამს ხელს) არა, არა, არა, არა, ოღონდ შენ არა!

ლექსო — რატომ?

თომა — მეკითხები?

ლექსო — ჰო, გეკითხები!

თომა — ლექსო, შვილი რომ მყავდეს, შვილი, ალბათ უფრო იოლად გავიმეტებდი!

ლექსო — ეგ რა პასუხია?

თომას — (სახეს სახესთან მიუტანს) ნათლული ხარ, ბიჭო, ჩემი!

ლექსო — ეგ რამ გათქმევინა, ნათლი? სხვის ნათლულებს რომ აგულიანებ და იმეტებ?

თომა — (სიტყვებს ეძებს) იცი, რას გეტყვი?

ლექსო — რას?

თომა — რასა და დედაშენს უბედურებად მამაშენის გმირობაც ეყოფის!

ლექსო — (ჩაიცინებს) მაშ, საკმარისია ერთი გმირი ოჯახში, არა?

თომა — ლექსო, შვილო, მოდი დავივიწყოთ ეს საუბარი! ვითომ არც ყოფილა! (შეტრიალდება წასასვლელად.)

ლექსო — (საკმაოდ უხეშად შეაჩერებს ხელით, თომა დაიკვირვებს) უკაცრავად, გატკინე, მაგრამ როგორ თუ დავივიწყოთ? მე აქ თამაშს კი არ გეთამაშები! შენ დამგევალა ეგ ამბავი და მიტომ გითხარი! აბა, ბოლომდე მათქმევინე! თანაც კი არ გითანხმებ, გატყობინებ მხოლოდ! დედაჩემს კი ნუ მაცოდებ. მაგაზე ფიქრი ახლა არ მინდა! მოკლედ, შენ რომ ბიჭს ეძებდი, ნათლი, ჩათვალე, რომ ნაპოვნი გყავს და ამაზე მეტს მართლა ნუღარ ვილაპარაკებთ!

(გრძელი პაუზა. თომა გამწარებით აცეცებს თვალებს აქეთ-იქით. ლექსო მშვიდად შეჰყურებს მის ასეთ ყოფას.)

თომა — (მოულოდნელად, დამყოლად) კარგი, ლექსო, რახან გადაწყვიტე, მასე იყოს! (პაუზის შემდეგ) პირობა როგორი გექნება?

ლექსო — (გაკვირვებით) რა პირობა?

თომა — შენი პირობა, რას თხოულობ სანაცვლოდ?

ლექსო — რას უნდა ვთხოულობდე?

თომა — (მუდარით) რაღაცა მოითხოვე, ბიჭო!

ლექსო — (გაეღიმება) ეშმაკობაც გისწავლია, ნათლი! პირობა გინდა დამტყუო. შენივე ქადაგებიდან ვიცი, რომ ეს უანგაროდ უნდა გაკეთდეს! ასე არაა?

(თომა სახეზე აიფარებს ხელებს). გახარებული უნდა იყო ნათლი, შენ კი ცხვირ-პირი ჩამოგტირის!

(ბეჭზე აკოცებს თომას და მიდის. სახეზე ხელაფარებული მოხუცი არეული ნაბიჯით გადის სცენიდან).

## სურათი მეათე

(მკრთალად განათებული საფლავი. ლექსოს იქვე ფეხი მოურთხია და სამარის თავთან დასობილ თეთრად მოლაპლაპე ჯვარს ხელით ეფერება.)

ლექსო — პირველად მოვედი ღამით შენთან, მამაჩემო, გამიარა სიბნელის შიშმა. მაინც რა შავი, მრუმე ღამეა. უმთვარო და უვარსკვლავო! არა, ერთი ვარსკვლავი მაინც კიაფობს მკრთალად, ნეტა ჩემი თუა? არ ვიცი, რისთვის მოვედი შენთან. დამშვიდობებაა ეს, თუ მალე შეხვედრის იმედი. თუ შევხვდით, შენ დამიძახე, მამა! მე ხომ ვერ გიცნობ. აი ასე ცხოვრობ შენი ცხოვრებით კაცი და ელი როდის შემოგცინებს შენი ვარსკვლავი. მაინც შემომცინა და მითხრა: აი, შენი უხედნი კვიცი! აი, შენი დასაპყრობი მწვერვალი! აი, შენი ვარსკვლავის საათი! ადექი და რამე ქენი! ამისთვის დაგნათოდი თვრამეტი წელიწადი! ისიც მითხრა, აი, შენი შავოსანი თმაგაშლილი დედა, აი, შენი ლამაზი შეყვარებული! აი, შენი, შენზე შეწყვეტილი გვარი! ეგ არის შენი არჩევანიო! მაგრამ ისიც დაამატა, თუ ვარსკვლავს წაყვები, კაცად წაყვებიო! თუ არა და კონდრის კაცად იარეო! რა ვქნა, მამა, სხვა რომ ჩაეტანოს ჩემს მაგივრად, სიცოცხლეს ხომ აზრი დაეკარგება! ნეტა რას გრძნობდი მაშინ, მეფეს საკუთარი ცხენი რომ დაუთმე და თავი სასიკვდილოდ გადადევი?! ჩემსავით თუ გეშინოდა ნეტა ჩემო ვაჟკაცო მამა?

(შორიდან ნინოს განწირული ხმა მოისმის, ლექსო! ლექსო! ბიჭი აკლდამის ქვას ამოეფარება. შემოდის ნინო, თმაგაშლილი და სახეჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხოკილი. ქმრის საფლავთან ჩაიმუხლებს, ლონე ეცლება).

ნინო — (ულოხოდ თავჩაკიდებული) ჩვენი შვილი არ მოსულა აქ გიორგი? აქ მოვიდოდა შენთან. ვიცი! მე კი გამირბის. რცხვენია ჩემი! (საფლავის ჯვარს ჩამოეყრდნობა და შუბლს მიადებს) უფალო, რა შევცოდე, რა მძიმე ბრალი მიმიძღვის ან მე, ან ჩემს წინაპარს, ასე რომ გამაუბედურე! რად მაჩუქე გმირი ქმარი, რად მაჩუქე გმირი შვილი, რად? სულ შიშში და კანკალში ვიყავი, რომ რაღაც ამდაგვარს გადაწყვეტდა ჩემი ბიჭი, ჩემი მზექაბუკი!.. შეგირცხვა ნათელ-მირონი თომა, ასე ადრე ვის დასჭირდა ცაში, ლექსოს უმანკო სული!

რა შევცოდე. ღმერთო ასე რომ მტანჯავ? ან რა დამსახურება მაქვს შენს წინაშე, გმირის ცოლობითა და გმირის დედობით რომ დამაჯილდოვე! რად მარგუნე ამხელა პატივი, რად!

გიორგი, გიორგი! ნუთუ შენი სული არ ფორიაქობს ახლა! ყველაზე ბედნიერი დედა ხარო, დღეს ვიღაცამ მითხრა, ყველაზე ბედნიერი ვყოფილვარ თურმე. ზარ-ზეიმით რომ მივაცილებ ერთადერთ შვილს ცოცხლად დასამარხავად!

რატომ? რატომ? რა თილისმა აქვს, რა ჯადო. ამ სამშობლოს? რა არის ეს სამშობლო, გაუთავებლად მსხვერპლს რომ მოითხოვს? რა თილისმა აქვს ასეთი, მის სიყვარულს, რა?!

მაპატიეთ ეს სიტყვები, გიორგი და ლექსო! მაპატიეთ ეს მკრეხელობა მე უბედურს, ვიცი, რომ უნდა გავმაგრდე, ცრემლი შევიშრო, თქვენ როგორც გეკადრებათ ჩემო ვაჟკაცებო! ქანდაკებად უნდა ვიქცე და ვიმეორო, ერთი შვილი მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია! ერთი შვილი... არ მომასწრო ბედისწერამ შენს გაზრდას, შვილო! და მაინც... ერთი შვილი მაინც გავზარდე ვეფხვებთან მეომარია! (გმინვა ამოხდება და საფლავზე დაემხობა, ლექსო ფრთხილად მიიპარება სასაფლაოდან).

## სურათი მეთერთმეტე

(თივის ზვინზე ლექსო მიწოლილა, მკლავები თავქვეშ ამოუდევს. შემოდის ნათია. ცოტა ხანს მდუმარედ დაჰყურებს თივაზე წამოწოლილ ბიჭს).

ნათია — (ჩუმისავით) ლექსო!

ლექსო — (თივაზე წამოჯდება) ნათი? აქ როგორ მიპოვე?

ნათია — ვიცოდი რომ მოხვიდოდი, ჩვენს ადგილზე! (გვერდზე მიუწვება) მკლავზე დამადებინე თავი. (ცოტახანს ჩუმად წვანან) იცი, აივანზე მეძინა. ბაბუდას ტირილმა რომ გამაღვიძა, მეც უცებ მივხვდი, რაც მოხდა... ცას ავხედე და დავინახე მკრთალი უსიცოცხლო მზე. სხივებშემოფცქვნილი უფორთლო გვირილასავით და ის მზე უფრო მთვარეს ჰგავდა. მკვდარი ფერი ედო. იცი, მზეს რომ ავხედავ ხოლმე, ყოველთვის ცხვირს მაცემინებს... რას ვლაპარაკობ მე თვითონ არ ვიცი! თუ გინდა მაკოცე!

(კოცნიან ერთმანეთს).

ლექსო — ზღვის გემო აქვს შენს ტუჩებს!

ნათია — ვტირი და იმიტომ!

ლექსო — ჰოდა, ნუ ტირი!

ნათია — შენ რომ მიდიხარ?

ლექსო — იცი, მე მჯერა, რომ მაინც ვიქნები შენს გვერდზე, ხანდახან მიგრძნობ კიდეც!..

ნათია — ეგ ცოტაა. მე მინდა გხედავდე, ხელით გეხებოდე (პაუზის შემდეგ) მაშ, შენ ფიქრობ, რომ მერეც..

ლექსო — არ შეიძლება, ამხელა სიყვარული მოკლული ბაჭიასავით წკაპ, და გაქრეს ის სადღაც დარჩება, დაგუბდება. მე ხშირად მიგრძვნია მამაჩემის სუნთქვა სახეზე.

ნათია — შენ იცი, რისთვის მოვედი?

ლექსო — რომ გამომეთხოვო, არა?

ნათია (თივაზე წამოჯდება) მე მინდა შენი ცოლი გავხდე! (ტუჩებზე დააფარებს ხელს) ჩუ! რამე სისულელე არ თქვა!

ლექსო (დაბნეული) როგორ?

ნათია — ბუნების წესით, როგორც ხდება!

ლექსო — ნათი, გარიყრაჟზე მე აღარ ვიქნები!

ნათია — (ჩაეხუტება) ჰო, ლექსო, მოკლე თაფლობის თვე მოგვიზომა განგებამ!

ლექსო — ხვალ...

ნათია — ნუ იფიქრებ ახლა ამაზე! ერთი გასაოცარი ამბავი უნდა გითხრა.

ლექსო — რა ამბავი?

ნათია — იცი, ვინ გამომიშვა შენთან?

ლექსო — ვინ?

ნათია — ვინ და ბაბუდამ! ყველას რომ დაეძინა, კაბა ჩავიცვი და სარკმლიდან ბაღში გადავძვერი. ამ დროს ხელი მსტაცა ვიღაცამ, ბაბუდა იყო! სად მიდიხარ ამ კუნაპეტ ღამეშიო. უკანასკნელი გამბედაობა მოვიკრიბე, სად მივდივარ და ლექსოსთან, მისი ცოლი უნდა გავხდე-მეთქი! მიყურა, მიყურა ცოტა ხანს და მითხრა: მართალი ხარ, წადიო!

ლექსო — აღარ მომიყვე!

ნათია — რატომ?

ლექსო — თან ბედნიერი ვარ, თან... (ხანმოკლე დუმილის შემდეგ) ლონივრად უნდა ვიყო ხვალ!

ნათია — არ მესმის!

ლექსო — რადა, საკუთარი თავის შეცოდება თუ დავიწყე, ყველა შემატყობს ამას!

ნათია — დაივიწყე ყველაფერი! გახსოვდეს მარტო ის, რომ დღეს ჩვენი საქორწილო ღამეა! (ერთმანეთს ეხვევიან) ერთი წუთით გამიშვი ხელი! (უბიდან ორ სანთელს იღებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლექსო** — (ღიმილით) აქ რომ არ გეპოვნე, რას იზამდი?

**ნათია** — სახლში მოგადგებოდი! (ერთ სანთელს უწვდის) დაანთე! ახლა კი დავიჩოქოთ! (ორივე იჩოქებს, ანთებული სანთლებით ხელში) უფალო, იესო ქრისტე! ძეო ღვთისაო! გვიხილე ცოლად და ქმრად მე და ლექსო! შეგვხედე შენი ლმობიერი მზერით ჩვენ, არა როგორც მრუშებს, არამედ შეყვარებულებს, ვფიცავარ შენს სხივოსან სახეს, რომ არასოდეს, არასოდეს შემეხება საალერსოდ სხვა კაცის ხელი (ლექსოს) ახლა შენ თქვი!

**ლექსო** — (ჩურჩულით) რა ვთქვა?

**ნათია** — (ისიც ჩურჩულზე გადადის) რამე!

**ლექსო** — უფალო იესო ქრისტე! ძეო ღვთისაო! შეგვიწყალენ ჩვენ შეყვარებულნი!

**ნათია** — (აქრობს ორივე სანთელს) ამ სანთლებს შევინახავ! (ჩაფიქრებით) თუ ღვთის ნებით, შვილი არ დამრჩა შენგან, მონაზვნად აღვეკვეცები! (ლექსო თმაზე გადაუსვამს ხელს).

**ლექსო** — ნათი!

**ნათია** — (ტუჩებზე დაადებს კვლავ ხელს) იყუჩე! შენ დაიმსახურე ეს! ახლა კი მომეხვიე!

**ლექსო** — რატომ კანკალებ?

**ნათია** — არაფერია (უეცრად ხელს მაღლა წევს და ცრემლმომსკდარი ყვირის) პირველი მამალი, პირველი... გარიჟრაჟი გვიახლოვდება, ლექსო! ის ჩვენ დაგვაშორებს! ის ჩვენ დაგვაშორებს! (ერთმანეთს ჩაეხვევიან. სიბნელე).

## სურათი მეთორმეტე

(ტაძრის ამოსაშენებელი კედლის წინ ხალხი შეკრებილა. ყველასგან ზურგშექცევით, ქანდაკებასავით გაქვავებული დგას ნინო. მის გვერდზე მასავით შავებში შემოსილი ნათია დგას მუხლებზე და ორივე ხელით ნინოს ფეხს შემოხვევია.

ავისმომასწავებლად რეკს ზარი. ორ კალატოზს შემოყავს ლექსო. მას შავ შარვალში ჩატანებული თეთრი, ქათქათა პერანგი აცვია. სახე მშვიდი აქვს, ფიქრიანი. ხალხში გმინვა გაისმის).

**ნინო** — (შეკრთება) მოიყვანეს?

**ნათია** — ჰო, დედავ ბატონო!

**ბაბუდა** — (ჩუმი მოთქმით) ვაი, შვილო, რა ლამაზი ხარ!

(შაოსანი ბერი ლექსოსთან მიდის, თმაზე ხელს გადაუსვამს და ხატს უწვდის საკოცნელად. ლექსო დაიჩოქებს, ხატს აკოცებს, პირჯვარს გადისახავს და კვლავ ფეხზე დგება).

**ნინო** — რას აკეთებს ჩემი ბიჭი?

**ნათია** — ილოცა და ხატს ეამბორა, დედავ ბატონო!

**თომა** — (მიდის ლექსოსთან, ცალ მუხლზე დაიჩოქებს და ხელზე კოცნის) მაპატიე!

**ლექსო** — (არ დაანებებს მუხლზე დგომას, წამოაყენებს) არ გინდა ნათლი, სჯობს პატარა სამლოცველოში შეხვიდე და ჩემთვის ილოცო!

**თომა** — (ყრუდ) როგორც მიბრძანებ, შვილო! (გადის).

**ლექსო** — (კალატოზებს მიუტრიალდება) რაღას ველით?

**კალატოზები** — (არეულად) როცა შენ იტყვი... შენ გელოდებით!

**ლექსო** — ნუღარ გავწელავთ, ცოდოა ხალხი! (საკრებულოს მოუტრიალდება) მშვიდობით, ხალხო! (ოდნავ მოიდრეკს ქედს, შემდეგ ღრმად ამოისუნთქავს და სწრაფი ნაბიჯით მივა კედელთან, წამით თვალს შეავლებს მას, შემდეგ კედლის ნიშაში ჩადგება) მე მზად ვარ!

**ნინო** — (საღლაც შორს იცქირება) რას შვება, ჩემი ვაჟი?

**ნათია** — კედელში ჩადგა, დედავ ბატონო!

**პირველი კალატოზი** — (თოკი უჭირავს ხელში) ლექსო, უკაცრავად, მარა... ხელ-ფეხი უნდა შეგიკრათ!

**ლექსო** — რატომ?

**მეორე კალატოზი** — ვერ მოითმენ, აფართხალდები და გადმოანგრევ კედელს...

**პირველი კალატოზი** — დუღაბი ვერ მოასწრებს გაცივებას!

**ლექსო** — მაგას ნუ შიშობთ! არც გავტოკდები!

(კალატოზები მუშაობას იწყებენ. კაცები ქუდს იხდიან, შემდეგ ყველა იჩოქებს).

**ნინო** — რაო, დაიწყეს კალატოზებმა?

**ნათია** — დაიწყეს, დედავ ბატონო!

**პირველი კალატოზი** — (უეცრად ქაფჩას ხელიდან გააგდებს) ხალხო, რას მერჩით, რას მაკეთებინებთ?

(არავინ არ პასუხობს).

**ლექსო** — (რბილად) განაგრძე, კალატოზო!

(ის უხმოდ უბრუნდება სამუშაო ადგილს).

**ნინო** — შვილო, სადამდის მოგწვდა?

**ლექსო** — დედა, წადი, გთხოვ!

**ნინო** — მიპასუხე, შვილო!

**ლექსო** — დედი, წადი, ნათია წაიყვანე და წადი!

(კალატოზები სწრაფად აგებენ კედელს).

**ნინო** — შვილო, ლექსო, სადამდის?

**ლექსო** — (ყვირის) ნუ მაწვალებ, წადი! გაიყვანეთ ქალები აქედან!

(დავითი, მარეხი, მიხა და ბაბუდა დასწვდებიან ნინოს და ნათიას).

**ნინო** — (ხელს მაღლა აღმართავს) ხელი არ დამაკაროთ, მე... მისი დედა ვარ!

**ლექსო** — კალატოზო, დააჩქარე!

**პირველი კალატოზი** — (ატირებული, სახელოთი ცრემლს იწმენდს) მეტი რაღა დავაჩქარო?

**ნინო** — შვილო, ლექსო, სადამდის?

**ლექსო** — (მოულოდნელად მორჩილად) მკერდამდე, დედა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინო** — (თავისთვის) მკერდამდე!

**თამარი** — წამოდი, გთხოვ! ნუღარ შეხედავ ამას...

**ნინო** — შვილო, შვილო სადამდის?

(პასუხი აღარ ისმის. ლექსოს სახე უკვე დაფარეს ქვით კალატოზებმა).

**ნინო** — ლექსო, რატომ არ მპასუხობ, ლექსო!

(მოტრიალდება, ამოყვანილ კედელს შეხედავს, შეყვირებს და უგონოდ ეცემა ძირს. დაჩოქილი ხალხი ბერთან ერთად გალობას იწყებს).

**თომა** — (შემოვარდება) შეწყვიტეთ, ახლავე შეწყვიტეთ! გამოანგრიეთ კედელი!

(ეცემა კალატოზებს, მას გამოფხიზლებული ხალხი აყვება).

**შეძახილები** — გაგიჟდა?.. გააკავეთ!.. რა შევწყვიტოთ, რა?..

**თომა** — (ხალხისავით შემორკინულ მკლავებში ფართხალებს) ხილვა მქონდა, ახალი ხილვა!

**შეძახილები** — ტყუის?.. გაგიჟდა, ვეღარ გაუძლო! არ მიუშვათ კედლამდე!

**ნათია** — (ფეხზე წამოიჭრება) თქვი, თომა ბიძია, თქვი!

**თომა** — (ყვირის) მსხვერპლი უკვე გაღებულია! ბრძენი თედორე გამომეცხადა ლოცვაში!

**შეძახილები** — კალატოზებო, განაგრძეთ არ უსმინოთ!

**მიხა**

**დემნა**

**მარეხი** — (არეულად) შეწყვიტეთ... ათქმევინეთ... ათქმევინეთ!

**თამარი**

**დავით**

**ნათია** — (მიეჭრება თომას, ცდილობს მის განთავისუფლებას) თქვი, ყველაფერი თქვი, დროზე!

**თომა** — ბრძენმა თედორემ ბრძანა, ხალხო თუ ერს ასეთი თავგანწირული, ასეთი უანგარო შვილი ყავს, მას ვერაფერი მოერევაო! მსხვერპლი უკვე გაღებულია, ეს გამოცდა იყო, ხალხო, გამოცდა!

**დავითი** — თომა, ამხელა რაღაც, რომ გადაგვალახინე თავში, ახლა მართლა უნდა დაგვარწმუნო, თორემ გვიჭირს შენი დაჯერება!

**ხალხიდან შეძახილები** — ხატზე დაიფიცოს, ხატზე!

**დავითი** — ყველა ღრმად მორწმუნე კაცად გიცნობს, თომა, დაიფიცე და დაგიჯერებთ!

**თომა** — (ცოტახანს დაბნეული დგას, ყოყმანობს, შემდეგ სწრაფი ნაბიჯით მიდის ხატთან, იჩოქებს და ხატს ეამბორება) ვფიცავ, რომ ჭეშმარიტია ეს აზრი — ნათლით მოსული... ერს, რომელსაც ასეთი გულმხურვალე და თავგადადებული შვილები ჰყავს, მარადიული დღეგრძელობა უწერია! რომ აშენდება დიდი ტაძარი, რომ უკან დაიხევს მტერი, რომ გაბრწყინდება ჩვენი ტანჯული სამშობლო!

**ნათია** — (ფოცხვერივით გაიკაფავს გზას გაოგნებულ ხალხში და ჯერ კიდევ ნედლ კედელს გადმოანგრევს. გულწასული ლექსო მის მკლავებს მიესვენება). ერთი ვინმე მომეკაროს!

**ლექსო** — (თვალს ახელს) არა, ნათი, არა!

**ხალხში შეძახილები** — ისევ დაინგრევა ტაძარი! არ აშენდება, არ აშენდება!

**თომა** — აშენდება!

**თამარი** — (ჩუმად) როგორ დაიფიცე ტყუილზე? ხილვა ხომ არა გქონია?

**თომა** — (ღიმილით) ხილვა არ მქონდა, გონების განათება კი მქონდა, ასე რომ ტყუილი არ მითქვამს, თამარ!

**შეძახილები** — აშენდება კი? აშენდება?

**ნათია** — (ნინოს დაუსვენებს შვილს მკლავებზე) აშენდება კი არა, ავაშენებთ!

**დავითი** — ავაშენებთ?

**ყველა ერთმანეთს** — ავაშენებთ?

**ნინო** — შვილო, შვილო!

**ხალხი** — ავაშენებთ?

(მაყურებლის პასუხი უცნობია ჩვენთვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ლეილა ერაძე

# „ერთობა ჩვენთვის ტახტია...“

აკაკი წერეთელი უაღრესად პოპულარული მწერალი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ხალხთა შორისაც, კერძოდ, აზერბაიჯანშიც. ამ პოპულარობას მის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად მწერლის დიდებული პიროვნებაც უწყობდა ხელს.

აკაკის, როგორც დიდ ეროვნულ მოღვაწეს, კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა გათიშულობა და დაქსაქსულობა საერთო მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს და მოძალებული მომხდური ამ ერებზე ადვილად გაბატონდებოდა. ამიტომ მოუწოდებდა მათ ერთობისაკენ, რათა ერთად, ერთსულოვნად და ვაჟკაცურად დახვედროდნენ გარეშე მტერს:

შეყრდით, ძმებო, შერიგდით,
ხელი მიეცით ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად, ვაჟკაცურადა.

აკაკი წერეთელი, როგორც მისი შემოქმედების მკვლევარი ლევან ასათიანი გადმოგვცემს, სტუდენტობის წლებშივე — მოსკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე სწავლისას დაინტერესებულა აზერბაიჯანელი ხალხის ყოფით, კულტურით და გულმოდგინედ შესდგომია მათი ენის შესწავლას. შემდგომში ბაქოსაც არაერთხელ სწვევია და ამ ქალაქისათვის ლექსიც კი მიუძღვნია.

აკაკის ლექსში „ბაქო“ პოეტის დიდი სიმპათიებია გამჟღავნებული ბაქოელი მუშების მიმართ, — წერს აზერბაიჯანელი ქართველოლოგი დილარა ალიევა. ძველი ბაქოს ვიწრო ქუჩები, გადანაცრისფერებული სახლები, დაჩაგრული მენავთობე მუშები... ქალაქი, სადაც ჰაერიც და საკვებიც კი ნავთის სუნით არის გაჟღენთილი, აი, ასეთი იყო XIX საუკუნის მიწურულის ბაქო. ბუნებამ ეს მხარე დიდი სიმდიდრით დააჯილდოვა, მაგრამ, ვის ხელშია ეს დოვლათი? — კითხულობს პოეტი და პასუხიც მზადა აქვს: — ერთი მუჭა ბობოლები დაპატრონებიან ამ დოვლათს, ხოლო ქალაქის ქუჩებში ათასობით მშიერ-მწყურვალი დაეხეტება:

მაგრამ, მასაც სათავეში
ვინ უდგას და ვის ხელშია?
ვიღაც ერთი-ორიოდე
მაშინ, როცა ათასს შია.

აკაკი წერეთელმა თავისი გულითადი დამოკიდებულება აზერბაიჯანელი ხალხისა და მათი ლიტერატურის მიმართ იმითაც გამოხატა, რომ მან ქართველ მწერალთა შორის პირველმა თარგმნა XIX საუკუნის აზერბაიჯანელი მწერლისა და განმანათლებლის მირზა ფათალი ახუნდოვის პიესა „ლენქორანის სახანოს ვეზირი“. როგორც ცნობილია, ახუნდოვმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თბილისში გაატარა. აქ შექმნა მან თავისი შესანიშნავი ნაწარმოებები და მისი პირველი წიგნიც თბილისში დაისტამბა, 1853 წელს, რუსულ ენაზე.

სწორედ ამ რუსული გამოცემით უსარგებლია აკაკი წერეთელს და თავისი ჟურნალის, „კრებულის“ 1898 წლის მესამე ნომერში დაუბეჭდავს მ. ფ. ახუნდოვის პიესის თარგმანი, რომლისთვისაც „ხანის ვეზირი“ უწოდებია. თარგმანთან ერთად ავტორის ვინაობაც გაუცვნია ქართველი მკითხველისათვის:

„ეს დრამა დაწერილია მირზა ფათალი ახუნდოვის მიერ. ახუნდოვი იყო ვორონცოვის დროის მწერალი. ერთ დროს გამოვიდა სამწერლო სარბიელზე ჩვენს გიორგი ერისთავთან ერთად და დიდი ნიჭიც გამოიჩინა. მის ნაწერებში ისე ნათლად მოჩანს თათრების ცხოვრება, როგორც სარკეში“.

ეს პიესა ქართულმა დრამატულმა დასმა სცენაზე განახორციელა 1898 წლის 31 იანვარს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პიესა საბენეფისო გახლდათ. მოგეხსენებათ, ბენეფისების გამართვა ჩვენში იმ დროს ახალი შემოსული იყო. ბენეფისს ძირითადად მართავდნენ მსახი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობის ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რადგან წარმოდგენის მთელი შემოსავალი იმ ერთ მსახიობს ეძლეოდა და როგორც ტასო აბაშიძე ამბობს, — „ბენეფისი მაშინ ყველა მსახიობისათვის შემოსავლის წყაროს შეადგენდა“.

მსახიობი თავად ირჩევდა პიესას და, რა თქმა უნდა, ცდილობდა შეერჩია ისეთი პიესა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრებოდა. საზოგადოებაც მხარს უბამდა ამგვარ სანახაობას და დიდი ხალისით მიდიოდა თეატრში. „ქართველი ინტელიგენტი ან შეგნებული მშრომელი თავის მოვალეობად სთვლიდა, რომ საბენეფისო წარმოდგენას უსათუოდ დასწრებოდა, რომელიმე ქართველი მთელ სეზონს თეატრში რომ არ წასულიყო, საბენეფისო წარმოდგენას უეჭველად დაესწრებოდა“.

ბენეფისი მარტო მსახიობის წასახალისებლად როდი იყო მოგონილი, ეს სიკეთე თეატრში მომსახურე სხვა პერსონალსაც შეეძლო გაეზიარებინა. აკაკის თარგმნილი პიესაც სწორედ თეატრის მოლარის საბენეფისო წარმოდგენა გახლდათ.

ამის თაობაზე, აი, რას წერს იოსებ გრიშაშვილი:

„ქართულ თეატრში ხშირი იყო ბენეფისები. ასეთი ბენეფისი ერგო თეატრის მოლარეს სვიმონ ყაულაბეგიშვილსაც. ყველა მობენეფისე ცდილობდა ისეთი პიესა ამოერჩია, რომელიც დიდ შემოსავალს მისცემდა. თეატრში ხმა დაირხა, აკაკის ახალი პიესა დაუწერიაო. მაშინ აკაკი თბილისში არ ყოფილა და მის დაუკითხავად მოლარეს თავის საბენეფისოდ სწორედ „ხანის ვეზირი“ აურჩევია. აფიშები და თბილისის ოთხივე გაზეთი („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“) აუწყებდა საზოგადოებას, რომ ქართულ თეატრში ყაულაბეგიშვილის საბენეფისოდ აკაკის ახალი პიესა იდგმებაო. მირზა ფათალი ახუნდოვზე კი ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი, რადგან იცოდნენ, თეატრში აკაკის პიესაზე მეტი ხალხი მოვიდოდა.

პოეტმა წარმოდგენის დროს გაიგო თავისი ავტორობის ამბავი. ძალიან აღელვებულა. გაზეთში შეცდომის გასწორება აღარ მოესწრებოდა, თეატრის ხელმძღვანელობისათვის კი პირადად განუცხადებია თავისი გულისწყრომა“.

ყოველივე ამის გამო აკაკი წერეთელმა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მოათავსა წერილი, სადაც მაღალ შეფასებას აძლევდა მ. ფ. ახუნდოვის შემოქმედებას, ეთანხმებოდა კრიტიკოს აპოლონ გრიგორიევს, რომელიც ახუნდოვს „აზერბაიჯანელ მოლიერს“ უწოდებდა და დასძენდა, რომ რადგანაც ჩვენ, ქართველები, არ ვიცნობდით ამ მწერალსა და ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელების ცხოვრება ჩვენს მიერ შესწავლილი არ იყო, ამიტომ ერთი მისი პიესა „ხანის ვეზირი“ და თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოვთარგმნეო.

აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სათარგმნ მასალას, მის შერჩევასა და აუცილებლობას ქართულად გადმოღებისათვის და, აგრეთვე, თარგმანის ხარისხს.

აკაკიმ ისე თარგმნა „ხანის ვეზირი“, რომ ნათარგმნი კი არა, ქართულად დაწერილი ეგონა ხალხს.

აზერბაიჯანელ ქართველოლოგს დილარა ალიევას აკაკი წერეთლის თარგმანი შეუდარებია რუსული ტექსტისათვის, რომელსაც იგი ორიგინალად სთვლის, რადგან მიაჩნია, რომ თვით მ. ფ. ახუნდოვის მიერ თარგმნილი პიესის რუსული ვარიანტი იგივე ორიგინალია და აღნიშნავს: თარგმანი ახლოსაა დედანთან, მთარგმნელს ორიგინალის თავისებურებათა შესანარჩუნებლად ქართულ ენაში შესატყვისი იდიომები და ხალხური გამოთქმები დაუძებნია, რითაც თარგმანი ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის დაუახლოებიაო.

ამგვარად, აკაკი წერეთელი პირველი ქართველი მწერალი იყო, რომელმაც თარგმნა მ. ფ. ახუნდოვის ნაწარმოები და ამით დიდი ამაგი დასდო ამ ორი ერის ლიტერატურათა ურთიერთდაახლოების საქმეს.

აზერბაიჯანელებს შორის აკაკის უდიდეს პოპულარობას ის ფაქტიც მეტყველებს, თუ როგორ გაითავისეს და რა დიდი სიყვარულით აღნიშნეს ქართველი ერის „უგვირგვინო მეფის“ შემოქმედებითი მოღვაწეობის 50-ე წლისთავის იუბილე.

ამიერკავკასიის მუსლიმანებმა გულთბილი სიტყვები მიუძღვნეს პოეტს, როგორც საქართველოში, საიუბილეო საღამოზე, ასევე ბაქოში გამართულ საღამო-დღესასწაულზე და ამიერკავკასიის ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ პრესაში გამოაქვეყნეს უამრავი მილოცვა.

აკაკის საიუბილეო კომიტეტმა თბილისის საგუბერნიო ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გადაწყვიტა რომ საიუბილეო საღამო გაიმართებოდა თბილისში, 1908 წლის 7 ნოემბერს.

ახლოვდებოდა საიუბილეო თარიღი და იზრდებოდა საღამოში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი. რადგან ამ უდიდეს ეროვნულ დღესასწაულს უერთდებოდნენ მეზობელი ერების — ქრისტიანთა თუ მუსლიმანთა გვარტომობის წარმომადგენლებიც. რა იყო ამისი მიზეზი? — უპირველეს ყოვლისა, ყველასათვის გათავისებული აკაკის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალის — სამშობლოს თავისუფლების იდეა, რომელიც ერთნაირად უთრთოლებდა გულს ქართველს და არაქართველს და დამპყრობელთა მიმართ საბრძოლველად აღანთებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის საიუბილეო დღე, როგორც გაზეთი „სავაჭრო გზა" აღნიშნავდა, იყო „დღე ეროვნული დღესასწაულისა, დღე საქართველოს, ერის გამოფხიზლებისა, გათვითცნობიერებისა, ზე აღდგომისა მკვდრეთით". ქართველი ერის ცხოვრების ამ მნიშვნელოვან დღეს ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენელი თავისი ერის გამოცოცხლების, გამოფხიზლებისა და გათვითცნობიერების დღედაც მიიჩნევდა. ამიტომ იყო, რომ კავკასიის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებამ საიუბილეო სალამოზე „ადრესის" მისართმევად განსაკუთრებული დეპუტაცია შეარჩია: ჯალილ მამედ ყულიზადე, ნაზარბეკ სულთანოვი, მამედ ჰასან იმამოვი და იუსუფბეკ ხონბუდაგოვი.

სალამოზე სიტყვა წარმოთქვა თბილისში მოღვაწე ცნობილმა ბელეტრისტმა, იუმორისტული ჟურნალის „მოლა-ნასრედინის" რედაქტორმა ჯალილ მამედ ყულიზადემ:

„მრავალი საუკუნის განმავლობაში მხარდამხარ ცხოვრობს სამი მეზობელი ხალხი: ქართველი, მაჰმადიანი და სომეხი. ბედმა ისინი საუკუნოდ შეაერთა. მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, არ ცდილან, რომ ისინი მეზობლები ყოფილიყვნენ არა მარტო ადგილმდებარეობით, არამედ სულიერად და ნათესაურად. ამას ვამბობთ იმიტომ, რომ თვალწინ გვიდგას სომეხ-თათართა შეტაკების ის მწვავე დღეები და სისხლის ღვრა, რომელსაც სამივე მეზობელი ხალხისათვის მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა.

მაგრამ, საბედნიეროდ ჩვენდა, როგორც რუსული ანდაზა ამბობს, „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს," ჩვენ, სამივე ხალხი ეხლა მაინც ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ის მწვავე დღეები დავიწყებულია; რომ იგი აღარ განმეორდება, რომ შური, მტრობა და უთანხმოება სამივე ხალხისათვის საზარალოა და დამღუპველი. ამ სამივე მეზობელი ხალხისათვის უფრო სასარგებლოა და ნაყოფიერი შეერთდეს და ხელიხელჩაკიდებული მიესწრაფოს განათლებას, სინათლესა და კულტურას.

აღფრთოვანებული ამ წმინდა მიზნით, კავკასიის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოება თავის წარმომადგენელთა პირით გიძღვნით სალამს და გისურვებთ ყოველსავე სიკეთეს თქვენ, დიდად პატივცემულო თავადო აკაკი, როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო მებრძოლს სამშობლოს აყვავებისა, განათლებისა და ბედნიერებისათვის. თქვენი მოწოდება სამშობლოს აღორძინებისათვის ღრმად ჩასწვდა ჩვენს სულსა და გულსაც და თქვენთან ერთად, პატივცემულო პოეტო, მზად ვართ გავიმეოროთ:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევ გაიღვიძებს.

ჩვენ მხოლოდ მხურვალედა გვწამს, პატივცემულო აკაკი, რომ ეს გაღვიძება არ იქნება ნაყოფი თვითეული ხალხის დაქსაქსულის მუშაობისა. მოვა დრო და საუკეთესო ძალები ამ სამი ხალხისა, რუსეთის სხვა ხალხების საუკეთესო ძალებთან ერთად გაიმეორებენ: გაუმარჯოს პოეზიას! გაუმარჯოს განათლებას! გაუმარჯოს პროგრესს! გაუმარჯოს ერთობას!"

ეს სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანელმა დემოკრატმა მწერალმა, რომლის მთელი შემოქმედება უსამართლობის წინააღმდეგ იყო მიმართული და თავის სატირულ-იუმორისტულ ჟურნალში „მოლა-ნასრედინი" დაუფარავად აკრიტიკებდა ცარიზმს, თვითმპყრობელობას და აქტიურად მონაწილეობდა სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის საწინააღმდეგო აქციებში, ამიერკავკასიის ერებს ერთობისაკენ მოუწოდებდა.

იუბილეს დღეებში უამრავი მისალოცი დეპეშა მიიღეს აზერბაიჯანიდან. მათ შორის იყო მაჰმადიანთა სამღვდელოებისა და განმანათლებელი საზოგადოების „საადეთის" სახელით გამოგზავნილი დეპეშაც. ისინი ულოცავდნენ ქართველობას „კავკასიის პოეტისა და სახალხო მოღვაწის აკაკი წერეთლის ორმოცდაათი წლის იუბილეს გამო". იქვე დასძენდნენ, რომ ამ იუბილეს აღსანიშნავად „საადეთის" საზოგადოებას გადაუწყვეტია თავისი ბიბლიოთეკა ქართული ლიტერატურის ნიმუშებით დაამშვენოს.

დეპეშას ხელს აწერდნენ საზოგადოების თავმჯდომარე ახუნდ მოლა ალექბერ აბასყულიზადე, სასწავლო დირექტორი პრინცი ალექბერ ბაგმაუ და ინსპექტორი ჰუსეინზადე.

აზერბაიჯანული გაზეთის — „თერეკი" („პროგრესი") რედაქცია და გამომცემლობაც დეპეშით ულოცავდნენ იუბილეს „სახელოვან პოეტსა და პუბლიცისტს აკაკი წერეთელს, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა ყველა ჩვენთვის ძვირფასს კავკასიას. სალამს ვუძღვნით ერს, ასეთი სახელოვანი შვილების გამჩენს..." — შემდეგ დეპეშაში ვკითხულობთ: „ისეთი მოღვაწენი, როგორიც არის აკაკი წერეთელი, მთელ კავკასიას ეკუთვნიან და მათი ნაწარმოებების შესწავლა საუკეთესო საშუალება საერთო, სამშობლოს შვილების შესაერთებლად".

ამ დეპეშაშიც გაცხადებულია სურვილი აზერბაიჯანელი ხალხი გაეცნოს დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებას და ეს წამოწყება მთელი კავკასიის ხალხთა ლიტერატურის შესწავლის დასაბამად აქციონ.

დეპეშას ხელს აწერს გაზეთ „თერეკის" რედაქცია და გამომცემლობა.

ბაქოში ყველა გაზეთი ღირსეულად აღნიშნავდა აკაკის საიუბილეო თარიღს. მაინც გამოვყოფთ ცნობილი აზერბაიჯანელი ლიტერატორის ფირიდუნ ბეი ქოჩარლის წერილებს, სადაც ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს აკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის შემოქმედებით გზას, გულთბილ, მეგობრულ განწყობილებას აზერბაიჯანელი ხალხის მიმართ და მწერლის დიდ დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე. ფ. ქოჩარლი განსაკუთრებით აღნიშნავს აკაკის როლსა და მისი პოეტური მადლის ძალას ხალხთა დაძმობილებისა და ერთობის საქმეში:

„აკაკი წერეთლისათვის ძირითადი და მთავარი თემა ძმობა და მეგობრობაა. მისი ოცნებაა ხალხთა შორის ძმური კავშირი და ერთიანობა. იგი შთააგონებდა პოეტს და აღაფრთოვანებდა მის მისწრაფებებს, თავისი ბასრი კალმით აკაკი ამხელს ხალხთა მეგობრობისა და ერთიანობის მტრებს, იმათ, ვინც ხალხთა შორის თესავს მტრობას. წერეთლისათვის ყველა ეროვნება ერთია და ყველანი ძმები არიან“.

შემდეგ, ფ. ქოჩარლი ა. წერეთელს ადარებს აზერბაიჯანელ პოეტს სეიდ აზიმ შირვანის, მის ოცნებას კაცობრიობის ბედნიერ მომავალზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აკაკის სიცოცხლეშივე მისი ლექსის „სულიკოს“ თარგმანი შეუსრულებია ფ. ქოჩარლის და დაუბეჭდავს კიდეც; მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თარგმანს ვერ მივაგენით. სამაგიეროდ, იმ დღიდან მოყოლებული დღემდე მთელი აზერბაიჯანელი ხალხი მღერის „სულიკოს“, თუმცა ლექსისა და მუსიკის სისადავისა და სინატიფის გამო დიდხანს ლექსიც ხალხური ეგონათ და მელოდიაც.

გაზეთი „ვესტნიკ ბაკუ“ სულითა და გულით ულოცავს დიდებულ მგოსანსა და მთელ საქართველოს ამ ეროვნულ დღესასწაულს და აღაფრთოვანებს ის აზრი, რომ ამგვარმა დღესასწაულებმა შესაძლოა მოახდინოს კავკასიის ხალხთა შეკავშირება, გაერთიანდნენ ერთ ოჯახად და ქართველი ერის სიხარული კი არ შეშურდეთ, არამედ საერთო სიხარულად ექცეთ:

წერილები გამოქვეყნდა „კავკაზსკოე ობოზრენიეშიც“, მათ შორის ჰამზათ-ბეგ-ქაბულოვ-შირვინსკისა.

შირვინსკი მაჰმადიანების სახელით იუბილარს ულოცავს და ამბობს: „ქართველმა ერმა თავისი მრავალსაუკუნეთა ისტორიულს ცხოვრებაში ბევრი სიმწარე იგემა, დიდი ტანჯვა და ვაება განიცადა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ტიტანური ბრძოლიდან თავისი ცხოვრების ბოროტ სულთან მაინც გამარჯვებული გამოვიდა, — გამარჯვებული რაინდი — დიდებული, გამარჯვებული კულტურით და საერთო-საკაცობრიო კულტურულს განძში თავისი წვლილი — მშვენიერი ეროვნული ყვავილი შეიტანა“.

ბაქოს გაზეთმა „კასპიიმ“ სხვა წერილებთან ერთად აკაკის იუბილეს მიუძღვნა მეთაური წერილი. გაზეთი სინანულით აღნიშნავდა, კავკასიის ერები ვერც ერთმანეთს ვიცნობთ რიგიანად და ვერც ერთმანეთის ლიტერატურასო. მაგრამ სხვა გაზეთების მსგავსად, ისიც გამოთქვამდა იმედს: „ქართველთა ეროვნული დღესასწაული საფუძველს დაუდებს კავკასიელ ხალხთა უფრო უკეთ გაცნობა-დამეგობრებას“.

აზერბაიჯანიდან თბილისში გამოგზავნილ დეპეშებს ბოლო არ უჩანდა. ერთ-ერთ დეპეშაში, რომელსაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები აწერდნენ ხელს, გამოთქმული იყო აზრი, რომ აკაკის პოეტური გენიალობა მთელი კავკასიის კუთვნილებაა და იგი სათავეს დაუდებს კავკასიის ერთა სიყვარულს:

„ვულოცავთ მხცოვან იუბილარს და ვუსურვებთ, რომ მისმა ჩანგმა კიდევ დიდხანს აუღეროს სიმები, განაცხოველოს საუკეთესო იდეალები, გაანაყოფიეროს ნიადაგი, რომელიც აღმოაცენებს თავის გულზე სიყვარულისა და ერთობის მშვენიერ ჰარმონიას ქართველი ხალხის, ამ დიდებული კავკასიის შვილის გენია ეკუთვნის მთლად კავკასიას — დღევანდელი დღე სახსოვრად დარჩება მთელი კავკასიის ისტორიაში.

ექიმი ყალამბეგოვი, რედაქტორი, აღაევი, იურისტები ხოისკი, ამირჯანოვი, ვეზიროვი, ექიმი ნარიმანოვი, ჰუსეინ-ზადე, ახუნდოვი, ინჟინერი ჰაჯინსკი, აზიზბეკოვი“.

ერთ დეპეშაში კი, რომელსაც აზერბაიჯანის განმანათლებელი საზოგადოება „ნეჯედის“ თავმჯდომარე მამედალი-რაზუმზადე აწერს ხელს, დღესასწაულს ულოცავდა იუბილარს და მთელ ქართველ ხალხს, რომელიც „იძლევა ისეთ მოღვაწეებს, როგორიც არის აკაკი წერეთელი, რომელსაც ერთნაირად უნდა აფასებდნენ კავკასიის ყველა ერები თავისი უანგარო შრომისათვის სამშობლოს საკეთილოდ, რაიცა ნამდვილ ნიადაგს მოუმზადებს სასურველ ერთობას“. ამასთანავე, იუწყებოდა, რომ საზოგადოების საგანგებო კრებაზე დადგინდა, ამ ღირსშესანიშნავი დღის აღსანიშნავად დაარსონ იუბილარის სახელობის სტიპენდია.

ყოველდღიური ეკონომიკური, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სავაჭრო გზა“ დიდი სიხარულით აღნიშნავდა, რომ დედაქალაქში დიდებული მგოსნის დღესასწაულზე დასასწრებად არა მარტო საქართველოს ყველა კუთხიდან მოვიდა ხალხი, არამედ შავი ზღვის კიდიდან მოყოლებული კასპიიის ზღვამდე არ დარჩა ერი, ვის გულშიც აკაკის პოეზიის ნათელს არ შეეშუქებინოს, და ძმური ხელი არ გამოეწოდებინოს ამ საიუბილეო დღეებში. აკაკის დღესასწაულმა მეზობელი ერები ფეხზე დააყენა, ურთიერთშორის ყოველგვარი წარსული უკეთურობა დაავიწყა და შეერთებული ძალით ძმობა, ერთობა და სიყვარული გამოუცხადა ქართველ ერს.

აკაკიმ სულითა და გულით მიძღვნილი უამრავი საჩუქარი მიიღო, მათ შორის ბაქოდან ჩამოსულმა დეპუტაციამ იუბილარს ძვირფასი ხალიჩა მიართვა, ხოლო ბაქოს „ქართულმა დასმა“ — მოოქროვილი ვერცხლის კალამი.

7. „ცისკარი“, № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგოსანმა ყველას მადლობა გადაუხადა, მათ შორის აზერბაიჯანის დეპუტაციას ასე მიმართა:

„თქვენი აქ მობრძანება, საზოგადოთ, მახარებს. ძველად ჩვენსა და თქვენს შუა თუ გალესილი მახვილი იდვა, დღეს განათლებამ და განვითარებამ წინ ისეთი ბიჯი წაგვადგმევინა, რომ ის მახვილი კავშირად არის გადაქცეული, სარჩულად უდევს ერთობა და სიყვარული.

ნათელს აღმოსავლეთით მოველით დღეს მაჰმადიანის წინამძღოლობით და ჩვენც მათთან ერთად მიუხედავად სარწმუნოებისა, მზადა ვართ თავდადებით მივეგებოთ. კურთხეულ იყოს ამიერიდან ჩვენს შორის ერთობა და სიყვარული".

საერთოდ, აკაკის იუბილის სტუმარიცა და მასპინძელიც ერთხმად აღიარებდა დღესასწაულის ინტერნაციონალურ ხასიათს. იმ დღეებში „სხვადასხვა ერთა წარმომადგენელთ საშუალება მიეცათ ძმური ხელი გაეწოდებინათ ერთიმეორისათვის, ანუ უკეთ, ყველა ერებმა ძმური ხელი გამოუწოდეს ქართველ ერს, — იმ ერს, რომელშიაც ასე სუსტობს ყოველგვარი შოვინისტური მისწრაფება და რომლის დიდი უმრავლესობა, სახელდობრ ხალხი, ღრმად განსწავლულია სხვა ერებთან ძმური ერთობის სურვილით".

აკაკის იუბილე მარტო საქართველოში როდი გადაიხადეს, იგი განჯისა და ბაქოს გუბერნიის აზერბაიჯანელებმაც იდღესასწაულეს იქაურ ქართველებთან ერთად.

ჯერ კიდევ 7 დეკემბერს გადაწყდა, რომ აკაკის საიუბილეო სალამო ბაქოში 21 დეკემბერს გაიმართებოდა, რომელსაც, ცხადია, თვითონ პოეტიც დაესწრებოდა.

დათქმულ დროს ბაქოს მუშათა კლუბის დიდი დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. აქ იყვნენ ბაქოში მცხოვრები ქართველები, რუსები, სომხები, უკრაინელები, ებრაელები, ბერძნები, მუშები, ინტელიგენცია. ყველა თავის გულისთქმას გამოხატავდა, ხოტბას არ იშურებდა მხცოვანი მგოსნის მიმართ. იღვრებოდა „მრავალჟამიერის" ქართული ჰანგები და სახეგაბადრული იუბილარი ისმენდა ქართველთა და არაქართველთა აღფრთოვანებულ სიტყვებს. პრესის — „კასპიის", „ბაკინსკოე ეხოს", „თერეგის", „ბაკინეცის" და სხვა რედაქციების დეპუტაციების გამოსვლებს.

●

აკაკი წერეთლის გარდაცვალებამ არა მარტო ქართველებს დასცა თავზარი. ქართველი ხალხის დიდი ეროვნული პოეტის დაკარგვას მთელი აზერბაიჯანიც ცხარე ცრემლით დასტიროდა. ეს იყო ერთგვარი ნუგეში უბედურების ჟამს, ეს იყო გულშემატკივარი მეზობლის თანამგრძნობი ხმა, ძმით მოსილი საქართველოს გამამხნევებელი.

„...ჯერ გონს ვერ მოვსულვართ და ვაებით ქვითინებს სამშობლო კერა, — წერდა მ. ბექაია გაზეთ „სამშობლოში", — მაგრამ, ამ მწუხარების ჟამს ქართველებს შემოგვესმა გულშემატკივარი ხმა მეზობლისა, ხმა ერთგულებისა, ხმა ღრმა და წრფელი მეგობრობისა, ხმა გამამხნევებელი ერთიანობისა. ეს ხმა გახლავთ ნამდვილი მეზობლური თანაგრძნობა კავკასიის მაჰმადიანებისა.

ჩვენ, საქართველოს შვილნი, მაჰმადიანთა ამ ერთსულოვან, აღმაფრთოვანებელ გულის ამონაკვნესს ჩვენდამი პატივისცემითა და მხურვალედ უნდა მივეგებნეთ და საპატიო ალამი ვუძღვნათ მათ ჩვენს გულში".

შემდეგ ავტორი საუბრობს ქართველი ერის რაინდულ ბუნებაზე, ერზე, რომელსაც არასოდეს არაფერი შურდა სხვისი, კეთილშობილური გრძნობა ახლდა განუყრელად და რომ ეს დიდსულოვნება იქნება ლამპარი მრავალტანჯული ქართველი ერისა სამარადჟამოდ.

„ვიმედოვნებთ, — დაასკვნის ბოლოს მ. ბექაია, — რომ ეს უაღრესი სიმპათია ჩვენდამი ჩვენის მეზობლებისა — კავკასიის მაჰმადიანთა, უფრო გაღრმავდება და თუ დიდებული აკაკის ნეშტმა მათ საშუალება მისცა საკმაოდ განეცხადებინათ თავისი მეგობრული განწყობილება, შემდეგშიც, საერთო საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის დროს, კავკასიის მაჰმადიანები იქნებიან ჩვენი ერთგული მეგობრები ისე, როგორც ჩვენ მუდამ ვიქნებით მათი პატივისმცემელნი... ხოლო მეგობრის გატანა და დაფარვა — ეს ხომ ისტორიული ანდერძია ქართველებისა".

იმდროინდელი გაზეთი „კავკაზსკაია რეჩ" ამის თაობაზე წერდა: „მეგობარს უბედურების დროს გაიცნობ და კავკასიელი მუსლიმანები, რომლებიც ქართველთა ჭეშმარიტი მეგობრები არიან, იზიარებენ მათ მწუხარებას. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან მუსლიმანები ისწრაფვიან თავიანთი სამძიმარი განუცხადონ ქართველებს... და თუ ხალხთა ძმობა უბრალო ლიტონი სიტყვა არ არის, მაშინ სწორედ აქ, ქართველი ხალხის მომღერლის ჯერ კიდევ ღია სამარესთან, შეიძლება დავინახოთ ქართველებისა და ამიერკავკასიის მუსლიმანთა ძმობის რეალური გამომჟღავნება".

თბილისში უამრავი სამძიმრის დეპეშა მოვიდა ბაქოდან, ნუხიდან, ელიზავეტპოლიდან (ახლანდელი განჯა), ნახჭევნიდან და აზერბაიჯანის სხვა ქალაქებიდან. ქართველი პოეტის დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობდა აზერბაიჯანელთა დეპუტაცია. დამსახურებულმა პედაგოგმა რაშიდ-ბეგ ეფენდიევმა ასეთი სიტყვა წარმოთქვა: „ჩვენო გულადო და კეთილშობილო მეგობარო ქართველებო, იამაყეთ ისეთი შვილით, რომლის უკვდავი ნაწარმოებები ამაღლებს მთელ ქართველ ხალხს და თუ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტირით და უსაზღვროა ამ დაკარგვით გამოწვეული თქვენი გამწარება. იცოდეთ და გჯეროდეთ, თქვენს მწუხარებას ყველა მუსლიმანი გულით განიცდის, როგორც კავკასიისა, ასევე მთელი რუსეთისა".

მწუხარებისა და გულისტკივილის გამომხატველი სიტყვა დაბეჭდა პრესაში ბაქოს, განჯის, ტფილისისა და სხვა მაჰმადიანთა საკულტურო განმანათლებელ საზოგადოებათა სახელით ნაფიცმა ვექილმა ალი-მარდანბეგ თოფჩიბაშევმა.

იგი მეზობელ ქართველებს აუწყებდა, როგორც კი მშვენიერი საქართველოს სახალხო მომღერლის სიკვდილის შესახებ საუბედურო და სარწმუნო ხმამ შავი ზღვიდან კასპიის ზღვის ნაპირებამდე მოაღწია, ამ მხარის მაჰმადიანებმა თავის ზნეობრივ მოვალეობად ჩათვალეს გაეზიარებინათ საუკუნო მეზობელი ქართველების ეს დიდი ეროვნული მწუხარება და გლოვა, რამეთუ მეგობარი ხალხისადმი ძმური ხელის გაწვდა და ნუგეშისცემა ნაკარნახევია იმ კეთილმეზობლური დამოკიდებულებით, რომელიც დიდი ხანია, რაც ამ ორ — მაჰმადიან და ქრისტიან ერს შორის არსებობს და შემდეგ მიმართავს მგოსნის ცხედარს:

„ეს ხომ შენ იყავი, ბრძენო პოეტო, რომელიც ტკბილი ხმებით შეჰხაროდა სამშობლოს აყვავებას და ყველა ეროვნებათ ძმური ერთობისაკენ მოუწოდებდი!

შენი ცოცხალი სულით განჭვრიტე ბედნიერება შენი საყვარელი სამშობლოისა ხალხთა ერთობაში!

მაშ, დაე, დღეიდან შენი ბრწყინვალე სახე მარადის იმყოფებოდეს ამ ხალხთა შორის და აგონებდეს მათ იმ დიდებულ იდეებს, რომლებსაც შენ ქადაგებდი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

შენ იყავი მოციქული ჩვენ მიერ სათაყვანებელი იდეებისა, რომელნიც ქვაკუთხედად უნდა დაედვას მშვენიერი კავკასიის აყვავებას".

აკაკის ნაწარმოებთა თარგმნა აზერბაიჯანში ძირითადად ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. მწერლის 100-ე წლისთავის იუბილეს აზერბაიჯანელმა მწერლებმა მიუძღვნეს მის შემოქმედებაზე დაწერილი არაერთი წერილი თუ გამოკვლევა. აკაკის ლექსები თარგმნეს ცნობილმა პოეტებმა სამედ ვურღუნმა, მამედ რაჰიმმა, რასულ რზამ, სულეიმან რუსთამმა, მ. რზაგულუზადემ, ა. ბოიუქაღამ და სხვებმა.

წლეულს, აკაკი წერეთლის 150-ე წლისთავის საიუბილეოდ გამოვა აკაკის ნაწარმოებთა „რჩეული", რომლის ძირითადი ნაწილი თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო აზერბაიჯანელმა ქართველოლოგმა დილარა ალიევამ.

აკაკი წერეთელი მთელი თავისი შემოქმედებითა და მოღვაწეობით მარად დარჩება ხალხთა მეგობრობის, ერთობისა და სოლიდარობის ეტალონად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კორნელი დანელია

# ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან

## (პირველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი)

IV საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ქართლში საზოგადოებრივ-პოლიტიკურთან ერთად უდიდესი განმანათლებლური მნიშვნელობაც ჰქონდა: მან დასაბამი მისცა თვისობრივად ახალ კულტურას, უპირველესად, მწიგნობრულს და მის საფუძველზე — ეროვნულ ლიტერატურას. IV—V საუკუნეთა მიჯნიდან ფართოდ გაშლილმა მთარგმნელობითმა მუშაობამ, რომლის ნაყოფია ქართული სალიტერატურო ენის მონუმენტური ძეგლი — ბიბლიურ წიგნთა თარგმანები, თავიდანვე წარმოაჩინა ქართველ მწიგნობართა წინაშე ენის, ფონეტიკისა და **გრამატიკის საკითხებში გარკვევის აუცილებლობა.** თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულ მწერლობაში აშკარად დომინირებს უმეტესად ბერძნულიდან მომდინარე **ნათარგმნი** ძეგლები, მაშინ ცხადი გახდება, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში თარგმნის პროცესს **ენათმეცნიერული** აზრის ჩასახვისა და განვითარებისათვის.

დიონისე თრაკიელის ფილოსოფიური გრამატიკა, რომელმაც საერთოდ განმსაზღვრელი როლი შეასრულა ადრეული შუა საუკუნეების გრამატიკული აზრის განვითარებაში, არ შეიძლება უცნობი ყოფილიყო ქართველი მთარგმნელებისათვის. მართალია, ქართულ ენაზე გრამატიკული თხზულება (ნათარგმნი თუ ორიგინალური) ადრეული საუკუნეებისა არ შემოგვრჩენია, მაგრამ V—X საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლები (ეპიგრაფიკული თუ ხელნაწერი) **ენობრივი ნორმების** თვალსაზრისით ისეთ **სისტემურ სტაბილურობას** ავლენენ, რომ ძველ საქართველოში მწყობრი **გრამატიკული ცოდნის არსებობას** აუცილებლად გვავარაუდებინებს. არც ისაა უმნიშვნელო ფაქტი, რომ X საუკუნეში შედგენილ სასწავლო-ენციკლოპედიური ხასითის ცნობილ ხელნაწერში („შატბერდის კრებულში“) შესულია ფრაგმენტები დიონისე თრაკიელის გრამატიკის კომენტარებიდან ბერძნული ანბანის შესახებ, ასევე ეპიფანე კვიპრელის შრომიდან „ზომათათჳს და საწყაულთა“, რომელიც ებრაულ ანბანს ეხება. ბიბლიურ, ეგზეგეტიკურ თუ მრავალთავთა ქართულ თარგმანებში დაცულია არა ერთი ცნობა **სიტყვის ისტორიასა** თუ **კონკრეტულ გრამატიკულ ფორმაზე,** რომ არაფერი ვთქვათ კირილე ალექსანდრიელის შრომის — მათეს სახარების ძნელოანთა სიტყუათა განმარტება-ლექსიკონზე, რომელიც დაუცავს მე-12 საუკუნის ხელნაწერს (A—65-ს), და **ეფრემ მცირის** მიერ ფსალმუნთა კომენტარებიდან ამოკრებილ სახისმეტყველებით განმარტებებზე, რომლებიც ანბანზე გაწყობილი შესულია ფსალმუნის თარგმანების ტექსტზე დართულ მისსავე „შესავალში“ და რაც ჯერჯერობით **პირველი** ორიგინალური ქართული ლექსიკონია.

ენის, კერძოდ, გრამატიკის საკითხებით დაინტერესება იზრდება ელინოფილურ პერიოდში, განსაკუთრებით იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის სალიტერატურო და სამეცნიერო წრეებში. ს. ყაუხჩიშვილმა ცხადყო, რომ პეტრიწს პროკლე დიადოხოსის ნაშრომის („კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“) კომენტარების ბოლოსიტყვაობაში უსარგებლია დიონისე თრაკიელის გრამატიკით. რაც შეეხება ამინიოს ერმისის თხზულებათა ანონიმ ქართველ მთარგმნელს (ტექსტი გამოსცეს ნ. კეჭაღმაძემ და მ. რაფავამ 1983 წ.), რომელიც პეტრიწული სკოლის წარმომადგენელია, ის მასშტაბურად წარმოგვიდგენს ქართულ გრამატიკულ და ფონეტიკურ ტერმინებს, კერძოდ, შრომაში მსჯელობაა შემდეგ ლექსიკურ ერთეულებზე: **სიტყვა** (= „წინადადება“; „მეტყველება“), **თქუმა, რიმა** (= „ზმნა“), სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხელი** (=„სახელი“. ბერძნ. ონომა), **მარცვალი** (=ბერძნ. სილაბე), **ახო** (=„ბგერა“. ბერძნ. სტიქიონ), **დაკუეთვა/პტოსი** (=„ფლექსია“, „ბრუნება“), **შესკრავი**, **საკრველი** (=„კავშირი“), **დასვინტაქსება** (=„წინადადების წევრთა კავშირი“) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ბრუნვათა სახელწოდებანი ბერძნულთან ერთად ქართული შესატყვისებითაცაა წარმოდგენილი. **ევთია** (კატევთია) და **ორთი** (ორივე ბერძნული) ნახმარია „სახელობითის“ მნიშვნელობით, **გენიკი** (ბერძნ.) და **ნათესაობითი** — „ნათესაობითი“ ბრუნვის მნიშვნელობით, **დოტიკი** (ბერძნ.) და **მიცემითი** — „მიცემითი“ ბრუნვის მნიშვნელობით, **მიზეზობითი** — „აკუზიტივის“ ანუ ეტიატიკეს მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა, მართალი იყო პროფ. ალ. ღლონტი, როცა ათიოდე წლის წინ წერდა: „ქართული გრამატიკული აზროვნების სათავეები ჯერჯერობით წყვდიადითაა მოცული. ჩვენამდე **არ მოღწეულა მე-18 საუკუნეზე ადრინდელი არც ერთი შრომა**, რომელშიც საგანგებოდ იყო გაშუქებული გრამატიკის საკითხები“ (ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979, გვ. 45). ამის ფონზე გაბედულ ვარაუდად აღიქმებოდა ამავე მკვლევრის სიტყვები, რომ მე-10-12 საუკუნეების საქართველოში არა თუ იცნობდნენ, **არამედ ჰქონდათ კიდეც საკუთარი გრამატიკული ლიტერატურა**. (იქვე).

დღეს ეს აზრი უკვე სარწმუნო გახდა ჯერჯერობით **პირველი ორიგინალური ქართული გრამატიკული შრომის** („სიტყუაჲ ართრონთათჳს“) კრიტიკული გამოცემით, რომელიც განახორციელა პროფ. **მზექალა შანიძემ** (მზ. შანიძე, „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1989, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა). წიგნის რედაქტორის, აკაკი შანიძის შეფასებით, ბერძნულ ართრონზე დაწერილი ეს შრომა „ჩინებული საენათმეცნიერო თხზულებაა“, რომელიც მოწმობს, რომ ძველი მწიგნობრები იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლასაც. ამ ნაშრომის უპირველესი მნიშვნელობა ქართული ენათმეცნიერების ისტორიისათვის ის არის, რომ თუ დღემდე ქართული გრამატიკული აზრის ისტორიას მასალობრივად მე-18 **საუკუნიდან** ვიწყებდით, კერძოდ, ზ. შანშავანისა (1737 წ.) და განსაკუთრებით ანტონ პირველი კათალიკოსის გრამატიკებით (1753, 1767 წწ.), ამ შრომის გამოცემის შემდეგ ამ ისტორიის სათავემ დღეისათვის **ექვსი საუკუნით უკან გადაიწია, მე-11 საუკუნისათვის**. ეს პატარა ფაქტი როდია. შეიძლება ვინმემ იკითხოს, როგორ, აქამდე არ იყო ცნობილი სპეციალისტებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი თხზულება? პასუხისათვის საჭიროა მოკლე ექსკურსი ამ გრამატიკული ტრაქტატის შესწავლის ისტორიიდან: გრამატიკულ ტრაქტატზე „სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ცნობები პირველად ქრ. შარაშიძეს აქვს გამოქვეყნებული 1959 წელს („ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S კოლექციისა, I, გვ. 365), მაგრამ ეს ცნობები ფრაგმენტული იყო და გრამატიკული თხზულების სრული ტექსტის გამოუქვეყნებლობის გამო მისი შინაარსი და მნიშვნელობა სპეციალისტთა ყურადღების გარეშე დარჩა. მაგრამ მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამ და სულით არისტოკრატიულობამ ქრისტინე შარაშიძეს შთააგონა, რომ ეს ტექსტი შესასწავლად ლინგვისტისათვის შეეთავაზებინა. ასე გახდა ეს ძეგლი შესწავლის ობიექტი პროფ. მზ. შანიძისა, რომელმაც თავის მხრივ მადლიერებით აღნიშნა: „დღეს მინდა მადლობით გავიხსენო ქალბატონი ჩიტო, რომელმაც მისთვის ჩვეული თავმდაბლობითა და დაუშურველობით მის მიერ მიკვლეული მნიშვნელოვანი თხზულება შესასწავლად სხვებს დაუტოვა“. ვფიქრობთ, ამ ფაქტის აღნიშვნა მეცნიერულ რეცენზიაში ზედმეტი არ უნდა იყოს, რადგან მსგავსი რამ მეცნიერთა დღევანდელ ურთიერთობაში, სამწუხაროდ, იშვიათობად იქცა.

მაინც რას წარმოადგენს შინაარსობრივ თხზულება „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, **ვინ, როდის, რა** მიზნით შექმნა ეს ორიგინალური ქართული ლინგვისტური ნაშრომი? ამათსა და ბევრ სხვა კითხვაზე ვრცელსა და დამაჯერებელ პასუხს კაცი იპოვის პროფ. მზ. შანიძის სკრუპულოზურად, ნამდვილი მეცნიერული აკრიბიით შესრულებულ მონოგრაფიულ გამოკვლევაში.

ძველი ქართული გრამატიკული თხზულებისა და მასზე დაწერილი შრომის მნიშვნელობის წარმოსაჩენად წერილის შეზღუდულობის გამო იძულებული ვართ შევეხოთ მხოლოდ რამდენიმე საკითხს.

„სიტყუაჲ ართრონთათჳს“ ბოლო 80-იან წლებამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ხელნაწერით (S—312), რომელიც წვრილი ნუსხური ხელით გადაუწერია საფარას ლავრაში მთავარეპისკოპოს იოაკიმ მაწყუერელის ბრძანებით კარგარეთელ სვიმონ დიაკონს 1541 წელს. საგანგებოდ სამეცნიერო-სასწავლო მიზნით შედგენილ ამ კრებულში შესულია 55 თხზულება, უმეტესად დოგმატიკური და პოლემიკური ხასიათისა, ხოლო ორი მათგანი სხვაგვარი შინაარსისა: ერთია აბუსერიძე ტბელის კალენდარულ-ასტრონომიული ტრაქტატი, ხოლო მეორე — კირილე ალექსანდრიელის მათეს სახარების ძნელოვან სიტყვათა ლექსიკონი. ამ ხელნაწერის ბოლო სამ ფურცელზე (106r—108v) მოთავსებულია „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, მაგრამ ამ ხელნაწერიდან შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ საი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან შეეძლო გადამწერს ამოეღო ეს გრამატიკული თხზულება, რომელიც ტექსტის სირთულის გამო მას ხშირი შეცდომებით ჰქონდა გადმოღებული. ცხადია, პროფ მზ. შანიძეც იძულებული იყო, ეს ტექსტი თავიდან გამოსაცემად მოემზადებინა **მხოლოდ** საფარული ხელნაწერის მიხედვით. შრომაც მზად იყო დასაბეჭდად 1977 წელს, მაგრამ მკვლევარი გრძნობდა მასალის უკმარისობას რიგი ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხის გადაწყვეტისას და კარგა ხნით გადადო წიგნის დაბეჭდვა. მოთმინებით შეუდგა სხვა ხელნაწერთა „ჩხრეკას“, რომ მიეგნო არა მარტო ოქროპირის იმ ჰომილიის ქართული თარგმანისათვის, რომელსაც ეს ლინგვისტური შრომა უნდა ჰხლებოდა, როგორც ვრცელი შეისწავე სქოლიო (ამას აფიქრებინებდა თვით ნაწარმოების შინაარსი), მასალის ძიებისას მკვლევარმა ყურადღება მიაქცია პროფ. ალ. ცაგარლის „ცნობების“ I ნაკვეთში დაბეჭდილ ათონის ივერთა მონასტერში დაცულ ხელნაწერთა კატალოგს, რომელიც შეუდგენია ილარიონ ბერს, და რომელშიც ერთ-ერთ ხელნაწერთან დაკავშირებით აღმწერელს აღუნიშნავს: ეფთვიმე მთაწმინდელი ამბობს, **„ბერძნულს ენას კეთილად მოუვალს ართრონი და ქართულს ენაზედ არ მოვაო** (ე. ი. ბერძნულ ენას კარგად უხდება არტიკლი, ხოლო ქართულს — არაო). მზ. შანიძემ ივარაუდა, რომ ეს ხელნაწერი იქნებოდა ათონის ივერთა მონასტრის წიგნსაცავის № 85 ნუსხა (ალ. ცაგარელის აღწერილობით) ანუ № 6 ნუსხა (რ. ბლეიკის აღწერილობით), რომელშიც დაცული უნდა ყოფილიყო ოქროპირის ერთ-ერთი თხზულების ქართულ თარგმანში ჩართული „სიტყუაჲ ართრონთათჳს“. მაგრამ თვით ეს სავარაუდო ხელნაწერი რეალურად მიუწვდომელი რჩებოდა, საბედნიეროდ, გ. პატარაიას თაოსნობით 1981 წელს მიღებულ იქნა ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები, რომელთა გაცნობამ მკვლევრის ვარაუდი გაამართლა და ბეჯითმა ძიებამ „ნაყოფი კეთილი“ გამოიღო: ნუსხურად ნაწერ № 6 ხელნაწერში აღმოჩნდა როგორც მე-12-13 საუკუნეებში გადაწერილი გრამატიკული ტრაქტატის ტექსტი, ასევე ოქროპირის ის თხზულება, რომლის ქართულად თარგმნის დროს გამხდარა საჭირო ამ ტრაქტატის დაწერა. საქმე ისაა, რომ ოქროპირის შრომაში საუბარია სამების წევრთა ურთიერთშიმართებაზე. ამ საკითხზე თეოლოგიური კამათის ერთ-ერთ საბუთად გამოყენებული ყოფილა ის ფაქტი, რომ სამების წევრთა სახელები ბერძნულში სხვადასხვა არტიკლითაა განსაზღვრული, ან ზოგი არტიკლითაა განსაზღვრული, ზოგი — არა. სამების წევრთა **განსხვავებული გრამატიკული ფორმით ხმარება მწვალებლებს ამ წევრთა უთანასწორობის საბუთად მოჰყავდათ:** თითქოს ართრონიანი „ო თეოს“ ახალ აღქმაში მამა-ღმერთს გამოხატავს, ხოლო უართრონო „თეოს“ — ძე-ღმერთს; ამდენად, **„ართრონის მქონებელსა უფლებაჲცა უმეტესი აქუსო, ხოლო არ-მქონებელსა ართრონისასა უდარესი აქუს ღირსებაჲ“.** ჰომილიის ავტორი უარყოფს მწვალებელთა ასეთ არგუმენტს და მწვავე პოლემიკური ტონით მიმართავს მათ: „კანონნი ესე სადაჲთ მოგიხუმან (=„საიდან მოგიტანია?“). ჵ ამაოო მწვალებელო და არა-ღმრთისმეტყუელო? პავლესგანა გინა სხჳსა ვისგანმე? და ჰპოვეა განცხადებული მოძღურებაჲ, ვითარმედ **ართრონისა ქონებაჲ უდიდესად აჩუენებს ღმერთსა?** რამეთუ მე ვიდრემე (=„სრულებით“, „მაშასადამე“) ამას არა ვჰპოვებ, ხოლო ვჰპოებ ნაცვალ-საკუეთებელსა (=„საწინააღმდეგოს“) საცთურისა შენისასა მახჳლსა რამეთუ არა ულონო ვარ ჩუენებად — ვინაჲთგან ართრონისაგან ჰფილოსოფობ და არა ჭეშმარიტებისა — არა ულონო ვარ ჩუენებად ძისაცა ართრონიანად ქადაგებულისა“ (35; გვ. 172—173). და ჰომილეტიკს მოჰყავს ადგილები სახარებიდან, სადაც ძე ღმერთი ბერძნულში ართრონიანად (ო თეოს) არის ნახმარი. ჩანს, განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი არტიკლიანი და უარტიკლო ფორმების ქართულ თარგმანში ზუსტად გადმოცემა მთარგმნელს გასჭირვებია. უკეთ: შეუძლებლად მიუჩნევია და საგანგებოდ ამის თაობაზე დაუწერია „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, როგორც „თეოს“ სიტყვის „შეისწავე“, რათა ქართველი მკითხველისათვის გაეადვილებინა პოლემიკური პასაჟის აზრის გაგება თარგმანში. ჯერ გაბმით უწერია გადამწერს, ხოლო „თეოს“ სიტყვის შემდეგ — ორ სვეტად, ერთში ჰომილიის ტექსტი, მეორეში — „შეისწავესი“.

№ 6 ხელნაწერის ორთოგრაფიული და პალეოგრაფიული ანალიზით მზ. შანიძემ ცხადყო, რომ ის გადაწერილია არა მე-14—16 საუკუნეებში (ცაგარელი) ან მე-17 საუკუნეში, არამედ მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე და ეფრემ მცირის ლიტერატურულ სკოლას უნდა ეკუთვნოდეს. მანვე დეტალურად აღწერა ეს ხელნაწერი, რომელსაც თითქმის პირველი ნახევარი აკლია და მოსალოდნელი 33 თხზულებიდან 17-ღა დაუცავს (ყველა მიეწერება იოანე ოქროპირს, თუმცა უმეტესობა სევერიანე გაბალონელისა, ასევე უცნობ ავტორთა). აღმოჩნდა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის სხვა საყურადღებო ფაქტი: ათონურ ხელნაწერში დაცული ნათარგმნი თხზულებები ქართულ **წყაროებში სხვაგან ჯერჯერობით მიკვლეული არ არის,** ისინი არ ჩანან არც „მრავალთავების“ ადრეულ თარგმანებში. სწორედ ამ ათონურ ხელნაწერში მე-19 თხზულებად შეტანილია ჰომილია, რომლის ტექსტშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ჩართული „სიტყუაჲ ართრონთათჳს" (26v—41v) და რომლის ავტორად ქართულ თარგმანში იოანე ოქროპირია დასახელებული. ცნობილია, რომ ოქროპირის უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული, ხოლო ფსევდოოქროპირისეულ თხზულებათაგან ექვსასამდე მხოლოდ ხელნაწერების სახით არის შემონახული. მზ. შანიძის აზრით, მე-19 ჰომილიის ბერძნული დედნის მოძებნა ჯერჯერობით შეუძლებელი აღმოჩნდა და არც ის გამოირიცხება, რომ ეს თხზულება საერთოდ ფსევდოოქროპირისა იყოს. მისივე მტკიცებით, ქართული გრამატიკული ტრაქტატის ავტორი **ის პირი ყოფილა, რომელმაც მე-19 ჰომილია გადმოიღო ქართულად**. ეს მართლაც უეჭველია, რადგან მთარგმნელი და „შეისწავეს" ავტორი აღნიშნავს, რომ იოანე ოქროპირის მიერ მწვალებელთა საწინააღმდეგოდ თქმული განმარტება იოანეს სახარებისა (კერძოდ, I თავის I მუხლისა) „გადმოითარგმნოს რაჲ, დაბნელდების **უართრონობისათჳს** ენისა ჩუენისა და ცხადსა და ნათელსა სიტყუასა უცნაურ ვინაჲმე ჰყოფს, რამეთუ **შეუძლებელ არს თარგმანებაჲ მისი ენასა ზედა ქართულსა**, ხოლო რაჲთა გამოვაჩინოთ, თუ **რაჲ არს ართრონი** და ვითარ **ვერ ეგების ენასა ზედა ქართულსა თარგმნაჲ მისი** და ვითარ იჭუმევენ (=„ხმარობენ") ამას ართრონსა ბერძენნი, არა დავფაროთ ძალისაებრ და გულისჴმის-ყოფისა ჩუენისა" (1; გვ. 132).

მართლაც, ბერძნულ ენას კარგად დაუფლებული ქართველი ავტორი ახასიათებს ბერძნული ართრონის ფორმებს სამივე სქესისას (**მამალის, დედალის და შუას**), მოჰყავს ართრონიანი და უართრონო სიტყვების ბრუნების ნიმუშები მხოლობითსა, მრავლობითსა და ორობითი რიცხვში (მისი ტერმინოლოგიით: **ერთობითსა, განმრავლებითსა და ორობითში**), არტიკლის ქონა-არქონით უდარებს ერთმანეთს ბერძნულსა და ქართულს. ტექსტის გამომცემელი თავის ვრცელ გამოკვლევაში სარწმუნოდ ხდის დებულებას, რომ ტრაქტატის ავტორის ენათმეცნიერულ შეხედულებათა საყრდენი იყო დიონისე თრაკიელისა და მისი მრავალრიცხოვანი კომენტატორების მიერ შემუშავებული გრამატიკული სისტემა (გვ. 58). მკვლევარი ვრცლად მიმოიხილავს აქ ნახმარ გრამატიკულ ტერმინებს სხვა წყაროების მოხმობითაც: უპირველესად სათანადო ბერძნულ და ასევე სომხურ ერთეულებთან მიმართებით, კერძოდ, ისეთებს, როგორიცაა: **ერთობითი, განმრავლებითი, ორობითი, მამალი, დედალი, შუა/არარომელი** („საშუალო სქესი"), **დამორჩილებითი** ართრონი („მიმართებითი ნაცვალსახელი"), **ნათესავი** („სქესი"), **დრეკა** და **დაკუეთა** („ბრუნება", „ბრუნვა"), ბრუნვათა სახელწოდებანი: **ადვილობითი** („სახელობითი"), **შობილობითი** ანუ **ნათესაობითი, მიცემითი, მიზეზობითი** („აკუზატივი"), **წოდებითი** და სწორად ასკვნის: „აშკარად ჩანს, რომ ავტორი ბერძნულ ენას და ბერძნულ გრამატიკულ მოძღვრებას კარგად იცნობს. ის მსგავსება რომელსაც ავტორის მიერ ნახმარი ზოგიერთი ტერმინი იჩენს სომხურთან, არ ნიშნავს, რომ ეს ტერმინები სომხურის კვალობაზეა შექმნილი. სომხური პარალელები მხოლოდ ადასტურებს შესაბამისი ბერძნული ტერმინების ამგვარი გაგებისა და თარგმნის შესაძლებლობას" (გვ. 73).

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტებზე, რომლებსაც ანგარიში უნდა გაეწიოს ტრაქტატის ავტორისა და მისი შექმნის **დროის დადგენისას**. საქმე ისაა, ტრაქტატის ავტორი ბერძნულ ართრონზე მსჯელობისას მრავალგზის აღნიშნავს, რომ მსგავსი რამ ქართულს არა აქვს და ართრონიანი (ე. ი. არტიკლიანი) ბერძნული სიტყვები ქართულში უართრონოდ უნდა ითარგმნოს. „რამეთუ ჩუენსა ენასა არა ჰქონან სახელთა **წინადასასხმედნი** ართრონნი, ვინაჲცა, რაჟამს გეგულებოდის ბერძულსა ართრონიანსა სახელსა თარგმანებაჲ „ო თეო"-სა ესრეთ სთარგმნი, ვითარმედ „ღმერთი". რამეთუ არა არს ართრონი ენასა ზედა ჩუენსა და ვერ შესაძლებელ არს თარგმნაჲ მისი, ვინაჲთგან არა არს" (6; გვ. 134). ე. ი. ავტორი ვერ ამჩნევს ძველი ქართულის ნაწევარს, რომელიც განსაზღვრულობის (და არა სქესის) თვალსაზრისით ბერძნულ ართრონს გარკვეულწილად ეფარდებოდა, ვერ ამჩნევს, რადგან ბერძნული ართრონი წინდებულია („წინა-დასადებელი არს სახელისაჲ"), ქართული ნაწევარი კი — ბოლოდებული (სახელის შემდეგ მოდის). ტრაქტატის ავტორი ბერძნულ **გრამატიკულ სქესზეც** („ნათესავზე") მსჯელობისას ასევე საერთოდ არაფერს ამბობს XI საუკუნის II ნახევრიდან ელინოფილური მიმდინარეობის წარმომადგენელთა მიერ სამწერლობო ქართულში ასეთი (გრამატ. სქესის) ფორმების შემოღების ფაქტზე. ეს თითქმის გამორიცხავს ტრაქტატის ავტორად ეფრემ მცირის მიჩნევის ვარაუდს, რადგან ეფრემი იცნობდა ასეთ ფორმებს და მსჯელობდა კიდეც „ასკეტიკანის" თარგმანში გაკეთებულ „შეისწავეში". ამაზე მსჯელობა **პეტრიწული** სტილით შესრულებულ სხვა ქართულ თარგმანთა სქოლიოებშიცაა და რეალიზებულია **ა** და **-იდ** სუფიქსიანი ისეთი ფორმები, როგორიცაა: **მღდელა, უფალა, ყრმაა, ებრაელა, მოაბელა, ქაბუკიდი, ყრმიდი, თითოეულიდი** და სხვ. (კ. დანელია, გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში: „მაცნე", № 4, 1986). გამოდის, რომ თითქოს ეს ტრაქტატი ვერ შეიქმნებოდა პეტრიწული სკოლის წარმომადგენლის მიერ, არადა მზ. შანიძე მის შექმნას სწორედ ამ სკოლის, კერძოდ, ეფრემ მცირისა და არსენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყალთოელის მოღვაწეობის ხანას, ე. ი. XI—XII საუკუნეების მიჯნას უკავშირებს (გვ. 123). მკვლევარი მაქსიმალურად იყენებს საჭირო მასალას, უშვებს ფაქტების გააზრების ნაირგვარი შესაძლებლობათაგან ყველაზე ოპტიმალურს, ფხიზლობს და ფრთხილობს არა თუ დასკვნებში, არამედ ვარაუდების გამოთქმაშიც კი. ეს ყველაზე აშკარად ჩანს შრომის ერთ-ერთ პარაგრაფში, რომლის სათაურია: ვისი დაწერილია „სიტყუაჲ ართრონთათჳს?“ (გვ. 121—131). პასუხის გაცემის შესამზადებლად მას წინ უძღვის შენიშვნები ტრაქტატისა და მე-19 ჰომილიის ტექსტების ენისა და სტილის შესახებ: მკვლევარი ამ მონაცემებს უდარებს ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის ნათაგმნ თხზულებებში გამოვლენილ გარკვეულ სპეციფიკურ მოვლენებს, რომ შეძლოს გრამატიკული ტრაქტატის ატრიბუცია, მაგრამ საბოლოო დასკვნისათვის მყარ არგუმენტებს ვერ პოულობს და უფრო თითქოს იმ ვარაუდისაკენ იხრება, რომ არსენ იყალთოელი ჩაითვალოს ტრაქტატის ავტორად. ამის საფუძველს იძლევა მე-19 ჰომილიისა და არსენის თარგმანებში გამჟღავნებული პრინციპი — ზედმეტი ერთგულება ბერძნული დედნისადმი. ასეთ შემთხვევებში ეფრემი უფრო მყარად დგას ქართულ ენობრივ ტრადიციებზე და, ამდენად, მის თარგმანს უფრო აკლია სიზუსტე, ვინემ არსენისას. ცნობილია იყალთოელის მთარგმნელობითი კრედო: „არცა რაჲ ბერძულისაგან დამიგდია და არცა რაჲ ზეპირითა დამირთავს. და თუ სიბნელე სადმე და სიდუხჭირე შესდგამს [თარგმანს], იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ვერმეცნიერებისაგან“ (S—1463, 39 r). ასე რომ, მკვლევარს ჰქონდა გარკვეული საფუძველი მე-19 ჰომილიისა და ტრაქტატის ავტორად უფრო არსენი ევარაუდა, მაგრამ მაინც საბოლოოდ ფრთხილად გვაუწყა: არსენი რომ ტრაქტატის ავტორად გამოვაცხადეთ, საჭიროა მომავალში კიდევ დაიძებნოს სხვა უფრო დაწვრილებითი მონაცემები, რადგან ერთეული ფაქტების მოწმობა სარწმუნო საყრდენს ამ საკითხის გადასაწყვეტად ვერ მოგვცემს. ეფრემის ან არსენ იყალთოელის მიჩნევა გრამატიკული თხზულების ავტორად ჯერჯერობით მხოლოდ სავარაუდო შეიძლება იყოს“ (გვ. 132). ძნელია ამას რაიმე დაამატო, რადგან საანალიზო მასალათა საფუძველზე შესაძლებლობის მაქსიმუმია გაკეთებული. მაგრამ რადგან ძლიერია სურვილი, ვიცოდეთ, ვინ არის ჯერჯერობით **პირველი ქართული** ორიგინალური გრამატიკული თხზულების ავტორი, ამიტომ მაინც თავს ნებას ვაძლევთ ყურადღება გავამახვილოთ ზოგიერთ ფაქტზე, რომელიც შეიძლება ანგარიშგასაწევი იყოს იმ ვარაუდის სასარგებლოდ, რომლითაც გრამატიკული ტრაქტატის ავტორი არ უნდა იყოს ეფრემ მცირე.

ეფრემ მცირე რომ თავის ახლო წინაპართა და თანამედროვეებში გამორჩეულად ლინგვისტური მიდრეკილების დიდი ფილოლოგი იყო, ეს უდავოა. ამიტომ სრულად ბუნებრივი იქნებოდა, თუ ანონიმური გრამატიკული თხზულების ავტორი ის აღმოჩნდებოდა. მაგრამ ამის დაშვების დამაბრკოლებელ ზოგ გარემოებაზე ზემოთ იყო საუბარი. აქ შეიძლება დავამატოთ: ტრაქტატის ავტორი ვერ ამჩნევს, რომ ბერძნულ ართრონს ქართულში რამდენადმე გადმოსცემს **ნაწევარი** (სახელებთან ბოლოდებულად ხმარებული **ესე, ეგე, იგი**). ეფრემს და ასევე ათონელებსაც კი გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ბერძნული ართრონის მიახლოებითი ფარდი ქართულში ნაწევარი იყო. ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: „სამოციქულოს“ ოთხი რედაქციიდან (ძველი, გარდამავალი, გიორგისა და ეფრემისა) პირველის შემდეგ **ყველა მომდევნო რედაქციაში ბერძნულ ტექსტთან დაახლოების მიზნით მეტ-ნაკლებად ემატება ნაწევრები** (ასევე ზმნისწინები და უდეტრები), ე. ი. ხდება ტექსტის **გრამატიკული დაზუსტება** (კ. დანელია, ქართული სანწერლო ენის ისტორიის საკითხები, 1983, გვ. 112—123). ასეა ეს არა მარტო პავლეს ეპისტოლეების, არამედ „საქმე მოციქულთას“ ქართულ ვერსიებში (შდრ. საქმ. მოც. 1,4—18—20; 3,8; 7,3—15...). მაშინ, როცა ტრაქტატსა და ჰომილიაში **ძალიან იშვიათად** გამოიყენება ნაწევარი (გვ. 87).

მზ. შანიძე მე-19 ჰომილიაში მოხმობილ ბიბლიურ ციტატებს უდარებს ქართული ვერსიების იკითხვისებს და ასკვნის: მთარგმნელი იყენებს ძველ თარგმანებს, ოღონდ ციტატების ტექსტს ცვლის მაშინ, როდესაც ქართულ იკითხვისებს, მისი ვარაუდით, სიზუსტე აკლია (გვ. 121). მაგრამ მკვლევარი ამ მასალებს რატომღაც არ იყენებს მე-19 ჰომილიის ატრიბუციისათვის. არადა აშკარად ჩანს, რომ ჰომილიაში „სამოციქულოდან“ მოყვანილი **ციტატები ეფრემისეული რედაქციისა არ არის.** მაშასადამე, გამოდის, რომ ჰომილიის მთარგმნელი **და მისთვის გაკეთებული გრამატიკული თხზულების ავტორი ეფრემი ვერ იქნება.** მაგ. ეფრემისეული რედაქციის სიტყვები: **აზნაურებ.** (II კორ. 3,17), **ძლიერი** (ებრ. 4,12), **ამის ყოვლისა მაქმნეველ არს** (I კორ. 12,11), **განღებულითა** პირითა (II კორ. 3,17) ჰომილიის ტექსტებში ასეა შეცვლილი: **თავისუფლება, სჭმიერი, მოქმედებს, შიშულითა პირითა...**

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი ადგილი: პავლე მოციქულს ათინაში წარმართნი ეკამათებიან და დაცინვით მიმართავენ: „რაჲმე ჰნებავს **მრავლისმეტყუელსა** ამას სიტყუად?“ (საქრ. 17,18). ძველი რედაქციის „მრავლის-მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუელს" გიორგისეულში ცვლის „თესლის-მეტყუელი", ხოლო ეფრემისეულში — „თესლის-მკრებელი". ორივე გვიანდელი იკითხვისა კალკია ბერძნ. **სპერმოლოგოს**-ისა, რა[illegible] თარგმნილია ნომინაცია და არა კონტექსტური მნიშვნელობა (სპერმოლოგი რეალურად აღნიშნავს სტოელთა სპერმატული პრინციპების მიმდევარს, მაგრამ აქ დაცინვით — მოლაყბეს, „суеслов"-ს). როგორაა ეს ადგილი ციტირებული ჰომილიაში? — სრულიად განსხვავებულად და შეუფერებლად: „რაჲ-მე ჰნებავს **მთესვარსა** ამას თქუმად?" ცხადია, ჰომილიის მთარგმნელი ეფრემი რომ ყოფილიყო, ციტატაში „თესლის-მკრებელი" იქნებოდა, რადგან ეფრემს ეს სიტყვა არა მარტო „სამოციქულოში" აქვს გამოყენებული, არამედ ორიგინალურ შრომაშიც („უწყებაჲ მიზეზსა"...) **სიბრძნის მაძიებლის** მნიშვნელობით: „ესე მცირედნი სიტყუანი, ვითარცა **თესლის-მკრებელმან**, მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან, ერთად შემოვკრიბენ"...

ამასთანავე, როგორც პროფ. მზ. შანიძე აღნიშნავს, გარკვეული საფუძველი არსებობს, ეფრემზე მეტად არსენ იყალთოელი ვივარაუდოთ თხზულების ავტორად. ამ მხრივ შეიძლება ყურადღება მიექცეს ზოგიერთ ლექსიკურ პასაჟს: ა) არსენის თარგმანის ტექსტის **ბუნდოვანებაზე** მსჯელობისას მეტაფორულად ხმარობს **სიბნელეს**: [თარგმანს] „თუ **სიბნელე** სადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისგან არს"-ო. აღსანიშნავია, რომ გრამატიკულ ტრაქტატშიც („სიტყუაჲ ართრონთათჳს") თარგმანის ბუნდოვანება (არასიზუსტე) მეტაფორულად გადმოიცემა **ბნელ** ძირით: მის დასაწყისშივე ლაპარაკია, რომ უართრონობის გამო „**ბნელად** საგანებელ არს (=„ბუნდოვანია") ენასა ზედა ჩუენსა ლექსი თარგმანებული, ხოლო გარდამოითარგმანოს რაჲ, **დაბნელდების** უართრონობისათჳს ენისა ჩუენისა" (გვ. 132). შდრ. „და ოდეს ართრონისათჳს ითარგმნებოდის რაჲცა სიტყუაჲ ბერძულისაგან, **ბნელად** ვიდრემე და **შეუგუარად** (=„შეუფერებლად") იქმნების თარგმნაჲ ართრონიანისა სიტყჳსაჲ" (გვ. [illegible]). ბ) მე-19 ჰომილიაში, რომლის „შეისწავეედაც" არის დაწერილი „სიტყუაჲ ართრონთათჳს", ჩვეულებრივი ფორმაა **იუდეან**-ი (გვ. 64, 65, 67) **ჰურია**-ს ნაცვლად (ბიბლიის წიგნთა თარგმანებში, მათ შორის „სამოციქულოს" ეფრემისეულ რედაქციაშიც **მხოლოდ** სომხური ტრადიციის „ჰურია" იხმარება). ელინოფილურ მწიგნობრულ წრეებში მიღებულ **იუდეან** ფორმის თაობაზე ძალაუნებურად იქცევს ყურადღებას არსენ იყალთოელის მიერ გიორგი მონაზონის „ხრონოგრაფის" ქართული თარგმანის ტექსტზე გაკეთებული ერთ-ერთი სქოლიო: „შეისწავე, ვითარმედ ჩუეულებაჲ ბერძენთა ერისაჲ **იუდეან** უწოდს **ჰურიათა**" (ხრონოგრაფი გიორგი მონოზონისაი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1920, გვ. 46).

რა თქმა უნდა, მოყვანილი ფაქტები უეჭველობით არ წყვეტს საკვლევი ტექსტის ავტორობის საკითხს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ, სანამ აღმოჩნდებოდეს პირდაპირი ისტორიული ხასიათის ცნობა გრამატ. ტრაქტატის ავტორზე (თუკი საერთოდ არსებობს ასეთი რამ), მანამ ანგარიში უნდა გაეწიოს გარკვეული ვარაუდების სასარგებლოდ მოხმობილ ამ სახის ენობრივ პასაჟებს.

დასასრულ, პროფ. მზ. შანიძის დამსახურება მარტო ის კი არ არის, რომ მან კრიტიკულად გამოსცა უძველესი (მე-11 საუკუნის) ქართული გრამატიკული თხზულება და გამოწვლილვით შეისწავლა იგი ისტორიულ-ფილოლოგიური თუ ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ ისიც, რომ საცნაურ-ყო ასეთი თხზულების არსებობა **არაქართული სამეცნიერო წრისათვის**: წიგნში წარმოდგენილია არა მარტო გრამატიკული ტრაქტატის **რუსული თარგმანი**, არამედ ამ თხზულებაზე საკმაოდ ვრცელი ცნობები, გამოკვლევის ძირითადი შინაარსი **რუსულ** (გვ. 195—223) და **ინგლისურ** (გვ. 224—243) ენებზე. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სწორედ ასეთი შრომები ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ვიწრო სპეციალობებში და წინ სწევენ სათანადო დარგის მეცნიერებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელა ალექსიძე

# „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა"

ტარიელის საძებრად და დასახმარებლად მიმავალი ავთანდილი „ანდერძში" როსტევან მეფეს წასვლის მიზეზს განუმარტავს და იმედს გამოთქვამს, რომ მეფე გაუგებს და შეუნდობს:

ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა
განზრახულსა.
კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა
მოყვარულსა;
მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან
სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა,
მერმე სულსა".

პოემის მკვლევარნი ეჭვობენ: მართლაც ეკუთვნის თუ არა პლატონს ეს გამონათქვამი? მ. უორდროპის აზრით, პლატონთან ასეთი თქმა არ მოიპოვება. შ. ნუცუბიძემ მას ჯერ „ლიტერატურული ფიქცია" უწოდა, შემდეგ კი პლატონის შეხედულებათა შებრუნებად — მატერიალისტურ ინტერპრეტაციად მიიჩნია („მერმე" კავშირში მან კაუზალური დამოკიდებულება დაინახა სულისა ხორცთსადმი). ა. ბარამიძის აზრით, რუსთაველმა პლატონისადმი მიწერილი სიტყვები დაიმოწმა. არც თ. ჭილაძეს მიაჩნია ეს ფრაზა პლატონისეულად: იგი ღირსებადაც კი უთვლის რუსთაველს ფილოსოფიური ავტორიტეტის მცდარად დამოწმებას, „ფილოსოფიური ციტატით ლაღად ხუმრობასა და თამაშს", საკუთარი აზრის ჩინურად გასაღებასა და ტყუილ-უბრალოდ სხვისთვის, „თუნდაც, პლატონისთვის", მიწერას; ავტორს უკვირს, რომ არიან მკვლევარნი, რომლებსაც „ფილოსოფიური ეპიგონობა პოეტისთვის დიდ პატივად მიაჩნიათ".

ივ. ლოლაშვილის აზრით, ვეფხისტყაოსნის ციტატა უშუალოდ პლატონიდან კი არ მომდინარეობს, არამედ აპოფთეგმური კრებულიდან „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა", რომლის ერთ-ერთ მუხლად იკითხება: „შური და ტყუვილი და ორპირობაჲ თავი არს ყოვლისა უბედობისა". ეს შეხედულება სამართლიანად უარყო ე. ხინთიბიძემ. მისი აზრით, აპოფთეგმური გამონათქვამი თავად უნდა მომდინარეობდეს „ვეფხისტყაოსნიდან" და არა პირიქით. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ციტატის წყარო პლატონია, მაგრამ შესაბამის ტექსტზე, სამწუხაროდ, არ მიუთითებს. წყაროს ვერმონახვის შედეგი უნდა იყოს ი. მეგრელიძის დასკვნაც, რომლის თანახმად „ვეფხისტყაოსნის" ციტატამ შემოგვინახა პლატონის ჩვენამდე მოუღწეველი ნათქვამი.

საინტერესო და არსებითი შეხედულება გამოთქვა ამ საკითხზე ვ. ნოზაძემ. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის" ციტატის ზუსტი შესატყვისი პლატონთან არ მოიპოვება, მაგრამ იგი შეესაბამება პლატონის მსოფლმხედველობას. პლატონის თანახმად, ყოველგვარი ბოროტება ხორცისგან მომდინარეობს, შემდეგ კი ხორცთან კავშირში მყოფ სულსაც ავნებს, ასე იბილწება სული გვამისაგან, განიცდის მის ბოროტ გავლენას.

ნ. ნათაძის შეხედულება ასეთია: თუმცა „პლატონის ნაწერებში ეს აზრი არ მოიპოვება, მაგრამ სულის უკვდავებაზე პლატონი ბევრს მსჯელობს („ფედონი") და საიქიო ნაცვალგების პრინციპიც — აზრი, რომ სულის ბედს სიკვდილის შემდეგ განსაზღვრავს ჩვენი ქცევა ამ ცხოვრებაში — ფილოსოფიაში პლატონმა შემოიტანა („თეეტეტი", „სახელმწიფო"). ამდენად, რუსთაველის მიერ პლატონის დამოწმება სწორია. „ხორცის ვნებაში" იგულისხმება ამქვეყნიური უბედურება: სიცრუე ამქვეყნადაც უბედურებას მოგვიტანს".

ბოლოს, მოგვყავს რ. თვარაძის შეხედულება. მისი აზრით, ციტატის წყარო მართლაც პლატონია, თუმცა ამ სახით იგი პლატონთან არა გვხვდება. შესაბამის ადგილებად რ. თვარაძე ასახელებს: „კრიტონი" 47 de" გვიღირს თუ არა უვარგისი და დარღვეული სხეულით ცხოვრება?.. გვიღირს თუ არა ცხოვრება, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც დარღვეულია ის, რასაც უსამართლობა ვნებს, ხოლო სამართლიანობა რგებს?" „გორგია" 524d-525a, სადაც სიცრუითა და უსამართლობით დაიარებული სულის საიქიო განკითხვაზეა ლაპარაკი; „ფედონი 115b, სადაც ნათქვამია, რომ არასწორად ლაპარაკი ვნებს სულს; „ფედონი" 241C („არადა მოუხდება დამორჩილდეს ორგულ, ქირვეულ, შურიან, საძაგელ კაცს, რომელიც სხეულის მდგომარეობისთვისაც მავნეა და კიდევ უფრო მავნეა სულიერი განვითარებისათვის..."); „კანონები" V 780C, სადაც ნათქვამია, რომ ის, ვინც ნებაყოფლობით ცრუობს, „თვითონვე იმზადებს ცხოვრების დასასრულისთვის ძნელ მარტოობას"; „სახელმწიფო" VII 585e, სადაც ნათქვამია, რომ დასახიჩრებულია სული, რომელიც სიცრუისადმი ზიზღის მიუხედავად, მაინც შეიწყნარებს უნებურ სიცრუეს.

აი, ძირითადად, ავთანდილის ანდერძში დამოწმებული ციტატის წარმომავლობის შესახებ გამოთქმული შეხედულებები.

ჩვენი პოზიცია ასეთია:

1. რუსთაველს ციტატა პლატონისეულად მიაჩნდა; წინააღმდეგ შემთხვევაში ციტატის შინაარსი გაუფასურდება. თუ სიცრუე მავნებელია, ავთანდილი შეგნებულად არ იცრუებს — პლატონს ტყუილად არ დაიმოწმებს; მითუმეტეს, რომ ამ შემთხვევაში მის შემდგომ ნათქვამსაც: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა" აზრი დაეკარგება.

გაჭირდება ციტატის შინაარსის, მხოლოდ ანდერძის ტექსტიდან გაგება, მას წყაროს კონტექსტის ცოდნა სჭირდება (რუსთაველი გულისხმობს, რომ იგი ცნობილია მკითხველისთვის).

2. ციტატა ასე გვესმის: სიცრუე და ორპირობა სიცოცხლეშივე ვნებს ადამიანს („ხორცს") და მავნებელია მერეც, სიკვდილის შემდეგ უხორცოდ დარჩენილი სულისთვის.

3. რუსთაველის პოეტური ციტატის სიტყვასიტყვითი გამონათქვამი პლატონის პროზაულ დიალოგებში არ მოიპოვება. ამასთანავე, ვეფხისტყაოსნის ციტატა არის პლატონის ეთიკური პრინციპის ლაკონური და უზუსტესი გამოხატვა. პლატონის ვრცელ დიალოგებში გაბნეული, კამათის პროცესში გაფერმკრთალებული, შინაგანად წინააღმდეგობრივი და მეტისმეტად გრძლად გამოხატული ეს შეხედულება უაღრესად მოკლედ, ნათლად და ადეკვატურად არის გამოთქმული „ვეფხისტყაოსანში".

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ავთანდილის ანდერძის ამ ციტატის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისებიდან ჩვენ ყველაზე უფრო რ. თვარაძის შეხედულებას ვემხრობით. პლატონიდან დამატებითი ციტატების მოტანით, შევეცდებით უფრო დაწვრილებით განვმარტოთ, რას ნიშნავს „ვეფხისტყაოსნის" ამ აფორიზმით გამოხატული აზრი პლატონის ფილოსოფიის თვალსაზრისით.

ერთი შეხედვით, რ. თვარაძის მიერ დამოწმებული ადგილები პლატონის თხზულებებიდან თითქოს საკმარისი საბუთია იმის სათქმელად, რომ პლატონის აზრით, სიცრუე და ორპირობა მისივე ჩამდენს ვნებს, არა მარტო საიქიოში („ავნებს სულსა" — ამ დებულების პლატონურობაში ეჭვი არავის შეეპარება), არამედ სიცოცხლეშიც, ე. ი. ვნებს ხორცს (იხ. ზემოთმოყვანილი ადგილები: „ფედონი" 241C, „კანონები" V 780C, „კრიტონი" 47 de). მაგრამ რას ნიშნავს ხორცის ვნება? როგორ ავხსნათ ის, რომ პლატონისა და რუსთაველის აზრით, სიცრუე სიცოცხლეშივე ვნებს ადამიანს?

წინასწარ ვიტყვით, რომ ვ. ნოზაძის მოსაზრება, ჩვენი აზრით, სინამდვილის მხოლოდ ნახევარს გამოხატავს. მისი შეხედულების თანახმად, როგორც ჩანს, „ვნება" ნაცვალგებას კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ ხრწნას, გაფუჭებას, შებილწვას (ვ. ნოზაძე „მერმე"-ში კაუზალურ დამოკიდებულებას ხედავს, ჩვენ — დროითს). ჩვენი აზრით კი, პლატონი იმის დამტკიცებასაც ცდილობდა (და რუსთაველსაც ეს ჰქონდა მხედველობაში), რომ ბოროტება ადამიანისთვის ზიანის მომტანია სააქაოსაც და საიქიოშიც; ბოროტებისთვის არა მარტო სული ისჯება სიკვდილის შემდეგ (ამ დებულებას თუ საბოლოოდ ვერავინ დაამტკიცებს, უარყოფითაც ხომ ვერ უარყოფს!), არამედ ადამიანი სიცოცხლეშივე განიცდის ვნებას — მატერიალური, ხორციელი თვალსაზრისით.

ნუთუ პლატონი, სოკრატეს ბედის მომსწრე, თვითონაც ცვალებადი ბედის მქონე, რომელსაც კარგის განწირულებაც მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული ჰქონდა, მაინც ამბობდა, რომ ბოროტების ჩამდენი სიცოცხლეშივე დაისჯება?

ჩვენ ვნახავთ, რომ პლატონი ამას მართლაც ამბობდა (კონტრარგუმენტებსაც, რა თქმა უნდა, ითვალისწინებდა) და ამტკიცებდა კიდეც: საქმე ის არის, რომ სიცოცხლეშივე ნაცვალგების პრინციპი უფრო სხვის გასაგონად არის თქმული, იგი განკუთვნილია უსამართლობის ჩამდენისთვის ინ იმისთვის, ვისაც ამ დებულებისა არა სწამს. რადგან სამართლიან, პატიოსან და მართალ კაცს, პლატონი იქნება იგი, სოკრატე თუ ავთანდილი, ეს ეთიკური მცნება არა სჭირდება: მან იცის სიკეთის ფასი და არსი თავისთავად, ნაცვალგების გარეშეც. კარგი კაცისთვის სიკეთის ქმნა თავისთავადვე ჯილდოა და რეალური საფასური — რა ბედიც უნდა ელოდეს ამ კეთილის ქმნისათვის. მაგრამ ყველა ხომ ასე არა ფიქრობს. პლატონის დიალოგები კი, თვითაღსარების გარდა, დიდაქტიკურიც არის; პლატონი მოსაუბრის დარწმუნებას ისახავს მიზნად, ხოლო გვიანდელ პერიოდში („კანონები") საკუთარი შეხედულებების დაკანო-

ბიბლიოთეკა

ნების პრეტენზიაც აქვს. ამიტომ იგი ცდილობს, რომ მისთვის, და ყოველი ზნეობრივი ადამიანისთვის, ცხადი ჭეშმარიტება (ბოროტება მისი ჩამდენისთვის თავისთავად, მომავალი შედეგების მიუხედავად, საზიანოა) სხვისთვისაც, საპირისპიროდ მოაზროვნისთვისაც დამაჯერებელი გახადოს. ამისთვის კი მან, ყველაფრის მიუხედავად, უნდა დაამტკიცოს, რომ უსამართლო კაცის სიცოცხლე უბედურია, რომ ბოროტებას რეალურად, ფიზიკურადაც ბოროტება მოჰყვება.

პლატონის ეს მცდელობა იმთავითვე მარცხისთვის განწირული. როგორ დაასაბუთებ იმას, რასაც ცხოვრება აბათილებს? როგორ დაარწმუნებ ტირანს, რომ ძალმომრეობით მოპოვებული კეთილდღეობა მისივე უბედურებაა? რა გარანტია გაქვს, რომ ხვალ მისი კეთილდღეობა გაქარწყლდება, როგორც სასჯელი უსამართლობისათვის? მაგრამ ამ მცდელობას საფუძვლად უდევს უმაღლესი ზნეობრივი პრინციპი — სიკეთის ღირებულების ისეთი რწმენა, როცა აღარ არსებობს განსხვავება სიკეთის ქმნასა და ანაზღაურებას შორის. ეს შინაგანი კრედო პლატონისა, სხვებისთვის მტკიცების საგნად ქცეული, ლამის სასაცილო და გულუბრყვილო ოპტიმიზმად და შეგონებად იქცა. ასე მთავრდებოდა ყველა ცდა პლატონის იდეალური პრინციპების ხორცშესხმისა და საჯარო და საყოველთაო გაზიარების საგნად მათი ქცევისა...

პლატონის ეთიკა, ისევე როგორც პოლიტიკა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ონტოლოგიასთან. იდეა განსაზღვრავს მისი ამქვეყნიური ასლის თავისებურებას „სამართლიანობა თავისთავად“ (სამართლიანობის იდეა) — კარგია, ამიტომ სამართლიანად ცხოვრებაც კარგი უნდა იყოს. „კარგად ცხოვრებას“ მორალური გაგებაც აქვს და მატერიალურიც, რომლებიც ერთმანეთს შეიძლება არ ეთანხმებოდნენ. პლატონის მიზანია, დაასაბუთოს, რომ სამართლიანი ადამიანი „კარგად ცხოვრობს“. თავად მას, ისევე, როგორც ყველა მართალ კაცს, როგორც ვთქვით, ამ ჭეშმარიტებისა ღრმად სწამს. მაგრამ ურწმუნო ოპონენტის დარწმუნებას იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ მატერიალური კეთილდღეობის გარანტიას დაასაბუთებს. ვნახოთ მისი არგუმენტები „სახელმწიფოში“.

ამ ნაწარმოებში განხილულია სამართლიანობის საკითხი. ერთ-ერთი მოსაუბრე, სოფისტი თრასიმაქე, ამტკიცებს, რომ სამართლიანი ადამიანი, უსამართლოსთან შედარებით, ყოველთვის წაგებულია. სოკრატეს აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. „არა მჯერა და არც ვფიქრობ, რომ უსამართლობა სამართლიანობაზე უფრო მომგებიანია“, ამბობს იგი და ცდილობს ამის დასაბუთებას. იგი დაარწმუნებს თრასიმაქეს, რომ სამართლიანი კაცი ღირსეული და ბრძენია, უსამართლო კი — უვიცი და უღირსი. უსამართლო უთანხმოებაშია საკუთარ თავთანაც და სხვასთანაც და მას მოქმედების უნარი დაკარგული აქვს. ამიტომ, თუ მისი ქმედება შედეგიანი აღმოჩნდა, იგი მთლად უსამართლო არა ყოფილა. შემდეგ სოკრატე ამბობს: „ეხლა კი ის უნდა განვიხილოთ, რისი განხილვაც განვიზრახეთ, კერძოდ, ცხოვრობენ თუ არა სამართლიანები უსამართლოებზე უკეთესად, და არიან თუ არა ისინი უფრო ბედნიერნი. ვფიქრობ, ეს ისედაც ცხადია თქმულიდან. მაგრამ მაინც უკეთესად განვიხილოთ, რადგან სიტყვა ეხება არა შემთხვევითს, არამედ იმას, თუ როგორ ვიცხოვროთ“. სოკრატე ასე მსჯელობს: ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს. თვალების დანიშნულება — ხედვაა. მაგრამ საგანი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, თუ მას ნაკლოვანება აქვს, და არა ღირსება. თვალების ღირსებას მხედველობა წარმოადგენს. თუ თვალს მხედველობა არ უვარგა, იგი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს — ვერ დაინახავს. სულის დანიშნულება არის სიცოცხლე, რომელიც ყოველგვარ სასიცოცხლო მოქმედებას გულისხმობს: მოვლა, მართვა, რჩევა და სხვა. ცუდი, ღირსების არმქონე სული, კარგისგან განსხვავებით, თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს. მაგრამ სულის ღირსებად ხომ სამართლიანობაა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, სამართლიანი კაცი კარგად და ბედნიერად იცხოვრებს, უსამართლო კი — ცუდად.

ასეთი ხელოვნური, შეიძლება ითქვას, სოფისტური მსჯელობით შეეცადა სოკრატე თავისი რწმენის დასაბუთებას. საინტერესოა, რომ თრასიმაქე, თუმცა შინაგანად სოკრატესი არა სწამს, მის ლოგიკას ვერ ეწინააღმდეგება, თვითონ სოკრატე კი თავისი მსჯელობით კმაყოფილი არ არის. იგი თვლის, რომ ნაადრევად შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ რა უფრო მომგებიანია — სამართლიანობა თუ უსამართლობა. უფრო სწორი იქნებოდა, ჯერ გარკვეულიყო, რა არის სამართლიანობა თავისთავად, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია იმისი ცოდნაც, „წარმოადგენს იგი ღირსებას თუ არა, და ბედნიერია თუ არა ის, ვინც მას ფლობს“.

სოკრატე სამართლიანობას იმ სახის სიკეთედ მიიჩნევს, რომელიც კარგია თავისთავადაც და შედეგითაც. ერთ-ერთი თანამოსაუბრე, გლავკონი, არკვევს, რა არის სამართლიანობა თავისთავად. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ვიცოდეთ, ვინ ცხოვრობს უკეთესად — სამართლიანი ადამიანი თუ უსამართლო. გლავკონს სჯერა, რომ სამართლიანი უკეთ ცხოვრობს, მაგრამ იგი დაბნეულია, რადგან ყველა საწინააღმდეგოს ამტკიცებს: ამიტომაც სურს გაიგოს, რა არის სამართლიანობა თავისთავად.

იწყება დიდი მსჯელობა სამართლიანობის შესახებ. განიხილება სამართლიანობის საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოსთან მიმართებით. ბოლოს სოკრატე და მისი თანამოსაუბრეები ასკვნიან: ღმერთი სამართლიანი კაცისათვის მუდამ ზრუნავს. სამართლიანთა საქციელი, მათთან ურთიერთობა და მათი ცხოვრების წესი, ბოლოს და ბოლოს, პატივისცემას დაიმსახურებს; სამართლიანობისთვის ჯილდო კი სწორედ ეს არის.

ასე რომ, თუმცა სოკრატეს ღრმად სწამს, რომ სამართლიან ადამიანთა სიცოცხლე უსამართლოთა სიცოცხლეზე უკეთესია და უფრო მომგებიანი, იგი ამ დებულებას სრული დამაჯერებლობით ვერ ასაბუთებს. მიუხედავად ამისა, „კანონებში“ პლატონი ამ ეთიკური პრინციპის დაკანონებას შეეცდება. აქ იგი განაცხადებს, რომ შეხედულება, რომლის თანახმად სამართლიანობა სასარგებლოა და სასიამოვნო, უსამართლობა კი მავნე, მისი არარეალურობის შემთხვევაშიც, უნდა დაკანონდეს და ჩაენერგოს მოქალაქეებს. ამისთვის კი სიამოვნება სამართლიანობასთან უნდა გაიგივდეს.

„კანონების“ მოქმედი პირის, ათენელი სტუმრის აზრით, პოეტებმა უნდა წერონ იმის შესახებ, რომ სამართლიანი ადამიანი ბედნიერია, უსამართლო კი უბედური. უსამართლო კაცის ყოველგვარი უპირატესობა მასვე ავნებს, იგი მუდამ საცოდავია და მისი სიცოცხლე სამარცხვინოა. მაგრამ უსამართლო ადამიანის სიცოცხლე რომ ცუდიც არის, ეს ნათქვამი მსმენელთა ეჭვს გამოიწვევს. „როგორ შეიძლება ამას დავეთანხმოთ?!“ — იკითხავს გაკვირვებული კლინიასი“. — ეტყობა, შეიძლება, თუ ღმერთი, მეგობრებო, გარკვეულ თანხმობას გვარგუნებს; ეხლა ხომ ჩვენ საკმაო უთანხმოება გვაქვს. მე კი ეს ბევრად უფრო აუცილებლად და ცხადად მეჩვენება, ვიდრე ის, რომ კრეტა კუნძულია. მე რომ კანონმდებელი ვიყო, ვაიძულებდი პოეტებსა და, საერთოდ, ყველა მოქალაქეს, რომ სწორედ ასე ილაპარაკონ. ლამის ყველაზე დიდ სასჯელს დავაწესებდი იმისათვის, ვინც ამბობს, ვითომ ამქვეყნად კაცის ცხოვრება შეიძლება სასიამოვნო იყოს, თუმცა ცუდი, და ვითომ, ერთის მხრივ, სასარგებლო და გამოსადეგი ერთია, ხოლო სამართლიანი — სხვა არის“.

ათენელი სტუმრის აზრით, შეხედულება, რომლის თანახმად სამართლიანობა ბედნიერებაც არის, მომგებიანია: მას „ის უპირატესობა მაინც აქვს, რომ არწმუნებს თვითეულ ადამიანს ქველი და სამართლიანი სიცოცხლე ინატროს“. ათენელს მიაჩნია, რომ კანონმდებელი სწორედ ამგვარ შეხედულებას უნდა გამოხატავდეს და აკანონებდეს.

ბოლოს კლინიასი დაეთანხმება ათენელს, რომ უსამართლოდ ცხოვრება არა მარტო მეტად სამარცხვინო და ცუდია, არამედ მართლაც უფრო უსიამოვნოა, ვიდრე სამართლიანი და ქველი სიცოცხლე. მაგრამ „ასეც რომ არ ყოფილიყო, — ამბობს ათენელი, — რისი შესაძლებლობაც წელანდელმა მსჯელობამ დაგვანახა, კანონმდებელი, თუ ის ოდნავ მაინც ვარგისია, მაინც ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ გაბედავს და ტყუილს იტყვის. და განა სხვა ტყუილი უფრო სასარგებლო იქნება იმ ტყუილზე, რომელიც ნებით, და არა ძალდატანებით აიძულებს კაცს ყოველთვის კარგი საქმე აკეთოს“.[1]

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმს და, საერთოდ, ავთანდილის ანდერძის კონტექსტს, ყველაზე მეტად, ალბათ, პლატონის წერილები შეესაბამება; აქ საგანგებო საუბრები ეძღვნება მეგობრის ღალატს, სიცრუესა და ორპირობას.

ტირან დიონისიოსს, რომელიც პლატონს უსამართლოდ მოექცა, პლატონი პირველ წერილში აფრთხილებს, რომ უსამართლო ტირანი ბოლოს უმეგობროდ, მარტო დარჩება და საქმეც ცუდად წაუვა.

პლატონის წერილები ავთანდილის ანდერძის სხვა აფორიზმებსაც შეესაბამება. მეორე წერილში პლატონი აღნიშნავს: ღირსეული ადამიანები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათი სახელი კარგად მოიგონონ („სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“.

მესამე წერილში პლატონი მოაგონებს დიონისიოსს, რომელიც ცუდად მოექცა პლატონის მეგობარ დიონს და გააძევა იგი სიცილიიდან, რომ ამის შედეგად იგი მარტო დარჩა, ბევრი უღირსი ადამიანით გარემოცული. ამავე წერილში პლატონი დიონისიოსის სიცრუესა და ორპირობაზე მიუთითებს და ამბობს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდა დიონს, რომელსაც დიონისიოსი ძალიან ცუდად მოექცა („რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა, მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა“). არ უღალატებდა დიონისიოსის გულისთვის და ფულის გამო, („ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა“).

არაფერი ისე არ უშველის ადამიანს, როგორც მხარდამჭერა ერთგული და სადად მოაზროვნე მეგობრებისა. კეთილი განწყობით ბევრ რამეს შეიძლება მიაღწიო. ქედმაღლობის თანამგზავრი კი მარტოობაა („არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“).

[1] მკითხველი დაეჭვდება: როგორ შეესაბამება ეს ნათქვამი ავთანდილის აფორიზმს სიცრუის მავნებლობლობის შესახებ? მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს „ტყუილი“, რომლის თანახმად სამართლიანი სიცოცხლე უკეთესია, უსამართლო კი — ცუდია, სოკრატესა და პლატონის რწმენით, როგორც ვთქვით, ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ტყუილად კი იგი სხვებისთვის, ურწმუნოთათვის, სხვაგვარი ზნეობის მქონეთათვის დასაბუთების დროს გამოჩნდება. ამიტომ ეს პრინციპი თავისი არსით (და არა გამოვლენით) ტყუილი არ არის და ამდენად, იგი არც ავთანდილის ანდერძის ციტატის ეწინააღმდეგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე წერილში პლატონი წერს: დიონისიოსი სამართლიანი რომ ყოფილიყო, როგორც მისი, ისე სხვა სიცილიელთა ყოფაც გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა. სამართლიან საქმეში მეგობარს უნდა დაეხმარო და ზორი გზის მომიზეზება („ზორი გზაც" ავთანდილის ანდერძის კონტექსტს ეხმიანება) ვერ გიშველის, ვერ გიხსნის საზოგადოებრივი შეზღუდულებისგან. დიონისიოსმა მთელ სიცილიას ერთ ქალაქში მოუყარა თავი, იგი მეტისმეტად ცბიერი იყო, რომ ვინმეს მინდობოდა, და ამიტომაც, ერთგულ ადამიანებსა და მეგობრებს მოკლებული, გაჭირვებით ინარჩუნებდა ძალაუფლებას.

დიონის მეგობრებს კი პლატონი ასე მიმართავს: „დამიჯერეთ, ზევსის გულისთვის (...) და, გარდა ამისა, შეხედეთ დიონისიოსსა და დიონს, რომელთაგან ერთი არ მიჯერებდა და ეხლა, თუმცა ცხოვრობს, მაგრამ ცხოვრობს ცუდად, მეორე კი, რომელიც მიჯერებდა, სახელოვანი სიკვდილით მოკვდა. ვნება განიცადო საქმისთვის, რომელიც კარგია შენთვის და სახელმწიფოსთვის, სავსებით სწორი და მშვენიერი რამ არის (...) ბოროტება და სიკეთე უმნიშვნელოა უსულოთათვის, მაგრამ მნიშვნელოვანია ყოველი სულისთვის, იქნება ის სხეულთან ერთად თუ ცალკე. მართლაც და, მუდამ უნდა გვჯეროდეს ძველი და წმინდა სიტყვებისა, რომელთა თანახმად ჩვენი სული უკვდავია და უდიდეს სამსჯავროსა და საზღაურს განიცდის, როცა სხეულისგან განთავისუფლდება. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი წყენისა და უსამართლობის დათმენა უფრო მცირე ბოროტებაა, ვიდრე მათი ჩადენა (...). უსამართლობას უდიდესი ბოროტება მოჰყვება. უსამართლობის ჩამდენი აუცილებლად თან ზიდავს ბოროტებას, სანამ მიწაზე ცხოვრობს, და ქვესკნელში დაბრუნებულსაც, უღირსი და ყოვლად სამარცხვინო ხეტიალი მოუწევს".

მერვე წერილში პლატონი ლაპარაკობს სიცილიის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელიც მას ტირანული მმართველობის გამო დაატყდა თავს. ყველა სიცილიელი გასაჭირში აღმოჩნდა, კეთილნიცა და ბოროტისმყოფელნიც. „ძალიან ძნელია სხვას ბევრი ბოროტება გაუკეთო ისე, რომ თვითონვე იგივე არ დაითმინო", ასკვნის პლატონი.

ამ რწმენის შინაარსი „სოკრატეს აპოლოგიაშიც" გამოვლინდა. მსჯავრდადებული სოკრატე უმტკიცებდა ათენელებს, რომ მათ მიერ სოკრატეს უსამართლოდ გაწირვა მათვე ავნებთ, რადგან: 1. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ ათენელებს აღარ ექნებათ სულიერი მოძღვარი და დარჩენილ სიცოცხლეს ისინი ძილში გალევენ. სოკრატე ამბობდა, რომ იგი თავისი თავისთვის კი არა, ათენელთა გულისთვის იცავდა თავს, რომ მათ, მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ, მისი სახით არ დაეკარგათ დიდი საჩუქარი, რომელიც ღმერთმა უბოძათ. 2. სოკრატეს სიკვდილის შემდეგ მის ბრალმდებლებს ბევრი მამხილებელი და მაგინებელი გამოუჩნდება, ქალაქის მტრები მათ დაბრალებენ სოკრატეს, ბრძენი კაცის, სიკვდილს. სოკრატე აფრთხილებს თავის მკვლელებს: „ჩემი სიკვდილის შემდეგ თქვენ, ვფიცავ ზევსი, უფრო საშინელი შურისძიება მოგელით, ვიდრე ის, რომლითაც მე მომკალით. თქვენ ეხლა ფიქრობთ, რომ მხილებას გადაურჩით, მაგრამ გაფრთხილებთ, პირიქით მოხდება: თქვენ მეტი მამხილებელი და მაგინებელი გეყოლებათ, რადგან დღემდე მათ მე ვაკავებდი".

და კიდევ ერთი ნათქვამი სოკრატესი, რომლის თანახმად, სიკეთის ანაზღაურება, წესისამებრ, სიცოცხლეშივე უნდა მოხდეს, რადგან იდეალური, თავისთავად ღირებული სიკეთე განსაზღვრავს მატერიალურ კეთილდღეობას და არა პირიქით: სოკრატეს აზრით, ადამიანმა ხორცზე და ფულზე მეტად, საერთოდ, ყველაფერზე მეტად, სული უნდა დააფასოს და მისი დახვეწისთვის იზრუნოს, რადგან „არა ფულისგან წარმოიქმნება სიკეთე, არამედ სიკეთისაგან აქვთ ადამიანებს ფული და სხვა ყოველგვარი სიმდიდრე, როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში".

სოკრატე დარწმუნებულია, რომ უსამართლობა აუცილებლად ზიანს მოუტანს მის ჩამდენს. თუ უდანაშაულო სოკრატე თავის თავს უსამართლოდ გაძევებას მიუსჯიდა, ეს მისთვისვე იქნებოდა საზიანო, — ამბობს იგი „აპოლოგიაში", — ხოლო როცა მისი მოწაფე და მეგობარი კრიტონი შეეცადა, დაერწმუნებინა სიკვდილმისჯილი სოკრატე, ციხიდან გაპარულიყო, სოკრატემ დაუმტკიცა, რომ გაპარვით იგი კანონს დაარღვევდა, უსამართლობას ჩაიდენდა და ამით თავისივე თავსა და თავის ახლობლებს ავნებდა. მის ახლობლებს გაძევება და ქონების ჩამორთმევა ემუქრებოდა, სოკრატეს კი, როგორც კანონის დამრღვევს, უცხოეთში მტრად მიიღებდნენ და მისი გაპარვის ამბავს რომ გაიგებდნენ, მასხრადაც აიგდებდნენ, ამიტომ კანონების პირით სოკრატე ასე მიმართავს თავის თავს: „მაშ დაგვიჯერე, სოკრატე, ყურად იღე შენი აღმზრდელების რჩევა და ნურაფერს დააყენებ სამართლიანობაზე მაღლა — ნურც შვილებს, ნურც სიცოცხლესა და ნურც სხვა რამეს, რათა ჰადესს ჩასულმა ამით იმართლო თავი იქაურ მსაჯულთა წინაშე. რადგან შენი განზრახვის აღსრულება, სოკრატე, არც სამართლიანობად ჩაითვლება, არც საღმრთო საქმედ და სასიკეთოს არაფერს გიქადით არც შენ და არც შენ ახლობლებს აქ, და არც იქ ჩასულს დაგადგება კარგი დღე. მაგრამ თუ საპყრობილედან გაიქცევი, და ასე სამარცხვინოდ მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებ სანაცვლოს უსამართლობას — უსამართლობით, ბოროტებას — ბოროტებით, გატეხ აღთქმას, დაარღვევ ჩვენს შეთანხმებას და ბოროტმოქმედებით შებილწავ სწორედ იმათ, ვის მიმართაც ყველაზე ნაკლებ გმართებს ბოროტების ჩადენა, — შენს თავს, მეგობრებს, სამშობლოს, კანონებს, — ჩვენ შეგრისხავთ ამ სიცოცხლეში და არც იმქვეყნად შეგიწყნარებენ ჩვენი ძმები — ჰადესის კანონები".

სოკრატე „გორგიაშიც" ამტკიცებდა, რომ ღირსეული და პატიოსანი ადამიანები ბედნიერნი არიან, უსამართლონი და უკეთურნი კი — უბედურნი. თუმცა არ გამორიცხავდა იმას, რომ ბოროტი ადამიანი შეიძლება დაუსჯელი დარჩეს.

ეს არის, ძირითადად, ის ტექსტები პლატონიდან, რომლებიც, ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის" აფორიზმის „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" პირველ ნაწილში იგულისხმება (სულის ვნების საკითხი პლატონთან, როგორც ვთქვით, სადავო არ ყოფილა). პლატონისა და რუსთაველის რწმენით, სიცრუე მისივე მქმნელისთვის არის საზიანო; საზიანოა, უდავოდ, მორალური თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, როგორ ცდილობდა პლატონი მეტი დამაჯერებლობისთვის ფიზიკური, მატერიალური ზიანის დასაბუთებასაც: ცრუ და ორპირი ტირანის მარტოობა, უმეგობრობა სიბერეში („წერილები"); უსამართლო კაცის სისუსტე და მოქმედების უუნარობა („სახელმწიფო"); იმპერატივი მოქალაქეთა შეგნებაში სიამოვნების სიქველესთან გაიგივებისა („კანონები"); კანონის დამრღვევის უსახლკარო ხეტიალი სამშობლოს საზღვრებს გარეთ და მისი ოჯახის გაჭირვება („კრიტონი"); ცილისმწამებელთა მოსალოდნელი განკითხვა თანამოქალაქეთაგან და ქალაქის მტრებისაგან („სოკრატეს აპოლოგია"). პლატონის ონტოლოგიის თანახმად, მატერიალური ვითარება იდეალურის ხატია. იმქვეყნიური სიქველე სიკეთის იდეის ახლოა, ამიტომ იგიც ყოველმხრივ დადებითი უნდა იყოს — როგორც არსით, ასევე შედეგით.

აი, ამ ონტოლოგიურ წანამძღვარს ჩაეჭიდებოდა ხოლმე პლატონი, როცა სკეპტიკოსებისთვის სიკეთის მნიშვნელობის, მისი პრაგმატული ღირებულების დამტკიცება უნდოდა. ამ დროს პლატონს თითქოს ავიწყდებოდა, რომ მატერიალური ვითარება იდეის, არსის *არასრულყოფილი* ასახვაა: იდეა ერთიანია და თავისი თავის იგივეობრივია, ამქვეყნიური საგანი თუ მოვლენა კი სხვას — საპირისპიროსაც შეიძლება ჰგუობდეს: სულს, როგორც სიცოცხლის იდეას, სიკვდილი არ ეხება, მაგრამ ადამიანი, სულდგმული არსება, მოკვდავიც არის („ფედონი"); იდეალური წრე წმინდა სიმრგვალეა, დახატული წრე კი, წრიულობასთან ერთად, სწორხაზოვნებასაც შეიცავს. იგივე უნდა ითქვას სამართლიანობის შესახებ: მისი ამქვეყნიური გამოვლინება, სამართლიანობის იდეით განპირობებულ სიკეთესთან ერთად, უარყოფით მხარესაც შეიძლება შეიცავდეს: შედეგის თვალსაზრისით ის შეიძლება მომგებიანი არ იყოს... პლატონმა ეს ჭეშმარიტებაც მშვენივრად იცოდა და გულწრფელობის ჟამს აღიარებდა კიდეც მას. ამიტომ თქვა სოკრატემ „აპოლოგიაში", რომ ცილისწამებამ და შურმა „ბევრი კარგი ადამიანი დაღუპა და ალბათ, კვლავაც დაღუპავს". ამიტომ ეპარება მას ეჭვი, რომ დამაჯერებლად ვერ დაუსაბუთა თრასიმაქეს სამართლიანი საქციელის მომგებიანობა; ამიტომ აღიარებს ათენელი სტუმარი „კანონებში", რომ გამორიცხული არ არის უსამართლო ცხოვრება სიამოვნებას მოკლებული არ იყოს. თუმცა თვითონ ამის საწინააღმდეგო დებულებისა სწამს, ამტკიცებს მას და მის დაკანონებას მოითხოვს; „კანონთა" დამატებაში კი („ეპინომისი") პლატონი ათენელი სტუმრის პირით კიდევ უფრო გულწრფელად იტყვის, რომ, როგორც ჩანს, ადამიანებს, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, სიცოცხლეში ბედნიერება არ უწერიათ, მაგრამ ნუგეშად სიცოცხლეში ჩადენილი სიკეთისათვის მათ საიქიო ბედნიერების იმედი რჩებათ.

ასეთია წინააღმდეგობებით აღსავსე — დაპირისპირებულთა ერთიანობაში განხორციელებული მატერიალური სინამდვილე. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანშიც" „ხორცის ვნების" შესახებ აფორიზმი არ გამორიცხავს ავთანდილის დაღუპვის შესაძლებლობას, მაგრამ, პლატონის თანახმად, ადამიანის ქცევა ამ ცხოვრებაში გონებით უნდა წარიმართებოდეს (ეს არის პლატონის ეთიკის ინტელექტუალიზმი), ხოლო გონება თავისი თავის იგივეობრივი, არაწინააღმდეგობრივი იდეისკენ უნდა იყოს მიმართული. ბრძენმა იცის, რომ სამართლიანობა კარგია, რადგან სამართლიანობის იდეა სიქველეა. ამიტომ სამართლიანი საქციელიც ყოველმხრივ კარგი უნდა იყოს. ამიტომ ამბობს ავთანდილი: „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა", იმოწმებს პლატონს და განაგრძობს: „არა ვიქმ, ცოდნა რას მორგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა".

მართლაც თუკი ვიცით (რუსთაველმა, ავთანდილმა, როსტევანმა და მკითხველმა), რომ, პლატონის თანახმად, სიცრუე ყოველმხრივ საზიანოა და მაინც ვიცრუებთ და პირობას გავტეხთ, რაღა აზრი აქვს „ფილოსოფოსთა ბრძნობის" ცოდნას? პლატონთან, როგორც ვთქვით, ონტოლოგია (იდეები — საგანთა არსები) განსაზღვრავს გნოსეოლოგიას (შემეცნება იდეათა წვდომისკენ — „ზესთ მწყობრთა წყობისკენ" ისწრაფვის), გნოსეოლოგია კი — ეთიკას: საგანთა არსის წვდომა, პლატონის აზრით, სწორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქციელის საფუძველიც არის. ამიტომ იმეორებს იგი თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში, რომ მცოდნე კაცი ბოროტებას არ ჩაიდენს, შეგნებულად არ შესცოდავს, პლატონს სწამდა, რომ სწავლა-განათლებით, ახსნა-განმარტებითა და დარწმუნებით ღირსეული მოქალაქისა და მმართველის ჩამოყალიბება შეიძლებოდა.

„ხორცის ვნება“ „ვეფხისტყაოსანში“, განსხვავებით პლატონის თხზულებებისგან, განმარტებული არ არის. მეტიც: ეს დებულება თითქოს ეწინააღმდეგება კიდეც „ანდერძის“ კონტექსტს, სადაც, როგორც ვთქვით, ავთანდილის მოსალოდნელ დალუპვაზეა ლაპარაკი. პოეტური ნაწარმოებისთვის შეუფერებელი იქნებოდა ამ აფორიზმის ვრცლად განმარტება, მისი წინააღმდეგობრივი ბუნების ჩვენება — ყოველივე ის, რაც პლატონის პროზაულ დიალოგებსა და წერილებშია მოცემული და რაც ლაკონური ფორმულის სახით რუსთაველმა გამოხატა შესაბამის წყაროზე მითითებით. წყაროს ცოდნის გარეშე აფორიზმი შეიძლება გაუგებარიც იყოს მკითხველისთვის. რუსთაველი გულისხმობს, რომ მკითხველმა იცის წყაროს კონტექსტი ან, თუ არ იცის — შეუძლია ჩახედოს და დააზუსტოს. იგივე უნდა ითქვას რომსტევანზეც: პლატონის ავტორიტეტის ფიქციურად დამოწმების შემთხვევაში ავთანდილის ანდერძს აზრი და დამაჯერებლობა დაეკარგებოდა.

...კეთილი საქმე მისი მქმნელისთვის მუდამ სიკეთის მომტანია — ასეთია პლატონისა და რუსთაველის ეთიკური მრწამსი. მისი დასაბუთება საპირისპირო რეალობის გათვალისწინებასაც საჭიროებს და მის გადალახვასაც. განსჯის დონეზე მხოლოდ პირველი რამ არის შესაძლებელი. დაპირისპირებულობის გადალახვა (ე. ი. ამ შემთხვევაში იმისი დამტკიცება, რომ სიკეთე ყოველმხრივ სასიკეთოა კეთილისმყოფელისათვის) იდეალური, აბსოლუტური ჭეშმარიტების სფეროში გადასვლას მოასწავებს, რომელსაც ამქვეყნიური არასრულყოფილება არ ეკარება. განსჯით, ლოგიკით სხვისთვის ამის გაგებინება, სრული დამაჯერებლობით დასაბუთება შეუძლებელია. ეს ის სფეროა, რომელზეც მხოლოდ მინიშნება შეიძლება, წერილობითი ხერხებით მისი სრული გამოხატვა შეუძლებელია, რადგან პლატონის თქმით, ამ დროს დამწერისთვის თითქოს „არა ღმერთებს, არამედ ადამიანებს წარუტაციათ გონება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამსონ ფირცხალავა

# ემიგრანტული წერილები

XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ცნობილ პუბლიცისტსა და ჟურნალისტს სამსონ ფირცხალავას (1872-1952).

...მათხოჯში დაბადებულმა ყმაწვილმა ხონის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც დაასრულა 1893 წელს. უმაღლესი განათლების მისაღებად ს. ფირცხალავა პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ იგი მეგობრობდა მაშინდელ სტუდენტებთან — ივანე ჯავახიშვილთან, ზურაბ ავალიშვილთან, ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან, არჩილ ჯორჯაძესთან, გრიგოლ რცხილაძესთან... პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს სამსონ ფირცხალავა ედგა სათავეში. როგორც ირკვევა, მისი მონაწილეობით არის შედგენილი 1897 წელს, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ცნობილი წერილი ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლისადმი საბერძნეთის განსათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობის განზრახვის თაობაზე.

1898 წელს ს. ფირცხალავამ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. მსახურობდა ქუთაისსა და ჭიათურაში, ხოლო 1901 წელს თბილისში გადმოვიდა და „ივერიის" რედაქციაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე გადავიდა გაზეთ „ცნობის ფურცელში". იგი ფსევდონიმებით „კალამი" და „სიტყვა" წერდა საკვირაო ფელეტონს და პუბლიცისტურ წერილებს.

სამსონ ფირცხალავა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი და ლიდერია. ამიტომაც იყო, რომ იგი ასე აქტიურად თანამშრომლობდა „ცნობის ფურცელში", რომელიც 1902 წლიდან სოც-ფედერალისტთა პარტიის ორგანო გახდა. 1906 წელს დაარსდა გაზეთი „გლეხი", რომლის ფაქტობრივი რედაქტორი ს. ფირცხალავა გახლდათ. მომდევნო წლებში გამოვიდა ახალი პერიოდული ორგანოები — „მიწა", „მზე" და „ფასკუნჯი", რომლის რედაქტორ-გამომცემელი ასევე ს. ფირცხალავა იყო.

1902 წლიდან ს. ფირცხალავა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრია და 1910 წლამდე მისი მდივანიც.

1907 წელს ს. ფირცხალავამ გ. სალარიძესთან ერთად შეადგინა და გამოსცა დიდად საინტერესო კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

1910-13 წლებში ს. ფირცხალავა ტვერში გადაასახლეს, იქედან დაბრუნების შემდეგ გამოსცა კრებული „გვირგვინი", თანამშრომლობდა „სახალხო გაზეთში", ხოლო 1917-21 წლებში ხელმძღვანელობდა გაზეთ „სახალხო საქმეს".

ს. ფირცხალავას, როგორც რედაქტორ-გამომცემლის გვირგვინად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რომელმაც 1922 წელს იხილა მზის სინათლე (უფრო ვრცლად იხ. ლ. ნანიტაშვილი, სამსონ ფირცხალავა, წიგნში: ქართული წიგნის ამაგდარნი, თბ., 1985, გვ. 119-157; მისივე, წერილები, თბ., 1981, გვ. 53-70; შდრ. გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947, №№ 33, 64, 69, 143, 212, 354; უ. სიდამონიძე, სამსონ ფირცხალავა, ქსე, X).

ემიგრაციაში წასვლამდე ს. ფირცხალავამ საქართველოში რამდენიმე საკუთარი წიგნის გამოცემაც მოასწრო, კერძოდ, „სამაჰმადიანო საქართველო ან ძველი მესხეთი", ტფ., 1915 და „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება", ტფ., 1918.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში სამსონ ფირცხალავა სხვადასხვა დროს იყო სოც.-ფედ. პარტიისაგან ეროვნული კრების წევრი, დამფუძნებელი კრების წევრი. მან სხვებთან ერთად ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს 1918 წლის 26 მაისს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ს. ფირცხალავა საფრანგეთში გაიხიზნა, სადაც განაგრძობდა პუბლიცისტურ და პოლიტიკურ საქმიანობას. მის წერილებს ვხვდებით პარიზში გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალ გაზეთ „სახალხო საქმე“-ში (გამოცემა უცხოეთში მყოფ სოციალ-ფედერალისტების კომიტეტისა), რომელთაგან აღვნიშნავთ ზოგიერთს: წარსული და მომავალი, „სახალხო საქმე“, პარიზი, 1927, თებერვალი; სიტყვა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას მისი დაბადების 50 წლისთავზე წარმოთქმული, „სახალხო საქმე“, 1928, მაისი; გიორგი ლასხიშვილი, „სახალხო საქმე“, 1932, აპრილი; რისთვის ვიბრძოდით, რისთვის გვებრძოდნენ, „სახალხო საქმე“, 1935, მაისი და სხვ.

ს. ფირცხალავა უცხოეთში აქვეყნებდა პოლიტიკური და მეცნიერული ხასიათის წიგნებსაც: კერძოდ, „ამბავთა და საქმეთა მოლოდინში“, პარიზი, 1935; „ისტორიული ლანდები“, პარიზი, 1934; „თამარ მეფე“, პარიზი, 1939; „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში“, პარიზი, 1947.

ემიგრაციაში ყოფნის წლებში ს. ფირცხალავა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა: იგი თავის ერთგულ პარტიულ ამხანაგთან — ფილიპე შარაძესთან ერთად, ქართულ ენასა და ლიტერატურას, მშობლიურ ისტორიას ასწავლიდა და აყვარებდა საფრანგეთში დაბადებულ ახალ ქართულ თაობას. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ სამშობლოში დაბრუნების წინ, 1948 წლის იანვარში, დაწერილი სამსონ ფირცხალავას „ჩემს მოწაფეებს!“, რომელიც მიმართულია უცხო მხარეში დარჩენილ ქართველ ახალგაზრდობისადმი:

„ჩემო საყვარელო მოწაფეებო, სამშობლოს დაშორებულო პატარა ქართველებო! გტოვებთ — მივდივარ, ვბრუნდები საქართველოში, და გული მეწვის, ცრემლები მადგება თვალებზე, რომ თქვენ გშორდებით, ჩემს საუკეთესო მეგობრებს, რომლებიც იმდენს გამახარებდით და მასიამოვნებდით თქვენის მადლით და სიკეთით...

მშობლიური, მზრუნველი გულით გადევნებდით თვალ-ყურს და ხალისით გასწავლიდით ქართულის წერა-კითხვას, გიამბობდით საქართველოს ამბებს, აგიწერდით მის სილამაზეს, თავგადასავალს, ჩაგინერგავდით მის სიყვარულს და პატივისცემას.

ვუცქერდი თქვენს შექცევას — თამაშს, ცელქობას, ვარჯიშობას, ცეკვას, სიმღერას; და თვალწინ გადამეშლებოდა საქართველოს სიტურფე და სიდიადე. თქვენს მიხვრა-მოხვრაში, გამომეტყველებაში ვხედავდი ქართველ ხალხს ძლიერი სულით და კეთილი გულით, მუდამ მხნეს, გაუტეხელს, ერთგულს; თქვენი ხმა — ეს შორი საქართველოდან მოსული ხმა იყო, თქვენი ღიმილი — ჩვენი მშობელი ქვეყნის სიხარული, თქვენი დუმილი და დაფიქრება — მისი, საქართველოს, მრავალჭირნახულის, ნაღველი; თქვენს სახეზე იხატებოდა მთელი საქართველოს ბუნება — მქუხარე მდინარეები, მაღალი კლდოვანი მთები, დაბურული ტყეები, ამწვანებული, ვარდ-ყვავილებით მოქარგული ველები, ბაღ-ვენახები, ყანები.

და თქვენს შემყურეს მომძლავრებულად ამიტოკდებოდა გული, თქვენით გამხნევებულს მავიწყდებოდა ჩემი ჭირი და სიმწარე და იმედით შევყურებდი მომავალს...

ფხიზლად ვუკვირდებოდი ყველაფერს, რაც ჰბორკავდა თქვენს ქართულს სულს, ქართულს შეგნებას და ვამხილებდი იმ მშობლებს, რომლებიც არ ცდილობდნენ შვილების ქართველებად აღზრდას.

გამახარებდა იმ ქართველ ოჯახებში მისვლა, სადაც შეგხვდებოდით თქვენ, ქართველ ბავშვებს, ქართულად გაზრდილებს, ტკბილი ქართულით მოლაპარაკეებს...

ასე ვიყავი მუდამ თქვენი მოსიყვარულე, თქვენი მასწავლებელი, თქვენზე ვფიქრობდი, გავიხარებდი მუშაობით თქვენთვის.

და დღეს გტოვებთ, გშორდებით, მეტად მწარეა ეს ჩემთვის და ჩემი გული სანახევროდ თქვენთან რჩება.

ჩემო საყვარელო, საიმედო რამინ და თამაზ, გოგი და თამარ, გურამ და ჯიბო, ნუცა, შალიკო და ეთერ, ციალა და თეო, კუკური — ვასო, როსტომ და ელიკო, ეთერ და კიდევ ეთერ, დიკა და ზურაბ, რეზიკო და ნათელა, რუსუდან და კიდევ რუსუდან, თინა, ტიტი, ანდრო, ტამი, ინეს, მიშელ და დომინიკ, და თქვენც, პატარა ჩიტუნებო — გივი, გუნანა, გულიკო და ოთარ, რომლებიც ემზადებოდით ქართული წერა-კითხვის სასწავლებლად და ხშირად მეჭიკჭიკებოდით: „დედა ენა უნდა ვისწავლოთო“, და თქვენც სხვებო, რომელთაც ხანდახან შეგხვდებოდით, ყველას, ყველას, ყველას გემუდარებოდით: იყავით მუდამ ქართველები, ისწავლეთ კარგად ქართული, გაიცანით ფართოდ საქართველო, მისი ისტორია, მწერლობა, ხელოვნება; გიყვარდეთ ძლიერ ქართველი ხალხი, მისი ათას და ათასი წლების ცხოვრება გმირული ბრძოლაა თავისუფლებისა და ღირსებისათვის, იგი ვერ გატეხა ვერავითარმა ჭირმა და განსაცდელმა და დღემდის ცოცხლობს მხნედ და მაგრად.

თქვენი გული მუდამ საქართველოსთვის უნდა სცემდეს, თქვენი თვალები სულ საქართველოსკენ უნდა იცქირებოდეს: თქვენი ბედნიერება იქაა მხოლოდ. რაც უნდა დაწინაურდეთ აქ, უცხოეთში, არასოდეს იქნებით ბედნიერები. აქაური ცხოვრება არ შეგითვისებთ. უნდა დაუბრუნდეთ სამშობლოს ადრე თუ გვიან. იგი მიგიღებთ სიყვარულით, გულით, ალერსით.

იმუშავეთ ბეჯითად. გახდით კარგი ადამიანები, მცოდნენი, სხვა და სხვა საქმის სპეციალისტები, მეცნიერებიც და მთელი თქვენი ცოდნა, გამოცდილება, ნიჭი და ძალა მიუტანეთ სამშობლოს და თავდადებით ემსახურეთ მის ამაღლებას, განათლებას, გამდიდრებას...

ჩაიბეჭდეთ თქვენს წმინდა გულში ეს ჩემი ვედრება — ანდერძი და ნუ დაივიწყებთ თქვენს მასწავლებელს „ბიძია სამსონს". მშვიდობით! ჩაგიკრავთ ყველას გულში და მხურვალედ გაკოცებთ.

იყავით მუდამ ქართველები, გიყვარდეთ საქართველო, საქართველო — ჩვენი სამშობლო!

სამსონ ფირცხალავა,

1948. იანვარი".

...რა იცოდა სამშობლოსკენ სიხარულით და იმედებით მომავალმა 80 წელს მიღწეულმა მოხუცმა, რომ სულ რაღაც ოთხ წელიწადში, შუა აზიაში გადასახლების გზას გაუყენებდნენ და იქ ამოხდებოდა ტანჯული სული!..

გურამ შარაძე

---

## ოცდახუთი წლის შემდეგ

წელს შესრულდა ოცდახუთი წელიწადი, რაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები ჩვენი პარტიის საფუძვლების ჩასაყრელად. 1801 წ. სექტემბერში ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა და რუსის ოფიციალურმა წრეებმა დიდის ზეიმით იდღესასწაულეს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავი. ამის გამო ჩვენი ინტელიგენციის ჯგუფმა ა. ჯორჯაძის მეთაურობით ჰექტოგრაფით დაბეჭდილი პროკლამაციები გამოსცა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ქართველ ხალხს, გონს მოსულიყო, შეეგნო თავისი ეროვნული უფლებანი და დაეწყო ბრძოლა მათ აღსადგენად.

მცირე ჯგუფის დაწყებული მუშაობა ეროვნული თვითშეგნების გამოსაღვიძებლად და მისთვის პრაქტიკული სახის მისაცემად თანდათან გაიშალა. ის დრო იყო, როცა ა. ჯორჯაძის ცოცხალი წერილები გაზ. „ცნ. ფურცელში" საყოველთაო ყურადღებას იპყრობდენ და ყველგან მხურვალე მსჯელობის და აზრთა ნაყოფიერ ამოძრავებას იწვევდენ. არჩილის გვერდში იდგნენ გ. ლასხიშვილი, როგორც მისი უფროსი ძმა. უკვე გამოცდილი საზოგადოებრივი მებრძოლი და დახელოვნებული მწერალი, ვლ. ლორთქიფანიძე, გ. დეკანოზიშვილი, რომლის გონივრული და ბეჯითი მოღვაწეობა დაუფასებელია ჩვენი პარტიული ცხოვრებისათვის და სხვები.

დაახლოვებით ამ დროს მე გადავსახლდი ქუთაისიდან ტფილისში. ვმსახურობდი კორექტორად გაზ. „ივერიის" რედაქციაში, რომელიც მაშინ ალ. სარაჯიშვილის საკუთრებას შეადგენდა. თანაც ამ გაზეთში მოვათავსე ორიოდე კომპილატიური ხასიათის ფელეტონი და რამდენიმე პატარა წერილი, საერთო სათაურით „ფიქრები... მხოლოდ ფიქრები", რომლებიც ძალიან აწუხებდენ ცენზორებს. რამდენიმე თვის შემდეგ გიორგიმ და არჩილმა წინადადება მომცეს: — შენ ჩვენი ხარ, ჩვენთან ითანამშრომლე „ცნ. ფურცელში-ო". მე სიამოვნებით დავთანხმდი და იმ დღიდან დავიწყე მათთან მუშაობა.

გარდა გაზეთის წარმოებისა ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო არა-ლეგალური მუშაობა: შემუშავება მთავარ დებულებათა ახალი პარტიისათვის, მოპოვება თანამგრძნობთა, შექმნა ორგანიზაციებისა და შეგროვება თანხის თავისუფალი ქართული ორგანოს გამოსაცემად უცხოეთში. კარგად მახსოვს, თუ რა ცხარე კამათი იმართებოდა, როცა ვსაზღვრავდით ჩვენს საფუძვლებს. ჩვენ გვიხდებოდა მოქმედება ორ ჯგუფს შუა: ერთის მხრით იდგნენ ჩვენი ძველი მოღვაწეები, რომლებიც, თუმცა მეტად ბუნდოვნად და გაუბედავად, აღიარებდენ ეროვნული საკითხის გადაჭრის აუცილებლობას, მაგრამ სრულებით უარყოფდენ ცვლილებებს სოციალურ სფეროში; მეორეს მხრით საქართველოს ცხოვრებაში უკვე დიდს როლს თამაშობდენ ს.-დემოკრატები, რომლებიც იმ დროს ანგარიშს არ უწევდნენ ეროვნებას, ეროვნულ არსებობის საჭიროებას. რაკი ჩვენი მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, ჩვენს თავდაპირველ მუშაობას ემხრობოდა ბევრი ისეთი პირი, რომლებიც შემდეგ ჩამოგვშორდნენ — სხვა პარტიას მიემხრნენ ან პარტიას გარეშე დარჩნენ. ბევრს ხიბლავდა ჩვენი ეროვნული ლოზუნგები და თანაგრძნობას გვიცხადებდენ ამისთვის.

რამდენიმე საორგანიზაციო კრების შემდეგ, რომლებიც იმდროინდელ პირობების მიხედვით საკმაოთ მრავალრიცხოვანი იყო ყოველთვის, ერთხელ დაისვა საბოლოო გადასაჭრელად საკითხი: უნდა დაედვას ახალ პარტიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძვლად ეროვნული პრინციპი და სოციალიზმიც ორივე, თუ საკმაოდ მარტო დემოკრატიული ეროვნული დროშის ხელში აღება, და დიდის უმრავლესობით წინააღმდეგ ორისა თუ სამისა დადგენილი იქნა, რომ პარტია უნდა იქნეს სოციალისტური და ეროვნული. თვით პარტიის მთავარ ინიციატორებისთვის ეს საკითხი არც ყოფილა როდისმე სხვანაირად წარმოდგენილი, თავიდანვე მათი მისწრაფება ქართველი ხალხის განთავისუფლებისაკენ იყო მიმართული და ეს განთავისუფლება იქნებოდა ცალმხრივი და არა სრული, თუ არ იქნებოდა ერთსა და იმავე დროს როგორც ნაციონალური, ისე სოციალური. ქართველი ერის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისი შემოქმედების გაშლისათვის, მისი ქონებრივი და კულტურული წარმატებისათვის, აუცილებლად საჭიროა, რომ ქართველი ხალხი თავის თავს ეკუთვნოდეს, იყოს თავის ბატონპატრონი, იყოს თავისუფალი. ეს გარდაუვალია, უამისოთ ამაოა სხვა ყოველივე მუშაობა ხალხის საკეთილდღეოთ. მაგრამ ამასთანავე ერთად ისიც ნათელი იყო ჩვენთვის, რომ ეროვნულ თავისუფლებას უნდა ამკვიდრებდეს ისეთი სოციალური წყობილება, რომელიც ხალხს უკეთესად უზრუნველყოფს ქონებრივად, ვიდრე დღეს არის. ჩვენ სოციალიზმსაც ეროვნულ თვალსაზრისით ვაფასებთ— იგი მიგვაჩნდა უძლიერეს იარაღად ქართველი ხალხის, ქართველი ერის გასამაგრებლად და განსავითარებლად.

არ შემიძლია, აქ ძალაუნებურად არ მოვიგონო ჩვენი აღმზრდელის ი. გოგებაშვილის სიტყვები, რომელიც სთქვა მიწების მშრომელ გლეხობისთვის გადაცემის შესახებ: აი, ეს მისცემს ქართველ გლეხობას საშუალებას, დაიცვას საქართველოს მიწაწყალი უცხოელ ჩარჩებისაგან. ეს რასაკვირველია ძალზე გამარტივებული შეფასებაა სოციალისტური მოძღვრების. მაგრამ არსებითად სოციალიზმს ყოველთვის პრაქტიკულად უნდა მივუდგეთ, რომ იგი ერის ამაღლების და გაძლიერების იარაღია. ჩვენთვისაც ასე იდგა სწორედ საკითხი...

ჩვენი წინასწარი მუშაობა გაგრძელდა დაახლოვებით ერთს წელიწადს და პრაქტიკული საქმიანობის ერთი აქტთაგანი იყო ჟურნალ „საქართველოს" გამოცემა პარიზში, სადაც გავგზავნეთ არ. ჯორჯაძე და გ. დეკანოზიშვილი. პირველი ნუმერი გამოვიდა 1908 წ. მაისის პირველს...

ამ ამბების გახსენება ძალიან საჭიროა, ჩემის ფიქრით, დღეს, როცა მსოფლიო ომმა და მით გამოწვეულმა მოვლენებმა მეტად შეარყიეს ცხოვრების საფუძვლები, დღეს, როცა ბოლშევიკების ექსპერიმენტებმა ძირიან ფესვიანად გადააბრუნეს ადამიანის არსებობის პირობები და დადგა დრო ყველაფრის ხელახლად გადასინჯვის და შეფასების, ადვილად მოსალოდნელია დაისვას კითხვა: რამდენად მტკიცეა, რასაც დღემდის ვემყარებოდით, რამდენად საფუძვლიანია ის დებულება, რომელზედაც ავაგეთ ჩვენი პარტიული მოღვაწეობა? და როცა ასეთი კითხვა დადგება, არ შეგვიძლია სრულის დამშვიდებით და შეურყეველის რწმენით არ ვაღიაროთ, რომ ჩვენ სავსებით მართალნი ვიყავით და განვლილმა წლებმა და უკანასკნელი დროის ამბებმა კიდევ უფრო გაამაგრეს და ცხადჰყვეს ჩვენი ეროვნული და სოციალისტური მისწრაფებათა ჭეშმარიტება და მათი განხორციელების გარდაუვალობა.

არასოდეს არ მდგარა კაცობრიობის წინაშე ისეთის სიმწვავით და სიმძლავრით, როგორც დღეს, ერთა განთავისუფლების საკითხი და თანამედროვე ეკონომიკურ-სოციალური წყობილების გარდაქმნის აუცილებლობა, ბრძოლა ადამიანის პიროვნებისათვის, მისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის, ადამიანთა თანასწორობისათვის, ბრძოლა დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად, რომელიც შორი დროიდან მომდინარეობს, ხოლო განსაკუთრებით გაფართოვდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, — თანდათან მივიდა სოციალისტურ მოძღვრებამდე. სოციალიზმი არის ლოღიკური განვითარება დემოკრატიისა, ამბობს ჟორესი. მაკდონალდის სიტყვით, სოციალიზმი ბუნებრივი მემკვიდრეა ლიბერალიზმის და დემოკრატიზმის. საფრანგეთის სოციალისტების კონგრესმა ლილში გამოსთქვა, რომ დემოკრატია თავის საუკეთესო გამოხატულებას ჰპოებს სოციალიზმშიო. მართლაც თუ განვითარების მიზანია, რაც შეიძლება მეტი ქონებრივი და საზოგადოთ ფიზიკური უზრუნველყოფა ყველასათვის, მეტი თავისუფლება, მეტი შემოქმედება, — შეუძლებელია იგი (განვითარება) შეჩერებულიყო დემოკრატიზმზე, დაკმაყოფილებულიყო მარტო თვითმოქმედებით და თვითმართველობით, დამოუკიდებლობით პოლიტიკურ ცხოვრებაში. პიროვნების უაღრესი ღირებულება, თავისუფლება, თანასწორობა! მაგრამ არსებობს პიროვნების ღირსება ნამდვილად და თავისუფალია ადამიანი, როცა ის ქონებრივად უზრუნველყოფილი არაა? როცა სახსარი მისი არსებობისა სხვის ხელთაა, როცა მთელი თავისი ძალა, გონება, სიცოცხლე უნდა მოანდომოს ლუკმა პურის შოვნას?

ამას თავისთავად მოჰყვა ძიება ახალი ზომებისა. დემოკრატიზმი შეიჭრა ეკონომიურ სფეროში და გამოარკვია, თუ რა მეთოდი და რა გზა იყო საჭირო, რომ ადამიანი არ ემონებოდეს ეკონომიკას, და თავისუფლებას და თანასწორობას მიეცეს მტკიცე საფუძველი. ეს შესაძლებელია სოციალიზმის დროს. დღევანდელი საზოგადოების დამახასიათებელია უთანასწორობა შრომაში, უთანასწორობა შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ნაყოფის განაწილებაში და ანარქია წარმოების, რომლის მატერიალური შემოქმედება უდიდესადაა განვითარებული. დღეს მთელი სიმდიდრე დაგროვილია მცირე ჯგუფის ხელში; უმრავლესობა, მძიმე შრომით დატვირთული, მოკლებულია არსებობის სახსრის მინიმუმს; თითქმის ნახევარი მუშებისა თავის ძალას ხარჯავს ისეთი საგნების გაკეთებაზე, რომლებიც არ წარმოადგენენ აუცილებელ საჭიროებას; წარმოების მოუწყობლობა იწვევს კრიზისებს და უმუშევართა რიცხვი დღითი დღე მრავლდება. რასაკვირველია, ამ პირობებში პოლიტიკური დემოკრატიზმი ჯერ კიდევ არ ქმნის პიროვნების განთავისუფლებას. ქონებრივად დამონებული და დამოკიდებული ადამიანი სანახევროდ ვერ ახორციელებს თავის უფლებებს და მრეწველობის ანარქიული ვითარება უკარგავს საზოგადოებას იმ სიმტკიცეს, რომელიც საჭიროა სრული განვითარებისათვის და დღევანდელი მატერიალური ქონების სრული გამოყენებისათვის. სოციალიზმის ისტორიული დანიშნულებაა, ისე მოაწყოს ეკონომიკის, მეურნეობის ორგანიზაცია, რომ გამოუყენებელი არ დარჩეს არც ერთი ნამცეცი ცოდნის და ტეხნიკის, რომელიც შექმნა კაპიტალისტურმა წარმოებამ, და ამავე დროს გამოიყვანოს კაცობრიობის უმრავლესობა იმ მატერიალური ჩაგვრისაგან, რომელიც თვისებაა კაპიტალიზმის. სოციალიზმი მოასწავებს ადამიანის განთავისუფლებას ეკონომიკის ძალებისაგან. მისი მიზანია დაუბრუნოს ადამიანს ადამიანობა, რომ მის არსებაში ნაცვლად დღევანდელ ქონებრივ მისწრაფებათა გაბატონდეს მაღალი სულიერი მისწრაფებანი და ვრცლად გაშალოს ფრთები მისმა შემოქმედებამ, რომელსაც არ ექნება კავშირი მხოლოდ მის პირდაპირ პრაქტიკულ საჭიროებასთან, არამედ უფრო და უფრო გადაიჭრება მხატვრობის, პოეზიის, ფილოსოფიის, წმინდა მეცნიერების სფეროში. სოციალიზმის დროს ყოველი ადამიანი შესძლებს იყოს ნამდვილი მოქალაქე, ნამდვილი წევრი საზოგადოების, ნამდვილი შვილი თავის ერის.

ამრიგად სოციალიზმი განუკვეთელად გადაბმულია კაცობრიობის საერთო განვითარებასთან და იგი ემყარება იმ პრინციპებს, რომლებიც შეადგენენ დედა საფუძვლებს დღევანდელ საზოგადოებისთვის — ადამიანის პიროვნების უალრესობის და მისი განთავისუფლების აუცილებლობას. სოციალიზმი წარმოშობილია იმ განვითარების, რომელიც განვლო კაცობრიობამ, პირდაპირი შედეგია ამ განვითარების და უარყოფა მისი იქნებოდა უარყოფა ყველაფრის იმის, რაც უდავოა და შეადგენს არსებითს შინაარსს აწინდელი კულტურის, პოლიტიკის, მორალის. თუ უკუსაგდებია თავისუფლება, თანასწორობა, თვითმოქმედება, პიროვნების ღირსება, თვითმართველობა, დემოკრატიზმი, უნდა უკუვაგდოთ სოციალიზმიც და უნდა დავუბრუნდეთ მონობას, ყმობას, თვითპყრობელობას. ხოლო თუ ეს ასე არაა, მაშინ სოციალიზმისთვის გზა გახსნილია, იგი სადღეისო მორიგი საკითხია.

რომ ახლანდელი ეკონომიურ-სოციალური წყობილება უნდა შეიცვალოს, ამის შეგნება დღეს მარტო მუშებში არაა. ამერიკელი მილიარდელი ფორდი ამბობს: „დღევანდელი წყობილება სრულებით არ ემსახურება საზოგადო ინტერესს, ვინაიდან ხელს უწყობს ყოველგვარ გაფლანგვას, იგი არ აძლევს მრავალ მუშას საშუალებას მიიღოს თავის შრომის სრული საფასური. სოციალური მდგომარეობა, რომელშიაც იძულებული ვართ ვიცხოვროთ, არეულ დარეულია, ალსავსეა უსამართლობით, ურიცხვი ნაკლი აქვს და რამოდენიმე ხულიგნურიცაა“.

სოციალიზმის დიდი მტერი გერმანელი მწერალი მიზესი იძულებულია ალიაროს მწუხარებით, რომ სოციალიზმს დღეს პრინციპიალური მოწინააღმდეგე აღარავინ ჰყავს“. სოციალისტები მოწინავე ქვეყნებში ყველგან დიდს როლს თამაშობენ. მათი რიცხვობრივი ზრდა და გავლენა როგორც შინაგან ისე საგარეო ცხოვრებაში ყოველ ეჭვს გარეშეა და რომ არა ბოლშევიზმი, რომელმაც დიდი გარყვნილება შეიტანა მუშათა წრეებში და დაასუსტა ერთის მხრით, და რეაქციას ზურგი გაუმაგრა მეორეს მხრით, ახლა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვაგან მართველობა სოციალისტებს ექნებოდათ ხელში.

თუ ასე სდგას არსებითად ჩვენთვის სოციალიზმის საკითხი, ეს რასაკვირველია სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ სოციალისტური ცვლილების მოხდენას ერთგვარის გულუბრყვილობით ვუცქეროდეთ და ვიფიქროთ, რომ საკმარისია სოციალიზმის განსახორციელებლად სოციალისტური თეზისების გაზეპირება და კეთილი სურვილი. სოციალიზმი უმაღლესი კულტურაა და მისი არსებობისათვის საჭიროა სათანადო მაღალი ეკონომიური, პოლიტიკური, მორალური ვითარება და იგი არასოდეს მოეწყობა დეკრეტებით და პლაკატებით. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროის მოვილაპარაკოთ ვრცლად.

თანამედროვე დემოკრატიზმი წარმოშვა ადამიანის პიროვნების ღირებულების შეგნებამ და მისი განთავისუფლების საჭიროებამ. ამ უკანასკნელზეა დამყარებული ეროვნული იდეაც, ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფლება ერის, და ეს ეროვნული მისწრაფება უფრო მძლავრია, ვიდრე დემოკრატიული და სოციალისტური.

ზოგიერთები მე-19 საუკუნეს უწოდებენ ერთა განთავისუფლების სახელს. ეს სწორი არაა. მართალია, გასულ საუკუნეში მოხდა რამდენიმე ერის აღდგენა და განთავისუფლება, მაგრამ ეროვნული ბრძოლა წინადაც იყო; იყო ომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ეროვნულ არსებობისათვის. ეროვნული მისწრაფება ისევ ძველია, როგორც საზოგადოება. ეროვნული ბრძოლა არსებობს იმ დღიდან, რაც გაჩნდა ბრძოლა სახელმწიფოთა შორის და ერთი ერის დამონება მეორეს მიერ. ეს ბრძოლა მომავალშიაც იქნება, ვიდრე არ მოხდება სრული განთავისუფლება ყველა დღეს დამონებულ ერისა.

ბევრი დაწერილია ერის წარმოშობისათვის და ზოგი მის არსებობას უკავშირებდა კაპიტალისტურ წარმოებას და ამტკიცებდა, რომ ეროვნება არის ბურჟუაზიული მოვლენა, რომ პროლეტარიატისთვის არ არსებობს სამშობლო და ერი, და ერთიც და მეორეც სრული შეუსაბამობა იქნება სოციალისტური წესწყობილების დროს. უპირისპირებდენ აგრეთვე ერთმანეთს ერსა და კლასს, უპირატესობას აძლევდენ უკანასკნელს, იგი მიაჩნდათ განვითარების ერთად-ერთ ფაქტორად, კაცობრიობას წარმოგვიდგენდენ კლასებად დანაწილებულს და ეროვნული განსაზღვრა მიაჩნდათ ფიქციად.

ამნაირი შეხედულობის სრული უსაფუძვლობა დღეს უკვე გამოაშკარავებულია და რუსის ბოლშევიკების გარდა ამას ალარავინ იზიარებს. ერები, ეროვნული კოლექტივები არსებობდენ, როცა კაპიტალიზმის ხსენებელიც არსად იყო. ერი იგივე საზოგადოებაა. ადამიანები რომ შეკავშირდენ, შეადგინეს საზოგადოება, რომელმაც თანდათან მიიღო სახელმწიფოს სახე, ეს იყო ეროვნული საზოგადოება თავის განსხვავებულის ელფერით, ზნეჩვეულებით, ენით, კულტურით, წყობილებით. ამ საზოგადოებაში იყო სოციალური დანაწილება, მაგრამ ეს არ ხპობდა მის მთლიანობას. თავის კულტურას ეს საზოგადოება ჰქმნიდა საერთო ძალებით, ყველას მონაწილეობით. მთლიანობა იყო აუცილებელი პირობა მისი დაწინაურების, შემომქმედი იყო მთელი კოლექტივი და არა ცალკე წევრები თუ კლასები. კაცობრიობა არასოდეს არ წარმოადგენდა უფორმო მასას და ერთსახიან საზოგადოებას. იგი შესდგებოდა სხვა და სხვა საზოგადოებისაგან, რომლებიც ჰქმნიდნენ ცალ-ცალკე კულტურას. განვითარებამ ერთი ერის კულტურა მეორეს დაუახლოვა, მაგრამ არ მომხდარა ეროვნულ კულტურათა ერთმანეთში გათქვლეფა. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ მეტად განვითარებულ საერთაშორისო ურთიერთობის პირობებში, ხოლო სრულიად არ გამქრალა ერთა კულტურის თავისებურობა. პირიქით ეროვნული შემოქმედება დღეს უფრო ძლიერია და უფრო ორიგინალურიც.

ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, მაგრამ ეს საზოგადოება არის მისთვის ყოვლის უწინარეს ერი, ეროვნული საზოგადოება. ადამიანი არის შემომქმედი კოლექტივში და ეს კოლექტივია მისთვის ერი. ერში ჰპოებს ადამიანი თავის განსახიერებას. ერი აკმაყოფილებს მის საზოგადოებრივ ინსტიქტებს. ერი აზრდოებს მის კულტურულ მისწრაფებას, ანაყოფიერებს მის ენერგიას, აწვდის ცხოვრების წესებს, საჭირო ხმებს და ხანგებს, ფორმებს და ფერებს, რომლებსაც იგი ყველაზე უფრო ითვისებს, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოაცხადებენ მის ბუნებას. შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი სინამდვილეა არც მთელი კაცობრიობა, არც ცალკე ინდივიდი, არამედ ერი, ეროვნული საზოგადოება. ცალკე პიროვნება სინამდვილეა იმდენად, რამდენად წარმოადგენს ნაკვეთს ერისას, რამდენად მასში მოსჩანს და გამოსჭვივის ეს თუ ის ერი. კაცობრიობა სინამდვილეა იმდენად, რამდენად გულისხმობს თავისებურ ეროვნულ ერთეულების კავშირს.

არის ერი, ერი პირველია და როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანის თუ მთელი კაცობრიობის განვითარებაზე, უნდა თვალწინ დავისახოთ ერი და ეროვნული განვითარება. ყველაფერი უნდა გავზომოთ და შევაფასოთ ეროვნული კოლექტივის თვალსაზრისით. კარგია, რაც აამაღლებს და განავითარებს ეროვნებას. ცუდია, რაც შებორკავს და დაახრჩობს ეროვნებას. სადაც მკვდარია ეროვნება, იქ მკვდარია შემოქმედება, მკვდარია ადამიანი, ადამიანის ძალთა სრული გაშლა, ყოველი შესაძლებლობის განხორციელება მოსახერხებელია მხოლოდ თავისუფალ ეროვნულ წრეში. ამიტომაა ძვირფასი ეროვნული თავისუფლება, ამიტომვე ვიბრძვით დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეებისთვის. დემოკრატიზმი და სოციალიზმი გვინდა იმისთვის, რომ ემსახურონ ეროვნულ კოლექტივის განვითარებას და მით საშუალება მისცენ ადამიანს უფრო ამაღლდეს გონებრივად და ზნეობრივად და მეტი შემოქმედებითი ნაყოფიერება გამოიჩინოს როგორც მატერიალურ ისე სულიერ სფეროში.

ასე შედუღებულია დღეს ჩვენთვის ეროვნული თავისუფლება და სოციალური თავისუფლება. ერთიც და მეორეც საჭიროა ეროვნების განსამტკიცებლად, გასაშლელად. ეროვნება კი, ერი, ეროვნული წრე აუცილებელი პირობაა ადამიანის პიროვნების უმაღლეს წარმატებისთვის.

ასე დგას საკითხი დღეს. მართალია, ოციოცდახუთი წლის წინად ჩვენი ეროვნული მისწრაფება მეტად მოკრძალებულ ავტონომიის მოთხოვნაში გამოიხატა; კარგად გვესმოდა, რომ ერის არსებობისათვის მხოლოდ ერთად-ერთი სახეა — სრული თავისუფლება, მაგრამ ანგარიშს ვუწევდით ჩვენი ხალხის მაშინდელს შეგნებას და საგარეო პირობებს და დროებით ფრთა შევაკვეცეთ ჩვენს მისწრაფებას. ასეთმა გულწრფელმა მამულიშვილმა და გონიერმა ადამიანმა, როგორიც იყო ი. ჭავჭავაძე, ეხეც კი გაიკვირა და სთქვა: „ეგ გულში უნდა გვქონოდა დამარხული და გარეთ კი არ უნდა გამოგვემჟღავნებიაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრონი იცვალენ! განვლილი ოცდახუთი წელიწადი — ეს გმირული ხანაა ქართველი ხალხის თავგამოდებული ბრძოლის, ბრძოლის ადამიანური ღირსებისთვის, პოლიტიკური და ეროვნული უფლებებისთვის. ამ ბრძოლაში იგი გაიზარდა, გაიწვრთნა, მომწიფდა. დღეს მისი არსებობა წარმოუდგენელია გარეშე სრული ეროვნული თავისუფლებისა, გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობისა.

და თავისუფალი საქართველო უნდა აღდგენილ იქნეს! — ან ჩვენი უპირველესი საქმე დღეს, ამისკენ უნდა იქნეს მიმართული ყოველი ცოცხალი ძალა. ეს უნდა იყოს საგანი ყველა ქართველი პარტიის ფიქრის და საქმის.

## გიორგი ლასხიშვილი*

გასული მარტის თვის 18-ს, ღამის თერთმეტ საათზე ტფილისში გარდაიცვალა გიორგი ლასხიშვილი — იშვიათი მებრძოლი და მჭედელი სამშობლოს აღდგენისა, დიდი მამულიშვილი, ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი იმ საუკუნის გადასაცვლეზე გამოსული თაობისა, უკეთილშობილესი ადამიანი, რომელიც თვით მთელ თავის არსებაში ატარებდა ახალი საქართველოს — თავისუფალის, კულტუროსანის, ქონებრივად წარმატებულის...

„მწარეა სიკვდილი, მაგრამ უმწარესია სიკვდილი დაუტირებელი, ცრემლ დაუფრქვეველი" — ასე ვიტყოდით ქართველები წინად ძველი წყობილობის დროს, როცა ერთად ერთი ჩვენი თავშესაკრებელი ადგილი მამულიშვილთა საფლავის გარშემო იყო და იქაც კი ხმაგაკმენდილნი უნდა ვყოფილიყავით; დატირება არ შეგვეძლო და გამწარებული დუმილით ჩვენს გულშივე ვიხრჩობდით ნაღველს და კვნესას, ცრემლი შრებოდა და ერთმანეთისა სახეზე ვპოულობდით უტყვ ნუგეშს, განწყვეტას და იმედს.

ან დღესაც კვდებიან, იღუპებიან საუკეთესო ქართველები და ვერავინაა შემძლებელი მათი დატირების და პატივისცემის — ეს ხომ დანაშაულობაა იქ, სადაც თვით ქართველერის შვილობა კანონის გარეშეა გამოცხადებული. გარდაიცვალა გ. ლასხიშვილი, დაღლილი, დაქანცული აუტანელი წვალებებით, საყოველთაო უბედურებით, ერის ტკივილებით, და მდუმარედ მიაცილეს იგიც საუკუნო განსასვენებელს, თავჩაღუნულნი მისდევდნენ კუბოს ჭირისუფალები და ვერავინ უთხრა: საუკუნო მშვიდობით, ვერავინ გადასცა მადლობა ქართველი ხალხის სახელით!

სამწუხაროა აქამდე სიბრალულის, მაგრამ აკრძალვა გლოვის, წუხილებისა? ადამიანთა

* წაკითხული იყო 1931 წლის აპრილის 19, პარიზში გამართულ კრებაზე.

ლექსიკონში არ მოიპოვება სიტყვა ამისთვის მსჯავრის დასადებად!..

მხოლოდ ჩვენ, აქ უცხოეთში გადმოხვეწილნი, განსვენებულის თანამებრძოლნი, თანამოკალმენი, მეგობრები, ნაცნობები, იმათ, ვისაც ერთხელაც არის უნახავს ის, მოგვისმენია რაიმე მისი ხსენებისგან, შეგვიძლია აქ თავმოყრილებმა შევაერთოთ ჩვენი ფიქრები და გრძნობები და შორიდან მაინც მოუძღვნათ თავისუფალი გულითადი პატივისცემა და გამოსათხოვარი სიტყვა, ვინც ჭეშმარიტად იყო ძვირფასი ერისშვილი, დიდი ქართველი მოღვაწე, მეტად საყვარელი ადამიანი და ვინც ღირსეულად განვლო თავისი 46 (?) წელი.

გადავავლოთ თვალი მოკლედ მის ცხოვრებას, ჩავუკვირდეთ მისი გზის მთავარ ხაზებს: გიორგი ლასხიშვილი დაიბადა 1865 თუ 66 წ. (საკმაო მასალების უქონლობის გამო დანამდვილებით ვერ აღვნიშნავთ, სამწუხაროდ). სოფელ ჯინაიში, ქუთ. მაზრაში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და მისწავლეობის დროსვე ჩაითრია საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და გაეცნო რევოლუციონურ მოძრაობას. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა რუსეთის უნივერსიტეტში; სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის გადასახლებულ იქნა ციმბირში, სადაც დაჰყო რამდენიმე წელიწადი (სემიპალატ). სამშობლოში დაბრუნდა ათას რვაას ოთხმოცდაათიან წლებში (1898?). ხელი მოკიდა ჟურნალისტობას და გამოდიოდა იმ დროინდელ მოწინავე — პროგრესიულ და დემოკრატიულ აზრების გამტარებლად. ჯერ მუშაობდა რუსულ „ნოვ. ობ."-ში და მერე „ივერიაში" ილიას ფსევდონიმით. 1900 წ. ჟურნალმა „მოამბემ" შეიძინა ვაჟ. ყოველდღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი", რომელიც მაშინ მხოლოდ ახალი ამბების ფურცელი იყო, 1901 წლიდან გააფართოვა მისი პროგრამა, გადააქცია იგი სრულ პოლიტიკურ ორგანოდ და მისი ხელმძღვანელი შეიქნა გ. ლასხიშვილი. [illegible] ლის მეოხებით „ცნობის ფურცელი" მალე გადა[illegible] და მეტად გავლენიანი გაზეთი და უდავო ავტორიტეტული როლი ითამაშა შემდეგ წლებში. გიორგის გვერდში ამოუდგნენ არჩილ ჯორჯაძე და სხვა რადიკალური ახალგაზრდობა. ამას მოჰყვა ახალი, სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დაარსება. გიორგი უდგება სათავეში პარტიას. მართალია, პარტიის აგრე ვსთქვათ თეორიული იდეოლოგი იყო არჩილ ჯორჯაძე, მაგრამ პარტიის პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელი და პარტიის ლიტერატურული მოღვაწეობის მეთაური ყოველთვის გიორ. ლასხიშვილი იყო. მისი [illegible] იყო. მისი [illegible]

გიორგის აზრისათვის — რასაც [illegible]

ადგენს, ერთის თავგადასავალი მეორეს [illegible]. სოციალ-ფედერალისტების პარტიის მნიშვნელო-

ბა ასეთი იყო თუ ისეთი, ეს მიმართულება ჰქონდა თუ ის, ამ ხაზს ატარებდა თუ იმ ხაზს— ეს იყო სულ გიორგის ხაზი და მიმართულება. ის იყო მუდმივი შეუცვლელი თავმჯდომარე პარტიის მთავარი კომიტეტის, თავმჯდომარე საერთო კრებების და პარტიის წარმომადგენელი პარტიათაშორისო თუ საერთაშორისო კონგრესებზე, იგი აძლევდა ტონს პარტიის გაზეთებს და სხვა გამოცემებს. და ეს გეგემონობა, ეს სრული ლიდერობა მას არ დაუტოვებია ერთ წუთსაც 30 წ. განმავლობაში; ის მოკვდა ამ საპატიო პოსტზე; ის იყო პარტიის დარაჯი სულის ამოხდამდე...

აი კიდევ ზოგი ფაქტიური მხარე მისი ცხოვრებისა: 1905 წ. პარტიის დავალებით პარიზში იქნა ფარულად გამოგზავნილი, რომ ხელმძღვანელობა გაეწია ჟურნალ „საქართველოსათვის“ და საერთოდ უცხოეთის მუშაობისთვის, ვინაიდგან იქ მყოფი არ. ჯორჯაძე იმ დროს მძიმე ავად გახდა... 1910 წ. გიორგი დაატუსაღა ჟანდარმერიამ სხვა მის ამხანაგებთან ერთად, რამდენიმე თვე მეტეხში იჯდა და იქიდან გადაასახლეს რუსეთში, ცხოვრობდა ხარკოვში, მაგრამ არ ივიწყებდა პარტიას და ხანდახან წერილებს აწვდიდა გაზეთს. 1913 წ. დაბრუნდა ტფილისში, შევიდა ბანკის სამსახურში — ხოლო ფაქტიური ხელმძღვანელი პარტიულ გამოცემების და მუშაობის ისევ იყო მუდამ. უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგის თვალები სტკიოდა და ექიმები უკრძალავდენ მწერლობას. ეს თვალის სისუსტე თანდათან იზრდებოდა, რაც ხანში შედიოდა... დადგა 1914 წ.; გიორგიც დიდს ცვლილებებს მოელოდა მსოფლიო ომისაგან. მაგრამ მისი ორიენტაცია, წინაამდეგ ზოგიერთი მისი ამხანაგისა, იყო საფრანგეთის გამარჯვებაზე დამყარებული. მოხდა 1917 წლის რევოლუცია; გიორგი ისედაც მუდამ მხნე, ახლა მთლად გაყმაწვილებული შეყურებდა მომავალს. მისი მისწრაფებების უდიდესი დაგვირგვინება იყო 26 მაისი. გიორგი მიწვეულ იქნა აღდგენილი საქართველოს, თავისუფალ საქართველოს პირველ სამინისტროს განათლების მინისტრად...

განვლო სანეტარო წლებმა. ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა საშინელი კატასტროფა — გარეშე მიზეზისა გამო, მაგრამ ჩვენი საკუთარი დანაშაულის დიდის მონაწილეობით. როგორ შეხვდა გიორგი ბოლშევიკების შემოსვლას? მთელი თავის არსებით წინააღუდგა მოძალადეთ — ან კი შეიძლებოდა სხვანაირად? ბოლშევიზმი ხომ სრული უარყოფა იყო გიორგის ბუნების. მის გარშემო შემოკრბა ამხანაგთა ცხრა მეათედი პარტიულ კონგრესზე, რომელიც გაიმართა ოკუპაციის პირველ თვეებში.

1922 წ. თებერვალში გიორგის ბოლშევიკები მეტეხში ჩაამწყვდევენ, იქაა რამდენიმე თვე. მერე გამოუშვებენ, მაგრამ სასტიკად ადევნებენ თვალყურს მოხუცს, რომელსაც ისე დაუსუსტდა თვალები, რომ ქუჩაში მარტო გავლაც კი უძნელდება... აი 1924 წლის აგვისტო: როგორც კი იფეთქა სახალხო აჯანყებამ, გიორგი მაშინვე დაატუსაღეს, და ალბათ საშინელს ბედს უმზადებდნენ. მაგრამ მისმა ერთგულმა ცოლმა, გიორგის ბედით თავზარდაცემულმა— იგი უკვე დაღუპული ეგონა — თავი მოიკლა. ამ ტრაგედიამ ბოლშევიკებიც კი დააფიქრა — გიორგი გაანთავისუფლეს მეგობარ ცოლის დასასაფლავებლად...

ჩვენ — აქ უცხოეთში მყოფთ, რომელთაც შეგვიძლია მყუდროთ დავიძინოთ და მყუდროთ გავიღვიძოთ დილით, არ ძალგვიძს წარმოვიდგინოთ საშინელება მდგომარეობისა სამშობლოში მყოფ ჩვენი მამების, დედების, ძმების, დების, შვილების. გამუდმებული სიკვდილი, სიკვდილი ყოველ წუთს — არა, სიკვდილი კი არა (სიკვდილი ხომ ბედნიერებაა ხშირად): წამება, წამება დაუსრულებელი — ხორციელი, სულიერი, მორალური! პირადი ვაება კი არ კმარობს— ეს ადვილი ასატანია. ხედავ დღემუდამ, ყოველ ჟამს სხვების დაღუპვას — სხვების, რომლებიც გიყვარდა, რომელთათვის ცოცხლობდი. გიორგი ხედავდა — ხედავდა კი არა, გრძნობდა, ხუნთქავდა თავის ერის გოლგოთას. მაგრამ რა ექნას, როგორ უშველოს? მოხუცმა, ავადმყოფმა, თითქმის ბრმამ! ბოლშევიკები გადაკვრით ეტყოდენ: „გიორგი, შენ ჩვენ წინააღმდეგ იბრძვიო“. „ოჰ, უპასუხებდა გიორგი: ნეტამც შემეძლოს, მაგრამ ვაი რომ ძვალის და ტყავის მეტი არაფერი შემრჩაო“. ამასთან ერთად იგი ამხნევებდა ამხანაგებს, უფრო მეტად ახალგაზრდებს ბრძოლისთვის ახალისებდა. გალილესავით ეუბნებოდა: „დედამიწა მაინც ბრუნავსო! საქართველო აღსდგებაო!..“

ასეთია გიორგი ლასხიშვილის უკანასკნელი თვეები. იგი დადნა, მოკვდა, იგი მოკლა არა გაცივებამ, არა ფიზიკურმა სენმა, არამედ ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა ტრაგედიამ...

აი ზოგადად მოხაზული გარეგნული ამბები განსვენებულის ცხოვრების. მაგრამ განა ეს მშრალი ფაქტები დაგვიხატავს და გაგვიცხოველებს მის საყვარელს პიროვნებას? მსგავსი ფაქტებით იგი შეიძლება არაფრით განსხვავდება ჩვენი დროის სხვა მოღვაწეებისაგან? არა, მისი არსების შესაცნობად მარტო მშრალი ამბები არა კმარა — განსვენებული მეტად სრული, მთელი, ცოცხალი ინდივიდუალობა იყო, რომლის გაგება და დაფასება შესაძლებელია მარტო პირადი დაახლოვებით, ნაცნობობით, მეგობრობით, მასთან ურთიერთობის უშუალო განცდით. ის არ ყოფილა წიგნი, განყენებული თეორია, ის იყო სიცოცხლით მფეთქავი არსება ერთი, მთლიანი ყველგან და ყველაფერში. მისი სამშობლოს სიყვარული — უკეთილშობილესი ნაციონალიზმი, მისი დემოკრატიზმი, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი სოციალიზმი, მისი მორალი, მისი ესთეტიზმიც — ყველაფერი ეს ერთი ძირიდან წარმომდინარეობდა, ერთიმეორეში იყო გადასკვნილი— გადაჭაჭვული, ერთი მეორეს შეავსებდა, ერთი მეორეს ასაზრდოებდა. გიორგიმ არ იცოდა თავის ცხოვრების და მოქმედების დანაწილება. მას არ ქონდა საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკის და მორალის განცალკევება. მისთვის ესთეთიკა-სიმშვენიერე არ წარმოადგენდა პოლიტიკისა და მორალისაგან დაშორებულს სფეროს. ამ მხრივ ჩვენ გიორგი ლასხიშვილში ვხედავთ სრული ადამიანის იშვიათს განსახიერებას ჩვენში, სანიმუშო ლამპარს მომავლისათვის.

თავის ქვეყნის უსაზღვრო მოსიყვარულე, თავის ერის ქონებრივ-კულტურულ ამაღლების მოტრფიალე, მისი თავისუფლებისთვის მუდმივი მებრძოლი იგი ყოველთვის და ყველასთან პირდაპირს, პატიოსნურ და კეთილშობილურ მეთოდს მიმართავდა. როგორც თბილი, გულითადი, წრფელი იყო თავის პირად მეგობრებისა და ამხანაგებთან, ასეთივე იყო მუდამ გარეშეებთან, უცხოთათანაც. მისი დამოკიდებულება მოწინააღმდეგე პარტიებთან თვით უდიდეს გამწვავების დროსაც არასოდეს მიიღებდა გაბოროტების ხასიათს. სულით და გულით მოწადინე კავკასიის ერების დაახლოვების და ერთობის, ის გამონახავდა საერთო გასაგებ ენას და უკანა რიგში დააყენებდა, რაც იყო გამთიშავი და დამაშორებელი. კავკასიის ერთა კონფედერაციის დღევანდელნი მოღვაწენი გვერდს ვერ აუხვევენ გიორგის გაკაფულს გზას.

მისი დემოკრატიზმი და სოციალიზმი იყო ისეთი, როგორსაც ვხედავთ დღეს ევროპის კულტუროსან ქვეყნებში, აგებული ადამიანის თავისუფლებასა და თვითმოქმედებაზე, და ემყარებოდა, ან უკეთ წამომდინარეობდა მისი ღრმა მამულიშვილობისაგან. დემოკრატია და სოციალისტი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი რწმენით ესაა გზა ქართველი ერის ამაღლების და სრული გაშლა-განვითარების, ხოლო მამულიშვილობა და დემოკრატობაც (სოციალიზმით) მისთვის უმაღლესი მორალის იმპერატივია — თავისუფალი ერი, თავისუფალი ადამიანი, სამართალი ერთა შორის და სამართალი ადამიანთა შორის — ეს ორი მცნება მისთვის განუყოფელია, და თუ ეს ასეა, მაშინ ხელოვნება ხომ უძლიერესი იარაღია სამართლიანობის გრძნობის განსაღვიძებლად და ჩვენ ვხედავთ, როგორი თაყვანისმცემელია გიორგი ესთეთიური განვითარების...

დინჯს, ფრთხილს, აუჩქარებელს უყვარდა მოსაზრებული, კარგად აწონილ-დაწონილი მოქმედება; არ უყვარდა უცბად აპილპილება, უცბად ანთება, რომელსაც ჩვეულებრივ უმალვე ჩაქრობა მოყვება ხოლმე. უკიდურესობას გაურბოდა და პარტიულ მოღვაწეობაში ეჯავრებოდა როგორც უკიდურესი მემარჯვენეობა ისე უკიდურესი მემარცხენეობა. განახლებულს სამშობლოსაც ის სიფრთხილეს და სიდინჯეს ურჩევდა, რომ თავიდან აგვეცდინა ყოველი ზიფათი, რომელიც გამზადებული იყო ირგვლივ. მაგონდება ის დრო, როცა ინგლისელებს ბათომის დასაცლელად ვაჩქარებდით. მაშინ საერთაშორისო ვითარებაში ჩახედულნი არ ვიყავით და არ ვხედავდით, თუ რას განგვიმზადებდენ მტრები. გიორგიმ, რომ ხედავდა მაშინდელს ჩვენს საერთო სულიერ განწყობილებას, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად სთქვა: ნუ კი ვეჩხუბებით ინგლისელებს, კალთაში ხელი ჩავჭიდოთ და ნუ გავუშვებთო. ეს რასაკვირველია არ ნიშნავდა ინგლისელების ბატონებად მოწვევას, მაგრამ ვინ იცის, ეგებ მაშინ რომ უფრო ფრთხილნი და ჩახედულნი ვყოფილიყავით, უფრო სწორ ხაზს დავდგომოდით...

მეტისმეტად სიმპატიური იყო გიორგი კერძო დამოკიდებულობაში: უბრალო, გულითადი, მოსიყვარულე, ნაზი, თავაზიანი, ჭირის და უბედურების გულწრფელი მოზიარე, მწუხარების შემსუბუქებელი; მხიარული და საერთო სიამოვნების გამომწვევი ლხინის დროს, მომღერალი და ლოტბარი, გამართობელი, ტკბილი, მოსაუბრე — ყველგან იმედის და გამხნევების შემტანი, ყველასათვის საყვარელი...

ასეთია მკრთალად გადმოცემული სახე გიორგი ლასხიშვილისა ჩემში, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში საერთო მისწრაფებებით და საერთო მუშაობით ვიყავი მასთან მჭიდროთ დაახლოვებული. ვფიქრობ, რომ ასეთი იქნება მოგონება ყველასი, ვისაც კი თუნდაც მცირედი ერთიერთობა ჰქონია განსვენებულთან. მისი პიროვნება ყოველთვის დარჩება როგორც მშვენიერი გამოხატულება კეთილშობილური ქართული ტიპის, გონებრივი და ზნეობრივი ღირსებით შემკულის, თავის ქვეყნის ერთგული და თავდადებული შვილის. თამამად შეგვიძლია — ჩვენს ახალგაზრდობას, მოზარდ თაობას მივუთითოთ გიორგი ლასხიშვილის სახეზე და ვუთხრათ: აი მაგალითი თქვენთვის! და დავსძინოთ, რომ განსაკუთრებით დღეს ღრმად დაიმკვიდრონ თავიანთ გულში გიორგის ანდერძი სიკვდილის წინ: „ბრძოლა ბოლშევიკებს სამშობლოს განსათავისუფლებლად! საქართველო ცოცხალია — იგი კვლავ თავისუფალი იქნება!“

და თუ დღეს შებორკილმა სამშობლომ დუმილით მიაცილა გიორგი ლასხიშვილის კუბო საფლავამდის, დადგება დრო, მალე დადგება, როცა მადლობელი ერი, დიდის დღესასწაულით აღბეჭდავს მის სახელს თავის უკვდავთა, მარად სახსენებელთა, უსაყვარლეს შვილთა საპატიო დაფაზე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერი ბადრიაშვილი

# შემოქმედი და სინამდვილე

ყოველ ეპოქას სპეციფიური პრობლემები გააჩნია. არის პრობლემები გლობალური — კულტურის კვდომის, მწერლობისა და ხელოვნების დეკადანსის, ადამიანის ზნეობრივი დეგრადირების, მისი სულიერი დაცემისა და გადაგვარების, და არის პრობლემები — მცირენი. საზოგადოება ყოველთვის აცხადებდა ყრუ პროტესტს ამგვარ პრობლემათა მიმართ, წლობით დაგუბებულ და ჯოჯოხეთური ძალისხმევით დაოკებულ რისხვას ერთხელაც გზა მისცა შემოქმედში და სულში შედედებული სიმწარე ამოთქვა ეპიგრამების სახით. ეს იყო წრისხანეობის და სასოწარკვეთილების, დაცინვისა და ერთდროულად შემპარავი სიბრალულის, საუკუნეების შემძვრელი ყვირილი. ეს იყო პრობლემათა თავისებური გადაწყვეტა, საზოგადოებრივ მანკიერებათა გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი სახე, მართალია თავისებური, მაგრამ არანაკლებ მწვავე და გამანადგურებელი, ვიდრე თავდასხმის სხვა საშუალება. მოხერხებული და მიგნებული დაცინვა ობიექტის გაცამტვერების, მისი უვარგისობის გამომჟღავნების ნაცადი და უტყუარი საშუალებაა.

სატირულ-იუმორისტულ თხზულებათათვის ყველაზე უფრო ნიშანდობლივი ავტორის შეფასებითი დამოკიდებულებაა განსახილველად აღებული ობიექტისადმი, თუმცა ეს დამოკიდებულება, ჩვეულებრივად, ერთმანეთთან დაპირისპირებულ შეხედულებებს ასახავს. ამიტომ, ავტორის მსოფლმხედველობრივი პოზიცია მაშინაც კი ცხადად ჩანს, როდესაც იგი გარეგნულად ამა თუ იმ მოვლენის მხოლოდ დაგმობითა და გაკიცხვით არის შემოფარგლული და თავის პოზიტიურ მრწამსს პირდაპირ არ ამჟღავნებს.

საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით ნაწარმოების განხილვის დროს უნდა გაირჩეს „წმინდა" პიროვნული მომენტი იმისაგან, რასაც ნამდვილი საზოგადო მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი იმის გარკვევა, თუ რამდენად ფასეულია ესა თუ ის სატირულ-იუმორისტული თხზულება საზოგადოებრივი ცხოვრების დახასიათებისათვის.

სატირის ნამდვილ ობიექტს ყოველთვის წარმოადგენს ნებისმიერი ქცევა რომელიც გასაკიცხ პიროვნებას ამჟღავნებს. მისი დანიშნულებაა ნიღაბი ჩამოხსნას პიროვნებას, ნიღაბი, რომელიც კარგი ქცევის სახით აქვს მას აკრული. სატირა თავისი არსით არ ამყარებს დიფერენცირებულ დამოკიდებულებას ადამიანსა და მის ქცევას შორის, მაშინ როდესაც ასეთი დიფერენცირებული მიმართების გამომხატველი ტენდენცია დამახასიათებელია იუმორისათვის.

ეპიგრამების პირველ კლასიკოსად რომაელი პოეტი მარციალი ითვლება, სატირული ლირიკის კლასიკური ნიმუშები კი ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ლიტერატურაში გვხვდება არქილოქეს სუსხიანი იამბების სახით.

სამყაროს, რომელსაც ოდითგან ჰვრეტდა შემოქმედი, მუდამ განუყრელ თანამგზავრებად ჰყავდა ეჭვი, შური, გულმხეცობა, ფილისტერული მორალი, დაუნდობლობა, გულგრილობა და რადგან შემოქმედი ღვთაებრივ საწყისთან ნაზიარებად ითვლება, თავისთავად მას სხვაზე უფრო გამახვილებული აქვს მზერა, გაფაქიზებული გრძნობები. ასეთი სული ვერ აიტანდა იმ სამყაროს, სადაც ყველაფერი დახურდავებულ-დაგირავებული, გაყიდული იყო. მის წინაშე მთელი სიმწვავით იდგა სასტიკი კითხვა: „განა შეიძლება შემოქმედებითი ცეცხლი გაიხარჯოს უცხო, ერთი შეხედვით არალიტერატურულ და გასართობ არსზე" და მან ჰპოვა თავისი თავშესაფარი ზომიერების კურთხეული გრძნობით.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიასთან თითქოს შეუთავსებელია ასეთი ჟანრი, მაგრამ იგი მიეკუთვნება ეპოქას და ეპოქაც თავისი პოეტებითა და მწერლებით, ფილოსოფოსებითა და ისტორიკოსებით, საზოგადო მოღვაწეებით და ხელოვანი ხალხით — ეს რთული და ქაოტურად ჭრელი სამყარო — მისი სტიქიაა. აქ ის ყველას იცნობს დიდიან-პატარიანად. ყველასათვის პოულობს საჭირო სიტყვას, ყველას თავის კუთვნილს მიაგებს — ადიდებს, ამცირებს, ალმერთებს, აბიაბრუებს, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს ტაქტს, გულითად ტონს, კეთილმოსურნეობას. ზომიერების გრძნობას არასოდეს კარგავს იგი. ნატიფი გემოვნება, მსუბუქი იუმორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი და გადამდები სიცილი თან ხდევს მის ყოველ ლექსს, რომელიც საზოგადობაში არსებულმა ნაკლოვანებებმა დააწერინა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში გამოკვეთილი ადამიანის კონცეფცია საინტერესოა ცნობიერების სამყაროსთან მიმართებაში, როგორც გმირის თვითგაგების ფილოსოფიურ იმპულსთან.

ინდივიდუუმი, როგორც არსი, შინაგან გაუბზარაობას მოითხოვს, თუმცა არ გამოირიცხება მისი შინაგანი სირთულე, ალტერნატივა რეალობასა და იდეალს შორის, ან უსასრულო ილუზია, ან შეუნიღბავი სინამდვილე. სამწუხაროდ, მათი თანუხვედრელობა — ესაა ძირითადი პრობლემათა არსი. შემოქმედი ასეთ შემთხვევაში ვერ იქნება ინდიფერენტული. მისთვის იდეალები, როგორც ჭეშმარიტი ღირებულებები, არასოდეს კარგავენ თავის იმანენტურ არსს, მაგრამ სინამდვილე, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობა მოითხოვს არსთა არსში ჩაწვდომას, არა გარედან თავს მოხვეული უცხო წესებითა და კანონებით, არამედ მისი შინაგანი არსიდან, როგორც გარდუვალი პროცესის სპეციფიკური კანონზომიერებიდან. შემოქმედის ინტუიცია უტყუარად გრძნობს ამგვარ ჭიდილში პოეტური აზრის თვითდადგინების ორ მიმართულებას, როგორც სინამდვილიდან იდეალისკენ, ასევე იდეალიდან რეალობისკენ.

ასეთ შემთხვევაში პოეტური შთაგონების წყარო ზებუნებრივი იმპერატიული საწყისი კი არ არის, არამედ შემოქმედის პოზიტიური ბუნებრივი ნიჭი, ტალანტი, მისი დახვეწილი ბუნება და რაფინირებული გემოვნება, უჩვეულო გრძნობელობა და ნათელმხილველი, მახვილი აზრი, წარმოსახვისა და გარდასახვის უბადლო უნარი. ერთი სიტყვით, მისი სპეციფიკური ინტელექტუალური თუ ემოციური ორგანიზაცია, რაც ასერიგად განასხვავებს ჭეშმარიტ შემოქმედს ჩვეულებრივი მოკვდავისაგან.

ყოფიერებისა და ცნობიერების უსასრულოდ წინააღმდეგობრივ ხასიათში კონკრეტული პიროვნების სამყარო იკვეთება. ინდივიდუუმი, როგორც სამყაროს უპირველესი კონტინუუმი — ნაწილების სერია და ნაწილების მთელი. ეს ჰიბრიდული რაობა, თავისი „ნაწილი — მთელის" ხაიათით სუბიექტურ „მე"-ს გულისხმობს, მხოლოდ დანაწილებულსა და გაბზარულს, შერყვნილს, საიდანაც შემოქმედთან მოსაუბრე მეორე „მე" ინსპირატორის როლს ირჩევს და უსირცხვილოდ სხვათა ინკრიმინირებას ცდილობს. თუმცა სიმართლე ითქვას, იგი თავის თავსაც გულისხმობს ყოველთვის, მაგრამ ამისი ხმამაღლა გაცხადება მას არ ძალუძს. თითქოს მხოლოდ სხვათა ბედ-იღბალით შეწუხებული და დაფიქრებული, სწორედ ამისათვის მოევლინოს ქვეყნად განგებას, სხვათა სულში ხელი აფათუროს, ანუ უკეთ სხვის თვალში ბეწვი დაინახოს, საკუთარში კი დირეც ვერ შეამჩნიოს:

სოფლელი მადონაც ეწია კულტურას,
გუშინწინ გაექცა ვირების ყროყინს,
სიგარეტს აბოლებს და იქნევს კურტუმოს
— დეეყე, ტროყი.

უნდა ითქვას, რომ ეს წამქეზებელი „მე", ზოგჯერ ზუსტად იჭერს და აფიქსირებს ფაქტს, როგორც უტყუარსა და შეუვალ სინამდვილეს.

ადამიანის შინაგანი გაორება მისი დუალისტური ბუნებიდან მომდინარეობს. მისი ორსაწყისიანი ბუნება ვერ იტანს სხვათა შენიშვნებს მაშინაც, როცა იგი დიდი ხანია მისაგან დანახულიც არის, აღქმულიც და შემდეგ ზურგშექცეულიც. დაწვრილმანება და ასეთ „მცირე" საქმეთა გამოდევნება მას „მეშჩანის" იარლიყს მიაკერებს. მას კი არ სურს „სხვათა თვალში" ასეთად გაცხადება საკუთარი თავის, ამიტომ იგი ძალას ატანს თავს და მტერთანაც კი ავგურის ღიმილითა და იუდას ამბორით მიდის. თუმცა წინადაწინვე იცის, რომ ყველა ცნობს. პირველ „მე"-ს რჩება მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა:

ძველად წარსულში კაცი კაცს მტრობდა
მახვილით, ტყვიით ან საწამლავით.
მაგრამ იცვლება დროთა ადათი
და ჩვეულება არაკრძალავი.
ჩემი მტერი კი მართლა მაოცებს,
ღვთისნიერებით გულჩვილი მგოსნის,
ასჯერ რომ შემხვდეს, — ასჯერ მაკოცებს,
პირდაპირ სულს მხდის ამდენი კოცნით.

სინამდვილე ხშირად უხეშია, ზოგჯერ იმდენად, რომ რომანტიკაც უძლურია და ვერას შველის. მეორე „მე", ანუ იგივე მეფისტოფელის პარადიგმა მსუბუქ ფორმებში — ცელქი და ანცი ჭინკა, კონკისტადორია, იპყრობს ადამიანის სულს და არ აძლევს გასაქანს. პირველი „მე" ძლიერ კონვულსიას განიცდის მისი შემოქმედების გამო და არტახებში მოქცეული სულის წრიალი ტკივილის ნიშანსვეტად ამოიტანს მისი უვიცობისა და თავხედობის ჯერაც შეუვალ ფაქტორს:

იგი არაფერს არ კითხულობს საუბედუროდ,
ან სად ცალია ქურდს და ყაჩაღს ყალბი
დიდების,
ახ, სალახანავ, ტაშისაგან გაბრუებულო,
რომ კითხულობდე, ცოტას მაინც
მომერიდები.

მეორე იმპერატიული საწყისი, ბოროტება ანუ ჭინკა ზოგჯერ კონსპირაციას მიმართავს, რათა უკეთ მოახერხოს იდეაზე ორიენტირებული პიროვნების შინაგანი სწრაფვის შეზღუდვა, ჩარჩოებით შემოსაზღვრა. ამას იგი ახერხებს რეალური არსებობის, ანუ მიწიერ სურვილთა დაკმაყოფილების შესაძლებლობებით, რითაც თვალს უხვევს სუბიექტურ „მე"-ს და ამით აშორებს ზნეობრივ ნორმებს:

გაყიდა სახლი... კარ-მიდამო მამა-პაპათა,
გაყიდა „ვოლგა", აგარაკიც ზედ წაამატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაკაცები ამოუდგნენ აქეთ-იქიდან
და უსინდისო მოსამართლის სკამი იყიდა.
ზოგი ციხეში მიაბრძანა, ზოგიც ციხიდან,
და რაც გაყიდა, ყველაფერი ერთად იყიდა.

დარღვეულია მორალური ეთიკა, შელანძღულია მამა-პაპათა საფლავები, გაყიდულია სინდისი. ადამიანის ზნეობრივი დეგრადირების ფაქტი მეხის დაცემასავით ერთბაშად ამუსრავს ყველა სხვა საბუთს და მეყსეულად გვიმჟღავნებს უზურპატორის მთელ ძალაუფლებას, გალანძღული სახელის ფასად მოპოვებულ ძალაუფლებას. საინტერესოა, რომ ეს სალანძღავი განსაზღვრება შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ერთი ფაქტი კონკრეტული გამოვლინებისა არ მისცემდა ავტორს საბაბს ასე გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება ამ კასტისადმი. ეგრეთ წოდებული „კანონი ულვთო სამართლისა“ მრავალთა უსვინდისო მოსამართლეთა სახელმძღვანელო კოდექსია.

იდეალი, როგორც ჭეშმარიტად ფასეული ფენომენი, არ არსებობს მისთვის. არსებობს სხვა ხატად შექმნილი „იდეალი“, საკუთარ ყალიბში ჩამოსხმული, მსგავსად და ხატად თვისა და თვისთა აზრთა. მთავარია სოციალური წარმატება, მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება გამართლებულია. ყოველივე ეს იოტისოდენადაც კი არ ქენჯნის ჰინკას სინდისს. აქ მისი ალღო უტყუარია:

ნაღდი ეშმაკი მაშინ ხარ,
თუ დრო-ჟამს შენთვის მოიხმარ,
თუ ქვეყნის ამომგდები ხარ
და ხალხს წმინდანი ჰგონიხარ.

არ არსებობს სირცხვილის შიში, არ არსებობს კომპრომისი. მთავარია მოატყუო ისე, შენც დაიჯერო შენივე ტყუილი, თანაც წმინდანად შერაცხვაც გარანტირებული გქონდეს.

ასეთი სოციალური ვითარება ადამიანთა მორალურმა სიმახინჯემ განსაზღვრა, ამიტომაც ჰინკას თვალსაზრისი საყურადღებოა და მისი ჩივილიც ყურმისაგდები:

ისეთი შებერტყილია
ისეთი ზოგი მათგანი,
იმათთან, ღმერთო, მართლა ვარ
მამააბრამის ბატკანი.

რა თქმა უნდა, ასეთ მწირ არგუმენტაციას სუსტი ძალა აქვს საიმისოდ, რომ მთლიანად დავიჯეროთ ჰინკას გულუბრყვილობა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რაც უნდა მალო, „ჭირი თავსა არ დამალავს“ — სამწუხაროდ:

წუთისოფელი ომია,
ომი ფუტკრის და კრაზანის,
აქლემის ქურდი ნემსის ქურდს
ხდება, ციხეში აგზავნის.

აქ გააზრება აღარც ხდება საჭირო, იმდენად უტყუარია ზემოთქმული და გრძნობ, როგორ ქრება დროული დისტანციის შეგრძნება, ირღვევა დროის საზანი, საუკუნეები გუშინდელი და დღევანდელი დღეებივით ეხმიანებიან ერთიმეორეს, და ჩვენც მონუსხულები თვალს ვადევნებთ ათასწლეულების დიად მონოლოგს.

უსასრულო პროცესი გრძელდება, მისი გაშუქების ნაცვლად ხელთ გვრჩება ცარიელი ჩარჩო უამრავი კითხვით. მორალური კანონი განთავისუფლდა თვითნებურად დაფიქსირებული კლასიფიკაციის ბორკილებისგან და გახდა პროცესის კანონი, ანუ უბრალოდ განმეორებადობა დროში:

საკითხავია რას ვეტყვით შორეთს,
ხვალინდელ მსაჯულს და ისტორიას.
სწორი პასუხი სადაა თორემ
კითხვა ისედაც ყველა სწორია.

ჭერჭერობით არ დამდგარა ის წუთი, როცა ჰინკაც შეიძლება გაანჩხლდეს ჰამლეტივით. იგი ჯერ კიდევ მოთმინებით ისმენს ბებერი ეშმაკის დარიგებას:

თეთრი ძაფით ხარ ნაკერი ბრიყვო,
ნეკში ვინახავ ჰკუას შენოდენს,
ეშმაკი უნდა ისეთი იყოს,
რომ ეშმაკობა არ სჭირდებოდეს.

მართალია ჰინკას ჭერჭერობით არ სჭირდება ნევრასთენიული ჰინჭყლობა. იგი კორუფციის საშუალებით სულ ადვილად ატყვევებს მავანთა და მავანთა გულებს. გულგაშლილად ეპატიჟება ლუკულუსის ნადიმზე, თან შემპარავად ჩასჩურჩულებს:

შენ ამირანიც გახდები,
მოსურნე დიდი დიდების,
რა უყოთ, ერთხელ შეცდები,
ნათლიას დაეჭიდები...

მთავარია, სახელ-დიდების ყიჩი შეაპარო, ავადმყოფობად უქციო დაუოკებელი სურვილი, მერე მას თითის განძრევაც არ დასჭირდება, აქეთ შეეხვეწებიან მუხლმანივით, სულს მოგცემენ და მიშველე რამეო. მან მიაღწია თავისას, აღაგზნო და გამოიწვია, იცის, ამ ჭიდილში ის ყოველთვის გამარჯვებულია იმდენად, რომ ეჭვიც კი არავის ებადება. იგი ირწმუნეს, როგორც გადამრჩენელი და ხოტბაც კი უძღვნეს:

ჰინკა კი არა, ავგაროზი ხარ,
ისე სწორედ ხსნი ცხოვრების იგავს.
შენ მგონი უფრო ანგელოზი ხარ,
ვიდრე მაცდური, ბოროტი ჰინკა.

მიზანი მიღწეულია. იგი უკვე ყურადღების ცენტრშია, ის სჭირდებათ და ისიც სიამოვნებით უხვევს თვალს ყველას. აზრადაც არავის მოსდის ბარათაშვილის ლირიკული გმირივით შეუძახოს: განვედ ჩემგან, ჰოი, მაცდურო, სულო ბოროტო.

ჰინკამ მშვენივრად იცის, რომ ადამიანის არსებობის, მისი ყოფიერების დადგენებისათვის აუცილებელია მატერიალური მხარე. მისი რწმენა საფუძველმოკლებული არაა, ამიტომ სრულიად ადვილია ამაში ხხვისი დარწმუნებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც საკმაოდ მოხერხებულად აკეთებს, აჭერებს მის წილ ნადავლს და უკვე იძულების გარეშეც აღწევს იმას, რომ მასთან ოდესღაც შებრძოლი სუბიექტური „მე" თავისივე ნებით თამაშობდეს, ანუ უკეთ კარგად ირგებდეს სხვადასხვა ნიღაბს გარემოების შესაბამისად.

რეალური სინამდვილე აუცილებლობის არსს გულისხმობს თავის თავში. აუცილებლობა კლავს იდეალს „სულის თავისუფლებისას". ამიტომ მას რჩება მხოლოდ ერთადერთი გზა, თუმცა სამარცხვინო, მაგრამ დიდებისა და სახელის მომტანი, მონობის გზა, სადაც გარდიგარდმო ნაპირებზე უამრავ თვალმარგალიტთან ერთად ლაქიათა გამუდმებული ქუდის ქნევა და ტაში ეგებება. აქ შემოქმედი გულისტკივილით ამოთქვამს:

ზოგიერთებმა რა იოლი გზა გამონახეს
და რა ამაო მღელვარებით ვარ
                              დანატორი-ო.

ყოფიერების წარმავლობის განცდა უცხოველებს სურვილს მეტის და მეტის მიღწევის, რათა დაიმკვიდროს საბრძანისი და იმეფოს. დიახ, შესაძლებელია ჩამოირეცხო სინდისი საკუთარი სურვილით, მიყიდო სული ეშმას და გარანტირებულია სახელ-დიდება. თუმცა მიწაზე რეალურად შესაძლებელი ყოველი მოსახვეჭელი მოიხვეჭა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ ტოვებს მას. და აი, ჭინკა მაშინვე იქაა პიკანტური აზრებით დატვირთული:

„ნახევრად ვინ რა აღმოაჩინა
ან ნახევარი რაა დიდება"...

სამყაროს მთლიანობა მიწისა და ზეცის ერთიანი კავშირია. ნახევარი დიდება მიწაზე მოპოვებული დიდებაა. ესე იგი, დანარჩენი ნახევარი მისაღწევია. ადამიანის გონებისთვის შეუძლებელის კატეგორიას სთავაზობს ჭინკა, უხსნის კარტებს და კვლავ გამაღიზიანებელი ტონით აქეზებს მომავალი ბრძოლებისათვის:

სულ სწორი იყო შენი გზა, ამინ!
ეშმაკისაგან გაუქლიკავი
და თუ იქნები ნახევრად რამე,
მაშინ ნახევრად ღმერთი იყავი!

აქ უკვე დემონური ძალები ცვლის ონავარი ჭინკის ადგილს და თავად სატანა-ლუციფერი კიდევ ერთხელ ჯანყდება ღმერთის წინააღმდეგ მისი ძალაუფლების მოპოვებისათვის.

აზრი დაიტვირთა სურვილით, იგი ამოსავალი პოსტულატი გახდა მონური სულისთვის. მრჩეველმა იდეალურად შესთავაზა მომავალი ბრძოლის ასპარეზი და მოპოვებული გამარჯვებით მიღებული ძალაუფლებაც.

ღმერთად გახდომა — ეს არის ის უნიკალური იდეა, რომელსაც სხვა დანარჩენი მსხვერპლად უნდა შეეწიროს, მაგრამ არა ნახევრად, რადგან:

ვინ თქვა ნახევრად ძლევა მწვერვალის,
ან სანახევროდ ვინ თქვა მიზანი.

იდეალურად ჩამოყალიბდა საწადელი, სატანაც მზადაა შეჭიდებისთვის. დიახ,

ნახევარ ყმობას უფრო ვიგუებთ
ვიდრე ნახევარ ტახტს და მეფობას.

პოსტამენტი საიმედო აქვს. ამქეყნიური ყველა დიდება მის ხელთაა. გზა, გზა ზეცისკენ ღმერთის ტახტის მოსაპოვებლად. აი, რას ვერ ხედავს. მაგრამ აქ თავად ღმერთი ერევა საქმეში და გულგაუმაძღარ დიდების მაძიებელს, ღმერთთან გატოლების დაუოკებელი სურვილითურთ ძირს ანარცხებს ბაბილონის გოდოლიდან და თავის პირვანდელ საუფლოში მიწის ქოხის წინ გატეხილ გობთან დასვამს ცარიელტარიელს.

ღმერთი მოწყალეა. მან დაანარცხა სატანით შეპყრობილი ადამიანი და არ დანთქა უფსკრულში ლევიათანივით. იცის, რომ ადამიანური არსი პირველ შეცოდებიდან მონებს ეშმაკს. ადამიანის დანარცხება სიმაღლიდან მის გამოღვიძებას, სულიერ გამოფხიზლებას ემსახურებოდა, თვით ღმერთის ხელშეხება ბოროტის განდევნას, მაგრამ ერთხელ გზას აცდენილი კაცი ძნელად თუ მიუბრუნდება საკუთარ საწყისს:

კაცი თავის თავს რომ ვერ პოულობს,
ასე მგონია, სხვის ადგილს იჭერს
მოგვიანებით ანდა დროულად
ჩვენს შორის იწვევს ღიმილს და იჭვებს.

ასე დამთავრდება დიდების მაძიებლის ყველა ოდისეა. თუმცა ბოროტი არ თვლემს, იმედსაც არ კარგავს და ყოფიერების საზრისს ახლა სხვა ჭრილში აშუქებს. მას სურს ანუგეშოს, დაარწმუნოს, რომ ის მართალია, გაყალბებული სიმართლე მისი არგუმენტაციის ძალაა. აქ უნებურად გვახსენდება პოეტის სტრიქონები:

ქვეყნად ყოველი უსამართლობა
მაინც სიმართლის სახელით ხდება.

ახალი როლი, ახალი ნიღაბი, ახალი სცენა საასპარეზოდ. ესაა განწირულ-გაწბილებულის კიდევ ერთხელ შერკინება ბედთან. და აი, მცირედ, მაგრამ მაინც სინანულის განცდა, რომ „წარმავალია ყველა სიცხადე":

თავის ბედს მონებს ყველა არსი, ყველა
                                    ატომი...
და კაცი ვერ ხსნის ბედისწერის სვლებსა
                                    და მულამს,
არც ყველა ქვირითს უწერია თევზად
                                    გახდომა,
არც რკო ყოველი გამხდარა მუხა.

მაგრამ ეს ანტურაჟი მხოლოდ დროებითია, ყოფიერების საზრისში ჩაღრმავება არ ხერხდება, რადგან

სიცრუე ისე ბევრია
ზღვაა, ტყეა და წვიმა.
. . . . . .
ხოლო სიმართლე ერთია, ერთადერთი და
                                    კენტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ მივაგნო ის ერთი:
ტალღა...
ფოთოლი,..
წვეთი...

და რადგან ამ ქაოსში შეუძლებელია იმ ერთის მიკვლევა, ჭეშმარიტების ხელშეხება და განცდა, მას ურჩევნია პლანქტონივით მიჰყვეს ცხოვრების დინებას, სადაც ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, მალულად და დაუფარავად გამოაქვს ეშმაკის გარდერობიდან საჭირო რეკვიზიტი საკუთარი როლის შესასრულებლად. სადაც აღარავის სჭირდება სიმართლე, სიყვარული, ერთგულება, სადაც „პირველ ტალღას ფასი აქვს მეცხრის“ და „ოქროდ ფასობს იუდას ვერცხლი“, სადაც ჰარმონიული ცხოვრების ჰიმნად გაისმის ეშმაკის დარიგება:

გაიმარტივე ყველა სირთულე
ხელის ჩაქნევით ანდა ქირქილით.
ხელთ იგდე თუნდაც სხვისი ტიტული.
დაიდგი თუნდაც სხვისი გვირგვინი.

შეუვალია სინამდვილე, ვერას გახდები მასთან ჰიდილით, ამიტომ თვითნებურად ემორჩილები ცხოვრების სცენას, სადაც ხან:

ღარიბი კაცის ნიღაბს ვიკეთებ,
არც მუნწი კაცის ვთაკილობ ნიღაბს,
რათა სიძუნწე ანდა სიკეთე
ვიხილო სხვათა თამაშის მიღმაც.
ხდება: არჯალ კაცს ვთამაშობ ბრბოში,
ვიცი, ასეა ზოგჯერ საჭირო,
რომ იქნებ სულში უმწეო ბავშვი,
კეთილი ბავშვი გადავარჩინო.

ეს უკვე პირველი იმპერატიული საწყისის ლირიკული წიაღსვლაა. მისი აზრით:

იქნებ მეტი თქვას იგავ-არაკმა,
ანდა ნიღაბი იყოს მისნური,
რიკოშეტულად სხლტება ქარაგმა.
მიზანთან უფრო ზუსტად მისული.

მაგრამ ბედისწერას სად გაექცევი, აღვირი მის ხელთაა, ისაა წარმმართველი:

ზოგი მიფრინავს,
უკან რჩება ჟამი და სივრცე,
ზოგი მიჩოჩავს, სიმწრის ოფლი
გასდის კბილებში...
ზოგი საკუთარ ჩრდილში დგება მისივე
ნებით
და ჯუჯად თვლიან სულით გოლიათს,
ბავშვობიდანვე ჩუმად დააქვს შეჭრილი
ფრთები,
ბრბოს კი რატომღაც კუზი ჰგონია.

ცხოვრების ფოკუსში სინამდვილისა და ილუზიის შეხება გარდაუვალია. უკვე შეუძლებელია ნიღბის ჩამოხსნა. ის ისე შეხორცებია სახეს, მისივე ნაწილი გამხდარა. აქ უკვე სავსებით საგრძნობია, თუ როგორ დგახარ თავდაყირა და შენთან ერთად მთელი სამყაროც; სადაც ყრუს შეუძლია მუსიკოსნი შეაფასოს, ბრმას ხედვის საიდუმლო ასწავლოს სხვათ, სადაც ყველას შეუძლია ანგელოსის ფრთები იყიდოს და წმინდანის რანგში ამაღლდეს. და ყოველ მათგანს, ერთად და ცალ-ცალკე, შეუძლია, თუკი იცანი, ჯვარზე გაგაკრან, ძელზე გაგსვან და ლურსმნებიც მოარბენინონ.

გაუფასურდა რადგან ჭეშმარიტი ღირებულებები, სულ ადვილად მიიღწევა ყველა ღირსება. ერთი ფასი აქვს დაფნის გვირგვინს და მიწის გლეჯს. ადამიანმა მისთვის ამართულ ყველა ზღვარს გადააბიჯა, ყველა ლაბირინთი ეშმაკეული სულისა დალაშქრა და ისე გაიწაფა, რომ მისთვის უკვე არაფერს წარმოადგენს თვით ჯოჯოხეთში შთასვლაც კი; აქ თვითონ ეშმაკიც კი გაკვირვებულია:

ზოგს დიდოსტატის მკლავი უკუღმ...
(როგორ არ არის გასაოცარი),
არ მოუჭრია ერთი ჩუქურთმაც,
ისეა დიდი ხუროთმოძღვარი.

. . . . . .

რა მოხდა, ექვით რად დაინაღმა
სახელი მხატვრის, თანადროულის,
ბრძენს ურჩევნია ბრიყვის ნიღაბი,
მჭევრმეტყველს — მუნჯის,
მგოსანს — კლოუნის.

ეს სინამდვილეა, რომელზეც ოცნებობდა ეშმა, მაგრამ ადამიანმა ისე გაითავისა ეს ყოველივე, რომ მისთვის ეს უკვე ტვირთი კი არა, სამკაული გამხდარა, ეშმა გულისტკივილით ამოთქვამს:

სულ ერთიან დავგლახდით ძველი ეშმაკები,
არაფერი არ შეგვრჩა, გარდა ქვეშაგების.
რა დროს ეშმაკობაა, ყველა გაეშმაკდა,
გაკრეჭილი თხასავით ვზივარ კაეშანთან.
უნდა გამოვიცვალო ეშმას პროფესია.

სატანის ტოტალურობის განცდა მთლად დაიკარგა. იგი ბავშვურად გასაცოდავდა და უმწეო გახდა, სიბრიყვემდე გამარტივდა მისი ყველა ბნელი კუნჭული, ხვეულ-ხლართი, ხრიკი და ოინი. ახლა შეიძლება ბავშვივით დავტუქსოთ და ვკითხოთ თუ რატომ სჩადიოდა ბოროტებას, ბავშვურადვე მიამიტურად გაგვცემს პასუხს: „იმიტომ რომ სიკეთე უკვე ჩადენილია“. მისი არსებობის გამართლება კი — ბოროტებაა, თუმცა ითქვას ადამიანს მიწაზე ჩამოსახლების დღიდან არ დაუტოვებია ეს საწყისი. იგი ქამელეონივით იცვლის ფერს, „ეგუება გარემოს და ძნელად გასარჩევი ხდება ფაუსტური საწყისისგან. მას აღარ სჭირდება მაგიური ნიშნებითა და შელოცვებით ეშმას მოხმობა. მათ შორის თავისთავად დამყარდა ონტოლოგიური კავშირი პირველი შეცოდებიდან. მეფისტოფელი ჩვეულებრივ მოქალაქედ, ან უკეთ, ყოველი მოქალაქის შინაგან აუცილებლობად იქცა. იგი ალეგორიულად გამოხატავს ადამიანის „მეორე ბუნებას“, მის იდუმალ დემონურ სახეს. თვით ჰინკამაც მშვენივრად იცის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა ცოტაა სადიდებელი,
მაგრამ სიცრუე მეტია ასჯერ.
არც მსაჯული ვარ,
არც ბრალმდებელი,
პირიქით, მგონი მე ვიხდი სასჯელს.

როცა ბოროტი საწყისიც კი ხედავს საქებარსა და სადიდებელს, ცხოვრების ორომტრიალში მისივე ხელით მაცდუნებლად შემოთავაზებულ სიცრუეს, რომელიც ადამიანებმა შეისისხლხორცეს, როგორც უცილობელი თავსამკაული, უნებურად ეჭვი გიპყრობს, რას ქადაგებს, რა უნდა, თუკი არც მსაჯულია და არც ბრალმდებელი, რად ათამაშებს ერთ როლში ორს. ორივე „მე"-ს ერთად ითრევს გაუგებრობის მორევში, („გაუგებრობას ბრბო ყოველთვის სიღრმედ აღიქვამს"), რათა ერთი არსი, დანაწევრებული ათას მცირე-„მედ" არასოდეს იყოს „მთელი". ერთმანეთთან დაპირისპირებულია ორი შემოქმედი და მეუფე — ორივე უსაწყისო და მარადიული, რომელთა ბრძოლა სცენის მიღმაც გრძელდება. ჩვენ მაყურებლის ამპლუაში ვრჩებით და ვისმენთ მათ დიალოგს:

ის ჩემს შეცდომებს, ყალბ შტრიხებს,
ნიღბებს,
როდესმე ალბათ რაც გამაცინებს
ჩუმად აგროვებს და სცენის მიღმა
დამიყრის, როგორც პროკლამაციებს.
ან ერთის ტრიუმფს შევეთვისებით
ან სცენა უნდა დავთმოთ ერთ-ერთმა
და ის თავის როლს, თავის ღირსებას
სახეში მესვრის, როგორც ხელთათმანს...

ეს დიალოგი გლობალურ ხასიათს ატარებს. ეს არაა უბრალო ქიშპი, უბრალოდ „ერთ მთავარ როლში ორის თამაში", ესაა კანონი პანტომიმისა, მიბაძვის საწყისს, როგორც სამყაროს გააზრებისა და შემეცნების კრიტერიუმს, სრული კოორდინაცია ახასიათებს. ყოველი სიტყვა კარგავს რადაცას მისი „ზოგადი" ხასიათიდან და იძენს სხვა სახის განზოგადებას, რომლის განსაზღვრაც ძნელია. იძენს კანონზომიერებას, რომელიც ძალზე ინდივიდუალურია. ეს ის პარადოქსია, რომელსაც უბრალო შედარება თავს არიდებს.

სამყაროს პირველსაწყისი ბიძგის ინერცია მსგავსების საფუძველში აღმოჩნდა. მას თავისი რიტმი, მუსიკალობა და გარკვეულწილად სიმეტრია ახასიათებს. იგი როგორც პლასტიკური ხატი შედარების კატეგორიისა, ერთ მნიშვნელობაზე არ დაიყვანება. მას მრავალი განზომილება აქვს. მარტო ნიღბების ცვლა არ არის გააზრებული ან ბრმა მიბაძვა ვინმესი, ესაა მოქმედებაში გამოხატული ის ფუნქცია, რომელიც დაეკისრა ადამიანს შექმნილი სიტუაციის ან როლის განზოგადების დროს.

წარმავალი ზღვარი ცხოვრების სცენასა და თეატრალურ სცენას შორის, ნიღბების უსასრულო სიმრავლემ უსასრულოდ ამოუწურავი გახადა სოციალური როლები. თამაშის ფენომენი განუყოფელი გახდა ადამიანის არსისგან. ხომ არ არის ეს უსასრულო ბალ-მასკარადი თავისი ნიღბებითურთ პირველსაწყისი სიწმინდის გადარჩენისათვის ბრძოლა?! რაც ხე ცნობადის ნაყოფი იგემა ადამიანმა, დაკარგა ჭეშმარიტი სიხარულისა და ბედნიერების განცდა, დაკარგა ჰარმონია თავად ღმერთთან და სამაგიეროდ შეიძინა ცოდვა, შეიძინა მეგობრად ეშმაკი და მისი გულისთქმანი. ამ ტოტალურ ფერხულით, სადაც სატანის ხარხართან ერთად ადამიანური ყოფის საშინელი ღრიანცელიც ისმის, ხომ არ არის ცდა იმისა, რომ მიიქციონ ყურადღება ღმერთისა, რომელსაც შეუძლია შეიწყალოს და დაუბრუნოს კაცობრიობას დაკარგული სამოთხე:

რა მოსდის ადამის ძეთ,
თავს ველარ იკავებენ.
სულ ტანზე გადაიცვეს
არაკებ-იგავები.
რად მინდა, რას მავალებს
თუ თავის პატრონი ვარ.
როლების კარნავალი
ნიღბების პანტომიმა.

ესაა გაუცნობიერებელი მომენტი, დაკარგულის უკან დაბრუნების, სულში მოფართქალე უმწეო ბავშვის გადარჩენის მცდელობა. დამალო ის, რასაც არ სჭირდება ნიღაბი, დამალო ბავშვური სიწრფელე, შეურყვნელი სინდისი. დიახ, გადამალო, როგორც უმთავრესი და უცილობელი „ღირებულება" სატანის ხელყოფისგან, რადგან სამყაროს სჭირდება გადარჩენა, სჭირდება არსებობა, რადგან იგი მთელის გადარჩენას. კაცობრიობამ არ იცის ღრმა შეგნებით ეს, ქვეცნობიერით გრძნობს მხოლოდ ამას და იგი იძულებულია ითამაშოს. მისი როლებრივი ფუნქცია, როგორც სასჯელი და სამკაული ერთდროულად ერთფეროვნებისა და განურჩევლობის ზღვარზეა. ტრაფარეტული პოზა შეყინული ღიმილითურთ კაცობრიობის გამოცდილების შედეგია:

დარდს უნდა გიქარვებდეთ
ღიმილი — ხატპეპელა.
— ინებეთ სიგარეტი,
ჩხაკუნობს სანთებელა.
ცხოვრებაც თეატრია
და გიყვარს გაგიჟებით
რაც უფრო ფერადია
რეკლამა აფიშები.

ესაა მთელი სამყაროს სატირა კაცობრიული ცივილიზაციის მიერ მოპოვებული.

საინტერესოა, რომ ჰარმონია, რომელიც ილუზირებულია ძირითადში, ვერ ქმნის ნაწილთა აბსოლუტურ მთლიანობას. იგი მიუღწეველი რჩება ყოველთვის, რადგან მისი ჭამიც ილუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზიათა ილუზიაა, რომელიც მთელი ამ მასკარადის ნაკლოვანებით ხასიათდება. ამ ნაკლოვანების შეგნება აზრს უკარგავს სამყაროს ყოვლადობას, ამცირებს მას და ამით გზას უხსნის ფაუსტურ დაუკმაყოფილებლობას. სამყარო ასეთ შემთხვევაში კარგავს თავის მნიშვნელობას და ადამიანური აზროვნებისათვის რჩება მხოლოდ უინტერესო ფენომენი. ამიტომ შეცნობა, რომელსაც ათასგვარად ესწრაფვის ადამიანი როლების კარნავალში, ფაქტიურად შეცნობილის უაზრობის შეგნებას ნიშნავს, ყოველგვარ ღირებულებათა გაუფასურებას ანუ გაარაფრებას. ეს კი იმას იწვევს, რომ ასეთი შემეცნების თეორია ადამიანური რაობის საკითხს დასასრულის ცნებას უკავშირებს. ამიტომ მისი ძიების, ბაძვის, მსგავსებისა და შედარების ონტოლოგიური ცენტრი არა საწყისის, არამედ დასასრულის არაფერშია:

ეშაფოტივით ამართულ სცენებს
ეხლება შიში, ლავა თუ განსჯა.
გრიალებს ტაში... ეს მერამდენედ
შენ გეპატია სიკვდილით დასჯა.

გარედან ხედვის პრინციპით, დაუწერელი კანონების საზომით მუდმივი ჩხრეკა-ძიება არაფერს გვაძლევს, გარდა სოლომონის ბრძნული სენტენციისა, „ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო“.

და რადგან არსებობს უფრო მაღალი განზომილებებისა და კატეგორიების ჭეშმარიტი ღირებულებები, არც მთლად ამაოა ყოველივე. ღვთიური შეფასების კრიტერიუმებით არსებული იდეალები მარად ცოცხლობენ ჩვენს ხატებაში და ჩვენგან ხათუთ დამოკიდებულებას მოითხოვენ:

და თუ შევცდებით,
შეგვეშლება, მართლაც რაიმე,
ხომ შეიძლება გვეპატიოს ათასში ერთხელ!

ადამიანის ბუნება ცოდვილია, ამბობს პოეტი და ამით გამოხატავს მთელ თავის პოზიტიურ მრწამსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავთანდილ ადეიშვილი

# პუბლიცისტური პოლემიკის ეთიკა

სანამ პოლემიკის ეთიკის სტრუქტურას გავეცნობით, აუცილებელია, გარდაქმნამდე არსებული ყველა პროფილის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თვისობრიობას ჩავუღრმავდეთ. აქედან გამომდინარე, ადვილად დავრწმუნდებით, რომ პოლემიკის იმდროინდელი ფსიქოლოგია სტალინისტური დიქტატის ფორმულით გამოიხატებოდა: სოციალიზმის აშენება კლასთა და ფენათა ფიზიკური განადგურებით. ის, რაც ამ სტალინისტურ გზას ეწინააღმდეგებოდა, მიუღებელი იყო, ის კი, ვინც საპირისპირო იდეას წამოჭრიდა, ხალხის მტრად ცხადდებოდა. ამგვარი სოციალიზმის აშენება საქართველოსაც არ აცდა ანექსირებული გასაბჭოებით. ამ დღიდან დაიწყო განსხვავებული აზრის წინააღმდეგ ბრძოლა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ არსებობს აზრთა შეჯახება, დავა, — არსებობს ჭეშმარიტება და არსებობს პოლემიკა, რომელიც იბრძვის სამართლიანობის დამყარებისათვის. მაგრამ როდესაც ისპობა აზრთა სხვადასხვაობის გამოხატვის საშუალება, საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს თუ ოპოზიციას ეკრძალება განსხვავებული იდეის გამოთქმა, მაშინ კი უკვე ზედმეტია, ვილაპარაკოთ რაიმე პრობლემის გონივრულად გადაჭრაზე. რაკი ეს არ იქნება, არც პოლემიკის ცნება იარსებებს. პოლემიკის ეთიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

როდესაც ძალმომრეობა წინა პლანზე დგას, ჩნდება ყოვლისშემძლე პოლემიკა, ძალმომრეობა ფსევდოპოლემიკად მოგვევლინება.

დიდი ილია ჭავჭავაძე თავის პოლემიკურ წერილებში გვაფრთხილებდა („ცხოვრება და კანონი"), რომ „არა გვაქვს ურთიერთშორის განწყობილება", თუკი განწყობილება არ არის, არც აზრის გაცვლაა შესაძლებელი, მაშინ არც ჭეშმარიტების დადგენა მოხდება და, თუ ჭეშმარიტება არ იზეიმებს, რეტროგრადობის სიბნელეში მოვხვდებით. ორი სხვადასხვა იდეის დაპირისპირება მხოლოდ პოლემიკურ ასპექტში უნდა გადაწყდეს, პოლემიკა — იდეათა ჭიდილი — დასაბამს უდებს ახალი აზროვნების ჩამოყალიბებას, ისეთ პრობლემურ საკითხზე, როგორიც არის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დღესდღეობით არსებობს ეგრეთ წოდებული პოლემიკა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად ეკონომიკური დამოკიდებულების საპირისპიროდ დაიბადა ეკონომიკური დამოუკიდებლობის იდეა. რა თქმა უნდა, პოლემიკური პროცესის დროს გაიმარჯვებს ის იდეა, რომელიც ლოგიკურად გააზრებული იქნება. სწორედ ამ ლოგიკურ გააზრებას დაეყრდნობა სახელმწიფოებრივი სისტემაც, რომელიც წარმოშობს პროგრესულ აზროვნებას ყველა სფეროში.

პოლემიკა საშუალებას იძლევა, ჩვენს საზოგადოებაში ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს კრიტიკული აზროვნება: დავინახოთ და ვაღიაროთ დაშვებული შეცდომები. პოლემიკის საშუალებით შეიძლება გასწორდეს ხარვეზები. ჭეშმარიტი პოლემიკისათვის უცხოა დოგმატიზმი და აზრის აკვიატებული მონარქიულობა.

იმისათვის, რომ გავარჩიოთ პოლემიკა დისკუსიისაგან და პოლემიკური დისკუსია დისკუსიური პოლემიკისაგან, აუცილებელია მათი ცალ-ცალკე განსაზღვრა. პოლემიკა ეს ისეთი დავაა, რომელშიც მონაწილეობს ერთი ან რამდენიმე პოლემისტი და რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა თვალსაზრისი.

დისკუსია თავისი არსით ერთ გარკვეულ თანამოაზრეთა იდეას ავითარებს და ჩარხავს. ეს უფრო კოლექტიური აზროვნებაა ერთი იდეის უკეთ ჩამოყალიბებისათვის.

უძრაობის პერიოდის პოლემიკა დისკუსიური სახისა იყო. საბჭოურ პრესაში ყოველთვის ერთი ტენდენციური აზრის ფსევდოპოლემიზაცია ხდებოდა. არ არსებობდა რომელიმე პრობლემაზე განსხვავებული აზრი, გამორიცხული იყო საქმის ახლებურად დანახვის პრინციპი. სწორედ ამ ტენდენციურობამ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში დინოზავრული დოგმატიზმის კვალი დატოვა. ამ დროს სავსებით იყო უგულებელყოფილი ცნობილი ლათინური გამონათქვამი: „დავაშია ჭეშმარიტება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ აღვნიშნე და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ოპოზიციონერის ფიზიკური განადგურება იწვევს საზოგადოების გონის მოკვეთას, მაშასადამე, კვდება დემოკრატია, პიროვნების თავისუფლებაზე ლაპარაკი კი ნიჰილიზმია და მეტი არაფერი.

პოლემიკის ძირითად დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს იდეის სხვადასხვაობა და ფსიქოლოგია, რომლის ასპექტი ორი ნაწილისაგან შედგება:

1. ლოგიკური გააზრება
2. სამყაროს სახეობრივი აღქმა.

თუ ჭეშმარიტების ძიება ლოგიკური გააზრებით ხდება, დამოკიდებულება პოლემიკურია. თუ ჭეშმარიტების ძიების გზა მოიჭრა, მაშინ ლოგიკური აზროვნება ალოგიკურ ბოდვაში გადაიზრდება, ირღვევა კონტროლი — ადამიანის სულიერი წონასწორობა და ხდება პიროვნების გაუცხოება. დუმილით და უთქმელობით ადამიანი კარგავს სამყაროს სახეობრივი აღქმის უნარს და იზღუდება არასამართლიანობით, რაც გამორიცხავს პოლემიკის ეთიკას.

„პერესტროიკამდე“ ზემოდან მხოლოდ დირექტივების მოწოდება ხდებოდა, ყველაფერი მონოიდეისტური იყო. იდეა მხოლოდ დიქტატორს გააჩნდა, საზოგადოების უფლება — თავისუფლება დირექტივის დისკუსიაში მჟღავნდებოდა, თუმცა მას რატომღაც პოლემიკას ეძახდნენ, რაც ჭეშმარიტი პოლემიკის არსს არ გამოხატავდა თვით ვ. ლენინიც პოლემიკას კლასობრივი მტრების საწინააღმდეგო იარაღად თვლიდა, როცა ამბობდა: იგი ჩვენი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთო.

რადგანაც ამ 70 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში დანერგილი იყო მონოიდეიზმი, არსებობდა მხოლოდ დისკუსიური პოლემიკა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ არ გვქონდა პოლემიკის ეთიკა. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ ძალმომრეობა თრგუნავდა თავისუფალ პუბლიცისტურ აზროვნებას. ერთი იდეის გარშემო ტრიალმა დააკნინა პუბლიცისტური პოლემიკა.

უძრაობის ხანამ, თავისი თვისობრიობიდან გამომდინარე, საზოგადოება ახლისაკენ განაწყო. ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა საზოგადოების განწყობილება და უძრაობიდან ქვეყნის გამოსაყვან მექანიზმად „პერესტროიკის“ იდეა წამოაყენა. „პერესტროიკის“ იდეა ეყრდნობა რეალობის აუცილებლობას, ისტორიის გასინამდვილებას და ანალიტიკური არხებით საზოგადოების გადარჩენის გზის ძიებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბებით, პუბლიცისტური პოლემიკის წინა პლანზე წამოწევით.

სამართლებრივი სახელმწიფო რომ შეიქმნას, უნდა არსებობდეს ორი ან რამდენიმე ჭეშმარიტი იდეა და პოლემიკური პუბლიცისტიკა.

როდესაც სოფლის მუშაკს გამოსტაცებ აგრარულ თავისუფლებას, წაართმევ მიწაზე კერძომფლობელობას და მოსპობ მიწისა და გლეხის ჰარმონიულ დამოკიდებულებას და თავს მოახვევ ავტორიტარულ პოლიტიკას, მაშინ გლეხი კარგავს მიწის სიყვარულს და თავის თავში აღმოაჩენს პოტენციურ მონას. ის რწმუნდება, რომ მიწაზე მისი უფლება მხოლოდ შრომით გამოიხატება, მოსავალს თვითონ კი არ ანაწილებს, სხვები უნაწილებენ. ამის შემდეგ იგი წყვეტს ავტორიტარულ სახელმწიფოსთან როგორც არარეფლექსურ, ისე რეფლექსურ მოსმენას და ხდება გლეხის, როგორც ფენომენის, მოსპობა, ანუ გაუცხოება.

ახალი აგრარული პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია იდეათა შეჯერება, რაც პუბლიცისტური პოლემიკით უნდა მოხდეს და არა დიქტატორული კოლექტივიზაციით.

ავტორიტარულმა მართვამ დისჰარმონია შეიტანა მუშის ცხოვრებაშიც. მუშა ქარხნისათვის შრომის მიმცემია. მას არ მიაკუთვნეს ქარხანა, იგი ქარხნისათვის რაოდენობაა და არა მისი თვისება. ასეთივე მდგომარეობაშია ტექნიკური ინტელიგენციაც — იგი დიქტატის გამტარებელია და არა შემოქმედი-პროგრესისტი. ის თავისი ცოდნის მიმართ არაზნეობრივია — ერთი ყველაა და ყველა ერთია!

ინტელიგენციაც ავტორიტარული პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. მოიკვეთა ოპოზიციური აზროვნება, რადგანაც კლასები და ფენები ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად განეწყვნენ. ეს კი იმის საშუალებას იძლეოდა, რომ საბჭოურ დიქტატორებს არასამართლებრივი მეთოდებით ემართათ საზოგადოება.

სოციალ-დემოკრატიულმა პოლიტიკამ ჩაახშო ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობა და მთავარ საკითხად წამოსწია ინტერნაციონალიზმი და სოციალური პრობლემა. ამან კი, პრაქტიკულად, განადგურების საფრთხე შეუქმნა კულტურულ ერებს.

განვლილი 70 წლის მანძილზე მოისპო ჭეშმარიტი პოლემიკური პუბლიცისტიკა, ამან დეფორმირებული ცხოვრება შექმნა. ერთი ყველაა და ყველა ერთის გონებისაა. ასეთმა ცხოვრების წესმა გაანადგურა და, თუ შეიძლება ითქვას, მოკლა პუბლიცისტური პოლემიკის ეთიკა.

პლურალიზმმა დღის წესრიგში დააყენა პოლემიკური პუბლიცისტიკის აღორძინება.

იმისათვის, რომ პოლემიკის ეთიკა შევისწავლოთ, საჭიროა, განვსაზღვროთ პოლემიკის ფსიქოლოგია.

პუბლიცისტური პოლემიკა რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, პრობლემური საკითხების გადასაჭრელ იარაღად იქცეს, ამისათვის საჭიროა პოლემიკა იყოს ეთიკური. დღევანდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წარსული პუბლიცისტიკის ანალიზმა დაგვანახა, რომ პუბლიცისტური პოლემიკა, როგორც ჟანრი, მაშინ არის სამართლიანი, თუ იგი ეთიკურია, ამისათვის კი საჭიროა ეთიკის, როგორც პოლემიკის განმსაზღვრელის, შესწავლა და თვით პოლემიკური ეთიკის რაობის შეცნობა.

ეთიკის შესახებ ბევრი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. განმარტებისათვის: ეთიკა, ბერძნული სიტყვა — ფილოსოფიური მოძღვრება მორალის, ზნეობის, როგორც საზოგადოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფორმის შესახებ.

განვიხილოთ, რა სიტუაციაშია პოლემიკის ეთიკა გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პერიოდში არსებობს თუ არა პოლემიკური ასპექტი და ეთიკურია თუ არაეთიკური იგი?

პოლემიკის ეთიკის კლასიკური მაგალითია ბატონ აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტური საარჩევნო პროგრამა (გაზეთი „თბილისი", 28 მარტი, 1989 წ.). ხოგს შეიძლება ეჭვიც კი შეეპაროს, საარჩევნო პროგრამა რანაირად ჩაითვლება პოლემიკურ პუბლიცისტიკად? პასუხი კი ასეთი იქნება: „საარჩევნო პროგრამა" თავისი არსით პოლემისტურია, რადგანაც იგი ახალი იდეის მატარებელია, ოპოზიციური ხასიათისაა და გამომდინარეობს გარდაქმნისა და პლურალიზმის პრინციპებიდან.

შევეცდები, ავხსნა, თუ რატომ არის ეს პროგრამა პოლემიკური და ეთიკური.

ბატონი აკაკი ბაქრაძე ასე იწყებს: „მართალია, სსრკ კონსტიტუციაში წერია, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. მოკავშირე რესპუბლიკები არ არიან სუვერენული სახელმწიფოები."

აქ უკვე წამოიჭრა რეალური პირობა იდეის დაბადებისათვის: საქართველო არ წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს, ეს კი გამოჩნდა კონსტიტუციის ფორმალურობიდან. არსებობს კონსტიტუცია მხოლოდ ქაღალდზე, ჩვენი ცხოვრება არ ასახავს კონსტიტუციურობას. მაშასადამე, დოკუმენტი არ ასახავს ცხოვრებას, ცხოვრება კონსტიტუციის საპირისპიროა. გამოდის, რომ ცხოვრების მიერ დოკუმენტის სახეობრივი აღქმა არ ხდება. ამას ადასტურებს აღნიშნული პუბლიკაციის ლოგიკური გააზრება:

„არ შეიძლება სახელმწიფოს ეწოდოს სუვერენული, თუ მას არ ჰყავს ეროვნული არმია, არა აქვს ეროვნული ბანკი, არა აქვს საგარეო საქმეთა სამინისტრო ელჩებითა და წარმომადგენლობით უცხოეთში, არა ჰყავს მთავრობა, რომელიც არჩეულია მთელი ხალხის თავისუფალი ნებით".

აი, აქ გამოჩნდა პოლემიკური ლოგიკურობა. ბატონმა აკაკი ბაქრაძემ სუვერენული სახელმწიფოს ლოგიკური სტატუსი დაუპირისპირა რესპუბლიკის უუფლებობის „სტატუსს". საქართველო დღევანდელი გარდაქმნის პოზიციიდან დაუპირისპირა სსრკ-ს კონსტიტუციას და ტოტალიტარულ-ავტორიტარულ პოლიტიკას, რომელიც სტალინმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ბატონმა აკაკი ბაქრაძემ საკითხის რეალურობა დააყენა და მარტივი გააზრებით უპასუხა:

„ამის გამო მიმაჩნია, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა (და, ცხადია, მათ შორის საქართველო) უნდა იბრძოდეს ჭეშმარიტი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად".

ახლა გავყვეთ ბატონ აკაკი ბაქრაძის პოლემიკას, — რამდენად ლოგიკური, გონივრული და კეთილგანწყობილია იგი. ბატონი აკაკი ბაქრაძე აგრძელებს: „იმ მოვლენებმა, რაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, სომხეთში, აზერბაიჯანში, იაკუტიაში, საქართველოში და სხვაგან ხდება, ცხადყვეს, რომ ეროვნული პრობლემა სსრ კავშირში მოგვარებული არ არის".

რატომ?

„პოლიტიკური წყობილების ფედერალური სისტემა, რომელიც ამჟამად სსრ კავშირში არსებობს, მოძველდა და შესაცვლელია. იგი გავლილი ეტაპია და საჭიროა უფრო სრულყოფილი ახალი სისტემით შეიცვალოს. ამ ახალ სისტემად მიმაჩნია სრული ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე (ხოლო ნამდვილი სუვერენიტეტი რას ნიშნავს, ეს ზემოთ უკვე ვთქვი) ხალხების ნებაყოფლობითი თანამეგობრობა, ანუ სხვანაირად თუ ვიტყვით, სსრკ უნდა გახდეს ჭეშმარიტი სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირი. ძალიან საეჭვოა სხვანაირად სსრ კავშირის ეროვნული პრობლემების მოგვარება! შეიძლება მხოლოდ ძველებურად, დროებით ეს საკითხი მივჩქმალოთ! ხოლო ეროვნული პრობლემის მოუგვარებლობა შეუძლებელს გახდის „პერესტროიკა"-გარდაქმნის პროცესის გამარჯვებით დაგვირგვინებას".

გარდაქმნის ლოგიკიდან გამომდინარე ბატონი აკაკი ბაქრაძე სათნოებრივი ასპექტით ასაბუთებს:

„სამართლიანი სახელმწიფოს ერთი უპირველესი ნიშანია ამ სახელმწიფოს მოსახლე ერების სრული ეროვნული თავისუფლება. პიროვნების ყველა სხვა თავისუფლება ეროვნული თავისუფლებიდან გამომდინარეობს".

პროცესის სახეობრივი განსაზღვრისათვის უნდა ითქვას, რომ ბატონი აკაკი ბაქრაძე პოლემიკურ მოპაექრედ ირჩევს გარდაქმნის თეორიის იდეოლოგებს — ფუძემდებლებს და მათ ერთგვარად „შეეხიდება", მათ, — თავაზობს თავის პოლემიკურ იდეას, რომელიც „პერესტროიკის" გამარჯვების ერთ-ერთი კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტალიზატორი იქნება. ეს გახლავთ ლოგიკური გააზრება ჭეშმარიტების საფუძველზე.

ახლა დავსვათ შეკითხვა, როგორია სახეობრივი აღქმა? გონივრულია მისი მოთხოვნები?

გონივრულია, რადგანაც კონსტიტუციურია, სათნოა იმიტომ, რომ ერები იღებენ დამოუკიდებლობას და პიროვნულ თავისუფლებას. ეს კი სიკეთეა. გამოდის, პოლემისტის კამათი ეთიკურია. ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ ფრაზები გაწმენდილია ყოველგვარი ამაღელვებელი სტილისაგან, არ არის გამოყენებული მეტაფორისტული ორაზროვნება, დაცულია პუბლიცისტის პოლიტიკური სტილი. წინადადებები აგებულია მტკიცე სინტაქსით, რასაც მსმენელი და მკითხველი მიჰყავს იდეის სწორად აღქმისაკენ.

„ეკოლოგიურადაც კი აუცილებელია სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოთხოვნა. მოგეხსენებათ, მეოცე საუკუნის დასასრული პოსტინდუსტრიული ეპოქაა, რომელმაც ურთულესი და უდიდესი საერთაშორისო პრობლემა — ეკოლოგიური პრობლემა წარმოშვა. ბუნებრივია, ეკოლოგიამ არც საქართველოს აუარა გვერდი. როგორც ყველგან, ისე ჩვენშიც მოსაგვარებელია იგი. მაგრამ მოგვარება ძალიან გაძნელდება, თუ ყველა საკითხი მოსკოვში გახდა გადასაწყვეტი ან შესათანხმებელი. მაგალითად, ტრანსკავკასიის რკინიგზის ბედის გადაწყვეტა იმიტომ გაჭიანურდა, რომ ველოდით მოსკოვის აზრს. ტრანსკავკასიის საკითხი თბილისში გაცილებით მალე მოგვარდება. ეს ისე არავინ გაიგოს, თითქოს მოსკოვში ვინმე ამას საგანგებოდ აჭიანურებდა".

ამის გააზრებამ და სახეობრივმა აღქმამ ყველა ქართველი დაარწმუნა, როგორ და რანაირ ეკოლოგიურ დარღვევებს გამოიწვევს ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა და ექსპლოატაცია. და რადგანაც ეს საშინაო გადასაჭრელი საკითხია, გარეშე ვერ გაიგებს ან არ გაიგებს. ბატონი აკაკი ბაქრაძე აკეთებს ლოგიკურ დასკვნას: „...ეკოლოგიაც სრულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს ითხოვს".

როდესაც ბატონ აკაკი ბაქრაძის საარჩევნო პუბლიცისტური პროგრამის ეკოლოგიურ ნაკვეთს ვიხილავთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ პოლიტიკური პოლემიკის ეთიკას: „ეს ისე არავინ გაიგოს, თითქოს მოსკოვში ვინმე ამას საგანგებოდ აჭიანურებდეს".

ამ ეთიკურ გამოხატვაში ჩანს მოკამათის დამოკიდებულება, განწყობილება მმართველის მიმართ; იგი არ არის გამალიზიანებელი, დავა მსჯელობითია და ხელისუფალს შეასმენს მისი ესოდენი მოუცლელობის გამო, რომელიც შეიძლება არაკეთილგონიერების საწინდარი გახდეს, გახდეს კი არა, გახდა კიდეც, როცა: „უგუნური ქმედების გამო არალის ზღვას დაშრობა ემუქრება. უკვე რამდენიმე საქართველოს ოდენა ტერიტორია უდაბნოდ იქცა. ყარაყალპაკეთს როგორც ქვეყანას, ემუქრება გაქრობა, რადგანაც მთელი რესპუბლიკის ტერიტორია ქაობად გადაიქცა... ყარაყალპაკებს სუვერენული უფლებები რომ ჰქონოდათ, საკუთარ მიწა-წყალს დასაღუპავად არ გასწირავდნენ. მაგრამ, როცა ყარაყალპაკეთში რა უნდა გაეკეთებინათ, ამას ისინი გეგმავდნენ, ვისაც იქ ფეხი არ დაუდგამს, ცხადია, ის უბედურება დაიბადებოდა, რაც დღეს მსოფლიოს აძრწუნებს".

ის, რაც მსოფლიოს აძრწუნებს, არაკეთილგონივრულია, ესე იგი, არასათნოებრივია, ხოლო არასათნოებრივი არის ბოროტების საწინდარი. სახელმწიფოებრივი ბოროტება თვით სახელმწიფოს ანადგურებს. იწვევს ერის სახეობრივ დეფორმაციას. ერებს შორის რომ ეს არ მოხდეს, ისინი ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილნი უნდა იყვნენ. ამის მიღწევა კი შეუძლიათ სუვერენულ სახელმწიფოებში მცხოვრებ ერებს.

ბატონი აკაკი ბაქრაძე მმართველ ერს, მათი არსებობის აუცილებლობიდან გამომდინარე, შეაგონებს — თუ გინდა, იყო თავისუფალი და კეთილგონიერი ერი, სხვა ერს უნდა მიანიჭო სუვერენიტეტი. იგი სწორი ლოგიკური გააზრებით მმართველ პარტიას არწმუნებს, რომ სახელმწიფოებრივი სათნოება თვით სსრ კავშირისათვის არის აუცილებელი. ეს არის ბატონ აკაკი ბაქრაძის განზოგადებული ფორმულა, რომელიც ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება.

ეკონომიკურ საკითხზე კამათი ასე იწყება: „მარქსიზმ-ლენინიზმს ეკონომიკა ბაზისად მიაჩნდა, ხოლო პოლიტიკა — ზედნაშენად. მაგრამ სსრ კავშირში ეს თეორიული დებულება პრაქტიკულად შებრუნებული სახით იყო გამოყენებული: ეკონომიკა ემორჩილებოდა პოლიტიკურ მიზანს".

ბატონი აკაკი ბაქრაძე ამ პუბლიცისტურ ციტატაში იცავს მოპაექრესთან დროის ფაქტორს, დროის რაობას, წესს, რომ ეს ხდებოდა წინათ: „შებრუნებული სახით იყო გამოყენებული", თვით დღევანდელი „პერესტროიკის" პოლიტიკას კი იგი არ უკარგავს იმ მიზანდასახულობას, რისთვისაც ის იბრძვის. აქ მოკამათედიპლომატი-პუბლიცისტის ამპლუაშია, მას მიაჩნია, რომ მოპაექრეს უნდა შეუძახო, შთააგონო, რომ იგი სათნოა.

ბატონი აკაკი ბაქრაძე ლოგიკური არგუმენტაციებით ხსნის სსრ კავშირის არაეკონომიკურობის მიზეზებსა და დაავადებებს, ანალიტიკურ ასპექტში აჰყავს იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა და პუბლიცისტური დაორატორული გზით პოლემიკის საგნად აქცევს: „იმისათვის, რომ სსრ კავშირს პოლიტიკური მთლიანობა შეენარჩუნებინა, მოკავშირე რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკები ეკონომიკურად გადააჯაჭვეს ერთმანეთს. მართალია, ეს ჯაჭვი ხშირად ეკონომიკურად წამგებიანი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, პოლიტიკურ მთლიანობას უწყობდა ხელს. ამ მიზნით ააშენეს თავის დროზე რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებელი და სხვა ქარხნები. თუმცა ყველამ კარგად იცოდა, რომ ისინი ეკონომიკურად არარენტაბელური იქნებოდნენ".

რადგანაც თვით „პერესტროიკა" დოგმატური მოვლენა არ არის, მას უნარი აქვს გზადაგზა შემოქმედებითი აზრით აღჭურვისა. პუბლიცისტი და ორატორი საქართველოს ეკონომიკური დაავადების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად „ეკონომიკურ გადაჯაჭვას" ასახელებს და ავადმყოფობის სამკურნალო წამალსაც იძლევა: „რესპუბლიკის ეკონომიკა უნდა დაიგეგმოს და აშენდეს იმის შესაბამისად, რის უფლებასა და საშუალებას იძლევა თავად რესპუბლიკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, წიაღისეული და მიწისზედა სიმდიდრე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული მეურნეობა, ერის ეკონომიკური გამოცდილება. რად უნდა იმას მტკიცება, რომ საქართველოს სხვა შესაძლებლობა აქვს და უკრაინას — სხვა, სომხეთს ის არ ძალუძს, რაც ყაზახეთს და ა. შ. ...ამ შესაძლებლობათა ერთმანეთში არევამაც გამოიწვია სსრ კავშირის ეკონიმიკური ჩამორჩენილობა და შექმნა სახიფათო ვითარება".

სახიფათო ვითარება სსრ კავშირს უძრაობის დროს შეექმნა, იგი ეკონომიკურ-პოლიტიკურ ჩიხში მოექცა, რადგანაც აქ ხდებოდა ეკონომიკურ შესაძლებლობათა დისპროპორცია, ამიტომ შეიქმნა ისეთი სახიფათო ვითარება, რაც ომის წინაპირობას წარმოადგენს.

ბატონი აკაკი ბაქრაძე თავის საარჩევნო პოლემიკურ პუბლიკაციაში ბრალს კი არ დებს ერს ან რომელიმე პოლიტიკურ პიროვნებას, ის გვისახავს გზას, ლოგიკურად ასაბუთებს მის სისწორეს და გვითითებს, რომ სახიფათო მდგომარეობიდან გამოვალთ იმ შემთხვევაში: „თუ მოკავშირე რესპუბლიკები თანაბრად იქნებიან ეკონომიკურად დამოუკიდებელნი და პოლიტიკურად სუვერენული". იმისათვის, რომ ეკონომიკა გახდეს ჭეშმარიტად ეკონომიკური, მიწა კერძოსაკუთრებაში უნდა გადაეცეს გლეხს, ქარხნის ბატონ-პატრონი გახდეს მუშა და ტექნიკური ინტელიგენცია. ყოველივე ამის უქონლობამ გამოიწვია ის, რომ „ამჟამად სსრ კავშირში ხალხი აღარ არის სოციალური ძალა, იგი მხოლოდ სხვისი ნების მექანიკური აღმსრულებელია. ამან გამოიწვია შრომის, ყოფის, ურთიერთობის კულტურის დაქვეითება, დაცემა. ვინ და როგორ შესძლებს მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის აღორძინებას, როცა ყველაფერს ვუყურებთ მიმთვისებლის თვალით და არა მშრომელის? დაიკარგა თაობიდან თაობაში რუდუნებით გადაცემის ცოდნა, დამოკიდებულება ფასეულობისადმი, საკუთარი თუ სხვისი სიცოცხლისადმი და საერთოდ ყველაფრისადმი, რისგანაც ცხოვრება შედგება. ყველაფერ ამას აღდგენა ჭირდება, რაც თავისუფალ ადამიანს შეუძლია".

ჭეშმარიტად!

როდესაც ქარხნის, ფაბრიკის თუ სხვა საწარმოს შემოსავალი სწორი ეკონომიკური პრინციპით განაწილდება მუშაზე და სხვა პესონალზე, მაშინ მუშაც და სხვაც დაინტერესებული იქნება, თავისი არსებობა ქარხანაში რაოდენობით კი არ გამოხატოს, არამედ კაპიტალის შექმნით. თუკი ქარხნის ყველა თანამშრომელი წვლილის მიხედვით გაინაწილებს წაგებასაც და მოგებასაც, მაშინ ყველა იშრომებს. ახლა კი მუშის ფსიქოლოგია დეფორმირებულია: მან იცის, სულ ერთია, კარგად იმუშავებს თუ ცუდად, ხელფასს მიიღებს. ასეთი თვალთმაქცური ეკონომიკური პოლიტიკა ანადგურებს მთლიანი სახელმწიფოს ეკონომიკას. თუ მანქანა მუშის საკუთრებად გადაიქცევა, იგი, პირველ რიგში, იფიქრებს პროდუქციის გასაღებაზე. სწორედ აქედან იწყება მუშისა და ინჟინრის აზრობრივი შეთანხმება, ამ დროს აზროვნება და პრაქტიკა, ანუ თეორია და პრაქტიკა ძალაუნებურად განუყოფელ ნაწილად იქცევა, რომელიც თავის არსს მხოლოდ მოგებით გამოხატავს, ეს არის ქარხნის იურიდიული სტატუსი. დაახლოებით ამგვარ პოლემიკაში შედის ბ-ნი აკაკი ბაქრაძე ავტორიტარულ მართვასთან, რა თქმა უნდა, „პერესტროიკისა" და დემოკრატიზაციის იმედით.

როდესაც პოლემისტი გარდაქმნის იდეოლოგებთან დავას იწყებს, იგი ლოგიკური პრინციპით აყალიბებს მტკიცე ფორმულას:

„თავისუფალი ადამიანი თავისუფალ საზოგადოებაში უნდა ცხოვრობდეს, თავისუფალი კი ის საზოგადოებაა, სადაც მმართველობითი ფორმა დემოკრატიულია, მაგრამ მმართველობის ერთპარტიულმა სისტემამ მეტად საეჭვოა ჩამოაყალიბოს დემოკრატიული საზოგადოება. ერთპარტიული სისტემა მაინც დიქტატურაა. თუმცა ზოგჯერ ლმობიერიც შეიძლება იყოს და ზოგჯერ მკაცრიც. ლმობიერება ან სიმკაცრე მმართველობის ხასიათს არ უცვლის, მმართველობის თვისება და ხასიათი შეიცვლება მაშინ, როცა მრავალპარტიული სისტემა მოგვცემს ნამდვილი დემოკრატიის დამყარების საშუალებას. თუ გვინდა დემოკრატია, უნდა გვინდოდეს მრავალპარტიულობაც".

ბ-ნი აკაკი ბაქრაძე დინამიკურად ავითარებს თავისუფლების აზრს. მისი მიზანია, მოკამათე დაარწმუნოს, რომ დემოკრატია თავისუფლების გარეშე შეუძლებელია. ამ იდეას პუბლიცისტურ საარჩევნო პროგრამაში სათნოების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხატვითა და ლოგიკური გააზრებით ატარებს. აქედან გამომდინარე „პერესტროიკის“ თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები პოლემიკურ ფაზაში შემოჰყავს და „პერესტროიკის“ მესვეურთ მომავალი ახალი საზოგადოების სახეობრივი აღქმის საშუალებას აძლევს, ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე არწმუნებს, რომ დემოკრატიზაციისათვის აუცილებელია რეფლექსური და არარეფლექსური მოსმენა, ხოლო „პერესტროიკის“ იდეა რომ განხორციელდეს, ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდეს ორი განსხვავებული იდეა. თუ ორი განსხვავებული იდეა ეთიკურ პლანში მოხვდება, მაშინ პოლემიკა ეთიკურ ფორმას მიიღებს.

ამ „თავისუფალი ადამიანის“ მონაკვეთშიც აზრი გაწმენდილია მაღალი რიტორიკული სტილისაგან; მკითხველი და მოკამათე არ გრძნობს ორაზროვნებას, ეს კი მტკიცე მსჯელობის ერთ-ერთი გზაა. სიტყვა ძირითადი აზრის გამოსახატავად არის და არა ალეგორიული განწყობილების შესაქმნელად. სიტყვა — მხოლოდ იდეის ნათელყოფისათვის.

ახლა გავაკეთოთ პირველი დასკვნა: არსებობს თუ არა „პერესტროიკის“ იდეოლოგებსა და ბატონ აკაკი ბაქრაძეს შორის პოლემიკური ეთიკა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სსრ კავშირი სხვადასხვა ერებისაგან შედგება, რომელთაც არ გააჩნიათ დამოუკიდებელი ეკონომიკა და პოლიტიკური თავისუფლება. საქართველომ დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას თავისი ეროვნული „პერესტროიკა“ დაუპირისპირა იმის გამო, რომ მოსკოვური „პერესტროიკა“ არ ითვალისწინებს აქაურ მრავალპარტიულობას და საქართველოს დამოუკიდებლობას.

ახლა განვიხილოთ ის მომენტი, როდესაც არ შედგა პოლემიკა.

უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ დღევანდელი საზოგადოება განწყობილია დემოკრატიისა და „პერესტროიკისათვის“. რაკი, თვით ხალხის განწყობილებიდან გამომდინარე, მმართველმა პარტიამ ხალხს ზევიდან უბოძა დემოკრატია, ბუნებრივია, წარმოიშვა სოციალისტური პლურალიზმი, ამან კი დღის წესრიგში დააყენა სხვადასხვა საზოგადოებისა და განსხვავებული იდეის მქონე პარტიების შექმნა, რომლებიც პარტოლოგებმა არაფორმალურად მონათლეს. მიმდინარეობს იდეური ბრძოლა, თუმცა სახელმწიფოს ჯერჯერობით სრული ლიკვიდაციის კომპანიები არ ჩაუტარებია და, იმედია, პლურალიზმიდან გამომდინარე, არც ჩაატარებს. თუმცა მმართველი პარტია არაფორმალურ ოპოზიციას ოპოზიციად. არ აღიარებს. იგი თავის ოპოზიციონერად მასობრივი ინფორმაციის წყაროს ირჩევს და არაფორმალებს სრულ ლეგალიზაციას არ ანიჭებს. ეს იმიტომ, რომ ფრთხილობს, არ შეიქმნას ქაოსი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს გარდაქმნის პროცესს, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ხომ გარდაქმნითი არ არის! მმართველი პარტიის დამოკიდებულება ჯერ მხოლოდ მიტინგებისა და დემონსტრაციების დარბევაში გამოიხატება. არაფორმალებს აქვთ საკუთარი ჟარნალ-გაზეთები. მე არ შევუდგები მათ მიერ გამოქვეყნებული წერილებისა და სტატიების განხილვას და ანალიზს, რადგან მათი იდეური გამოხატულება აისახა 3 აპრილიდან 9 აპრილამდე მოწყობილ მიტინგებზე. ამ მიტინგებს წინ უსწრებდა ცილისმწამებლური აფხაზური წერილი, რომელიც კრემლში გაიგზავნა. ამ აქციის საწინააღმდეგოდ, ვაკის პარკში გაიმართა სანქცირებული მიტინგი. შემდეგ ამ მიტინგმა მიიღო იდეური მიმართულება, საბრძოლო პოზიცია შეცვალა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიტინგად გადაიქცა და „პერესტროიკის“ ჰუმანურობიდან გამომდინარე, კონსტიტუციური მოთხოვნები წამოაყენა. სამართლიანი მოთხოვნებით წარუდგა „პერესტროიკის“ გამტარებლებს. მიტინგმა მიიღო პოლემიკური სახე, რომელიც საპროტესტო განწყობილებით გამოიხატა:

აქ სამი იდეა შეეჯახა ერთმანეთს: „პერესტროიკა“, სუვერენობა და ავტორიტარული გარდაქმნის იდეა, რომელიც არარეფლექსურ პლანში გამოიხატა.

დუმილი მეტად საეჭვო გახდა და ყველა შემთხვევაში არაპუბლიცისტური ფაზიდან გამომდინარეობდა.

ახლა განვიხილოთ თვით ამ პოლემიკის თვისობრიობა, ფსიქოლოგია და შემდეგ პოლემიკური ეთიკის ლოგიკური გააზრება და სახეობრივი აღქმა. დავიწყოთ იმით, თუ რომელი იდეა დაუპირისპირეს არაფორმალებმა „პერესტროიკას“ და რა წარმოადგენდა საშუალებას, პოლემიკის საშუალება გახლდათ მიტინგი, ორატორობა; თვალსაჩინოება — ლოზუნგები, მიმართვები; „იარაღად“ გამოყენებული იყო შიმშილობა. ამ მიტინგზე თავისუფლების წყურვილით შეპყრობილმა ხალხმა არაფორმალების მეშვეობით წამოაყენა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მოთხოვნა. საქართველოს ხელისუფლებამ მილიციელთა კორდონით, ტელევიზიიდან თხოვნა-მუდარით უპასუხა, რომ ეს მიტინგი რესპუბლიკას კატასტროფამდე მიიყვანდა. მაგრამ, რადგანაც მომიტინგეებს „პერესტროიკისა“ და დემოკრატიის დიდი იმედი ჰქონდათ, „კატასტროფა“ არ აშინებდათ.

ამ ორატორულმა პოლემიკამ თითქმის მთლიანად მოიცვა საქართველო. ყველა თაობის წარმომადგენელნი თავისუფლების ღრმა შეგნებით ათენებდნენ და აღამებდნენ მთავრობის სასახლის წინ და მოშიმშილეებს უთანაგრძნობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა განვიხილოთ ის მიზეზები, რომელთა გამოც ორატორული პოლემიკა არ აისახა პუბლიცისტიკაში და არ მიიღო ლოგიკური პუბლიცისტური გააზრება და სახეობრივი აღქმა:

მიტინგის მონაწილენი და მოშიმშილენი მოითხოვდნენ საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობას. მიტინგი შიმშილით და საერთო გაფიცვებით — ეს იყო ყველა ქართველის ნება და სურვილი. ისინი უკავშირდებოდნენ დემოკრატიულ-პროგრესულ ქვეყნებს, რათა მთელ მსოფლიოს ეღიარებინა 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, რომელიც სსრ კავშირიდან საქართველოს გამოყოფის ლოგიკურ-იურიდიულ საფუძველს იძლევა. აქედან უკვე დაიწყო ორატორული პოლემიკა მთავრობასა და ხალხს შორის. ლოგიკური გააზრებით მათ დაუპირისპირეს დამოუკიდებლობის აუცილებლობა ერის გადარჩენისათვის, რადგანაც ერს თრგუნავს: კაბალური ეკონომიკა და მისგან გამოწვეული მექრთამეობა, დაბეჩავება, ქურდობა, ქართული ეროვნული დემოგრაფიის დაცემა, ქართული სოფლებისა და ქალაქების კოლონიზაცია და ამ ქართულ სოფლებში დემოგრაფიული დესანტის შემოგზავნა, ისტორიული ადგილების პოლიგონებად გადაქცევა და, აქედან გამომდინარე, მატერიალური და სულიერი კულტურის განადგურება; ეროვნული ჯარის არ არსებობა და დამნაშავეთა მიერ სასჯელის რესპუბლიკის გარეთ მოხდა.

ქართველი ერისა და საქართველოს გადარჩენის აუცილებელ პირობად პროგრესულად მოაზროვნე არაფორმალები, ქართველი მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები და სალად მოაზროვნე მუშები და გლეხები მიიჩნევენ სუვერენიტეტს, ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობას. აქედან გამომდინარე, არსებობს იდეა, მაშასადამე, არსებობს ლოგიკური გააზრების პირველი ნაწილი.

ახლა გავყვეთ „9 აპრილის“ პოლემიკურ ეთიკას: მიტინგზე საქართველოს სახელმწიფოებრივ სიმბოლოს წარმოადგენდა საქართველოს სამფეროვანი დროშა, რომელიც მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ იქნა შემოღებული და რომელიც 1920 წელს მენშევიკურმა მთავრობამ აღადგინა. ეს დროშა სახელმწიფოებრიობის გამომხატველია და, როგორი საზოგადოებრივი ფორმაციებიც უნდა განიცადოს საქართველომ, მისი დროშა არ უნდა შეიცვალოს. მაშასადამე, სამფეროვანი დროშის დაპირისპირება არსებულ საბჭოურ დროშასთან ლოგიკურად გამართლებულია. აგრეთვე, გამართლებულია ლოზუნგები „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ ლოგიკურია; თუკი სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა გვინდა.

„ღმერთი ჩვენთან არის“! ღმერთი სიყვარულია. მისი ჩვენთან არსობა სათნოების მომასწავებელია, სათნოებას სიკეთე მოაქვს, ერის სიკეთე კი მის თავისუფლებაშია! ეს ლოზუნგიც ლოგიკურია!

„გაუმარჯოს ერთიან და მთლიან საქართველოს! ძირს სეპარატისტები“!

როგორც გამოირკვა, ხალხის განწყობილება მეტად პოლემიკური იყო, ხოლო მთავრობა დუმდა, დუმდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არ ხდებოდა პოლემიკურ მასასთან „ურთიერთშორისი განწყობილება“, კონტაქტის დამყარება, კონტაქტური „ტრიბუნა“, რომელიც არაფორმალებს ეკავათ, ტექნიკურად მოუწყობელი იყო, მთავრობა უგულებელყოფდა ხალხის მოთხოვნას, დაედგათ „ტრიბუნაზე“ მიკროფონი, რითაც თვითონაც შეძლებდა ჩართულიყო პოლემიკაში. თვით პრესა, რომელიც „პერესტროიკის“ პრინციპით მთავრობის ოპოზიციად ითვლება, დუმდა.

საქართველოს იმდროინდელი მთავრობის დუმილი ორი მიზეზით იყო გამოწვეული:

1. საქართველოს სსრ მთავრობა ვერ შეძლებდა წამოჭრილი საკითხების გადაჭრას, რადგან, ეროვნული გარდაქმნის პრინციპებიდან გამომდინარე, ვერ დაუპირისპირდებოდა მოსკოვური გარდაქმნის ავტორიტარებს; ამასთან ერთად, ის არ იზიარებდა ბაქრაძისეულ დამოუკიდებლობის პროგრამას. მთავრობას, თავისი არაკონსტიტუციურობის გამო, არ შეეძლო დაეყენებინა საქართველოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური მოთხოვნა. აქ შეიძლება გამოვიყენოთ ცნობილი გამონათქვამი: მე ვემორჩილები იმას, ვისზეც არის დამოკიდებული ჩემი ბედი. იგი უუფლებო იყო და მიტინგის მონაწილეთა მოთხოვნებს ვერ მიიღებდა, რადგანაც არ გააჩნდა ეროვნული თვითშეგნება, დამდგარიყო ხალხის გვერდით და ეროვნული იდეა წამოეყენებინა კრემლის გასაგონად. აი, მისი პოლემიკური ხელმოკლეობის მიზეზი. ჩვენი მასობრივი ინფორმაციის წყაროები დანაშაულებრივად დუმდნენ, არ ახდენდნენ ჟურნალისტურ ლოგიკურ გააზრებას, რათა სახეობრივად აღექვათ ეს ეროვნულ-პოლიტიკური აქცია. გაზეთებსა და ტელევიზიას აეკრძალა ინფორმაციის, რეპორტაჟის, დიალოგის, დისკუსიის გაშლაც კი, პოლემიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქართულმა პუბლიცისტიკამ ვერ დაძლია ტრადიციული, სტერეოტიპული ავტორიტარიზმი, ვერ გამოიყენა გარდაქმნის იდეოლოგთა დებულება: მმართველი პარტიის ოპოზიციად მასობრივი ინფორმაციის წყარო ითვლება.

2. მთავრობასა და მიტინგის მონაწილეთა შორის პოლემიკური დიალოგის გამართვას იმანაც შეუშალა ხელი, რომ როგორც არაფორმალების, ისევე მთავრობის მხრივ დარღვეული იყო პოლემიკური ეთიკა. თვით პარტიის მაშინდელმა ლიდერმა არაფრად ჩათვალა ქართვე

ლი ერის სუვერენული განწყობილება და მათთან კონტაქტი არ დაამყარა. იგი დესპანების საშუალებით აპირებდა „საქმის" მოგვარებას. ამბიციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მიტინგის მონაწილეთა მიმართ. რა თქმა უნდა, მთავრობასა და მიტინგის მონაწილეთა შორის პოლემიკური დიალოგის უქონლობას პრესამაც შეუწყო ხელი, რომელიც სამარცხვინოდ დუმდა. უკონტრაქტობას არაფორმალების ლიდერებიც უწყობდნენ ხელს, რომლებიც ხელისუფალთ მოიხსენიებდნენ, როგორც „ეგრეთ წოდებულ „მთავრობას" და არავერბალური გზით ცდილობდნენ მის დამცირებას. არაფორმალებმა არ გაითვალისწინეს, რომ ეროვნული კონსოლიდაციისათვის აუცილებელია, ვიხელმძღვანელოთ ქრისტიანული რელიგიის ლოგიკით. ცდომილს უნდა შევუნდოთ, შემოვირიგოთ და ეროვნული ერთიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ დავაყენოთ.

ყველაზე დიდი პოლიტიკა და რელიგია ქართველთათვის — ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის თვითშეგნება.

მიტინგის პოლემიკური ფსიქოლოგია ასეთი იყო: არ არსებობდა დიპლომატიური გააზრება: „საბჭოთა კავშირი ციხეა!", „გაეთრიეთ, ოკუპანტებო!", არ ხდებოდა მიტინგის დინამიკურობის აღქმა, დარღვეული იყო პოლემიკური ეთიკა. ეს კი იმის ბრალია, რომ პრესამ ვერ დაამყარა არარეფლექსური და რეფლექსური მოსმენა. ასეთმა არაკეთილგანწყობილებამ, მთავრობის მიერ პრობლემის მიმართ ზურგის შექცევამ ჩამოაყალიბა საერთო ფსიქოზი: მთავრობას თავზარი დასცა ხელისუფლების დაკარგვის შიშმა, მიტინგის მონაწილეებმა ვერ განჭვრიტეს მთავრობის ფსიქოზი, არაფორმალებმა ვერ განსაზღვრეს მასის უმართაობა და „მამაო ჩვენოს" ღაღადისი და შიმშილობა გააგრძელეს: არაფორმალები მეტისმეტად მიენდვნენ მთავრობის გარდაქმნის ჰუმანიზმს.

ცნობილია, როცა საერთო ფსიქოზი იქმნება, მთავრობა ცდილობს, სახელმწიფო ფსიქოზიდან გამოიყვანოს. გზა აქ ორია: პოლემიკური დიალოგი ან ფიზიკური დარბევა. ეს კი დიპლომატიას აღარ ითვალისწინებს. ამას რაც მოჰყვა, ყველამ იცის — განხორციელდა ქართველი ერის გენოციდი მომწამლავი გაზის გამოყენებით.

აქ კი, როგორც იქნა, ხმა ამოიღო ქართულმა პრესამ, გაიმართა პუბლიცისტური პოლემიკა. დაიწყო ახალი ეტაპი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალექსანდრე სულხანიშვილი

# მოგონებები შეფიცულთა რაზმზე

ხევგრძელიდან ქაქუცამ გაბო ოზიაშვილი, მალაქია მაისურაძე და კოხტაშვილი გაგზავნა დუშეთისაკენ; ესენი უნდა ყოფილიყვნენ კავშირში მიშა ნაცვლიშვილის ჯგუფთან და, ჩვენ რომ შევატყობინებდით, ორივე ჯგუფი ერთად უნდა მოსულიყო დანიშნულ ადგილზე. ამგვარ გაწამაწიაში ჩვენ ისე გადავიარეთ კახეთი, რომ მშობლებსა და ნათესავებთან ვერც კი მოვასწარით გამომშვიდობება უკანასკნელად. ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა თავში ყველა ჩვენგანს: საზღვარგარეთ მივდივართ; ვინ იცის, კიდევ შევხვდებით ჩვენ მახლობლებს?" მიუხედავად ამ მლოლნელი ფიქრებისა, ჩვენ მაინც დავძლიეთ გრძნობებს და კახეთიდან მხოლოდ ლელო ჩიქოვანმა მოინდომა უკან დაბრუნება დედასთან გამოსათხოვებლად. ამით ისარგებლა ქაქუცამ და, რადგან ლელომ იცოდა ის ალაგი, სადაც უნდა დავლოდებოდით, მასვე დაავალა, რომ დაბრუნებისას გაბოსა და მიშასთან გამოევლო ამბის შესატყობინებლად, ხოლო იქიდან დანიშნული დღისათვის ერთად წამოსულიყვნენ დანიშნულ ადგილას.

ამასობაში გარე კახეთიც გადავიარეთ, ესე იგი, თბილისს ვუვლიდით გარშემო. გარე კახეთიდან უდაბნოზე გავიარეთ, იქ დავათვალიერეთ ცნობილი მონასტერი, სადაც არაერთი ბერის სისხლი დაიდო კისერზე ცოდვად შაჰ აბაზმა. მშვენიერ, დაბლობ ალაგას დგას ეს მონასტერი, მართლა რომ უდაბნოს მოგაგონებთ მისი მყუდრო შემოგარენი თავის საუცხოო წყაროთი. ამ ადგილას კარგა შევისვენეთ, სახეპირი გავიგრილეთ წყაროს ანკარა წყლით და იქ გავატარეთ მთელი დღე, ხოლო საღამოყამზე ყარაიაზის მიმართულებით გავუდექით გზას. იმ მიდამოებში ჩვენმა ბორჩალოელმა თათრებმა ზეპირად იცოდნენ ყველა გზა და ბილიკი, რაც ჩვენ დიდად გამოგვადგა, ვინაიდან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გვჭირდებოდა გადასვლა. თათრებმა პირდაპირ ფონთან მიგვიყვანეს, სადაც მოხერხებული ადგილი იყო წყალში გასასვლელად. მაგრამ ჩვენს იღბლად, მტკვარი საგრძნობლად მოდიდებული დაგვხვდა. აი, ამის გამო, თათრები ფონთან გაჩერდნენ და ვერა და ვერ ბედავდნენ წყალში შესვლას. რაკი იგრძნო მათი დაბნეულობა, სერგო მაისურაძემ შეაგდო ცხენი მდინარეში და გავიდა გაღმა. სერგოს ფეხდაფეხ მიჰყვნენ თათრები, ხოლო მათ კი მთელი რაზმი. რაც შემეხება მე, თუმცაღა წყალში არ ვარგივარ, მაგრამ დიდ ნაკადში კი მართლა კარგა მემარჯვება ცხენის ხმარება. ასე გავიდა მტკვარგაღმა მთელი რაზმი; მხოლოდ გაბლა ვერბიჭაშვილი დაგვრჩა იქითა ნაპირზე თავის სამზარეულოს ბარგი-ბარხანით

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 10, 11 (1989), 1, 2, 3, 4, 5, 6, 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვერაგზით ვერ ბედავდა ცხენის შეგდებას მდინარეში. მეორე ნაპირიდან ჩვენ ამაოდ ვცდილობდით გვენიშნებინა, თუ სად უნდა შეეგდო ცხენი წყალში. ის ცხენზე გაქვავებული მხედარივით დასობილიყო ერთ ადგილას და უმწეოდ შემოგვყურებდა შორიდან. რალა გაეწყობოდა, მაშინ მე მომიბრუნდა ქაქუცა და მითხრა: „გადი, ეგ ოჯახდასაქცევი გამოიყვანე"-ო. არც ძალიან მესიამოვნა ასეთი დავალება. მაგრამ რალას ვიზამდი. თუმცა ჩემი შნო და მარიფათი წყალში ბრწყინვალედ მოეხსენებოდა ქაქუცას. მაგრამ მაინც და მაინც მე გამომნახა გაბლას გამოსაყვანად. გაბრაზებული გავედი მასთან. ვუჩვენე. როგორ უნდა მოქცეოდა ცხენს. მივუთითე გასასვლელი ფონიც და მერელა მივხედე მის ბედაურს: ერთი ორჯერ მივარტყი თუ არ მათრახი, იგი ფიცხლად შევარდა წყალში და გაბლა წამიერად გაიყვანა მოპირდაპირე ნაპირზე. ახლა კვალდაკვალ მივყევი მეც. მაგრამ ამჯერად უფრო ღრმა ნაკადში მომიხდა ცხენის შეგდება და ამის წყალობით ლამის წელამდე დავსველდი. თუმცა ბევრი ვლანძღე ამის გულისათვის გაბლა. მაგრამ რალა ეშველებოდა.

●

აი, ყარაიაზის ტყეშიც მოვეწყეთ. მშვენიერი დღე გამოვიდა. მთელი დღე ამ ტევრში გავატარეთ. სანოვაგე გვქონდა ცოტა და, მიუხედავად იმისა, რომ ჯოგ-ჯოგად დაიარებოდნენ გარეული ღორები. მაინც სულდიდად ვიკავებდით თავს. რადგან სროლა არ შეიძლებოდა. წარმოიდგინეთ. რამდენად ადვილია ამის მოთმენა მშიერ კუჭზე. და განსაკუთრებით ჩემისთანა ნადირობის ტრფიალისათვის! მაგრამ როგორც გიქირდეთ, ისევე გილირდეთ!

ჩვენ სალამოპირს გამოვედით ყარაიაზის ტყიდან. ახლა დარჩენა მოგვიხდა ბორჩალოს ტიტველ, გორაკებიან ჭინდვრებზე, სადაც ზამთარში ცხვრის სადგომები და საბალახოებია. იშვიათი როდია. რომ იქ დიდი ფარეხებიც არის. რადგან იქ ახლო-მახლო ტყის ნასახიც არ არის. ერთ დიდ ფარეხში მოგვიხდა გაჩერება. თუ სულ მთლად ახლო არ მოვიდოდნენ, იქ ძეხორციელი ვერ დაგვინახავდა. თავშესაფარი რომ გავიჩინეთ. ახლა საჭმელზე უნდა გვეზრუნა, ვინაიდან მარაგი უკვე გველეოდა. საკლავის საშოვრად ქაქუცამ მე გამგზავნა და თან გამაყოლა ორი თათარიც, რადგან მათ იცოდნენ. სად იყო კომუნისტების საქონელი.

მივედით თუ არა ადგილზე. ერთი კარგი მოზვერი ამოვარჩიეთ, მე ის ძლივს დავიჭირე, გრძელ თოკმობმული მოზვერი ერთ თათარს ეჭირა. მაგრამ მისი წამოყვანა შეიქმნა ძალზე ძნელი. იმდენად. რომ იმ თათარმა ველარ შეიკავა და ის თოკიანად გაგვექცა. ამგვარად ხელმეორედ გაგვიხდა დასაჭერი ეს დაუოკებელი ცხოველი. რომელიც ცხენივით დარბოდა. თათრები კი დაილალნენ მის დევნაში, მაგრამ მე მას მაინც არ ვანებებდი თავს. კიდევ კარგი, რომ გრძელი თოკი მქონდა გამობმული. დავეწეოდი თუ არა, ჩამოვხტებოდი ხოლმე თოკისთვის ხელის წასავლებად. მაგრამ მოზვერი ელვასავით მოასწრებდა გაქცევას ისე, რომ მე თოკისთვის ხელის წავლებასაც ვერ ვასწრებდი. ასეთნაირად მაწვალა საკმაოდ დიდხანს. მაგრამ ბოლოს თითონაც დაიქანცა და, როგორც იქნა, მივწვდი მის თოკს, რომლითაც ის ჩემს ცხენს მკერდზე გამოვაბი. ურჩი ცხოველი არც ახლა მოგვყვებოდა ჩვენ ნებაზე და რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ მისი მიყვანა ბინაზე. იქ რაზმელებმა დაიკაპიწეს სახელოები: დაკლეს. აქნეს და. როგორც ყოველთვის. ყურიანი ქვაბით ისევ ყაურმა შემოდგეს ცეცხლზე...

დილით, იქნებოდა ალბათ ცხრა საათი, რომ ჩვენგან მეოთხედი კილომეტრის მოშორებით გამოჩნდა ცხენოსანთა რაზმი, ორმოციოდე კაცი. ისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ჯერ რატომღაც ერთ ალაგზე ტრიალებდნენ, მერე ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ და ისე დააჩერდნენ დედამიწას, თითქო ნავალს ათვალიერებენო. ჩვენ უმალ ჩავაქრეთ ცეცხლი. ჩვენი ფარეხის ჩრდილოეთით, თითქმის იმ ადგილამდის, სადაც ისინი ცხენებიდან ჩამომხტარნი ტრიალებდნენ, მხოლოოდენ დაბლობი და ჯაგნარი გასდევდა. აშკარა იყო, რომ მდევარი ადგა ჩვენს კვალს, ამისათვის ვთხოვე მე ქაქუცას ათი-თორმეტი ჩვენგანის გაშვება, რომ მიპარვით ამოგვეხოცა ისინი, მაგრამ იმან არ შეიწყნარა ჩვენი თხოვნა: „მანამ სულ მთლიანად ზედ არ მოგვადგებიან, თავი არ უნდა ვიჩინოთ“-ო, განაცხადა მან.

ვიღას ეცალა ყაურმის საჭმელად: ცხენოსნებისაკენ იყო მიპყრობილი ყველა შეფიცულის თვალი და ყური. მე საშინლად ვიყავი დაღლილი, თანაც უძილარი. მხოლოდ ორი ნაჭერი ხორცი შევჭამე შიმშილის მოსაკლავად და რაზმელებს ვუთხარი: „მე ცოტას ჩავიძინებ და, თუ აქეთ წამოვლენ, გამაღვიძეთ“-მეთქი. მიწოლა და ჩაძინება ერთი იყო, მაგრამ ჩემთვის აღარავის დაუფრთხია უდრტვინველი ძილი, მიუხედავად იმისა, რომ საფრთხე თითქმის კარს იყო მომდგარი. ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორ მოხდა ეს. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ჩვენი მოზვერი გახლდათ, მდევარი სწორედ იმ ადგილზე ტრიალებდა, სადაც ჩვენ გამოვიარეთ ახალგათენებულზე. ისინი ჩვენი ცხენებისა და მოზვერის ნაფეხურებს სინჯავდნენ. აი, ამისათვის ვთხოვე ქაქუცას, ჩვენ დავცემოდით, რადგან გამორიცხული არ იყო მიხვედრილიყვნენ, რომ ჩვენ იქვე ახლო ვიყავით მიმალულნი. მაშინ ისინი მომეტებულ ძალას მოითხოვდნენ ეს სავარაუდოც იყო უმალვე, ვინაიდან მათ ერთი კაცი გაგზავნეს იმავე მიმართულებით, საიდანაც მოვიდნენ: ეგებ დახმარებისთვის?

სანამ რაზმი ასე შეჩოჩქოლებული იყო, მე გვარიანად გამოვიძინე. მზე უკვე გადახრილი იყო, რომ გამომეღვიძა. როგორც რაზმელებმა გადმომცეს, თურმე კიდე ერთ საათზე მეტ ხანს დარჩენილა მდევარი, ხოლო მერე ცხენებზე შემსხდარან და წასულან. მიუხედავად ამისა, რაზმელებს იმდენად ჰქონდათ დაჭიმული ნერვები, რომ ისინი მაინც მოელოდნენ რაღაცას. მაგრამ ღვთის წყალობით, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა ჩვენი აზრით. ჩვენმა მდევარმა თავი არ აიტკივა, თორე ჩვენი ცხენების ნავალს რომ გამოჰყოლოდა, აუცილებლად ზედ კარზე მოგვადგებოდა.

●

უკვე ღამის ბინდი ეპარებოდა ცისქვეშეთს, რომ ჩვენ ფარეხიდან გამოვედით. იქვე დავშორდით ჩვენს მეგობარ ბორჩალოელ თათრებს და მათ მეთაურ აჯიხალილას, საიდანაც გეზი ავიღეთ თეთრი წყაროს, ანდა როგორც მას რუსები ეძახიან: „ბელი კლუჩი“-ს ტყეებისა და ალბულახისაკენ. იმ მხარეს არის ოსების ერთი თუ ორი სოფელი და ჩვენ მათ მახლობლად მდებარე ტყეებში უნდა მოგვეცადა რამდენიმე დღე ჩვენი რაზმელებისათვის, რომლებიც, უკვე იცით, დუშეთის მაზრაში იყვნენ დარჩენილნი.

მოუთმენელ ლოდინში გავიდა დათქმული დღე, მაგრამ რაზმელები არა და არა ჩანდნენ. გავიდა კიდევ ერთი კვირა. მას მოჰყვა რამდენიმე დღე და, ბოლოს, როგორც იყო, მოჩერჩეტდა მხოლოდ ლელო. ჩვენს კითხვაზე, დანარჩენები სადღა არიანო, გვიპასუხა, ვერ ვიპოვეთო! ეს იყო წმინდა წყლის სიცრუე, ვინაიდან ისე გვქონდა მოწყობილი საქმე, რომ მათი მოყვანა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ეს ამბავი საშინლად საწყენად დაგვრჩა ყველა ჩვენგანს. ქაქუცა ძალიან გაუწყრა ლელოს, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ მეტის მეტად დაიგვიანა; მეორეც იმისთვის, თუ რატომ ვერ იპოვნა რაზმელები მაშინ, როდესაც ისეთნაირად იყო დაგეგმილ-მოგვარებული ყოველი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე, რომ სულ ადვილი იყო მათი მიგნება. შემდეგში ყველაფერი გამოირკვა. ლელოს ქირივით ეჯავრებოდა გაბო ოზიაშვილი და სწორედ მას უნდა შეხვედროდა იგი პირველს, ხოლო გაბომ კი მეორე ჯგუფის ადგილსამყოფელი იცოდა. მოკლედ, რაკი გაბო სძულდა, იმდენად გულღრძო იყო, რომ ლელომ მას ჩვენი შენათვალი განზრახ არ შეატყობინა. ამნაირად დაგვრჩა იქ ის ექვსი კაცი, რითაც დაიღუპნენ კიდეც. გულახდილად უნდა ვთქვა, ამ ამბის შემდეგ ლელოს არაფერში ვენდობოდი არამარტო მე, არამედ დანარჩენი შეფიცულებიც.

ამ ახალ ბინაზე ჩვენს ცხენებს დაუდგათ ჭამა-ყლაპის დარი: ჩვენი ბინის ახლო აუარებელი ნათიბი თივა იყო დაზვინული. გულუხვად ვუზიდავდით და ვაჭმევდით მათ საყვარელ საკვებს. ასეთნაირად იმ ოსების სოფლების დიდძალ ნათიბს გაავლეს მუსრი ჩვენმა ბედაურებმა. მაგრამ ჩვენი იქ დარჩენა მეტხანს აღარ შეიძლებოდა. ამიტომაც ავიყარეთ ერთ საღამოს ალბულახის ტყეებიდან და საშინლად ნაწყენ-დაღონებულებმა გავწიეთ თრიალეთის მიმართულებით. უაღრესად გულდაწყვეტილნი ვიყავით, რომ ჩვენ იქ გვრჩებოდა ექვსი ამხანაგი. ამის გამო შეეპყრო სათითაოდ ყველა ჩვენგანი ერთ ფიქრს: ვინ იცის, რა დაემართებათო?! ამას ერთვოდა ყველაზე მწარე საზრუნავი: ჩვენ ხომ ჩვენს საყვარელ სამშობლოს ვტოვებდით და, მარტოოდენ მამა-ზეციერმა უწყოდა, გვეღირსებოდა თუ არა, ოდესმე კვლავ დაბრუნება ჩვენ მიწა-წყალზე და ჩვენი ოჯახების, ნათესავების, მეგობრების ნახვა? ეს დღე იყო ყველაზე მძიმე და გულის მომწყვლელი მთელი ამ სამი მშფოთვარე წლის განმავლობაში....

ასე გულდამძიმებული მივაბიჯებდით ყველა, ხოლო გზა კი არც ერთმა ჩვენთაგანმა არ ვიცოდით. რაღაცა ბედად, მეცხვარეები შემოგვხვდნენ. რომლებიც მთიდან ბრუნდებოდნენ და ცხვრის დიდ ფარას მოერეკებოდნენ ბარში. მართალი გითხრათ, აღარ მახსოვს, თუშები იყვნენ თუ ფშაველები. ჩვენ ერთ მათგანს ვკითხეთ გზა. დაუზარელმა მთიელმა უმალ თითონ იკისრა, რომ გამოგვყოლოდა და ეჩვენებინა გეზი ჩვენი მისწრაფებისა. მან იქვე თავი დანება ფარას და ამხანაგებს დაუბარა: „მე ამათ გავაცილებ და მალე დაგეწევით“-ო.

მშვენიერი შესახედი ვაჟკაცი გახლდათ ეს ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა მეცხვარე. მან დაწვრილებით აგვიხსნა, თუ საით უნდა წავსულიყავით, ან სად უნდა შეგვეხვია. ყოველივე ეს მოხდა ერთ ვაკე ადგილას, თრიალეთის მთის ძირში, იმ მიდამოებში არის ერთი სოფელი, რომელსაც რამენაირად უნდა ავცდენოდით. ამიტომ იყო, რომ მე ძალიან გულდასმით ვუსმენდი იმ მეცხვარეს. იგი დიდი მონდომებით გვიხსნიდა და ინანა კიდეც: „ცხვარი მიმიდის; მას უნდა დავეწიო, თორე საზღვრამდინ მიგაცილებდით“-ო. ჩვენ მას გულითადი მადლობა გადავუხადეთ, ერთი ნაგანიც ვაჩუქეთ და გამოვემშვიდობეთ. გამომშვიდობებისას ქაქუცამ ჩვენი ვინაობა გაუმხილა მას. საშინლად შეწუხდა გულკეთილი მეცხვარე: თურქეთში რად მიდიხართო. აბა, რა გვეთქვა, და ისევ უსიტყვოდ გავაგრძელეთ ჩვენი გზა. მივდიოდით, მაგრამ ის კიდევ იმავე ადგილას იდგა ერთხანს, თვალებითღა მოსჩერებოდა ჩვენს სავალს და, ვინ უწყის, რასა ფიქრობდა...

იმ სახიფათო სოფლის მახლობლად გზის გაკვლევა თავზე აიღო ერთმა ჩვენმა რაზმელმა, გოლა პავლიაშვილმა, რადგან აღმოჩნდა, რომ მას ოდესღაც უვლია იქ. გაგვიძღვა წინ გოლა, მივდევთ კვალდაკვალ მთელი რაზმი; ასე გვატარა კარგა ხანს, მაგრამ გეგონებოდათ გზას ბოლო არ უჩანსო. მე ყურადღებით ვაკვირდებოდი ჩვენს ნავალს, მერე მას მეცხვარის ახსნილს ვუდარებდი და მივხვდი, რომ გოლას სხვა მხარეს მივყავდით. უფრო გავამახვილე ყურადღება. ვხედავ: გვატარებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვატარებს. და ისევ იმ სოფელთან მივყავართ. რომელსაც უნდა ავცდეთ! ბოლოს, რადგან ორჯერ განმეორდა ასე, მე ველარ მოვითმინე და ქაქუცას ვუთხარი: „გოლამ არია და ჩვენ იმ მეცხვარის მიერ მითითებულ გზას ავცდით“-მეთქი. ქაქუცამ შემომიტია: „აბა, შენ ხომ ვერავინ გასწავლის კახეთში. საით უნდა წახვიდე; გოლამ აქაურობა იცის და უნდა მივყვეთ“-ო. მეც, რაღა გამეწყობოდა, სიტყვა აღარ შევუბრუნე და მორჩილად მივყევი. მესამედ რომ მიგვიყვანა გოლამ იმავე სოფელთან და ხელახლა შემოგვესმა ძაღლების ნაცნობი ყეფა, მაშინღა მოვიდა აზრზე ქაქუცაც და დამიძახა: „აბა, შენ როგორ გგონია, საით უნდა წავიდეთ?“-ო. მე ზუსტად მახსოვდა მეცხვარის ახსნილი, ამისათვის მოგვიხდა უკან გაბრუნება ერთხანს. მე მალე ავიღე ის მხარე, როგორც მეცხვარემ მიგვასწავლა, ვიპოვნე ის ღელეც და აი, იქიდან უნდა შევდგომოდით აღმართს. ახლა უკვე გასაგები იყო ყველაფერი: ვიცოდით გზა!

მთელი ღამე ამდენ უგზო-უკვლო ხეტიალში ჩვენც დავიღალეთ და ცხენებიც. ამის გამო თქვა ქაქუცამ: „მოდი, აქ შევისვენოთ და გარიჟრაჟზე დავიძრათ“-ო. ასეც მოვიქეცით. იქვე მივწექ-მოვწექით. ზოგს მალე ჩაეძინა, მაგრამ ზოგიერთი არ იყო ჩაცმული საკმაოდ თბილად და, რადგან სექტემბრის სიცივე მეტად მკაცრი იყო თრიალეთის მთის ძირას, ისინი კანკალმა აიტანა და თვალი ვერ მოხუჭეს, მაინც სულ ყველას შეგვციოდა. ხოლო განსაკუთრებით გენერალ ჭავჭავაძეს და საშიკო კარგარეთელს, ვინაიდან ძალიან მსუბუქად ეცვათ და. აბა, მარტოოდენ ხალათი რა სიცივეს დაიჭერდა!

ასეთ უსიამო ძილ-ღვიძილში გარიჟრაჟდა და საშინელი სროლაც ატყდა დასავლეთით. ჩვენ უმალ მივხვდით, რომ ეს სროლა კონტრაბანდისტებს მოუხდათ მესაზღვრე ჯართან, მაგრამ ის მდგომარეობა საფრთხეს გვიქადდა ჩვენც. ნამეტნავად იმ შემთხვევაში, თუკი კონტრაბანდისტები აქეთ მხარეს წამოვიდოდნენ. გამორიცხული როდი იყო, რომ მათ დევნაში ჩვენ წაგვწყდომოდა მესაზღვრე ჯარი. ამიტომ. საფრთხის თავიდან ასაცილებლად გვითხრა ქაქუცამ: „აბა, ეხლავე უნდა დავიძრათ; ამ ღელით წავა მთელი რაზმი“-ო, ხოლო გამონაკლისად მე და სერგო მაისურაძე გაგვაგზავნა იმ ღელის დასავლეთით: ჩვენ სერზე უნდა გვევლო და გვეთვალიერებინა, ხომ არაფერი ძალა მოდიოდა ჩვენკენ. ამასობაში კარგა გათენდა. ჩვენ დურბინდებით ვათვალიერებდით მთელ მიდამოს. ჯერ-ჯერობით კაცის ჭაჭანება არ იყო. ის აღმართი რომ თითქმის გავანახევრეთ. დავინახეთ, რომ, საიდანაც ჩვენ მოვდიოდით, ვიღაც მხედარი მოაჯირითებდა ცხენს. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ ღელეს მხოლოდ ჩვენი რაზმი მოუყვებოდა, და ამ სერობაზე ჩვენ ორის გარდა არავინ არ უნდა ყოფილიყო ჩვენი რაზმიდან. მე თუმცა ბევრი ვუკირკიტე დურბინდით, მაგრამ ვერ გავარჩიე, ვინ იყო. ბოლოს ვიფიქრე: შესაძლოა, ეს იმ მესაზღვრეთა მზვერავია, რომელთაც წუხელ სროლა ჰქონდათ და ჩვენ მოგვდევენ-მეთქი, ამიტომ გადავწყვიტე მესროლა მისთვის, რომ ამით მზირიც მომეკლა და თან მოახლოებული საშიშროებაც შემეტყობინებია რაზმისთვის. ქაქუცამ თურმე მაშინვე რვა კაცი აფრინა ჩვენკენ. ამასობაში მე ორჯერ ვესროლე მხედარს, მაგრამ ვხედავ, რომ ის მაინც გიჟივით მოაგელვებს ჩვენკენ თავის ცხენს. როდესაც საკმაო მანძილზე მოგვიახლოვდა, მხოლოდ მაშინღა გავარჩიე, რომ ეს გახლდათ მატრაკვეცა ლელო! ბედი მისი, რომ გადაურჩა ჩემს მიზანს. ვინაიდან, ტრაბახში კი არ ჩამომართვათ და, გაქცეული კურდღელისა თუ შველისთვისაც უწევია ჩემს ტყვიას. არათუ მოჯირითე მხედრისთვის, და ამ შემთხვევაში, აშკარაა. რომ განგების უხილავი ხელი ერია უცილობლად, რადგან ასე ბედნიერად ავაცდინე ლელოს.

ქაქუცამ სასტიკად დატუქსა ლელო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რათ მიდიოდი იქით; ხომ ვთქვი, რომ რაზმი ამ ღელით უნდა წავიდეთ“-ო, ამის შემდეგ სულ მალე მივადექით იმ ყაჩაღების წყაროს, რომელზეც მეცხვარემ მიგვითითა. ახლა სულ ახლო იყო საზღვარი. ამ დროისათვის სულ შემოგველია საჭმელი, მხოლოდ ქუმელიღა ჰქონდა შამილას. ამ წყაროსთან დაიწყო მან ამ სასუსნავის ზელა, რომლის თითო გუნდა ყველას ხვდა წილად. პატარა მოვნოყიერდით ამით. იმ ალაგას ცხენებსაც კარგი საძოვარი დახვდათ და მათაც მოითქვეს სული. ყაჩაღების ამ წყაროსთან დავრჩით თითქმის ერთი საათი: „ნეტავი, ეხლა დაგვეწიოს მდევარი, რომ პატარა ჯავრი ვიყაროთ უკანასკნელად“-აო, ესლა იყო ყოველი ჩვენგანის სანატრელი სამშობლო მხარესთან გამოთხოვების ჟამს.

. . .

ამ წყაროდან შორს როდია თურქეთის პირველი სოფელი ზურზუნა. ის სულ მეოთხედ კილომეტრზეა საქართველოს საზღვრიდან. გავაკეთეთ თეთრი ბაირაღი, გადავედით საზღვარს და 1924 წლის სექტემბერში ჩავედით ამ სასაზღვრო დასახლებაში! წამში გარეთ გამოიშალა მთელი მოსახლეობა: ამოდენა რაზმი მის დღეში არ გადასულა ამ სოფელში. ამის გამო შეშინდნენ ისინი პირველად, რადგან ჩვენ მათ კომუნისტები ვეგონეთ. რაკი გაიგეს, ვინც ვიყავით, დაშოშმინდნენ. სოფლის მეთაურმა მყის აცნობა სანაპირო რაზმის უფროსს, რომელიც სულ მალე მოვიდა ჩვენთან. ეს გახლდათ ერთი თურქის ოფიცერი, რომელიც კარგად ფლობდა ფრანგულ ენას. ჩვენგან ჩინებულად ლაპარაკობდა ამ ენაზე მერაბ ჯორჯაძე. ასე რომ, ენის მხრივ არაფერი გაგვჭირვებია. არცთუ რაიმე სხვა მხრივ, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ამ თურქ ოფიცერს გაგებული ჰქონია ჩვენი რაზმის მოქმედების შესახებ. მან ქაქუცას და გენერლის გვარებიც იცოდა და. ამის წყალობით იყო, რომ გულისხმიერად მოგვეპყრო ყველას.

დამხვდურებმა ჩვენ ერთ დიდ დარბაზში შეგვიყვანეს, სადაც უნდა მომხდარიყო იარაღის აყრა: ყველა ჩვენგანი საკუთარი ნებით მიდიოდა და ერთ ადგილას აწყობდა იარაღს. თითქმის ყველამ მიიტანა თავისი იარაღი იქ, ხოლო მე კი რაღაც დამემართა, გავქვავდი, ყელში რაღაც გამეჩხირა და მაღრჩობდა; თვალების უპეები ცრემლმა ამომივსო, მაგრამ როგორღაც ვიმაგრებდი თავს: არა და არ მიმდიოდა ხელი იარაღის ასახსნელად, შინაგანად ვიწვოდი; გული გახეთქვას ლამობდა, ეტყობა, ქაქუცამ შემატყო გრძნობათა ჭიდილი, მოვიდა და მითხრა: „ნუ სწუხარ; ეს არ არის თავის დამცირება, საერთაშორისო კანონია: სხვის ქვეყანაში საზღვარზედ რომ გადადიდხარ, იარაღი უნდა აიყარო“-ო, რა თქმა უნდა, მეც ვიცოდი ეს კანონი, მაგრამ მაინც საშინლად მოქმედებდა ჩემზე იარაღის აყრა. ბოლოს, ყველას იარაღი წაიღეს, მაგრამ თურქმა ოფიცერმა ხელი არ მოჰკიდა ქაქუცას საჭურველს, და მხოლოდ ეს სთხოვეს მას: „სურათი გადაიღე შენი ოფიცრებით“-აო, ქაქუცამ დაგვასახელა: ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი და ალექსანდრე სულხანიშვილი დავდექით სურათის გადასაღებად გენერალს ს. ჭავჭავაძისა და თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოებაში და აი, სურათი რომ უნდა გადაიღონ ლელო ჩიქოვანი გამოიქცა და ამოგვიდგა გვერდით! სწორედ ამას ჰქვია ძალადმაცხონეობა. ქაქუცა ხათრიანი კაცი გახლდათ და არ იკადრა ლელოს შერცხვენა თურქი ოფიცრის წინაშე. ამნაირად მოხვდა ის ამ სურათში. ამის შემდეგ გაგვიშალეს გულუხვი სადილის სუფრა და ჩვენც, მგზავრობით დანთქრეულებმა, გვარიანად მოვილხინეთ.

იმ ღამეს იქ დავრჩით, რადგან ვერ მოვასწარით ყველაფრის მოგვარება: შესადგენი გვქონდა იმოდენი ხალხის სიები. ამას რომ მოვრჩით, მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ართვინში გავემგზავრეთ. იქ ჩასვლისას სასტუმრო მოვიკითხეთ. მივედით, რომ რამდენიმე ოთახი აგვეღო, ხოლო ამდენ ხალხს ხუთი ჩერვონეცის მეტი არ გაგვაჩნდა. სასტუმროს ხარჯზეც რომ არა ვთქვათ რა, ამდენ ხალხს ხომ კვება უნდოდა. ალბათ, ბევრს გაუკვირდება, ჩვენი უზრუნველობა, თუ დაუდევრობა ამხელა გზაზე, მაგრამ ამასაც მოეძევა თავის გასამართლებელი საბუთი. სხვათა შორის, როცა საზღვარგარეთ გასვლა გადავწყვიტეთ, შეფიცულებმა სთხოვეს ქაქუცას: „ბელადო, სხვა ქვეყანაში მივდივართ ჩაუცმელ-დაუხურავნი. უფულოდ: როგორ უნდა ვიცხოვროთ, მანამდე რამე სამუშაოს ვიშოვით. ამისათვის, ნება მოგვეცი, რომ რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებიდან ფული გავიტაცოთ"-ო. ამაზე ქაქუცამ ასე უპასუხა: „ხომ იცით, რომ კომუნისტები ყაჩაღებს გვეძახიან ჩვენ; ცდილობენ, ხალხი დაარწმუნონ, რომ ჩვენ მართლა ყაჩაღები ვართ, და არა პოლიტიკური მებრძოლები. ჩვენ რომ ახლა, ამ წასვლის წინ სადმე დავეცეთ და ფული გავიტაცოთ, მაშინ კომუნისტები ხალხს ეტყვიან: „აი, ხომ გეუბნებოდით, რომ ეგენი ყაჩაღები არიან; ფული გაიტაცეს და საზღვარგარეთ გაიქცნენო! ამას ნუ გავაკეთებთ. აქამდისინ გაჭირვებით, მრავალჯერ შიმშილითაც ვემსახურეთ სამშობლოს ინტერესებს, და ახლა თავს ნუ გავიჭუჭყიანებთ"-ო, ბოლოს ყველა დაყაბულდა ქაქუცას აზრს. ასე აღმოვჩნდით სამშობლოს ფარგლებს მიღმა ღვთის ანაბარა, მოიმედენი, რომ: ღმერთია კაცის გამჩენი, იგივე მისი დამრჩენი!

ბედი მართლა გვწყალობდა ართვინში სასტუმროს ძებნისას. ჩვენი სასტუმროს პატრონი გამოდგა ლაზი, რომელსაც აიუბას ეძახდნენ სახელად. ის ჩვენ ძალიან კარგად მოგვეპყრო და ყოველ მხრივ დაგვეხმარა, რა თქმა უნდა, ჩვენ დავიკავეთ მთელი სასტუმრო. იქ ხელათ გავყიდეთ ორი მარქაფა ცხენი და წამში გაგვიჩნდა ფული, როგორც ხედავთ, ეს იყო ჩვენი ერთად ერთი სიმდიდრე, რაც საქართველოდან გამოვიტანეთ საბოლოოდ: ცხენები, რომლებიც ილაჯგაწყვეტილნი იყვნენ, ცალკე ცუდი კვებით, და ცალკე კიდევ გრძელი გზისაგან. ცხადია, გაყიდვა კი გვინდოდა, მაგრამლა რას მოგვცემდნენ ამ გადამღრძვალ ჯახრაკებში? აი, ამ მიზეზის გამო გადავწყვიტეთ, რომ ორი კვირა აქ შეგვესვენებინა ისინი, კარგა გამოგვეკვება და, როცა ფერზე მოვიდოდნენ, მერელა გაგვეყიდა. ამ ცხენების მოვლა მე დამავალა ქაქუცამ. ამისათვის დამხმარედ მომცა კიდევ შვიდი, თუ რვა კაციც და ჩვენ მაშინვე შევუდექით მათზე ზრუნვას. უპირველეს ყოვლისა, ვიყიდეთ ბლომად თივა და ქერი, ვიშოვეთ კარგი თავლა, სადაც მთელი ჩვენი ცხენები მოთავსდნენ და დავიწყეთ მათი კვება თუ წმენდა სამხედრო სისტემით. ამ ორიოდე კვირაში ცხენებმა იმდენად მოიკეთეს, რომ ზოგიერთი მათგანი ლამის არი თამაშობდა. ბოლოს, დაგვიდგა ჩვენი ბედაურების გაყიდვის ჟამიც.

ჩვენ აიუბას მეშვეობით გავიგეთ, რომ მურღულის სამადნო ქარხანაში გერმანელი ინჟინრები არიანო. მათ შორის იყო სერვერბეგიც, რომელსაც კარგად იცნობდა ქაქუცა. აიუბამ შეატყობინა მათ ჩვენს შესახებ და იმათგან მოგვივიდა ამბავი, რომ მთელ ცხენებს გერმანელი ინჟინრები ყიდულობენო. დანიშნულ დღეს სერვერბეგის მეთაურობით მოვიდა ოთხი გერმანელი ინჟინერი. მაშინვე თავლას მივაშურეთ. მე რიგრიგობით გამომყავდა შეკაზმული ცხენები და, გავატარებ-გამოვატარებდი თუ არა, ინჟინრების კომისია უყოყმანოდ იღებდა ყოველ მათგანს. შეფიცულთა ცხენები რომ მოვათავე, ახლა ქაქუცას ბედაურზე მიდგა ჯერი; ხოლო სულ ბოლოს ჩემი კუპრივით შავი, ჩერქეზული ჯიშის მერანი გამოვიყვანე, რომელსაც მანეთიანის ტოლა თეთრი უმშვენებდა შუბლს. მართლაც ვარსკვლავებს ეთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშებოდა ის დალოცვილი. იმის მშვენებას განსაკუთრებულ ლაზათს მატებდა ლამაზი უნაგირი, რომლის გაყიდვა ფიქრადაც არ მომსვლია, რადგან საფრანგეთში ვაპირებდი მის წაღებას, გერმანელებს თვალის ერთი შევლებისთანავე მოეწონათ მოხდენილი ცხოველი. მოკლედ რომ ვთქვა, ამ გერმანე[illegible]დეს ძთელი ჩვენი ცხენები, და კარგ. სინდისიერ ფასებშიაც.

მე რომ ჩემი უნაგირი წასაღებად გავამზადე, ქაქუცა მოვიდა და მითხრა: „ხომ ხედავ, რა დიდი სიკეთე გვიყო სერვერბეგმა. მოდი, შენი უნაგირი უფეშქაშე, იცოდე, დიდად გაუხარდება“-ო, რა თქმა უნდა, მეც მაშინვე დავყაბულდი და სერვერბეგს ვუფეშქაშე ჩემი კოხტა, ჩერქეზული ცხენსაკაზმი. მას მართლაც ძალიან გაუხარდა ეს ნობათი, იქვე დაადგა ცხენს და საკუთარი უხეირო უნაგირი კი ვიღაცა თურქს აჩუქა. ასე ვეცით მაგიერი პატივი სერვერბერგს.

●

ამ ორი კვირის განმავლობაში რაზმელებმა კარგად დაისვენეს და პატარა ნორმალური ცხოვრების ფერი დაედოთ. ცხენების გაყიდვიდან მეორე თუ მესამე დღეს ხოფში წასასვლელად გავემზადეთ. ქაქუცამ ყველას თანაბარწილად გაუყო ჩვენი ნავაჭრიდან გამორჩენილი ფული და ახლა ერთნაირად გამდიდრებულნი დავიძარით ხოფისაკენ. გულდაწვეტილი დავტოვეთ აიუბა, ვინაიდან ამ მოკლე ხანში იმდენად შეგვეჩვია, რომ ალარსად ვემეტებოდით გასაშვებად. ჩვენ მას გულითადი მადლობა გადავუხადეთ ესოდენ დიდი დახმარებისთვის და, ჩვენდა უნებურად ბედაურებიდან ჩამოქვეითებულნი. ფეხით გავუდექით ხოფის გზას...

აი, ხოფსაც მივატანეთ ბევრი სიარულის შემდეგ და ჩვენს თვალწინ გადაიშალა უკიდეგანო ზღვის მოსარკული ზედაპირი. რა დასამალია და, ცოტა როდი იყო ჩვენ შორის ისეთი, რომელსაც თავის დღეში არ ენახა ზღვა. წყლის ამოდენა სივრცეს რომ ჰკიდა თვალი, გაოცებით წამოიძახა ჩვენმა შამილა იქაიძემ: „რამოდენა ტბა ყოფილა ეს ტიალი“-ო.

ჩვენ ხოფში შეგვხვდა ერთი ჯგუფი ქართველებისა, ექვსი თუ შვიდი კაცი მეამბოხეთა იმ რაზმიდან, რომელიც ოცდაოთხი საათით ადრე გამოვიდა ჭიათურაში და, როგორც ზევით მოგახსენეთ, ისედაც წამხდარ პირობებში, მარგანეცის ქალაქმა დამარხა მთლიანად გამოსვლების საქმე. რამდენადაც ჩნვენ ვიცოდით, ამ ჯგუფის რწმუნებული იყო გიორგი წერეთელი. სოციალდემოკრატიული პარტიის წევრი. მხედრების მხრივ, სათავეში ჰყავდათ სვიმონ წერეთელი. ეს ჯგუფი შედგებოდა რვა, თუ ათი კაცისგან. სვიმონის და გიორგის გარდა ყველა გურულები იყვნენ. სამწუხაროდ, ყველა გვარები და სახელები ალარ მახსოვს, მაგრამ ზოგიერთისა ჯერ კიდევ ნათლად მაქვს აღბეჭდილი გონებაში. ესენი იყვნენ: შალვა ბერიშვილი, ი. სალუქვაძე, პროკოფი ინწკირველი და მელუა. აქვე შეგხვდა დათიკო ელქუმაიშვილი, ოლონდაც ის წერეთლის ჯგუფს არ ეკუთვნოდა. ამ პირთაგან ყველას ყურადღებას იპყრობდა შალვა ბერიშვილი, რომელიც მუდამ ჩემოდნით დაიარებოდა და ხშირად ცდილობდა მარტოობას; და არცთუ უმიზეზოდ. როგორც შემდგომ გამოირკვა.

გემის მოლოდინში ჩვენ რამდენიმე დღეს მოგვიწია ხოფში დარჩენამ. ამ ხანში გვარიანად გავიცანით ერთმანეთი, თუმცა ერთი ფუთი მარილი არ შეგვიჭამია ერთად. ვერ გეტყვით რის გამო, მაგრამ მალე დავმეგობრდით განსაკუთრებით მე და დათიკო ელქუმაიშვილი.

ერთ დღეს, სეირნობისას, დათიკომ მითხრა: „წამოდი, იქით გავიაროთ“-ო. საკმაო მანძილზე რომ მოვშორდით იმ ადგილს, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ და ტრიალებდნენ, მან ლაპარაკი დამიწყო და აი, რა მითხრა: „საშა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავ, რომ ქაქუცას ახლო კაცი ხარ. მე ვერ გამიბედია მასთან ლაპარაკი ამაზე. ამისათვის გადავწყვიტე, შენ გითხრა ყველაფერი და შენ მოელაპარაკო მას იმის შესახებ, რასაც მე ახლა გეტყვი. შალვა ბერიშვილი რომ მუდამ ჩემოდნით დაიარება, ეს იმიტომ რომ ის ჰიათურიდან წამოღებული ფულითაა სავსე. ჰოროხში რომ გამოდიოდნენ. ფული თურმე მაშინ დასველებიათ. და ბერიშვილი ახლა აშრობს მას ერთი ლაზის ოჯახში. ფული საქართველოს ეკუთვნის, მაგრამ ეს ჯგუფი არ განაცხადებს. არც არავითარ საერთო საქმეს მოანდომებენ ისინი ამ თანხას. დაიყოფენ და ნელ-ნელა თვითონვე შეჭამენ. ამისათვის გთხოვ, ქაქუცას მოელაპარაკო, რომ მან ნება მოგვცეს ეს ფული წავართვათ მათ და საფრანგეთში ჩასვლისას სათვისტომოში განვაცხადოთ"-ო. დათიკომ მაჩვენა კიდეც. სადაც ის ბანკნოტები შრებოდა. ამ ფულის რაოდენობა კი არ ვიცოდით ჩვენ. მაგრამ. ცხადია, რომ დიდი თანხა იყო. რადგან არა მგონია. პატარა თანხა ყოფილიყო ჰიათურის მადნეულის სალაროში. სიმართლე რომ გითხრათ. მე სავსებით დავეთანხმე დათიკოს და დავპირდი, რომ ქაქუცას გადავცემდი იმის აზრს.

მართლაც. მოვიხელთე თუ არა მომენტი. როდესაც მარტონი დავრჩით, მე ქაქუცას დაწვრილებით ვუამბე დათიკოს ნალაპარაკევი და ამასთანავე ჩემი შეხედულებაც გამოვთქვი მის წინადადებაზე, ესე იგი, ჩამოგვერთმია ეს ფული და საერთო საქმისათვის მოგვეხმარებინა. ქაქუცა ერთხანს დაფიქრდა. მაგრამ ბოლოს არ იკისრა ამ ფულის წართმევა. და აი, რა მითხრა: „რას იტყვიან ქართველები პარიზში. რომ ჩვენ გამოტაცებული ფულის გულისთვის ჩხუბი მოგვიხდეს? გარდა ამისა, პოლკოვნიკი წერეთელიც ხომ ჰუჭყიანდება, ეგ პატიოსანი კაცი"-ო. ასე კიდევ მრავალი მიზეზი წამომიყენა და საბოლოოდ დაასკვნა: „უთხარი დათიკოსაც და თავი დაანებეთ მაგ საქმეს. იქნებ მაგათ თავიანთი ნებით განაცხადონ და ფული თითონვე მოანდომონ საერთო საქმეს"-ო.

მე დათიკოს გადავეცი ყოველივე ეს და პირობაც დავდე. რომ ეს საუბარი ჩვენში დარჩებოდა და. ისინი თუ არ განაცხადებდნენ. მაშინ ალგვეძრა ეს საკითხი ქართულ სათვისტომოში. რასაკვირველია. იმათ ის ფული არავითარ ქართულ საქმეს არ მოახმარეს და არავითარი განცხადება გაუკეთებიათ ამის თაობაზე. ეს იყო და ეს. მერე კი ჩვენც დავანებეთ თავი ამ ბინძურ და არასასიამოვნო საქმეს.

ახლა ჩვენთვის უკვე ცხადი შეიქნა, თუ ჰიათურაში რად მოხდა გამოსვლები ოცდათოთხი საათით ადრე: ჩვენ კარგად ვიცით ზოგიერთი ფულის მსუნაგი ქართველის ხასიათი, რომლებიც ყველაფერს დათმობენ, თუკი ფულის შოვნა შეიძლება იოლი გზით. ალბათ, ჰიათურაში სხვა ჯგუფსაც ეჭირა თვალი მარგანეცის სალაროზე და. რომ არავის დაესწრო, გიორგი წერეთლის ჯგუფმა იხელთა დრო და სწორედ ამისთვის მოახდინეს გამოსვლები დათქმულ ვადაზე ადრე. შესაძლოა, იფიქრეს: სულ ერთია, ერთი დღე რა განსხვავებაა; ვერც კი მიხვდებიანო! ოცდაცხრა აგვისტოს დილით, როგორც ზევით მაქვს ნათქვამი, ყველა შემჩნეული პირი დააპატიმრეს და დახვრიტეს. მათ შორის იყო ჩემი ოთხი ნათესავი. სულ ყველა მწყობრების და ასეულების მეთაურები. ერთ ჩემს ბიძაშვილის ხუთი შვილი დარჩა. რომლებიც სკოლაში არ შეუშვეს და ამის გამო დარჩნენ უსწავლელები. განა რომელიმე ქართველი მიეხმარა, რომ მისი ბავშვებისათვის სწავლის უფლება მიეცათ? არა! ამგვარად, ჰიათურის გამოსვლები ოცდათოთხი საათით ადრე ნამდვილი დამნაშავეობა გახლდათ. ამიტომ, იმ დახვრეტილ ქართველთა ცოდვა იყოს მათ კისერზე, ვინც ოცდათოთხი საათით ადრე გამოვიდნენ!

ჩვენ საკმარისად ვიცნობდით პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლკოვნიკ სვიმონ წერეთელს; ვიცოდით ისიც, რომ მას არაფერი ჰკითხეს, ან არ გაუგონეს, ყოველივე ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმე იყო. ხოლო ქაქუცამ იფიქრა, რომ რადგან მათში პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი ურევია, ამიტომ, უნდა გავჩუმდეთო და გავჩუმდით კიდეც, ვინაიდან ჩვენ ყველა დიდ პატივს ვცემდით პოლკოვნიკ წერეთელს.

●

დადგა ჩვენი სტამბოლში გამგზავრების დღე. მოვიდა გემი, რომელსაც ჩვენ იქ უნდა წავეყვანეთ, ვინაიდან ხომალდი შორს გაჩერდა. ნავებით უნდა მივსულიყავით იქამდე. მაგრამ სანამ გემამდე მივიდოდით, წყალმა ნავშივე დასცალა ზოგიერთი ჩვენთაგანი. აღარ მახსოვს, რამდენი დღე მოვუნდით სტამბოლამდე, ზოგიერთი ვერც გემში ჩამოვდიოდით საწოლიდან, რადგან ზღვამ გვაწყინა და, სამწუხაროდ, არც ჭამის თავი გვქონდა და აღარც სმისა. სამწუხაროდ-მეთქი, ვამბობ, რადგანაც იმ გემით ბევრი ქართველი მოდიოდა სტამბოლში ჩვენთან ერთად, ისინი ჩვენთან ატარებდნენ თითქმის მთელ დღეებს და, რა თქმა უნდა, იმართებოდა პურ-მარილი...

აი, ასეთი ვაი-ვაგლახით ჩავაღწიეთ სტამბოლში. მაგრამ იქაც თან გვდევდა ბედი მდევარი: ხმელეთზე ჩასვლის უფლება არ მოგვცეს! როგორც აღმოჩნდა, რუსებმა ჩვენი გადაცემა მოთხოვეს თურქეთის მთავრობას. ქაქუცამ უმალ დეპეშა აფრინა ქემალ ფაშასთან და კარგი პასუხიც მიიღო.

იმ ხანებში სტამბოლში ქართველების კარგა დიდი სათვისტომო იყო, რომლის თავმჯდომარე გვარჯალაძეთა საგვარეულოდან გახლდათ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ქართველობა კარგად შეგვხვდა. ზოგიერთმა ქართველმა მათ შორის დავით შალიკაშვილმა და ვანო ჯავახიშვილმა, მოიწადინეს ერთი დღე-ღამით მაინც გაეყვანათ ქაქუცა. ამისათვის, რადგან თურქები თვალყურს გვადევნებდნენ, ასეთ ხერხს მივმართეთ: ვითომ ქაქუცა ავად არის და წევსო. მის ადგილას გალაქტიონ ასათიანი ჩავაწვინეთ და, მანამ ქაქუცა ქალაქიდან დაბრუნდებოდა, გალაქტიონი ლოგინში განისვენებდა.

თორმეტი თუ თოთხმეტი დღე გაგრძელდა ჩვენი ამ გემზე ყურყუტი. ბუნების წიაღში სუფთა ჰაერზე ნამყოფნი, საშინლად შეგვაწუხა ამგვარმა ჩაკეტილობამ გემზე, მაგრამ რა გაეწყობოდა, ამნაირ გაურკვევლობაში სათვისტომოს თავმჯდომარემ ნელ-ნელა შეგვაპარა, ლტოლვილებს არც აგრე ადვილად უშვებენ საფრანგეთში და, ამისათვის, აქედანვე უნდა ვცადოთ რაზმელების მოწყობა სამუშაოებზე, სადაც რაიმე შესაძლებლობა გამოჩნდებაო, ეს რომ გავიგე, მაშინვე არ მესიამოვნა ამგვარი ეშმაკური ლაპარაკი...

ერთ დილას გახარებულნი მოვიდნენ ჩვენთან ბატონი გვარჯალაძე და სათვისტომოს გამგეობის წევრები, რომ სამუშაო აღმოუჩენიათ ჩვენთვის, დაახლოებით თხუთმეტი თუ ოცი კაცისთვის. აღარც მახსოვს, სად, რა სამუშაო. მგონი, არხების სათხრელად პარაგვაისა თუ ურუგვაიში. ეს რომ გავიგე, კინაღამ გავექანე და წყალში გადავუშვი სათვისტომოს თავმჯდომარე. ატყდა ერთი ამბავი. საშინლად აღელდნენ შეფიცულები, და ეს როდი იყო გასაოცარი: კონტრაქტზე უნდა მოვაწეროთო ხელი ორი თუ სამი წლით! მაშინვე მივხვდით, რომ აქაც დაგვხვდნენ მტრები! საერთოდ, მთელი შეფიცულების მოწყობა უნდოდათ სხვადასხვა სამუშაოზე, რომ აქაც ამ გზით დაევეფანტეთ. აი, ახლა უკვე ნათელი გახდა ჩვენთვის, რომ საზღვარგარეთის ქართველობაშიაც გვყოლია მტრები. პირადად მე, ისეთი ბოლმა შემომაწვა, კაცის მოკვლა არ გამიჭირდებოდა, ამიტომ განვაცხადე იქვე: „მე არსად არ მივდივარ და ისევ უკან ვბრუნდები საქართველოში“-მეთქი. მე უმალ გვერდში ამომიდგნენ შამილ იქაიძე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სერგო მაისურაძე. ჩვენ მყის დავიწყეთ საშუალების ძებნა, თუ როგორ მივსულიყავით საქართველოს საზღვრამდე. ამ მიზანს ლამის არის მივაღწიეთ კიდევაც. ქართველობა საშინლად შეაწუხა ამ გარემოებამ. აშკარა იყო, პარიზიდან მოდიოდა ბრძანება, რომ ჩვენ საფრანგეთში არ შევეშვით!

ქართველების დახმარებით შევუდექით თადარიგს, რომ მათ გამოენახათ ჩვენთვის კაცი, რომელიც საზღვრამდე მიგვიყვანდა, მაგრამ აქ ხალხი შემოგვიჩნდა, რომ საქართველოში დაბრუნება გადაგვეფიქრებინა, მე მათ ვუთხარი: „სამი წელიწადი მიწაზე ვეყარენით ზამთარ-ზაფხულ; როგორც იყო, ცოცხლები გამოვედით და ახლაღა გვაგზავნიან პარაგვაიში არხების სათხრელად. და მერე კიდე. სამი წლით უნდა მოაწეროთ ხელი კონტრაქტს. არა, ჩვენ ისევ ის გვირჩევნია, რომ ჩვენს სამშობლოში დავიღუპოთ“-მეთქი.

ჩვენმა გადაწყვეტილებამ ქაქუცაც შეაწუხა. მან ყველანაირად დაგვიწყო ხვეწნა: „ნუ იზამთ ამას; ხომ დაიღუპებით. ნამეტნავად შენ. ოჯახი დაგეღუპა. მე გაძლევ პირობას, როცა პარიზში ჩავალთ, ყველაფერს ისე მოვაგვარებ, რომ ერთად ვიყოთ“-ო.

გარკვეულობისათვის უნდა ითქვას. რომ სათვისტომოს გამგეობამ ქაქუცაც დააჯერა ერთხანს იმაში, ვითომ საფრანგეთში ადვილად არ უშვებდნენ ლტოლვილებს, მაგრამ სამაგიეროდ დათიკო შალიკაშვილმა და სხვებმაც მალე დაარწმუნეს იგი, რომ ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერებოდა. საკვირველია, რომ პარაგვაიში მარტო ჩვენ გვგზავნიდნენ, რადგან ჩვენთან ერთად ჩამოსულ გიორგი წერეთლის ჯგუფზე არაფერსაც არ ამბობდნენ. იქნებ იმისათვის, რომ შალვა ბერიშვილს, ნოე რამიშვილის დისწულს, ქიათურის ნადავლი, ვალუტით გატენილი ჩემოდანი მოჰქონდა თან? ყოველ შემთხვევაში. ბევრი აურზაურის შემდეგ ბატონმა გვარჯალაძემ დასთმო. გარდა ამისა, როგორც ბოლოს გამოირკვა. თურმე საფრანგეთში ყველას უშვებდნენ! აი, რის წყალობით გადაგვათქმევინეს ქაქუცამ და დანარჩენმა ქართველებმა საქართველოში დაბრუნება.

მაშინვე დავიწყეთ მზადება საფრანგეთში წასასვლელად. გვიშოვეს საფრანგეთში მიმავალი ბერძნების გემი, რომელზეც დავიბარგეთ ფრანგების ქვეყანაში სამგზავროდ. ვამბობ: დავიბარგეთ-მეთქი, მაგრამ: ჩვენი ავლადიდება, კურდღელს აეკიდებაო! რა დიდი ბარგი ჩვენ გვქონდა: ერთი ფარაჯა, და სხვა არაფერი!

მეტად საინტერესო გამოდგა მგზავრობა ბერძნების გემზე, თუნდაც მარტო იმით, რომ უკვე დავიწყებას მიეცა სტამბოლის უსიამოვნებანი, ამის გარდა. თითქმის ყოველდღიურად ქეიფობდნენ ჩვენი რაზმელები და წერეთლის ჯგუფი. სულ მუდამ თამადად გვყავდა ძია სვიმონი. გემზე მოსამსახურენი ყველა ფრანგულად ლაპარაკობდნენ. ამავე გემზე მოხვდა საიდანღაც ორი ფრანგი ქალი. რა თქმა უნდა, ისინი ჩვენი სუფრის მუდმივი თანამეინახენი იყვნენ. ტყიდან გამოსულ ამ ახალგაზრდა მოქეიფეებს ამ ფრანგი ბანოვნებისაკენ ჰქონდათ დაჩეჩხილი თვალები. საუბედუროდ, ჩვენში მარტო დათიკო შალიკაშვილი და მერაბ ჯორჯაძე ლაპარაკობდნენ ფრანგულად. მაგრამ ეს მაინც არ გვიშლიდა ხელს დროსტარებაში: გავშლიდით ხოლმე ნაბადს მაღლა გემბანზე, ნაბადზე — სუფრას, და მოგეცათ ლხენა, იყო ქეიფი!

ხელათ შეისწავლა ფრანგული ელიზბარ ვაჩნაძემ. სულ ერთთავად „კაირ გრაფინ“, გაიძახოდა. ესე იგი, ოთხი გრაფინი ღვინოო, ასე თხულობდა ის სასმელს. მაგრამ მხოლოდ ოთხი გრაფინი რას გასწვდებოდა ამოდენა ხალხს და, ამისათვის, ელიზბარიც ხშირად უბრძანებდა ლაქიას: „კაირ გრაფინ!“

ამგვარ ქეიფსა და დროსტარებაში ყველა რაზმელი როდი იღებდა მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილეობას თავიდანვე; ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ზღვამ გვაწყინა და ზოგიერთნი საწოლს ვერ ვცილდებოდით, განსაკუთრებით ბადური და მე, თუმცა არც სხვები იყვნენ უკეთეს დღეში. მაგრამ ვინ უწევდა ანგარიშს ჩვენს მდგომარეობას. წამის წამად გვეძახდნენ მე და ბადურის: „აბა, ერთი სიმღერა შეგვაწიეთ“-ო, რადგან თითონ რატომღაც არ გამოსდიოდათ, აბა, რა გვემღერებოდა ჩვენ მდგომარეობაში, მაგრამ მაინც გვაყენებდნენ ხოლმე. მეტი რაღა გზა იყო: ჩვენც პატარა ხანს დავრჩებოდით სუფრასთან და მალე ისევ საწოლში გავრბოდით. ზღვას ორი დღის შემდეგ შევეჩვიე და ცოტა ჭამა დავიწყე, თორემ პირველ დღეებში არც ჭამა მინდოდა, და არც სმა. გაცილებით უარეს მდგომარეობაში იყო ბადური. იგი იმდენად დასცადა წყალმა, რომ მარსელამდე საწოლში იყო გაშოტილი. ხანგამოშვებით ჩვენ მას ძალით წამოვაყენებდით ხოლმე სიმღერის ხათრით, მაგრამ ის ისევ ჩქარა გარბოდა საწოლში.

საშინელი ღელვა შეგვესწრო ერთ ღამეს. მეორე დილას გემის მოსამსახურენი გადარჩენას გვილოცავდნენ; თურმე კინაღამ დავლუპულვართ. ჩვენი გემი არ იყო დიდი და მას ჩალასავით ათამაშებდა ზღვა. ხუთი თუ ექვსი დღის შემდეგ მივაღწიეთ მარსელს. წარმოიდგინეთ, ამოდენა ქართველობა გემზე ექვსი დღის განმავლობაში! ხომალდის ადმინისტრაციას აღარაფერი დარჩა გასასაღებელი. კიდევ ერთი დღე რომ დავრჩენილიყავით, აღარაფერი ჰქონდათ საჭმელი, ან დასალევი. იმდენად გამოაცარიელეს იმ ხომალდის საკუჭნაო ქართველებმა.

მარსელში დაგვხვდნენ ჭიჭიკო ასათიანი და თენგიზ დადეშქელიანი, ჭიჭიკო გამოგზავნილი იყო ჩვენი მთავრობის მიერ, ხოლო თენგიზი ჩვენს შესახვედრად მოვიდა, როგორც მეგობარი. ახლა აქ განმეორდა კონსტანტინოპოლის, დღევანდელი სტამბოლის, უკუღმართობა. ჭიჭიკო ასათიანმა განაცხადა: „ფრანგები პარიზში არ უშვებდნენ ლტოლვილებს, თუ მათ ბანკში ფული არა აქვთ; ჩვენ ქაქუცას სახელით კი შევიტანთ, მაგრამ ამდენი ხალხის მაგივრად არ შეგვიძლია ფულის შეტანა ბანკში“-ო. ასათიანის ასეთმა განცხადებამ მთლად გადაგვრია სულ ყველა. ახლა უკვე აშკარა იყო, რომ ვიღაცას არ მოსწონდა ჩვენი პარიზში ჩასვლა! აღარავის სჯეროდა ჭიჭიკოს ასეთი განცხადება. დათიკო შალიკაშვილმა სასტიკად გალანძღა ჭიჭიკო: „თქვე მამაძაღლებო, ეს ხალხი სამი წელიწადი ტყეში ცხოვრობდა, ამათ ახლა უნდათ მოვლა, ხოლო თქვენ, დახმარების მაგივრად, პარიზშიც არ გინდათ ჩაუშვათ“-ო. მე, პირადად, მზად ვიყავ გამეგლიჯა ჭიჭიკო, ვინაიდან ვატყობდი, რომ ცოცხალ ტყუილს ამბობდა. ქაქუცამ შემამჩნია, რომ მე მზად ვიყავ ჭიჭიკოსათვის შეურაცხყოფის მისაყენებლად, და ამიტომ თავი არ დაანება მას იმ ღამეს, მანამ იგი სასტუმროში არ მიაცილა.

ისევ იგივე კონსტანტინოპოლის ამბავი გამეორდა მეორე დღესაც. ქაქუცამ აღარ გააჭიანურა კამათი და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა: „რადგან მთელი რაზმის შეშვება არ შეიძლება პარიზში, მაშინ მეც აქ დავრჩები ამათთან“-ო, ახლა კი მართლაც ძალიან დატოკდა ჭიჭიკო: „როგორ შეიძლება, რომ თქვენ არ წამოხვიდეთ პარიზში“-ო, რაზეც ქაქუცამ უპასუხა: „მაშ, რაღას წუხდებოდით, რომ დაგვხვდით, თუ რაზმის შეშვება არ შეიძლება პარიზში“-ო. ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მან ქაქუცას გადააფიქრებინა მარსელში დარჩენა ჩვენთან ერთად, რადგან, როგორც გაირკვა, თურმე პარიზში ყველას შეეძლო ჩასვლა ისე, რომ ბანკში არავითარი ფულის დადება არ ყოფილა საჭირო. ამგვარად, მეორე დღეს, საღამოთი, ჩვენ უკვე პარიზისაკენ გავემგზავრეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რა იყო მიზეზი, რომ ჯერ კიდე კონსტანტინოპოლში უნდოდათ ჩვენი დაფანტვა? თუმცა იქ ვერ მოახერხეს, მაგრამ მერე მარსელში გაიმეორეს იგივე ოინი, ვითომდაც პარიზში არ უშვებდნენ ლტოლვილებს, თუკი მათ ბანკში ფული არა აქვთო! ვინ აგებდა ამისთანა დანაშაულებრივ ხაფანგებს? ამის შესახებ აქვე მოგახსენებთ.

სიმართლე უნდა ითქვას, ძალიან კარგად დაგვხვდა პარიზის ქართველობა. ვცხოვრობდით ეტუალის რაიონის სასტუმროებში. პირველ სალამოს სადილი გაგვიმართეს, რომელსაც სხვათა შორის დაესწრნენ: ჩხენკელი, ს. ჰედია და გეგეჭკორი. მგრძნობიარე სიტყვებით მოგვმართა ყოველმა მათგანმა. მე თავის დღეში არ დამავიწყდება ს. ჰედიას სიტყვები: „დიდ საქმეს ემსახურეთ და უცხოეთში არ უნდა დახურდავდეთ“-ო, მაგრამ ხშირად ხდება ასე: წამხედურობამ წამწყმიდაო!

იმ ხანებში პარიზში ჯერ კიდევ არსებობდა საქართველოს საკონსულო. ყოველ ცისმარე დღეს ს. ქუთათელაძე გაგვიძღვებოდა ათ-თორმეტ კაცს და საბუთების მოსაწესრიგებლად მივყავდით ხოლმე საკონსულოში. იქ ხშირად გვხვდებოდნენ ქართველები, ისინი მეტად გულთბილად და კარგად გვექცეოდნენ, ერთ ამისთანა დღეს თორმეტი კაცი მივედით საკონსულოში. ვისხედით მისაღებ ოთახში და ველოდებოდით ჩვენს რიგს. ჯერით გვეძახდნენ საბუთების მოსაგვარებლად. იქვე იყო ოთხიოდე კაცი, ძველი ემიგრანტები. ისინიც საქმეზე იყვნენ მოსულნი და, რა გაიგეს ჩვენი ვინაობა, სეტყვასავით გვაყრიდნენ კითხვებს იმ საკითხებზე, რაც მათ აინტერესებდათ. სად იყო და სად არა, სწორედ ამ დროს ნახევრად შემოაღო კარები ვიღაცამ, შემოიჭყიტა და, ამდენი ხალხი რომ დაგვინახა, უცბათვე მოხურა კარი და წავიდა. ყველა შეფიცული დაინტერესდა და ვიკითხეთ: „ვინ იყო ეგ კაცი“-ო. ძველმა ემიგრანტებმა გვიპასუხეს: „ეგ იყო ნოე რამიშვილი“-ო. შეფიცულები საშინლად აალელვა მისმა ასეთმა უმსგავსმა საქციელმა. მე, რა თქმა უნდა, უმალ ვიცანი იგი. მართლა არ შეჰფეროდა ყოფილ მინისტრს ამისთანა ქცევა! მის მიერ კარის შემოღებამ, ჩვენ ჩამოთვალიერებამ და უცბათ კარის მოხურვამ, თითქოსდა იქ ჭირიანები, ან გველები ვისხედით, დაამტკიცა, რომ ჩვენ მას საშინლად ვძულდით. აი, საიდან მოდიოდა ბრძანებები, ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო მერე მარსელში, რომ რაზმელები როგორმე არ შემოვეშვით საფრანგეთში: პარიზში ლტოლვილებს არ უშვებენ, თუ ბანკში ფული არა აქვთო! განა შეიძლება ასეთი ტყუილი? განა შეჰფეროდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, გინდ ყოფილ მთავრობას, რომ ასე მოგვქცეოდნენ შეფიცულებს, რომლებმაც თავიანთი ოჯახები, თავიანთი ახალგაზრდობა შესწირეს სამშობლოს საკეთილდღეოდ? ჰოდა, სწორედ ჩვენი მთავრობის ასეთმა მოღვაწეობამ დაღუპა კიდეც რის ვაი-ვაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა!

პარიზში ჩასვლისას მთელი რაზმი ჯერ ისევ ტყიდან გამოყოლილი ტანისამოსით დადიოდა: ჩოხებით, ფაფახებით, თუშური ქუდებით, ხანჯლებითა და სხვა. ქუჩაში რომ მივდიოდით, რასაკვირველია, ჯგუფებად, მთელი ხალხი, ესე იგი ფრანგები, ჩვენ გვიყურებდა, ისინი ცნობისმოყვარეობით ჩერდებოდნენ და გვათვალიერებდნენ. ერთ დღეს გავიგეთ, რომ განსვენებულმა დავით სხირტლაძემ საგრძნობი თანხა მისცა ძველი მთავრობის გამგეობას, რომ ყველა შეფიცულისათვის ეყიდათ თითო ხელი ტანისამოსი, სამი ხელი საცვალი და ფეხსაცმელები. ისინი აქაც კი ცდილობდნენ, რაც შეიძლება იაფფასიანი ტანსაცმელი ეყიდათ რაზმელებისათვის, რომ არ დახარჯულიყო მთელი ფული, რომელიც დავით სხირტლაძემ ამ საქმისათვის დასდო. პირადად მე, ამას კარგად მივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდი და, როდესაც სასყიდლებზე წამიყვანეს, ამოვარჩიე ის, რაც მინდოდა. თუმცა ბევრი იწუწუნეს, ძვირიაო, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიყვანე.

მეტნაწილად ჩვენ ყველანაირად გვეხმარებოდნენ ძველი ემიგრანტი ქართველები. ასე მაგალითად, ალეკო ამილახვარი გვივლიდა მე და ელიზბარ ვაჩნაძეს. რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ის იხდიდა სასტუმროს და დილის საუზმის ფულს. ამნაირად ყოველ ძველ ემიგრანტს, რა თქმა უნდა, ვისაც ჩვენზე გული შეტკიოდა, ორი-სამი კაცი ჰყავდა მოსავლელი. ასე რომ, ჩვენს მთავრობას ერთი ფრანკიც არ დაუხარჯია ჩვენზე.

ჩვენ დაახლოებით ორი კვირა დავყავით პარიზში, სანამ საბუთებს გაგვიმზადებდნენ და სანამ ტყიდან გამოყოლილ ტანსაცმელს მოვიშორებდით. ახლა კი სადმე უნდა დაგვეწყო მუშაობა. რაც ციურ მანანასავით მოგვევლინა ანაზდეულად, აქვე უნდა ითქვას, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთს დიდად ჭირდებოდა მუშახელი და, ამის გამო, ფრანგები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უშვებდნენ მუშებს თავიანთ ქვეყანაში. მაშ, რად მოხდა კონსტანტინოპოლში, რომ სათვისტომოს თავმჯდომარე, ბატონი გვარჯალაძე, დაჟინებით გვარწმუნებდა: ფრანგები ლტოლვილებს ადვილად არ უშვებენ საფრანგეთშიო, და ჩვენ, შეფიცულთა რაზმელებს, ურუგვაისა თუ პარაგვაიში გვგზავნიდა არხების სათხრელად, ხოლო რაც ყველაზე უარესია, ორი თუ სამი წლის კონტრაქტზე უნდა მოგვეწერა ხელი? რა მოხდა, რომ, როდესაც ჩვენ მარსელში ჩავედით, ჩვენს დასახვედრად მოსულმა ჭიჭიკო ასათიანმა განგვიცხადა: „ფრანგები ლტოლვილებს პარიზში არ უშვებენ, თუ მათ ბანკში ფული არა აქვთ. ჩვენ ქაქუცას სახელით შევიტანთ, მაგრამ ამდენი ხალხისთვის ჩვენ არ შეგვიძლია ფულის შეტანა ბანკში"-ო. ვინ იყო ამისთანა იაფფასიანი ტყუილის გამომგონი? საფრანგეთს იმ წლებში ჰაერივით სჭირდებოდა მუშახელი, დიდი სიამოვნებით იღებდნენ უცხოელებს, ხოლო ჩვენი ყოფილი მთავრობა კი ცდილობდა, რომ ჩვენ, შეფიცულთა რაზმი, საფრანგეთში არ შევეშვით და სადმე არხების სათხრელად ჩავხოცილიყავით. საინტერესოა, თუ რას დაარქმევს მკითხველი საქართველოს ყოფილი მთავრობის, თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამგვარ უკუღმართ საქციელს?!

## შეფიცულთა რაზმის საარსებო მდგომარეობა

მთლად ხალხზე იყო დამოკიდებული რაზმის კვება და ჩაცმა-დახურვა. 1922 წელს გაჭირვება და შიმშილი მძვინვარებდა მთელ საქართველოში, რადგან დამშეული რუსის ჯარი კალიასავით მოედო ჩვენს ქვეყანას. შიმშილობდა ყველა, და იმათთან ერთად ჩვენც. თუმცა ხალხი ყოველმხრივ გვიწყობდა ხელს, გვაწვდიდა, რაც შეეძლო, მაგრამ გსმენიათ: ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო! ჩვენ რას მოგვცემდნენ, როცა თითონ არაფერი გააჩნდათ? იშვიათი როდი იყო შემთხვევა, რომ, თუ ხუთი პური ჰქონდა წვრილშვილიან ოჯახს, ოთხს ჩვენ გვაძლევდა: ჩვენ იოლას წავალთ, თქვენთვის უფრო საჭიროაო. მომდევნო წლებში საქმე ცოტა გამოკეთდა. ჩვენს აგენტებთან გვქონდა მომარაგებული ფქვილი არაერთ სოფელში და, როდესაც ერთი კვირით, ან მეტი ხნით გვქონდა სადმე დადებული ბინა, მოგვქონდა ფქვილი და იქ ნაცარში ვაცხობდით ხმიადებს. ისიც ხდებოდა ხოლმე, რომ ზოგჯერ, მოქმედების დროს, რამდენიმე დღით ვჩერდებოდით სადმე; ამ შემთხვევაში გამომცხვარ პურს სოფლიდან გვიზიდავდნენ. საკლავსაც ცხვრის, ან საქონლის პატრონები გვაძლევდნენ, ხოლო თუ შემოგვაკლდებოდა, მაშინ არ ვთაკილობდით, რომ კომუნისტების საკლავს მივდგომოდით.

რაც შეეხება ტანისამოსს, პირველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელსვე გასულებს მალე შემოგვაცვდა ტანთ, ნამეტნავად ფეხსაცმელი, რაც ისევ ხალხისა და ნათესავ-მეგობრებისაგან მოგვდიოდა. რაზმელთა უმეტესობა ჩოხებს ვატარებდით. ლეკური, ან თუშური შალისას. ყველაზე დიდი ჭასაჭირი გვადგა საცვლების მხრივ, ჩვენ მათ დასარეცხად ვტოვებდით ზოგიერთ ალაგას, მაგრამ ხშირად ისე ვიყავით დაშორებული იმ ადგილიდან, რომ საცვლებზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

პირველ ხანებში ჩვენ ნაბდებს ვატარებდით, ეს კარგი იყო ავდარში და ღამით დასაწოლად, მაგრამ ძალიან გაძნელდა მათი ტარება. აი, ამიტომაც ავიღეთ ხელი მათ ხმარებაზე, მათ ნაცვლად ფარაჯების ხმარება დავიწყეთ. ესენი გაცილებით უფრო პრაქტიკული გამოდგა. ფარაჯები იყო ჩვენი ლოგინი, საბანი, და ისინი გვიფარავდნენ წვიმების დროსაც.

კიდევ უფრო სხვა მხრივ იყო რთული ფეხსაცმელების საკითხი: ჯარისკაცული ფეხსაცმელი სატარებლად კარგია წვიმასა და ლაფში, ხოლო მთასა და ტყე-ღრეში სასიარულოდ კი არაფრად ვარგა. ამისათვის ვხმარობდით ხარაზულ წუღა-ჩუსტებს, რაც არანაკლებ თავისტკივილთან იყო დაკავშირებული, თუ ერთის მხრივ შოვნა ჭირდა, მეორე მხრივ მათი შეკეთება იყო ძნელი. ამის გამო, მუდამ თან ვატარებდით მარქაფა ქალმანებს. საქალმანე ტყავს სოფლელები გვაძლევდნენ, მაგრამ ხშირად არც მათ ჰქონდათ; ამისათვის, ხარს რომ დავკლავდით, თუკი ხანგრძლივ ვიყავით ერთ ბინაზე, ტყავს მიწაზე გავჭიმავდით, მოვაყრიდით ნაცარს და, რაკი შეხმებოდა, ავხსნიდით მიწიდან, შევაგდებდით მაღლა ხარიხებზე და ქვემოდან კი პატარა ცეცხლს შევუბოლებდით. თუ ტყავი რიგიანად არის ბოლზე გამოსული, ბევრად უფრო კარგია. მაგრამ სიჩქარის გამო ზოგჯერ ჯერ კიდევ გამოუსვლელი ტყავის დაჭრა გვიხდებოდა ქალამნების ამოსასხმელად. ვისაც გამოუცდია, იცის რომ მართლაც საშინელებაა გამოუსვლელი ტყავისაგან ამოსხმული ქალამნები, განსაკუთრებით ავდარში, მაგრამ რა მეტი ჩარა იყო: ფეხშიშველა სიარულს ისევ ისეთი ფეხსამოსი ჯობდა. გარდა ამისა, მართალია, კაცი ძნელად ეჩვევა ამისთანა ქალამნების ტარებას, მაგრამ, საერთოდ, მთებში სასიარულოდ მსუბუქი და მოსახერხებელი გახლდათ. ამ გარემოების გამო, როგორც წესი, თითოეული შეფიცული ატარებდა მარქაფად თითო წყვილ ქალამანს. მაგრამ ეს საკითხი მარტოოდენ ქალამნებით როდი ამოიწურებოდა.

ფეხი თბილად, თავი გრილადო! გვასწავლის ხალხური სიბრძნე; შიშველ ფეხზე ჩასაცმელად აუცილებელი იყო წინდებიც, ურომლისოდაც შეუძლებელია ქალამნების ტარება. ამ თითქმის უპირველესი აუცილებლობის სამოსს მუდამ ქართველი ქალები, ხოლო ნამეტნავად ჩვენი მთიელი დედაკაცები გვიქსოვდნენ მატყლისაგან.

როგორც საცვლების შესახებ მოგახსენეთ ზევით, რეცხვის საქმე ძნელდებოდა. ჩვენ ხშირად გვიხდებოდა მათი რეცხვა ცივი წყლით და მერე ცეცხლთან ვაშრობდით, ჩვენი მძიმე მდგომარეობისდა კვალად საცვლებს როგორც იყო, კი ვისუფთავებდით, მაგრამ ბანაობა ჭირდა, განსაკუთრებით შემოდგომით და ზამთრობით ხდებოდა ეს შეუძლებელი, თოვლისა და წვიმის ჟამს ქალამნებით სიარულისას აუცილებელია ფეხების ხშირად დაბანვა და მართლაც რომ საშინელება გახლდათ განბანვის ამ ყოვლად აუცილებელი რიტუალის შესრულება გაყინული წყლით. აი, რა დამემართა პირადად მე ერთხელ: იანვარი იყო. საქმეზე წასული სამი კაცი დავბრუნდით ბინაზე. ძალიან დაღლილები ვიყავით მთელი ღამის ნავალნი. მე დამეზარა წინდების გახდა, გაშრობა და ფეხების დაბანა. მხოლოდ ქალამნები გავიხადე, წამოვწექი და ასე გაშრებამეთქი. იმდენად ვიყავი დაქანცული,

რომ მაშინვე ჩამძინებოდა. ამხანაგებს დანანებოდათ და არ გამაღვიძეს. უცბად რაღაცამ შემაწუხა ძილში და გამომეღვიძა. საშინელი ტკივილი ვიგრძენი ფეხში. სასწრაფოდ გავიძრე წინდა და დავინახე: ერთ ფეხისგულზე კაკლისოდენა ბებერა ამომსვლოდა! რასაკვირველია, სიარული არ შემეძლო. რამდენიმე დღის შემდეგ, კარგა რომ მოიწია, აუტანლად მტკივნეული კი იყო, მაგრამ ბებერა დანით გავჭერი. გამოვიდა ყვითელი წყალი, თუმცა ოდნავ მომეშვა, ისეთი ტკივილები აღარ მქონდა, მაგრამ სიარული მაინც არ შემეძლო. კარგახანს გასტანა ასე, სანამ ბებერას ალაგი ახალი ხორცით შეივსებოდა. მერე იმ ბებერას გარშემო ძველი, სქელი ტყავი ნელ-ნელა შემოვჭერი დანით და ისევ გავიმართე სასიარულოდ. ცოტა გულზე მომეშვა. თორე რა უნდა მექნა, მდევარი რომ დაგვსხმოდა? შეუძლებელია, რომ ამხანაგებმა წაგიყვანონ, თუ მდევარი მძლავრია. ამისთანა შემთხვევაში მტერს ტყვედ ხომ არ ჩაუვარდები. ამიტომ, ერთი გამოსავალილა რჩება: თავი უნდა მოიკლა! ეს მქონდა გადაწყვეტილი მეც. მაგრამ მკითხველს რომ ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩეს, თითქო ამხანაგები ყოველთვის საკუთარი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობენო, აუცილებელია შევნიშნო ეს: გაჭირვებაში მყოფი ამხანაგის დახმარება-დაუხმარებლობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ვითარებაში ხდება მტრის თავდასხმა. თუ მდევარი მძლავრი არ არის, მაშინ დაჭრილ, ან ავადმყოფ შეფიცულს თავის დღეში არ მიატოვებენ ამხანაგები. ჩემი სამი წლის ბრძოლებში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ დაჭრილი, ან ავადმყოფი დაგვეტოვებინოს მტრისათვის. უფრო კარგიც: მრავალი შეტაკება მოგვიხდა ამ სამ წელიწადში, მაგრამ არა ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ჩვენში ჩვენ პირველებს არ გაგვექციოს მტერი, მიუხედავად იმისა, რომ ღამით ხდებოდა ეს, თუ დღისით, და მხოლოდ ამის მერე წავიდოდით ჩვენც.

წელს, რაკი კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაინახა, რომ ეროვნული მოძრაობა დღითი-დღე უფრო ღრმავდებოდა საქართველოში, საშინლად მკაცრი ზომები მიიღო. ატუსაღებდნენ შემჩნეულ პირებს და აწიოკებდნენ სოფლებს, რა თქმა უნდა, შეფიცულების ოჯახებს და ნათესავებს ხვდებოდა ბევრი, მაგრამ ყველაზე მეტი მოხვდა ქაქუცას და ჩემს ოჯახს. ერთ დღეს დაანგრიეს ქაქუცას და ჩემი სახლები და, თუკი რამე იყო რიგიანი ჩვენს ოჯახებში, მთლიანად წაიღეს. ჩვენებს ის შერჩათ რაც ტანზედ ემოსათ. ქაქუცა ცოლ-შვილით თავის სიმამრის, ილიკო მეღვინეთხუცესიშვილის სახლში ცხოვრობდა, სულ ახლო მეზობლად ჩემს სამოსახლოსთან. ეს იყო თელავის მაზრის სოფელ აწყურში. უსახლ-კაროდ დარჩნენ ჩემი მოხუცი დედ-მამა, ქაქუცას ცოლ-შვილი და სიმამრ-სიდედრი, ისინი მეზობლებმა შეიხიზნეს დროებით, ხოლო მერე რაღაც მოახერხეს და იშოვეს ბინა, მაგრამ სულს იქით აღარაფერი ებადათ. თუმცა, ტყუილად როდი უთქვამთ: თუ კეთილ მეზობელს აქვს რამე, შენცა გაქვსო! გაჭირვებაში ჩავარდნილთ სოფლელები უზიდავდნენ ყველაფერს და ეუბნებოდნენ: „ნუ გეშინიათ; ყველაფერს მოგიტანთ“-ო. კი, ასე იცხოვრეს მათ ერთხანს. მართლა ყველაფრით ამარაგებდნენ სოფლელები ჩვენებს. თითქმის არაფერი აკლდათ მათ სანოვაგის მხრივ. მაგრამ განა ეს სოფელი გაახარებს დიდხანს ვინმეს?! რახან ხელისუფლებამ დაინახა, რომ ხალხი ესოდენ გულისხმიერად ეკიდებოდა ჩვენს ოჯახებს, იქ ცხოვრების უფლება აღარ მისცეს და ჩვენები იძულებული გახადეს, რომ თბილისში გადასახლებულიყვნენ. ერთად ერთი ნუგეში იყო ის, რომ თუ ვინმე გადარჩა ცოცხალი ჩვენი ოჯახებიდან და ნათესავებიდან. არ დახვრიტეს და ისინი დღესაც ისევ თბილისში მოსახლეობენ მხოლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი შეხედულება ორივე ამბოხების შესახებ

პირველი, ესე იგი, 1922 წლის ხევსურეთის გამოსვლები უაღრესად ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის, და აი რატომ: 1. ქართველი ხალხი მალე მიხვდა, რომ დიდი შეცდომა დაუშვეს ჩვენმა მთავრობამ და თვით ხალხმაც, რადგან მათ თითქმის გაუბრძოლებლად შემოუშვეს რუსები საქართველოში. 2. ხალხი არ იყო განიარაღებული. 3. რუსის ჯარი არ იყო მრავალრიცხოვანი: სულ ათი ათასი კაცი ჰყავდათ მიმოფანტული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 4. შტაბის უფროსი, მუსხელიშვილი, ჩვენი კაცი გახლდათ, რომლისგანაც ვიღებდით ცნობებს რუსის ჯარის რაოდენობისა და განლაგების თაობაზე, ვინაიდან მის ხელში იყო მთავარ სამხედრო ობიექტებზე განაწილების საქმე. 6. რაც მთავარია, თვითონ ხალხი იყო ძლიერ მოწადინებული საბრძოლველად. 7. რუსის ჯარი იყო უკიდურესად სუსტი და მოუწყობელი.

დიდი ზიანი მიაყენა ამბოხებას სამხედრო ორგანიზაციის წევრთა დახვრეტამ გენერალ კოტე აფხაზის მეთაურობით, საშინლად დაადამბლავა დამკომი გიორგი წინამძღვრიშვილის დახვრეტამ. დამკომმა ვერ მოახერხა დაკავშირებოდა რომელიმე სახელმწიფოს, რომ დაგვხმარებოდნენ, მან თვით საქართველოს ფარგლებშიაც კი ვერ მოახერხა კავშირის დამყარება საჭირო ადგილებთან. არც შიგ დამკომში სუფევდა ერთსულოვნება: ადგილი ჰქონდა პარტიულ უნდობლობას. როგორც ყოველთვის ჩვენი ისტორიის მანძილზე, რამაც ასეთნაირ მდგომარეობამდე მიიყვანა საქართველო, დამკომი ვერ გვაწვდიდა ამბოხებისათვის საჭირო იარაღს, მაგალითად: ასაფეთქებელ მასალას, ბომბებს და მაუზერის ვაზნებს, რითაც სავსე იყო თურქეთი და მისი შეძენაც კი ვერ უზრუნველყო იქიდან. თუ საქართველოს ოდესმე დასჭირდება ამბოხების მოწყობა, დიდი შეცდომა იქნება ამ საქმის ჩაგდება პარტიების ხელში. ამბოხების მოწყობა მხოლოდ მხედრობის ხელში უნდა იყოს, ხოლო პარტიები მის დამხმარე ძალას უნდა წარმოადგენდნენ, რადგან პარტიები მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ პარტიებზე ფიქრობენ და, ამგვარად, ისინი დიდ ზიანს აყენებენ საქვეყნო საქმიანობას. საქართველოს მთავრობა უნდა შედგებოდეს უნარიანი, საქმის მცოდნე, წარჩინებული პირებისაგან, მიუხედავად მათი პარტიული მიკერძოებისა, და არა ისე, როგორც ჩვენი მთავრობა მოიქცა: მათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების გარდა ახლო არავინ არ გააკარეს მთავრობას და, საერთოდ, ადმინისტრაციას, მიუხედავად იმისა, რომ მრავლად გვყავდა მომზადებული და შესაფერისი ხალხი, ისინი სრულიად შეუფერებელ პირებს ნიშნავდნენ მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობებზე. სხვა რაღაზე . შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ყოფილი ექიმი გახდა სამხედრო მინისტრი, ხოლო რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად გაგზავნილი იქნა სოფლის მასწავლებელი, და ამასობაში თარჯიმნად ჰყავდათ, ისიც მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო კანონების მცოდნე, თითქმის ყველა ენაზე მოლაპარაკე, დიდი ქართველი პატრიოტი ზურაბ ავალიშვილი! ჩემი თვალსაზრისით, ასეთი საქციელი ნამდვილ ღალატს წარმოადგენდა სამშობლოს წინაშე ნებით, თუ უნებლიეთ!

## ქაქუცა ცხოვრებაში და მისი გარდაცვალება

ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო განსახიერება ქართველი რაინდისა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დინჯი, დარბაისელი და უაღრესად კეთილი გულის პატრონი. ისეთი თვისებებით დაჯილდოებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ. სრულიად უცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას. ის ძალიან უყვარდათ ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდეც. როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო იგი დაბადებული. 1915 წელში ის თითქმის მორჩენილი იყო ჭრილობისაგან სარაყამისში, რომ თურქებმა შემოუტიეს ამ ქალაქს. იმ დროს ძალიან ცოტა ჯარი იდგა იქ, მაგრამ ეს გახლდათ მუშა ბატალიონი. აი, სწორედ ეს მუშა ბატალიონი შეაიარაღეს და მისცეს ქაქუცას სარაყამიშის დასაცავად. მან დაიკავა ქალაქში შესავალი შაქრის თავივით მაღალი გორა, და თათრები ქალაქში არ შეუშვა. მაგრამ ამ ბრძოლაში იგი ხელახლა დაიჭრა მძიმედ: მას ორი თითის სიბრტყე შრაპნელის ნატეხი მოხვდა, მარჯვენა ჭილვში და მხარში გაუარა. მძიმედ დაჭრილი ჩამოიყვანეს თბილისში. წელიწადზე მეტხანს მკურნალობდა ექიმი მუხაძე ქაქუცას. მორჩენით კი მოარჩინა ბოლოს, მაგრამ მარჯვენა ხელის მაღლა აღება აღარ შეეძლო. ის სარაყამიშის დაცვისათვის ოქროს ხმლით დააჯილდოვეს.

ქაქუცა თავს ჩინებულად გრძნობდა ჩვენს ბრძოლებში. ვერავინ ვჯობდით მას სიარულში, მაგრამ ევროპაში შემოსვლა გადაექცა მას საბედისწეროდ. საშინლად ცუდად იმოქმედა მასზე პარიზის ჰავამ. საუბედუროდ, ჩვენ არა გვქონდა შეძლება, რომ ქაქუცასათვის რიგიანად მოგვევლო. განა ერთი ბეწოთი დაეხმარა მას რამეში ჩვენი ყოფილი მთავრობა? პოლონეთიდან კი იღებდნენ ფულს ყოველ თვიურად, მაგრამ იმით ხომ დაგეშილი პროპაგანდისტების შენახვა უნდოდათ და ქაქუცას დასახმარებლად სად ჰქონდათ ფული! მის დასახმარებლად ისევ მეგობრებმა გამოიღეს ხელი და ერთხანს სანატორიუმში გავაგზავნეთ, ოტსაუაში, სადაც იგი რამდენიმე თვეს დარჩა და ძალიან მოუხდა კიდეც. ჭრილობისგან მას მარჯვენა ფილტვის თავი ჰქონდა დაზიანებული; აი, ის გადაექცა კაჟივით მაგარ ვაჟკაცს მომაკვდინებელ ჭლექად.

საფრანგეთში ჩასვლისას რაზმი ჯერ კიდევ ერთსულოვანი იყო, ამიტომ მოისურვა ქაქუცამ, რომ საერთო ბინა გვქონოდა. ამ თვალსაზრისით ამოვირჩიეთ პარიზის ახლოს ვიროფლე და იქ, დიდი პარკის გვერდით, დავიქირავეთ მშვენიერი სახლი კარგა მოზრდილი ეზოთი. ქაქუცას უნდოდა, მასთან მეცხოვრა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ მანამ არ გადავიდოდი საცხოვრებლად, სანამ მუშაობას არ დავიწყებდი ტაქსის მძღოლად. საამისოდ ვემზადებოდი დღე და ღამე, რაც არც აგრერიგ ადვილი საქმე გახლდათ, ვინაიდან ზეპირად უნდა მცოდნოდა ვეებერთელა პარიზ-ქალაქის ყველა ქუჩაბანდი!

ამრიგად, მე პარიზში ვცხოვრობდი, გამოცდებამდის ერთი თვე მრჩებოდა, რომ სასტუმროს პატრონმა ოთახი დამიკეტა, რადგან ფული ვერ გადავუხადე დროზე. იქ მომემწყვდა ტანისამოსი და საცვლები, ხელთ შემრჩა მხოლოდ პალტო, რუქა და წიგნი ქუჩების სახელებით. კიდევ კარგი, რომ გაზაფხული იდგა ჩემდა ბედად, და რადგან სამეცადინო ადგილი აღარ მქონდა, მივდიოდი ბულონის ტყეში, გავიშლიდი პალტოს, იმაზედ — რუქას, და ასე ვმეცადინეობდი. ღამეებისას იმ ქართველ ამხანაგებთან მივდიოდი, რომელთაც ბინა ჰქონდათ, და მათთან ვათევდი ღამეს. ამასობაში რაღაცნაირად ქაქუცას ყურამდეც მიუღწევია ამბავს, რომ სასტუმროს პატრონმა ოთახი დამიკეტა და უბინაოდ ვარ. მან გადაუდებლივ გამომიგზავნა სერგო მაისურაძე და მისი პირით შემომითვალა, რომ სასწრაფოდ მასთან გავჩენილიყავ. რა თქმა უნდა, არ დამიხანებია, და მაშინვე ქაქუცასთან წაველი ვიროფლეში. ჩემი მდგომარეობა რომ გამომკითხა, ის ძალიან გამიწყრა, რადგან მას არ გავაგებინე, რომ სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუმროს პატრონმა ოთახი დამიკეტა და ღია ცის ქვეშ ვიყავი დარჩენილი. იმ დროს ქაქუცას ფული არა ჰქონდა ანდა საიდან უნდა ჰქონოდა! ხანგამოშვებით მეგობრები უგზავნიდნენ მას სახარჯოს ინგლისიდან, გერმანიიდან და შიგ საფრანგეთიდანვე. ათასი ფრანკი რომ მიელო, შეიძლება ორმოცდაათი აელო თავისთვის, დანარჩენს ავადმყოფ და უმუშევარ რაზმელებს ურიგებდა. ჩვენს ყოფილ მთავრობას, კაპიკი რა არის, კაპიკიც არ მიუცია მისთვის!

ამ მძიმე მდგომარეობაში, რადგან ხელის გასამართავად იმ დროს ფული არ შეესწრო, ქაქუცამ თავისი ძვირფასი სათამბაქოე მომცა და მითხრა: „აი, წაუღე, მიეც სასტუმროს პატრონს, რომ ოთახი გაგიღოს; როცა მუშაობას დაიწყებ, ვალს გადაუხდი და სათამბაქოეს დაგიბრუნებს"-ო. მე მას ერთობ გავუძალიანდი, სათამბაქოეს არ ვიღებდი, იმდენად მრცხვენოდა, რომ ცრემლებიც კი მომერია თვალებში, ბოლოს, ბევრი დავის შემდეგ, დავყაბულდი. ამნაირად მომიგვარდა ეს საკითხი და სასტუმროს პატრონმაც ინება ჩემი ოთახის გაღება.

სულ ორიოდე კვირამ თუ განვლო ამის შემდეგ და გამომიძახეს გამოცდებზე, რომლებიც რიგიანად ჩავაბარე; ერთი კვირის შემდეგ მუშაობაც დავიწყე. მე, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ქაქუცას სათამბაქოე გამოვისყიდე საჩქაროდ. გარდა ამისა, რადგან ქაქუცას უნდოდა, რომ მასთან მეცხოვრა, გავიმართე თუ არა მუშაობაში, მეც ვიროფლეში გადავედი. იქვე ახლო ცხოვრობდა ს. ზალდასტანიშვილი, მას მანქანა ჰქონდა და ჩვენ შეთანხმებით ვმუშაობდით: ის დღისით, ხოლო მე კი ღამით. ასეთ შეხმატკბილებულ მუშაობაში კარგად მიდიოდა საქმე. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას მოდიოდა ჩვენთან ახალგაზრდობა პარიზიდან. იყო სიმღერა, ცეკვა და ამბების თხრობა ჩვენი ცხოვრებიდან, რითაც ძალიან იყვნენ დაინტერესებული. ჩვენს ამგვარ ოჯახურ ცხოვრებას და სტუმრიანობას თავისებურ ელფერს მატებდა ოთხი ძაღლი, ერთი მაიმუნი, სახელად კიკი, რომელიც ყველას გასართობი გახლდათ. ამათ გარდა, გვყავდა კიდევ რამდენიმე ქათამიც!

ამ დროს ვიროფლეში ვცხოვრობდით: მე, ილიკო ქარუმიძე, ელიზბარი, ორი ჯავრიშვილი, ბადური, რაფო და საშიკო, სულ ათი კაცი, გარდა ქაქუცასი, რომელთაგან ექვსს შოფრებად ვამზადებდი. იმხანად მარტო მე ვმუშაობდი და, რასაკვირველია, გვიჭირდა ცხოვრება. ჩვენ ვცადეთ, რომ ელიზბარიც მოგვემზადებინა შოფრად, მაგრამ არ ივარგა.

●

საფრანგეთში შემოგვემატა ახალი მობინადრე. ეს გახლდათ თელავიდან კახეთში დიდი ხნის გადასახლებული სამოცდახუთი წლის ფოტოგრაფი, ვანო ბარკალაია. ის კარგად იცნობდა მთელი თელავის ინტელიგენციას. მიცნობდა მეც, ჩემს ნათესაობასაც და თითონ ქაქუცას ოჯახსაც, მან, რასაკვირველია, იცოდა ჩვენი პარტიზანული ბრძოლების შესახებ. არც ის წარმოადგენდა მისთვის საიდუმლოს, რომ 1924 წელს საზღვარგარეთ გამოვედით და საფრანგეთში ვცხოვრობდით.

ერთხელ, თურმე, ხმა გავარდნილა საქართველოში, ვითომ ქაქუცა საზღვარგარეთიდან მიდის დიდი ჯარით საქართველოს გასანთავისუფლებლად. ამ ხმებს ვანო ბარკალაიას ყურამდეც მიუღწევია. იმანაც, არც აცივა, არც აცხელა, დაავლო ხელი თავის ძველებურ ფოტო-აპარატს, ნაბადს და წამოვიდა თურქეთის საზღვრისაკენ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ შეხვედროდა ქაქუცას და მის ჯარს და, როდესაც განმათავისუფლებელი ჯარები საქართველოს მიადგებოდნენ, ისტორიული სურათი გადაეღო მათთვის! მაგრამ, საუბედუროდ, ეს იყო მხოლოდ ხალხის ფანტაზიები და იმედი არ გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლდა. რაკი დარწმუნებულა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჰორიაო, საფრანგეთში გადაუწყვეტია წამოსვლა, რომ ჩვენ შემოგვერთებოდა. როგორც იქნა, ჩამოსულა პარიზში, მოუძებნია ქართველობა და მათთვის უთხოვია, რომ რამენაირად გაეგებინებინათ ჩემთვის. ვანო ბარკალაია დაგეძებსო. რაღა თქმა უნდა, ქართველებმა, არა თუ მარტო გამაგებინეს, თითონვე მოიყვანეს იგი ჩემთან თავისი დიდი ნაბდით და ვეებერთელა, ძველებური ფოტო-აპარატით, რომელიც მართლაც ქათმების საბუდარს წააგავდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა ჩემი ბალღობის ნაცნობი კახეთიდან! იმდენად იყო გაჟღენთილი პატრიოტული გრძნობით, რომ მოხუცმა კაცმა არ დაიზარა ჩვენი მოძებნა. რათა რამე ქართული საქმე გაეკეთებინა მომავლისათვის! ის მას აქეთ ჩემთან ცხოვრობდა ვიროფლეში. მე ძალიან მიყვარდა და პატივს ვცემდი ამ თავისებურ, პატრიოტული გრძნობების მქონე ხანდაზმულ ადამიანს. თავის მხრივ, არც ის მაკლებდა მზრუნველობას და ყურადღებას: თავდადებით მივლიდა და ყველანაირად ცდილობდა, რომ რამენაირად ესიამოვნებინა ჩემთვის. მეტის მეტი მზრუნველობით მოსდიოდა ისიც, რომ არაიშვიათად მეჩხუბებოდა კიდეც: „კარგა დაისვენე, გამოიძინე, ბევრს ნუ მუშაობ“-ო.

ჩემს მეგობრებსაც უყვარდათ ვანო და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. ვანოს გადაღებულია ამ წიგნში მოცემული ჩემი და ქაქუცას სურათები და კიდევ მრავალი სხვა.

●

ქაქუცა ახლა მეორედ გავგზავნეთ სანტორიუმში, სადაც ის კარგა ხანს დარჩა. რამდენიმე თვის შემდეგ დეპეშა მომივიდა, რომ მე ჩავსულიყავ მასთან. მე არ მიხერხდებოდა წასვლა, რადგან ჩვენს ბინაში ბევრნი ვიყავით და ჩემს მეტი კი არავინ მუშაობდა. ამიტომაც გადავწყვიტე სერგო მაისურაძის გაგზავნა, მით უმეტეს, რომ მუდამ ის უვლიდა ქაქუცას. მივეცი ფული და ვუთხარი, რომ იქ დარჩენილიყო და მასთან ყოფილიყო ყოველ დღე. სერგო კი წავიდა, მაგრამ მეორე დღესვე უკან დაბრუნდა. რომ ვკითხე „რათ დაბრუნდი? რა მოხდა?“-მეთქი, მიპასუხა: „გაჯავრებული იყო, მითხრა, რატომ თითონ არ ჩამოვიდა“-ო. სერგოს ჩამოსვლას მეორე დღესვე დეპეშაც მოჰყვა ფეხდაფეხ ჩემს სახელზე, რომ დაუყოვნებლივ ჩავსულიყავ. რაღა გაეწყობოდა. დავანებე თავი ყველაფერს, ვისესხე ფული და წაველ ოტნაუაში. ჩასვლისას დაღვრემილი და ნაწყენი დამხვდა ქაქუცა: „დეპეშა მე შენ გამოგიგზავნე, შენ კი მე სერგოს მიგზავნი. მე ძალიან მიყვარს სერგო, მაგრამ მას რა შეუძლია გამიკეთოს?“-ო. ამაზე მე ვუპასუხე: „სერგო მე იმ მოსაზრებით გამოგიგზავნე, რომ იცის შენი მოვლა. გარდა ამისა, იქ რვა კაცია და საჭმელი კი არაფერი აქვთ“.-მეთქი. მცირე ხნის შემდეგ შევრიგდით და დავიწყეთ მსჯელობა ჩვენს ჭირ-ვარამზე. მან მიამბო, რომ იქ ჩხუბი მოსვლია ერთ ექიმთან, თურმე, ის მას ატყუებდა. ამ მიზეზის გამო, ქაქუცას კინაღამ რევოლვერი უსვრია მისთვის. კიდევ კარგი გაქცეულა; თორემ მოკლავდა. როგორ თუ მატყუებო!

მე ოცდახუთი დღე დავრჩი ქაქუცასთან. ჩვენ იქ უამრავ საკითხზე ვილაპარაკეთ, მაგრამ აი, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი: ქაქუცამ დამავალა და დამაფიცა, რომ მე აღმეწერა ჩვენი რაზმის მოქმედება თავიდან ბოლომდე. „ხომ თავიდანვე იცი სულ-ყველაფერი; შენ თვალწინ გაიარა ყველაფერმა; ნუ დავკარგავთ ჩვენს შრომას, ხომ ხედავ, მე ამ დღეში ჩავვარდი. შენს მეტი ამას არავინ გააკეთებს“-ო, მითხრა მან.

სხვათა შორის, მან არაერთი წერილი მიმაწერინა ამ ხნის განმავლობაში, რადგან ხელს ველარ ხმარობდა. მე

მინდოდა, რომ ის უკეთეს ადგილას გადამეყვანა, დაოსში, მაგრამ ექიმებმა ამიკრძალეს, მისი დაძვრა არ შეიძლება, სანამდე ცოტა არ მოკეთდებაო. მერე თითონ ქაქუცამაც მოინდომა: „სახლში წამიყვანე"-ო. მაგრამ როგორ შევუსრულებდი სურვილს, როდესაც მისი მგზავრობა არ შეიძლებოდა. იმისთვის, რომ მოღონიერებულიყო, ვცდილობდი უკეთესად მეკვება, მაგრამ ის არაფერს ჭამდა; სვამდა მხოლოდ ფორთოხლის წვენს. ეს კი კუჭისთვის დიდ არაფერ საზრდოს არ წარმოადგენდა. მე ძალიან ვწუხდი, ხოლო ყველაზე მეტად იმის გამო, რომ ვერც ვეუბნებოდი. ჯერჯერობით შენი ადგილიდან დაძვრა არ შეიძლება-თქო. ქაქუცამ იმიტომ მოიწადინა სახლში წასვლა, რომ არ უნდოდა უცხო ვინმეს მოევლო მისთვის. მერე მან მოინატრა ვახტანგ ღამბაშიძის ნახვა, რომელიც უყვარდა და პატივსაც სცემდა მას. ვახტანგიც ასეთივე გრძნობით იყო გამსჭვალული ქაქუცასადმი. მაშინვე დავურეკე მას. მან დაუფიქრებლად მიპასუხა: „დღეს საღამოსვე დავჯდები მატარებელზე და გამოვემგზავრები"-ო.

ამ საუბრის წინადღით მე სადილი ვაჭამე ქაქუცას. ერთი ბეწო შეჭამა. მერე ფორთოხალი გამოვუწურე, დავალევინე და ვუთხარი: „ეხლა მე გარეთ გავალ, კარებთან დავჯდები; წიგნს ვიკითხავ, შენ დაიძინე. უნდა მოღონიერდე. თუ რამე დაგჭირდეს, დამიძახე და მაშინვე შემოვალ"-მეთქი. მე გაველი და გარეთ დავჯექი. ძალიან ცოტა ეძინა, რამაც მხოლოდ დაასუსტა. ამასობაში სულ ორმოცდაათმა წუთმა თუ გაიარა, რომ დამიძახა. მაშინვე შევედი. ის საშინლად აღშფოთებული და გაჯავრებული დამხვდა. მან სავარძლის თავსაყუდზე მიმითითა. სადაც ოქროს ჯაჭვზე ეკიდა ჯვარი ორ თუ სამ ოქროს წმინდანთან ერთად, და ჩემის ხელით ტყავში გამოკერილი საქართველოს მიწა, რომლებსაც განუყრელად თან ატარებდა ქაქუცა. „ჩამოხსენი"-ო მითხრა მან, როგორც კი შევედი: „რა მოხდა? რა ამბავია??"-მეთქი, ვკითხე დაბნეულმა, რაზეც ეს პასუხი გამცა: „შეხსენი საქართველოს მიწა, დადე აი, აქ, პატარა მაგიდაზე. ეს ჯვარი და წმინდანები ჩემს შვილს მიუტანე: ხომ იცი, იმისია"-ო. თურმე, ორმოცდაათი წუთი რომ ჩაიძინა, თავისი უფროსი შვილი უნახავს სიზმარში და მას უთქვამს: „მამაჩემო მომეცი ჩემი ჯვარი"-ო. ამაზე იყო იგი აღშფოთებული: „ახლა კი გათავდა ჩემი ცხოვრება"-ო. მე, თუმცაღა შევეცადე გამექარწყლებინა მისი ავისმომასწავებელი სიზმარი, მაგრამ ამაოდ: „შენ ახალგაზრდა ხარ, შენ ჩაუტანე ჩემი სულ ყველაფერი ჩემს შვილებს"-ო. დამიბარა მან. აი, სწორედ მაშინ დაიბარა ანდერძად, რომ დაგვეწვა მისი ნეშტი, ხოლო სულ სხვა იყო ჩემი მოსაზრება ამის თაობაზე, რის გამო ანდერძის შეუსრულებლობა ცოდვად არ ჩაითვლება. მიზეზს დაბლა მოგახსენებთ.

რაც შეეხება ჯვარს, აი, როგორ იყო ეს საქმე: როდესაც ქაქუცა პარტიზანულ ბრძოლაში მიდიოდა, თან წაიღო უფროსი შვილს ჯვარი. ვინაიდან თავისი დაკარგვოდა. ჩენი პარტიზანებად გასვლის ხუთი თუ ექვსი თვის შემდეგ მე და ქაქუცა ერთ მახლობელ ოჯახში მივედით. იქ დაგვხვდა მისი მეუღლე უფროს შვილთან ერთად, რომელიც ხუთი-ექვსი წლისა თუ იქნებოდა მაშინ იმ ხანებში. ქაქუცას უკვე გრძელი წვერები ჰქონდა. ამის გამო იუცხოვა ბავშვმა თავის საკუთარი მამა. ის ჩემთან მოდიოდა, მეხვეოდა, მკოცნიდა, ხოლო ღვიძლ მამას არ ეკარებოდა. ბოლოს, ქაქუცამ უთხრა, „მოდი ჩემთან, შვილო, მე ხომ მამაშენი ვარ"-ო, რაზეც ბავშვმა უპასუხა: „მაშ, აბა, მიჩვენე ჩემი ჯვარი"-ო. უჩვენა თუ არა ჯვარი, ბავშვი კისერზე შემოექნა თავის მამას.

●

ღამბაშიძის ჩამოსვლამ ძალიან გაახარა ქაქუცა. ჩვენ ორმა მაშინვე მო-

ვილაპარაკეთ, რომ იგი სახლში წაგვეყვანა. ვახტანგი იმ წამს დატრიალდა ექიმებში, რომ გაეგო, შეიძლებოდა, თუ არა მისი დაძვრა ადგილიდან. ექიმებმა იგივე გაიმეორეს: „იმისი დაძვრა არ შეიძლება, თუკი ცოტა არ მოლონიერდა“-ო. მაგრამ როგორ მოღონიერდებოდა, როცა იგი არაფერსა ჭამდა! თუმცა, ჭამა რაღას უშველიდა, როდესაც მაშინ უკვე დათვლილი ყოფილა მისი დღეები...

მოსახდენი მოხდა ათასცხრაას ოცდაათი წლის ივნისის თვეში. კიდევ კარგი, რომ აუსრულა უკანასკნელი ნატვრა და ვახტანგმა ცოცხალს ჩამოუსწრო მას, რადგან სულ ორი დღე გავიდა მისი ჩამოსვლიდან, და ქაქუცა გარდაიცვალა. იქნებოდა დაახლოებით თერთმეტი საათი, რომ მე და ვახტანგი იმის პალატაში შევედით. მან რაღაც დაილაპარაკა. ჩვენ მაშინვე მივცვივდით და მე ხელით წამოვუწიე თავი ქაქუცას, მან კიდევ დაიხრიალა, აი, ის იყო უკანასკნელი დახმაურება ამ დიდი მებრძოლისა, რომელიც ვეფხვივით ებრძოდა თვით სიკვდილსაც კი!

მე და ვახტანგი კარგა ხანს შევტიროდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინვე პარიზში შევატყობინეთ ეს სამწუხარო ამბავი. უმალ დაიწყო უანგარიშო ტელეფონების რეკვა. მეკითხებოდნენ, დამავალა, თუ არა რამე, მე ყველას ვპასუხობდი: „მართალია, დამავალა, რომ დამწვითო, მაგრამ მე არასგზით არ გავუშვებ, რომ დავწვათ“-მეთქი. მე ვიცი, რისთვის თქვა დაწვა: მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ადვილად ჩამიტანენო სამშობლოში. მე დაბეჯითებით ვიცოდი, რომ მას საშინლად სძაგდა დაწვა, გრიშა ბერიძის ძმის დაწვას დაესწრო ქაქუცა და, როცა შინ მოვიდა, მითხრა: „საშინელებაა, რომ ქრისტიანი ადამიანი დაიწვას“-ო. აი, ამ მოსაზრებით გადავეცი პარიზში, რომ სასაფლაოს თადარიგი გაეწიათ.

დიდად დამეხმარა განსვენებული ვახტანგი. ყველაფერი მოვაწესრიგეთ, ქაქუცა ჩვენს თვალწინ ჩავასვენეთ თუთიის კუბოში და ოტასუადან პარიზში გავასვენეთ. უღრესად დამწუხრებული დაგვხვდა ქართველობის უმეტესი ნაწილი საფრანგეთის დედაქალაქში, ყველას უნდოდა გაეგო, როგორ გარდაიცვალა იგი, ან რა სთქვა მან საბოლოო სიტყვად...

ქაქუცა ბერძნების ეკლესიაში დავასვენეთ: სამი დღის შემდეგ იყო დანიშნული დაკრძალვა. მანამდე მიცვალებულს ჩამოვასვენებდით. პარიზში ხუთი კაცისგან შემდგარიყო დამკრძალავი კომიტეტი აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. შეფიცულების მხრივ მასში მერაბ ჯორჯაძე შედიოდა. დანარჩენების გვარები არ მახსოვს. მე მოვიწადინე იმ ადგილის ნახვა, სადაც ქაქუცას დაკრძალვა იყო გადაწყვეტილი. წავედით მე, მერაბი და ილიკო ქარუმიძე. სანტოენის სასაფლაოზე რომ მივედით, სწორედ მაშინ იღებდნენ ძვლებს იქიდან, სადაც ქაქუცას საფლავს ამზადებდნენ. მათ მიჩვენეს ალაგი და მითხრეს: „აი, ეს არის ქაქუცას საფლავი“-ო. მე რომ ვკითხევი „მერე აკლდამას როდისღა გააკეთებენ“-თქო, მაშინღა მიამბო მერაბმა: „აი, ამ სახით უნდა გაახვიონ კუბო კარავში და ზედ გუდრონს დაასხამენ. ასე გადაწყვიტა კომიტეტმა“-ო. ეს რომ მითხრა მერაბმა, კინაღამ გადვირიე და ლამის არის იქვე დავახრჩე იგი: „ესე ასაფლავებთ ქაქუცა ჩოლოყაშვილს!“-მეთქი. მე დაუყოვნებლივ შევუდექი მოლაპარაკებას სასაფლაოს დირექციასთან, რომ აკლდამა გაეკეთებინათ. კარგა აღარ მახსოვს, მგონი ორიათას ხუთასი დაჯდა, ხოლო მე კი ორმოცდახუთი ფრანკის მეტი არა მქონდა ჯიბეში.

სასაფლაოდან რომ დავბრუნდით, მე, მერაბ ჯორჯაძე და ილიკო ქარუმიძე, პირდაპირ აკაკი ჩხენკელთან მივედით საშინლად აღელვებულნი. ასე მივმართე მე მას: „ბატონო აკაკი, ასე ასაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავებთ ქაქუცას? გუდრონი გინდათ დაასხათ ცხედარს, თითქო შარაგზას აგებენო! ქართველმა საზოგადოებამ ეროვნულ გმირად აღიარა ქაქუცა. საინტერესოა, სხვაწიც ასე ასაფლავებენ თავიანთ ეროვნულ გმირებს, როგორც თქვენ?"-მეთქი. ეტყობა, ჩხენკელიც შეაწუხა ამ გარემოებამ, რომ მიპასუხა: „როგორც გინდათ, ბატონო ალექსანდრე, ისე დავასაფლავოთ"-ო. ამაზე მე ვუპასუხე: „აი, ბატონო აკაკი, დღეს მე აკლდამა შევუკვეთე: მისამართი თქვენი მივეცი და ფული, როგორც გინდათ, ისე გადაიხადეთ"-მეთქი.

ეს ლაპარაკი მხოლოდ ლაპარაკად დარჩა, რადგან მთავრობას კაპიკიც არ გადუხდია. მაინც გრიშა ბერიძეს გადაახდევინეს იმის საფასური. მართლაც უმადურობა იქნებოდა, რომ არ აღნიშნულიყო ქველმოქმედი ადამიანის თუნდ გულითადი მეგობრის ამაგი: თავიდანვე გრიშამ იკისრა დაკრძალვის მთელი ხარჯები, ვინაიდან მისი სურვილი იყო, რომ ღირსეულად დაეკრძალა თავისი მეგობარი, მაგრამ მთავრობამ აქაც მოინდომა გამორჩენა...

ასე ვამთავრებ შეფიცულთა რაზმის პარტიზანული ბრძოლების ამბავს. ბედნიერი ვარ, რომ შევძელი და პირნათლად შევასრულე დაპირება და ფიცი, რომლებიც მივეცი ჩვენს ბელადს, ჩემს პირად მეგობარს — ქაქუცა ჩოლოყაშვილს და, აგრეთვე, ჩემს თანამებრძოლ შეფიცულებს, რომ უელფეროდ და უსარგებლოდ არ დაკარგულიყო იმათი თავის განწირვა სამშობლოსათვის!

ჩემი მოგონება არ არის სრულიად ვრცელი, რადგანაც, მანამ რეჟიმი არ შეიცვლება საქართველოში, მიზანშეწონილი არ იქნებოდა ზოგიერთი ფაქტების გამოქვეყნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რითი გვჯობიან კაპიტალისტები?

70 წელია, რაც კაპიტალისტებს და მათ დამპალ წყობას ვლანძღავთ, ვაგინებთ, მაგრამ უპატრონოდ ხმას არ გვცემენ. ჩვენ რომ ვინმემ ასე გვლანძღოს და გვაგინოს, როგორ გგონიათ, შევარჩენთ? ესე იგი იმათ თავმოყვარეობა არა აქვთ!

კაპიტალისტებს არც იმისი არ რცხვენიათ, 70 წლის განმავლობაში რომ თავს არ ვუყადრიდით და ყველაზე ჩამორჩენილ და წყალწაღებულ ქვეყნებთან ვმეგობრობდით.

ჩვენთან ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს, იქ, ვინც არ მუშაობს, ისიც ჭამს.

ჩვენ ყოველდღე ვიხრჩობით მტვერსა და ნაგავში, ვიწამლებით მანქანების გამონაბოლქვი აირებით, ნიტრატიანი ხილ-ბოსტნეულით, ყველა მეორეს ასთმა გვაწუხებს, თავისუფლად ვერ ვსუნთქავთ, მაგრამ მაინც ომახიანად ვმღერით:

ია დრუგოი ტაკოი სტრანა ნე ზნაიუ,
გდე ტაკ ვოლნო დიშიტ ჩელოვეკ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში გაიგონებთ ასეთ სიმღერებს? იქ ყველა მუშაობს ვირივით და თუ ბიჭია, ვინმემ დააგვიანოს, ან გააცდინოს სამსახური, იმ წუთში პანღურისკვრით გააგდებენ, ჩვენთან კი (ვენაცვალე ჩვენს ჰუმანურ წყობას!), სამუშაოზე გინდა მიხვალ, გინდა არა. მართალია ხელფასები პატარა გვაქვს, მაგრამ, სამაგიეროდ არაფერს ვაკეთებთ.

კაპიტალისტები უბადრუკები არიან. მართალია კარგად ცხოვრობენ, მაგრამ მაინც არ არიან მიღწეულით კმაყოფილნი; ჩვენთვის, დაწყებული სასმელ-საჭმელიდან, ტანსაცმელ-ფეხსაცმლიდან, ყველაფერი პრობლემაა. მაგრამ სულ ვზეიმობთ, ვმღერით, ხმამაღლა ვუმღერით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ეპოქის ჭკუას, ღირსებას და სინდისს.

კაპიტალისტებს ერთი პრეზიდენტი ჰყავთ, ჩვენ ოთხი ბელადი გვყავდა და დღეს სამი მაინც დაგვრჩა (მარქსი, ენგელსი, ლენინი).

კაპიტალისტებს სულ არა აქვთ დისციპლინა — თანდათან ეცლებათ ხელიდან კოლონიები. ჩვენთან, აბა, გაბედოს რომელიმე რესპუბლიკამ და თავისით გავიდეს „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი, ძმურიდან“.

იქ მთელი ქალაქი რომ მოიაროთ, ერთ ლოზუნგს და პლაკატს ვერ ნახავთ. ჩვენთან ყოველ ას მეტრზე დგას ძვირადღირებული სტენდები, დაფები, მემორიალები; სადაც გამოკრულია მაღალმხატვრულად გაფორმებული პლაკატები და ლოზუნგები: „გამარჯვებით დავაგვირგვინოთ ხუთწლედი!“, „დიდება შრომას“, „ფართო გზა ქიმიას!“ „მეკაკლეობას — კომკავშირული ზრუნვა!“ „მძღოლო, შენ ცოლი, შვილი და დედა გელოდება!“ „დავიცვათ სისუფთავე!“ „ნაგავი, ჩაყარეთ ურნაში!“, „დააფასეთ დამლაგებლის შრომა!“ „ტყე შეუნახეთ შვილებსა!“, „დიდება სკკპ-ს!“ „ჩავაბაროთ სამშობლოს გეგმითი ხორცი, რძე, მატყლი!“ „გასაქანი მივცეთ მეღორეობას“, „კომუნისტები ავანგარდში!“ და ა. შ.

ჩვენი ავადმყოფები, ინფარქტიანებიც კი, საავადმყოფოს დერეფნებში წვანან, არც მედიკამენტები აქვთ და არც სხვა რაიმე ხელშეწყობა, მაგრამ, სამაგიეროდ ჩვენთან მკურნალობა უფასოა, იმათთან კი ფასიანი.

ჩვენთან სკოლაში არავის არ უნდა სწავლა, უმაღლესში მოწყობა კი — ყველას. იქ პირიქით — სკოლაში ყველა სწავლობს, მაგრამ უმაღლესში ცოტა ვინმე თუ ეწყობა.

ჩვენთან სკოლაში სწავლა უფასოა, მაგრამ მაინც გვაძალებენ — გინდა თუ არა, ისწავლე და მაინც არ ვსწავლობთ. იქ პირიქით — ფულს იხდიან — გვასწავლეთო!

ჩვენ 70 წელია კაცობრიობის იდეალს და ნათელ მომავალს — კომუნიზმს ვაშენებთ. კაპიტალისტები კი მარტო სახლებს, გზებს, ხიდებს და ფაბრიკა-ქარხნებს აშენებენ.

მოდა, გეკითხებით: რითი გვჯობიან ჩვენ კაპიტალისტები?

ვანო ცინცაძე

Ежемесячный литературно-художественный и общественно-политический журнал
«ЦИСКАРИ» Издательство ЦК КП Грузии

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380028, მარქსის ქ. № 1.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-85-81; მთ. რედაქტორის მოადგილის — 98-84-40; განყოფილებების — 98-86-46; პასუხისმგებელი მდივანი და საკორექტორო — 98-84-88.

გადაეცა ასაწყობად 25.06.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.08.90 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგამომც. თაბახი 15.85. შეკვეთა 1423. ტირაჟი 47 000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ შამანაძე

დაიბადა 1930 წელს საჩხერის რაიონში სოფელ მერჯევში. დაამთავრა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგიის ფაკულტეტი. (1953 წ.). შემდეგ უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი — გერმანული ენის განხრით (1957 წ.)

არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. მუშაობს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

პირველი ლექსები გამოაქვეყნა ალმანახ „პირველ სხივში", ლექსების პირველი კრებული გამოსცა 1957 წ.

გამოქვეყნებული აქვს 20-მდე პოეტური და პროზაული კრებული.

## თენგიზ ჩალაური

დაიბადა 1940 წელს თბილისში. დაამთავრა ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი..

გამოცვლილი აქვს მრავალი პროფესია...

მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა 1974 წელს, როდესაც გაიმარჯვა სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ კონკურსში მოთხრობით — „ორმოცდასამი და შვიდი ბელურა".

გამოქვეყნებული აქვს მოთხრობათა კრებულები: „ჭიდილი" „ნაცრისფერპალტოიანი კაცი", საბავშვო მოთხრობების კრებული „გულჩიტა", ლექსების კრებული „იმედი".

ჟურნალ „ცისკარში" 1988 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი — „და არ იყო ჩვენს შორის გმირი".

ამჟამად მუშაობს ჟურნალ „დილას" რედაქციაში.

## ჯემალ დავლიანიძე

დაიბადა 1947 წელს კასპის რაიონის სოფელ გარიყულაში, 1965 წელს დაამთავრა თბილისის მე-10 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუსრულებია, სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ქალაქ ტამბოვში ქარხანა „პოლიმერმაში" მომარაგების განყოფილებაში. რესტორანში — გიტარის დამკვრელად, მუშად მშენებლობებზე, მარნეულის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად, კინოსტუდია „ქართულ ფილმში" — რედაქტორად, ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე არტეზიული ჭების მეთვალყურედ, მონკავშირში — მეთევზეობის მეურნეობაში ოსტატად. მისი პირველი მოთხრობები დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში" 1974 წელს. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული: „იმ ცეცხლის ყვავილები", რომანები: „წონასწორობა", „შემობრუნება", „წელიწადი".

ხ88/100

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

# ძვირფასო მკითხველო!

ინყება ხელმონერა ჟურნალ-გაზეთებზე 1991 წლისთვის. ახალ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ფასების ცვლილება, რაც ბუნებრივია, დამატებით სიძნელეებს შეუქმნის ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერლებს.

ჟურნალ „ცისკრის" სახე ქართული მწერლობის, ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის ბრძოლაში ჩამოყალიბდა. სამომავლოდაც ასევე გვესახება მისი როლი და ადგილი ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში...

ძვირფასო მკითხველო! ჟურნალ „ცისკრის" ბედი და მომავალი, ვფიქრობთ, ყველა შეგნებულ ქართველს უნდა აღელვებდეს. გვაქვს იმედი თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომის, რათა კვლავაც ერთად ვიდგეთ ჩვენი სამშობლოს სამსახურში, მისი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

გამოიწერეთ ჟურნალი „ცისკარი". იგი ყოველთვის იყო და იქნება ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების პირუთვნელი გამომხატველი.

ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

91-30/